

სოხალის პრემიის დაჯილდოვანი

უილიამ ფოლკნერი

ეამცაყჭელნი

ინტელექტი



უილიამ ფოლკნერი

გამტაცებელი



ბაბუამ თქვა:

- არსებობს ადამიანთა ტიპი, რომელსაც ბუნ ჰოგანბეკი მი-
ეკუთვნებოდა. მისი თვისებების ჩამონათვალი კედელზე რომ გა-
გეკრა, მის ეპიტაფიად გამოდგებოდა, რაღაც, ბერტილიონის
ცხრილისა¹ თუ ძებნილის შესახებ საპოლიციო განცხადებისმაგ-
ვარ პლაკატად; მისი წაკითხვისთანავე, ნებისმიერი ჩრდილომი-
სისიპელი პოლიციელი თუნდაც ბრბოში ამოიცნობდა და დააპა-
ტიმრებდა.

შაბათი დღე იყო, ასე, დილის ათი საათი, ჩვენ - შენი დიდი პაპა
და მე - კანტორაში ვისხედით. მამა მაგიდასთან იჯდა, გადმოეყა-
რა ფული ტილოს ტოპრაკიდან, ითვლიდა და თან ქვითრებს უდა-
რებდა. ის-ის იყო, მოედნის მაღაზიები დავიარე და ფული მოვუ-
ტანე. ჰოდა, ვიჯექი კედელთან სკამზე, შუადღისას მას ჩემთვის,
ჩვეულებისამებრ, ხელფასი (ერთი კვირისა) - ათი ცენტი უნდა
მოეცა; მერე შინ წავიდოდით, ვისადილებდით და თავისუფალი
ვიქნებოდით, რათა წამოვწეოდი (მამისი იდგა) ბიჭებს, რომლებიც
უჩემოდ, უკვე დილიდან თამაშობდნენ ბეისბოლს: არსებული შე-
ხედულებით (ის შენს დიდ პაპას ეკუთვნოდა), თუნდაც თერთმეტი
წლის მამაკაცს უკვე მთელი წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს
გაღებული თავისი წილი საზღაური იმ სივრცისთვის, რომელიც

¹ ბერტილიონის ცხრილი - ძებნილი ბოროტმოქმედის ანთრო-
პომეტრიული მონაცემებისა და ნიშნების ცხრილი, რომლის
შედგენაც ფრანგი ანთროპოლოგის, ალფონს ბერტილიონის
(1853-1914) მიერ შემუშავებული სპეციალური სისტემით ხორ-
ციელდება.

მსოფლიოს (სულ ცოტა - ქალაქ ჯეფერსონისა თუ მისისიპის შტატის) ეკონომიკაში უკავია. შაბათობით, დილიდანვე, საუზმის შემდეგ ყოველთვის მივდიოდი სახლიდან მამასთან ერთად, მაშინ, როდესაც ჩვენი ქუჩის ბიჭები აღიჭურვებოდნენ ხოლმე ბურთებით, ჩოგნებითა და თათმანებით. ჩემი სამი ძმა კი, რა სათქმელია და, ჩემზე უმცროსები იყვნენ, პატარები, სწორედ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულნი; მამის ლოგიკისა და შეხედულების თანახმად, ყოველ უფროს მამაკაცს ძალუძს, ოთხი ბავშვის მაგივრობა გასწიოს და ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს, ამიტომ, ერთ-ერთს, ცხადია - უფროსს - კიდევ უნდა შეეძლოს, თავისი მხრებით ზიდოს ეს ტვირთი. ასე და ამგვარად, ყოველ შაბათ დილას მე უნდა მომეკრიბა ანგარიშები იმ ყუთებისა და ფუთების, ჩვენს ზანგ მედროგეებს მთელი კვირის მანძილზე რომ მოეზიდათ საბაყლო, რკინა-კავეულისა და საფერმერო მაღაზიებში, მერე ის ტილოს ტოპრაკები მამასთან წამელო, ის ფულს დაითვლიდა და შეაჯამებდა. შუადღემდე სულ იქ უნდა ვყოფილიყავი, ვითომდა ტელეფონის ბარზე საპასუხოდ - ამაში კვირაში ათ ცენტს მაძლევდა, რაც, მისი ვარაუდით, ჩემთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, ამ საქმიანობით ვიყავით გართულნი, როცა უეცრად ბუნმა კარი შემოხეთქა და შემოხტა. დიახ, სწორედ შემოხტა! დერეფნიდან შემოსასვლელი კიბის საფეხური არ იყო მაღალი, თერთმეტი წლის ბიჭისთვისაც კი (მაგრამ ჯონ პაუელმა, უფროსმა მეჭინბემ უთხრა სონ ტომასს, უმცროს მეეტლეს, სადმე ნახე - გინდა ისესხე, გინდა ისე წამოიღე, გინდაც მოიპარეო ძელის ნაჭერი, საფეხურსა და საფეხურს შუა რომ ჩაედგა ჩემთვის), იმ ახმახ ბუნს ხომ მით უმეტეს არ გაუჭირდებოდა აქ გადმობიჯება. მაგრამ ამჯერად სწორედაც შემოხტა კანტორაში. მშვიდადაც რომ გახლდათ, მაშინაც არ ეტყობოდა სახეზე დიდი სიღინჯე, ახლა კი სიბრაზისგან ლამის ცოფებს ყრიდა. ჰოდა, შემოხტა კან-

ტორაში, მაგიდასთან მიიჭრა, მამას შეჰღრიალა, - ხელი გასწიეთ, ბ-ნო მორი, იქით გამეცალეთო, - მამას გადმოემხო, ქვედა უჯრას მისწვდა, სადაც საჯინიბოს კუთვნილი პისტოლეტი ინახებოდა. დანამდვილებით ვერ გეტყვით - ბუნი იმ უჯრას რომ მისწვდა, სკამსაც გაჰკრა ხელი (გორგოლაჭებიანი მბრუნავი სკამი იყო) თუ თავად მამამ გასწია უკან, მისთვის გამოწვდილ ხელზე თავისუფლად რომ დაეკრა ხელი. ჰოდა, ის კობტად დაწყობილი მონეტები მთელ მაგიდაზე მიმოიფანტა, როცა მამა ბუნის ხელს, თუ იმ უჯრას, თუ ორივეს ერთად ეჯაჯგურებოდა.

- ხელი აიღე, შე წყეულო!

- ლუდასი უნდა მოვკლა, - ღრიალებდა ბუნი, - ჩქარა, სანამ მოედნიდან გაპარულა! გამეცალეთ, ბატონო მორი!

- არა, - იძახდა მამა, - მოშორდი აქედან!

- მაშ, არ მომცემთ? - ჩაეკითხა ბუნი.

- არა, შე წყეულო! - მიუგო მამამ.

- მაშ, კარგი! - დასჭექა ბუნმა, უკან გადახტა, კარს მივარდა და გარეთ გავარდა. მამა სადაც იყო, იქვე დარჩა. ალბათ შეგიძინე-ვია, გადააბიჯებს კაცი ოცდაათ-ორმოც წელს და ჭკუა ელევა. გულმავიწყი ხდება-მეთქი, ამას არ ვამბობ. ამაზე ადვილი რა არის, სწორედაც ადვილი სათქმელია, - ოჰ, ეს მამაჩემი (ან ბაბუაჩემი) თუ დედაჩემი (ან ბებიჩემი) დაბერებულა, ყველაფერი ავიწყდებაო. თუმცა არსებობს რაღაც ისეთი ცხოვრებაში, რასაც ვერ დაივიწყებ, თუნდაც სულ დაჩაჩანაკებული იყო. ვთქვათ, ხევი თუ ხნარცვი რამდენჯერ გადაგივლია ბიჭობაში ზედ გადებული ფიცრით?! მაგრამ, როცა იქ ოცდათხუთმეტ-ორმოც წელს მიტანებული მიფოფხდები, ბანცალ-ბანცალით მიადგები, რას ხედავ, აღარსად არის ფიცარი; შეიძლება, ის ფიცარი სულაც აღარ გახსოვს, მაგრამ მაინც არ ჩააბიჯებ იმ სიცარიელეში, რომელზეც ფიცარი იყო გადებული. ახლავს შემთხვევა განსაჯე - კანტორაში ბუნს არც დაუკავუნებია, ისე შემოიჭრა, მამას დაეტაკა და ლამის

სკამიანად გადააყირავა, უჯრას ეცა, სადაც პისტოლეტი ეგულე-
ბოდა, მაგრამ მამამ იმარჯვა, ხელი ჰკრა თუ უკან გასწია, ეს კია,
ბუნი გატრიალდა და კანტორიდან გარეთ გაიჭრა. მამამ იფიქრა,
ამით მორჩა და გათავდაო ყველაფერი, ლანძღვაც შეწყვიტა,
თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, სკამი მაგიდასთან მისწია,
მოკრიბა ის გაფანტული ფული, რომელიც თავიდან დასათვლე-
ლი გახდა, მერე ისევ და ისევ მისდგა ბუნს, იმ პისტოლეტის გუ-
ლისთვის კი არა, უფრო იმიტომ, ბუნი - ბუნ ჰოგანბეკი რომ გახ-
ლდათ, და აღარ გაათავა, სანამ ხმა არ ამოვიღე:

- ახლა წავა და ჯონ პაუელს წაართმევს იარაღს, - ვუთხარი.

- რაო? - იყვირა მამამ, წამოვარდა და გაქანდა, მეც მივყევი.
ოთახიდან გამოვცვივდით, დერეფანი გავიბრინეთ, მერე კიბეზე
ავტეხეთ ბრახაბრუხი, გარეთ გავცვივდით, საჯინიბოსკენ გავიქე-
ცით, სადაც ჯონ პაუელი და ლასტერი მჭედელ გეიბს ეხმარებოდ-
ნენ, სამი ჯორი და ერთი დროგის ცხენი უნდა დაეჭედათ. მამას
უკვე ლანძღვის თავიც აღარ ჰქონდა და ყოველ მესამე ნაბიჯზე
ღრიალებდა: „ჯონ! ბუნ! ჯონ! ბუნ!“ მაგრამ ამჯერად დააგვიანდა:
ბუნმა გაგვაცურა ორივე - ისიც და მეც, რადგან ჯონ პაუელის პის-
ტოლეტს ამ ჩვენს საჯინიბოში არა მხოლოდ მნეობრივი ღირებუ-
ლება ჰქონდა, არამედ - ემოციურიც. ეს იყო ორმოცდაერთი ვა-
ლიბრის მოკლელულიანი რევოლვერი, ძველისძველი, მაგრამ
დიდებულად შენახული, რადგან ჯონი კარგად უვლიდა მას მერე,
რაც მამისგან ოცდაერთი წლისამ გამოისყიდა. თუმცა, ის თით-
ქოს არც იყო მისი საკუთრება, ანუ, იმის თქმა მინდა, ოფიციალუ-
რად არც კი არსებობდა. მას შემდეგ, რაც საჯინიბო დაარსდა, წე-
სად ჰქონდათ, ეს ერთადერთი პისტოლეტი შენახულიყო კანტო-
რაში, მაგიდის მარჯვენა უჯრაში. ჯენტლმენური შეთანხმების თა-
ნახმად, საჯინიბოს არც ერთ თანამშრომელს არ შეეძლო ცეც-
ხლსასროლი იარაღის ტარება სახლში წასვლამდე, მით უმეტეს,
იქიდან მისი წამოღება. ჯონმა ყველაფერი აგვიხსნა, ჩვენც გავუ-

გეთ და მხარიც დაუჭირეთ, საჭირო თუ იქნებოდა, მედგრად აღ-
ვუდგებოდით მთელ სამყაროსაც და თავად მამასაც. მაგრამ,
მართალი თუ გნებავთ, არც არაფრის დარდი არ უნდა გვექონოდა,
ბუნ ჰოგანბეკი რომ არა. მან (ჯონმა) მოგვითხრო, როგორ აგრო-
ვებდა პისტოლეტისთვის ფულს, მთელი იმ ხნის განმავლობაში
არანაირ სამუშაოს არ თაკილობდა, თავის მამასაც ეხმარებოდა
ფერმაში, არადა შეეძლო, თავისი სურვილისამებრ გაეტარებინა
დრო, ეჭამა ან დაეძინა. ასე იყო მანამ, სანამ ოცდაერთი წელი
შეუსრულდა. მაშინ ჩაუდო მამას ხელში უკანასკნელი მონეტა და
კიდევ მიიღო პისტოლეთი; მოგვითხრო, როგორ გახდა ეს პის-
ტოლეთი მისი კაცობის ცოცხალი სიმბოლო და შეუვალი მტკიცე-
ბა, რომ უკვე ოცდაერთი წლის ვაჟკაცი იყო; არ გაუვლია გულში,
ვერც წარმოედგინა, ისეთი რა უნდა მომხდარიყო ოდესმე, რომ
ჩახმახი გამოეკრა და ადამიანისთვის ესროლა, თუმცა კი უიარა-
ღოდ ვერ იქნებოდა, სამუშაოდ წამოსული, პისტოლეთს შინ ვე-
რაფრით დატოვებდა, რადგან მაშინ გინდაც კაცობა დაეტოვები-
ნოს სადღაც ფარდულში ან უჯრაში; ასე გვითხრა (და ჩვენც დაუ-
ჭერეთ), - ჩემთვის რომ ეთქვათ, აირჩიე, ან პისტოლეთი დატოვე,
ან არა და, სულ ნუ მოხვალ კანტორაშიო, ნათელია, რასაც ავირ-
ჩევდიო.

ჰოდა, მისმა ცოლმა იმიტომაც მიუკერა კოხტად და მაგრად
ჯიბე პისტოლეტისთვის შიგნიდან სამუშაო ხალათზე, მაგრამ ჯო-
ნი მაშინვე მიხვდა, ასე არ ივარგებსო. იმიტომ კი არა, რომ შეიძ-
ლებოდა, საბედისწერო წამს გადმოვარდნოდა, არამედ იმიტომ,
რომ მისი მოხაზულობა ეტყობოდა გარედან სამოსს - სწორედ
პისტოლეთიაო იქ, იტყოდნი. ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ
ჰქონდა, რადგან ისედაც ყველამ ვიცოდით, რაც იყო: ბ-მა ბე-
ლოტმა, თეთრკანიანმა უფროსმა მეჯინიბემ, ბუნმა, მისმა თანა-
შემწემ (ვინც ღამე მორიგეობდა და ამწუთას თავის სახლში, ლო-
გინში უნდა ყოფილიყო), ყველა ზანგმა მეეტლემ და მეჯინიბემაც,

დაბოლოს, უკანასკნელმა დამლაგებელმა და მეც, ვისაც შაბათობით ქვითრების მიხედვით ფულის მოკრეფა და ტელეფონზე პასუხის გაცემა მევალებოდა. იცოდა აგრეთვე, ბებერმა დენ გრინაპმაც, ვინც მუდამ ჭუჭყიანი დადიოდა, თამბაქოს კვამლისგან გაზინზლული წვერით, ვინც იშვიათად თუ უნახავთ ფხიზელი და არც ჰქონდა რაიმე თანამდებობა საჯინიბოში, ნაწილობრივ - ვისკის სიყვარულის, მაგრამ უფრო, თავისი გვარის გამო: გრინაპი კი არ გახლდათ, არამედ - გრენიე, ამ ოლქში უძველესი, მაგრამ აწ ღირსებააყრილი გვარის წარმომადგენელი: ჰუგენოტი ლუის გრენიე იყო მისი წინაპარი, რომელმაც რევოლუციის შემდეგ გადმოიარა ვირჯინიისა და კაროლინის მთები, მისისიპიში ჩამოვიდა მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, დააარსა ჯეფერსონი და სახელიც შეარქვა; ბებერი დენი სადღაც გადაკარგულში ცხოვრობდა (ოჯახი არ ჰყავდა, მხოლოდ ერთი იდიოტი დისწული თუ დეიდაშვილი, ვინც დღემდე მასთან ცხოვრობდა ქობში, ფრანგისხვევის იქით, ლელიანში, გრენიეს პლანტაციის ნაწილი რომ იყო ოდესღაც), ბებერი დენი, ვინც იმდენს არ სვამდა, რომ კოფოდან გადმოყირავებულიყო, იმ დროს გამოცხადდებოდა ხოლმე საჯინიბოში, რომ საღამოს 10:30-ზე და დილის 4:12-ზე მატარებლებს დახვედროდა სადგურში, რათა სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები სასტუმროში მოეყვანა ან ღამე სამორიგოდ მივიდოდა, როდესაც მეჯლისები, სპექტაკლები და კონცერტები იმართებოდა საოპერო თეატრში (ზოგჯერ ნაბახუსევს სევდა და სიმძიმელი რომ შემოაწვებოდა გულზე, ასე ამბობდა, იყო დრო და გრენიეები წინ მიუძღოდნენ იოკნაპატოფას საზოგადოებას, ახლა კი გრინაპები მას მეეტლეობას უწევენო); სამსახურიდან არ აგდებდნენ, რადგან, ასე ამბობდნენ, მისი ასული ბ-ნ ბელოტის პირველი ცოლი ყოფილა, თუმცა საჯინიბოში ყველამ ისე ვიცოდით, უფრო იმიტომ არ ითხოვდნენ, მამაჩემი თა-

ვის ბიჭობაში ბებერი დენის მამასთან ერთად, ფრანგისხევის სი-
ახლოვეს, მინდორში ნადირობდაო.

მის (პისტოლეტის) მოხაზულობას არა მარტო ჩვენ, არამედ
მამაც ამჩნევდა. თუმცა მამამ ისედაც იცოდა ამის შესახებ, იცო-
და, რაღა თქმა უნდა! ჩვენი დაწესებულება მეტისმეტად პატარა,
მეტისმეტად შედუღაბებული, მეტისმეტად შეკრული იყო. ამიტო-
მაც მამაჩემს ზნეობრივი პრობლემა ისევე აწუხებდა, როგორც
ჯონ პაუელს, ორივემ კარგად იცოდა ეს და არ ავიწყდებოდათ,
ჭეშმარიტი ჯენტლმენები უნდა ყოფილიყვნენ მუდამ: თუკი მამა
განაცხადებდა, ვიცოთ იმ პისტოლეტის ამბავი, მაშინ ასე უნდა
ეთქვა ჯონისთვის, ხვალ სახლში უნდა დატოვო ეს იარაღი ან თა-
ვად უნდა დარჩეო. თავის მხრივ, ჯონმაც იცოდა ეს და, რაკიღა
ისიც ჯენტლმენი გახლდათ, არც არასდროს აიძულებდა მამას,
პისტოლეტის არსებობა ეღიარებინა. სწორედ ეს იყო მიზეზი,
რომ ჯონის მეუღლემ ახლა ქურთუკის მარცხენა მხარეს ისე და-
აკერა ჯიბე, ვერაფერს ვერ შეამჩნევდით (ერთი შეხედვით მაინც),
ვერც მაშინ, როდესაც ჯონს ქურთუკი ეცვა, ან როდესაც თბილი
ამინდი იყო (როგორც ახლა) და ქურთუკი აღკაბმულობის შესა-
ნახ საწყობში ჯონის საკუთარ ლურსმანზე ეკიდა. ჰოდა, ასე იყო
იმ პისტოლეტის ამბავი, როცა ბუნი, ვისაც იმიტომ უხდიდნენ
ფულს, რომ პირობა ჰქონდა დადებული, ამ დროს შინ ლოგინში
იქნებოდა და არ მოჰყვებოდა ხეტიალს მოედანზე, სადაც შეიძ-
ლებოდა გადაჰყროდა იმას, რასაც გადაეყარა კიდევაც, რის გა-
მომც ამ ერთი წუთის წინ საჯინიბოში შემოვარდა, კანტორაში შე-
მოხტა და ორივენი - მამაჩემიც და ჯონ პაუელიც - მატყუარების
მდგომარეობაში ჩააყენა.

მაგრამ მამამ ამჯერადაც დაავიანა. ბუნმა ისიც გააცურა და
ჩვენ ყველანიც, რადგან ბუნმაც იცოდა აღკაბმულობის საწყობში
იმ ლურსმნის ამბავი. ჰოდა, დიდი ჭკუა იხმარა და დერეფანს არ
გაუყვა, კანტორას აღარ ჩაუარა; ეზოში რომ გავცვივდით, დავი-

ნახეთ, ჯონი, ლასტერი და გეიბი (ასევე, სამი ჯორი და ერთი ცხენიც) როგორ უმზერდნენ მოქანავე ჭიშკარს, რომელშიც ეს წუთია, პისტოლეტმომარჯვებული ბუნი გამსხლტარიყო. ჯონი და მამა ათიოდე წამს შესცქეროდნენ ერთმანეთს და სწორედ ეს დრო აღმოჩნდა საკმარისი, რათა მთელი მათი ენტენდრე-დენობლესს² სრულად გაცამტვერებულიყო. თუმცა, ნობლესსე და ასევე, ობლიგე (კეთილშობილება და ვალდებულება ანუ - კეთილშობილება ავალდებულებს) კიდევ

დარჩენილიყო.

- ჩემი პისტოლეტია, - თქვა ჯონმა.

- დიახ, - მიუგო მამამ, - ლუდასი დაუნახავს მოედანზე.

- დავიჭერ და პისტოლეტს წავართმევ, ოღონდ კი მითხარით, - უთხრა ჯონმა.

- ვილაცამ ხომ უნდა დაიჭიროს ლუდასი, - თქვა გეიბმა. თუმცა ტანმორჩილი იყო, მაგრამ საოცრად ჯანიანი, ბუნზე უფრო ჯანიანი, დიდი ხნის წინ სამტედლოში დაშავებული ცალი ფეხი კარგა მაგრად მოღრეცოდა, მაგრამ შეეძლო, ხელი ეტაცა ფეხში ცხენისა თუ ჯორისთვის, იმ თავისი მოღუნული მუხლის ქვეშ მოექცია და (თუკი რამეს მოეჭიდებოდა, ბოძს ან სხვა რაღაცას) ის ცხენი თუ ჯორი ველარაფერს გახდებოდნენ, ვერც ფეხს გაითავისუფლებდნენ და ვერც იმას მოახერხებდნენ, მეორე ფეხით წიხლი ჩაკრათ. - ჰე, ლასტერ, გაიქეცი და დაიჭირე...

- ლუდასის დარდი ნუ გაქვს, - თქვა ჯონმა, - ლუდასს აღარაფერი უჭირს. ნანახი მყავს მე ბუნ ჰოგანბეკი, - არ თქვა, ბატონი ბუნიო, თუმცა იცოდა, მამას არ გამოეპარებოდა ეს ამბავი, თეთრი კაცის თანდასწრებით არც არასდროს უქნია ასე, რადგანაც ჯონი ჯენტლმენი გახლდათ, მაგრამ მამასაც ესმოდა იმ ნობლესსე-ს მნიშვნელობა, ისიც იცოდა, პისტოლეტის ამბის დავიწყება ასე

² ღირსეული ურთიერთგაგება (დამახინჯ. ფრანგ.)

ადვილად არ შეიძლებოდა, - ვიცი, რა მსროლელიცაა. ოღონდ კი მითხარით, ბატონო მორი.

- არა, - მიუგო მამამ, - კანტორაში გაიქეცი და ბატონ ჰემპტონს დაურეკე (დიახ, მაშინაც ერთ-ერთი ჰემპტონთაგანი იყო შერიფად) და ჩემგან გადაეცი, რაც შეიძლება მალე დაიჭიროს ბატონი ბუნი. - მამამ ჭიშკარს მიაშურა.

ჰოდა, სამივემ მოედნისკენ გავსწიეთ, მე მივთოხარიკობდი, არ მინდოდა ჩამოვრჩენილიყავი, სულაც არ მსურდა, ბუნს დაეწეოდი, მაგრამ ერთი სული მქონდა ჩავჩხეროდი ბუნს, იმ პისტოლეტსა და ჯონ პაუელს შუა. რადგანაც თავად ჯონს ჰქონდა ნათქვამი, ლუდასის დარდი ნუ გაქვთო, ყველამ ვიცოდით, ბუნი მიზანში ვერ მოახვედრებდა, და თუ ბუნი ლუდასს ესროდა, ლუდასს მაინც არაფერი დაუშავდებოდა. ის (ლუდასი) ერთ-ერთი ჩვენი მეეტლე იყო გასული სამშაბათის დილაამდე. რაც მოხდა, გავიგეთ ბუნის, ბ-ნ ბელოტისა და ჯონ პაუელის მეშვეობით, თავად ლუდასმა ბევრი ვერაფერი გვიამბო. ამ ერთი თუ ორი კვირის წინ ლუდასმა ახალი სატრფო გაიჩინა, ასული (თუ ცოლი, ბუსტად არ ვიცი) ქალაქკარეთ მცხოვრები ერთი არენდატორისა. ორშაბათ საღამოს ბუნი რომ მოვიდა, ყველა ეტლი და ფურგონი დაბრუნებული იყო, გარდა ლუდასისა. ბ-მა ბელოტმა უთხრა ბუნს, ლუდასი რომ მოვა, დამირეკეო, და შინ წავიდა. ასეთი ჩვენება მისცა ბ-მა ბელოტმა. ბუნმა კი თქვა, რაც ნაწილობრივ ჯონ პაუელმაც დაუდასტურა (ამ დროს მამა უკვე სახლში იყო წასული): წინა ჭიშკრით გავიდა თუ არა ბ-ნი ბელოტი, უკანათი მაშინვე შემოვიდაო ლუდასი ფეხით. ლუდასმა უთხრა ბუნს, ერთ ბორბალს საბურავი დაეშვა, ამიტომ ჩვენს სახლთან შეჩერდა; მამას დაუნახავს და უთქვამს, ფურგონი საძოვართან ახლოს მდებარე ტბორში ჩაიყვანე და საბურავი ისევ მაგრად შემოეკვრება ფერსოს, ჯორები კი გამოსხენი, ჩვენსას შემოიყვანე, აჭამე და დილას წაიყვანეო. რა თქმა უნდა, ბუნმა დაუჯერა, ჯონ პაუელმა, ცხადია - არა, რადგა-

ნაც, ვინც კი იცის ჩვენი სამუშაოს ამბავი, მამა ფურგონს კი და-
ატოვებინებდა სადღაც ღამით, მაგრამ ჯორებს გამოახსენებინებ-
და, საჯინბოში მოაყვანინებდა და ბაგაში დააბმევინებდა, სადაც
გაწმენდდნენ და აჭმევდნენ კიდევაც. მაგრამ ბუნმა თქვა, რაკილა
ასე მითხრა, ამიტომ, რალა საჭირო იყო ბ-ნ ბელოტის შეწუხება
ვანშმოების ხანს, რატომ უნდა მეთქვა მისთვის ის, რაც მამამ უკვე
იცოდა, ანუ - სად იყო ჯორები და ფურგონი, რომლებიც მამის სა-
კუთრება იყო და არა ბ-ნ ბელოტისა.

ჯონ ჰაუელი კი ასე მოუყვა, თუმცაღა უხალისოდ. მართალი
თუ გნებავთ, სიტყვასაც არ დაძრავდა, ბუნს რომ მისი (ჯონის) დუ-
მილისა და სიმართლის გაუმჟღავნებლობისთვის დიდი ზნეობ-
რივი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა, უფრო დიდი, ვიდრე მისი
ლოიალობა იყო საკუთარი რასისადმი. ჰოდა, როცა დაინახა ლუ-
დასი, ჯორების გარეშე რომ შემოდოდა უკანა კარით საჯინბო-
ში, სწორედ იმწუთას კი ბ-ნი ბელოტი წინა კარიდან გადიოდა და
უფროსად იქ ბუნი რჩებოდა, ჯონს აღარც დაუგდია ყური, რას წა-
მოროშავდა ლუდასი, უკანვე დაბრუნდა, დერეფანი გაიარა, ეზო-
ში გავიდა, ჩიხის ბოლოს მიაშურა. ფურგონის გვერდით დადგა
თუ არა, ლუდასი მოვიდა. ფურგონში ერთი ტომარა ფქვილი, ერ-
თგალონიანი ბოცა ნავთი და (ჯონის თქმით) ერთი ტოპრაკი ხუთ-
ცენტისანი პიტნის საწუწნი კანფეტები ეწყო. დაახლოებით ასე იყო
ეს ამბავი, დაახლოებით იმიტომ, რომ ვერავინ ვერ შეედავებოდა
- ვერც ბუნი, ვერც ბ-ნი ბელოტი და ვერც მამა, რადგანაც ჯონის
სიტყვა კანონი იყო ამ საჯინბოში, რომელიმე ცხენისა თუ ჯორის
თაობაზე, თუმცა სადმე სხვაგან ჩვეულებრივი დაქირავებული მუ-
შა გახლდათ მორი პრისტის საჯინბოსი, რაც მან და ლუდასმა
კარგად იცოდნენ. შეიძლება, სულაც ლუდასს შეეხსენებინა ჯო-
ნისთვის ეს ამბავი, მაგრამ - არა მგონია, რადგან ლუდასს მხო-
ლოდ ამის თქმაღა ევალეობდა: „თუკი მორი პრისტი შეიტყობს,
რომ ფურგონი და აღკაზმულობა ვითხოვე, შეიძლება, იმასაც

მოჰკრას ყური, რა გაქვს ჩაკერებული, რა დაგაქვს მაგ ქურთუკის ქვეშ“.

თუმცა, არა მგონია, ასე ეთქვას, რადგან მან და ჯონმა ისევე იცოდნენ ეს, როგორც ის ამბავი, რომ თუკი ლუდასი ვარაუდობდა, ჯონი მამას შეატყობინებდა იმას, რასაც ლუდასი ეძახდა „ნათხოვარ“ ფურგონსა და აღჭურვილობას, მამა ამას ყურს არც კი დაუგდებდა, და თუკი ჯონი იფიქრებდა, რომ ლუდასი (ან სხვა რომელიმე ზანგი საჯინიბოში და გინდაც ჯეფერსონში) ეტყოდა მამას იმ პისტოლეტის შესახებ, მამა არც ამას დაუგდებდა ყურს. ჰოდა, ლუდასს სულაც არაფერი ექნებოდა ნათქვამი, ჯონს კი მხოლოდ ეს უთქვამს: „კარგი. მაგრამ იცოდე, ყველა ის ჯორი უკან, საჯინიბოში უნდა დააბრუნო, არც ოფლის ნატამალი უნდა დაეტყოთ და არც მათრახის ნაკვალევი, ისე უნდა იყვნენ, როგორც ახალგამოდვიძებულნი ბაგაში, და ყველაფერი დილაძე, ბ-ნ ბელოტის მოსვლამდე უნდა მოაგვარო“ (შენ ალბათ უკვე შეამჩნიე, რომ არც ერთს არ უხსენებია ბუნი და არც ლუდასს უთქვამს: „ბ-მა ბუნმა იცის, ის ჯორები რომ არ იქნებიან აქ, ამაღამ კი უფროსი ისაა, სანამ დილით ბ-ნი ბელოტი მოვიდოდეს“. არც ჯონს უთქვამს ასე: „შენს ნაამბობს ვინც დაიჯერებს ამ ჯორების შესახებ, ამაღამ აქ რომ უნდა იყვნენ და არ არიან, რა ჭკუა უნდა მოეკითხოს, და ბუნ ჰოგანბეკსაც თავი დაანებე, იცოდე, თორემ ბ-ნი მორი იმასაც გაიგებს, აღკაზმულობა და ფურგონი წუხელ აქ რომ არ იყო, და იმასაც, სად იყო“.

მაგრამ ჯონს ასე არ უთქვამს. და თუმცა ჯორები ბაგაში უკვე გათენებამდე ერთი საათით ადრეიდგნენ, ბ-მა ბელოტმა დილის ექვს საათზე საჯინიბოში მოსვლიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ ლუდასს დაუძახა და განუცხადა, დათხოვნილი ხარო. ლუდასმა თქვა, ბ-მა ბუნმა იცოდა, რომ ჩემი ფურგონი აქ არ იყო, თავად გამგზავნა ერთი დოქი ვისკის საყიდლად, დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ მოვუტანეო.

- არსადაც არ გამიგზავნია, - მიუგო ბუნმა, - როდესაც წუხელ მოეთრა და დაიწყო როშვა, ჯორები ბატონი მორის ეზოშიაო, ყური არც დამიგდია, ისიც არ მიკითხავს, სად ჰყავდა ფურგონი და ჯორები წუხელ. ესლა ვუთხარი, დილით აქ ვიქნები და უკან რომ დაბრუნდები, მაიკ უინბუშისას გამოიარე და ბიძია კელ ბუკრაიტის გამოხდილი ერთი გალონი ვისკი წამომიღე-მეთქი. ფულიც მივეცი - ორი დოლარი.

- მერე, ხომ მოგიტანე ვისკი, - უთხრა ლუდასმა, - არც კი ვიცი, რა უყავი.

- ნახევარი დოქი წუმპე მომიტანე, წყალში გახსნილი ნაცარი და პილპილი, - თქვა ბუნმა, - მე არ ვიცი, რას იტყვის ბატონი მორი, სად გყავდა ჯორები მთელი ღამე, მაგრამ კელვინ ბუკრაიტი კი კარგ დღეს არ დაგაყრის, როდესაც ამ შენს მოტანილ ვისკის გავასინჯებ და ვეტყვი, შენი გამოხდილია, ასე ამბობს-მეთქი.

- ბ-ნ უინბუშამდე ბარე რვა მილი იქნება ქალაქიდან, - მიუგო ლუდასმა, - შუაღამით თუ მივიდოდი იქ... - და მყის გაისუსა.

- აი, თურმე რად გინდოდა ფურგონი, - უთხრა ბუნმა, - ჯეფერსონში ველარ დათარეშობ და ახლა ქალაქგარეთ დაძრწიხარ, იქნებ უკანა ფანჯრიდან შესაძრომი ნახო სადმე. თუმცა ახლა კი გექნება ბევრი დრო. ესაა, ცოტა შეწუხდები, რადგან ფეხით ძუნძული მოგიწევს...

- შენ მითხარი, ერთი დოქი ვისკიო, - პირქუშად მიუგო ლუდასმა, - ჰოდა, მეც მოგიტანე ერთი დოქი...

- ნახევარიც კი არ იყო იმაში, - უთხრა ბუნმა. მერე კი ბ-ნ ბელოტს მიუბრუნდა: - ერთი კვირის ხელფასსაც არ მივცემდი ამ უდღეურს (არ დაგავიწყდეს, მედროგეთა ხელფასი სულ ორი დოლარი იყო 1905 წელს), სწორედ ამდენი მართებს ჩემი იმას იმ ვისკიში. რაღას უცდი? ბატონ მორის ხომ არაა, თავად რომ გააპანდუროს?

ბ-ნ ბელოტსა და მამასაც ნამდვილად რომ ნდომებოდათ ლუ-
დასის გაძევება, ერთი კვირის ხელფასს როგორ არ მისცემდნენ?!
ჰოდა, რაკი არაფერი მიუციათ (ლუდასმაც იცოდა ეს), ერთი კვი-
რის ხელფასი დაუკავეს მხოლოდ (კვირადღის ჩათვლით), რაკი
უნებართვოდ სადღაც ჰყავდა ჯორები

მთელი ღამე წაყვანილი; ჰოდა, ლუდასიც სხვა მედროგეებ-
თან ერთად, მომდევნო ორშაბათს მოვიდოდა და ჯონ ჰაუელსაც
მზად ეყოლებოდა მისი ჯორები, ვითომ არც არაფერი მომხდარა,
მაგრამ ბედი არ გინდა, წავიდა ჭორები, მითქმა-მოთქმა, ხალხს
პირს ვინ აუკრავს?!

ჰოდა, მამა, ლასტერი და მე მოსახვევით მოედნისკენ გავიქე-
ციტ. მეც თავქუდმოგლეჯილი მივრბოდი. და მაინც დავაგვიანეთ.
მოსახვევი არც გვექონდა გავლილი, რომ სროლის ხმა გავიგო-
ნეთ, ხუთჯერ დასჭექა - ბახ! ბახ! ბახ! ბახ! ბახ! ასე იყო მგონი, და
როცა გავცვივდით მოედანზე (სულ ახლოს იყო, სწორედ ბიძია
აიკ მაკვასლინის რკინა-კავეულის დუქნის პირდაპირ) ვხედავთ,
აუარება ხალხია, თითქოს ბუნს ბევრი მოწმე სჭირდებოდა. ყოვე-
ლი თვის პირველი შაბათი სავაჭრო დღე იყო, მაისიც რომ ყოფი-
ლიყო, როდესაც თავის მოსაფხანადაც არავის სცალია, თუმცა
იოკნაპატოფას ოლქზე ამას ვერ იტყვოდი. ყველანი აქ შეყრილიყ-
ვნენ, შავებიცა და თეთრებიც. ერთნი გარს შემოხვეოდნენ ბ-ნ
ჰემპტონს (ბაბუას პატარა ჰუბისა, ვინც ახლათა შერიფი თუ შემ-
დგომ წელიწადსაც უნდა იყოს) და კიდევ ვიღაც ორ თუ სამ ბუზიყ-
ლაპიას, რომლებიც ბუნს შესჭიდებოდნენ, სხვანი კი შერიფის
თანაშემწეს ეხმარებოდნენ, ოცდახუთი ფუტის იქით ლუდასს
რომ აკავებდა, თითქოს გაქცეულები უცებ ერთ ადგილზე გაშეშე-
ბულიყვნენ, ანუ ფეხაწეულები გარინდებულიყვნენ თუ არ ვიცი,
როგორ უნდა ვთქვა. სხვანი კიდევ, შეჯგუფულიყვნენ ბიძია აიკის
დუქნის სარკმელთან, ბუნის ერთ ტყვიას რომ ჩაელეწა (დანარ-
ჩენი ოთხის ნაკვალევი ვერსად ნახეს), ოღონდ - მერე, მანამდე

კი ზანგის გოგოსთვის დუნდულო გაეკაწრა და ისიც ქვაფენილზე გაგორებული ყვიროდა, სანამ ბიძია აიკი გამოვარდებოდა დუქნიდან ღრიალ-ღრიალით, ბუნზე გააფთრებული, სარკმლის გულისთვის კი არა (ბიძია აიკი მაშინ ჯეელი იყო, ტყის საუკეთესო მცოდნე და მონადირე ამ ოლქში), არამედ - ოცდახუთ ფუტზე მიზანს როგორ ააცილო?!

ამ ამბის გაგრძელებას არ დაუხანებია. ექიმ პიბოდის კაბინეტი ქუჩის იქით იყო, კრისტიანის აფთიაქის თავზე. ყველაზე წინ კიბეზე ბ-ნი ჰემპტონი ავიდა, ჯონ პაუელის პისტოლეტით ხელში, ლასტერსა და ვილაც ზანგს გოგო მოჰყავდათ, დასაკლავი გოჭვივით რომ ჭყიოდა, ბუნი მამაჩემს მისდევდა, მერე მე მოვდიოდი, შერიფის თანაშემწე ლუდასთან ერთად, ჩვენ უკან კი უამრავი ადამიანი მოდიოდა, ვიდრე ბ-ნი ჰემპტონი შეაჩერებდა და დაუღრიალებდა. მოსამართლე სტივენსის კანტორა იმავე სართულზე იყო, ოღონდ ექიმ პიბოდის სახლის მეორე მხარეს. ჩვენ რომ ავდიოდით, მოსამართლე კიბის თავზე გამოსულიყო და ჩამოგვეყურებდა. ჰოდა, ჩვენ - მამა, მე, ბუნი, ლუდასი და შერიფის თანაშემწე მასთან შევედით, ვიდრე ბ-ნი ჰემპტონი ექიმ პიბოდის კაბინეტიდან გამოვიდოდა. მას არ დაუგვიანია.

- ყველაფერი კარგადაა, - თქვა ბ-მა ჰემპტონმა, - მხოლოდ გაკაწრულია. ბუნი ახლა კაბას უყიდის (კაბის ქვეშ თურმე არაფერი სცმია) და კანფეტებს, მამამისს ათ დოლარს მისცემს, მეტი ხარჯი აღარც დასჭირდება. ჩემთან კი როგორ მოაგვარებს საქმეს, ჯერ ვერ გადამიწყვეტია, - და აქოშინებული, წამით შეაჩერდა ბუნს. ტანვეება კაცი იყო, პაწაწინა ნაცრისფერთვალებიანი, თუმცა ბუნი მაინც სჯაბნიდა სიმაღლეში. რას იტყვიო? - ჩაეკითხა იგი ბუნს.

- შეურაცხყოფა მომაცენა, - მიუგო ბუნმა, - ასე უთხრა სონ ტომასს ჩემზე, ეს ვირიშვილი ნაბიჭვარიო.

ბ-მა ჰემპტონმა ახლა ლუდასს შეხედა, შენ რას იტყვიო?

- ვირიშვილი არ მითქვამს, - მიუგო ლუდასმა, - მე ვთქვი, ჯორიშვილი-მეთქი.

- რაო? - მიაძახა ბუნმა.

- კიდევ უარესი, - თქვა მოსამართლე სტივენსმა.

- დიახაც, უფრო უარესი, - შეჰყვირა ბუნმა, - ხომ გესმით! ჰოდა, რა უნდა მექნა მე, თეთრკანიან კაცს? უნდა ვმდგარიყავი იქ და ამ შავდრუნჩა ჯორიშვილისგან ასეთები და ისეთები მომესმინა, ხუთი კაცის თვალწინ?! შე ჭკუასაპყარო, დამიძახა! ძალიანაც რომ მოინდომო, ამდენ შეურაცხყოფას როგორ ჩაყლაპავ, ამას არაფრით არ შევარჩენ, იცოდეთ. - თითქმის ტიროდა ბუნი, დიდი გონჯი წითელი სახე ბავშვივით დამანჭოდა. - კიდევ ერთხელ რომ ვიშოვო პისტოლეტი და ლუდასს ვესროლო, ისევ ავაცილებ, ვიცი.

მამა სწრაფად და ცქვიტად წამოდგა. მხოლოდ ის ერთი იჯდა, მოსამართლე სტივენსი კი ფეხმოუცვლელად იდგა ცივი ბუხრის წინ, ხელები სერთუკის კალთების ქვეშ ამოედო, თითქოს ზამთარი იყო და ცეცხლი ენთო ბუხარში.

- სამუშაოს არ უნდა მოსცდნენ, - თქვა მამამ, - რა ჩემი ბრალია, თუ ვიღაცას ხელები ექავება?! - მერე ისე დასძინა, არავისთვის მიუმართავს: - მინდა, რომ ორივე, ბუნიცა და ეს ჯეელიც თავდებით გამოუშვან იმ პირობით, რომ წყნარად იქნებიან, ასი დოლარი საკმარისი იქნება თითოეულისთვის. მე დავდებ ამ თანხას. ოღონდ ორივემ უნდა მოგვცეს პირობა, მაშინვე დამიბრუნონ ეს ფული, თუკი ერთ-ერთი ისეთ რამეს დააშავებს, მე რომ...

- არ მოგეწონებათ, - თქვა მოსამართლე სტივენსმა.

- დიდად დავალებული ვარ თქვენგან, - მიუგო მამამ, - როგორც კი რომელიმე მათგანი დაარღვევს მშვიდობას, თუმცა არ ვიცი, არის კი რამე კანონი ამის შესახებ.

- მეც არ ვიცი, - უთხრა მოსამართლე სტივენსმა, - ვნახოთ, და თუკი ასეთი კანონი არ არის, უნდა შეიქმნას.

- დიდად დავალებული ვარ თქვენგან, - თქვა მამამ. ჩვენ - მამამ, ბუნმა და მე კარისკენ გავსწიეთ.

- შემიძლია, სამუშაოზე ახლავე დავბრუნდე, ორშაბათს აღარ დავუცდი, - განაცხადა ლუდასმა, - თუკი გჭირდებით.

- არა, - უთხრა მამამ.

მამა, მე და ბუნი კიბეს ჩამოვეყვით და ქუჩაში გამოვედით. ჯერ კიდევ პირველი შაბათი იყო და როგორც ყოველთვის - ჩვეულებრივი სავაჭრო დღე, სანამ სხვა რომელიმე ბუნ ჰოგანბეკი იშოვიდა და სხვა პისტოლეტს. ქუჩა გამოვიარეთ, ისევ საჯინბოსკენ წავედით. სწორედ მაშინ წარმოთქვა ბუნმა ჩემს თავს ზემოდან, მამის კეფის შემყურემ, ეს სიტყვები:

- თუკი კვირაში დოლარს ვიანგარიშებთ, ორასი დოლარი გამოდის წელიწადსა და ორმოცდარვა კვირაში. კიდევ, აიკის სარკმელი - ეს ათი-თხუთმეტი დოლარი. ის გოგოც არ უნდა დაგვაფიწყდეს. გამოდის ორი წელი და სამი თვე. სულ ორმოც დოლარამდე მექნება. ეს ფული ვალის ანგარიშში რომც მოგცეთ, არა მგონია, დათანახმდეთ, მე, ლუდასი და სონ ტომასი ცარიელ ბაგაში ათიოდე წუთით დაგვამწყვდიოთ, ხომ ასეა?

- ასეა, - დაეთანხმა მამა.

ეს მოხდა შაბათს. ორშაბათ დილით ლუდასი ისევ გამოვიდა სამუშაოდ. შემდეგ პარასკევს კი ჩემი მეორე ბაბუა, დედაჩემის მამა - შენი დიდი პაპა - გარდაიცვალა ბეი-სენტ-ლუისში.

მართალი თუ გნებავთ, ბუნი არც გვეკუთვნოდა ჩვენ. მხოლოდ ჩვენ, პრისტებს-მეთქი, უფრო სწორად, მაკკასლინებსა და ედმონდებს-მეთქი, რომელთა უმცროსი განშტოება ჩვენ, პრისტები ვართ. სამთა საკუთრება გახლდათ ბუნი: არა მარტო ჩვენი - ბაბუას, მამის და კიდევ, ჩვენი ბიძაშვილის, აიკ მაკკასლინისა, და კიდევ ერთი ბიძაშვილის, ზაქარია ედმონდის სახით, რომლის მამას, მაკკასლინ ედმონდს, ბიძია აიკმა დაბადების დღეს (21 წელი შეუსრულდა მაშინ) მაკკასლინების პლანტაცია დაუთმო; ბუნი ეკუთვნოდა აგრეთვე, მაიორ დე სპეინს და გენერალ კომპსონსაც, სანამ იგი ცოცხალი იყო. ბუნი კორპორაციას წარმოადგენდა, ჰოლდინგურ კომპანიას, ხოლო ჩვენ სამნი - მაკკასლინები, დე სპეინი და გენერალი კომპსონი - თანაბრად ვზიდავდით ჩვენ-ჩვენს წილ გაურკვეველ პასუხისმგებლობას. ამ კორპორაციის წესდების პირველი და უკანასკნელი მუხლების შესაბამისად, ყველას, ვინც კი ადგილზე აღმოჩნდებოდა გასაჭირის ჟამს, იმწუთასვე უნდა ეყოჩაღა და მოეგვარებინა ის საქმე, ბუნის გამოისობით, მისი მონაწილეობითა თუ მისი იქ ყოფნით რომ იყო გაფუჭებული. ის (ბუნი) იყო სამეურვეო და საქველმოქმედო საზოგადოება, სადაც ყველა სარგებელი მას რჩებოდა, ხოლო სამეურვეო და საქველმოქმედო საქმიანობა ჩვენს ზურგზე გადადიოდა.

მისი ბებია ჩიკასოს ტომიდან იყო და ისეტიბეჰას დროს ცოლად გაჰყოლია ვისკის თეთრკანიან ვაჭარს. იმისდა კვალად, თუ რამდენი ჭიქა ჰქონდა მირთმეული, ბუნი გაიძახოდა, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით ჩიკასოელი ვარ, მეფეთა ჩამომავალი,

ბებერი ისეტიბეჭას მხრიდანო, ხან კი ცოფდებოდა, თუკი ვინმე გაბედავდა და ეტყოდა, შენს ძარღვებში ერთი სისხლი მაინც ჩქეფს ინდიელისო.

ჯიუტი იყო, ამავე დროს - ერთგული, მამაცი და - ყოვლად არასანდო; ექვსი ფუტისა და ოთხი დუიმის სიმაღლისა ორას ორმოც ფუნტს იწონიდა, ჭკუა კი ბავშვის ჰქონდა. ამ ერთი წლის წინ მამა უკვე ამბობდა, ცოტაც და, შენ მასზე უფრო მოწიფული გახდებიო.

კაცმა რომ თქვას, თუმცა კი ბიოლოგიურად ნორმალური, სისხლითა და ხორციით სავსე არსება იყო (თუნდაც ის, რომ, როცა ნაყლაპში გახლდათ, ხელები ექავებოდა, სცემოდა არა ერთსა და ორს იმ თავისი წარმომავლობის გამო ან თანხმობის თუ საპირისპიროს თქმისას, იმისდა მიხედვით, თუ რა ფეხზე ამდგარს მიერთმია სასმელი) და, მაშასადამე, სადღაც უნდა არსებულიყო პირველი ცხრა, ათი თუ თერთმეტი წელი, მაგრამ ისე კი ჩანდა, თითქოს ბუნი სწორედ ასეთი - უკვე ცხრა, ათი ან თერთმეტი წლისა იშვა სამი მშობლისგან (მაკვასლინები-დე სპეინი-კომპსონი) იმ მიზნით, რათა გადაჭრილიყო პრობლემა, რომელიც ოდესღაც, მაიორ დე სპეინის სამონადირეო ბანაკში გაჩნდა.

დიახ, სწორედ ამ ბანაკში, რომელსაც შეიძლება, თქვენ მაკვასლინთა ბანაკი დაუძახოთ ბიძია აიკის სიკვდილის რამდენიმე წლის შემდეგაც, ხოლო ჩვენ - თქვენი მამები - დე სპეინის ბანაკს ვეძახდით მაიორ დე სპეინის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდგომაც. მაგრამ ჩვენი მამების დროს, როდესაც მაიორმა დე სპეინმა იყიდა, ხელში ჩაიგდო თუ იჯარით აიღო ის მიწა (ან, როგორც იმხანად, 1865-1870 წლებში ახერხებდნენ მისისიპის შტატში მამულის შეძენას), ააგო სახლი, საჯინიბო თუ გომური და ბანაკი მოაწყო, მაშინ მისი საკუთრება რომ იყო, სადაც თავად მოუხმობდა იმათ, ვინც გულზე ეხატებოდა და თავადვე ურჩევდა, რაზე ენადირათ; ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ არა მარტო მათ ეხატრონებოდა, ვინც სანადიროდ ჰყავდა მიწვეული,

მისი იყო ის არე-მიდამოცა და ის დათვები, ირმები, მგლები თუ ჯიქები, რომლებსაც ჯეფერსონთან სულ ახლოს, ოციოდე მილზე წააწყდებოდით. ეს უსიერი ტყე მდინარის განტოტებას კარგა შორს მიჰყვებოდა და კარგა დიდი ნაწილი იყო ბებერი ტომას სატპენის საოცნებო მეფური მიწა-წყლისა, ასე რომ შეიმუსრა და, უფრო მეტიც, თავად სატპენსაც მოუღო ბოლო. იმ დროს ეს ადგილი დასავლეთის ერთგვარი კარიბჭე იყო, სწორედ აქედან, დაბებიდან და მისისიპის გაყოლებული პლანტაციებიდან იწყებოდა თითქმის ხელუხლებელი ტევრები და ჭაობები.

მხოლოდ ოცი მილი იყო იქამდე სავალი იმხანად. ჩვენი მამა-პაპანი ჯეფერსონიდან უთენია გადიოდნენ საზიდრებითა და ფურგონებით, ასე, თხუთმეტ ნოემბერს (ცხენზე ამხედრებული უფრო სწრაფადაც მიაღწევდა), გათენებისას კი უკვე ირმებსა და დათვებზე სანადირო ადგილებში იყვნენ. ეს უდაბური ადგილები 1905 წლისთვის მხოლოდ ოცი მილით შემცირდა; ჯერ კიდევ დაღამებამდე გაუდგებოდნენ ხოლმე გზას ფურგონები, რომლებითაც თოფები, სასმელ-საჭმელი, ქვეშაგები მიჰქონდათ; ჩრდილოეთის სატყეო კომპანიას ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაეყვანა მორების გამოსაზიდად, ეს ხაზი მთავარ გზას უერთდებოდა და სულ ახლოს, ერთ მილზე ჩაუვლიდა მაიორ დე სპეინის ბანაკს. მაიორ დე სპეინის ბრძანებით, მემანქანე აქ აჩერებდა ორთქლმავალს, სწორედ აქ წამოეწეოდა მათი ჯერ კიდევ წინააღმდეგ წამოსული ფურგონები. თუმცა, 1925 წელს უკვე ვიცოდით, რომ განწირული იყო ყველაფერი. მაიორი დე სპეინი და სხვანი მისი მარაქიდან, გარდა ბიძაშენ აიკისა და ბუნისა, უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ხოლო მათი მემკვიდრეები თავ-თავიანთ ავტომობილებს ცულების კაკუნსა და ხერხების ხრიალ-ღრჭიალში მიაქანებდნენ სწორედ იმ ადგილებში, სადაც ამ ერთი წლის წინ მხოლოდ კვალში ჩამდგარი ძაღლების ყეფას თუ გაიგონებდით (ჯეფერსონიდან დე სპეინისეულ ბანაკამდე უკვე კარგა დიდი გზა

იყო გაყვანილი). რადგანაც მანფრედ დე სპეინი ბანკირი გახლდათ და არა - მონადირე მამამისივით, მან გაყიდა გაწმენდილი მიწის ნაკვეთები, ტყეც და უკვე 1940 წელს (მაკკასლინის იყო ახლა ის ბანაკი) ისინი ანუ ჩვენ, დატვირთული პიკაპებით ორასი მილის იქით ვეძებდით ხელუხლებელ ადგილებს, სადაც კარვების გაშლა შეიძლებოდა; 1980 წლისთვის კი ავტომობილებითაც ვედარ მიატანთ იმ ხელუხლებელ ადგილებს, რადგან სწორედ ამ ავტომობილების გამო, აღარსად დარჩება ეს ადგილები ხელუხლებლად. თუმცა კი მათ, ანუ თქვენ-მეთქი, შეიძლება მიაგნოთ ხელუხლებელ ადგილებს მარსის ან მთვარის მეორე მხარეს და იქნებ კიდევ წაინადიროთ დათვებსა და ირმებზე.

მაგრამ იმხანად, როდესაც ბუნი ხორცშესხმული მოევლინა იმ ბანაკს უკვე ათი, თერთმეტი ან თორმეტი წლისა, მაიორი დე სპეინი, გენერალი კომპსონი, მაკკასლინ ედმონდსი, უოლტერ იუელი, ბებერი ბობ ლიგეიტი და კიდევ ნახევარი დუჟინი მონადირეებისა, მხოლოდ ოცი მილის იქით თუ წავიდოდნენ ქალაქიდან. თუმცაღა გენერალი კომპსონი, ჯერ კიდევ პოლკოვნიკის ჩინით წარმატებით რომ მეთაურობდა თავის რაზმს შაილოსთან ბრძოლაში, მერე, ასევე წარმატებით, ბრიგადის გენერლის ჩინით ხელმძღვანელობდა ჯონსტონის არმიას ატლანტისკენ უკან დახევის დროს, ტოპოგრაფიას მაინცდამაინც ვერ სწყალობდა, უკვე ბანაკიდან ათი წუთის გამოსულს თავგზა აერეოდა ხოლმე (ის ჯორი, რომელზეც ამხედრებული იყო, იმწუთას უკანვე დააბრუნებდა, ერთი კი ენიშნებინა, მაგრამ - ნურას უკაცრავად: პატოსანის სიტყვით გათავისუფლებული სამხრეთელი გენერალი, თანაც კომპსონი, ჯორის რჩევა-დარიგებას როგორ მიიღებდა?!). ასე რომ, დაბრუნდებოდა თუ არა ბოლო მონადირე დილანდელი ნადირობის შემდეგ, რიგრიგობით ბუკს დააყვირებდნენ, სანამ გენერალი კომპსონი გამოჩნდებოდა. მაგრამ ამაზე არავინ წუხდა, სანამ გენერალ კომპსონს ყურსაც არ დააკლდა. ერთ საღამოს

უოლტერ იუელსა და ზანგისა და ჩიკასოს ტომის ინდიელის სის-
ხლნარევ სემ ფატერს მის კვალში ჩადგომა და მასთან ერთად
ტყეში მთელი ღამის გათევაც მოუხდათ. მაიორ დე სპეინს არჩე-
ვანი უნდა გაეკეთებინა - ან მისთვის კარვიდან ფეხი არ გამოედ-
გმევინებინა, ან სულაც კლუბიდან დაეთხოვა, სანამ გამოჩნდა
ბუნ ჰოგანბეკი, რომელიც უკვე ისეთი გოლიათი გამხდარიყო,
ათი-თერთმეტი წლის ასაკში გენერალ კომპსონისთვის სიმად-
ლეში გაესწრო. ჰოდა, სწორედ მას დაავალეს გენერლის ძიძაო-
ბა - ამ უპატრონო ბაღს, რომელმაც, გარდა თავისი სახელისა,
სხვა არაფერი უწყოდა; ბიძია აიკმაც კი არ იცოდა, ზუსტად რო-
მელმა - მაკკასლინ ედმონდსმა თუ მაიორმა დე სპეინმა წამოიყ-
ვანა იქიდან ბუნი, სადაც ვიღაცას დაეტოვებინა. აიკმა მხოლოდ
ის იცოდა, რომ ბუნი თორმეტი წლისა იყო, როდესაც ბებერ კე-
როზერს მაკკასლინის მამულში გამოჩნდა, სადაც მაკკასლინ ედ-
მონდსი აიკს მამასავით თავს ევლებოდა და ეშხში შესულმა, ბუნ-
საც გაუწია მამობა, თუმცა თავად მაკკასლინ ედმონდსი მხო-
ლოდ ოცდაათი წლის გახლდათ.

ასე იყო თუ ისე, მაიორი დე სპეინი მიხვდა, რომ გენერალი
კომპსონი ან კლუბიდან უნდა დაეთხოვა, რაც გაუჭირდებოდა, ან
ბანაკიდან ფეხის გამოდგმა აეკრძალა, რაც შეუძლებელი იყო.
გენერალი კომპსონი ბუნ ჰოგანბეკის მსგავსი კაცისთვის უნდა
მიებარებინა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ბუნ ჰოგანბეკი, ვინც მაკ-
კასლინ ედმონდსს, თუ ედმონდსსა და დე სპეინს - ორივეს ერთად
მოეყვანა და ასე გადარჩნენ დავიდარაბას. აიკს ახსოვდა: ლეი-
ბებს, თოკებსა და სურსათს ტვირთავდნენ ფურგონებზე 14 ნოემ-
ბერს, აქ იყო ტენიეების ჯიმიც (ბაბუა ბობო ბიჩემპისა, რომელსაც
მერე შეხვდებით), სემ ფაზერსიც და ბუნიც (ის, აიკი, ჯერ კიდევ
ხუთი თუ ექვსი წლისა იყო, გაივლის კიდევ ოთხი თუ ხუთი წელი
და ათისა რომ გახდება, იმასაც წაიყვანენ), წინ ცხენზე ამხედრე-
ბული მაკკასლინი მიდის სწორედ იმ ბანაკისკენ, სადაც ახლა ყო-

ველ დილას ბუნს გამოჰყავს გენერალი კომპსონი, თავად ჯორბე შემჯდარს, და შეიძლება, მის აღვირსაც ექაჩება, რადგან თორმეტი წლისაა უკვე და ტანით ბევრად უფრო დიდიც იმ ბერიკაცზე, რომელიც როგორმე დაღამებამდე უნდა დააბრუნოს ბანაკში.

ასე მიაჩვია გენერალმა ბუნი ტყეს, ასე ვთქვათ, თავისდა უნებურად და თავდაცვის მიზნით. თუმცა უოლტერ იუელთან ერთად ჭამდა, სვამდა და ტყეში დაეხეტებოდა, იძინებდა იქ, სადაც ორივეს ერთად წვიმა დასდიოდათ თავზე, მაინც ვერა და ვერ ისწავლა მიზანში სროლა. ბანაკში ძალიან მოსწონდათ უოლტერ იუელის მონათხრობი, როგორ უჩვენა მან ბუნს, სად უნდა გაჩერებულიყო (გენერალი კომპსონი, როგორც იქნა, თავის მამა-პაპას მისწეოდა ანუ მისულიყო იმ სადგომს, სადაც აწ უკვე კარგა ხნის დამთავრებული ომის გადამღრძვალ ჯარისკაცებს, ლურჯებსა თუ რუხებს (სამოქალაქო ომის დროს კონფედერატებს რუხი ფერის ფორმა ეცვათ, ხოლო ჩრდილოელებს - ლურჯი) , ერთი სული ჰქონდათ, როდის მოხვდებოდნენ, რადგან სხვა საცხოვრისი აღარც მოეწონებათ; ჰოდა, ბუნსაც სხვებთან ერთად ნადირობის შესაძლებლობა მიეცა), როგორ გაიგონა ძაღლების ყეფა და მიხვდა, ირემი სწორედ ბუნის წინ უნდა გამოვარდნილიყო, მერე როგორ მოესმა გასროლის ხმა, ხუთჯერ როგორ დაიჭექა ბუნის თოფმა (გენერალ კომპსონს უანდერძებია ეს თოფი, რომელიც დიდი ვერაფერი იყო ჯერ კიდევ კომპსონის დროს; და რას ვიფიქრებდი, თქვა უოლტერმა, ორჯერ გედიბედ რომ დასცხებდა, მით უმეტეს - ხუთჯერო!), როგორ მოესმა ტყის მხრიდან ბუნის ღრიალიც: „ჯანდაბა! მიდის! მიდის! მიდის!“ როგორ მიიჭრა ის - უოლტერი - ბუნთან, დაინახა მიწაზე დაცვენილი ხუთი გასროლილი მასრა და იქვე, ათ ნაბიჯზე, იმ ირმის ნაკვალევი, რომელსაც ერთი ტყვიაც არ გაჰკარებოდა.

მერე ბაბუამ ეს მანქანა იყიდა და ბუნმა თავისი გულის სწორი ნახა. იმხანად ის უკვე მამასთან მუშაობდა საჯინიბოში მაკკას-

ლინ-ედმონდს-პრისტის თანხმობით. უკვე მაკკასლინ ედმონდსმაც აიღო მასზე ხელი, რადგან ბუნი მეორედ ჩარჩენილიყო მესამე კლასში ან შეიძლება, მაკკასლინი, როგორც იქნა, მიხვდა, ბუნი ვერ მოძებნიდა ისეთ ფერმას, სადაც იმდენ ხანს შეძლებდა დარჩენას, რომ ფერმერობა ესწავლა. საჯინბოში პირველ ხანებში იმას აკეთებდა, რასაც წააწყდებოდა, ატმევდა საქონელს, წმენდდა აღკაბმულობას, რეცხავდა ეტლებს, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, ცხენებსა და ჯორებში კარგად ერკვეოდა და მალე მედროგეობას მიჰყო ხელი, დაჰყავდა საზიდრები და ფურგონები, ხვდებოდა დღის მატარებლებს, ჯდებოდა ორთვალეებსა და ეტლებზეც და სავაჭრო სახლების წარმომადგენლები მთელი ოლქის დუქნებში დაჰყავდა. ახლა მას ქალაქში უხდებოდა ცხოვრება და როდესაც მაკკასლინი და ზაქარია, ორივენი, ღამე სახლში არ იყვნენ, მაშინ ბუნი მათსას იძინებდა, რათა ქალებსა და ბაღებს არ შეშინებოდათ. ერთი სიტყვით, ჯეფერსონში ცხოვრობდა ანუ იქ ჰქონდა ბინა - ერთი ოთახი იმ სასტუმროში, რომელსაც ბაბუაჩემის დროს კომერციულ ოტელს ეძახდნენ და იმ იმედით გაეხსნათ, როგორმე „ჰოლსტონ ჰაუზისთვის“ ეჯობნათ, რაც ვერა და ვერ მოახერხეს. თუმცა, არც ისე მოსცარვიათ ხელი: სასამართლოს სესიების დღეებში იქ რჩებოდნენ დასაძინებლად და საჭმელად მსაჯულები და ის ფერმერებიც, რომელთა საქმეც უნდა განეხილათ. ცხენ-ჯორების ვაჭრებიც იქ უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, ვიდრე ნოხებს, თითბრის საფურთხებლებს, ტყავის სავარძლებსა და ტილოს სუფრაგადაფარებულ მაგიდებს შორის ქალაქის მეორე მხარეს; მერე კი, უკვე ჩემს დროს, „სნოუჰისის სასტუმრო“ შეარქვეს, როგორც გვამცნობდა ხელით გამოყვანილი წარწერა, სწორედ იმხანად იყო, რომ ბ-მა ფლემ სნოუჰისმა (ბანკირმა, რომელიც ამ ათი თუ თორმეტი წლის წინ მოკლა მისმა შერევილმა ნათესავმა, ვისაც შეიძლება, ბოლომდე არც სჯეროდა, სწორედ ამ ჩემმა ბიძაშვილმა დააჭერიდა ჩემი თა-

ვიო, და მხოლოდ იმაზე ყოფილა გამწარებული, შრომა-გამასწორებელი ბანაკიდან ჩემი დახსნა არც კი უცდიაო) თავისი მოდემის გამოყვანა ფრანგისხევის მივარდნილი ადგილებიდან და ქალაქში მათი დასახლება დაიწყო; მერე კი, სულ ცოტა ხნით, 1934-1936 წლებში, ეს სასტუმრო ხელში ჩაუვარდა ვილაც ჟღალთმიან ქალბატონს, რომელიც მამაშენისა და პოლიციისთვის „ჩიკაგოელი პატარა გოგოს“ სახელით იყო ცნობილი. შენთვის კი ეს სახელი ანუ ის, რაც იმ ძველი დიდებისგან დარჩა, ქ-ნ რაუნსუელის პანსიონია. მაგრამ ბუნის დროს ის ჯერ კიდევ კომერციული ოტელი იყო და თუ ბუნს არ უხდებოდა კომპსონის, ედმონდის ან პრისტის სამზარეულოში იატაკზე დაძინება, მაშინ იქ მიდიოდა. სწორედ იმხანად იყიდა ბაბუამ ავტომობილი.

ბაბუას სულაც არ უნდოდა ავტომობილის ყიდვა, მაგრამ იძულებული იყო და რა ექნა? როგორც ბანკირს, პრეზიდენტს უძველესი ბანკისა ჯეფერსონში, იმთავითვე და სიკვდილამდეც სჯეროდა, რომ იოკნაპატოფას ოლქში ეს იყო პირველი ბანკი, თუმცა კი სხვა იოკნაპატოფელები უკვე კარგა ხანია მიხვდნენ, რომ ავტომობილი სულ მუდამ იარსებებდა, მოტორიანი ეტლი წარმავალი ფენომენია, ვითარცა ღამით გამომტყვრალი სოკო, რომელიც მზის პირველი სხივების გამოჩენისთანავე ქრება. მაგრამ პოლკოვნიკმა სარტორისმა, პრეზიდენტმა სულ ახლახან დაარსებული ყოველდღიურად მზარდი სავაჭრო და საფერმერო ბანკისა, აიძულა მისი ყიდვა. უფრო სწორად, ამის მიზეზი გახდა ერთი მექანიკოსი, რომელიც ასევე წარმავალი ფენომენი აღმოჩნდა, კაცი სიზმარეული, ცისფერთვალეა და ბეცი, კარგი ოსტატი, სახელად ბუფალო. რადგანაც ბაბუას მანქანა სულაც არ იყო ჯეფერსონში პირველი (აქ არ მინდა ვახსენო მანფრედ დე სპეინის წითელი სარბოლო ავტომობილი, თუმცა დე სპეინს უკვე რამდენიმე წელია, რაც ეყიდა და ყოველდღე დააქროლებდა ჯეფერსონში. დიდი ვერაფერი იყო, მისი პატრონივით ზნეკეთილ

მოქალაქეთათვის - ორივე გამოუსწორებელი მარტოსული, ორივე გამოუსადეგარი, როგორც გაუთავებელი შაბათი საღამო. თუმცა მანფრედი იმხანად ქალაქის მერი გახლდათ. ასე რომ, ის წითელი მანქანა არა მარტო აგდებით უყურებდა ქალაქს, - უბრალოდ, მისთვის ქალაქი არც არსებობდა).

ბაბუას მანქანა არ იყო პირველი, რომელიც ჯეფერსონში გამოჩნდა, და არც ის პირველი, ჯეფერსონში რომ დარჩა. ორი წლით ადრე ერთი უკვე ჩამოეყვანათ მემფისიდან, სამი დღეც არ დასჭირდა ოთხმოცი მილის გამოსავლელად. წვიმები დაიწყო და ორი კვირა მოუხდა ჯეფერსონში გაჩერება, თითქმის მთელი ეს ხანი უშუქოდ ვიყავით და არც საქალაქო ტრანსპორტი გვექნებოდა, მარტო ბუნზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული მისი მუშაობა. რადგან ბ-ნი ბუფალო ის ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც ჯეფერსონიდან მემფისამდე არეალში ორთქლის ელექტროსადგურის გამართვა იცოდა და იმ წუთიდანვე, როდესაც ცნობილი გახდა, ავტომობილი ხვალამდე მაინც ვერსად წავიდოდა, ბ-ნი ბუფალო და ბუნი გვერდიდან არ მოსცილებიან, ჩრდილებივით. ერთი დიდი და ერთი პატარა - ერთი გოლიათი, ამიაკისა და კუპრის სუნით აყროლებული აყლაყუდა და მეორე ტანმომცრო, ბეთითა და ჭვარტლით გაზინბლული კაცი, რომელსაც ისე მოუჩანდა თვალეები, როგორც ცისფერი ჩიტის ორი ფრთა, ნახშირის ნატეხში ჩარჭობილი, და რომელსაც ჯიბით დაჭქონდა მთელი თავისი (და მუნიციპალიტეტისაც) ხელსაწყოები, ას დოლარსაც რომ არავინ გაიღებდა მათში; ერთი გარინდებული, დაბმული ხარივით სევდით უმზერდა ავტომობილს, მეორე - სიზმარეული ქალივით ეფერებოდა ჭუჭყიანი ხელებით, მერე კი უეცრად წელამდე ჩაძვრებოდა ხოლმე აწეული კაპოტის ქვეშ.

მთელი ღამე გაუთავებლად წვიმდა, დილამდე არ გადაუღია. მანქანის პატრონს ვიღაცამ უთხრა და დაარწმუნა (როგორც ჩანს, ბ-მა ბუფალომ, რაც უცნაური იყო, რადგან არავის უნახავს

ეს კაცი ელექტროსადგურიდან თუ თავისი სახლის ეზოს უკან მოწყობილი პატარა სახელოსნოდან გამოსული) - გზა გაუვალი იქნება ერთი კვირა და შეიძლება, ათი დღეცო. ჰოდა, ის კაცი მემფისში მატარებლით დაბრუნდა, ხოლო ავტომობილი ეზოში მდებარე საწყობში დატოვა - ნაგებობაში, რომელიც გომურს უფრო ჰგავდა. ისიც საკვირველი იყო, როგორ მოახერხა ბ-მა ბუფალომ, ამ გულჩვილმა, დამყოლმა, თითქმის ენაბლუ კაცმა, რომლის გაპოხილ-გაზინზლულ სამოსს რაღაც არამიწიერი სომნამბულიზმის არილი გადასდიოდა, როგორ, რა ხერხითა და საშუალებით, რა ჰიპნოზური ძალით შეძლო, რისი არსებობის შესახებ თავადაც არაფერი უწყოდა, იმ სრულიად უცხო კაცის დარწმუნება, რომ ეს თავისი ძვირფასი სათამაშო ბ-ნი ბუფალოსთვის დაეტოვებინა.

ჰოდა, დაუტოვა და თავად მემფისს დაბრუნდა, ამიტომ ახლა, როდესაც ჯეფერსონში სინათლე გამოირთვებოდა, ვინმეს ფეხით, ან ცხენით, ან ველოსიპედით უნდა გაეველო მთელი ქალაქი, მის შემოგარენამდე ბ-ნ ბუფალოსთან მისულიყო და დაეძახა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდებოდა, გონებაარეული და ფიქრებში ჩაფლული, აუჩქარებლად შემოუვლიდა სახლის კუთხეს და იმ თავისი უკანა ეზოდან გამოვიდოდა. მხოლოდ მესამე დღეს გაიგო მამამ, სად იმყოფებოდა ბუნი იმ დროს, როდესაც წესით (და ასეც იყო), საჯინიბოში უნდა ყოფილიყო, მეტი არსად, რადგანაც სწორედ ამ დღეს სასოწარკვეთილმა ბუნმა ჰაიჰარად გათქვა თავისი საიდუმლო. თურმე ის და ბ-ნი ბუფალო ხელდახელ უნდა სცემოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბ-მა ბუფალომ, სრულიად მოულოდნელი და საკვირველი შესაძლებლობების მქონე კაცმა, გაპოხილი და გაჭვარტლული, თუმცა კარგად გამართული პისტოლეტი დაუძრო.

თავად ბუნი ამას ასე ჰყვებოდა: მან და ბ-მა ბუფალომ არა მარტო სრულ თანხმობას მიაღწიეს, იმწამსვე შეითქვენენ, როგორ

გაეძევებინათ მისი მფლობელი ქალაქიდან და ხელში ჩაეგდოთ ის ავტომობილი; ჰოდა, ბუნმა, რასაკვირველია, გაიფიქრა, რომ ბ-ნ ბუფალოს არ გაუჭირდებოდა მანქანის ტარების საიდუმლოს ჩახვედრა, ისინი ღამის სიბნელეში გასხლტებოდნენ და გვებზე ჯირითს მოჰყვებოდნენ. მაგრამ ბუნს თავბარი დაეცა და აღ-შფოთდა, როდესაც გაიგო, ბ-ნ ბუფალოს მხოლოდ ის აინტერესებდა, როგორმე ავტომობილის სირბილის საიდუმლო ამოეცნო.

- დაამტვრია! - იძახდა ბუნი. - შიგნით რა არისო, და ნაწილ-ნაწილ დაშალა! ველარასოდეს ველარც ააწყობს!

მაგრამ ბუფალომ ააწყო. ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა მისი მფლობელი, აამუშავა და გააქანა, ის კი იდგა და უმბერდა, ჩუმი, ბეთში მოთხუპნილი და სიზმარეული; ერთი წლის შემდეგ კი ბუფალომ საკუთარი ხელით გააკეთა მანქანა - ძრავა და გადაცემათა კოლოფი რეზინისბორბლიან ორთვალას ჩაუდგა; შუადღე იყო, როდესაც ეს აქოთებული მოწყობილობა ქალაქის მოედანზე გაატარა ნელ-ნელა. დაფეთდნენ პოლკოვნიკ სარტორისის წმინდა სისხლის რაშები, ადგილს მოსწყდნენ და გაჭენდნენ, ხათქახუთქით გაიტაცეს ეტლი და მილეწ-მოლეწეს კიდევაც, თუმცა, საბედნიეროდ - ცარიელი იყო. უკვე მეორე დღეს, საღამოს, მერიამ დაადგინა, რომ ქალაქში ყოველგვარი მექანიკურძრავიანი ტრანსპორტის მოძრაობა იკრძალებოდა. ჰოდა, როგორც პრეზიდენტი უძველესი ბანკისა, ჩემი ბაბუა იძულებული გახდა, ეყიდა ავტომობილი ან დამორჩილებოდა ბანკის უმცროსი პრეზიდენტის ბრძანებას. ხომ გესმის, რას გეუბნები? უმცროს-უფროსობაზე რომ ვლაპარაკობ, ქალაქის სოციალურ იერარქიას კი არ ვგულისხმობ, სულაც არა - ისინი ბანკირები, განსწავლული ქურუმები იყვნენ, წილნაყარნიდა ნაზიარებნი ყოველგვარ ფინანსურ საიდუმლოს, და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლე ბაბუა მტკიცედ უარყოფდა, ვერაფრით ვერ დაეჯერებინა ავტო-

მობილის ხანის დადგომა და იმთავითვე სულსა და გულს უშანთავდა ქვეყნის შემზარავი მომავლის წარმოდგენა, როცა ეკონომიკური აყვავების საფუძველი გახდება მასობრივად გამოშვებული, თუნუქისა და რეზინისგან დამზადებული ოთხბორბლიანი და ძრავიანი ხუხულა.

ჰოდა, ბაბუამ ავტომობილი იყიდა და ბუნის ცისფერ ოცნებასაც ფრთები შეესხა, მის უხეშ, უზაკველ გულში პირველმა სიყვარულმა ჩაიბუდა. „უინსტონ ფლაერის“ მარკისა იყო პირველი ავტომობილი, ჩვენ რომ შევიძინეთ, - უფრო სწორად, ბაბუამ, - რომელიც მერე „უაიტ სტიმერით“ შეცვალა, როდესაც ბებიამ ორი წლის შემდეგ საბოლოოდ განაცხადა, ვერ ვიტანო ბენზინის სუნს. წინიდან ხელით იქოქებოდა (თუკი ამ დროს მუხრუჭზე მისი დაყენება არ დაგავიწყდებოდა); შეიძლება, ერთი-ორჯერ ლავიწის ძვალის ბედ მიგემტვრიათ; ღამით სიარულისას წინ მიდგმულ ნავთის ლამპებს აანთებდით, წვიმის დროს ხუთი თუ ექვსი კაცის დახმარებით ტენტს გადააფარებდით და ათ-თხუთმეტ წუთში სარკმლებზე ფარდებს ჩამოშვებდით. ბაბუამ, თავის მხრივ, ერთი ნავთის ფარანიც დაუმატა, ახალი ცული, ჯალამბარი ეკლიანი მავთულითურთ, და ამ მოწყობილობის მქონეს ქალაქიდან გასვლა და თუნდაც მემფისს ჩასვლა შეგეძლო. სწორედ ამის შესახებ უნდა გიამბო, თანაც, ჩვენ ყველას - ბაბუებს, ბებიებს, მშობლებს, დეიდებს, დეიდაშვილებსა და ბავშვებს სპეციალური სამგზავრო ტანსაცმელი გვქონდა: თავსაკრავები, კეპიანი ქუდები, დიდრონი სათვალეები, ტყავის თათმანები და გრძელი, სადა, ნიკაპიდან ქუსლებამდე ჩამოშვებული, გაურკვეველი ფერის ლაბადები, სამტვერულები რომ ერქვა. მოგვიანებით ამაზეც მინდა გიამბო.

ბ-მა ბუფალომ უკვე კარგა ხანია შეასწავლა ბუნს თავისი თვითნაკეთი ავტომობილის ტარება. ჯეფერსონის ქუჩებში, რაღა თქმა უნდა, არ გამოსულან, ბ-ნ ბუფალოს წინა ეზოც არ გადმო-

უვლიათ, მაგრამ სახლის უკან რომ ტრიალი მინდორი იყო, ბ-მა ბუფალომ და ბუნმა გადატკეპნეს და გადაასწორეს (ასე თუ ისე), ავტოდრომად აქციეს. ჰოდა, ბუნი და ბ-ნი უორდეინი, ბაბუას ბანკის მოლარე (ბერბიჭა გახლდათ და დღენიადაგ კლუბში ატარებდა დროს, ცნობილი კაცი იყო ქალაქში, ათი წლის განმავლობაში ერთი ოცდაათჯერ მაინც მიუწვევიათ ხელისმომკიდედ), მატარებლით გაემგზავრნენ მემფისს და იქიდან ავტომობილით დაბრუნდნენ (ორ დღეზე ნაკლები დასჭირდათ - რეკორდი დაამყარეს). ბუნი უკვე მზად იყო, ჯეფერსონის მძღოლებს შორის უხუცესი გამხდარიყო.

ბუნი ტკბილ ოცნებას მისცემოდა, ბაბუამ კი სულ მალე ის ავტომობილი გააუქმა; იყიდა, ბუნის თქმით, გადაიხადა უზარმაზარი თანხა, მერე მშვიდად, დაკვირვებით შეათვალიერა და უქმად დააგდო. ბაბუას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, ბოლომდე თანამიმდევრული ყოფილიყო. უკვე არსებობდა პოლკოვნიკ სარტორისის გამომწვევი ბრძანება და რაკილა ბაბუა უფროსი გახლდათ, ვერ მოითმენდა, რაღაც უნდა ეღონა, მიუხედავად იმისა, რა აზრისა იყო თავად მოტორიან ოთხთვალეებზე. თუმცა, მართალი თუ გნებავთ, მისი აზრი სრულად ემთხვეოდა პოლკოვნიკ სარტორისისას და ორივე (ამ დროს კი უკვე მთელ იოკნაპატოფას ოლქში ბენზინის სურნელი ტრიალებდა და ღამდამობით, განსაკუთრებით შაბათობით, ავტომობილების ხათქახუთქი და მუხრუჭების ღრჭიალი ისმოდა) გროშსაც არ მისცემდა კაცს, რომელიც გატუტუცდებოდა და ავტომობილის ყიდვას მოისურვებდა. პოლკოვნიკ სარტორისის დანაშაული ის იყო, რომ არ იკადრა და არ დაეკითხა თავისზე უფროს კაცს, თანხმობა არ სთხოვა ამ საყოველთაო შეხედულებით სწორი გადაწყვეტილების გამოტანისას, მანამდე გაეძევებინა ავტომობილები ჯეფერსონიდან, სანამ ისინი ქალაქში გამოჩნდებოდნენ. გესმის? ბაბუამ ავტომობილი იმი-

ტომ კი არ იყიდა, რომ პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებას აპროტესტებდა, არამედ უბრალოდ, ისე იქცეოდა, თითქოს ის არც არსებობდა და შეგნებულად, კვირაში ერთხელ მაინც არღვევდა.

ჯერ კიდევ პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებამდე ბაბუამ თავისი ეტლი და ცხენები უკანა ეზოდან საჯინიბოში გადააყვანინა, რადგან ბებიას აქედან უფრო ადვილად შეეძლო ტელეფონით ეტლის გამოძახება, ვიდრე სახლის იქითა მხარეს, საარკმელთან კიბით რომ მისულიყო და მეეტლე მოეხმო. საჯინიბოში ვინმე ყოველთვის პასუხობდა მის ზარს. ნედი კი, გინდ სამზარეულოში მჯდარიყო და გინდ ბაგაში ან კიდევ სხვაგან (ანუ სადმე ახლომახლო, როდესაც ბებიას დასჭირდებოდა), ძნელად თუ გამოეხმიანებოდა. მართალი თუ გნებავთ, არც არასდროს გამოეხმიანებოდა, ვისაც უნდა დაეძახა, რადგან ერთ-ერთი დამძახებელი შეიძლებოდა, სულაც მისი ცოლი ყოფილიყო. ჰოდა, ასე მოვატანეთ ნედამდეც, ბაბუას მეეტლე რომ გახლდათ. მისი მეუღლე კი (ანუ უკვე მეოთხე ცოლი), დელფინა, ბებიასთან მზარეულობდა. იმხანად მხოლოდ დედისთვის იყო იგი „ბიძია ნედი“. უფრო სწორად, დედა გვეუბნებოდა ხოლმე ბავშვებს, სამს მაინც, - რადგანაც ალექსანდრეს არც არავისი დაძახება შეეძლო ჯერაც, - ბიძია ნედი დაუძახეთო. სხვას არავის ადარდებდა ეს ამბავი, ბებიასაც კი, ვინც მაკკასლინთა მოდგმისა გახლდათ. ეს არც ნედს ენაღვლებოდა, რაკილა არც იმდენი ხნისა იყო, და მის ქოჩორს ანუ იმას, რაც მელოტი თავის გარშემო დარჩენოდა, ჯერკიდევ არ შერეოდა ჭაღარა (არც შერევია არასდროს, არც გასთეთრებია და არც გარუხებია. სამოცდათოთხმეტი წლისა მოკვდა და მხოლოდ ერთი ცვლილება დაეტყო ამ ხნის განმავლობაში - ოთხი ცოლი გამოიცვალა) და არც სურდა, მისთვის ბიძია დაეძახათ. მხოლოდ დედას უნდოდა ეს, ვინც მაკკასლინი იყო და მაკკასლინების უკანა ეზოში მოვლენოდა ამ ქვეყანას 1860 წელს. ეს ჩვენი საგვა-

რეულო საიდუმლო გახლდათ და ყველას გვეკუთვნოდა მემკვიდრეობით თავისი ლეგენდითურთ (თავად ნედი უამბობდა ხოლმე ყველას დიდი მონდომებით), თითქოს დედამისი უკანონო შვილი იყო ბებერი ლუციუს ქუინტუს კეროზერსისა და მონაზანი ქალისა; ნედი როგორ დაგვანებებდა იმის დავიწყებას, რომ მხოლოდ ის და კიდევ მისი ბიძაშვილი აიზეკი იყვნენ ნამდვილი შვილიშვილები გვარის დამაარსებლისა, ჩვენ კი ედმონდებისა და პრისტებისგან პატივყრილები გახლდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სამს - შენ, მე და ჩემს ბაბუას - დიდი პაპის სახელი გვერქვა, ასე რომ, მაინც მისი შორეული ნათესავები ვიყავით მხოლოდ და მუქთამჭამელებიც.

ჰოდა, როდესაც ბუნი და ბ-ნი უორდეინი მანქანით დაბრუნდნენ, საჯინბო მზად დახვედრიათ მისაღებად. იატაკი განუახლებიათ, ჭიშკარიც, უყიდიათ ახალთახალი ბოქლომი, რომელიც ბაბუას ხელში ეჭირა, გარს უვლიდა მანქანას და ყურადღებით ათვალთვრებდა, თითქოს მის წინ გუთანი, ან სამკალი, ან ფურგონი ყოფილიყო (გინდაც კლიენტი, თუ გნებავთ, ვინც ბანკში მოსულიყო სესხის ასაღებად). მერე ბუნს ანიშნა, გარაჟში (დიახ, მისისიპიშიც უკვე ვიცოდით, რა ერქვა ავტომობილის სადგომს 1904 წელს) შეიყვანო.

- რაა? - თქვა ბუნმა.

- შეიყვანე იქ, - უთხრა ბაბუამ.

- თქვენ არ გასინჯავთ მაინც? - ჰკითხა ბუნმა.

- არა, - მიუგო ბაბუამ. ბუნმა შეიყვანა გარაჟში მანქანა (ამჯერად მხოლოდ მან) და გამოვიდა იქიდან. ჯერ გაოცება დაეტყო სახეზე, მერე აღშფოთება, მერე უნდობლობა და ბოლოს - შეძრწუნება. გასაღები რა უყავიო? - ჰკითხა ბაბუამ.

- რაო? - თქვა ბუნმა.

- ჭანჭიკი. ქანჩი. კაუჭი - რითაც ქოქავენ.

ბუნმა რაღაც ამოაცოცა ჯიბიდან და ბაბუას ხელში ჩაუდო. კარი დაკეტეო, უთხრა ბაბუამ, მერე თავად მივიდა, ის ახალი ბოქლომი დაკიდა და მისი გასაღებიც ჯიბეში ჩაიღო. ბუნს ახლა საკუთარ თავთან გაემართა ჭიდილი. სადაცაა უნდა აფეთქებულიყო. ჩვენ - მე, ბ-ნი უორდენი, ბებია, ნედი, დელფინა ანუ - თეთრნიც და შავნიც, ვინც კი იყო ავტომობილის მოყვანისას მაშინ ქუჩაში, თვალყურს ვადევნებდით იმას, როგორ იმარჯვებდა ამ ჭიდილში ანუ - საგუშაგოების პირველივე შეტაკებაში.

- სადილის მერე დავბრუნდები. ჰოდა, მის სარა (ჩემი ბებია) სწორედ მაშინ გასინჯავს მას. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, შეიძლება, უფრო მალეც, თუ ეს გვიანია.

- თუ საჭირო გახდა, თავად დავრეკავ საჯინიბოში, - თქვა ბაბუამ. სახუმაროდ არ იყო საქმე, ეს არ გახლდათ მეწინავე ნაწილის შეჯახება, ეს ნამდვილი ორთაბრძოლა იყო: ან გამარჯვება, ან დამარცხება - სხვა გამოსავალი არ არსებობდა. აქ ყველაფერს ჰქონდა მნიშვნელობა - ადგილმდებარეობას, მტრის ყურადღების მოდუნებას, შეტევის მოგერიებას, რაც მთავარია, ყველაფრის წინასწარგანჭვრეტასა და გათვალისწინებას. ასე გაგრძელდა სამი დღე, ვიდრე შაბათი დადგებოდა. ბუნი საჯინიბოში დაბრუნდა, ნაშუადღევის შემდეგ სულ ტელეფონის შორიახლოს ტრიალებდა, თუმცა ვითომდა სასხვათაშორისოდ, მუშაობაც არ შეუწყვეტია ანუ ასე ჩანდა, სანამ მამამ არ გაიგო, რომ ბუნმა საკუთარი ნებით, დაუკითხავად შესვა ეტლის კოფოზე ლასტერი და შუადღის მატარებლის დასახვედრად გაგზავნა. მატარებელი უნდა ჩამოსულიყო (თუ არ დაიგვიანებდა) ზუსტად იმ დროს და იმწუთს, როდესაც ბაბუა ბანკში მუშაობას ამთავრებდა. თუმცა, ბრძოლის სასწორი ჯერ კიდევ არც ერთ მხარეს არ გადაქანებულიყო, ჯერ კიდევ საჭირო იყო ყურადღება, ვაჟვაცობა და შემართება, ჯერ კიდევ არ იყო ზუსტი დარტყმის დრო; ბუნს ძველებურად კარგად ეჭირა თავი და არც უკანდახევას აპირებდა. დიახ,

ლასტერი მე გავგზავნეო. ქალაქი იზრდება და, მგონი, ცოტა ხნის შემდეგ ორი ეტლიც დაგვჭირდება სადგურშიო. ლასტერი იმიტომ მინდა გამოვწვრთნა, მერე მეეტლეობა რომ მივანდო; ნუ წუხხართ, მას თვალყურს ვადევნებო.

მაგრამ ტელეფონს არ დაურეკავს. ექვს საათზე ბუნიც გამოუტყდა თავს, არც არაფერი იქნებო დღეს. მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულიყო, ჯერ კიდევ არაფერი იყო დაკარგული, დაღამდებოდა და თავისი ძალების მცირედ გადანაწილებას შეძლებდა. მეორე დილას, დაახლოებით ათი საათი იქნებოდა, ის - ანუ მე და ის - თითქოს რაღაც საქმეზე ბანკში შევედით.

- გასაღები მომეცით, - უთხრა ბაბუას, - მისისიპის მთელი მტვერი და ტალახი, და კიდევ - ტენესისა, დაგროვილი იქნება მის ქვეშ. შლანგს საჭინიბოდან წამოვიღებთ, თუკი ნედს თქვენი სადღაც გადაკარგული აქვს.

ბაბუამ ბუნს შეხედა, კარგა ხანს თვალი არმოაცილა, თითქოს ბუნს მართლაც მოეყვანოს ბანკში ფურგონი ან სათიბელი და გირაოდ თხუთმეტი დოლარი მოეთხოვოს.

- ნესტი დაუშვებელია ეტლების სადგომში, - თქვა ბაბუამ. მაგრამ ბუნი ღირსეულად განაგრძობდა ბრძოლას, ფერიც არ შესცვლია, რადგან მას უფრო მეტი დრო ჰქონდა მარაგში.

- ეს მართალია, ოღონდ გახსოვდეთ, რაც თქვა მექანიკოსმა: ყოველდღე უნდა ამუშაოთო ძრავა, თუნდაც არ გამოიყვანოთ, ისე, თუ არა და, შეიძლება, სანთლებსა და მაგნეტოს ჟანგი მოეკიდოს და იქნებ ოცი-ოცდახუთი დოლარიც კი დაგჭირდეთ მემფისიდან ან სულაც ქარხნიდან მათ გამოსაწერად. ჭკუას არ გასწავლით, უბრალოდ გეუბნებით იმას, რაც იმ მექანიკოსისგან ვიცით. თუმცა, თქვენი ნებაა, თქვენია ეს ავტომობილი და თუ გნებავთ, ჟანგს შეაჭმევინეთ, ვისი რა საქმეა?! ისე კი ცხენს ასე არ მოექცეოდით, თუნდაც ასი დოლარი გქონოდათ მასში მიცემული, დილა-ბნელზე თოკს შემაბმევიანებდით და მატარებინებდით,

- ვაითუ შიგნეულობა დაუმძიმდესო. ბაბუა გამოცდილი ბანკირი გახლდათ და ბუნმა იცოდა, რომ ბაბუამ უწყოდა, ვისთვის უნდა დაეჩქარებინა თამასუქის განაღდება, ვისთვის ეცლია და ვისთვის არც მოეთხოვა. ჰოდა, ამოიღო ჯიბიდან გასაღები და ბუნს გაუწოდა ორივე - ბოქლომისაც და მანქანისაც. ბუნი მიტრიალდა და მომადახა, აბა, წავიდეთო.

ჯერ კიდევ ქუჩაში ვიყავით, ბებიას ძახილი რომ გავიგონე, კიბით უკანა სარკმელთან ამოსულიყო და გაჰკიოდა - ნედს ეძახდა, მაგრამ ჭიშკართან მივედით თუ არა, გაჩერდა. უკანა ებოში გავედით შლანგის წამოსაღებად, დელფინამ სამზარეულოს კარი გამოაღო, ნედი სადაა, დილიდანვე გავკვივით, საჯინბოში ხომ არააო? - გვკითხა.

- აბა, სად იქნება? - მიუგო ბუნმა. - მე დაუუძახებ. თუმცა კი ტყუილად ელოდებით. - ნედი აქვე იყო, ებოში. ის და ორი ჩემი ძმა, კიბის საფეხურებივით ერთმანეთს ჩახუტებულნი, გარაჟში იჭვრიტებოდნენ. ალბათ ალექსანდრეც იქნებოდა მათთან, ოღონდ ჯერ კიდევ სიარული არ შეეძლო. მიკვირდა, დეიდა კელის როგორ არ მოაფიქრდა მისი აქ მოყვანა. მაგრამ ალექსანდრე მაშინვე გამოჩნდა, დედას აეტატებინა ხელში და ჩვენი სახლიდან ქუჩა გადმოეჭრა. დეიდა კელი კი, როგორც ჩანს, საგებებს რეცხავდა. დილა მშვიდობისაო, მის ელისონ, - თქვა ბუნმა. - დილა მშვიდობისაო, მის სარა, - დასძინა ესეც, რადგან ბებიაც მოსულიყო აქ, დელფინაც გამოჰყოლოდა და ორი ჩვენი მეზობელი ქალიც, საძინებელი ჩაჩების მოხდაც ვერ მოესწროთ, ისე. მართალია, ბუნი ბანკირი არ გახლდათ, არც კარგი ვაჭარი, მაგრამ როგორც პარტიზანი, დიდებული იყო სწორედ. მივიდა, გარაჟის კარს ბოქლომი ჩამოხსნა და გამოაღო. პირველი იქ ნედი შეიჭრა.

- შენ, - უთხრა ბუნმა, - დილიდანვე აქ ხარ და შიგნით იჭვრიტები. რაო, როგორია?

- როგორც არის, - მიუგო ნედმა, - ბ-ნი პრისტი ორასდოლა-რიან საუკეთესო ცხენს იყიდდა იოკნაპატოფას ოლქში ამ ფუ-ლით.

- იოკნაპატოფას ოლქში ორასდოლარიან ცხენს სად ნახავ?! - თქვა ბუნმა. - რომც ყოფილიყო, ამ ავტომობილის საყიდლად ათობით ცხენი მაინც დასჭირდებოდათ. წადი და ის შლანგი მიუ-ერთე.

- წადი და შლანგი მიუერთე, ლუციუს, - მითხრა ნედმა, არც მოტრიალებულა, ისე. ავტომობილის უკანა კარი გამოაღო, წინა მხარეს მაშინ ავტომობილებს არც ჰქონდა კარი, პირდაპირ ახვი-დოდი და დაჯდებოდი. - აძვერით, მის სარა, თქვენც და მის ელი-სონიც, - თქვა ნედმა, - დელფინა კი ბავშვებთან დარჩეს და მერე გავასეირნებთ.

- მიდი, მიუერთე-მეთქი, - უთხრა ბუნმა, - გესმით, გარეთ თუ არ გამოვიყვანე, ისე ვერაფერს გავხდები.

- ხელში აყვანილს ხომ არ გამოიყვან?! - უთხრა ნედმა. - ჰოდა, ჩავსხდეთ და ისე გამოვიდეთ. მერე მაინც უნდა ვატარო და რაც უფრო მალე ვისწავლი ტარებას, მით უკეთესი, ბი-ბი-ბი, - და ისევე დასძინა: - აძვერით, მის სარა.

- ხომ არაფერი მოგვივა, ბუნ? - ჰკითხა ბებია.

- რა უნდა მოგივიდეთ, მის სარა? - მიუგო ბუნმა. ბებია და დედა ჩასხდნენ. სანამ ბუნმა მათ კარი მიუკეტა, ნედი უკვე წინა სავარ-ძელზე მოკალათებულიყო.

- გადი იქით, - თქვა ბუნმა.

- მოდი და შენს საქმეს მიხედე, თუ შეგიძლია, - მიუგო ნედმა, - ხელს არაფერს მოგვიდებ, სანამ არ ვისწავლი, როგორ. აბა, თა-ვად ხომ არ მასწავლი რამეს. მიდი და ჩართე თუ რასაც უკეთებ.

ბუნმა მანქანას შემოუარა, მძღოლის სავარძელთან მივიდა, გადაცემათა გადასართველებსა და ბერკეტებს დაუწყო ჯახირი,

მერე წინ დადგა და დასაქოქი დაატრიალა. მესამე გადატრიალუ-
ბაზე ძრავამ იღმუვლა.

- ბუნ! - შეჰკვივლა ბებია.

- ნუ ღელავთ, მის სარა! - დაიღრიალა ბუნმა, ძრავას ღმუილი
რომ დაეთარა, მერე საჭესთან მივარდა.

- ჩქარა, - მიაძახა ბებია, - ნუ აყოვნებ და გულს ნუ მიხეთქავ!

ბუნი აძვრა და ძრავას ხმა დაუწია. სიჩქარეში ჩააგდო, კიდევ
ერთი წამიც და ავტომობილი ნელა დაიძრა, უკუსვლით გამოვი-
და და მზებზე გაჩერდა.

- ხი-ხი-ხი! - წარმოთქვა ნედმა.

- ფრთხილად იყავი, ბუნ, - თქვა ბებია. ვხედავდი, როგორ
ჩასჭიდებოდა ტენტის ბიგას.

- დიახ, მემ, - მიუგო ბუნმა. ავტომობილი ისევ დაიძრა და შე-
მოტრიალება დაიწყო. მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო შემობრუნე-
ბული, რომ წინ წავიდა. ბებია ხელს არ უშვებდა ბიგას. პატარა
გოგოს სახე გახდომოდა დედას. ავტომობილმა ნელა გადაჭრა
ეზო და ჭიშკართან გაჩერდა - პირით ქალაქისა და სამყაროსკენ.
ისმოდა ძრავას საამურ-წყნარი თუხთუხი, გასუსული იჭდა ბუნი
საჭესთან, სახე ისე მოეტრიალებინა, ბებიას რომ დაენახა. დიახ,
დიახ, იქნებ ბაბუასავით არ შეეძლო ჩაჰკირკიტებოდა გერბიან
ქალაღდებს, ვიღაც-ვიღაცებს ჯეფერსონში შეიძლება ეთქვათ,
არაფერი გამოსდისო ხელიდან, მაგრამ ამ ბრძოლაში, ასე იყო
თუ ისე, თავი გამოიჩინა და კიდევ მოიგო ეს ბრძოლა... ბებია იჭ-
და, ნახევარ წუთს ხმა არ ამოუღია. შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და
ამოისუნთქა.

- არა, - თქვა მან, - ბ-ნ პრისტს უნდა დავეუცადოთ.

შეიძლება, ეს არ იყო სრული გამარჯვება, მაგრამ რაც უნდა
იყოს, ჩვენმა - ანუ ბუნის - მხარემ არა მარტო აღმოუჩინა განლა-
გებაში მტერს (ბაბუას) სუსტი ადგილი, არამედ თავის მხრივ, ამ
საღამოს ვახშამზე ამას თავად მტერიც აღმოაჩენდა.

ჰოდა, კიდევ აღმოაჩინა, რომ მისი მხარე შემდრკალიყო. მეორე დღეს (შაბათს) საღამოს პირზე, ბანკი დაიკეტებოდა თუ არა და ამის შემდეგ ყოველ შაბათს, მაშინაც კი, როდესაც ზაფხული დადგა, ყოველდღე, დაბინდებისას, თუ თავსხმა წვიმა არ იყო, ბაბუა ბუნის გვერდით ჯდებოდა, ხოლო ჩვენ ყველანი - ერთმანეთის შენაცვლებით - ბებია, დედა, მე, ჩემი სამი ძმა და დეიდა კელი, რომელმაც ჩვენ ყველანი გამოგვზარდა, და მამაც, დელფინა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ნათესავები თუ მეზობლები, ბებიას უახლოესი დაქალები, ყველა თავის ჯერს ელოდებოდა და სათვალეებმორგებულები, ტილოს ლაბადებმოსხმულები დასეირნობდნენ ამ ავტომობილით ჯეფერსონსა და მის შემოგარენში; დეიდა კელი და დელფინა არასოდეს მოჰკლებიან ამ სიამოვნებას, მაგრამ ნედს მხოლოდ ერთხელ ხვდა წილად ასეთი ბედნიერება, იმ წუთს, როდესაც ავტომობილი უკუსვლით ნელ-ნელა გამოდიოდა გარაჟიდან და კიდევ, იმ ორიოდ წუთს, როდესაც მანქანა მიტრიალდა, ნელა გაიარა ეზო, სანამ ბებიაშე შიშით შეჰკვივლა, არაო, შეჰკვივლა ღია ჭიშკარსა და იმის იქით, მთელ სამყაროს. ეს იყო და ეს. მეორე შაბათს ნედი მიხვდა და დარწმუნდა ანუ მისთვის ცხადი გახდა, ბაბუასაც რომ მოესურვებინა მისი ოფიციალურ მძღოლად ან ავტომობილის დარაჯად დანიშვნა, ვერასგზით ვერ მიუახლოვდებოდა მას, თუკი ბუნის გვამს არ გადააბიჯებდა. თუმცა ის სრულიად ხუჭავდა თვალს ბაბუას ეზოში ავტომობილის არსებობაზე, მაგრამ მისი და ბაბუას, ასე ვთქვათ, ჯენტლმენური შეთანხმების მიხედვით, ნედი აუგად ან ქილიკით არასდროს ახსენებდა ამ მის შენაძენს, თავის მხრივ, არც ბაბუა შეაწუხებდა ნედს ოდესმე იმის დავალებით, რომ მანქანა გაერეცხა და გაეპრიალებინა, როგორც ეტლებს რეცხავდა და აპრიალებდა, თუმცა ბაბუამაც და ბუნმაც კარგად იცოდნენ: თუნდაც ბუნს დაენებებინა, ნედი ამაზე უარს მაინც იტყოდა. ამით ბაბუამ ნედს მანქანის უგულუბელყოფისთვის ერთადერთი სასჯელი და-

აკისრა და შესაძლებლობა არ მისცა, ყველას გასაგონად უარი ეთქვა ავტომობილის გარეცხვაზე მანამდე, სანამ ამაზე, ყველას გასაგონად, ბუნი არ ეტყოდა უარს.

რადგანაც სწორედ იმხანად ბუნი დღის ცვლიდან ღამის ცვლაში ერთხმად და საყოველთაო თანხმობით გადაიყვანეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან საჯინბოსთვის სულ დაიკარგებოდა. ჯეფერსონელების მოცლილი ნაწილი, მამის ნაცნობ-მეგობრები ან უბრალოდ, ცხენთა მოდგმის მეგობრები, რომლებსაც შეეძლოთ, რაიმე საქმისთვის თავიანთი კორესპონდენტებისთვის საჯინბოს მისამართი მიეცათ, თუკი კორესპონდენტები ეყოლებოდნენ, ბუნზე უფრო ხშირად აკითხავდნენ საჯინბოს; ხოლო თუ მას, მამას ვგულისხმობ, ბუნი დასჭირდებოდა, ბაბუას ეზოში ვინმეს გამოგზავნიდა, სადაც ის ჩვეულებისამებრ რეცხავდა და აპრიალებდა ავტომობილს პირველი ვკირების განმავლობაშიც კი, როდესაც შაბათიდან შაბათამდე ავტომობილი არსად არ უნდა წასულიყო. ყოველ დღით გამოჰყავდა იგი გარაჟიდან, ნაზად, თავდავიწყებით წმენდდა და რეცხავდა, არ ავიწყდებოდა არც ერთი ჭანჭიკი, მერე კი იქვე დაჯდებოდა და დარაჯობდა, სანამ გაშრებოდა.

- მთელ საღებავს ჩამორეცხავს და ის იქნება, - თქვა ბ-მა ბელოტმა, - პატრონმა თუ იცის, რომ ყოველდღე ოთხჯერ ან ხუთჯერ შლანგით ავლებს წყალს?

- მერედა, რა ქნას, თუ იცის, - მიუგო მამამ, - ბუნი მაინც მთელი დღე იმ ეზოში იქნება და თვალს არ მოაცილებს.

- ღამის ცვლაში გადაიყვანეთ, - უთხრა ბ-მა ბელოტმა, - ჰოდა, დღისით რაც უნდა, ის აკეთოს, ჯონ პაუელი კი სახლში წავიდეს და ღამღამობით თავის ლოგინში გამოიძინოს.

- უკვე გადავიყვანე, - თქვა მამამ, - მაგრამ ვერავინ ვნახე, გარაჟში გავგზავნო ამის შესატყობინებლად.

აღკაზმულობის საწყობში იატაკზე ლეიბი იდო და იქ წვებოდნენ დამღამობით ჯონ ჰაუელი ან სხვა მეჯინბე თუ მისი თანაშემწე, რადგან ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო მეთვალყურედ, ხანძარი არ გაჩენილიყო. ახლა კი, მამის ბრძანებით, ლეიბიანი ლოგინი დადგეს კანტორაში და ბუნს შეეძლო იქ დაძინება - დასვენება ხომ უნდოდა. მთელი დღეები ბაბუას ეზოში იყო და ვერც ვერავინ ეუბნებოდა რამეს, ან რეცხავდა ავტომობილს, ან იჯდა და თვალს არ აცილებდა.

ჰოდა, ახლა, ყოველდღე დაბინდებისას ჩვენ ყველანი, ვინც კი უკანა სავარძელზე დავეტეოდით, მოედანს გავივლიდით და ქალაქგარეთ გავდიოდით. ბაბუას უკვე ნაყიდი ჰქონდა სათადარიგო ჯაჭვი და ის ძრავასავით, ავტომობილის განუყოფელ ნაწილად ქცეულიყო.

პირველად ქალაქის მოედანი უნდა გადაგვევლო ყოველთვის. ყველა, ვინც უნდა ყოფილიყო, იფიქრებდა, ბაბუამ როცა ავტომობილი იყიდა, მას ის უნდა გაეკეთებინა, რასაც სხვა გააკეთებდა ანუ ამდგარიყო და ჩასაფრებოდა პოლკოვნიკ სარტორისსა და მის ეტლს, მერე გამოვარდნილიყო და ჭკუა ესწავლებინა, როგორ გაბედა უფროსისთვის რჩევის დაუკითხავად ისეთი განკარგულებისა და ბრძანების გაცემა, რომელიც სხვების უფლებებს არად აგდებდა. მაგრამ ბაბუას ასე არ გაუკეთებია, როგორც ბოლოს ჩვენც მივხვდით, პოლკოვნიკ სარტორისის გამო კი არა, ცხენებისა და ორთვალეების გამო, რადგანაც, როგორც უკვე ნათქვამი მაქვს შენთვის, ის გონებაბრძენი და შორსმჭვრეტელი ვაცი გახლდათ. ბებია სარგადაყლაპულივით იჯდა მანქანაში, ბიგას ჩასჭიდებოდა და ბაბუას ბ-ნ პრისტს კი არ ეძახდა, თუმცა, რამდენადაც გვახსოვდა, სულ ასე მიმართავდა, თითქოს მისი ცოლი არ ყოფილიყო, არამედ სახელით. ორთვალა ან ფურგონი თუ გამოჩნდებოდა, და პატრონი უკან დაახევინებდა ცხენს, რომელიც ხანდახან დამფრთხალი შეიძლება ყალყბეც კი დამდგარიყო, ბე-

ბია შეჰკვივლებდა: ლუციუს, ლუციუს და ბაბუა (თუ მეეტლედ კაცი იყო და ორთვალასა ან ფურგონში არ ისხდნენ ქალები და ბაღლები) წყნარად ეტყოდა ხოლმე ბუნს:

- ნუ შეჩერდები, გასწი. ოღონდ ნელა იარე. - ხოლო თუ ქალი იყო, მაშინ გასძახებდა, შეჩერდიო, დინჯად გადმოვიდოდა და დაყვავებით დაუწყებდა ლაპარაკს ცხენს, ვიდრე ხელს აღვირში არ წაავლებდა, ქუდს მოუხდიდა ორთვალაში მსხდომარეთ, ავტომობილს გვერდით გამოატარებდა, მერე უკანვე დაბრუნდებოდა, დაჯდებოდა მანქანაში წინ და მხოლოდ მაშინ ეტყოდა ბებიას, უნდა შევაჩვიოთ, ვინ იცის, შეიძლება ათი, თხუთმეტი წლის მერე კიდევ ერთი ავტომობილი გამოჩნდესო ჟეფერსონში.

ისე მოხდა, რომ ბუფალოს მისივე უკანა ებოში ამ ორი წლის წინ საკუთარი ხელით შექმნილმა თვითნაკეთმა ოცნების საგანმა ბაბუა კინაღამ გადააჩვია იმას, რასაც ცხრამეტი წლის ასაკიდან ვერა და ვერ გადასჩვეოდა. ეს თამბაქოს ღეჭვა გახლდათ. პირველად რომ მიატრიალა თავი და უნდოდა გაქანებული ავტომობილიდან გადაეფურთხებინა, ჩვენ, უკან მსხდომები, მივხვდით, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაღა დროს. არც ერთ ჩვენგანს ხომ არასდროს უვლია ავტომობილით იმდენად შორს (ეს მოხდა პირველივე მგზავრობის დროს), რომ საჯინბოს ებოდან გარეთ გასულიყო, მით უმეტეს, თხუთმეტი მილით საათში (გინდაც, ათი მილის სიჩქარით გვევლო, ბუნი გვეუბნებოდა, ოციაო; თუ ოცით მივდიოდით - ორმოციაო; ქალაქიდან ხუთი მილის იქით გზის ნახევარმილიანი სწორი მონაკვეთი ვნახეთ, სადაც მანქანა საათში ოცდახუთ მილს გადიოდა; ჩემი ყურით გავიგონე, ბუნი რომ უყვებოდა ვიღაც კაცებს მოედანზე, სამოცი მილის სიჩქარით დამყავსო მანქანა. ეს მანამდე იყო, სანამ გაიგო, რომ ჩვენ უკვე ვიცოდით, რაც იყო სპიდომეტრი, მანომეტრის მსგავსი მოწყობილობა წინა დაფაზე), ამასთან, ჩვენ გარდა არავინ არ აქცევდა ამას ყურადღებას, ყველას სათვალე გვეკეთა, სამტვერული ლაბადები

გვეცვა, შლაპებზე პირბადეები გვექონდა და თუნდაც სულ ახალი ყოფილიყო ეს ლაბადეები, ვინ თქვა, რომ მტერის გარდა, სხვა არაფერი უნდა დასდებოდა, თუნდაც ყავისფერი ლაქები თუ ნაწვეთები? შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ ბებია ხელმარცხნივ იჯდა (იმხანად ავტომობილს მარჯვენა მხრიდან მართავდნენ ეტლების მსგავსად და ჰენრი ფორდსაც კი, ვინც ბაბუასავით შორსმჭვრეტელი გახლდათ, არ გაუთვალისწინებია, რომ საჭეს მარცხნივ გადმოიტანდნენ), ბაბუას უკან. ჰოდა, ბებია მამინვე უთხრა ბუნს, მანქანა გააჩერეო, განრისხებულმა კი არა, აღშფოთებულმა და შეურაცხყოფილმა. ბებია იმხანად ორმოცდაათს იყო გადაცილებული (თხუთმეტისა იყო, როცა მან და ბაბუამ ჯვარი დაიწერეს) და მთელი ეს ორმოცდაათი წელი ისე ცხოვრობდა, რომ გულშიაც კი არ გაუვლია, რომ ვინმე მამაკაცი, მით უმეტეს მისი ქმარი, სახეში შეაფურთხებდა, ისევე, როგორც მანქანით მოსახვევს მოახლოებული ბუნი საყვირს არ დააყვირებდა. ხელიც არ აუწევია ფურთხის მოსაწმენდად, არც არავისთვის მიუმართავს, ისე თქვა:

- სახლში წამიყვანეთ!

- კარგი ერთი, სარა, - უთხრა ბაბუამ, - კარგი ერთი, სარა!

თამბაქო გადმოაფურთხა და მეორე ჯიბიდან სუფთა ცხვირსახოცი ამოიღო. მაგრამ ბებია არ გამოართვა, ბუნმა დააპირა გადმოსვლა და სახლიდან წყლიანი ვედროს, საპნისა და პირსახოცის წამოღება, მაგრამ ბებია არ გაუშვა.

- არ მჭირდება, - თქვა ბებია, - სახლისკენ გასწი!

ჩვენც წავედით. ბებიას ნერწყვი უკვე მიხმობოდა სათვალის მინასა და ლოყაზე. დედამ უთხრა, ნერწყვით დასველებული ცხვირსახოცით მოგწმენდო. თავი დამანებეო, ელისონ, - მიუგო ბებია.

დედას სულაც არ ადარდებდა თამბაქოს ამბავი, მანქანაში მაინც.

შეიძლება სწორედ ეს იყო თავიდათავი. ჩვენ, დეიდა კელი და ერთი თუ ორი მეზობლის ბავშვი, ყველანი უკანა სკამზე ვისხედით, დედას სიხარულით უბრწყინავდა სახე, რომელიც გოგოსავით წამონთებოდა, რაღაც ფარის მსგავსი გაუკეთა მარაოს ტარს და მყის მოიმარჯვებდა ხოლმე, როდესაც ბაბუა თავს მიატრიალებდა. ჰოდა, ახლა შეეძლო ისევ მოჰყოლოდა ღეჭვას, დედა მარჯვედ და მოხდენილად იშველიებდა ხოლმე ფარს. ჩვენ ყველანი მზად ვიყავით და ბაბუა გაიფიქრებდა თუ არა, ახლა უნდა მივაბრუნო თავი და გადავაფურთხოლო, ის ფარი წამსვე აღიმართებოდა და ჩვენც მავთულით გადაბმულებივით ერთდროულად მარჯვნივ გავწევდით თავს. სიჩქარე კი თითქმის ყოველთვის ოცი-ოცდახუთი მილი იყო საათში, რადგანაც უკვე იმ ზაფხულს კიდევ ორი ავტომობილი გამოჩნდა ჯეფერსონში; თითქოს იმ ავტომობილებმა მოტკეპნეს და მოასწორეს გზები, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ფულს გაიღებდნენ გზების მოსაწესრიგებლად.

- კიდევ ერთი ოცდახუთი წელი და ამ ოლქის გზებზე ყველანაირ ამინდში ივლიან ავტომობილები, - თქვა ბაბუამ.

- მაგრამ ამას ბევრი ფული დასჭირდება, - უთხრა დედამ.

- კი, დიდძალი ფული დასჭირდება, - მიუგო ბაბუამ, - გზის მშენებლები აქციებს გამოუშვებენ, ბანკები კი შეისყიდიან.

- ჩვენი ბანკიც? - ჰკითხა დედამ, - ჩვენებიც იყიდიან საავტომობილო აქციებს?

- დიახ, - უთხრა ბაბუამ, - ჩვენც ვიყიდით.

- ჩვენ კი რას ვიზამთ? მე ვამბობ, მორი-მეთქი.

- ის ისევ საჯინბოს მიხედავს, - თქვა ბაბუამ, - თუმცა ახალ სახელს დაარქმევს - პრისტის გარაჟი ან შეიძლება პრისტის საავტომობილო კომპანია. ხალხი ფულს არ დაიშურებს სიჩქარის გულისთვის. იმუშავენ კიდევაც ამისთვის, შეხედე ველოსიპედისტებს, შეხედე ბუნს. მაგრამ რატომაა ასე, არავინ იცის.

დადგა კიდევ ერთი მაისი, და ბეი სენტ ლუისში მოკვდა ჩემი მეორე ბაბუა, დედის მამა.

შაბათი იყო ისევ, შემდეგი შაბათი. ლუდას კვლავ დაუწესეს ჯამაგირი შაბათობით. შეიძლება მართლა გადაეჩვია ჯორების თხოვებას. უკვე რვა საათმა დაჰკრა, მე კი ჯერ ნახევარი მოედანიც არ მქონდა დავლილი ქვითრებითა და ტილოს საფულე ტოპრაკით, ის იყო სათესლე დუქნის შემოვლა დავამთავრე, რომ ბუნი შემოვიდა მეტისმეტად სწრაფად. მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, არა, რა მიხვედრა უნდოდა ამას, რაკილა მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცნობდი ბუნს, თანაც მთელი წელი ყოველდღე ვხედავდი, როგორ დასტრიალებდა იმ ავტომობილს. მეცა და ის ტოპრაკი ხელიდან გამომტაცა, გეყოფა, - ასე მითხრა, - წავიდეთო.

- რა იყო, - მივუგე, - ჯერ არ დამიმთავრებია.

- გეყოფა-მეთქი, - ისე მომადახა, არც შემოტრიალებულა. სულაც არ ადარდებდა, რომ ანგარიშები არ იყო გასწორებული. ასეთ ფარატინა ქალაღლებს რა გამოუღევდა სარკინიგზო კომპანიას, მაგრამ ფული იყო იმ ტოპრაკში.

- ვინ უნდა წავიდეს ოცდამესამეთი? - ვკითხე მე. დილისა იყო სამხრეთისკენ მიმავალი ოცდამესამე მატარებელი. დიახ, ჯეფერსონში უკვე ბევრი მატარებელი გადიოდა და, რომ არ დაბნეულიყვნენ, დანომვრა მოუხდათ.

- ჯანდაბას შენი თავი, - თქვა ბუნმა, - ყურის დაგდება არ გიყვარს და აბა, როგორ უნდა გითხრა, შენი ბაბუა მოკვდა წუხელ. უნდა ვიჩქაროთ.

- არ მომკვდარა! - ვუთხარი კი არა, ლამის დავუყვირე, - აივანზე იყო ამ დილით, ჩვენ რომ ჩავუარეთ.

მართლაც ასე იყო. მამამ და მე, ორივემ დავინახეთ, გაბეთს კითხულობდა თუ ისე იდგა ან იჯდა და ელოდებოდა, ბანკში უნდა წასულიყო მალე.

- მერედა ჩვენს ბატონზე ამას ვინ გეუბნება? - თქვა ბუნმა, - მეორე ბაბუა მოგიკვდა, დედაშენის მამა, ჯეკსონსა თუ მობილში რომ ცხოვრობდა, ანდა სადღაც იმ მხარეს.

- ოჰო, - ვუთხარი მე, - ვერ განგისხვავებია ბეი სენტ ლუისი და მობილი.

ყველაფერი უკვე ნათელი იყო. გულზე მომეშვა. ბეი სენტ ლუისი სამასი მილის იქით მდებარეობდა, სულ რამდენიმეჯერ მყავდა ნანახი ბაბუა ლესეპი, ორჯერ იყო ჩვენთან საშობაოდ ჯეფერსონში და სამჯერ ჩვენ ვიყავით მასთან, ისიც ზაფხულობით. თანაც, კარგა ხანია, ავადმყოფობდა. ჩვენ - დედასთან ერთად - შარშან ზაფხულს ვეწვიეთ, სწორედ იმხანად ლოგინადაც ჩავარდა, მაგრამ მაშინ რა ვიცოდით (მოგვიანებით, ზამთარში, ბაბუაშენის ძმის, ალექსანდრეს დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ, დედა და დეიდა კელი იყვნენ მასთან, რადგანაც ეგონათ კვდებაო), რა ვიცოდით-მეთქი, როცა ვთქვი, დედას ვგულისხმობდი, რადგან თუ მოხუცი ავად ხდება, ბავშვისთვის, ბიჭისა თუ გოგოსთვის, ის უკვე აღარც წერია ცოცხლებში და მისი ნამდვილი გარდაცვალება გარემოს თუ გაწმენდს მხოლოდ, ვინაიდან რაღა უნდა წარიხოცოს, როცა წარხოცილია უკვე.

- კარგი, კარგი, - თქვა ბუნმა, - წამოდი, ჯეკსონში, მობლილსა და გინდა ნიუ-ორლეანში, ჩემთვის სულერთია, სადღაც სამხრეთით კია. ახლა მთავარია, მატარებელს მივუსწროთ. - ჰოდა, ამ სახელს, ნიუ-ორლეანს, მისდა უნებურად წარმოთქმულს, უნდა ემცნო და გაემხილა ჩემთვის ბუნის სანუკვარი ოცნება, მიზანი, სურვილი. მერე კი, მოგვიანებით, როცა თავის მზაკვრულად დაგებულ მახეში გამაბამდა და მაცდუნებდა, ყველაფერს სულ ადვილად გავიგებდი, მაგრამ ამ ახალმა ამბავმა თავგზა ამირია, თანაც იმ წუთს ბუნმა უფრო მეტი იცოდა, ვიდრე მე. ამიტომ გზას მყის გავუდექით, მოკლებზე გადავჭერთ მოედანი, მე მივრბოდი, მივთოხარიკობდი და სახლში სულ მალე მივედი.

არეულიყო იქაურობა. მატარებლის გასვლამდე ორი საათი თუ იყო დარჩენილი და დედას არ ეცალა გლოვისა და მწუხარებისთვის. გაფითრებული და მდუმარე გამგზავრების სამზადის შესდგომოდა. რადგანაც ახლალა ჩაფწვდი იმას, რაც ორჯერ ჰქონდა ბუნს ჩემთვის ნათქვამი, ბაბუა და ბებიაც ბაბუა ლესეპის დაკრძალვაზე მიდიანო. ის და ბაბუა თურმე უნივერსიტეტის ერთ კურსზე სწავლობდნენ, ერთ ოთახშიც ცხოვრობდნენ და ერთიმეორის მეჯვარეებიც ყოფილან ქორწილში, რასაც შეიძლება რამდენადმე შეუწყვია ხელი, რომ დედასა და მამას ამდენ ხალხში სწორედ ერთმანეთი აერჩიათ და ერთმანეთისთვის თვალეში ცქერა შეუფიცავთ (თქვენ, მგონი, ახლა ამბობთ, ერთმანეთი დაუბიათ). ჰოდა, ბებია და ბაბუა ლესეპი, ორივენი დედისერთა შვილების პატრონები, ერთმანეთისაგან კარგა შორს ცხოვრობდნენ და ამიტომაც არ დაუკარგავთ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარულიც კი. თანაც დაკრძალვა ხალხისთვის სახუმარო ამბავი არ იყო იმხანად, დაკრძალვა და არა სიკვდილი. სიკვდილი გაშინაურებული იყო ჩვენთან, ვერ ნახავდით საგვარეულო მატინეს, რომელიც გადაჭრელებული არ ყოფილიყო საფლავის ქვების წარწერებით, სადაც შეიძლებოდა, მიცვალებულის სახელიც კი ვერ ამოგვეკითხათ, იმდენად სწრაფწარმავალი ყოფილა მისი წუთისოფელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დედა ესვენა საფლავში შვილთან ერთად, რაც იშვიათად როდი ხდებოდა. აღარაფერს ვამბობთ მამებზე, ბიძებსა და დეიდებზე, რომლებმაც თორმეტის, თხუთმეტის, ოცდაათისა თუ ორმოცი წლისებმა დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე, არც იმ უშვილო ბიძაშვილდეიდაშვილ ბაბუებსა და ბებებზე, რომლებიც დაიხოცნენ იმ სახლსა და იმ საწოლში, სადაც დაიბადნენ და არა იმ გაქათქათებულ-სტერილურ შენობებში, რომელთა პოეტური სახელწოდებები გვამცნობს სიცოცხლის დაისს. მაგრამ დაკრძალვა, სამგლოვიარო ცერემონიალი უფრო ბევრს ნიშნავდა - ამ დროს ნათესაუ-

რი კავშირი ფოლადის მავთულზე უფრო გრძელი ხდებოდა და მნიშვნელოვანი, ვიდრე მანძილი ჯეფერსონსა და მექსიკის ყურეს შორის.

ჰოდა, ბაბუა და ბებიაც გაემგზავრნენ გასვენებაზე. ამისდა კვალად ცხადი იყო, რაკილა სხვა უახლოესი ნათესავები არ გვყავდა ქალაქში, ჩვენ - მე, ჩემი სამი ძმა და დეიდა კელი - ბიძია ბაქარიას უნდა გავეგზავნეთ ედმონდსის ფერმაში, ჩვიდმეტი მილის იქით ქალაქიდან, სახამ უკან დაბრუნდებოდა დედ-მამა ოთხი დღის შემდეგ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბაბუა და ბებია მხოლოდ ოთხ დღეს იკმარებდნენ, რადგანაც ბაბუა ისე არ წასულა ჯეფერსონიდან თუნდაც მემფისში, რომ ორი-სამი დღით არ შეეფლო ან არ გამოეფლო ნიუ-ორლეანში, რომელიც ასე უყვარდა. და რახან ასე იყო, შეიძლება დედაცა და მამაც თან წაეყვანა. ეს ამბავი კი იმას ნიშნავდა, რაც ორჯერ ჭკუადაუტანებლად წამოსცდა ბუნს, რომ ამ ავტომობილის მფლობელები, ანუ ყოველი, ვისაც ასე თუ ისე შეიძლებოდა დაენებებინა ან არ დაენებებინა მისი გამოყვანა და გასეირნება, სამი ასეული მილის იქით იქნებოდნენ ოთხი დღე და შეიძლება მთელი კვირაც. ჰოდა, მისი ცდა და მზაკვრობა, როგორმე ვეცდუნებინე, თავის დაზღვევა იყო და მეტი არაფერი. ჩემი გულის მოგება თუ მოთაფვლა რომც არ მოესურვებინა, თუ მონიდომებდა, უჩემოდაც კარგად წაიყვანდა ავტომობილს და კიდევაც წაიყვანდა, თუკი ნახავდა, გაუჭირდებოდა ჩემი მოსყიდვა, თუნდაც იმთავითვე სცოდნოდა, რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულს, კარგი დღე არ დაადგებოდა. თუმცა უფრო უარესი მერე იყო მოსალოდნელი, როდესაც ბაბუა ჩამოვიდოდა. რადგანაც უნდა დაბრუნებულიყო უსათუოდ, სად უნდა წასულიყო ან სად უნდა ენახა თავშესაფარი ამ კაცს, ვისთვისაც სიტყვები, სახელები - ჯეფერსონი, მაკკასლინი, დე სპენი, კომპსონი - იყო სახლიცა და კარიც, დედაცა და მამაც. მაგრამ მცირეოდენი განსჯის უნარი, რაღაც ჩანასახი საღი აზრი-

სა და ჭკუისა, მაინც ჰქონდა და პირველად ჩემი, ასე ვთქვათ, მძევლად აყვანა სცადა და სულაც არ სჭირდებოდა ჩემი გამოცდა, შემოწმება. როდესაც მოზრდილები ლაპარაკობენ ბავშვების უმწიკველობაზე, რას გულისხმობენ, არც კი იციან. თუკი მიეძალე-ბით, მაშინ იტყვიან, გულუბრყვილონი არიანო ისინი, მაგრამ არც ესაა სწორი - თერთმეტი წლის ბიჭს ყველანაირ დანაშაულზე უფიქრია. მისი უმწიკველობა უმწიფრობიდან მომდინარეობს, რის გამოც ბოროტმოქმედების შედეგი, სარგებელი არ აღელვებს, ამდენად, უმწიკველობაზე მეტად, ანგარების საკითხს ვაწყდებით; გულუბრყვილობა კი იმითაა განპირობებული, რომ არ იცის, დანაშაული როგორ ჩაიდინოს, ამიტომ, არა გულუბრყვილობასთან, არამედ გამოუცდელობასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ბუნმა ეს არ იცოდა, მხოლოდ ჩემი ცდუნება უნდოდა იმას. დრო კი ცოტა ჰქონდა: მხოლოდ მატარებლის გასვლიდან დაბნელებამდე. ცხადია, შეეძლო გამგზავრება მაშინ, როცა დაწყნარდებოდა, გონს მოვიდოდა, ხვალ ან ზეგ ან რომელიმე დღეს; შეიძლება ოთხშაბათსაც. მაგრამ დღეს ყველაზე კარგი დრო ჰქონდა, რაკილა ჯეფერსონში ყველამ დაინახა მანქანა, ამოძრავებული, წასასვლელად გამზადებული. თითქოს თავად ღმერთებს ებოძებინა ამ კაცისთვის გადასახადისგან თავისუფალი საათები თორმეტის ორი წუთიდან მზის ჩასვლამდე და როგორ უნდა ეთქვა უარი? მანქანა მოვიდა, ბაბუა და ბებია უკვე ჩასხდნენ, დაიდგეს ფეხსაცმლის ყუთი, რომელშიც შემწვარ-მოხრაკული წიწილები, მაგრად მოხარშული კვერცხები და ღვებელი ჩაელაგებინათ, რადგან სანამ ჩქარ მატარებელზე გადასხდებოდნენ, პირველ საათამდე საკვანძო სადგურში ვაგონი-რესტორანი არ იქნებოდა; დედამ და ბებიამ კი იცოდნენ, ბაბუა და მამა სწორედაც არ მოიკლავდნენ თავს შიმშილით დღის პირველ საათამდე, რომელი მიცვალებულიც არ უნდა ჰყოლოდათ დასატირებელი. ბებიაც არ იზამდა ამას, დედას გარდა სხვა ვინმე რომ დაობლე-

ბულიყო. თუმცა ეს არ იყო მთლად სწორი - ბებიას გული უფრო მეტს იტევდა, ვიდრე თავისი რძლის სადარდებელი იყო. შეიძლება იმიტომაც, რომ დედა ქალი იყო, კაცებს კი უჭირთ სიკვდილთან გამკლავება, შეეჭიდებიან, შეებრძოლებიან მოსაგერიებლად და ამ ორთაბრძოლაში კიდევაც ცხვირ-პირს ილექნენ; ქალები კი ამ დროს გვერდს შემოუვლიან, ნაზად, ბამბასა თუ აბლაბუდასავით გარს შემოევლებიან, მყისვე თანაარსებობას შესთავაზებენ და ისიც ძალა და არაქათგამოლეული, მოთვინიერებული, სასარგებლოც შეიქნება, ვითარცა უქმრო-უცოლო ბეჩავი ნათესავები, რომლებსაც ცარიელი ადგილების შევსებადა შეუძლიათ ან შემოსწრებული სტუმრების სუფრასთან მიპატიჟება. მათი ჩანთები უკვე მანქანის ორივე ფრთაზე იყო მიბმული, სან-ტომასსაც დედისა და მამის ბარგი ქუჩაში გამოეტანა, ჩვენც ყველანი უკან გამოვყევით. დედას შავი პირბადე ჩამოეთარებინა, მამას კი შავი სამკლავური გაეკეთებინა. ჩვენთან ერთად დეიდა კელიც გამოვიდა, ხელში ალექსანდრე ჰყავდა ატატებული. ნახვამდისო, გვითხრა დედამ და ყველანი პირბადიდანვე დაგვკოცნა, ისეთივე სურნელი ასდიოდა მას, როგორც ყოველთვის, მაგრამ ახლა რაღაც სიშავე შერეოდა ამ სურნელს, მსგავსი იმ თხელი შავი პირბადისა, რომელიც არც არაფერს ფარავდა, თითქოს სპილენძის მავთულით ჩვეულებრივი დეპეშა კი არ მოგვსვლოდა სამასი მილის იქით მდებარე ბეი სენტ ლუისიდან, უფრო მნიშვნელოვანი რაღაც; ო, დიახ, სწორედ მაშინ ვიგრძენი ეს სურნელება, როდესაც მან მაკოცა და მითხრა, შენ ახლა უკვე დიდი ბიჭი ხარ, უკვე კაცი, დეიდა კელის უნდა მიეხმარო, შენი ბიძაშვილი ლუიზა არ გააწვალოთ, იცოდე, - მერე სწრაფად ჩაჯდა ავტომობილში ბებიას გვერდით. აი, მაშინ თქვა ბუნმა:

- ავზი უნდა გავავსო, მაკვასლინებისას წასასვლელად სადილის მერე.

შეიძლება ახლა ლუციუსიც წამოვიდეს და შემეშველოს სადგურიდან უკან დაბრუნების ხანს.

ხედავ, რა კარგად იყო საქმე?! იმდენად კარგად, რომ კიდევაც შეგრცხვებოდა. თითქოს თავად სათნობასა და პატიოსნებას გაემართა თამაში ჩაწყობილი კარტით და ბაბუას, ბებიას, დედისა და მამის დასამარცხებლად პირიც შეეკრა. მართალი თუ გნებავთ, თუნდაც ის ამბავი, რომ ავტომობილები ორი თუ სამი წლის წინ გამოჩნდა ჯეფერსონში, ბუნის წისქვილზე ასხამდა წყალს და ჩემსაზეც. ბ-ნი რაუნსუელი, ნავთობის კომპანის აგენტი, იოკნაპატოფას ყველა წერტს ამარაგებდა ბენზინით. მათი ცისტერნა სადგურის სათადარიგო ლიანდაგზე იდგა და იქ გამართულ ტუმბოსთან ერთი ზანგი ტრიალებდა; ბუნსა და ყოველს, ვინც ბენზინის ყიდვას მოისურვებდა, დიდად არც უნდა შეეწუხებინათ თავი - მანქანას მიიყვანდა, გააჩერებდა, ის ზანგი წამოსწევდა წინა სავარძელს, ავზის მოცულობას შეიტყობდა საგანგებოდ მონიშნული ჯოხით, ავზს გაავსებდა, ფულს აიღებდა ან (თუ ბ-ნი რაუნსუელი იქ არ იმყოფებოდა) გადმოიღებდა გაქონილ დავთარს და ჩაგაწერინებდა შენს სახელს და რამდენი გალონი ბენზინი მიგქონდა. თუმცა ბაბუას თითქმის ერთი წელია, რაც ნაყიდი ჰქონდა ავტომობილი, არც მან და არც ბებია, არც მამამ და არც დედამ არ იცოდნენ, როგორ მუშაობდა მანქანა და არც გასჩენიათ სურვილი, ბუნისთვის ეკითხათ (თუნდაც ცნობისმოყვარეობის გამო) რაიმე ან დაეჭვებულებიყვნენ მისი ნათქვამის სისწორეში.

ჰოდა, ის და მე ბაქანზე დავრჩით, მატარებელი დაიძრა, დედამ სარკმლიდან ხელი დაგვიქნია. ახლა ბუნის დრო დადგა, მას დარჩა ბურთი და მოედანი, მეც იმის ხელში ვიყავი, სანამ დეიდა კელი საგონებელს არ მიეცემოდა, რად დაავგიანდა ბიჭსო. მგონი, ბუნმა არც კი იცოდა, რომ დიდად არ უნდა შეეწუხებინა თავი და შეიძლება არც ეთქვა, სად მივდიოდით და სად უნდა მივსულიყავით საბოლოოდ, თუმცა არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა. იგი

აქამდე ვერ ჩასწვდომოდა ადამიანის სულის მოძრაობას და, როგორც ჩანს, ისიც დავიწყებოდა, რაც კი იცოდა ოდესღაც ბიჭების შესახებ.

ბუნმა ახლა აღარ უწყოდა, როგორ შესდგომოდა საქმეს. რასაც იხვეწებოდა, ბედმა კიდევ აუსრულა ყველაფერი, მაგრამ თავგზა აერია და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. შენტვის ალბათ უკვე ნათქვამი აქვთ, რა ზნეც სჭირს ბედს და როგორ გვაბრუნებს, რას არ გადაგყრის კაცს, კარგსა თუ ცუდს, კარგს უფრო მეტს, ვიდრე მისი აზრით (შეიძლება სამართლიანადაც) კაცი იმსახურებს, და ცუდსაც იმაზე მეტს, ვიდრე მას ზიდვა შეუძლია. ბუნსაც ასე დაემართა, ჰოდა, ესლა ამოთქვა, რას იზამო.

მაგრამ იმას არ მივხმარებივარ, შურის საძიებლად ვიყავი მომართული, ბუნზე კი არა, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ან კიდევ დედ-მამაზეც, რადგანაც თავის მოსაჭრელად ასე გამწირეს, ან იქნებ ბაბუაზეც, რომლის ავტომობილის გამოც უნდა მომჭროდა თავი; შეიძლება თავად ბ-ნ ბუფალოზეც, ამ თავდაუზოგავ, შერეკილ კაცზე, ღვთის გლახაზე, რომელმაც ასე გულუბრყვილოდ დაიწყო ყველაფერი ამ ორი წლის წინ. მაგრამ ბუნი შემეცოდა, რადგან სულ ცოტა დრო ჰქონდა. თერთმეტს გადაცილებული იყო უკვე, დეიდა კელი მელოდებოდა, რომ სადაცაა დავბრუნდებოდი, იმიტომ კი არა, რომ ქვედა გადასახვევიდან ოცდამესამე მატარებლის კივილს გაიგონებდა თუ არა, ათი წუთის მერე სახლში უნდა ვყოფილიყავი, უფრო კი ერთი სული ჰქონდა, ბავშვებს ვაჭმევ და შემდეგ მაკვასლინებისას წავალო, სოფელში დაბადებული ქალი ქალაქს ვერ შეჰგუებოდა. ბუნი მე არ მიმზერდა. ცდილობდა, როგორმე არ გამოეხედა ჩემკენ.

- მთელი სამასი მილია, - თქვა მან, - კიდევ კარგი, მატარებელი გამოიგონეს, თორემ ჯორებშებმული ფურგონებით მოუხდებოდათ წასვლა, ადრინდელივით, ათ დღეში ვერც კი ჩავიდოდნენ იქ, არათუ უკანვე დაბრუნდებოდნენ.

- მამამ თქვა, ოთხ დღეშიო, - მივუგე მე.

- მართალი ხარ, - მითხრა ბუნმა, - ასე აქვს ნათქვამი. ჩვენ იქნებ ოთხი დღე გვაქვს წინ სახლში დასაბრუნებლად, მაგრამ არც ეს არის დიდი დრო.

ავტომობილთან მივბრუნდით და ჩავსხედით. მაგრამ ბუნს მაშინვე არ აუმუშავებია ძრავა.

- შეიძლება, როცა პატრონი დაბრუნდება ათ... ოთხ დღეში, იქნებ მითხრას, ამასაც ასწავლეო ტარება. შენ უკვე დიდი ხარ. თანაც, ისედაც იცი. თუ გიფიქრია ამაზე?

- არა, - მივუგე, - ვიცი, არ დამანებებს და იმიტომ.

- კარგი, ასე ნუ ჩქარობ. ოთხი დღე გვაქვს წინ, შეიძლება გადაიფიქროს. თუმცა, ჩემი აზრით, ათიც კი. - ისევ არ აუმუშავებია მანქანა. - ათი დღე, - დასძინა მან, - როგორ გგონია, სადამდე შეუძლია მისვლა ამ მანქანას ათ დღეში?

- მამამ თქვა, ოთხშიო, - ვუთხარი მე.

- კარგი, კარგი, - მან მომიგო, - ოთხ დღეში იყოს.

- არ ვიცი და რა ვთქვა, - ვუთხარი, - არავის უთქვამს ჩემთვის და არც მეტყვის.

- კარგი, კარგი, - თქვა და მანქანა უეცრად აამუშავა, უკან დახია, მოატრიალა და გააქანა, მაგრამ არც მოედნისკენ, არც რაუნსუელის ბენზინის წერტისკენ.

- მგონი, ბენზინი უნდა ჩაგვესხა, - ვუთხარი მე.

მთელი სიჩქარით მივდიოდით უკვე. გადავიფიქრეო, თქვა ბუნმა, - სადილის მერე ჩავასხამ, მაკვასლინებთან წასვლამდე. ასე უფრო ნაკლები აორთქლდება, სანამ მანქანა ერთ ადგილზე იქნება გაჩერებული. ვიწრო გზით მივქროდით, ორივე მხარეს ზანგთა ქოხმახები, ბოსტნები და ქათმების შესარევი ეზოები გვხვდებოდა, მტვრის ბულში გახვეული, გულგახეთქილი წიწილები და ქუჩის ძაღლები გარბოდნენ, ბორბლებს რომ დასხლტომოდნენ. ტრიალ მინდორზე გავედით, მთელი ეს კარგა დიდი ად-

გილი მანქანის საბურავებით იყო დახაზული, ჩლიქების ნაკვალევი არსად ჩანდა; ვიცანი, ეს ბ-ნ ბუფალოს თვითნაკეთი ავტოდრომი იყო. პოლკოვნიკ სარტორისის ბრძანებამ სწორედ აქ ამოაყოფინა თავი ამ ორი წლის წინ, ბუნს აქ ასწავლიდა ავტომობილის ტარებას. რა ხდებოდა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვიდრე ბუნმა მანქანა არ გააჩერა და არ მითხრა, აქეთ გადმოჯექიო.

ჰოდა, ასე დამაგვიანდა სადილზე. დეიდა კელი უკვე აივანზე გამოსულიყო ხელში ატატებული ალექსანდრეთი და მანქანა ჯერ კიდევ არ გაგვეჩერებინა და გადმოსულები არ ვიყავით, რომ კივილი ატეხა. პატიოსან ბრძოლაში მომიგო საბოლოოდ ბუნმა, რადგანაც მთლად არ დავიწყებოდა საკუთარი ბავშვობა. რაღა თქმა უნდა, კარგად ვიცი და მაშინაც კარგად ვიცოდი, ბუნისა და ჩემი დაცემა უეცრად და ერთდროულად მოხდა სწორედ იმწამს, როდესაც დედამ დეპეშა მიიღო და ბაბუა ლესეპის გარდაცვალების ამბავი გაიგო. მაგრამ მეც სწორედ იმის დაჯერება მინდოდა, რომ ბუნმა დამამარცხა. ასე იყო თუ ისე, მაშინ მჯეროდა, შეუბღალავი, შეუმუსრავი პატიოსნების შარავანდედი იცავდა იმ გვარს, რომლის წარმომადგენელიც მე გახლდით. ჩემი წინაპარი მამაკაცების რაინდული სული იყო ჩემი მწე და მშველელი, რაიც ბეპირი გადმოცემით ვიცოდი მამისგან და დედაც დღენიადაგ ნაზი ხმით ამას მეუბნებოდა. ჰოდა, ასე გაბრდილი, როგორ უნდა ვეცდუნებინე ვინმეს, თავად უნდა გამომეცადა ბუნი. საკუთარი პატიოსნება კი არ იყო ჩემთვის თავიდათავი, ის აზრი მამოძრავებდა, შეძლებდა თუ არა ბუნი ჩემს ცდუნებას. მაგრამ თურმე მეტისმეტად თავდაჯერებული ვიყავი და საკუთარი პატიოსნების საჭურვლისა და ფარის იმედი მქონდა; მოველოდი, მტკიცედ მჯეროდა, რომ გამძლე იქნებოდა ეს აბრეშუმივით სიფრიფანა ზღუდე. მე ვამბობ - „აბრეშუმივით სიფრიფანა-მეთქი“ და ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა, ზუსტი განსაზღვრებაა, რადგანაც თავის დროზე კარგად დავინახე, მეტწილად სიკეთის დამცველები და ისინიც,

რომლებსაც პრაქტიკულად მისი ხორცშესხმა უნდათ, თავადვე დიდი ეჭვით ეკიდებიან მის ფარისებრ შეუვალობას და თავიანთ ბედ-იღბალს სიკეთეს კი არ მიანდობენ, საშველად უხმობენ ხოლმე იმ ღმერთსა თუ ქალღმერთს, სიკეთის განმგებლობა რომ აქვს დავალებული. სიკეთეს გვერდს რომ უვლიან, თითქოს ამით თავის ერთგულებას ამცნობენ ყოვლის მეუფე ქალღმერთს, მაღლობის ნიშნად კი ამ ქალღმერთმა ცდუნებისგან უნდა იხსნას ან როგორმე აარიდოს იმის მძლავრობას. ბევრის ახსნა შეიძლება ამით, თავის დროზე ისიც დავინახე, რომ სიკეთის განმგებელი ის ქალღმერთი ბედის მეუფეცაა და იქნებ უგუნურობისაც.

ჰოდა, ბუნმა პატიოსანი ბრძოლა მომიგო, როგორც ჯენტლმენტა წესი და რიგია - ხელთათმანებით. როდესაც ავტომობილი გააჩერა და მითხრა, გადმოჯექიო, მეგონა, ვიცოდი, რატომაც. ჩვენ ეს ადრეც გაგვიკეთებია ოთხგზის თუ ხუთგზის, ბაბუას ნაკვეთზე გასვლისას. ბუნის მუხლებზე მჯდომარე საჭეს ვატრიალებდი, ის მისწორებდა და მანქანა ნელა მიჰყავდა. ჰოდა, მე უკვე en garde³ ვიყავი და ის იყო პირი დავაღე იმის სათქმელად, ცხელა და დღეს მუხლებზე ვერ დაგიჯდები, თანაც დროა, სახლში დავბრუნდეთ-მეთქი, უცებ ვხედავ, მანქანიდან გადავიდა, ცალი

ხელით კვლავ საჭეს ჩასჭიდებოდა, ძრავა კი თუხთუხს განაგრძობდა, ერთი თუ ორი წამით გარინდებული ვიჯექი და თავი სიბმარში მეგონა. აბა, ჩქარა, - მითხრა მან, - თორემ შეიძლება, კელი გამოტყვრეს მოსახვევიდან მკლავში ამოჩრილი ჩვილით და დაგვჭყვივლოსო.

საჭეს მივუჯექი, ბუნი გვერდითმომიჯდა, გადმომემხო, ცალი ხელი ერთ ხელზე დამადო სიჩქარის გადასართველად, მეორე - მეორეზე და ასე ხან ამაწევინებდა და ხან დამაწევინებდა გაზს. წინ და უკან სიარულს მოვყევით ამ მზის სხივებდაფენილ მინ-

³ მზად (ფრანგ.)

დღორბე, ჯერ ცოტათი წინ და მერე ცოტათი უკან, დრო ვისღა ახსოვდა, ბუნიც, ჩემსავით თავდავიწყებითა და გატაცებით მისწორებდა საჭეს (დიდი თამაშისთვის მოეკიდა ხელი, ხომ გესმის)! დროიდან ამოცვენილები, დროის მიღმა მყოფნი ველარაფერს ვგრძნობდით, სანამ ნახევარი მილის იქით სასამართლოს შენობის თავზე საათმა თორმეტჯერ არ დაჰკრა და ისევ უკანვე არ გადმოგვისროლა სიცრუისა და მზაკვრობის სასტიკ სამყაროში.

- გეყოფა, - მითხრა ბუნმა, - აბა, სწრაფად, - და არც დაუცდია, ამიყვანა, თავზე გადამატარა და ისევ გადამსვა, თავად მიუჯდა საჭეს და მანქანა მინდორზე გააქანა სახლისაკენ. დანაშაულით შეკრული ორი მამაკაცისა იყო ჩვენი საუბარი და ამიტომაც, ცხადია, თანამონაწილეთა, თუმცა კი არა თანასწორთა, ჩემი ბალღური უზაკველობის გამო. ის იყო უნდა მეთქვა, ახლა რა ვქნა, ერთი მითხარი-მეთქი, რომ ბუნმა ისევ დამასწრო და კიდევ გამიტოლდა; ხომ იცი, კაცო, რაც უნდა ქნა? დრო აღარ გვაქვსო.

- კარგი, - მივუგე, - გასწი, სახლში მანამ უნდა მივიდეთ, სანამ დეიდა კელი არ აკივლდება. - გესმის ახლა, რა მინდოდა მეთქვა სიკეთესა და პატიოსნებაზე? ალბათ გაგიგონია, თუ არა და გაიგონებ, რას ამბობს ხალხი ცუდ დროებასა ან ცუდ თაობაზე. ასე არ არის. არც ერთი ეპოქა, კაცთა მოდგმის არც ერთი თაობა არც არასდროს ყოფილა, არ არის და არც იქნება იმდენად დიდი, რომ დაიტეოს უკეთურობა ყოველი მისი მსწრაფლწარმავალი წამისა, ისევე, როგორც არ შეიძლება შეისუნთქოს მთელი ჰაერი ამ წამისა. მხოლოდ იმის იმედი თუ ექნება, შეძლებისდაგვარად ნაკლებად გაისვაროს მისი გავლისას. ვაი, რომ სიკეთეს არ შეუძლია, არ ძალუძს ისე იზრუნოს თავისიანებზე, როგორც უკეთურობას. იქნებ არცა მაქვს ამის უნარი - ვინც სიკეთეზე თავს დებს, ხშირად ჯილდოდ იღებს იმ ცივ, უფერულ და უსახურ სუროგატს, რაც არამცთუ ვერ შეედრება ცოდვითა და ნეტარებით მონიჭებულ ბრწყინვალე ჯილდოს, ახლოსაც ვერ მივა იმ მარადიულ, ცხო-

ველ, მოუდუნებელ, ყოვლისშემძლე ოსტატობასთან, გამოგონებისა და წარმოსახვის შეუდარებელ ნიჭს რომ გვაძლევს და შემდეგ განუხრელად და მტკიცედ რომ მიმართავს უკეთურობა ბალღის პირველ ნაბიჯებს სიამოვნებათა გზაზე. ო, დიახ, რაოდენ წამოვიჩიტე მას შემდეგ, რაც საათმა დაჰკრა ორი წუთის წინ. შემჩნეული მაქვს, როდესაც ბავშვებს დაეტყობა ნაადრევი მოწიფულობის ნიშნები, პოეტებივით ცრუობენ უფრო მეტად სიამოვნებისთვის, ვიდრე სარგებლობისთვის. აქამდე მეც ასე ვიყავი, თუმცა კი მქონდა გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც იძულებული ვიყავი, გამომენახა თავდაცვის საშუალებანი იმათ (ჩემი მშობლების) წინააღმდეგ, ვინც ჩემზე უფრო დიდები და ძლიერები იყვნენ. ასე აქამდე იყო, მაგრამ არა ახლა. ბუნის ორპირობა მეც გადმომედო და მალე მასზე უფრო მეტი დამნაშავე გავხდი. რადგანაც (ვგრძნობდი, არა, ვიცოდი, ცხადი იყო, ბუნი უკვე ველარც მალავდა) უფრო საბრიანი აღმოვჩნდი და უეცრად ბარ-ბეიმის ისეთმა გრძნობამ ამიტანა, თავად ფაუსტს რომ განუცდია, ჩვენ ერთაგან პირველობა მე მეკუთვნოდა, მე ვიყავი მოთავე, ბატონი და ბელადი.

დეიდა კელი ალექსანდრეთი ხელში უკვე აივანზე გადმომდგარიყო და გადმოგვკიოდა.

- ჩუმად იყავი, - ავძახე მე, - სადილი მზადაა? მანქანა გაგვიტყდა და ბუნმა შეაკეთა. ბენზინის ჩასხმაც ვერ მოვასწართ. შეეჭამ და ახლავე წავალთ ავზის გასავსებად.

სასადილო ოთახში შევედი. სადილი უკვე მაგიდაზე იყო, ლესეპი და მორი შეექცეოდნენ. დეიდა კელის უკვე გამოეწყო ისინი (ჩვიდმეტი მილის იქით უნდა წასულიყვნენ ბიძია ბაქარიასას ოთხი დღით, არადა, ისე გამოეპრანჭა, თითქოს მემფისს უნდა სწვეოდნენ; არ ვიცი, ასე რად გარჯილიყო, შეიძლება, სადილის გაკეთების გარდა მეტი საქმე არც ჰქონდა, რაც დედ-მამა წავიდა. თანაც მორი და ალექსანდრე წასვლამდე უნდა დაეძინებინა), თუმ-

ცა მორის უკვე მოესწრო გულისპირის დასვრა და ხელახლა უნდოდა დაბანა და ჩაცმა.

ყველაზე ადრე მაინც მე მოვრჩი (დეიდა კელი ისევ აკივლდა, სახლში იყო და ხმამაღლა არ გამოუვიდა, რალა თქმა უნდა, მაგრამ მარტოდმარტო და თანაც ზანგის ქალი რას გახდებოდა უკეთურობის წინააღმდეგ) და უკანვე ბაბუას ებოში გავიქეცი. ნედი, ცხადია, ქალაქში გაიპარებოდა. თუმცა სადილად უნდა დაბრუნებულიყო. დაბრუნდა კიდევაც. მე და ის უკანა ებოში ვიდექით. თვალმოჭუტული დამაცქერდა. ხშირად, შეიძლება ითქვას, ყოველთვის წითლად უელავდა თვალები მელიასავით. რაო, შენ ამათთან არ რჩებიო? - მკითხა მან.

- ბიჭებს დავპირდი, ხვალ უნდა წავყვე სათევზაოდ, კარგი ადგილი უნახავს ერთს.

ნედი თვალს არ მაცილებდა.

- ჰოდა, მაკვასლინებთან გაუყვები ბუნ ჰოგანბეკთან ერთად და უკანვეგამოჰყვები. მაგრამ მის ლუიზას რაღაცას ეტყვი, ხომ იცი, უკან აღარ გამოგიშვებს, მე თუ წამოვალ, შეგეშველები.

- არ მინდა, - ვუთხარი, - როგორმე იოლად გავალ უშენოდ. იმიტომ გეუბნები, რომ იცოდე, სადაც ვიქნები, მაშინ ვერაფერს დაგაბრალებენ. შენი შეწუხება არ მინდა, ბიძია აიკთან დავრჩები. - სანამ სხვები გაჩნდებოდნენ ამქვეყნად, ჩემს ძმებზე გეუბნებით, და დედაჩემი და მამაჩემი სახლში მოსვლას აგვიანებდნენ და ბებიაცა და ბაბუაც სადღაც იყვნენ წასულები, ჩვეულებისამებრ, ნედთან და დელფინასთან მტოვებდნენ ხოლმე. ხანდახან მათთან ვრჩებოდი ღამეც, გასართობად. ახლაც შემეძლო იქ მისვლა, მაგრამ რისი გულისთვის? ბიძია აიკი მარტოდმარტო ცხოვრობდა ერთადერთ ოთახში თავისი რკინა-კავეულობის დუქნის ზემოთ. თუნდაც ნედს (ან სხვასაც, ვინც ამის გაგებას მოისურვებდა) პირდაპირ ეკითხა მისთვის, ვიყავი თუ არა მასთან შაბათ ღამეს, ამასობაში ორშაბათიც დადგებოდა, მე კი მტკიცედ გადავ-

წყვიტე, აღარ მეფიქრა ორშაბათზე. როგორ გგონია, ადამიანებს მომავალი ორშაბათის დარდი გულიდან მტკიცედაც რომ ამოეგდოთ, სიკეთეს აღარც მოუხდებოდა ასეთი მძიმე და უმადური სამუშაოს შესრულება.

- ესე იგი, - თქვა ნედმა, - უჩემოდაც იოლად გახვალ. იმდენად თავაზიანი ბრძანდები, რომ ჩემი შეწუხება არ გინდა. როცა ატყდება ერთი დავიდარაბა, მაკვასლინებთან მოგაკითხავენ და ვერ გნახავენ იქ. მამამ ხომ გითხრა, იმათთან მიდიო, - ნედი თვალს არ მაცვილებდა, მერე კი, ხი-ხი-ხიო.

- კარგი, - მივუგე მე, - მამას ეტყვი ჩემზე, თქვენ წახვედით და იმანაც ამ კვირადღეს სათევზაოდ გასწია-თქო. აი დარდი...

- არც არავის ვეუბნები შენზე რამეს, - თქვა ნედმა, - რა ჩემი საქმეა. დედაშენის დაბრუნებამდე ეს კელის საქმეა. მაგრამ რაკი ბ-ნ აიკთან მიდიხარ ამდამ, მისი საქმე უნდა იყოს, ხომ თქვი, იქ უნდა მივიდეთ. - თვალს ისევ არ მაცვილებდა, - ბუნ ჰოგანბეკი როდის მოვა შენს წასაყვანად?

- სულ მალე, - ვუთხარი, - შენი ბედი, მამასა და კიდევ ბაბუას არ ესმით, იმას რომ ეძახი, ბუნ ჰოგანბეკიო.

- მე უფრო მეტჯერ ვეძახი მას, ბატონო, ვიდრე ღირსია, - თქვა ნედმა, - ვიდრე ის იმსახურებს, - დასძინა და ისევე, ხი-ხი-ხიო.

ხომ გესმის? ძალა არ დამიზოგავს, მაგრამ, საუბედუროდ, რა ღონე უნდა მქონოდა გულუბრყვილოსა და გამოუცდელს, დროც არ მქონდა. ბედი, ღმერთები, თუნდაც უკეთურობა რომ ყოფილიყვნენ შენი მწე და მშველელნი, დროც უნდა მოეცათ საკმარისი. კიდევ კარგი, ბიძია აიკის ნახვა არ იყო ძნელი შაბათს. მოდი და ჩემთან დარჩი ღამე, მითხრა მან, შეიძლება ხვალ სათევზაოდ წავიდეთ, ოღონდ იცოდე, მამამ არ უნდა გაიგოსო.

- არა, სერ, - მივუგე მე, - ამალამ არ დავრჩები. ნედთან და დელფინასთან წავალ, როგორც ყოველთვის, რაკი დედა არ არის, თქვენ იმიტომ გეუბნებით.

ხომ ხედავ, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რაც შემეძლო, ყველაფერს ვაკეთებდი. საბოლოო წარმატების იმედი არ მქონდა-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, ჩემი აზრით, უკეთურობა სულ ტყუილად მცდიდა და შეეძლო ესოდენ აუცილებელი დრო სხვა, მნიშვნელოვანი მიზნებისთვის გამოეყენებინა. უკან, სახლში წამოვედი, ოღონდ არ გამოვექცეულვარ, გაქცეული არავის არ უნდა ვენახე ჯეფერსონში, თუმცა კი ვჩქარობდი. ხომ გესმის, ბუნს მარტოს ვერ ჩავუგდებდი დეიდა კელის ხელში.

დროზე მივედი. მართალი თუ გნებავთ, დააგვიანეს ბუნმა და იმ ავტომობილმა. დეიდა კელის უკვე ხელმეორედ მოესწრო მორისა და ალექსანდრესთვის ტანსაცმლის გამოცვლა და თუმცა ნასადილევს დაიძინეს, სულ ცოტა ეძინათ. პირველად მოხდა ასე ჩვენს სახლში. ნედი ბრძანდებოდა აქ, თუმცა არ უნდა ყოფილიყო. არა, მთლად სწორად ვერ ვთქვი. საკვირველი ის კი არაა, აქ რომ იყო მოსული, ჩვენსას ხშირად ნახავდით, არამედ ის, რომ ფაცურობდა, მოხმარებას ცდილობდა, როცა ბებია და ბაბუა ქალაქში არ იყვნენ. ბარგი - მოწნული კალათა ალექსანდრეს სახვევებით, ჩემი რაღაც-რაღაცები ჩანთებით, ლესეპისა და მორის ოთხი დღის სამყოფი ტანსაცმელი, სუფრაში გახვეული დეიდა კელის ავლადიდება გაჰქონდა გარეთ. ეს ყველაფერი ნედმა ჭიმკართან დაახვავა და ასე უთხრა დეიდა კელის, შეგიძლია შინ დარჩე და ფეხები დაასვენო. ბუნ ჰოგანბეკს დროგი დაემტვრა ალბათ და უნდა როგორმე შეაკეთოს. თუ გინდა დილიდანვე მაკკასლინებთან წასვლა, ბ-ნ ბელოტს დაურეკე და სონ ტომასს გამოგზავნის ეტლით, ჰოდა, დაჯდები ზედ და ადამიანურად წაგიყვანო.

თუმცა, როგორც ჩანს, ნედი შემცდარი არ უნდა ყოფილიყო. ორის ნახევარი გახდა (ამ დრომდე ალექსანდრე და მორი მოასწრებდნენ კიდევ გამოძინებას), ბუნი კი არსად ჩანდა; მორი და ალექსანდრე შეძლებდნენ კიდევ ნახევარი საათით წაძინებას; ნედმა ხომ აღარ დაასრულა, ხომ გეუბნებოდით. დეიდა კელიმ ბუნის სახელის ბრუნვა-ხსენებას თავი ანება და ნედსმისდგა, ვიდრე მან არ იკადრა გარეთ გასვლა ვაზის თალარში მოსასვენებლად. ის იყო, დეიდა კელის ბუნისა და მისი ავტომობილის მოსაძებნად უნდა გავეგზავნე, რომ ის კიდევაც მოგრიალდა. გავხედე და ენა ჩამივარდა მუცელში - ტანსაცმელი გამოეცვალა. უფრო მეტიც, წვერი გაეპარსა, თეთრი, სუფთასაყელოიანი პერანგიც ჩაეცვა, ჰალსტუხიც არ დავიწყებოდა. ახლა, როცა ავტომობილიდან გადმოვიდოდა, შეიძლება, ხელზე სერთუკიც ჰქონოდა გადაკიდებული, ხოლო ავტომობილთან მისული დეიდა კელი ძარაში მაშინვე მის ჩანთასაც დაინახავდა; თავბარი დამეცა და ბრაზიც მომერია (ბუნზე კი არა, საკუთარ თავზე): უნდა მცოდნოდა, უნდა განმეჭვრიტა, რაკილა მთელი ცხოვრება ვიცოდი (ახლა ამასაც მიხვდით) - გინდ ბუნთან გქონოდა საქმე და გინდ ბალოთან - და წინასწარ უნდა დამეჭირა თადარიგი. თავიდათავი ის კი არ იყო, ბუნი რომ სრულიად მოკლებული იყო საღად განსჯის უნარს, არამედ ის, რომ ჩემდა სამარცხვინოდ, ვერ გავითვალისწინე ეს და შევძახე, შევუყვირე იმას, ვისაც ბრალს ვდებთ ხოლმე ასეთ წუთებში. ნუთუ არ იცი, თერთმეტი წლის რომ ვარ და მეტის არა?! ნუთუ გგონია, თერთმეტი წლისა ამდენს შევძლებ?! ნუთუ ვერ ხვდები, ამდენის ზიდვა არ შემიძლია?! მაგრამ სულ მალე ბუნზეც გავბრაზდი, იმიტომ კი არა, რომ მისმა სირეგვნემ ჩაშალა მანქანით ჩვენი მემფისის გასეირნება (თუმცა კი ჩვენი მგზავრობის ბოლო ადგილი, მემფისი, ერთხელაც არ მიხსენებია არც შენთან და არც ბუნთან საუბრის დროს. რატომ? აბა, მეტი სად უნდა წავსულიყავით? მართლაცდა, ჩრდილოეთ მისისიპიში კიდევ სად

შეიძლება დაწასვლა? მთლად დაჩაჩანაკებულ, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვულ არსებას კიდევ შეეძლო წარმოედგინა ან შიშით დაელანდა გაცილებით შორეული საყუდარი, ოღონდ - არა ბუნს და მე). მართალი თუ გნებავთ, იმწუთას ისღა მსურდა, არასოდეს არაფერი მსმენოდა მემფისზე, ბუნსა და ავტომობილზეც; იმწუთას პოლკოვნიკ სარტორისს დაუჭირე მხარი და მინდოდა პირისაგან მიწისა აღგვილიყო ბ-ნი ბუფალოცა და მისი ოცნებაც; გაჯავრებული ვიყავი ბუნზე, რადგანაც მან, ვითარცა ბაღღმა, წიხლი ჰკრა და დაანგრია ასეთი დავიდარაბით ჩემი აგებული სიცრუის, ტყუილი დაპირებებისა და ტყუილი ფიცის ხუხულა და წარმოაჩინა ჩემი სხვა ნაყალბევი, რისთვისაც ეშმაკს მივყიდე სული; კიდევ იმისთვის, რომ სააშკარაოზე გამოიტანა ჩემი სიმდაბლე და არარაობა. მე კი მინდოდა ჩემი პატივმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა ეშმაკთან სარფიანი გარიგებით, სიამოვნებას არ მიველტვოდი და არც ცოდვის აკიდებას. ხანდახან ასე თავისდაუნებურად ეშშვიდობებიან სიქალწულეს, როდესაც წინდაუხედავად გადადგამენ ხოლმე ნაბიჯს. მერე კი ბრაზმა გადამიარა. აღარაფერი დარჩა, სულ აღარაფერი. აღარსად წასვლა აღარ მინდოდა. ერთი სიტყვით, ახლა არსადაც არ მინდოდა საერთოდ ყოფნა ან თუ ამას ვერ შევძლებდი, მაშინ წარსულში მერჩინა ვყოფილიყავი, თავს ასე ვეუბნებოდი და კიდევაც მჯეროდა (ვიცი, რომ მჯეროდა, რადგანაც მას აქეთ ათასჯერ გავიმეორებდი, კვლავაც მჯერა და იმედიც მაქვს, ვიდრე ცოცხალი ვარ, და მზად ვარ პირში მივახალო იმას, ვინც მეტყვის, ამას ველარ დაიჯერებო). აღარასოდეს მოვიტყუებდი, სადავიდარაბოა და იმიტომ. გინდა ეს გიქნია და გინდ თეფშზე დაყრილ ქვიშაში ფრთა ჩაგირჭვია. არც არასდროს ექნება ამას დასასრული, არც მოსვენება გექნება. ვერც ვერაფერს გახდები საბოლოოდ. ის ქვიშა არ დაგანებებს ამას, მორჩა და გათავდა!

მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ბუნი უსიტყვოდ გადმოვიდა მანქანიდან. ნედი უკვე აწყობდა იქ კალათებს, ჩანთებსა და ფუთებს პირქუშად, ხი-ხი-ხიო. მერე კი დასძინა, წადით ბარემ და, თუ დაიმტვრევით, დროზე მოასწრებთ შეკეთებას და გათენებამდე უკანვე, ქალაქში დაბრუნებასო. მერე კი ბუნს მიუბრუნდა და უთხრა, შენც უკანვე დაბრუნდები ქალაქში, სანამ წაბრძანდებიო.

ბუნმა ჰკითხა, სად წავბრძანდებიო?

- სადა და სავახშმოდ, - მიუგო ნედმა, - სად მიდის ჭკუათამყოფელი კაცი მზის ჩასვლის ხანს?

- ჰოო, - თქვა ბუნმა, - შენ შენი ვახშამი იდარდე. სხვის ვახშამზე რას დარდობ.

ჩავსხედით და გავწიეთ. მე და ბუნი წინ ვისხედით, დანარჩენები - უკან. შაბათის ხალხმრავალი მოედანი გავიარეთ და ქალაქგარეთ გავედით. ვითომდა გავედით, მაგრამ სულაც არ წავწეულვართ წინ. კი მივალთ იმ გადასახვევთან, საიდანაც ბიძია ბაქარი-ასკენ მიმავალი გზა იწყება, მაგრამ ეს სულაც არ არის ის მიმართულება, რომელიც ჩვენ გვჭირდება. თუნდაც იქით ვქნათ პირი, საითაც გვინდა, თავისუფლები მაინც არ ვიქნებით, ვიდრე უკან გვისხედან დეიდა კელი, ლესეპი, მორი და ალექსანდრე. მხოლოდ ნედი მოგვწყდა თავიდან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ საიდანღაც გამოტყვრეს, ხი, ხი, ხიო, გვეტყვის, ხომ დაბრუნდებითო უკან, ქალაქში. ბუნს ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის და არც მე იმისათვის, ერთხელაც არ გამომლაპარაკებია, გრძნობდა, რომ დღისით-მზისით დამაფრთხო იმ თავისი სუფთა პერანგით, საყელოთი, ჰალსტუხით, გაპარსული პირით და ასე გამოწყობილი თითქოსგვამცნობდა, მივდივარ, გშორდებითო. იმასაც გრძნობდა, მხოლოდ შეშინებული კი არა, განრისხებულიც ვიყავი, შიშმა რომ ამიტანა. მივდიოდით ასე ამ შუადღის მზის სხივებით დაფენილ გზაზე, კიდევ ჩვიდმეტი მილი გვექონდა გასავლელი და მანამდე უნდა გადაგვეწყვიტა, რა გვექნა და რა გავვეკე-

თებინა. უკან გვრჩებოდა მაისის აყვავილებული მიწა, მტვრის ბული გვეხვეოდა, მოგვეყვებოდა და სიჩქარის შენელების ხანს ჯდებოდა, როდესაც ხიდს ან ქვიშნარს ვუახლოვდებოდით. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაღეულებული ეს ჩვიდმეტი მილი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვიდმეტი მილი იყო. საგზაო ბოძები ქრებოდა ერთიმეორის მიყოლებით, სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა ის წამი, როცა უნდა მცოდნოდა, რის გაკეთებასაც ვაპირებდი. მე კი არ ვიცოდი არაფერი ან ვინმეს ეთქვა რაღაც მაინც, სიტყვა დაეძრა, ხმა ამოედო, თუნდაც უკეთურობას რაც უნდა, ის საზღაური მოეთხოვა მერე, მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო მარტოობა, დუმილი. დაბოლოს, ბუნმა სცადა რაღაცის გაკეთება, იქნებ სიჩუმის ბრალი იყო ყველაფერი, იქნებ ჯობდა რაიმეს თქმა, თუნდაც ბრიყვულისა და იმთავითვე დასამარცხებლად განწირულისა. მაგრამ არა, საქმე ის იყო, უკვე ნახევარი გზა გავიარეთ და რაღაც უნდა გაგვეკეთებინა, დაგვეწყო, დავძრულიყავით.

- ნუ იტყვი, ისეთი გზაა, იოკნაპატოფას იქითაც ასეა. ვაცი ვერც ნახავს უკეთეს გზას მანქანისთვის, ვთქვათ, დაკრძალვაზე თუ მიემგზავრები. როგორ ფიქრობ, დაღამებამდე სადამდე მივალთ?

ხომ ხედავ? არც არავის მიმართა იმ ვაცივით, ვინც წყალში ფართხალებს და სასოწარკვეთილს ხელი ამოუშვერია, ხავსს ეძებს მოსაჭიდებლად. მაგრამ ბუნმა ხავსიც ვერ ნახა.

- არ ვიცი, - წარმოთქვა უკან მჯდომმა დეიდა კელიმ, ალექსანდრე მკლავზე გადაეწვინა. ქალაქიდან რაც წამოვედით, სულ ეძინა, ჩვიდმეტი მილი კი არა, ერთ მილზე გამოსეირნება არ დაუმსახურებია, - და შენც ვერაფერს გაიგებ, თუმცა კი სულ მანქანას უტრიალებდი პატრონის უკანა ეზოს ფარდულში ბოქლომით ჩაკეტილს.

თითქმის მივალწიეთ ადგილს.

- ჰოდა, შენც ეს გინდა, - მხოლოდ ჩემს გასაგონად გამოცრა კბილებში ბუნმა. პირდაპირ მარჯვენა ყურში დამიმიზნა, ვითარცა

ტყვია, ან ისარი, ან კიდევ, დაკეტილ სარკმელს პეშვით სილას რომ მიაყრიან, ისე.

- ხმა ჩაიწყვიტე, - ზუსტად ისევე მივუგე მე. ყველაზე ლაჩრული იქნებოდა მეთქვა მისთვის, გაჩერდი-მეთქი, მაშინვე მანქანიდან გადმოვმხტარიყავი და გავქცეულიყავი. დეიდა კელის კი ალექსანდრე მიეჩეჩებინა ბუნისთვის ხელში და ბუჩქებში გამომკიდებოდა ან ალექსანდრე უფრო მაგრად მიეხუტებინა და კვილს მოჰყოლოდა. ბუნი მაშინ ალბათ გზას გააგრძელებდა, სახლთან გადმოსხამდა მათ, მე კი ისევ გზაზე გამოვხტებოდი, ისევ ჩავჯდებოდი მანქანაში, როდესაც უკან, ქალაქისკენ გამოსწევდა ან სულ სხვა მიმართულებით, სადაც აღარ შევხვდებოდი იმათ, ვინც ხელს მტაცებდა და თავისუფლებას წამართმევდა. ლაჩრისა იყო ეს არჩევანი და არ ვიცი, რად არ ვქენი ასე, მე ხომ უკვე ტყუილების გუდა ვიყავი, ცრუპენტელა და რატომღა უნდა გაგჩერებულიყავი, არ გავმხდარიყავი მშიშარა და საბოლოოდ არ დამეღუპა თავი ფაუსტივით. თავს სიმდაბლის გვირგვინი დამედგა, ჩემი ახალი ბატონი მეიძულებინა პატივისცემით მომქცეოდა, თუნდაც შევზიზღებოდი ასეთი გულნამცეცობის გამო. მაგრამ ეს არ ვქენი. და არც მოხდებოდა ასე, რადგანაც ერთი ჩვენგანი მაინც უნდა ყოფილიყო პრაქტიკული ჭკუისა. ვთქვათ, ბუნი და მე კარგა შორს წავსულიყავით, ვიდრე დეიდა ლუიზა ვინმეს გაგზავნიდა მინდორში ბიძია ბაკის წამოსაყვანად, თესვის დროს ის ყოველთვის დღის სამ საათზე იმყოფებოდა ხოლმე მინდვრად, და თუ ბიძია ბაკი ცხენით ვეღარ წამოგვეწეოდა... თუმცა არც იზამდა ამას, პირდაპირ ქალაქში გაჰქუსლავდა და საკმარისი იქნებოდა, წამით ენახა ნედი და ბიძია აიკი, რომ უკვე სცოდნოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო, და კიდევაც იზამდა ამას, ტელეფონსა და პოლიციას მოიშველიებდა.

ჩვენ ჩამოვედით, გადმოვძვერი და ჭიშკარი გავაღე (ბოძები ბებერი კუინტუს კეროზერსის დროინდელი იყო; შენმა ბიძაშვილ-

მა კეროზერსმა კი ეს შესასვლელი ისე მოაწყო, რომ საქონელი ვერ შევიდოდა, მაგრამ ავტომობილს კი შეეძლო, უჩლიქებო იყო და არავინ დაუშლიდა). სახლისკენ გავსრიალდით ვიწრო გზით (ახლაცაა ეს ოროთახიანი ძეგური სახლი, ხვრელები თიხით აქვს ამოლესილი; ეს სანახევროდ საცხოვრებელი და სანახევროდ ციხესიმაგრე ბებერ ლუციუსს აუგია 1813 წელს, როდესაც თავისი მონებითურთ კაროლინის მთები გადმოუვლია; ახლაც დგას ეს სახლი გადაბმულ ფიცრებქვეშ, ედმონდსების რამდენიმე თაობის ცოლების ხელით მოჩუქურთმებული ამერიკული ნეოკლასიციზმის ყაიდაზე, ასეთ ჩუქურთმებს იმხანად გემის ბანზე გამართული საყუდრების ქვეშაც ნახავდით).

მამიდა ლუიზამ და ყველამ, ვინც იქ იყო, ჩვენი მოახლოების მაუწყებელი ხმა შორიდანვე გაიგონეს (ალბათ გარდა იმათი, რომელთა დანახვაც ეზოში ცხენზე ამხედრებულ ბიძია ზაკს შეეძლო), ჰოდა, წინა აივანზე, კიბის საფეხურებზე და ეზოში გამოფენილიყვნენ, როდესაც მივედით და გავჩერდით.

- კარგი, - მითხრა ბუნმა ისევ ისე ტუჩების შეურხევლად, - ესე იგი, გინდა.

რადგანაც, როგორც ახლა ამბობთ, მორჩა და გათავდა, დრო იმას აღარ ჰქონდა და საშუალება, პირისპირ დამლაპარაკებოდა, თუნდაც გადაკრული ნათქვამით გაეგო ის, რის გასაგებად სულსაც არ დაიშურებდა; ჩვენ - ის და მე - მოყვარულებიც კი არა, უარესნი - ახალბედები ვიყავით, გესმის, ბაღლებივით, ჩვილებივით გამოუცდელი, მანქანის ქურდები, თუმცა ჩვენგან არც ერთი ქურდობას არ დაარქმევდა ამას, რაკილა უკანვე უნდა დაგვებრუნებინა უვნებლად, თუნდაც ხალხსა და ქვეყნიერებას (ჯეფერსონსაც კი) არ გავხსენებოდით და არ მოვეკითხეთ. თუნდაც, ის შემკითხოდა და მე მეპასუხა, რადგანაც მე უფრო ცუდ დღეში ვიყავი, ვიდრე ის; მართალია, ორივეს დიდი გასაჭირი გვადგა, მაგრამ სად იმის და სად ჩემი, რაკი მე რაღაც უნდა მეღონა, თანაც სას-

წრაფოდ, ორიოდე წამში, იმას კი შეეძლო, მჯდარიყო მანქანაში საჭეზე ხელდაბჯენილს. არ ვიცოდი, რა მელონა, იმდენი ტყუილი მქონდა ნათქვამი, ჩემი თავისვე მიკვირდა, რაც მთავარია, იმა-თაც სჯეროდათ ჩემი, ანუ იძულებულნი იყვნენ, დაეჯერებინათ და ისე ადვილადაც, რომ ამან გამაოცა და შიშმა შემიპყრო. იმ ბებე-რი ზანგივით ვიყავი, ვისაც ასე უთქვამს: „შენ წინაშე ვარ, ღმერ-თო, და თუ ჩემი გადარჩენა გნებავს, ვერც ნახავ ამაზე უკეთეს შემთხვევას, რამეთუ აქ ვარ და ვუმზერ შენს მეუფებას“. ჩემი ისა-რიც გავტყორცნე და ბუნისაც. და თუკი რომელიმე ჩვენგანის სულს კვლავ უკეთურობა მოისურვებდა, ახლა მისი სვლის ჯერი იყო.

და კიდევ გააკეთა სვლა ანუ გამოგვეცხადა ბიძია ზაქარია ედ-მონდსის სახით. სწორედ ამწუთას გამოვიდა სადარბაზოს კარი-დან და სწორედ ამწუთას დავინახე, ერთი ზანგის ბიჭი იდგა ეზოში და ხელში მისი ცხენის აღვირი მოემარჯვებინა. გესმის, ზაქარია ედმონდსი, კაცი, რომელიც არც არავის უნახავს ჯეფერსონში სა-მუშაო დღეს მარტის თვიდან, როდესაც თესვა იწყებოდა, ივლი-სამდე, როდესაც მოსავლის აღება მთავრდებოდა. ახლა, ამ დი-ლას ქალაქში იყო (სასწრაფო საქმე ჰქონდა წისქვილში მოსაგ-ვარებელი) და ბიძია აიკის დუქანთან იდგა, ერთი საათი თუ ცოტა ურფო მეტი საკმარისი აღმოჩნდა ბუნისთვის გასაპარსავად და პერანგის გამოსაცვლელად, ამ დროს კი ბიძია ზაკმა მოასწრო ცხენით სახლში მოსვლა და თავის ეზოში ჩამოხდომა სწორედ იმ-წუთას, როდესაც ჩვენ მანქანით მივვრიალდით. დამიძახა, - შენ აქ რას აკეთებ? აიკმა მითხრა, ამაღამ ქალაქში უნდა გაათიოსო. შენი წაყვანა უნდა ხვალ სათევზაოდო.

რალა თქმა უნდა, მაშინვე წივილ-კივილი ატეხა დეიდა კელიმ და პასუხის გაცემა აღარ მომიხდა, თორემ რა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი. სათევზაოდო, გაჰკიოდა ის, კვირადღესო? ერთი ეს მა-მამისს გაეგონა და მატარებლიდან გადმოხტებოდა, დეპეშასაც

არ გამოაგზავნიდა, ისე! დედამისიც ამას იზამდა! მის ელისონმა აუკრძალა მას ქალაქში დარჩენა ბ-ნ აიკთან თუ სხვასთან! შენთან და ბავშვებთან ერთად წამოვიდეს, და თუ არ დაგიჯერებს, მაშინ ბიძია ზაკს უთხარიო!

- დაიცა, დაიცა, - თქვა ბიძია ზაკმა, - თავზე ნუ დამკვივი. რას მეუბნება, ვერ გავიგე, იქნებ გადაიფიქრა, ასეა?

- სერ, - მივუგე, - დიახ, სერ, უფრო სწორად, არა, სერ.

- რაო? რას ამბობ? აქ დარჩები თუ ბუნს გაჰყვები უკან?

- დიახ, სერ, უკან დავბრუნდები. ბიძია აიკმა დამიბარა თქვენთვის მეკითხა, - ვთქვი ეს და იმწუთასვე ისევ აკვილდა დეიდა კელი (თუმცა არც შეჩერებულა, მხოლოდ ერთი წამით მოითქვა სული, შეიძლება სწორედ იმწამს, როდესაც ბიძია ზაკმა მიაცხა, გაჩერდიო), ჰოდა, კიოდა და კიოდა, ბიძია ზაკი კი თავისას გაიძახოდა.

- გაჩერდი, გაჩერდი-მეთქი, ნუ დამაყრუე, თუ აიკს ხვალ არ გამომიგზავნის, ორშაბათს თავად ჩამოვაყვანიებ.

მანქანას მივაშურე, ბუნს უკვე მოეწარო მისი ამუშავება.

- ჯანდაბას ჩემი თავი, - თქვა, თუმცა კი ხმადაბლა, დიდი პატივისცემით და მოწიწებითაც.

- წავიდეთ, - მე ვუთხარი, - ჩქარა წავიდეთ აქედან.

ჭიშკრისკენ მივსრიალებდით, სწრაფად და თანდათან ვუმტებდით სიჩქარეს.

- შეიძლება, ტყუილად ვკარგავთ დროს, ავტომობილით გასეირნებაა და მეტი არაფერი, - თქვა მან, - სულ ტყუილად მოგაცდინე, მგონი. ჯობდა, ფული გაგვეკეთებინა.

წამოდი-მეთქი, ასე ვუთხარი, რადგან, როგორ უნდა მეთქვა მისთვის, გული მერევა, აღარ შემიძლია ამდენი ტყუილი-მეთქი. ვინაიდან ვიცოდი, უკვე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და გაუთავებელი იქნებოდა, დაუსრულებლივ გაიბერებოდა ჩემი ტყუილების გუდა, ძველის გასამართლებლად სულ ახალი

და ახალი უნდა მეთქვა, ისე, რომ ის ძველიც, უკვე ფერგასული და გახუნებული, მოცილებული არ მექნებოდა.

ქალაქს ვბრუნდებოდით. ამჯერად სწრაფად მოვდიოდით და გარშემო ბუნების სურათები ჩვენთვის, ვინც ავტომობილში ვისხედით, გინდ ყოფილა და გინდ - არა. ხუთი საათი იქნებოდა მალე. ბუნმა დაძაბულად, მტკიცედ, თუმცა კი მშვიდად წარმოთქვა:

- ცოტათი უნდა გავაგრილოთ. ქალაქში დაგვინახეს, მთელი საბავშვო ბაღი მიგვყავდა მაკვასლინებთან, ახლა კი უკან ორნი-და ვბრუნდებით. ჰოდა, იმას იფიქრებენ, პატრონის გარაჟში დააყენებდნენ მანქანას. მერე კი ცალ-ცალკე უნდა გვნახონ, ლაღად რომ დავსეირნობთ და არსადაც არ ვაპირებთ წასვლას. - აბა, ამის შემდეგ როგორღა უნდა მეთქვა - არა, ახლავე წავიდეთ; თუკი ტყუილი კიდევ უნდა ვთქვა, ჯობს, უცხო ადამიანებს ვუთხრა. ის კი განაგრძობდა, - მანქანა... რაო, რა თქვა იმან? სანამ წახვალთ, ქალაქში დაბრუნებას თუ ინებებთო?

- რაო? ვინ თქვა?

- ნედმა. მაშინ, ქალაქიდან რომ მივდიოდით.

- არ მახსოვს, - მივუგე, - მანქანას კი რა ვუყოთ?

- სადმე უნდა დავტოვოთ. მანამდე კი მოედანზე ვიხეტიანლებ, შენც სახლში მიხვალ ტანსაცმლის გამოსაცვლელად და კიდევ სხვა რაღაცების წამოსაღებად. მთელი ბარგი-ბარხანა მაკვასლინებთან გადმოვტვირთე, ხომ გახსოვს, შენიც. მგონია, ასე ჯობს, თორემ შეიძლება, სახლთან ვინმე ყალთაბანდი წინ და უკან სიარულს მოჰყვეს, იქნებ რამე დავინახო.

ორივემ ვიცოდით, ვინც იყო ის ყალთაბანდი.

- მოდი, ეტლების სადგომში ჩავკეტოთ.

- იმის გასაღები არა მაქვს, - მითხრა მან, - მარტო ბოქლომი. პატრონმა გამომართვა გასაღები ამ დილით, ბოქლომი გახსნა და მერე გასაღები

შესანახად ბ-ნ ბელოტს მისცა, შენ გქონდეს, სანამ დავბრუნდებიო. მე კი ავტომობილი თავის ადგილას უნდა დავაყენო. როგორც კი მაკვასლინებისგან მოვბრუნდები, ბოქლომი უნდა ჩაკეტო, ის უგასაღებოდ იკეტება. პატრონი კი ბ-ნ ბელოტს დეპეშას გამოუგზავნის, ამა და ამ დროს ჩამოვდივარ, უნდა დავხვდე.

- მაშინ უნდა გავბედოთ და ეგ არის, - ვუთხარი მე.

- ჰო, უნდა გავბედოთ. პატრონი და მის სარა წასულები არიან, დელფინაც კი ვერ ნახავს მას ორშაბათ დილაამდე.

ჰოდა, გავბედეთ კიდევაც. ბუნმა ეტლების სადგომში შეიარა, სადღაც ზემოდან გადმოიღო გადამალული ჩანთა და ქურთუკი, მერე ხელით ჩამოსწია ბრეზენტის და ჩანთა და ქურთუკი მანქანის უკანა სავარძელზე დააგდო. ბენზინის ავზი გამზადებული ჰქონდა. სულ ახალთახალი იყო, ხუთგალონიანი, ბაბუამ ისე გააკეთებინა იმ მეთუნუქეს, ვისაც ხელსაწყოების ყუთი დაუკვეთა, ავზს სუნი აღარ ასდიოდა. ბებიას არ სიამოვნებდა ბენზინის სუნი. მანამდე ეს ავზი ერთხელაც არ გამოგვიყენებია, რადგანაც მანქანა შორს ჯერ არსად არ წაუყვანიათ. ძაბრი და ნატის ფილტრი დოკრატთან და ქანჩთან ერთად უკვე გვეწყობო იმ ხელსაწყოების ყუთში, თავიდანვე რომ მოჰყვა მანქანას. გვექონდა კიდევ ფარანი, ცული, ნიჩაბი, ეკლიანი მავთულის გორგალი და ჯალამბარი, ბაბუამ რომ დაამატა, არც თუნუქის ვედრო დავიწყებოდა რადიატორში წყლის ჩასასხმელად, თუკი წყაროსთან ან გუბესთან გავლა მოუხდებოდა. ბუნმა ის ავზი (სულ გაევისო, შეიძლება ამიტომ შეავგიანდა მობრუნება) უკანა სავარძელზე დადგა, მერე ბრეზენტი აიღო, თუმცა სულ არ გაუშლია და ისე დააგდო, რომ დამალული რაც ჰქონდა, არაფერი გამოჩენილიყო.

- შენი რამერუმეებიც იქ შევყაროთ, - თქვა ბუნმა, - მაშინ ეგონებათ, ბრეზენტის დაკვეცვა დაზარებიათო... ახლა კი სახლში წადი, სუფთა პერანგი წამოიღე, პირდაპირ აქ მოდი და დამიცადე.

მეც მალე მოვალ, მოედანზე გავივლი ერთხელ, იქნებ აიკმა რა-
ღაცების გამოკითხვა დამიწყოს. ჰოდა, მერე წავიდეთ კიდევაც.

ჭიშკარი დავკეტეთ, ბუნს უნდოდა ბოქლომის ჩამოკიდება,
მაგრამ მე ვუთხარი, - არა, არც კი ვიცი, რატომ ვუთხარი, ალბათ
ბოროტებამ კარგა მაგრად იჯეჯილა ჩემს სულში, - ჯიბეში ჩაიდუ-
მეთქი.

ბუნი მიხვდა რატომაც, და ასე მითხრა:

- მართალი ხარ, ეშმაკმა დასწყევლოს, ამდენი გაგვიკეთებია
და სულაც არ გვჭირდება, ვიღაც გამოტყვრეს, ვისაც ეგონება და-
კეტვა დავიწყებიაო და თავად დაკეტოს.

სახლში წავედი, სწორედ ქუჩის გადაღმა რომ იდგა, ახლა იქ
ბენზინის სადგურია, ბაბუას სახლი კი მრავალ ბინად არის დაყო-
ფილი, მობინადრეები აქ დიდხანს ვერ ძლებდნენ. სახლში არა-
ვინ იყო და, რა თქმა უნდა, არც დავკეტათ, რადგანაც იმ დროს
ჯეფერსონში არავინ არ კეტავდა სახლს. ექვსი საათი ახალი დაწ-
ყებული იყო, მზე კიდევ კარგა ხანს არ ჩავიდოდა, თუმცა დღე უკ-
ვე გალუულიყო, გათავებულიყო; ჩუმი და ცარიელი სახლი სუ-
ლაც არ იყო უკაცრიელი, თითქოს უჩინარი სულელები ტრიალებდა
აქ. უცებ დედა მომინდა. შეჩერება მინდოდა, ყელში ამომსვლო-
და თავნებობა, იქ მიბრუნება მინდოდა, სადაც არ იყო საფრთხე
და სადაც ვერ ვიზამდი იმას, რისი ჩადენაც ავტომობილის ქურ-
დობას ნიშნავდა, მაგრამ გვიანლა იყო. არჩევანი უკვე გაკეთებუ-
ლი გვქონდა, სატანისთვის მიმეყიდა სული რაღაც ოსპის შეჭა-
მანდისთვის და კიდევაც უნდა მეხვრიპა ეს შეჭამანდი; განა ბუნმა
არ მომაგონა, თითქოს განჭვრიტა კიდევ ეს ჩემი სისუსტე და მერ-
ყობა ამ გამოცარიელებულ სახლში და ასე გამაფრთხილა, ამ-
დენი გაგვიკეთებია და აწი რა გაგვაჩერებსო?!

ჩემი ჩასაცმელი - სუფთა პერანგები, შარვლები, წინდები, კბი-
ლის ჯაგრისი, - ყველაფერი მაკვასლინებთან წაიღეს. ცხადია, კი-
დევ ბევრი იყო დარჩენილი იმ ჩემს ყუთში, გარდა კბილის ჯაგრი-

სისა, რომელიც, თუნდაც ნაძლევს დავდებ, დედის არყოფნის დროს არც არავის გაახსენდებოდა, არც დეიდა კელისა და არც მამიდა ლუიზას. მაგრამ ჩასაცემელი არათფერი წამომიღია იმიტომ კი არა, რომ დამავიწყდა, წამოღება არ მინდოდა. სახლში ისე შევედი, კარის უკან ვიდექი კარგა ხანს, რათა თავი დამერწმუნებინა, ჩვენ ორთაგან ფარ-ხმალს უთუოდ ბუნი დაყრის-მეთქი. მერე გამოვედი, ქუჩა გადმოვჭერი, ბაბუას უკანა ეზო გადმოვიარე და საჯინბოსკენ გავეჩიე. თუმცა არც ბუნს დაუყრია თურმე ფარ-ხმალი. იქ მისულმა გავიგონე ძრავას თუხთუხი. ბუნი უკვე საჭეს მისჯდომოდა და, მგონი, სიჩქარეშიც ჩაეგდო.

- სუფთა პერანგი რად არ წამოიღე? - მითხრა მან, - კარგი, მემფისში გიყიდი. დაჯექი და წავიდეთ, - უკანა სვლით გამოვიდა ფარდულიდან. კარზე ისევ იყო დაკიდებული ღია ბოქლომი. შემოდიო, და მის დასაკეტავად ნუ გაჩერდები, მითხრა, უკვე გვიანიაო.

არა-მეთქი, მივუგე. თუ რატომ, მაშინაც ვერ ვიტყვოდი: ბოქლომი დაკიდებული იყო და ურდულიც გადარაზული. ისევ გეგონებოდათ, მანქანა შიგნით დგას თავისთავისო. თუმცა ან იქნებ ესეცაა, იქნებ სიზმარში ვარ და ხვალ დილით, რომ გავიღვიძებ, იქნებ სულაც ახლა, ერთი წამის შემდეგ, გადარჩენილი აღმოვჩნდე, აღარათფერი მიჭირდეს. ჰოდა, კარი მივხურე, ბოქლომიც ჩავკეტე, ბუნს ჭიშკარი გავუღე და ისიც მივხურე. მანქანაში რომ ავძვერი, ის უკვე დაძრული იყო, იქნებ სულაც არ გაჩერებულა.

- უკან თუ წავალთ, მოედანს გვერდით ჩამოვიტოვებთ-მეთქი, - ვთქვი მე. მან კი კვლავ ასე მომიგო:

- უკვე გვიანია, მეტი რაღა შეუძლიათ, აკივლდებიან, - მაგრამ არც არავინ აკივლებულა. მოედანი უკან დაგვრჩა და მაინც არ იყო დაგვიანებული. საბოლოო გადაწყვეტილება ცხადი გახდებოდა ერთი მილის იქით, იქ, სადაც მემფისისაკენ მიმავალ გზაზე გადასახვევი იწყებოდა მაკკასლინებისკენ, სადაც შემეძლო მეთ-

ქვა - სდექ! უნდა ჩავიდე, - და ის კიდევ იზამდა ამას. უფრო მეტიც, შემეძლო მეთქვა, გადავიფიქრე, ისევ მაკვასლინებთან წამიყვანე. ვიცოდი, ამასაც შემისრულებდა. მერე უცებ თავში გამიელვა, ასე რომ მეთქვა, მივტრიალდეთ, ბ-ნ ბელოტს გამოვართმევ გასაღებს, მანქანა უკანვე, გარაჟში ჩავკეტოთ. პატრონმა ხომ ასე იცის, რომ ახლა იქ დგას, ამასაც იზამდა. უფრო მეტიც, მასაც უნდა ასე ვუთხრა, უხმოდ მევედრება კიდევ ამას; ორივენი შეძრწუნებულები ვართ მისი პირადი უგუნურობის გამო კი არა, არამედ ორივემ ერთდროულად როგორ ავიღეთ თავზე ხელი. ჰოდა, ბუნმა იცის, თავს თავად ვერ მოთოკავს, ძალა არ ეყოფა, ჩემი ძალა და პატიოსნება უნდა მოიშველიოს. გესმის? უკეთურობაზე რა გითხარი? თუკი ადგილებს შევუცვლიდით ყოველივეს და ბუნს ხმის ამოუღებლად ვანიშნებდი, გავტრიალდეთ-მეთქი, მაშინ მხოლოდ მის პატიოსნებასა და თანამგზავრობაზე ვიქნებოდი დამოკიდებული, მაგრამ ის, ვისაც ბუნი სთხოვდა, ჯერ კიდევ არ იყო სიკეთითა და გულოვნობით დაჯილდოებული.

ჰოდა, ამიტომაც აღარაფერი ვთქვი, გადასახვევი - ჩემს გადასარჩენად გამოწვდილი უღონო ხელი - გაქრა და წარიხოცა, აღიგავა კიდევაც. ვთქვი, კარგი, ასე იყოს, მოვდივარ. ბუნმა შეიძლება გაიგონა, რადგანაც მისთვის ჯერ კიდევ პატრონი ვიყავი. ასე იყო თუ ისე, ჯეფერსონი ჩამოიტოვა, რაც უნდა იყოს, სატანა მანც შევლის თავის ერთგულთ; ჰოდა, ასე მითხრა:

- ისე კი, რისი უნდა გვეშინოდეს, იქნებ ჯოჯოხეთის ღელესი, მაგრამ ჯოჯოხეთის ღელე ჩვენ ველარაფერს დაგვაკლებს.

- მერედა, ვინ ამბობს, დაგვაკლებსო? - ვუთხარი მე. ჯოჯოხეთის ღელე ხუთი მილითაა დაცილებული ქალაქს და მთელი ცხოვრება ისე ჩაუქროლებს, შეიძლება, არც კი იცოდენ, რა ჰქვია. მაგრამ ვინც მაშინ მასზე გადადიოდა, იმათ კი იცოდნენ. ხის ხიდი კი იყო იმ ღელეზე, ოღონდ იქ მისასვლელად შუა ზაფხულშიც ტალახით სავსე ორმოები უნდა გაგველო.

- მერედა, მე რას გეუბნები, - ბუნმა თქვა, - დიდი არაფერია-მეთქი. მე და ბ-მა უორდენმა ისე გადავიარეთ ამ ერთი წლის წინ, რომ ჯალამბარი არც კი მოგვიშველებია, ცული და ნინაბილა დაგვჭირდა. ბ-მა უორდენმა გამოართვა ვილაცას იმ სახლში, ნახევარი მილის იქით რომ არის და, მგონი, უკან აღარც მიუტანია. შეიძლება ის კაცი თავად მოვიდა და უკან წაიღო მეორე დღეს.

თითქმის სწორი აღმოჩნდა, პირველი ტალახი ჩამოვიტოვეთ და ხიდიც გადავიარეთ. მაგრამ მეორე ლაფმა აღარ გაგვატარა. მანქანა შეძაგდაგდა ერთხელ, მეორედ, გადაიხარა და ვეღარ დაიძრა. ბუნს დრო არ დაუკარგავს, ფეხსაცმელები წაიძრო (დამავიწყდა მეთქვა, კარგადაც აპრიალებული), შარვლის ტოტები დაიკაპიწა და იმ ლაფში ჩააბიჯა, აბა, გადმოჟეციო, დამიძახა, პირველ სიჩქარეში ჩააგდე და, როცა გეტყვი, გაბს დააჭირე, ხომ იცი, როგორც უნდა, ამ დილას ხომ გასწავლეო. საჭეს მივუჯექი, ჯალამბარი არც გადმოუღია, არ მჭირდებაო, ბევრი დრო უნდა ამას, გადმოიღე - უკან დადე, ჩვენ კი გვეჩქარებაო. მართლაც არ დასჭირდა. ღობე მიჰყვებოდა გზას, ზედა ჭიგო ამოაძრო იქიდან და მუხლებამდე წყალსა და ლაფში ჩამდგარმა უკანა ღერძს ამოსდო ბერკეტივით. მიდი, მიდი, ცეცხლი შეუნთეო, დამიძახა და ავტომობილი წამოსწია, მიაწვა მთელი ძალით და მშრალზე ააგდო, გადართე, გადართეო! - დამიღრიალა და მეც არ დამიყვანებია. მერე ამოვიდა, გვერდზე მიმწია და თავად მიუჯდა საჭეს, ტალახიანი შარვლის ტოტები არც ჩამოუწევია.

რადგანაც მზე სადაცაა უნდა ჩასულიყო და უკვე დაღამებული იქნებოდა, როდესაც ბოლენბოსას ჩავიდოდით, ღამე იქ უნდა გაგვეთია, ჰოდა, რაც კი შეგვეძლო გავქანდით და მალე ჩავუარეთ ბ-ნ უოტის, ჩვენი ოჯახის მეგობრის სახლ-კარს; შობა დღეს მამამ წამიყვანა იქ სანადიროდ, რვა მილით იყო დაცილებული ქალაქს და ოთხი მილით - მდინარეს. მზე სწორედ იმ სახლის უკან ჩადიოდა, როდესაც ჩავუარეთ და გზა განვაგრძეთ. მთვარე მალე

ამოვიდოდა, და კიდევ კარგი, რადგანაც ჩვენი მანქანის ნავთის ფარნები იმდენად გზას არ ანათება, რამდენადაც ჩვენს მიახლოებას ამცნობდა შემხვედრთ. უცებ ბუნმა თქვა, ვინ ამაცროლა, შენო? მაგრამ სანამ ვეტყვოდი, მე რა შუაში ვარ-მეთქი, ავტომობილი დაამუხრუჭა. წამით გაუნძრევლად იჯდა, მერე ხელი უკან გაიწვდინა და დაჭმუჭნილი ბრეზენტის გადასწია უკანა სავარძელზე. ნედი წამოიწია და დაჯდა. შავი პიჯაკი და შარვალი ეცვა, თეთრი პერანგი, სახელოებზე ოქროს სამაგრებით და შლაპაც ეხურა თავზე; თუმცა ჰალსტუხი და საყელო არ ეკეთა, მაგრამ საკვირაო სამოსში კი გამოწყობილიყო; ხელში პატარა ხელჩანთა ეკავა (ახლა ამას თქვენ პორტფელს ან მცირე ზომის ჩემოდანს დაარქმევდით), რომელიც ბებერ ლუციუს მაკკასლინს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მამაჩემის დაბადებამდე, არ ვიცი, ახლა შიგ რა ედო, მე კი ყოველთვის ბიბლიას ვხედავდი იქ (მაკკასლინების დიდი ბებუის ნაქონს), თუმცა კითხვა მან არ იცოდა, და კიდევ, პატარა მათარას, რომელშიც ორი სუფრის კოფი ვისკი თუ ჩაეტეოდა.

- ვაი ჩემს თავს, - წამოიძახა ბუნმა.

- აბა, მარტო თქვენ გინდათ გასეირნება?! - მიუგო ნედმა და, ხი-ხი-ხიო, დააყოლა.

IV

- მეც ისევე შემიძლია ამ მანქანით გავისეირნო, როგორც შენ და ლუციუსს, - თქვა ნედმა, - უფრო მეტადაც. პატრონისაა ეს მანქანა, ლუციუსი მისი მხოლოდ შვილიშვილია, შენ კი სულაც არაფერი არა ხარ მისი.

- კარგი, კარგი, - უთხრა ბუნმა, - შემძვრალა ამხელა კაცი ბრეზენტის ქვეშ, მე კი ტალახში ჩამდგარი წელში გავწყდი ამ მანქანის თრევით.

- ერთი იცოდეთ, რა სიცხეა ამის ქვეშ, - თქვა ნედმა, - თავბედი დავიწყევლე, შიშით ვერც გავინძერი, ვაითუ ამ არახრახებულმა თუჯმა ტვინი დამანთხევინოს ოღროჩოღრო გზაზე-მეთქი, და კიდევ მიდი და ელოდე ბენზინით თუ რაღაცით, თუ რაც ჰქვია იმას, არ აგაფეთქოს ნაკუწ-ნაკუწ, არადა რა უნდა მექნა? ოთხიოდ მილით ვიყავით დაცილებული ქალაქიდან. შენი ამბავი რომ ვიცი, ფეხით გამისტუმრებდი სახლში.

- ახლა კი ათი მილია სულ, - მიუგო ბუნმა, - როგორ გგონია, ახლა ფეხით აღარ გაგისტუმრებ სახლში?

სულმოუთქმელად ვუთხარი, ხომ არ დაგავიწყდა, უაიეტის სახლამდე ორი მილია და გინდაც ორი მილით ვიყოთ დაცილებული ბეი სენტ ლუისს.

- მართალი ხარ, - გაუხარდა ნედს, - სულ ცოტა სავალია აქედან.

ბუნმა წამით შეხედა.

- გამოძვერი და კარგად დაახვიე ეგ ბრეზენტი, ხომ ხედავ, რამდენი ადგილი უკავია, - უთხრა ნედს, - იცოდე, კარგადაც უნდა გაანიავო, რაკი ჩვენთან ერთად უნდა ვატაროთ.

- შენ ისე ახტუნებდი და ახეთქებდი ამ მანქანას, - თქვა ნედმა, - მარცხი მომივიდა და ახლა შენი პირიდან ველარ ამოვალ.

სანამ ვიდექით, ბუნმა ფარნები აანთო, ბრეზენტის კიდით ფეხები გაიწმინდა, წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა, შარვლის ტოტები ჩამოუშვა, უკვე შემშრალიყო. მზე ჩავიდა და მთვარემ გამოანათა. კარგა დაღამებული იქნებოდა, ბოლენბოს რომ ჩავიდოდით.

ვიცოდი, რომ ბოლენბო ახლა მეთევზეთა ბანაკი იყო და ვიღაც გამვლელ იტალიელ ბუტლეგერს ეკუთვნოდა. გამვლელს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ერთი ან ორი კვირით გადიოდა იქიდან ოთხ წელიწადში ერთხელ, სწორედ მაშინ, როდესაც ყოველი ახალი შერიფი მუშაობას უნდა შესდგომოდა და ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, სინამდვილეში რა სურდათ მის ამომრჩევლებს. მდინარის მთელი ეს შესართავი, რომელიც ნაწილი იყო ტომას სატპენის სამფლობელოსი, მისი აწ გაცამტვერებული დიდკაცური ოცნების საგნისა, ხოლო თავის დროზე მაიორ დე სპენის სამონადირეო ბანაკი, ახლა ამოეშროთ. მთელი ეს ველური მხარე, სადაც ბუნი თავის ბიჭობაში

ნადირობდა (უფრო სწორად, კუდში დასდევდა თავის მფარველებს) დათვზე, ირემსა თუ ჯიქზე, ახლა ბამბისა და სიმინდის ყანებად გადაქცეულიყო და უაიეტის გადასასვლელიდან სახელი-ლა დარჩენილიყო.

1905 წელსაც კი ხელუხლებელი იყო ეს მხარე, თუმცა ამ დროს იქ ირემს, დათვსა და ჯიქს (ასევე მაიორ დე სპენისა და იმის მონადირეებს) უკვე იშვიათად ნახავდით; ბორანიც აღარსად იყო; ახლა რკინის ხიდს ვეძახდით უაიეტის გადასასვლელს, რკინის ხიდს იმიტომ, რომ ეს რკინის ხიდი პირველი იყო და რამდენი წელი ერთადერთიც, მთელ იოკნაპატოფას ოლქში. მაგრამ დიდი ხნის წინ, ჩიკასოს ტომის ბელადების, ისეტიბეჰას, მოკეტუბეს და ვიღაც მეფისმკვლელი-უმზურპატორის, ვისაც საკუთარი თავის-თვის დუუმი დაერქმია, მმართველობის დროს, როდესაც პირველი უაიეტი ჩამობრძანდა აქდა ინდიელებმა მდინარეზე გადასას-

ვლელი უჩვენეს, სადაც მან დუქანი დადგა, ბორანი ააგო და იმ გადასასვლელს საკუთარი თავის პატივსაცემად საკუთარი სახელი უწოდა, რამდენიმე მილზე ეს არათუ ერთადერთი გადასასვლელი, მთავარი ნავსაყუდელიც იყო; ნავეები (ზამთრობით კი, წყალუხვობის დროს, პატარა ორთქლის გემიც) პირდაპირ უაიეტის დუქნის წინა კარს მოადგებოდნენ ხოლმე ვიკსბერგიდან ჩამოტანილი ვისკით, გუთნებით, გაუწმენდი ნავთითა და პიტნის კანფეტებით და უკან დაბრუნებულებს აქედან მიჰქონდათ ბამბა და ბეწვეული.

მაგრამ მემფისი ვიკსბერგზე უფრო ახლოს იყო და ჯორებიტაც კი იქ უფრო მალე მიხვიდოდით, გზაც შეიძლებისდაგვარად სწორი გაიყვანეს ჯეფერსონიდან მდინარის სამხრეთის მოსახვევამდე, სადაც უაიეტის ბორანი მიდიოდა, ასევე, ჩრდილოეთის ნავსაყუდელიდანაც, სადაც ბორნითვე შეიძლეოდა ჩასვლა, მემფისამდეც შეიძლებისდაგვარად სწორი იყო გზა. ბამბასა და სხვა ტვირთს სწორედ ამ გზით ეზიდებოდნენ ჯორებითა და ხარებითაც; სწორედ ამ დროს გამოტყვრა ერთი უთვისტომო გოლიათი, ვინც იძახდა, ბოლენბო ვარო; ზოგი ასე ამბობდა, მართლაც გამოისყიდაო უაიეტისგან პატარა, ბნელი, აქამდე ჯერ კიდევ მყუდრო ერთთახიანი სამყოფელი, საცხოვრებელიცა და დუქანიც და ამავე დროს ჩიკასოს ძველ გადასასვლელზე მისი რაღაც უფლებანი. სხვანი კი იმასაც ამბობდნენ, რომ იმ ბოლენბომ უბრალოდ ასე განუცხადა მას (უაიეტს), შენ აქ დიდხანს იყავი, ჰოდა, კმარა, ოთხი მილით გაეცალე მდინარეს და ფერმერობა დაიწყეო.

ასე იყო თუ ისე, უაიეტი ასეც მოიქცა და მას შემდეგ მისი პატარა, მივარდნილი ადგილსამყოფელი ხმაურიანი ბუდე გახდა: ღამის გასათევი შენობა, სასაუბმე და ლუდხანა იმათთვის, ვინც ყოველდღე გზაში იყო, ნავეების ჩხუბისთავი დამქირავებლებისა თუ ადგილობრივი მეჯორეებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ნავსა-

ყუდელის ორივე მხრიდან მობჯენილ ნაპირებზე ხვდებოდნენ ფურგონებს, შესაბამელად მზად ჰყავდათ დასვენებული ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ჯორიც, მერე ამ ფურგონებს ლანძღვა-გინებით მდინარის ნაპირზე მოათრევდნენ, ბორნით მეორე მხარეს, იქიდან კი - ციცაბო სავალით ფლატეზე გადაიყვანდნენ. აქ გაუთავებელი ღრიალი იდგა, ნამდვილ ვაჟკაცებს თუ შეეძლოთ აქ მოსვლა. კარგ ვაჟკაცებს-მეთქი, სანამ პოლკოვნიკმა სარტორისმა (იმ ბანკირს არ ვგულისხმობ, ვისაც დაუმსახურებელი დიდება ნაწილობრივ მემკვიდრეობით მოეპოვებინა, ვინც ამწუთას გახლდათ მიზეზი ბუნისა და ჩემი იქ ყოფნისა; მე მის მამაზე მოგახსენებთ, სამხრეთის კონფედერაციული შტატების მამაც პოლკოვნიკზე, ვინც მეომარი, მოქალაქე, სახელმწიფო მოღვაწე, დუელიანი და, თუ დავუჯერებთ ერთი ოცდაერთი წლის იოკნაპატოფელი ყმაწვილკაცის ბიძაშვილებისა თუ გარებიძაშვილების სიტყვას, კაცისმკვლელიც იყო), სანამ-მეთქი რკინიგზა არ გაიყვანა სამოცდაათიანი წლების შუაში და არ დაანგრია ეს დაუწყნარებელი ადგილი.

ოღონდ არც ბოლენბოს დუქნისთვის და არც თვით ბოლენბოსთვის ხელი არავის უხლია. ფურგონთა წყება მოაწყდა აქაურობას და მდინარიდან ნავეები განდევნეს, „ბოლენბოს ბორანმა“ კი „უაიეტის გადასასვლელი“ შეცვალა. მერე რკინიგზაც გაიყვანეს და ბამბის გადასაზიდავად აღარც ფურგონები გახდა საჭირო და აღარც ბოლენბოს ბორანი. თუმცა, ორმოცი წლის წინათ, იმ ვაჭართან, უაიეტთან დადებული გარიგებით ბოლენბომ დაამტკიცა, რომ დიდებულად შეეძლო განეჭვრიტა, რა ძალისა იქნებოდა მომავლის ზვირთები და ზურგზე როგორ უნდა მოქცეოდა მათ; ახლა კი თავისი ვაჟიშვილის, კიდევ ერთი გოლიათის სახით, ვინც 1865 წელს (ასე ამბობდნენ) შეერთებული შტატების ბანკნოტებით გამოკერილი პალტოთი დაბრუნებულიყო (როგორც თავად ამბობდა) არკანზასიდან, სადაც (მისივე თქმით)

ღირსეულად დაუტოვებია ცხენოსანთა მოიერიშე რაზმი, მისი მეთაურის სახელი კი ვერა და ვერ გაეხსენებინა. მამამ თავის უკან მობრუნებულ ვაჟიშვილში დაინახა, რომ იგი მასავით მოხერხებული, მარჯვე და წინდახედული იყო. თავდაპირველად ბოლენბოსას მხოლოდ ერთი ღამე რჩებოდნენ, მერე კი საგანგებოდ დაიწყეს აქ ჩამოსვლა, ყოველთვის ღამე და მეტწილად ჰაიჰარად, რათა ბოლენბოს ჭანჭრობში ცხენის ან ძროხის გადამალვა მოესწრო, სანამ კანონის მსახურნი და მათი პატრონები ჩამოუსწრებდნენ. კანონის მსახურნი-მეთქი იმიტომ, რომ ცოფებმორეული აუარება ფერმერი ჩამოდოდა ხოლმე ერთი მიმართულებით მომავალ კვალს გამოდევნებული, აგრეთვე შერიფებიც, კაცის-მკვლელების კვალს რომ მოსდევდნენ. ფედერალური უწყების გადასახდის ამკრეფსაც დაეტოვებინა იმავე მიმართულებით ნაკვალევი. თუ პირველი ბოლენბო ვისკით ვაჭრობდა, ახლანდელი ვისკის თავად ხდიდა, ამასთან, მფლობელი იყო საცეკვაო დარბაზისა. ასე დაარქვა მას, როგორც ჩანს, თვალის ასახვევად, რადგან ვინ არ იცოდა ირგვლივ ერთი მილის მანძილზე, რა გარყვნილების ბუდე გახლდათ ეს ადგილი; მღვდლები და მოხუცი ქალბატონები ცდილობდნენ შერიფების არჩევნებისას ისეთების გაყვანას, რომლებიც ბოლოს მოუღებდნენ ბოლენბოელი ლოთების, ვაიმუსიკოსების, კარტის მოთამაშეებისა და კალთამადლიანი გოგოების თარეშს იოკნაპატოფას ოლქში და მთლიანად მისისიპიშიც. მაგრამ ბოლენბოსა და მის ირგვლივ - საჯინბოს, თავშესაქცევ სრასახლსა, თუ რაც გნებავთ, ის დაარქვით - მყოფთ სულსა და გულს არ გვიმღვრევდა, იქ რაც ხდებოდა. თავად ისინი არასოდეს ტოვებდნენ თავიანთ ადგილსამყოფელს და თუ არ გინდოდა იქ მისვლა, არავინ გაიძულებდა; ამასთან, მისი ახალი საქმიანობა (თუ თავყვანისცემის საგანი) ფრიად შემოსავლიანი იყო. ჰოდა ხმა დაირხა, რომ თუკი ვიღაც-ვიღაცების მარიფათი და თავმომწონეობა მხოლოდ დაფეხვილი ცხენისა და მჭლე ხბოს

ქურდობით შემოიფარგლება, აქ არც უნდა ჩაბრძანებულიყვნენ. ჭკუადამჯდარი ხალხი კი არც იხედებოდა ბოლენბოსკენ, მათ შორის, რა თქმა უნდა, შერიფებიც, რომლებიც არა მარტო ჭკუადამჯდარნი იყვნენ, არამედ ოჯახის პატრონებიც და კარგად ახსოვდათ ის უბედური მოხელე, გადასახადის ამკრეფი ფედერალური უწყებიდან, ამ ცოტა ხნის წინ რომ ჩავიდა და უკვალოდ გაქრა.

სწორედ ასე იყო 1886 წლის ზაფხულამდე, სანამ ერთი ბაპტიისტი მღვდელი - ჰაირამ ჰაიტაუერი, კაცი ბოლენბოსავით გოლიათი, ვინც ფორესტის ერთ-ერთი ასეულის კაპელანი გახლდათ, 1861-1865 წლებში ყოველ კვირას, ხოლო დანარჩენ ექვს დღეს იმ ასეულის მეომრებიდან ყველაზე სასტიკი და მძვინვარე, ვინც ცხენზე ამხედრებული ბიბლიითა და მუშტებმომარჯვებული შეიჭრა ბოლენბოს სამფლობელოში და მუშტების წყალობით ჭემმარიტ გზაზე დააყენა სუყველა, ზოგს ერთხელ გაჰკრა, ზოგს ორჯერ ან სამჯერაც, თუკი საჭირო იყო. ჰოდა, 1905 წლის მაისის ერთ დღეს შებინდებისას ბუნი და ნედი რომ აქ ჩამოვიდნენ, ბოლენბოს უკვე მესამე თაობა დახვდათ აღზვევული, ანუ ორმოცდაათი წლის შინაბერა, მისი ერთადერთი ასული - გორობი, ხმელ-ხმელი, ჭალარა დედაკაცი, ვინც ფლობდა ას ოცდათხუთმეტ აკრ დიდებულ მიწას, სადაც მოჰყავდა ბამბა და სიმინდი, ხოლო თავისი დუქნის ზედა სართულზე გამართული ჰქონდა ერთი ოთახი, სადაც ელაგა შემოძენილი ლეიბები, თუმცა კი გაქათქათებული ზეწრებით, ბალიშისპირებითა და საბნებით აქ ჩამოსული მეთევზეებისა თუ მეღიებისა და ენოტებზე მონადირეებისთვის, რომლებიც (ასე ამბობდნენ) კვლავაც მოაშურებდნენ ხოლმე ამ ადგილს უკვე სანადიროდ და სათევზაოდ კი არა, მის ბოლენბოს სუფრის ეშხით.

ავტომობილის ხმაური მოესმა თურმე. თუმცა ჩვენ არ ვყოფილვართ პირველნი; მეცამეტენი ხარტ ბოლო ორ წელიწადში, ხოლო ამ ბოლო თორმეტ დღეში თქვენი ავტომობილი უკვე მე-

ხუთეაო, თქვა მან. ამ ქალს უკვე ორი ქათამი დაჰკარგოდა და რაც ჰყავდა, ორფეხი თუ ოთხფეხი, იმათთან ერთად ძაღლებიც კი, ალბათ ყველა უნდა გამოემწყვდია. თავად ის, მზარეული და ერთი ზანგი აივანზე გამოსულიყვნენ სახეზე ხელაფარებულნი, ჩვენი ფარნების მოციმციმე შუქს თვალები რომ არ მოეჭრა. ბუნი, კარგა ხანია, მისთვის უცხო არ იყო, მაგრამ ავტომობილი იცნო პირველად; მართალია, ჩვენი მეცამეტე იყო, მაგრამ ვისი და ვისი იყო, იმის თვალს კარგად შეეძლო უკვე გარჩევა.

- მაშ, როგორც იქნა, მოაღწიეთ ჯეფერსონამდე, - თქვა მან.

- ამ ერთ წელიწადში? - მიუგო ბუნმა, - რას მეუბნებით, მის ბოლენბო, ჯეფერსონამდე კი არა, ათასჯერ ამაზე უფრო შორსაც ყოფილა, ათასჯერ მაინც. თქვენც უარს ნუ იტყვით, მანქანა არც თქვენ გაწყენთ.

სწორედ მაშინ გვითხრა იმ ორ წელიწადში ცამეტი ავტომობილისა და ორი ქათმის ამბავი.

- მათ ცოტათი მაინც გაისეირნეს ავტომობილით, - თქვა, - რასაც ჩემს თავზე ვერ ვიტყვი.

- ნუთუ ჯერ მანქანით არ გაგისეირნიათ? - ჰკითხა ბუნმა. მერე ნედს უთხრა, - აბა, ერთი გადმოდი და დასაქოქი წამოიღე, შენ კი ლიუშ, მის ბოლენბო წინ დასვი, საიდანაც ყველაფერს უკეთ დანახავს.

- დაიცა, - უთხრა მის ბოლენბომ, - ალისას ვეტყვი, ვახშმის გაკეთება არ დაავიწყდეს.

- ვახშამი დაიცდის, - თქვა ბუნმა, - ნაძლევს ჩამოვალ, ალისამაც არ იცის, მანქანით გასეირნება რა არის. აქ მოდი, ალისა. შენ გვერდით ვინ არის, შენი ქმარი?

- გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ, - მიუგო მზარეულმა, - და რომც მინდოდეს, იფემს მაინც არ გავყვები.

- ვინც უნდა იყოს, აქ მოიყვანე, - უთხრა ბუნმა. მზარეული და ის კაცი უკანა სკამზე დასხდნენ, სადაც ბენზინის ბიდონი და დახ-

ვეული ბრებენტი იყო. ნედი და მე ღია კართან ვიდექით, იქიდან ლამპის შუქი გვცემდა და ავტომობილს გავცქეროდით, მისი უკანა ფარნების წითელ შუქს. ის გზაზე გავიდა, მერე შეჩერდა, უკანა სვლით წამოვიდა და გვერდით ჩაგვიქროლა. ბუნმა საყვირი დააყვირა, ოდნავ დაძაბული მის ბოლენბო წინ იჯდა. მანქანამ რომ ჩამოგვიარა, უკანა სკამზე მსხდომმა ალისამ და იფემმა ხელი დაგვიქნიეს.

- ოჰო-ჰო, ბიჭო! - დაუყვირა იფემმა ნედს, - რა ცხენია!

- გეგონოს, - გამოსძახა ნედმა და ბუნს გახედა - მადლობა თქვას, რომ პატრონი აქ არ არის, თორემ ნახავდა სეირს!

ავტომობილმა დაამუხრუჭა, უკანა სვლით წამოვიდა, მოგვი-ახლოვდა და გაჩერდა.

- ჰოო, - თქვა მის ბოლენბომ.

შეტოკდა და მერე მყისვე დასძინა, - აბა, წავიდეთ, ალისა.

ვახშამს შემოვუსხედით. მაშინ კი მივხვდი, რად მოუწევდათ გული აქეთ მონადირეებსა და მეთევზეებს. თავაზიანი მადლობა მოვახსენე მის ბოლენბოს, ბუნმა ლამპა წამოიღო და მაღლა ავე-დით.

- რა ცარიელი მოდიხარ? - თქვა ბუნმა, - სუფთა ცხვირსახოცი მაინც არა გაქვს?

არც არაფერი მინდა-მეთქი, - ვუთხარი.

- აბა, ასე ხომ არ დაიძინებ, ნახე, რა ქათქათა თეთრი ბეწრე-ბია. ფეხსაცმელი და შარვალი მაინც გაიხადე. დედაშენი კბილებ-გამოუწმენდავს არ დაგაძინებდა.

- დამაძინებდა, - მივუგე, - რაღას იზამდა, ჯაგრისი არა მაქვს.

- დედაშენს ეგ ვერ გააჩერებდა, შენც კარგად იცი, თუკი რამეს ვერ იპოვიდი, სამაგიეროს გაგაკეთებინებდა, თავადაც იცი, რა-ტომ.

- კარგი, - ვუთხარი, ჩემს ლეიბზე წამოგორებული ვიყავი უკვე, - ძილი ნებისა.

ლამპის ჩასაქრობად ხელი გაიწვდინა.

- ასე ხომ? - მომადახა.

- თავი გამანებე, - ვუთხარი.

- კიდევ ერთ სიტყვას დაძრავ და სახლში წავალთ. ახლა არა, დილით.

- ამდენი გზა იმიტომ გამოვიარეთ, რომ ახლა შეგშინებოდა?

- ღამე მშვიდობისა, - თქვა, ლამპა ჩააქრო და დაწვა. მყის შემოგვეხვია გაზაფხულის ღამე. ჭანჭრობებიდან ისმოდა ბაყაყების მოგუდული ყიყინი, ხეების შრიალი, ვეებერთელა ტყის იდუმალი ხმები, ველური ბუნება ველური ბინადრებით - ენოტებითა და კურდღლებით, თხუნელებითა და ონდატრებით, დიდი ჭოტებითა და დიდივე მოკასინისა და ჩხარუნა გველებით; გვესმოდა ხეებისა და მდინარის სუნთქვა; და, რა თქმა უნდა, იყვნენ მოჩვენებებიც ძველი ჩიკასოელებისა, რომლებმაც ამ მიდამოს მიანიჭეს სახელები ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოვიდოდა თეთრი ხალხი - უაიეტი, ბებერი სატპენი, მაიორ დე სპეინის მონადირეები, სანამ გამოჩნდებოდნენ ბამბით სავსე ბრტყელძირიანი ნავეები, ფურგონები, ღრიალით რომ მოჰყავდათ გამყოლებს, ყაჩაღები და კაცისმკვლელები, რომლებმაც შვეს მის ბოლენბო; უეცრად ბუნის მხრიდან რაღაც ხმაური მომესმა.

- რას იცინი? - გავძახე.

- ჯოჯოხეთის ღელე გამახსენდა, ასე, თერთმეტ საათზე ვიქნებით იქ ხვალ დილით.

- შენ არ ამბობდი, შავი ღლე დაგვადგებაო იქ?

- მერე და როგორი, - თქვა, - ცულიც დაგვჭირდება მე, შენ და ნედს, ბარიც, მავთულიც, ჯალამბარიცა და არ ვიცი კიდევ რა, ლობის სარებიც. ჰოდა, ნედზე ვიცინი, ხვალ რომ გადავივლით იმ ჯოჯოხეთის ღელეს, მაშინ ვნახავ, რა გუნებაზეც დადგება. სანანებლად გაუხდება, რა უწესობაც ჩაიდინა, რომ გასკდა და გატრუნუ-

ლი იწვა ბრებენტის ქვეშ, ვიდრე მემფისის მიწა არ იგრძნო ბორბლებქვეშ.

ადრე დილას გამაღვიძა მეც და ყველა ნახევარი მილის გარშემო. კარგა ხანი დასჭირდა, სანამ ნამძინარევე ნედს გამოიყვანდა იფემის სახლიდან, სამზარეულოში ასაუბმებდა (და კიდევ უფრო მეტხანს მოუნდა იქიდან მის გამოტყუებას, რაკი ქალი დაინახა იქ). ვისაუბმეთ და ასეთი საუბმის მერე, მონადირე ან მეთევზე რომ ვყოფილიყავი, სულაც ვერ შევძლებდი გარეთ ფეხით ხეტი-აღს. ბუნმა კიდევ ერთხელ გაასეირნა მის ბოლენბო, ამჯერად აღისა და იფემი აღარ დაუპატიჟებია, თუმცა კი იფემი მის გვერდით ტრიალებდა. მერე ჩვენ, უფრო სწორად, ბუნმა ავგში ბენზინი ჩაასხა, რადიატორში - წყალი, იმიტომ კი არა, რომ საჭირო იყო, მე მგონი, იმიტომ, მის ბოლენბო და იფემი რომ უყურებდნენ. მერე გზას დავადექით. მზე ამოდიოდა, რკინის ხიდი გადავიარეთ მდინარეზე (და გემის ჩრდილზეც, ღამე ის არ გამხსენებია); სხვა ქვეყანაში შევდიოდით, სხვა ოლქში. საღამო დადგებოდა და სხვა შტატში, მემფისს ვიქნებოდით.

- თუკი ჯოჯოხეთის ღელეს გავაღწევთ, მაშინ, - თქვა ბუნმა.

- კარგი ერთი, მორჩი ამაზე ლაპარაკს, - ვუთხარი.

- კი, ბატონო, - თქვა, - ჯოჯოხეთის ღელეს იმის დარდი არა აქვს, გინდ ეს გითქვამს, გინდ ის, შენ თავად ნახავ.

ცოტა ხნის მერე დაიძახა, უკვე მივედით კიდევცო.

თერთმეტი საათი ის იყო დაიწყო. სწრაფად გადავიარეთ გორები, გზა მშრალი და მტვრიანი იყო, აქეთ-იქიდან აჯეჯილებული ყანები მოუყვებოდა, კვირადღე იყო, წყნარი და უკაცრიელი; საკვირაოდ გამოწყობილი ხალხი აივნებზე დამსხდარიყო; ბაღლები და ძაღლები მოაწყდებოდნენ ხოლმე ღობეს ან შარაგზაზე გამოცვივდებოდნენ ჩვენ საყურებლად; ჩამოვიტოვეთ ორთვალები, ეტლები, ფურგონები, ცხენებსა და ჯორებზე ამხედრებული ხალხი, თითო ან ორ-ორი თუ სამ-სამი შემომსხდარიყვნენ ცხე-

ნებზე, ოღონდ ჯორზე არა (ცხრას გადაცილებული იყო, როცა სხვა ავტომობილს გავუსწართ). ბუნმა თქვა, ფორდიაო, მის ბოლენბოსავით მყისვე ცნობდა მანქანებს. ყველანი გაბაფხულის ჟამს შეფოთლილ ხეივანებში შემალული პატარა, თეთრად შეღებილი ეკლესიებისკენ მიეშურებოდნენ.

ვეებერთელა ველი გადაიშალა ჩვენ წინ. ტირიფებითა და კვიპაროსებით შემოჯარული ღელისკენ მიმავალ დაღმართს დავადექით. ტყუილად ვიხეთქავდი-მეთქი გულს, ვიფიქრე, ღელე იმ მდინარეზე ბევრად უფრო ვიწროა, მანამდე რომ გადმოვიარეთ. მტვრით გადათეთრებული გზა აღმართს მიჰყვებოდა მის იქითა მხარეს. ბუნმა გინება-გინებით გააქანა მანქანა თავქვე, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლება მალე გაჭრილიყო ბრძოლის ველზე, სადაც ვიღაც სულდგმულს უნდა შეებოდა, ჩვეულებრივ, მტრად ჩასაფრებულს კი არა, არამედ იმას, ვინც დანდობას არ იმსახურებდა, როგორც შენი სწორი მტერი, ადამიანი.

- ერთი ამას შეხედე, - თქვა ასე, - თითქოს ახალდადებული კვერცხივით შეურყვნელი იყოს. გზაც კი მოჩანს აქედან, ვითომ დაგვცინის კიდევ და გვეუბნება, კი, კი, გადადი და მემფისსაც მი-აღწევ, მაგრამ იმასაც ვნახავ, როგორ გადახვალო.

- თუ ასეა, რატომ გვერდს არ ავუვლით? - თქვა ნედმა, - შენს ადგილზე რომ დამსვა, სწორედ ამას ვიზამდი.

- ჯოჯოხეთის დაბლობს ვერ შემოუვლი! - დაუღრიალა ბუნმა, - ერთი გზით ალაბამაში ამოყოფ თავს, მეორით მდინარე მისისიპიში მოადენ ტყაპანს.

- მემფისთან მაქვს ერთხელ ნანახი მისისიპი, - უთხრა ნედმა, - მემფისიცი ნანახი მაქვს, ალაბამა კი არასდროს არ მინახავს, ისე კი არ ვიტყოდი უარს, იქ გავისეირნო.

- შენ ჯოჯოხეთის ღელის დაბლობშიც არ ყოფილხარ, - უთხრა ბუნმა, - იმ ბრეზენტის ქვეშ ხომ გასანათებლად იყავი შემძვრა-

ლი. თუ იცი, აქაც და ჯეფერსონშიც ორად ორი ავტომობილი რატომაა, ეს და კიდევ ის „ფორდი“?

სხვა მანქანა არცაა, აი, რატომ!

- მის ბოლენბოს ცამეტი უნახავს თავის სახლთან ჩამოვლილი ბოლო ორ წელიწადში, - ვუთხარიმე.

- იმათგან ორიც ჩვენია, - თქვა ბუნმა, - ხოლო დანარჩენი თერთმეტი... ჯოჯოხეთის დელესთან ჩარჩენილი დაუთვლია, არ იცი?

- საჭესთან ვინ იყო, საკითხავი ეს არის, - გადმოჰკრა ნედმა და ბი-ბი-ბიო, დააყოლა.

ბუნმა იმწამსვე დაამუხრუჭა ავტომობილი და მოუტრიალდა.

- აბა, გადადი, ალაბამასნახვა ხომ გინდა. თხუთმეტი წუთია ლაყობ და ამდენი დრო დაკარგე ტყუილად.

- მთელი დღე კაცი შენთანაა და გინდა ამის გულისთვის გადასვა? - უთხრა ნედმა, მაგრამ ბუნს ყურიც არ შეუბერტყავს, მგონი, რაც თქვა, დაუფიქრებლად თქვა სულაც. მერე მანქანიდან გადაძვრა, ბაბუამ რომ საფეხურზე ხელსაწყოების ყუთი დაამაგრებინა, სადაც ჰქონდა ჯალამბარი, ნიჩაბი, ცული და ფარანი, ის ყუთი გახსნა, ყველაფერი ამოლაგა ფარნის გარდა და ნედის გვერდით უკანა სავარძელზე დაყარა.

- დროს ნულარ დაგვარგავთ, - სხაპასხუპით თქვა, თუმცა კი აუმღვრევლად, წყნარად, თავდაოკებით, ყუთი დახურა და ისევ საჭეს მიუჯდა, - გავწიოთ, რაღას ვუცდით?

მერე, რა მოხდა-მეთქი, ასე ვფიქრობდი, კიდევ ერთი სოფლის გზა, კიდევ ერთი დაჭაობებული ღელე უნდა გადაგვევლო, ანუ, უფრო სწორად, გზა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო კარგად გამშრალი, მაგრამ არც მთლად ლაფმოვლებული ჩანდა; წუმპეები და ოღროჩოღრო ადგილები ჩვენს ბედად უკვე ჩავლილებს ამოევსოთ ჩინჩხვრითა და ტოტებით, ზოგან კი ტალახი ჯვარედინად დაწყობილი ჭიგოებით დაეფარათ (ჰო, დიახ, უეცრად მივხვდი,

რომ ჩვენ წინ გზა - სხვა როგორღა უნდა ვთქვა - სველი კი არა, ტლაპოდ გადაქცეული იყო სულაც). ჰოდა, შეიძლება ბუნი გახლდათ დამნაშავე, რადგანაც თავად დაასახლა ეს სევდის მომგვრელი არე-მიდამო მოჩვენებებით, ტალახში ჩაფლული ავტომანქანებით, იქიდან გადმომსხდარი ხალხით, რომლებიც გარინდებული კვიპაროსებისა და ტოტებჩამოშლილი ტირიფების ქვეშ, მორიალუ ქინქლების დუნდგოში, სიმწრის ოფლით გახვითქულები აქაურობას იკლებდნენ ლანძღვა-გინებით. მერე გავიფიქრე, მგონი, გავიარეთ-მეთქი, თანაც ისე, თვალი არ მომიკრავს შემშრალი ფერდობისთვის, რაც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ უკვე მიუვახლოვდით მეორე ნაპირს, თუმცა ვეღარც დეღეებს ვხედავდი ჩემ წინ და, მით უმეტეს, ვერც ხიდს. ავტომობილი კიდევ მოსრიალდა, გადაიხარა და ისევ დადგა, როგორც გუშინ გრიგალის დეღესთან; ბუნმა ისევ გაიხადა ფეხსამოსი და წინდები, აიკეცა შარვლის ტოტები, თავი მოატრიალა და ნედს უთხრა, შენც გადმოდიო.

- მე არ ვიცი, რა გავაკეთო, - თქვა ნედმა, არც განძრეულა, - ავტომობილის ჯერ არაფერი ვიცი, ვიქნები აქ ჩემთვის, ლუსციუსის გვერდით, ხელს არ შეგიშლი.

- ხი, ხი, ხი, - გამოაჯავრა ბუნმა ნედი და ბრაზით თვალები გამოაკვესა, - მოგზაურობა ხომ გინდა, ჰოდა, იმოგზაურებ კიდევაც. გადმოდი-მეთქი!

- საკვირაო ტანისამოსი რომ მაცვია... - მიუგო ნედმა.

- მეც მაცვია, - დაუღრინა ბუნმა, - მაგრამ წყვილ შარვალს არ დავკანკალებ და შენც არ გირჩევ.

- ლაპარაკი კარგი იცი, - უთხრა ნედმა, - შენ ბატონი მორი გყავს და რა გიჭირს. მე კი ფულს ჩემით ვშოულობ, დამეხევა და ახალი ჩემით უნდა ვიყიდო.

- შენც ცხოვრებაში არ გიყიდა არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი და ქუდი, - თქვა ბუნმა, - ის ერთი შემოძენილი სერთუკიც

ბებერი ლუციუს მაკკასლინისა გერგო, და კიდევ ვინ იცის, გენერალ კომპსონისა, მაიორ დე სპეინისა და რამდენი პატრონისა. თუ გინდა, ნურც აიკეცავ შარვლის ტოტებს და ნურც ფეხსაცმელს გაიხდი, ჩემი საქმე არ არის. გადმოდდი და ეს ავტომობილი გამო-მათრევინე ცოცხლად!

- ლუციუსი მოგეშველება, - უთხრა ნედმა, - ჩემისთანა ბერიკაცი მასთან რას მივა, ტანით ჩემზე დიდისაა.

- ის საჭესთან უნდა იყოს, - გასძახა ბუნმა.

- საჭესთან მე დავჯდები, თუ გინდა, - მიუგო ნედმა, - რაც მე ცხოვრებაში ცხენები, ჯორები და ხარები მიტარებია, ვითომ ეს ოთხი ბორბალი რა არის მათთან შედარებით, - მერე მე მომიტრიალდა, - გადმოხტი, ბიჭო და ბატონ ბუნს მიეშველე. ფეხსაცმლისა და წინდების გახდა არ დაგავიწყდეს...

- ახლავე მანქანიდან გადმოდდი, თორემ ერთ ხელს ქეჩოში წაგავლებ, მეორე ხელით კი ავტომობილს ქვეშიდან გამოგაცლი, - დაემუქრა ბუნი. ნედმა იკადრა გადმოხტომა, რაღაი მიხვდა, თავს ვერ დაიძვრენდა, მაგრამ რაღაც კი წაიბურტყუნა, როდესაც ფეხზე იხდიდა, შარვლის ტოტებს იკეცავდა და სერთუკის ღილებს იხსნიდა. ბუნს რომ გავხედე, ის უკვე ასკილის ჯაგებში შემძვრალიყო და იქიდან მოათრევდა სამ ლატანსა და ტოტებს.

- ჯალამბარი არ დაგჭირდება? - ვკითხე.

- იცი რა, - მითხრა ბუნმა, - თუ მაგის დრო მოვა, აღარც შემეკითხები. - ასე, ხიდს რაღაცა მოუვიდა, გავიფიქრე, იქნებ ხიდი სულაც აღარ არის. ბუნმა თითქოს ჩემს გულში ჩაიხედა, - ხიდის დარდი ნუ გაქვს, ჯერ კიდევ შორია იქამდეო.

მერე კი მივხვდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ ჯერ ვერა. ნედმა შიშით ჩაყო ფეხი წყალში.

- რა ჭუჭყიანი წყალია აქ, ვერ ვიტან ხოლმე თითებს შუა ჭუჭყს.

- ეს იმიტომ, ჯერ კიდევ არ ხარ კარგად გახურებული, - უთხრა ბუნმა, - აბა, ერთი ეს კეტი აიღე. ხომ თქვი, ავტომობილისა არა

გამეგება რაო. მართალია, ახლა ცოტა შეწუხდები, სამაგიეროდ მთელი ცხოვრება აღარ დაიჩივლებ, - მერე მე მომიბრუნდა:

- პირველ სიჩქარეში ჩააგდე და როცა დავძრავ, აღარ გააჩერო.

ასეც მოვიქეცი, ბუნმა და ნედმა თავ-თავიანთი კეტები ავტომობილის უკანა ღერძს ამოსდეს და დააწვნენ; ორი თუ სამი ფუტით წინ გასწიეს, მერე კი ხუთი ფუტითაც, ვიდრე ისევ არ მოსრი-აღდა და ორივე ისე გაწუწა თავით ფეხამდე, ვითარცა შხეფ-მფრქვევებმა, ჩვენი მღებავები რომ ხმარობენ ახლა.

- ხომ ხედავ, რაც არის? - თქვა ბუნმა და გამოაპურტყა. რაც ძალა და ღონე ჰქონდა კიდევ ერთხელ დააწვა კეტს და ცოტა კიდევ გავწიეთ წინ, - ახლა ხომ მიხვდი, რაც არის ავტომობილი? ცხენსა და ჯორს არ ჩამოუვარდება, უკან არ უნდა დაუდგე მხოლოდ.

მერე ხიდი დავინახეთ. ჰოდა, მივატანეთ კიდევ გზის ისეთ მშრალ (შედარებით) მონაკვეთს, რომ ბუნი და ნედი მათლად ლაფში ამოვლებულნი, საკმაოდ ჩამოგვრჩნენ. ბუნი ქშენა-ქშენით მორბოდა და გაჰყვიროდა, - მიდი! მიდი! არ გააჩერო! მეც არ გავჩერებულვარ, ვიდრე ჩვენსა და ხიდს შუა ას იარდზე რაღაცას არ მოვკარი თვალი, და არ მივხვდი, რას გულისხმობდა ბუნი. მანქანა გავაჩერე. ჩვენ წინ გზა (თუ გასასვლელი, რაც გნებავთ, ის დაარქვით) არათუ შეცვლილიყო, არამედ უცნაურად გარდასახულიყო და ახლა რძიანი ყავით სავსე ვეებერთელა საცავს ჰგავდა, საიდანაც აქა-იქ შესაბრალისად ამოჩრილ უცნაურ გროვად მოჩანდა ბუჩქებისა და ხეების ნამუსრევი, მიწაც ისე იყო ბელტებად ამოტრიალებული, თითქოს ზედ გუთნით გადაეფლოთ; მერე კიდევ რაღაც დავინახე და მივხვდი, რაზეც მიკიბულ-მოკიბულად მეუბნებოდა ბუნი ჯოჯოხეთის ღელის შესართავის შესახებ ამ ერთი წლის წინ და ახლაც შიშით გაუთავებლივ მიმეორებდა მას შემდეგ, რაც ჯეფერსონიდან წამოვედით. გზასთან (უფრო სწორად, ხნარცვთან) სულ ახლოს ხეზე მიბმული იყო ორი

ჯორი საგუთნე მოწყობილობით, აღვირით, ჭაპანით, ცალუღითა და საჭაპანე ჯაჭვით. საგულდაგულოდ დახვეული შალითა გადაედლოთ ჭაპანზე; მძიმე ორსახნისიანი გუთანი აეყუდებინათ მეორე ხეზე; ბუნსა და ნედს რომ სადაცაა უნდა შეშრობოდა, ისეთივე ტალახი აკვროდა მასაც, გუთანსვე ჩაეხუტებინა ხელნა, ისიც ტალახიანი; ორიოდ ნაბიჯზე კი პატარა სახლი იდგა, სახელდახელოდ აგებული, ოროთახიანი, დახურული აივნითურთ, სადაც სკამზე გადაწოლილიყო ერთი კაცი, ფეხშიშველი, აჭიმებამოშვებული. მისი (ასეთივე ტალახიანი) უხეშად ნახელავი ფეხსამოსი იქვე, სკამის უკან, კედელთან ეყარა. მაშინდა მივხვდი, ჯოჯობეთის დელესთან კი არა (როგორც ბუნი მეუბნებოდა), გასულ წელს აქ გამოურთმევიათ მას და ბ-ნ უორდეინს ნიჩაბი, რომლის დაბრუნება (ბუნისავე სიტყვებით) ბ-ნ უორდეინს დავიწყებია, და თუნდაც არ გამოერთმიათ ის (ნიჩაბი), ამით არც არაფერი დაშავდებოდა.

ნედმაც ყველაფერი დაინახა. პირქუშად ჩაათვალიერა ჯერ ტალახი და მერე მოსართავებით აღკაბმული ჯორები, რომლებიც ქინქლებს კუდის ქნევით იგერიებდნენ ჩვენს მოლოდინში. - ვერაფერს იტყვი, მომზადებულია კაცი... - თქვა მან.

- ხმა გაიკმინდე, - მძვინვარედ ჩასჩურჩულა ბუნმა, - სიტყვა არ დაძრა, ჩუმად იყავი, - თქვა შეკავებული გაათვრებით, მერე მანქანაზე მიაყუდა თავისი კეტი, გადმოიტანა ჯალამბარი, ჯაჭვი, ცულიცა და ნიჩაბიც. სამგზის წარმოთქვა, ნაბიჯვარიო, მერე მე მომიბრუნდა, და - შენცო.

- მე? - ვთქვი.

- ერთი ამ ჯორებს შეხედე, - თქვა ნედმა, - ხელნაც მოუმზადებიან...

- არ გესმის, ხმა გაიკმინდე-მეთქი! - კვლავ მძვინვარე ჩურჩულით ამოთქვა ბუნმა, - არ გესმის, რასაც გეუბნები? უკაცრავად, მაგრამ ეს მინდა გითხრა, ხმა გაიკმინდე-მეთქი.

- ნეტავ ვიცოდე, ეს ლისტერი რა ეშმაკად დასჭირვებია? - თქვა ნედმა, - სახელურებამდეა ტალახით დასვრილი, თითქოს... რას იტყვი, იმიტომ ჩამოუყვანია ეს ჯორები და ხნავს იმ ადგილს, რომ ლაფი არ გამოილიოს?

ბუნს ხელში ეკავა ნიჩაბი, ცული და ბაგირი, წამით ასე გავიფიქრე, რომელიმეს ან სამივეს ერთად ესვრის-მეთქი ნედს. ჰოდა, საჩქაროდ ვუთხარი:

- გინდა, რომ მე...

- ჰო, - თქვა ბუნმა, - სამივეს გვექნება საქმე. - მე... უფრო სწორად, მე და ბ-ნ უორდენის აქ შარშან პატარა უსიამოვნება მოგვივიდა ამ კაცთან. ახლა კი, რომც მოვკვდეთ, უნდა გავაღწიოთ აქედან...

- რამდენი მიეცი შარშან, აქედან რომ გაეყვანე? - ჰკითხა ნედმა.

- ორი დოლარი, - მიუგო ბუნმა, - ასე რომ, ჯობს ეგ შარვალპერანგი გაიხადო, ვერავინ დაგინახავს აქ მაინც...

- ორი დოლარიო? - თქვა ნედმა, - კარგია ამ ჩრდილში ფერმის გამართვა და მხართეძობე წოლა. ნეტავ პატრონს ასეთი დიდებული ლაფით დავესაჩუქრებინე. ბამბაზე სარფიანი ყოფილა.

- კარგია, - უთხრა ბუნმა, - ახლა კი ისწავლი, როგორ უნდა ტალახის ზელა. - და ნედს ჯალამბარი და თოკი მისცა.

- აბა, მიდი ტირიფთან, დიდი რომელიცაა, და კარგად შემოახვიე.

ნედმა თოკი გაშალა და ჯალამბრიანად ხესთან მივიდა. მეც გავიხადე შარვალი და ფეხსამოსი. ლაფში ჩავდექი, სიგრილე მესიამოვნა, მგონი, ბუნსაც ასევე, შეიძლება ნედმაც მოითქვა სული, რადგანაც მოსახდენი უკვე მომხდარიყო და უფრო მეტად რაღა დასვრიდა. ასე იყო თუ ისე, უკვე აღარაფრად ჩაუგდია ტალახი, შიგ ჩაცუცქდა და თან გაუთავებლად დუდღუნებდა, ნაბიჭვა-

რიო, მერე მანქანას მავთული მიაბა, ყულფი გაუკეთა, გაჭიმა და ჯალამბარს მიამაგრა.

- შენ კი მიდი და, - მითხრა მე, - აი, ის ფიჩხი აქ მოათრიე. - მერე თითქოს მიხვდა, რასაც ვფიქრობდი.

- ვინ იცის, აქ საიდან გაჩნდა, შეიძლება თავად კაცმა მოაგროვა, რომ ხალხმა გამოიყენოს და თქვას, რა კარგია, რა მაღლი უქნიათო, ცუდი ის არის, ორი დოლარი უნდა ამას.

ჰოდა, მოვათრიე ფიჩხი, ხმელი ფოთლები და მანქანის წინ ლაფში ჩავყარე; ბუნმა და ნედმა ჯალამბარი მოიმარჯვეს და მოემზადნენ. მერე მე და ნედმა ჯალამბრის თოკი გავქაჩეთ, ბუნი კი მანქანის უკან დადგა იმ თავისი ძვირფასი კეტით.

- ვიცი, არც ისე გაგიჭირდებათ, - გვითხრა, - წამოვწევ თუ არა, გასწიეთ და გასწიეთ თოკი. აბა, მიდით!

მთელი ეს არემიდამო რაღაც სიზმარეული გამხდარიყო. შემზარავი არა, სწორედ სიზმარეული - მშვიდი, ჩუმი, აუმღვრეველი, თითქმის პირველყოფილი ლაფის ტბორი და შლამი, ტროპიკული ჭალა და სიცხე, რომლის წიაღში ჯორები უშფოთველად ურტყამდნენ მიწას ჩლიქებს და კუდის ქნევით იგერიებდნენ ირგვლივ მირიად-მორიადე თვალთუხილავ სიცოცხლეს, მთელი ჰაერი ამით იყო სავსე და ასე გარშემობურვილი ვმოძრაობდით და ვსუნთქავდით; თავად ისინი კი იმთავითვე, დაბადებამდე განწირულნი იყვნენ ბიოლოგიური დასასრულისა და სიკვდილისათვის; ეს ავტომობილი, ძვირფასი მექანიკური სათამაშო, რომელსაც ჰქონდა სიჩქარე და ძალა ათობით ცხენისა, მაგრამ მთლად უსუსური და გამოუსადეგარი იქ, სადაც ერთმანეთში ალაფულიყო ორი ლბილი და დამყოლი სტიქიონი - მიწა და წყალი - რომლებსაც შეეკრათ დროებითი კავშირი და მასში შერწყმულიყო, თავად არ უწყოდნენ, ისე, თაობა სულ უღონო და განუყოფელი მრავლის უმრავლესი ერთეულისა და მთლიანობისა, მოძრაობის უნარი რომ ჰქონდათ და მოვლენილნი იყვნენ ამქვეყნად

არამექანიკური საშუალებებით; ჩვენ სამნი, სამნი - ერთმანეთის მსგავსი ორფეხნი, თუმცა უკვე მთლად ტალახისფერნი, უცხო სანახავენი იმდენად, რომ შეუძლებელი იყო გარჩევა; სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებოდნენ მიწასა და წყალს და მათი წინსვლა - თუ რაც იყო - გულშემზარავად მცირეოდენი მანძილითღა ჰგავდა მისხალ-მისხალ მოძრავ მყინვარს. ამ დროს ის კაცი იჯდა დაწნულ სკამზე, გვიყურებდა აივნიდან, როგორ მისხალ-მისხალ ვეწეოდით ნედი და მე ამ თოვს, რომელიც თანდათან ლაფით მოითხვარა და ხელიდან გვისხლტებოდა, ხოლო მანქანას უკან მომდგარი ბუნი დემონივით და ტიტანისებრ აწვებოდა კეტს, წამოსწევდა ავტომობილს და ასე უნდოდა წინ წაწევა. ერთხელ კიდევაც მოისროლა ის კეტი, დაიხარა, ხელი ჩაავლო მანქანას და ერთი თუ ორი ფუტით ურიკასავით წინ გააგორა. კაცი მეტს ვერ შეძლებს, კაცი მეტს ვერც იზამს და არც უნდა ქნას. ასედაც ვუთხარი სუნთქვაშეკრულმა, არა, მეტი ჩვენ არ შეგვიძლია, სწორედაც არ შეგვიძლია-მეთქი; და ბუნმა ამოთქვა მომაკვდავის ნაბი და მიკნავებული ხმით, თითქოს სატრფოს ეჩურჩულებათ:

- გზიდან ჩამომეცალე, არადა გადაგივლი იცოდე.

- არა, - ვუთხარი ტალახში აფართხალებულმა და კოჭლობით მისკენ გავიწიე, - არა, თავს მოიკლავე.

- მე არ დავდლილვარ, - ისევ ჩუმად წარმოთქვა ბუნმა, - ახლალა მოვკიდე ხელი როგორც უნდა, შენ და ნედმა კი დაისვენეთ, სანამ სულს მოითქვამდე, იქნებ კიდევ მოიტანო ტოტები.

- არა, - მე მივუგე, - არა! აგერ ის უკვე მოდის! გინდა, რომ აქ დადგეს სეირის საყურებლად? - რადგან არათუ ვხედავდით, უკვე გვესმოდა - ის ჯორები ფრთხილად როგორ მოჭყაპუნებდნენ ტალახის კიდებზე და ჩამოშვებული ჯაჭვები თითქოს რაღაც მუსიკალური წკარუნით გვამცნობდნენ მოახლოებას. კაცი ერთს მოსჯდომოდა და მეორეს წინ მოუძღვებოდა, ფეხსაცმელები ერთმანეთზე გადაება და ჭაპანზე გადაეკიდა, ხელნა წინ გამოეშვირა და

თოფივით დაეკავებინა, როგორც ძველ სურათებზე გამოსახულ კამეჩებზე მონადირეებს აქვთ ხოლმე თოფები მომარჯვებული; ხმელ-ხმელი იყო და თავიდან ჩვენზე უფროსი მეჩვენა.

- დილა მშვიდობისა, ბიჭებო, - დაგვიძახა, - ახლა კი, მგონი, დადგა დრო ჩემი მოსვლისა. როგორ ხარ ჯეფერსონელო, - ბუნს მიუბრუნდა - იმ ზაფხულს, მგონი, აღარ ჩარჩენილხარ აქ, ხომ?

- მგონი კი, - უთხრა ბუნმა. ვით გადაბრუნებული ფურცელი, წამში სრულიად გამოიცვალა პოკერის მოთამშესავით, მაგიდის მეორე მხარეს მოწინააღმდეგეს ხელში მეორე ორიან კარტს რომ დაუნახავს, - ჩვენ ამჯერადაც გადავივლიდით ამ ადგილს, აქაურებს რომ ტალახით არ გაგვესოთ.

- არ გეწყინოს, - უთხრა იმ კაცმა, - ამ ტალახმა საუკეთესო მოსავალი იცის.

- ორ-ორი დოლარი ამ ტლაპოდან, არ უნდა იყოს ცოტა, - თქვა ნედმა. იმ კაცმა თვალთ მოჭუტა, ნედს გამოხედა.

- რას მეუბნები, - მიუგო მან, - მოდი, ეს ხელნა აიღე, ზედვე გეტყობა, არ შეგეშლება, სადაც უნდა გამოაბა ჯორს.

- ჩამოდი და გამოაბი, - უთხრა ბუნმა, - ორ დოლარს იმიტომ არ გაძლევთ, ცარიელი რჩევა-დარიგება ვის რად უნდა? შარშან ხომ მოგვემსახურე.

- შარშან კი, - თქვა მან, - ამ წყალში ძროხამ და ხელნაზე მისაბმელი ჯაჭვის თრევამ წელი მომწყვიტა, რევმატიზმიც ავიკიდე, ჯანს გაფრთხილება უნდა. - ჰოდა, აღარც შეუწუხებია თავი. მხოლოდ ჯორები მოაყენა, ბუნმა და ნედმა კი ჯაჭვი ჭაპანს მიუმარჯვეს. შემდეგ ბუნი ტალახში ჩაჯდა და ჯაჭვის მეორე ბოლო მანქანისკენ მისწია, სად ჯობს გამოვაბაო? - ჰკითხა მან.

- აბა, რა ვიცი, - უთხრა კაცმა, - ამ ლაფიდან რა ნაწილის გატანა გინდა, მთლიანად გამოსაყვანად კი ღერძს გამოაბი. მაგრამ ჯერ ეს ნიჩბები და თოკები ავტომობილში ჩაალაგეთ ისევ, აქ მანც აღარ დაგჭირდებათ.

ნედმა და მე ასეც ვქენით, ბუნმა გამოაბა მანქანას ჯაჭვი და მერე სამივენი იქვე საყურებლად დავდექით. გამოცდილი ვაცი, თქმა არ უნდა, ჯორებსაც გამოწვრთნიდა; ავტომობილი დაძრეს ტალახიდან, ხელნასაც ცირკის ჯამბაზებივით ატრიალებდნენ, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ რაღაც თქვა ჩვენ გვერდით მომავალ ჯორზე ამხედრებულმა ვაცმა, მათრახიც შეარხია და კიდევ გამოივდნენ იქ, სადაც მიწა მეტი იყო, ვიდრე წყალი.

- კარგია, ნედ, - თქვა ბუნმა, - მოხსენი უკვე.

- არა, ჯერ არა, - მიუგო ვაცმა, - ზედ ხიდთან ერთი ტბორია, სადაც მუქთად გადამყავს. ერთი წელია არ ყოფილხარ, შეიძლება არც იცოდე. - მერე ნედს მიუბრუნდა, - სამარქაფო გადასასვლელს ვეძახით ამ ადგილს.

- საშობაო შუაგულს, ამას უნდა გულისხმობდე? - უთხრა ნედმა.

- შეიძლება ასე იყოს, - თქვა ვაცმა, - ეს კი რაღაა?

ნედმა უთხრა:

- ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბებერი ლუციუს კვინტუს კეროზერსი ცოცხალი იყო, ომამდე ჩვენ ასე ვიცოდით, ედმონდსების ბიჭი ასე აკეთებს ახლაც - ყოველ განაფხულზე მიწის შუაგულში საუკეთესო ნაკვეთს შემოსაზღვრავენ და აქედან მინდვრის ბოლომდე ბამბის მთელი მოსავალი საერთო საშობაო სამზადისს უნდა მოხმარდეს, პატრონისა კი ზანგებს გაუნაწილონ საშობაოდ. სწორედ ამიტომ ეძახიან საშობაო შუაგულს. თქვენ კი ამ ტალახს ზელთ და ეს ამბავი არც კი იცით.

ვაცი წამით ნედს შეაცქერდა, ნედმა კი ჩაიციხა, ხი-ხი-ხიო.

- კარგია, - თქვა ვაცმა, - თორემ ასე მეგონა, ერთმანეთისა აღარ გვესმის-მეთქი.

მერე ბუნს მიუბრუნდა, ჯობს, ვინმე საჭეს მიუჯდესო.

- მართალი ხარ, - მიუგო ბუნმა. მერე მე მითხრა, აბა, დაჯექიო.

ჰოდა, ასე მთლად ლათში ამოვლებულმა სატეს ჩავჭიდე ხელი, მაგრამ მანქანას ძვრა ვერ ვუყავი. კაცმა თქვა:

- დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, ჯობს, ახლავე გითხრათ - გასული წლიდან აქ ფასი გაორმაგდა.

- რატომ? - უთხრა ბუნმა, - იგივე მანქანა, იგივე ტბორი და სული წამიწყდეს, ტალახიც იგივე თუ არ იყოს!

- გასულ წელს ასე იყო, მაგრამ ახლა მეტი მოთხოვნაა და ფასიც მეტია.

- დასწყევლოს ღმერთმა, - ამოთქვა ბუნმა, - კარგი, გასწი.

ჰოდა, წავედით მეორე წუმპისკენ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯორბე ჩქარა არა, არ შევჩერებულვართ, ისე გამოვედით იქიდან. ჩვენ წინ უკვე ხიდი იყო, იმას იქით კი მოჩანდა გზა, ჯოჯობეთის დელის კიდე და დასასრული ჩვენი წვალეებისა.

- ახლა ყველაფერი კარგადაა, - თქვა კაცმა, - ვიდრე უკან დაბრუნდებით.

ბუნმა მანქანას გრძელი ჯაჭვი მოხსნა. ნედმა კი უღელი და ხელნა იმ ჯორბე მჯდომარე კაცს დაუბრუნა.

ჩვენ ამ გზით აღარ წამოვალთო, უთხრა ბუნმა.

- და სწორიც იქნებით, - მიუგო კაცმა.

ბუნი ისევ ტბორთან დაბრუნდა და ტალახი ჩამოიცილა ხელე-ბიდან, მერე მანქანასთან მოტრიალდა და ჯიბიდან ოთხი დოლარი ამოიღო. ეს კაცი არც კი შეტოკებულა.

- ექვსი დოლარი, - ასე თქვა.

- გასულ წელს ორი დოლარი იყო, - უთხრა ბუნმა, - ახლა გაორმაგებულიაო, ხომ თქვი. გაორმაგებული ორი ოთხია. ჰოდა, აი ოთხი დოლარი.

- თითოეულ მგზავრს დოლარი უნდა, - თქვა კაცმა, - გასულ წელს ორნი იყავით და ორი დოლარი დაგჭირდათ. ახლა კი ფასი გაორმაგდა. სამნი ხართ და ესეც ექვსი დოლარი. მაგრამ ჯეფერ-

სონამდე თუ ფეხით წასვლა გირჩევნია, წადი, ოღონდ ამ ბიჭსა და ზანგს სულაც არ აქვთ ამის სურვილი.

- ფეხით სიარული იქნებ მეც არ მინდა, - უთხრა ბუნმა, - მაგრამ ვთქვათ და არ მოგცე ექვსი დოლარი, ანდა სულაც ვერაფერი მოგცე?

- შეიძლება, - თქვა კაცმა, - თუმცა ეს ჯორები ახლა დაღლილ-დაქანცულებია, მაგრამ, მგონი, მაინც შეძლებენ იქ ჩაგათრიონ, საიდანაც ამოგათრიეს.

ბუნმა იკადრა უკან დახევა.

- დასწყევლოს ღმერთმა, ეს ბიჭი ღლაპია და ამას...

- ჰოდა, ჯეფერსონში ფეხით დაბრუნება სულაც არ გაუჭირდება, - თქვა კაცმა, - თუმცა ამიტომ ის გზა არ დამოკლდება.

- კარგი, - უთხრა ბუნმა, - ამასაც ხომ ხედავ, ჭუჭყიც რომ მოაცილო, მაინც ისეთივე შავი ექნება.

კაცი წამით სადღაც შორს იმზირებოდა. მერე ბუნს გამოხედა:

- ამ ჯორებს ფერის გარჩევა არ შეუძლიათ, შვილო.

V

ბუნმა ასე გვითხრა მე და ნედს, როგორც კი ჯოჯოხეთის ღელეს გავაღწევთ, ცივილიზებულ სამყაროში გადავალთო; მისი სიტყვით, ამ გზებზე ბუზებივით ირეოდა ავტომობილები. თუმცა კი ჯერ აუცილებელი იყო, რაც შეიძლება შორს გავცლოდით ჯოჯოხეთის ღელეს, ვითარცა ჯოჯოხეთის საუფლოს თუ დაკარგულ ქვეყანას, იმდენზე მაინც, რომ თვალს მიჰფარებოდა; შეიძლება ღირსი არც ვიყავით ცივილიზაციის სიკეთისა, სანამ არ მოვიცილებდით ჯოჯოხეთის ღელის ლაფს. წაიყვანა კაცმა თავისი ჯორები, წაიღო ექვსი დოლარი და ხელნა. კარგად დავინახე, თავის ქოხში არ მიბრუნებულა, გაიარა ის ჭანჭრობი და თვალს მიეთარა, თითქოს დაასრულა თავისი სამუშაო დღე. ნედს არ გამოჰპარვია ეს გარემოება.

- ღორი სულაც არ ყოფილა. რატომ უნდა იყოს? ჯერ კიდევ სადილობამდე ექვსი დოლარი გააკეთა.

ჰოდა, გავხსენით ყუთი, რომელშიც მის ბოლენბომ სანოვაგე ჩაგვილაგა. ჯალამბარი, ცული და ნიჩაბი, ჩვენი ფეხსაცმელები, წინდები და ჩემი შარვლები (მანქანისათვის კი რა უნდა გვექნა - იოლად ვერ გაირეცხებოდა, სანამ მემფისს არ ჩავიდოდით, სადაც, დარწმუნებული ვიყავით, ყოველ შემთხვევაში იმედი გვექონდა, ლაფი აღარ შეგვხვდებოდა) ღელეზე ჩავიტანეთ და კარგად გავრეცხეთ, ხელსაწყოები და ჯალამბარიც და ისევ ჩავალაგეთ, მაგრამ ბუნისა და ნედის ტანსაცმელს არაფერი ეშველა, თუმცა ბუნი მაინც შევიდა წყალში ტანსაცმლიან-ყველაფერიანად, დაიბანა და ცდილობდა ნედის დაყოლიებას - შენც ასე გააკეთეო. თავად კი ჰქონდა მეორე ხელი ჩასაცმელი. ნედი უარზე დადგა, მხოლოდ პერანგი გაიხადა და მყისვე შემოიკცა თავისი სერთუკი. მგონი, გითხარით, ერთი პატარა საგანგებო ჩემოდანი ჰქონდა და სადმე უცხო მხარეს თუ მიდიოდა, თან მიჰქონდა, ვითარცა მი-

სი პიროვნების ღირსების გამომხატველი (ნედი იმით დაატარებდა ბიბლიასა და ორ სუფრის კოვზ, როგორც ჩანს, ბაბუას საუკეთესო ვისკის), ისევე, როგორც დიპლომატისთვის მისი საკუთარი ბარგი, რომელშიც ზოგჯერ უფრო ცოტა რამ დევს, ვიდრე მოსალოდნელია.

შემდეგ წავისადილეთ - შაშხს, შემწვარ წიწილებს, ფუნთუშებს, სახლში გაკეთებულ მსხლის მურაბას, ღვებელს ერთი დოქი ბადაგი დავაყოლეთ. მერე მოვხსენით ბორბლებს ტალახის მძლე ჯაჭვი (სულ ტყუილად იძახდნენ, ყველგან გაგიყვანთო). ავზში ბენზინის მოცულობა გავზომეთ, მართალია, დიდი მანძილი არ გაგვივლია, მაგრამ ბევრი კი დავწვით, და გზას გავუდექით. არჩევანი უკვე გაკეთებული გვქონდა, რალა დროს სინანული და წუხილი იყო, იმის ძახილი, ეს რა მოგვივიდა-მეთქი; რკინის ხიდით სხვა ოლქში გადასვლა და რუბიკონის გადავლა ერთი იყო, ჯოჯოხეთის ღელის შემდეგ კი კარიბჭეც მოვიკეტეთ და უკან დასაბრუნებელი ხიდიც დავწვით. ისე, რომ ახლა ამ გამარჯვებით სულის მოთქმა დავიმსახურეთ, ჯილდო სიმტკიცის გამოჩენისთვის ან იმის საზღაური, რომ არა და არ გვინდოდა დამარცხების აღიარება, როდესაც მასთან პირისპირ დავდექით თუ თავად ის დადგა ჩვენ პირისპირ. ან იქნებ ჩვენზე სიკეთემ ხელი აიღო, უკეთურობას მიგვცა და ისიც ჩინებული ძიძა აღმოჩნდა, ზრუნვა და პატივი არ მოგვაკლო და გამარჯვების სანაცვლოდ საბოლოოდ სულიც გაგვაყიდვინა.

შეცვლილიყო უკვე მიდამოც. ფერმები გამოჩნდა დიდი, მდიდარი, მჭიდრო ღობეებგარშემოვლებული შეღებილი სახლებითა და ბელღებითაც კი. ქალაქური იერი დაჰკრავდა უკვე ყველაფერს - ფართო, ლარივით გაჭიმულ მძიმე ბორბლებით დაღარულ გზაზე გავედით; ბუნმა როგორღაც ზარ-ზეიმით წარმოთქვა, თითქოს ეჭვით ვეკიდებოდით მის ნათქვამს, ან თითქოს სულაც ჩვენს ჯიბრზე გამოეგონებინა ეს გზა, შეექმნა, გაეყვანა, გაეწმინ-

და, მოესწორებინა საკუთარი ხელით (და იქნებ ბორბლების ნაკვალევიც გაევიღო):

- ხომ გეუბნებოდით? ეს გზა მემფისამდე მიდის.

შორს ჩანდა ეს სავალი, უფრო ახლოს კი ჩვენკენ სწრაფად მოიწევდა მტვრის აყალყებული ღრუბელი, ვითარცა რაღაცის მაცნე და მაუწყებელი. საეჭვო რაღა უნდა ყოფილიყო, მაღიმაღლი მოიგრაგნებოდა, მანქანიან-კაციანად რომ გაგვხვია, სულაც არ გაგვკვირვებია. ბორბლებიდან ავარდნილი მტვერი შეერია იმ სვეტივით აღმართულ ღრუბელს, რომელიც თითქოს ჩვენი მომავლის ნიშანიც ყოფილიყო - ჭიანჭველებისამებრ აქეთ-იქით წრიალი, გაუნელებელი წყურვილი სიმდიდრის მოხვეჭისა, მექანიზებული, მოტორიზებული, გარდუვალი ბედი ამერიკისა.

ახლა კი ნაცრისფერი მტვრით თავიდან ფეხამდე ამოგანგლულები (მეტადრე ბუნი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ტანსაცმელი), სიჩქარის თუ არა, დროის ანაზღაურებას მაინც შევძლებდით; ძრავას გამოურთველად გადმოვიდა ბუნი ავტომობილიდან, სწრაფად შემოუარა, ჩემთან მოვიდა და სწრაფადვე მითხრა, კარგი, გადმოდი, იცი რა უნდა ქნა, ოღონდ საათში ორმოცით იარე, ორთქლმავალი არ გეგონოსო თავი.

ჰოდა, მე წავიყვანე მანქანა მაისის ნაშუადღევის მზის ქვეშ. ირგვლივ ვეღარ ვიყურებოდი, დრო აღარ მქონდა, ფრთხილად ვიყავი (სიხარულით აღფრთოვანებულიც, გულაძგერებულიცა და გულამაყიც); კვირადღე იყო, ქვეყანა ისვენებდა, ბამბა და ხორბალი ხარობდა. ჯორებიც განცხრომით მისცემოდნენ საძოვარს, საკვირაოდ გამოწყობილი ხალხი ნასადილევს აივნებსა და ჩრდილიან ეზოებში ისხდა ლიმონათის ჭიქებითა და ნაყინიანი ლამბაქებით ხელში. სიჩქარეს მოვუმატეთ; ბუნმა თქვა, დაბები უნდა გავიაროთ, ჯობს, საჭესთან მე დავჯდეთ.

გზაგანვარძეთ. ცივილიზაცია ახლა ეს იყო: დაბის უბრალო მაღაზიები, გზაჯვარედინებზე აგებული ეკლესიები; ერთს ჩამოვი-

ტოვებდით, მეორე გამოჩნდებოდა, ვაჭრობა გაჩაღებულიყო; მართლაცდა ქალაქური გახდა ჰაერი და იმ მტვერსაც, თავად რომ დავაყენეთ და რომელშიც თავადვე ვმოძრაობდით და ცხივრ-პირში გვცემდა, დედაქალაქური გემო ჰქონდა. აღარც ბაღლები და ძაღლები გამორბოდნენ ჭიშკარსა და ღობეებთან ჩვენსა და იმ ავტომობილების საცქერად, ჩვენ რომ შემოგვხვდა ამ ცამეტი მილის მანძილზე.

მერე სულაც გაქრა სოფლური გარემო. თითქმის ერთმანეთს შეტყუპებოდა სახლები, მაღაზიები, და დუქნები; უეცრად ჩვენ წინ ხეებით შემორაგული კარგად მოვლილი ქუჩა გამოჩნდა. შუაში ტრამვაის ხაზი მიიმართებოდა. ტრამვაიც დავინახეთ, მძღოლმა და კონდუქტორმა იმწუთას უკანა ბიგელი ჩამოსწიეს და წინა აღმართეს, მთავარი ქუჩისკენ უნდა გაბრუნებულიყვნენ.

- ხუთს უკლია ორი წუთი, - თქვა ბუნმა, - ოცდასამსაათნახევარის წინ ჩვენ ჯეფერსონში ვიყავით, მისისიპიდან ოთხმოცი მილის იქით. რეკორდია. - მემფისს მეც ვიყავი ნამყოფი (ნედიც, ასევე, ამ დილით გვამცნო ეს ამბავი, ნახევარი საათის შემდეგ კი დავრწმუნდი, ასე რომ იყო), მაგრამ ყოველთვის მატარებლით, ასე არა. ჩემ თვალწინ ახლა მემფისი ნელ-ნელა შლიდა მხრებს, იზრდებოდა და ჩვენც თანდათანობით ვისრუტავდით მას, ვით კოვზიდან ნაყინს. რას ვიფიქრებდი, რომ გეიოზოს სასტუმროში არ გავჩერდებოდით, ჩვენ ხომ ყოველთვის იქ მივდიოდით, ყოველ შემთხვევაში, როდესაც მე ჩამოვყავდით. არ ვიცი, სწორედ ამჯერად როგორ მოახერხა ბუნმა ჩემი ფიქრის გამოცნობა.

- პანსიონისმაგვარ სახლში მივდივართ, - ასე თქვა, - მოგეწონება, ვიცი. ამ ერთი კვირის წინ ერთი გ... ქალბატონის წერილი მივიღე, თურმე თავისი ძმისწული ჰყავს სტუმრად და არ მოგწყინდება, იქაური მზარეული ქალი კი ნედის მასპინძელი იქნება.

ხი-ხი-ხიო, ნედმა. ტრამვაიების გარდა, აქ ბევრი იყო ფაეტონი, ეტლი, დროგი, ორთვალა და ერთი ვიქტორიაც. ცხენები კი,

მართალია, ჩვენცენ ბრეცდნენ თვალის თეთრონს, მაგრამ არ დამფრთხალან, მემფისში ცხენები უკვე აღარ ფეთდებოდნენ მანქანების დანახვაზე; თუმცა ბუნს არ შეეძლო თავი მიეტრიალებინა, მაინც გახედა ნედს ცალი თვალით. ვითომ რაო? - უთხრა.

- არაფერი, - მიუგო ნედმა, - წინ იყურე და ჩემი დარდი ნუ გაქვს. ჩემზე ნუ წუხხარ. მეგობრები აქ მეც მყავს. ოლონდ დამანახე, სადაც ამ ავტომობილს გააჩერებ ხვალ დილამდე და დროზე მოვალ.

- ჯანდაბას შენი თავი, - უთხრა ბუნმა, - არ დააგვიანო, იცოდე, თუ გინდა, რომ ჯეფერსონში ფეხით არ დაბრუნდე. მე და ლუციუსს სამოგზაუროდ არ დაგვიპატიჟებინარ და თავში ქვა გიხლია, არც ჩვენ გვჭირდება და არც ჯეფერსონს, გინდ დაბრუნდი, გინდ არა, თავს არ მოვიკლავ.

- ჯეფერსონში რომ დავბრუნდებით ამ ავტომობილით, ნეტავ რას ეტყვი პატრონ პრისტსა და ბ-ნ მორის, თავი მოსაკლავი მაშინ გექნება, - უთხრა ნედმა. მაგრამ უკვე გვიან იყო დავა და კინკლაობა, ჰოდა, ბუნმა მარტო ეს უთხრა.

- კარგი, კარგი - იმას კი გეტყვი, ჯეფერსონში დაბრუნება თუ გინდა, მაიმუნობას თავი დაანებე და მანქანაში დამხვდი იცოდე.

მთავარ ქუჩასთან სულ ახლოს ვიყავით - მაღალი შენობები, მაღაზიები, სასტუმროები: გასტონისა (ახლა უკვე აღარ არის), პიბოდისა (სხვაგან გადავიდა), და გეიოზოსი, რომელთანაც ჩვენ, მაკკასლინ-ედმონდს-პრისტები ფიცით ვიყავით შეკრული, რადგანაც, როგორც ლეგენდა გვამცნობს (ზოგისთვის შეიძლება მართლაც ლეგენდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენთვის ეს ისტორიული ფაქტი იყო), ჩვენი შორეული ნათესავი თეოფილუს მაკკასლინი, აიკ ბიძიას მამა ყოფილა თურმე იმ მხედრების რაზმში, გენერალ ფორესტის ძმის წინამძღოლობით ვესტიბიულში ცხენებით რომ შეიჭრნენ და კინაღამ იანკების გენერალი დაატყვევეს. მაგრამ გეიოზომდე არ მივსულვართ. ბუნმა გვერდით ჩიხისმაგ-

ვარ ქუჩაზე შეუხვია, სადაც ორი ბარი იდგა, ხოლო მის გასწვრივ - სახლები, არც ახალი და არც ძველი, თანაც აქ ისეთი სიწყნარე იყო, როგორც ჯეფერსონში კვირის ნაშუადღევს. ჰოდა, ასე თქვა ბუნმა:

- წუხელ უნდა ყოფილიყავი აქ, ნეტავ მაშინ რას იტყვოდი; თუნდაც რომელიმე შაბათ საღამოს, თუნდაც ყოველ საღამოს, როდესაც ამ ქალაქში მეხანძრეების, პოლიციელების, ქველმოქმედთა თუ სხვათა თავშეყრაა.

- იქნებ მწუხრის წირვაზეა ყველა წასული, - ვთქვი მე.

- არა, - თქვა ბუნმა, - არა მგონია, ასე იყოს. მგონი, ისვენებენ.

- რისგან? - ვკითხე მე.

ხი-ხი-ხიო, ნედმა უკანა სკამზე, როგორც ჩანს, ამით გვამცნო, მემფისში ადრეც ვარო ნამყოფი, შეიძლება ამას ბაბუაც ხვდებოდა, მაგრამ რამდენად ხშირად, ეს კი არ იცოდა. ისიც უნდა გახსოვდეს, მაშინ მხოლოდ თერთმეტი წლისა ვიყავი. რადგან ცარიელი იყო ქუჩა, ბუნმაც შეძლო თავის მიტრიალება.

- კიდევ ერთხელ გიცდია და მაშინ ნახავ, - უთხრა ნედს.

- კიდევ რა მიცდია? - ჰკითხა ნედმა, - შენ მხოლოდ ეს მითხარი, ხვალ დილით ამ ოხრობას სად დააყენებ და თქვენზე ადრე მე ვიჯდები შიგ.

ჰოდა, ბუნმა უჩვენა, სადაც უნდა მივსულიყავით; სხვა შენობებივით ამ სახლსაც სჭირდებოდა საღებავი. იმის მოტიტვლებულ ეზოში, სახლის სადარბაზოს კარის წინ რიკულებით შემოღობილი ადგილი იყო ერთი, გადმოხურული, მსგავსად იმისა, ჭის გარშემო ოთხ კედელს რომ შემოავლებენ. ბუნმა მანქანა გზისპირას გააჩერა. მერე ნედს მიუბრუნდა:

- კარგი, - თქვა ასე, - დავიმახსოვრებ. ახლა კი შენ დამიგდე ყური. დაჰკრავს თუ არა საათი რვას ხვალ დილით, უკვე მოსული უნდა იყო. გესმის, პირველად რომ დაჰკრავს და არა უკანასკნელად. იმ უკანასკნელის მოსასმენად მე აღარ დავრჩები.

ნედი უკვე გადასულიყო იმ ჭუჭყიანი პერანგით და თან გადაე-
ტანა თავისი პატარა ჩემოდანი.

- შენ შენი საქმეები გაქვს მოსაგვარებელი და ჩემზე ნუღარ
დარდობ. თუ ხვალ რვა საათისთვის მორჩები შენს საქმეს, მეც
მოვრჩები როგორმე; - თქვა და წავიდა. მერე არც შეჩერებულა
და არც უკან მოუხედავს, ხი-ხი-ხიო.

- წავიდეთ, - თქვა ბუნმა, - მის რება დაგვაბანინებს. - გადმო-
ვედით მანქანიდან. ბუნს უკანა სკამიდან თავისი ხელჩანთის გად-
მოღება უნდოდა, მაგრამ შეჩერდა, ჰო, მართლაც, გადაიხარა,
დაფას მისწვდა, ავტომობლის გასაღები გამოაძრო და ჯიბეში შე-
ინახა. ის იყო ხელჩანთა უნდა გადმოეღო, რომ ისევ შეჩერდა, გა-
საღები ჯიბიდან ამოიღო და მითხრა, შენ გქონდეს, იქნებ მივა-
კარგო, ჯიბეში შეინახე, ოღონდ არ გადმოგივარდეს, ცხვირსახო-
ცის ქვეშ ჩაიდევო. გასაღები გამოვართვი, მან კი ისევ ხელჩან-
თისკენ გაიწია, ისევ შეჩერდა, სწრაფად გახედა პანსიონს, ოდნავ
მიტრიალდა, უკანა ჯიბიდან საფულე ამოაცურა, ტანზე მიიკრა,
გახსნა და ერთი ხუთდოლარიანი ამოიღო; მერე კიდევ ერთდო-
ლარიანიც დაამატა, საფულე დაკეტა და ბურგს უკნიდან ჩემკენ
გამოაცოცა. სწრაფად ჩამხურჩულა, ესეც შენ გქონდეს, შეიძლე-
ბა ესეც სადღაც დამრჩეს, თუკი ფული დაგვჭირდება, გეტყვი,
რამდენიც უნდა ამოიღო.

პანსიონში აქამდე არ ვყოფილვარ, არ დაგავიწყდეს, მხო-
ლოდ თერთმეტის ვიყავი. ჰოდა, ჩავიდე ის საფულე ჯიბეში, ბუნმა
გადმოიღო თავისი ხელჩანთა, ჭიშკარში შევედით და იმ სახლის
ცხაურიანი ვესტიბიულის გავლით კარს მივადექით. ბუნმა დარე-
კა თუ არა, იმწამსვე შიგნიდან ფეხის ხმა მოგვესმა. - ხომ გითხა-
რი? - სწრაფად ჩამილაპარაკა ბუნმა. - ალბათ ფარდებიდან უჭ-
ვრეტდნენ მანქანას. კარი ახალგაზრდა ბანგის ქალმა გაგვიღო,
მაგრამ მან პირის დაღებაც ვერ მოასწრო, თეთრკანიანმა ქალმა
გვერდზე მისწია. ისიც ახალგაზრდა იყო, მკაცრი სასიამოვნო სა-

ხისა, ოღონდ - ჟრალთმიანი; ვეებერთელა მოყვითალო ბრილიანტის საყურეები უელვარებდა. პირველად ვხედავდი ასეთ დიდ ბრილიანტებს.

- დასწყევლოს ღმერთმა, ბუნ, - თქვა მან, - კორიმ როგორც კი მიიღო შენი წერილი, იმწუთას დეპეშა გამოვაგზავნი, ბიჭი არ ჩამოიყვანოს-მეთქი. მთელი კვირა უკვე მყავს ერთი და მოასწრო კიდევაც ამ სახლისა და ქუჩის ამოტრიალება, მგონი, მთელი მემფისისაც. ახლა არ თქვა, დეპეშა არ მიმიღიაო.

- არ მიმიღია, - მიუგო ბუნმა, - ეტყობა, ჯეფერსონიდან წამოსულები ვიყავით. ახლა კი რა ვქნა? ეზოში დავაბა?

- კარგი, შემოდით, - გვითხრა, გვერდზე მიდგა და შიგნით რომ შევედით, კარი იმწუთასვე ჩაკეტა ზანგის გოგომ, არ ვიცი, რატომ, შეიძლება მემფისში ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, მაშინაც კი, როდესაც სახლში იყვნენ. ჩვეულებრივი იყო შემოსასვლელიც ბევრით ამავეალი კიბითურთ, მაგრამ რაღაც უცხო სუნი მეცა, მთელი სახლი რომ მოეცვა. პირველად მცემდა ასეთი სუნი. ვერ გეტყვი, არ მომეწონა-მეთქი, თუმცა მოულოდნელი იყო. გესმის, თითქოს მთელი ცხოვრება ველოდი, რომ ერთხელაც, ასეთ სუნს ვიგრძნობდი. მე მგონი, ასე ჯიქურ და გაუფრთხილებლად შეიძლება გაზიარონ მხოლოდ იმ გამოცდილებას, ურომლისოდაც მშვენივრად გაძლებ სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ ასეთ გარდუვალ (თუ გნებავთ, აუცილებელ) გამოცდილებას სულაც არ შეშვენის, რომ გარემოებამ, ბედისწერამ საამისოდარ მოგამზადოს და რამდენიმე ხნით არ დაიცადოს, ვიდრე თხუთმეტისა არ გახდება. აი, როგორი იყო ეს სუნი. ქალი კვლავ ლაპარაკობდა:

- კარგად იცი, ბატონ ბინფორდს ძალიან არ უყვარს, აქ ღლაპები რომ მოჰყავთ არდადეგების დროს. შენც ხომ გესმოდა, რასაც ამბობდა, როდესაც კორიმ შარშან ზაფხულს პირველად მოათრია აქ ეგ ეშმაკის ფეხი, ვითომ არკანზასის ფერმაში კარგი აღმზრდელები არ ეყოლებოდაო. ბ-მა ბინფორდმა სწორად თქვა:

სულერთია, ყველანი მაინც აქ მოვლენ, რატომ უნდა დავაჩქაროთ, ჯერ ფულის შოვნა ისწავლონ, დახარჯვა კი, ვიცი, არ გაუჭირდებათო. კლიენტები აქ საქმეზე მოდიან და ჩვენ მათი მომსახურების მაგივრად ცხვირმოუხოცავ ბაღლებს უნდა ველოლიავოთ.

ახლა უკვე სასადილო ოთახში ვიყავით. იქ პიანოლა იდგა. მერე ქალმა იკითხა, რა ჰქვიაო?

- ლუციუსი, - უთხრა ბუნმა, მერე მე მომიბრუნდა - მის რეზას მიესალმე. - მივესალმე ისე, როგორც ვიცოდი, ანუ ისე, ბაბუას რომ ასწავლა დედამისმა, ხოლო ბაბუამ მამაჩემს, დედაჩემმა კი - ჩვენ; ანუ როგორც ნედი იძახდა, „ფეხი ფეხს ჰკრაო“, მერე გაესწორდი. მის რეზა თვალს არ მაცილებდა, გაცეცება ეტყობოდა სახეზე.

- დასწყევლოს ღმერთმა, - თქვა, - დაინახე, მინი? მის კორი სადაა?

- იცვამს გამალებული, რა ქნას, - მიუგო მინიმ. ჰოდა, სწორედ მაშინ დავინახე, მინის კბილზე ვამბობ, დიახ, იმის თქმა მინდა, - მე - თქვენ - ყველა - რატომ ვერ ვივიწყებდით მინის. მშვენიერი კბილები ჰქონდა, თეთრზე თეთრ კენჭებს უგავდა, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილს საფლავის ქვებივით, ლაპარაკისა თუ ღიმილის დროს რომ უელავდა მუქშოკოლადისფერ სახეზე. უფრო მეტიც, მარჯვენა ზედა კბილზე ოქრო ჰქონდა გადაკრული და სხვა თეთრად მბზინავ კბილებს შორის დედოფალივით ბრწყინავდა და გიბგებებდა, როგორც ნელი, შინაგანი ცეცხლი და ოქროზე მეტად ჭრიდა თვალს. სწორედ ამიტომ ეს ერთი კბილი უფრო დიდი გეჩვენებოდა, ვიდრე მის რეზას ბრილიანტის ყვითლად მოელვარე საყურეები ორივე ერთად (შემდეგ გავიგე - როგორ, ამას მნიშვნელობა არ აქვს - ის ოქროს კბილი ამოუღია თურმე და მის ნაცვლად ჩვეულებრივი, სხვებივით თეთრი ჩაუსვამს. მეწყინა. ასე ვფიქრობდი, მისი რასისა და ასაკის რომ ვყოფილიყავი, ცო-

ლად შევირთავდი მხოლოდ იმიტომ, ყოველდღე ჭამის დროს, სუფრაზე ჩემ პირდაპირ იმ კბილისთვის მეცქირა; თერთმეტი წლის ვიყავი მხოლოდ და ასე მეგონა, რომ საჭმელს ასეთი კბილის გამო სხვანაირი, ბევრად უკეთესი გემო უნდა ჰქონოდა).

მის რება კვლავ ბუნს მიუბრუნდა.

- რა მოგივიდა, ტახებთან ხომ არ გიჭიდავია?

- გზაზე ტლაპოში ჩავვარდით, მანქანით ჩამოვედით. აგერ იქ, ქუჩაში დგას.

- დავინახე, - მიუგო მის რებამ, - ყველამ დავინახეთ. ახლა არა თქვა, ჩემიაო. პირდაპირ მითხარი, პოლიცია ხომ არ გეძებს. თუ ასეა, მომწყდი აქედან. ბ-ნ ბინფორდს არ უყვარს, სახლში რომ პოლიცია ტრიალებს, ასევე მეც.

- ამ მანქანის დარდი ნუ გაქვს, - მიუგო ბუნმა.

- აბა, ჭკუით, - თქვა მის რებამ. მერე კვლავ მე გადმომხედა. თავისთვის ჩაილაპარაკა, ლუციუსიო, ისე, თავისთვის, - ვარგი იყო ადრე ჩამოსულიყავი, ბ-ნ ბინფორდს უყვარს ბაღლები. მაშინაც კი, როდესაც ეჭვი დარევს ხოლმე ხელს, ღირსნი არიან თუ არა სიყვარულისა. ამ ბოლო კვირას კი მკვდარსაც აიტანდა ეჭვები. მაგრამ ვიდრე მას ეჭვი ღრღნის, ოტისს ბედმა გაუღიმა და სწორედ სადილის შემდეგ ბოლოპარკში წაიყვანა სასეირნოდ. ლუციუსსაც შეეძლო წასულიყო. მაგრამ, ერთი მხრივ, ჯობს კიდევ, რომ არ წაჰყვა. თუკი ოტისი ისეთივე წარმატებით გაუღვივებს ბ-ნ ბინფორდს ეჭვებს, როგორც სადილობამდე, მაშინ იქნებ ველარც დაბრუნდეს უკან, ცხადია, თუ ბატონმა ბინფორდმა ლომის ან ვეფხვის გალიასთან ახლოს მიიტყუა. მაგრამ, რომელი ლომი და ვეფხვი გაუძლებს იმ ბიჭს თუნდაც ერთი კვირით, კიდევ რომ შეათრიონ. - მერე ისევ მე შემომხედა და კვლავ თქვა, ისევ თავისთვის - ლუციუსიო. შემდეგ მინის მიუბრუნდა, მაღლა ადი და ყველას უთხარი, ნახევარი საათით აბაზანაში ნურავინ შევაო. ბუნს კი ისევ ჰკითხა, გამოსაცვლელი ტანსაცმელი თუ გაქვსო?

- კი მაქვს, - მიუგო ბუნმა.

- ჰოდა, იბანავე და გამოიცვალე, აქ წესიერი სახლია და არა რაღაც ბუნაგი. ვერას ოთახში წაიყვანე ესენი, მინი, ახლა ვერა თავის ნათესავეებთანაა პადუკაში.

მერე ასე უთხრა ბუნს და, მგონი, მეც, მინიმ ოტისს ლოგინი სხვენში გაუშალა, ლუციუსმაც იქ დაიძინოსო ამაღამ...

კიბებზე ფეხის ხმა მოისმა, მერე შემოსასვლელში და კარს უკან. ტანსრული ყმაწვილი ქალი შემოვიდა ამჯერად, მსუქანი კი არა, ბუნივით მოსული. უფრო სწორად, ნორჩი ასული, შავთმიანი და ცისფერთვალეა. პირველად ვიფიქრე, რა უშნო სახე აქვს-მეთქი, მაგრამ ოთახში შემოსულმა რომ შემომხედა, სულაც აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი სახე ჰქონდა.

- გამარჯობა, გოგონი, - უთხრა ნედმა. მაგრამ ქალს არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, ორივენი, ის და მის რება მე მიმზერდნენ.

- აბა, ერთი ნახე, - თქვა მის რებამ, - ლუციუს, ეს მის კორია.

მეც მისალმების ნიშნად ისევ ფეხი ფეხს შემოვკარი.

- ხომ ხედავ, - განაგრძო მის რებამ, - ზრდილობის სასწავლებლად ჩამოიყვანე შენი დისწული და აი, ისწავლოს. თუმცაკი არ იცის, რა არის და რად უნდა გააკეთოს ასე. მაგრამ თუნდაც მაინუნივით მიბაძოს ლუციუსს, ჩათვალე, რომ უკვე ისწავლა. კარგი, - ბუნს მიუბრუნდა, - წადი და დაიბანე.

- იქნება კორი დაგვეხმაროს, - თქვა ბუნმა, მის კორისთვის ხელი არ გაუშვია, - გამარჯობა, გოგონი.

- რა ჭაობის ვირთხას დამსგავსებინარ, - უთხრა მის რებამ, - დასწყევლოს ღმერთმა, კვირადღეს მაინც იყოს აქ წესრიგში ყველაფერი.

მინიმ მაღლა აგვიყვანა, გვიჩვენა ჩვენი ოთახი და აბაზანა, მოგვცა საპონი, პირსახოცები და გავიდა. ბუნმა თავისი ხელჩანთა ლოგინზე დააგდო, გახსნა, იქიდან სუფთა პერანგი და სხვა

შარვალი ამოიღო, ყოველდღე ჩასაცმელი, რადგან ახლა რომ ეცვა, საკვირაო, აღარც ერთი დღისთვის აღარ ვარგოდა, ვიდრე ნავთით არ გაიწმინდებოდა. - ხედავ? - მითხრა, - აკი გეუბნებოდი, სუფთა პერანგი მაინც წამოიღე-მეთქი.

- სულაც არა მაქვს დასვრილი, - მიუვგე მე.

- ერთი მაინც უნდა გქონდეს ახალი, აბაზანის მერე რას ჩაიცვამ?

- ბანაობას არც ვაპირებ, - ვუთხარი, - გუშინ ვიბანავე.

- მერე რა, მეც ვიბანავე, - თქვა ბუნმა, - არ გაიგონე, მის რებამ რაც გითხრა?

- გავიგონე, - ვუთხარი, - ყველა ქალს ერთი სული აქვს, ოღონდ კი ვინმე აბაზანაში შეაგდოს.

- რამდენიმე საათს რომ იქნები აქ, კიდევ ბევრ რამეს გაიგებ ქალებზე. თუკი გეუბნებიან, რაღაც გააკეთეო, ჯობს, გააკეთო და არ მოჰყვე გარჩევას, გავაკეთო თუ არ გავაკეთოო. - ბუნს უკვე ამოეღო სხვა პერანგი და შარვალი. რა უნდოდა შარვლისა და პერანგის ამოღებას ერთი ხელჩანთიდან, მაგრამ ძალიან კი გაუჭირდა, მეტადრე მათი დაწყობა. დახრილი იდგა იმ თავის ხელჩანთაზე პერანგით ხელში და შეცბუნებულს ვერ გადაეწყვიტა, შარვალი სად დაედო. პერანგი რომ დადო, შარვალი ისევ ხელში აიღო და განზე გადადო, მერე პერანგი შარვალს მოუდო, ხმამაღლა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა, ფანჯარასთან მივიდა, გააღო და გაიხედა, შემდეგ დაკეტა, უკან გამობრუნდა, ლოგინთან, ჩემკენ არ გამოუხედავს, ისე დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი, თითქოს პირველი ამოსულიყო შობა დილას ჩემს საძინებელში და მეუბნებოდეს, ნაძვის ხესთან რა საჩუქრები დამხვდება, თუმცა კი თოვლის ბაბუას სულ სხვა რამეს სწერდი და სთხოვდიო.

- ვერც წარმოიდგენ, რამდენ რამეს გაიგებს კაცი სულ ცოტა ხანში, მანამდე რომ სულაც არ ჰქონდა წარმოდგენა და ვერც იფიქრებდა, რასაც ახლა გავიგებ, შეიძლება მთელი ცხოვრება

გამომადგესო. ცხადია, თუკი დაიმახსოვრებს და არ დაივიწყებს. თავად განსაჯე, ჩვენ ხომ გუშინ დილას წამოვედით, ორი დღე არცაა გასული, არადა, რამდენი რამ ისწავლე: მანქანის ტარებაო, მემფისში როგორ წახვიდე ისე, რომ რკინიგზა თუ მატარებელი არც კი დაგჭირდეს, უფრო მეტიც - უკვე იცი, მანქანა როგორ ამოათრიო ტალახიდან. გაივლის დრო, დაკაცდები, შენი საკუთარი გეყოლება, ტარება გეცოდინება, მემფისში მიმავალი გზაც, აღარც ტალახისა და ლაფის შეგეშინდება.

- პატრონმა მითხრა, როცა გაიზრდები, ტალახს ვედარც ნახავო. ყველა გზა ისეთი სწორი იქნება, რომ ბანკმა შეიძლება მოგთხოვოს, სულაც ჩამოგართვას ავტომობილი გადასახადის დავიანების გამო, ან ისე დაძველდეს, ერთხელაც არ გახდეს ტალახიდან ამოსათრევიო.

- კი, ბატონო, - თქვა ბუნმა, - შეიძლება მართლაც ასე იყოს, შეიძლება აღარც გახდეს ტალახიდან ამოსათრევი, მაგრამ შენ უკვე იცი, როგორ უნდა ამოათრიო, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ შენი ცოდნა შენვე დაგრჩება და არც არავის არ მისცემ.

- ვის უნდა მივცე? - ვუთხარი, - ტალახი აღარსად იქნება და ამის ცოდნა არც არავის დასჭირდება.

- კი, ბატონო, კი, ბატონო, - მითხრა ბუნმა, - ყური დამიგდე, ტალახზე ნულარ ვილაპარაკებთ; ყმაწვილმა კაცმა... ბიჭმა შეიძლება გაიგოს ისეთი რაღაც, რაზედაც ადრე არ უფიქრია, აქამდე აზრადაც არ მოსულია, და როცა უკვე დასჭირდება ამის ცოდნა, უკვე ეცოდინება კიდევ; თუკი ოდესმე რამე გისწავლია, მოვა დრო და უქმად არ დაგრჩება, გამოგადგება... ოღონდ უნდა გახსოვდეს, გულში ჩაბეჭდილი უნდა გქონდეს; გესმის ახლა, რას გუუბნები, გასაგებია?

- არ ვიცი, - მივუგე მე, - შეიძლება მართალიც იყოს, რადგანაც ამდენს მელაპარაკები.

- კი, ბატონო, - თქვა, - ეს ერთი. მეორე კი ის არის, რომ მე და შენ მუდამ კარგი მეგობრები ვიყავით. ჩვენ ახლა დროს ვატარებთ, ვმოგზაურობთ. უკვე გაიგე ისეთი რაღაც-რაღაცები, ადრე რომ არც გინახავს და არც გსმენია; კიდევაც ვამაყოფ, რომ შენ გვერდით ვარ და გეხმარები, ასე ვთქვათ, გათვითცნობიერებაში. დღესაც, გინდა-არ გინდა, უფრო მეტს გაიგებ, რაზედაც არა მგონია, მანამდე გეფიქროს; ნახავ, ჩახვდები და შენდა უნებურად მონაწილეც იქნები, თუმცა ჯეფერსონშიც და სხვაგანაც ბევრი გეტყოდა, შენთვის ეს ჯერ ადრეაო. მაგრამ იცოდე, სისულელეა ეს ყველაფერი, შენ ხომ ის ბიჭი ხარ, ვინც არა მარტო მანქანის ტარება ისწავლა და მემფისისკენ მიმავალი გზაც, შეუძლია მანქანაც კი ამოათრიოს იმ ლაფიდან, ვიღაც ნაბიჭვარს თავის საკუთრებად რომ გაუხდია, და ეს ყველაფერი ერთ დღეში; კი, სწორედ შენისთანა ბიჭს შეუძლია, რასაც შეხვდება, ყველაფერი კარგად გაიგოს. მხოლოდ... - კვლავ ჩაახველა, ყელი ამოიწმინდა, ფანჯარასთან მივიდა, ისევ გამოიღო, კვლავ გადააპურტყა, ისევ დაკეტა და უკან დაბრუნდა.

- მაგრამ არის კიდევ მესამეც, რაც მინდა როგორმე აგიხსნა. ყოველმა მამრ... ყმაწ... ბიჭმა შეიძლება ისეთი რამ დაინახოს, ისეთ რამეს გადაეყაროს და ისეთი რამე მოისმინოს, რაც იქნებ იმწუთას ვერ გაიგოს და ვერც კი წარმოიდგინოს, თუ როდესმე გამოადგება ამის ცოდნა, მაგრამ მოვა დრო და კარგადაც გამოიყენებს, თუკი არ დაავიწყდება, თუკი ვინმესთან არ გათქვა. ჰოდა, სწორედ მაშინ მიხვდები, რა ბედნიერ ვარს კვლავზე ხარ დაბადებული, რადგან ამ დროს გვერდით გყავდა დიდი ხნის მეგობარი, ვისაც ჩვილივით ზურგზე მოკიდებული საჯინიბოში მიჰყავდი, ვინც სულ პირველად შეგსვა ცხენზე, ვინც წინასწარვე გაფრთხილებდა, გულმავიწყობის ან შემთხვევის, ან კიდევ, ვინ იცის, რის გამო, შენდა ჭირად, ვინმეს არ უთხრა და არ მოუყვე, რაც თავს გადაგხდებდა.

- შენ იმის თქმა გინდა, რომ ამ მოგზაურობის ხანს რასაც ვნახავ, არც პატრონს, არც მამას, არც დედასა და ბებიას არ ვუამბო სახლში დაბრუნებულმა, ასეა, არა?

- მეთანხმები თუ არა? - თქვა ბუნმა. - სულ ჩვეულებრივი, საღი გონებით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი და შენი ამბავი ვისი გასარჩევი უნდა იყოს? რატომ უნდა უამბო?

- მერედა, ამას რატომ პირდაპირ არ მეუბნები? - ვუთხარი.

მიუხედავად ამისა, ჩემი ბანაობის ამბავი თურმე სულაც არ დავიწყებოდა; სააბაზანოში კიდევ უფრო მოტკბო-შედედებული სუნი მეცა. პანსიონების შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდი. შეიძლება ისეთებიც იყო, სადაც მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ. ბუნს რომ ვკითხე ეს, მაშინ ჩვენ კიბებზე ჩამოვდიოდით. საღამოვდებოდა და მშოიდა.

- სწორად ამბობ, ქალებია აქ - თქვა, - და თუ დავინახე, რომელიმესთან უბრდელად მოიქეცი...

- კაცებიდან სულ არავინაა ამ სახლში?

- არა, ბ-ნ ბინფორდის გარდა აქ არავინ ცხოვრობს. საჭმელიც აქ ისეთი არაა, როგორც სხვა პანსიონებში. მაგრამ ბევრი ხალხი კი ირევა, ვახშმობის მერე, უფრო გვიანაც, მოდიან და მოდიან. თავადაც ნახავ, დღეს კვირაა და ბ-ნი ბინფორდი ამ დღეს განსაკუთრებით მკაცრია, არავითარი ცეკვა-თამაში, მხოლოდ მათი უახლოესი მეგობრები მოდიან, წყნარად, თავაზიანად, დიდხანს არც რჩებიან, არც ბ-ნი ბინფორდი დაანებებს ამას - ყველა, ვინც აქ მოვა, წყნარად და თავაზიანად უნდა მოიქეცეს. ისე კი, ეს კაცი საღამომობით მთელი კვირის განმალვობაშიაც ასევე ფხიზლადაა, ხმაურს არ დაანებებს, ვინც არ უნდა იყოს. შენც წყნარი და თავაზიანი იყავი, გართობას არ დაგიშლი, მაგრამ ფრთხილად. იცოდე, რამე საყვედური არ დაიმსახურო. ბატონი ბინფორდი თავიდან ხმას არ აუწევს, ორჯერ ერთი და იმავეს გამეორება არ უყვარს. აბა, წავიდეთ, ისინი, ალბათ, მის რეზას ოთახში არიან.

მართლაც იქ იყვნენ: მის რეზა, მის კორი, ბ-ნი ბინფორდი და ოტისი. მის რეზას ახლა შავი კაბა ეცვა და მკერდს სამი ბრილიანტი უმშვენებდა, ასევე ყვითლად მოელვარენი. ბ-ნი ბინფორდი დიდულვაშიანი, ჩია ტანის კაცი იყო, ოთახში ყველა ზემოდან დაჰყურებდა ჩემი და ოტისის გარდა. შავი საკვირაო კოსტიუმი ეცვა, ეკეთა ოქროს საკინძეები, ოქროს საათი ოქროსავე დიდი ძეწკვით, ხელთ ეპყრა ოქროსბუნკიანი ხელჯოხი, ეხურა ქვაბუნა ქუდი; ვისკიანი ჭიქა ედგა მაგიდაზე იდაყვთან . მაგრამ სულ პირველად მის თვალებს შეამჩნევდით, რადგანაც ჯერ კიდევ არც იყავი ოთახში შესული, უკვე გიმბერდა. ოტისიც საკვირაო სამოსში იყო გამოწყობილი. ჩემზე დაბალი იყო და მაინც ეტყობოდა, რიგზე ვერ ჰქონდა ყველაფერი.

- სადამო მშვიდობისა, ბუნ, - თქვა ბ-მა ბინფორდმა.

- სადამო მშვიდობისა, - მიუგო ბუნმა, - ეს ჩემი მეგობარი ლუციუს პრისტია.

ჩემებურად მივესალმე, მაგრამ არაფერი უთქვამს, თვალი კი მომაცილა.

- რეზა, - თქვა მან, - რამე დასალევი მოუტანე ბუნსა და კორის. მინიმ კი ამ ბიჭებს ლიმონათი მოუმზადოს.

- მინი ვახშამს აწყობს, - უთხრა მის რეზამ. კედლის კარადის კარი რომ გამოაღო, ბარისმაგვარი რაღაც დავინახე - ერთ თაროზე ჭიქები ეწყო, მეორეზე ბოთლები. - კორისაც ლიმონათი ისევე უნდა, როგორც ბუნს, ეგ ლუდს მიირთმევს.

- ვიცი, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - პარკში რომ ვიყავით, სადღაც გამისხლტა. ლუდი კი უნდოდა, მაგრამ ვერავინ ნახა, ვინც ბარში შევიდოდა და უყიდდა. შენიც მიირთმევს ლუდს, ბუნ?

- არა, სერ, - მივუგე მე, - ლუდს არ ვსვამ.

- მაინც რატომ? - მითხრა ბ-მა ბინფორდმა, - არ მოგწონს თუ ვერ შოულობ?

- არა, სერ, - მივუგე მე, - ჯერ კიდევ არც ისე დიდი ვარ.

- მაშინ ვისკი, ხომ?.. - მკითხა ბ-მა ბინფორდმა.

- არა, სერ, - ვუთხარი, - არაფერს არ ვსვამ. დედას სიტყვა მივეცი, მანამ არ დავლევ, სანამ მამა ან პატრონი არ შემომთავაზებენ.

- პატრონი ვინაა? - ჰკითხა ბ-მა ბინფორდმა ბუნს.

- ბაბუამისზე ამბობს, - უთხრა ბუნმა.

- ჰოლ, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - ავტომობილის პატრონი. მისთვის, ეტყობა, პირობა არავის მიუცია.

- იმას არც სჭირდება, - თქვა ბუნმა, - გეუბნება რაც უნდა გააკეთო და უნდა გააკეთო.

- ის, მგონი, შენთვისაც პატრონია, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - ხანდახან.

- აბა, როგორ, - მიუგო ბუნმა.

სულ ვცდილობ აგისხნა ბ-ნ ბინფორდის ამბავი; და ისევ ვერ შევამჩნიე, როდის დამიწყო მზერა.

- მაგრამ ახლა დედაშენი აქ არ არის, - თქვა, - ბუნმა და შენ ერთად აიწყვიტეთ თავი. ოთხმოცი მილით... შორსაა. ხომ?..

- არ შემიძლია, სერ, - ვუთხარი, - დედას შევპირდი.

- ვხედავ, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - შენ სიტყვა მიეცი, ბუნთან ერთად არ დავლევო. იმის პირობაც ხომ არ მიეცი, კახპებშიც არ ვივლიო მასთან ერთად?

- აი, შე თახსირო, - თქვა მის რებამ.

როგორ ვთქვა არ ვიცი, ოღონდაც ის და მის კორი ორივენი ერთად შეხტნენ ადგილზე - მის რებას ერთ ხელში ვისკის ბოთლი ეკავა, მეორეში სამი ჭიქა.

- კმარა! - თქვა ბ-მა ბინფორდმა.

- გეგონოს, - უთხრა მის რებამ, - შემიძლია შენც მიგაბრძანო აქედან. თუ გგონია, ვერ ვიზამ, ცდები, წესიერად ილაპარაკე, იცოდე!

- თქვენც ასევე, - უსაყვედურა მის კორიმ მის რებას, - მაგაზე უკეთესად არც თქვენ იქცევით პირდაპირ ამათ თვალწინ.

- კმარა-მეთქი, - გაიმეორა ბ-მა ბინფორდმა, - ერთს ლუდი ვერ უშოვია, მეორე არ სვამს, იქნებ ორივენი აქ იმიტომ მოვიდნენ, რომ ზრდილობა ისწავლონ და კარგი განათლება მიიღონ. მართლაც ასეა. ახლა გაიგეს, რომ „კახპა“ და „თახსირი“ ორივე სიტყვაა და კარგად უნდა დაფიქრდე, ვიდრე ისროდე, თორემ შეიძლება ტყვია თავად მოიხვედრო.

- კარგით ერთი, - უთხრა ბუნმა.

- რაო?! დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ ერთი ტახი შემოგორებულა ჩვენს ლაფის გუბეში, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - და კარგა მოსულიც. გონს მოდით, მის რება, ვიდრე ყელი სულ მთლად არ გაგვიშრა.

მის რებამ ვისკი ჩამოასხა, ხელი უკანკალებდა, ბოთლისა და ჭიქის რაკარუკთან ერთად მისი ჩახრინწულ-გააფთრებული ჩურჩული მოისმოდა - თახსირი, თახსირი, თახსირიო.

- კარგია, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - მშვიდობას გაუმარჯოს, აბა, დავლიოთ. - მან ჭიქა ასწია და ის იყო დაიწყო: „ქალბატონებო და ბატონებო“... რომ ამ დროს ვიღაცამ - მგონი, მინი უნდა ყოფილიყო - სადღაც ჩვენ უკან, ბარი ჩამოჰკრა. ბ-ნი ბინფორდი წამოდგა.

- ამას რა ჯობს, - თქვა მან, - სმენა იყოს და გაგონება. ზრდილობა და განათლება ამას გვასწავლის, უკეთესია, თუ სალანდლავ სიტყვებზე არ მოვაცდენთ პირს, ნამდვილად ასე ჯობს.

ბ-ნი ბინფორდი აუჩქარებლად გაგვიძღვა სასადილო ოთახისკენ. ისევ გაისმა ფეხის ხმა, ვიღაცები მოიჩქაროდნენ. ორი ახალგაზრდა ქალი იყო, ერთი მათგანი სულ ნორჩი, კიბეზე ჩამორბოდნენ, თან ღილებს იკრავდნენ. ერთს წითელი კაბა ეცვა, მეორეს ვარდისფერი, მალიმალ სუნთქავდნენ.

- რაც შეგვეძლო ვჩქარობდით, - უთხრა ერთმა ბ-მა ბინფორდს, - მგონი, არ დაგვიგვიანებია.

- კარგია, - მიუგო ბ-მა ბინფორდმა, - დაგვიანებულთა ნახვა ამ საღამოს სწორედ არ მესიამოვნებოდა.

შევედით. სასადილო მაგიდასთან საკმარისზე მეტი ადგილი იყო ყველასთვის, ჩემი და ოტისის ჩათვლით. მინის უკვე გაეწყო სუფრა, ყველაფერი ცივი იყო, შემწვარი წიწილები, გახუხული პური, ბოსტნეული, რაც კი სადილიდან დარჩენილიყო. ბ-ნ ბინფორდს კი ცხელი საჭმელი - ხახვის საწებელში ჩაწყობილი ხორცი მობრუნებდა ვეებერთელა თეფშით (გესმის, რამდენად გაუსწრო ბ-მა ბინფორდმა თავის დროს? უკვე რესპუბლიკელი გამხდარიყო, ოღონდ 1905 წლის რესპუბლიკელის ყაიდისა არა. არც ის ვიცი, ტენესის რომელ პარტიაში შევიდა ან, საერთოდ, თუ იყო რომელიმეს წევრი. რესპუბლიკელები რომ ვახსენე, 1961 წლის დროინდელს ვგულისხმობ, უფრო მეტიც, კონსერვატორი იყო. შეიძლება ასე ითქვას: რესპუბლიკელი ის არის, ვისაც ფული თავად აქვს ნაშოვნი; ლიბერალი ის, ვისაც ქონება მემკვიდრეობით ხვდა წილად; დემოკრატი კი მორბენალთა შეჯიბრებაში მონაწილე ფეხშიშველა ლიბერალია; კონსერვატორი იგივე რესპუბლიკელია, ვისაც წერა-კითხვა აქვს ნასწავლი). ყველანი მაგიდას მივუსხედით. ჩვენ შორის ის ორი ახალმოსული ახალგაზრდა ქალიც იყო; უკვე იმდენ უცხო ადმიანს ვხედავდი, მათი სახელები აღარ მახსოვდა და აღარც ვცდილობდი დამახსოვრებას, თანაც ის ორნი მეტად აღარსად მინახავს. ჭამა დავიწყეთ. შეიძლება ბ-ნ ბინფორდის ხორცს საამური სუნი იმიტომ ასდიოდა, რომ დანარჩენ კერძებს ნაშუადღევს აქეთ სუნი სრულიად გასვლოდა. მერე იმ ახალმოსული ქალბატონებიდან ერთ-ერთმა, უფრო უფროსმა განაცხადა:

- რას იტყვით, ბ-ნო ბინფორდ? - იმ მეორემაც ჭამა შეწყვიტა და ყურები ცქვიტა.

- რაზე? - ჰკითხა ბ-მა ბინფორდმა.

- თქვენ იცით, რაზე, - შეჰყვირა ქალმა, - მის რება, ხომ იცით, რომ რაც შეიძლება ვცდილობთ. არ ვხმაურობთ, არც მუსიკას მოვითხოვთ კვირადღეობით, სხვაგან კი არაფერს არ იკლებენ. ხმის ამოღებასაც კი ვუშლით ხოლმე ჩვენს კლიენტებს, სულ ვეჩინებთ, ჩუმი იყავით, ჩუმიდით. მაგრამ, თუ ჯერ კიდევ არ ვუსხედვართ სუფრას, როდესაც ის კარს გამოადებს და ინებებს შემობრძანებას, ყოველ შაბათს ოცდახუთი ცენტი უნდა ჩავუშვათ ამ დაწყვეტილ ყულაბაში...

- ამ სახლის წესი ასეთია, - თქვა ბ-მა ბინფორდმა, - წესის გარეშე კი სახლი არ იქნება. დიდი უბედურები ხართ კახპები, ზოგჯერ მაინც უნდა მოიქცეთ ქალბატონებისთვის, მაგრამ არ შეგიძლიათ, თუმცა კი სულ ჭკუას გასწავლით.

- ასე ნუ გველაპარაკებით, - წამოიძახა უფროსმა.

- კარგი, - მიუგო ბ-მა ბინფორდმა, - ახლა სხვანაირად გეტყვით. თქვენისთანა ქალბატონების უბედურება ის არის, კახპებისთვის იქცევით და დროზე შეჩერება არ შეგიძლიათ.

ფეხზე წამოხტა ის უფროსი. იმასაც რაღაც უცნაურობა სჭირდა. სიბერის ბრალი არ იყო, ბებიაჩემისთვის არ იყო მოტეხილი, რადგან არც იყო ბებერი. არა, თითქოს მიუსაფარსა და მარტოსულს, აქ არ უნდა ეცხოვრა მას, ეს ყველაფერი მოეთმინა. საერთოდ არც არავინ უნდა ყოფილიყო ასე.

- მაპატიეთ, მის რება, - თქვა მან, - დღესვე, ახლავე უნდა წავიდეთ აქედან.

- მაინც სად? - ჰკითხა ბ-მა ბინფორდმა - ბერდი უოტსისას, ამ გზის გადაღმა? იმ ქალმა იქნებ ამჯერად გამოგატანოს ის შენი სკივრი, თუ ჯერ გაყიდული არა აქვს.

- მის რება, მის რება, - ნელა თქვა ქალმა.

- კარგი ერთი, - მყისვე მიუგო მის რებას, - დაჯექი და ჭამა დაასრულე. არსადაც არ წახვალ. კი, მშვიდობა მეც მიყვარს, ოღო-

ნდ ერთ რაღაცას გეტყვი და ამით დავამთავროთ ერთხელ და სამუდამოდ, - და მაგიდის იქით მდჯომ ბ-ნ ბინფორდს მიმართა, - რა ჯანდაბა მოგივიდათ დღეს, თქვენს ჭკუაზე არა ხართ და გესლს ანთხევთ.

- არაფერიც არ მომსვლია, - უთხრა ბ-მა ბინფორდმა.

- სწორია, არაფერი, - თქვა უეცრად ოტისმა, - რა უნდა მომხდარიყო, ადგილიდანაც არ დაძრულა. - ამ სიტყვების შემდეგ თითქოს ელექტროდენმა დაუარა ოთახს; მის რეზას ღია დარჩა პირი, ხელში ჩანგალი გაუშეშდა. მე ვერაფერს ვერ მივხვდი, მაგრამ დანარჩენები მიხვდნენ, მათ შორის ბუნიც, თუმცა ერთი წუთის მერე მეც მივხვდი.

- ვინ არ დაძრულა ადგილიდან? - იკითხა მის რეზამ.

- ის ცხენი, - თქვა ოტისმა, - ის ეტლიანი ცხენი, ვისზეც ფულს ჩავედით, ხომ მართალია, ბ-ნო ბინფორდ?

ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ჩვეულებრივმა დენმა კი არა, მაღალი ძაბვის დენმა დაგვარტყა ყველას, გახსოვს, მე რომ გითხარი, რაღაც უცნაურობა სჭირდა-მეთქი ოტისს. მაგრამ თავიდათავი ახლა ეს არ იყო, ანუ მხოლდ ეს არ იყო. მის რეზას ფარხმალი არ დაუყრია. მართლა გასაოცარი ხალხია ქალები, ყველაფერს გაუძლებენ, რადგანაც სიბრძნე არ აკლიათ და იციან, თუკი ვერ გაეცევი, მწუხარებისა და გასაჭირის მორევში პირდაპირ თავით უნდა გადაეშვა და სამშვიდობოს ისე გახვიდე. მე მგონი, იმიტომ ახერხებენ ამას, რომ არა მარტო ფიზიკურ ტკივილს არ აქცევენ ყურადღებას, არც სირცხვილი კლავთ, როცა დამარცხდებიან ხოლმე.

- ცხენზეო? - თქვა მან, - სად იყო? ზოოპარკსა და ოვერტონის პარკში?

- ოვერტონის პარკში კი არა, - მიუგო ოტისმა, - დოღზე. ტრამვაიში ერთ ვიღაცას შევხვდით, იცოდა, რომელი ცხენი და ეტლი მოიგებდა, ოვერტონის პარკში ამიტომ აღარ წავესულვართ. არა-

და, იმ ცხენს არ მოუგია. ხომ ასეა, ბ-ნო ბინფორდ? მაგრამ იმ კაც-ზე მეტი ჩვენ მაინც არ წაგვიგია, ორმოცი დოლარიც არ დაგვიკარგავს, რადგან ბატონმა ბინფორდმა ოცდახუთი ცენტი მომცა, არ გამთქვალ. ასე რომ, ჩვენი წაგება სულ ოცდაცხრამეტი დოლარი და სამოცდათხუთმეტი ცენტი იყო. მერე ის ოცდახუთი ცენტიც აღარ დამრჩა, ლუდი დავლიე. ბატონმა ბინფორდმა წელან სწორედ ეს გითხრა. ხომ ასეა, ბ-ნო ბინფორდ?

ყველანი ისევ გაჩუმდნენ. თითქოს მშვიდობის მაუწყებელი იყო ეს სიჩუმე. მერე მის რეზამ ჩაილაპარაკა:

- გათახსირებული, - და დასძინა, - მიდი, თუ გინდა, დაამთავრე შენი ბიფშტექსი! - მაგრამ დამარცხება არც ბ-ნ ბინფორდს უყვარდა. ისიც გულამაყი იყო, უკან არ დაიხევდა მოჩხუბარიმამალივით. დანა-ჩანგალი ფრთხილად, აუჩქარებლად, ჯვარედინად დადო თეფშზე, მერე ხელსახოცი დაახვია, რგოლში ჩადო, წამოდგა, უკაცრავადო, და ისე გავიდა. არავისთვის არ შეუხედავს, არც ოტისისთვის.

- ღმერთო დიდებულო, - წარმოთქვა იმ დაგვიანებულ ქალთაგან ერთმა, შედარებით ყმწავილმა. მაშინლა შევამჩნიე მინი, სამზარეულოს ნახევრად ღია კარში იდგა. - ხედავთ?

- თავიდან მომწყდით, - უთხრა მის რეზამ გოგოს, - ორივენი. იმწამსვე წამოდგა ორივე.

- სულ... სულ წავიდეთო?.. - თქვა ახალგაზრდა ქალმა.

- არა, - მის კორიმ მიუგო, - ამ ოთახიდან უნდა გახვიდეთ და ახლა თუ ვინმეს არ ელოდებით, აქ სადმე გაისეირნეთ.

ისინი აღარც გაჩერებულან. მის კორიც წამოდგა. ოტისს უთხრა, შენც მაღლა ადი შენს ოთახში და იქ იყავიო.

- მის რეზას კარს ჩაუვლის, - თქვა ბუნმა, - ჰოდა, ის კიდევ დაუმატებს.

- უკვე დავიმატე მეოთხედზე უფრო მეტი, - უთხრა ოტისმა, - ოთხმოცდახუთი ცენტი იყო, პიანოლას ტრიალისთვის რომ მომ-

ცეს, როცა იმ შაბათ საღამოს ცეკვა გამართეს. მაგრამ ლუდის ამბავი გაიგო თუ არა, ის ფულიც წამართვა.

მის რეზამ შეხედა.

- მაშ, იმ ოთხმოცდახუთი ცენტისთვის გაყიდე? - უთხრა:

- სამზარეულოში შედი, - უთხრა მის კორიმ ოტისს, - შენთან იყოს ერთხანს, მინი.

- კარგი, - მიუგო მინიმ, - ვეცდები საყინულესთან არ მივუშვა, მაგრამ ვერცხლისწყალივითაა და რას გავაჩერებ.

- ჯანდაბას, აქ იყოს, - უთხრა მის რეზამ, - ახლა უკვე გვიანაა. გასულ კვირას არც უნდა დაგვენებებინა არკანზასის მატარებლიდან ჩამოსვლა.

მის კორი ახლოს მიუჯდა მის რეზას.

- რატომ არ წახვალთ და ბარგს არ ჩაულაგებთ? - უთხრა დაყვავებით.

- შენ რა, ეჭვი გეპარება? - თქვა მის რეზამ, - თუნდაც ყველაფერს ვანდობ, რაც მაქვს, უკანასკნელ პენიმდე, ეს ოხერი ცხენები რომ არა.

უეცრად წამოდგა და გასწორდა. წარმოსადეგი ქალი იყო, მკაცრი, ლამაზი სახისა, ოღონდაც მეტისმეტად ღჟალთმიანი.

- დასწყევლოს ღმერთმა, გგონია, უიმისოდ ვერ გავძლებ? - ასე თქვა.

- კარგით, კარგით, - უთხრა მის კორიმ, - ცოტა უნდა დალიოთ, გუნებაზე მოგიყვანთ, მიეცით მინის გასაღები... თუმცა არა, თქვენს ოთახში ჯერ ვერ შევა.

- უკვე წავიდა, - თქვა მინიმ, - სადარბაზოს კარმა დაიბრახუნა. ბევრი მომზადება არ უნდა, უცებ იცის ხოლმე.

- სწორია, - თქვა მის რეზამ, - მე და მინი აქ გუშინდელი მოსულები არა ვართ. ხომ ასეა, მინი?

ჰოდა, მისცა გასაღები მინის, თავად კი დაჯდა. მინი გავიდა და მყისვე ერთი ბოთლი ჯინი შემოიტანა. თითო ჭიქა გადაკრეს, მი-

ნიმაც კი (თუმცა ამდენი თეთრი ხალხის თვალწინ არ სვამდა, სავსე ჭიქა სამზარეულოში შეჭქონდა და სულ მალე უკანვე ბრუნდებოდა ცარიელით), ჩემი და ოტისის გარდა. სწორედ მაშინ გავიგე ბ-ნ ბინფორდის ამბავი.

გამგებელი იყო თურმე აქ. მისი ოფიციალური წოდება თუ თანამდებობა ეს გახლდათ, თუმცა ამის არანაირი საბუთი, ცხადია, არ არსებობდა. ყველა ასეთ დაწესებულებასა თუ სახლს ყოველთვის უნდა ჰყოლოდა ვინმე განმკარგულებელი. სხვა, უცხო, უფრო იბღლიან სამყაროში, სადაც ასეთი მძიმე, გამანადგურებელი შრომით სარჩოს შოვნა არ უწევთ, ბინფორდს სხვა, უფრო შეურაცხმყოფელი სახელი ერქვა. მაგრამ აქ მხოლოდ ქალები ცხოვრობდნენ და არა მარტო სამეურნეო ნაწილის გაძლოდა ევალებოდა, არამედ ქალების ისტერიკაც უნდა მოეთმინა, აქაურობის კატალიზატორი ყოფილიყო, თუმცა არც არავინ უფასებდა და არც მადლობას ეუბნებოდა ვინმე. სუსტი და მყიფე იყო მისი ძალაუფლება და მაინც ცდილობდა, როგორმე რესპექტაბელურობა მიენიჭებინა ამ ისტერიის საუფლოსთვის, რათა შეენარჩუნებინა გადახდისუნარიანობა და ლუკმაპური არ მოჰკლებოდათ; საქმისმწარმოებელიც იყო, ითვლიდა შემოსავალს, იხდიდა გადასახადებს, ანგარიშს უსწორებდა ვაჭრებსა და ხელოსნებს, ყველას მასთან უნდა ჰქონოდა საქმე - საბაყლოს, სპირტიანი სასმელებისა თუ ნახშირის გამყიდველებს, წყალსადენის მუშებს, რომლებიც ათბობდნენ ზამთარში გაყინულ მიწებს, ბუხრის მწმენდავებსა და მეფობვეებს; სწორედ ბ-ნი ბინფორდი აძლევდა ქრთამს კანონის წარმომადგენლებს, ხმის ჩახლეჩამდე ეკამათებოდა მერიისა თუ სხვა უწყებათა გადასახადის ამკრეფებს და ლანძღავდა გაზეთის მომტან ბიჭს, თუკი გაზეთს დაუგვიანებდა. ამ საზოგადოებაში (გამგებლებს ვგულისხმობ) ცნობილიც იყო, როგორც თითოთ საჩვენებელი კაცი, რადგან გამოირჩეოდა დახვეწილი მანერებით, სანდომიანობით, სტილით, პრინციპებითა და შეურ-

ყვნელი ზნეობით. მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში მის რე-
ბას საყვარელი იყო და მასზე უფრო ერთგული ქმარიც კი ვერ იქ-
ნებოდა; მხოლოდ ეს ერთი ნაკლი ჰქონდა - გულგრილი ვერ რჩე-
ბოდა დოლის ცხენებისადმი, რომლებზეც ფულის დადება შეიძ-
ლებოდა. ვერა და ვერ მოეთოკა ეს ლტოლვა, თუმცა კი ებრძოდა
მთელი ძალით, მაგრამ ყოველთვის შეძახილის - აბა, გასწითო! -
გაგონებაზე, შეიძლებოდაპირველივე შემხვედრი არამზადის წე-
რა გამხდარიყო, ვისაც თუნდაც ერთი დოლარის ჩასვლა შეეძ-
ლო.

- თავადაც იცის ეს, - თქვა მინიმ, - ბევრჯერ გაუკიცხავს თავი
საკუთარი თავისა თუ სხვათა წინაშე, ასეთი უნებისყოფო როგორ
ვარ, ცთუნებას როგორ ვერ უნდა გაუძლო, გარემოებანი რო-
გორ უნდა მჯაბნიდესო, თუმცა უცხო ხალხის თვალში მამლაცინ-
წად გამოიყურებოდა. რამდენჯერ მოუცია ჩვენთვის სიტყვა, თა-
ვადაც სჯეროდა ხოლმე ამ სიტყვისა, მაშინაც კი, გახსოვთ, რო-
დესაც ამ ორი წლის წინ იძულებული ვიყავით გაგვეძევებინა, მე-
რე კი რამდენი ბრძოლა დაგვჭირდა მის დასაბრუნებლად, - უთ-
ხრა მის რებას.

- როგორ არ მახსოვს, - თქვა მის რებამ, - მოდი, კიდევ ერთიც
დავლიოთ.

- არ ვიცი, როგორ შეძლებს, - განაგრძო მინამ, - როცა მიდის,
მხოლოდ ის მიაქვს, რაც აცვია, ყველაფერი ხომ მის რებას ნაყი-
დია. გავა ორი დღე და ნახავთ, იმ ორმოც დოლარს თუ უკლებ-
ლივ არ გამოგზავნის.

- უფრო სწორად, ოცდაცხრამეტსა და სამოცდათხუთმეტ
ცენტს, - თქვა ბუნმა.

- არა, მთელ ორმოც დოლარს, - მიუგო მინიმ, - დოლარის ის
მეთხედიც ხომ მის რებასია. უფრო ნაკლებზე არ დათანხმდება.
მერე მის რება ვაცს გაუგზავნის, მაგრამ ის არ მოვა. გასულ წელს,
როდესაც ძლივს ვიპოვეთ, საკანალიზაციო მილების გაყვანაზე

მუშაობდა სადგურის უკან, საიდანაც მატარებელი ფრისკოში მი-
დის. ჰოდა, სანამ მუხლებში არ ჩაუვარდა...

- კარგი ერთი, - მიუგო მის რეზამ, - რამდენს ლაპარაკობ,
ჯობს, ერთიც დაასხა.

მინიმ ტიქებში ჩამოსხმა დაიწყო, შემდეგ ბოთლით ხელში გა-
ჩერდა.

- ეს რა ღრიალია? - ასე თქვა.

ყველამ გავიგონეთ მოყრუებული ღრიალი უკანა ეზოს მხრი-
დან.

- წადი და ნახე, - უთხრა მის რეზამ, - ეგ ბოთლი კი აქ მომეცი.

მინიმ ბოთლი მისცა და სამზარეულოში გავიდა. მის რეზამ და-
ისხა და ბოთლი მის კორის გადააწოდა.

- ორი წელი გავიდა მას აქეთ და იქნებ ახლა მაინც ეყოს ჭკუა,
- თქვა მის კორიმ.

- ვინ ნახა მისი ჭკუა, - თქვა მის რეზამ, - მოდი, დაასხი და გა-
დაეცი.

მინი დაბრუნდა და ამბავი მოიტანა, კაცი დგას ვიღაც უკანა
ეზოში, ამ სახლის კედელს მოსჩერებია და ღრიალებს, ბუნ ჰო-
განბეკ, ბატონო ბუნ ჰოგანბეკო. თან დიდი რაღაც ახლავს.

ყველანი ბუნს მივყევით, სამზარეულო გავირბინეთ და უკანა
ვერანდაზე გავედით. თითქმის მთლად ჩამობნელებულიყო,
მთვარე არც ისე მაღლა იდგა და კარგად ვერ ანათებდა. შუა უკა-
ნა ეზოში ორი ჩრდილი მოჩანდა - ერთი პატარა და ერთი დიდი.
პატარას თავი აეწია და ღრიალებდა; ბუნ ჰოგანბეკ! ბატონო ბუნ
ჰეგანბეკ! ჰეი, ჰეიო! ვიდრე ბუნმა ღრიალითვე არ ჩააჩუმა:

- ხმა ჩაიწყვიტე! ხმა ჩაიწყვიტე! ხმა ჩაიწყვიტე!

ეს ნედი იყო, გვერდით კი ცხენი ედგა.

VI

ყველანი სამზარეულოში გავედით.

- ღმერთო დიდებულო, - თქვა ბუნმა, - პატრონის ავტომობილი ცხენში გაცვალე? - ორჯერ მოუწია ამ სიტყვების თქმამ, რადგან ნედი თვალს არ აცილებდა მინის კბილს, უფრო სწორად, ელოდებოდა, კვლავ როდის გამოჩნდებოდა. შეიძლება მის რეზამ ჰკითხა რაღაც, ან იქნებ მინიმ ჩაილაპარაკა თავისთვის რაღაც, მხოლოდ ეს მახსოვს, გაალო თუ არა მინიმ პირი, უცერად გაიელვა ოქრომ სამზარეულოს ელექტრონათურის შუქზე, თითქოს ამ კბილს მოეკრიბა, ერთად შეეკრა ნათურის სხივები და ახლა ცხენის თვალისთვის ბრდღვიალებდა ირგვლივ ჩამოწოლილ ბინდში.

იმასაც რა დამავიწყებს, როგორ მოაჯადოვა მან ნედი და წამით ბასილისკოსავით ადგილზევე გააქვავა. სწორედ ასე მომივიდა მეც, როცა პირველად მინის კბილი დავინახე. ჰოდა, ნედის ამბავი სულაც არ გამკვირვებია, თუმცა ჩემზე უფრო მეტად იყო რეტდასხმული; მერე რა, რომ თერთმეტი წლისა ვიყავი, მაინც ბუნდოვნად მივხვდი რაღაცას. ჩვენ შორის დიდი განსხვავება იყო არა მარტო იმიტომ, რომ სხვადასხვა ფერისანი ვიყავით, არამედ ასაკითაც, და ნედივით გული ვერ ამიჩქროლდებოდა. რასაც ვგრძნობდი, ეს იყო გაოცება და აღტაცება. თანაც ეს მე არ მეხებოდა. სქესთა ოდინდელ ჭიდილში კარგად აღჭურვილი კაცის წინაშე ღირსეული მოწინააღმდეგე იდგა, ხოლო ოდინდელი რასობრივი კავშირისას - უმაღლესი ქურუმი ქალი, ვისთვისაც შეიძლებოდა სიცოცხლის გაწირვაც - თუკი ასეთი ერთგულების უნარით იქნებოდა დაჯილდოებული; მაგრამ სულ მალე ცხადი გახდა, ნედს სურდა (ყოველ შემთხვევაში იმედი ჰქონდა) მინისთან სულ სხვანაირად გაეტარებინა დრო. ასე რომ, ბუნს შეკითხვის ორჯერ გამეორება მოუხდა, ვიდრე ნედი გაიგონებდა, უფრო სწორად, ყურს ათხოვებდა.

- ჩემზე კარგად მოგეხსენება, - უთხრა ნედმა, - პატრონს სულაც არ უნდა ავტომობილი. იძულებული იყო და იმიტომ იყიდა, პოლკოვნიკ სარტორისის გამო, რათა ჭკუა ესწავლებინა. პატრონს რაც უყვარს, ეს ცხენია, ცხენი-მეთქი და არა ის თქვენი სახელოვანი ჯაგლაგთაგანი, შენ და ბატონ მორის რომ გყავთ საჯინიბოში. სწორედ ცხენი! ჰოდა, მეც ასეთი მოვიყვანე. ამ ბედაურს რომ შეხედავს, მყის მეტყვის: 'შენი დიდი მადლობელი ვარო. კიდევ კარგი, დროზე მიუხსნარი, თორემ რას დამანებებდნენ...' - თავი სიზმარში მეგონა, ღამის კომმარულ სიზმარში; იცი, რომ გძინავს, რომ საკმარისია შეეხო რამე რეალურს, ცხადს, შეუცვლელს და გაგეღვიძება; ბუნსა და მე იმწუთას ერთმა და იმავე აზრმა გაგვიელვა თავში. პირველი მე დავიძარი, რადგანაც პატარა უფრო სწრაფია. ნედმა შეგვაჩერა, მაშინვე მიხვდა, ორივემ რაც გავიფიქრეთ.

- სანახავი იქ აღარაფერია, - ასე გამოგვიცხადა, - იმ კაცმა უკვე წაიყვანაო. ბუნი გაშეშდა, გამძვინვარებული მომაჩერდა. ორივეს ერთნაირად დაგვეცა თავზარი, არა და არ გვჯეროდა. ჯიბეები რომ მოვიქექე, მანქანის გასაღები ადგილზე იყო. - თავი დაანებე, - თქვა ნედმა, - ის კაცი ამ საქმის დიდოსტატია, ეგ სულაც არ სჭირდებოდა. ასე მითხრა, ვიცი, სადაც უნდა შევეყო ხელი, ერთს გადავატრიალებო და მორჩა. გადაატრიალა კიდევ, ასე იყო სწორედ, საკუთარი თვალით ვნახე, თორემ არც დავიჯერებდი. თავი დიდად არ შეუწუხებია. აღვირიც მომცა, შენი იყოსო ამ ცხენთან ერთად...

ჩვენ - ბუნი და მე - არ გავქცეულვართ, თუმცა კი მის რებასა და მის კორისთან ერთად სადარბაზოს კართან სულმოუთქმელად მივედით. ავტომობილი აღარსად იყო. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე მის რება და მის კორი; სიტყვაც კი არ დაუძრავთ, არც გაოცებულნი იყვნენ და არც თავზარდაცემულნი, მხოლოდ გვიმზერდნენ, გვისმენდნენ ხმის ამოუღებლად და არც არაფერი გამოჰპარავი-

ათ; თითქოს სულ სხვა არსებანი იყვნენ, ხოლო ჩვენ - ბუნი, მე, ნედი, ბაბუას ავტომობილი და ის ცხენი (ვისიც არ უნდა ყოფილიყო) სხვა სამყაროს ბინადარნი და ჩვენი საქციელი თავშესაქცევილა იყო მათთვის; მაშინ გამახსენდა, სწორედ ასეთი სახე ჰქონდა ხოლმე დედასაც, როდესაც მე, ჩემს ძმებსა და მეზობელ ბიჭებს შემოგვცქეროდა თამაშით გართულებს ნირშეუცვლელად, აუმიღვრევლად და თანაგრძნობით, სახეგანათებული, კეთილმოსურნე, ვიდრე აღარ გავიყოფდით ბურთსა და მოედანს და კიდეც დააშოშმინებდა (თუკი საჭირო გახდებოდა) ჩვენს აბობოქრებულ სისხლს.

სამზარეულოში გავედით, სადაც ნედი და მინი დავტოვეთ. ნედის ხმა მოგვესმა:

- ...მაქვს მე ფული, ჩემო ლამაზო, და თუ არა მაქვს, ვიშოვი. ჯერ ის ცხენი დავაბინავო, ვაჭამო, ჰოდა, მე და შენ კი მოვნახავთ მერე ადგილს, სადაც ეს შენი კბილი შუქს დაათრქვევს რამე მის შესაფერისს, ვთქვათ, ერთ თეფშ წვერას ან ღორის ხორცს, თუკი ღორის ხორცი იქნება მისი მოსაწონი...

- კარგი, კარგი, - უთხრა ბუნმა, - წადი და ცხენი ახსენი. ის კაცი სად ცხოვრობს?

- ვინ კაცი? - მიუგო ნედმა, - შენ იმასთან რა ხელი გაქვს?

- პატრონისმანქანა რომ დამიბრუნოს, მერე ან ციხეში ჩავსვამ, ან უკან - ჯეფერსონში დავაბრუნებ პატრონის გულის გასახარად.

- რად არ გაჩერდები და ყურს არ დამიგდე, - თქვა ნედმა, - ის კაცი სადაც ცხოვრობს, მე კარგად ვიცი, აბა, ვაჭრობა ამ საღამოს ვინ გამართა და ცხენი ვინ წამოიყვანა? იმ კაცს თავი დაანებე, ახლა მასთან რა გინდა? დოლის მერელა მოგვიხდება მისი ნახვა. ეს უბრალო ცხენი არ გეგონოს, დოლის ცხენია. იმ პასემელ კაცს ცხენი მზად ჰყავს, ჩვენსას რომ შეეჯიბროს, როგორც კი მივიყვანთ. ამ ქალბატონებმა თუკი არ იციან, პასემი სადაცაა, ვეტყვი,

იქაა, სადაც ჯეფერსონისკენ მიმავალი რკინიგზა გადაჭრის-მეთქი მემფისისას და, თუკი ჩვენსავით ავტომობილით არ იმგზავრებთ, გადაჯდომაა საჭირო...

- კარგი, - უთხრა ბუნმა, - ის პასემელი კაცი...

- უფრო სწორად, პარშემელი, - თქვა მის რებამ.

- სწორია, - დაუდასტურა ნედმა, - სადაც მეძებარი ძაღლების შეჯიბრებას მართავენ. არა უშავს ადგილია... ცხენი უკვე გამოიყვანა ამ ჩვენის წინააღმდეგ სამ წრეზე, ორმოცდაათ-ორმოცდაათ დოლარს ჩამოდიოდა. გამარჯვებულს რჩება მთელი ფული, მაგრამ ეს ორმოცდაათი დოლარი რა არის - ჩვენ ავტომობილის ამოგება გვინდა.

- რაო? - მიაძახა ბუნმა, - რას მიედ-მოედები, ამ ცხენს დოღზე ვინ გაგაყვანილებს, ვინ რას მოგაგებინებს, ის კაცი მანქანას როგორ დაგიბრუნებს, როცა უკვე ცხენში გაცვალა?

- იმიტომ, რომ იმ კაცს არ სჯერა, ეს ცხენი სარბენად რომ გამოდგება. შენ როგორ გგონია, ამ ცხენს ტყუილად ხომ არ გამიცვლიდა იმ რაღაც ავტომობილში? რად არ დაიტოვა ეს ცხენი და რად არ მოიგო ავტომობილი, თუკი მოისურვებდა ერთიც ჰყოლოდა და მეორეც, ორივე ერთად - ცხენიცა და ავტომობილიც?

- ჯანი გამვარდეს, თუ რამე მესმოდეს, - თქვა ბუნმა.

- ხომ გეუბნები, ეს ცხენი უკვე ორჯერ დამარცხდა იმ პასემელი კაცის ცხენტან, რადგანაც არავინ იცის, როგორ უნდა აიძულოს გაჭენება. ასე რომ, იმ კაცს სჯერა, ორგზის წაგებული ცხენი ვერც მესამედ გაიმარჯვებსო. ჰოდა, ჩვენ ახლა უნდა ავდგეთ და ეს ცხენი გავიყვანოთ დოღზე პატრონის ავტომობილის დასაბრუნებლად. ძალიანაც გაუხარდება, რაღა თქმა უნდა, ასეთი ნაძლევია, ავტომობილი ხომ უკვე მყავს და ახლა ცხენსაც უკან დავიბრუნებო. თავისი ჭკუით, რას კარგავს; როცა ცხენი ფინიშთან მივა, წამოიყვანს, გამოაბამს ავტომობილს და გასწევს მემფისს...

პირველად ახლა ამოთქვა მის რებამ:

- ღმერთო, დიდებული!

- ...რას იფიქრებს, ჩემს ხელში რა ბედური გახდება. კარგი გარიგება იყო სწორედ. ან მე ვარ მთლად უტვინო, ან ის კაცია იმდენად დარწმუნებული, რომ ზევ პასემში ჩამოვა და ბედსა სცდის. და თუკი ეს ქალბატონები ფულს ვერ მოგიგროვებენ, რომ იმ კაცმა აღარ მოისურვოს იმ ავტომობილზე ფულის ჩამოსვლა ჩვენი ცხენის წინააღმდეგ, ჯობს, პატრონ პრისტს სულაც არ დაენახო. სწორედაც ვერ გავბედავდი სახლში მხოლოდ ავტომობილით დაბრუნებას. შეიძლება ამ ცხენმა გადაგარჩინოს. დავინახე თუ არა, მაშინვე გამახსენდა...

- ხი-ხი-ხიო, - გამოაჯავრა ცოფებმორეულმა ბუნმა, - შენ პატრონის მანქანა ამ ბეხრეკ ცხენში გაცვალე, ფეხის მოცვლა რომ არ შეუძლია, და ახლა გინდა ეს ცხენიც იმ კაცს მისცე. თუკი შევძლებთ საკმაო ფულის მოგროვებას ვითომდა მის საცდუნებლად...

- დამამთავრებინე მაინც, - უთხრა ნედმა. ბუნი შეჩერდა. - დამამთავრებინებ თუ არა?

- დაამთავრე მაშინ, - მიაძახა ბუნმა, - ოღონდაც მალე თქვი...

- ...მაშინვე ჩემი ჯორი გამახსენდა, - თქვა ნედმა. გაჩუმდნენ ორივენი, ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ნედმა წარმოთქვა ჩუმად, თითქოს ოცნებამორეულმა, - იმ ჯორს არ იცნობდნენ ეს ქალბატონები, რა თქმა უნდა, ასეთი ნორჩები, თანაც იოკნაპატოფას ოლქიდან ასე შორს მცხოვრებნი. რა ცუდია, პატრონი და ბატონი მორი აქ რომ არ არიან, თორემ მოგვიტხრობდნენ მის ამბავს.

ამ ამბის მოყოლა მეც შემეძლო, რადგანაც ჩვენი საგვარეულო ლეგენდების გმირი იყო ის ჯორი. ყმაწვილები იყვნენ მაშინ მამა და ნედი, ხოლო ბაბუა ჯერ კიდევ მაკვასლინების მამულში ცხოვრობდა და ჯეფერსონელი ბანკირი არ გამხდარიყო. ერთ დღეს, როდესაც მაკვასლინების ნათესავი (ბიძია ზაკის მამა) სახ-

ლში არ იყო, ნედმა ფერმაში წაიყვანა წმინდა სისხლის საუკეთესო საეტლე ფაშატი და ვირს შეაჯვარა. გამოხდა ხანი და, როცა ამით გამოწვეული ქარიშხალი ჩაწყნარდა და ჯორი გაჩნდა, ბიძია მაკკასლინმა ნედის ნაეშმაკარი მასვე აყიდვინა და ყოველკვირა ხელფასიდან ათ ცენტს უქვითავდა. სამი წელი გავიდა, ვიდრე ნედმა ეს ვალი გაისტუმრა. ამ დროის განმავლობაში კი ის ჯორი მთელი თხუთმეტი-ოცი მილის ირგვლივ მუდამ იმარჯვებდა ყველა შეჯიბრებაში, მერე კი ორმოცი-ორმოცდაათიმილის ირგვლივაც არავისთვის დაუთმია პირველობა.

ძალიან გვიან ხარ დაბადებული და არ იცნობ ჯორებს. ამიტომ ვერც ჩასწვდები, რა განსაცვიფრებელი და საარაკოა ეს ამბავი და რა ლეგენდარული ხდება იმ არემარეში ჯორი, რომელიც მხედრის ნებას დამორჩილდება და თუნდაც ერთხელ გაირბენს ნახევარ მილს, ხოლო რომელიც ამას მრავალგზის ჩაიდენს, არნახულ მოვლენად იქცევა სწორედ. რადგანაც ცხენისგან განსხვავებით, ჯორი იმდენად ჭკვიანია, რომ თავს არ მოიკლავს და არ დაიწყებს დიდების მოსაპოვებლად მთელი მილის სიგრძის წრებზე რბენას. ერთი სიტყვით, ჯორებს ჭკუით მხოლოდ ვირთხები ჯობნიან. შემდეგ მოდიან კატები, ძაღლები და სულ ბოლოს ცხენები, რა თქმა უნდა, თუ დამეთანხმები და გაიზიარებ ამ ჩემს მოსაზრებას, რომ ჭკუა გარემოებათა ძლევა, გარე სამყაროს გათავისება-შეგუებაა და, ამავე დროს, პიროვნების თავისუფლების შენარჩუნებაც.

მაგრამ პირველ ადგილზე, რასაკვირველია, მაინც ვირთხაა. ცხოვრობს შენს სახლში, სულაც არ ადარდებს, როგორ იყიდე, როგორ ააშენე ან რამდენი ფული უნდა იმის შენახვას; ჭამს იმას, რასაც შენ, მაგრამ სულაც არ აწუხებს, მოწეული გაქვს თავად, ნაყიდი თუ საიდანღაც ჩამოტანილი. ვერა და ვერ დააღწევ მას თავს; კიდევ კარგი, მიდრეკილებით ვანიბალია, თორემ მთელ დედამიწას მოედებოდა. კატა მესამე ადგილზეა. თითქოს ისიც

ვირთხასავით ყოჩალია, მაგრამ უფრო სუსტი და უგერგილოა; ის არც თესავს, არ მკის, წურბელასავით ცხოვრობს შენსას, არც შენი სიყვარული აქვს; ოდესმე ალბათ ისიც მოკვდება, შეწყვეტს არსებობას, აღიგვება პირისაგან მიწისა (გგულისხმობ ე. წ. შინაურ კატებს), მაგრამ - ჯერ არა, კარგა ხნის შემდეგ (არსებობს ერთი ასეთი გადმოცემა, მგონი, ჩინური ლიტერატურიდან იღებს სათავეს: თითქოს დიდი ხნის წინ კატების მეუფება იყო დედამიწაზე. გამოხდა ხანი და მოკვდავთა ყველა უბედურების - შიმშილობის, ჭირიანობის, ომიანობის, უსამართლობის, სირეგვნის, საწყაულის აღუვსებლობის - ერთი სიტყვით, რაც ცივილიზაციას მოაქვს, ყველა იმ მანკიერების წინააღმდეგ საბრძოლველად კონგრესი მოიწვიეს, მოუხმეს ბრძენთაბრძენ კატა-ფილოსოფოსებს, - იქნებ ნახოთ რაიმე გამოსავალიო; ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მათ განაცხადეს, აღნიშნული ამოცანის გადაჭრა შეუძლებელია და ერთადერთი გამოსავალია - დავნებდეთ და მთელი ძალაუფლება გადავცეთ ჩვენზე უფრო დაბალი განვითარების მქონე არსებებს, რომლებსაც საკუთარი ოპტიმიზმის წყალობით სჯერათ - ამქვეყნიური პრობლემები ბოლოს და ბოლოს მოგვარდება, ამავე დროს, იმდენად უვიცებიც გახლავან, რომ ამ რწმენას არასოდეს უღალატებენ; ჰოდა, ცხოვრობს ამიტომ შენს ჭერქვეშ კატა, მთლიანად შენზე დამოკიდებული, შენსას ჭამს, შენსას სვამს, მაგრამ შენი გულისთვის თათსაც არ გააანძრევს და არც უყვარხარ. რაღა გავაგრძელო და, რაც არის, ეგ არის).

მეოთხე ადგილზე ძაღლია, მამაცი, ერთგული, არ გიღალატებს, თუმცა ისიც შენი შესანახია. მისი სისუსტე ის არის (კატას თუ შევადარებთ), რომ შენი სამსახური სწადია სულითა და გულით, შეიძლება მაიმუნობა და ოინბაზობაც დაიწყოს, ოღონდაც გასიამოვნოს. მისი ჯილდო კი თავზე ერთი ხელის გადასმაა, თუმცა ისიც მაინც შენს წურბელად რჩება. კიდევ ერთი სისუსტე სჭირს: შენი მოწონება რომ დაიმსახუროს, ფეხქვეშ გეგება, გე-

ლაქუცება, ოლონდ გაგართოს, პანლურის ამოკვრის შემდეგაც კუდს გიქიცინებს, განსაცდელის ჟამს თავს შემოგწირავს, შეუძლია შენს საფლავზე შენზე დარდით სულიც დალიოს. სულ ბოლო ადგილზე, ჩემი აზრით, ცხენია, მხოლოდ ერთჯერობაზე გაელვებული ფიქრია მისი სულის მოძრაობა, მთელი სიცოცხლე მფრთხალი და მშიშარაა, ბავშვსაც კი შეუძლია მისი მოთაფვლა და რამდენიც უნდა და როგორც უნდა, ისე გააჭენოს, ახტუნოს, და ბოლოს, კისერიც მოატეხინოს. ჩვილივით თუ არ მოუვლი, შეიძლება იმდენი ჭამოს, ფეხები გაფშვიკოს. თუნდაც სულ მთლად წყალწაღებული ვირთხის ჭკუა რომ ჰქონოდა, მხედარი გახდებოდა თავად.

ჯორი მეორე ადგილზეა. მეორეზე მხოლოდ იმიტომ, რომ შეგიძლია აიძულო შენთვის იმუშაოს, თუმცა თავისივე მკაცრად დადგენილი წესისდა კვალია. სულაც არ უყვარს ბევრი ჭამა. ფურგონისა და გუთნის თრევას კი აიძულებ, მაგრამ დოღს სწორედაც არ გაგიმართავს, ვერც რამეზე გადაახტუნებ, თუკი არ დარწმუნდება, შევძლებო გადახტომას, არც შევა სადმე, თუ არ იცის იქ რა ხდება. შეუძლია ათ წელიწადი შენთვის თავდაუზოგავად იმუშაოს მხოლოდ იმიტომ, როცა შემთხვევა მიეცემა, წიხლი გკრას. ერთი სიტყვით, არ გრძნობს არანაირ მოვალეობას წინაპრებისა თუ შთამომავლობის წინაშე და გამარჯვებულია არა მართო სიცოცხლეზე, სიკვდილზეც და უკვდავებასთან წილნაყარი ასე ხდება; თუნდაც დღეს ალიგავოს პირისაგან მიწისა, იმავე ბიოლოგიური კომბინაციის მეშვეობით შეიძლება აღდგეს ათასი წლის შემდეგაც ისეთივე უცვლელი, შეუვალე იმ საზღვრებში, თავად რომ დააწესა და დაამკვიდრა, ისევ ისეთივე თავისუფალი, ისეთივე მოუდრეკელი. სწორედ ამიტომაც იყო ნედის ჯორი განუმეორებელი არსება. დააყენე ათიოდე ჯორი სარბენ ბილიკზე და დაიძახე, აბა, მიდითო - ყველა ისე გაქანდება სულ სხვადასხვა მხარეს, როგორც ტბორის ზედაპირზე წყლის ხოჭოები; ხოლო

რომელიც სრულიად შემთხვევით სარბენი ბილიკიდან არ გადაუხვევს, გამარჯვებულის ის რჩება ხოლმე.

მაგრამ ნედის ჯორი ასეთი არ იყო. მამას ჰქონდა ნათქვამი, ცხენივით გაჭენდებოდაო, ოღონდ ამ ოთხფეხისგან განსხვავებით არც არასდროს კარგავდა ტკუას და სიჩქარის მოსამატებლად არც სასიკვდილოდ სწირავდა თავს; თითქოს რაღაც სამუშაოს შესასრულებლად იყო გამოსული სარბიელზე, თავისი ძალა და შესაძლებლობა კრავად ჰქონდა აწონილ-დაწონილი, ისე გაქუსლავდა, როგორც ნედის მათრახი მიანიშნებდა (ან ყვირილი, ან სხვა რამ ნიშანი), სიჩქარის შეუცვლელად, თანაბარბომიერად, არ გაჩერდებოდა მანამ, სანამ ფინიშის ხაზს არ გადაკვეთდა ან თავად ნედი არ მოისურვებდა. მამაც კი, ვინც ნედის გრუმი თუ არა, მისი თანაშემწე ან წარმომადგენელი მაინც გახლდათ, არ იცოდა, როგორ ახერხებდა ეს კაცი ამას. ცხადია, ლეგენდა ხსენებული ჯორისა, სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა და იზრდებოდა (საჭინბოლ ამით კიდევ მოგებული რჩებოდა); მაინც ისეთი რა ჯადო ჰქონდა მიკვლეული ან გამოგონილი ნედს, რომ მისი ჯორი ისე დარბოდა, როგორც აქამდე ჯორთაგან არც ერთს არ ურბენია. მაგრამ ისინი, ურფო სწორად, ჩვენ, ვერა და ვერ მივხვდით ამ საიდუმლოს; ესღა ვიცოდით, რომ მის გარდა ამ ჯორის მხედარი არც არავინ ყოფილა მაშინაც კი, როდესაც ნედს წლები მოერია და დამძიმდა; იმ ჯორმა ისე გაფშიკა ფეხები, ერთხელაც არ დამარცხებულა ოცდაორი წლის განმავლობაში; ჰოდა, მისი საფლავი (ედმონდსებიდან ბევრი უთუოდ გიჩვენებდა), ახლაცაა მაკკასლინების მამულში.

ბუნმა იცოდა, რასაც ნედი გულისხმობდა, თავის მხრივ, ნედმაც იცოდა, რომ ბუნმა ეს იცოდა, ჰოდა, ერთმანეთს უმზერდნენ ერთხანს.

- მაგრამ ეს ხომ ჯორი არაა, - თქვა ბუნმა, - ცხენია.

- ეს ცხენიც სწორედ იმ ჭკუისაა, ის ჯორი რომ იყო, - მიუგო ნედმა, - შეიძლება მთლად მასავით არა, მაგრამ ცოტათი მაინც.

ისინი კვლავ ერთმანეთს უმზერდნენ. მერე ბუნმა უთხრა, აბა, წავიდეთ და ვნახოთო.

მინიმ ლამპა აანთო, ბუნს მისცა და ყველანი უკანა კიბით ებო-ში ჩავედით: მინი, მის კორი და მის რეზაც. სწორედ ახლა გამოა-ნათა მთვარემ და ძლივს შევძელით რაღაცის დანახვა - ებოს კუთხეში აკაცის ხეზე ის ცხენი იყო მიბმული. ჩვენ დანახვაზე თვალები გამოაკვესა და მერე განზე გაიხედა. გაისმა ფრუტუნი და ჩლიქების ბაკუნი.

- ქალბატონები აქ დადექით, თუ შეიძლება, - თქვა ნედმა, - ხალხმრავლობას არ არის შეჩვეული. - შევჩერდით. ბუნმა მალლა ასწია ლამპა. ცხენმა ისევ გამოაკვესა თვალი ცივად და მფრთხა-ლად. ნედი მიუახლოვდა და გავაზე გადაუსვა ხელი, რაღაც უთ-ხრა, მერე ხელი აღვირზე წაავლო. ლამპამ არ დააბრმავოსო, - მიუბრუნდა ბუნს, - ისე დაიჭირე, რომ ამ ქალბატონებმა შეძლონ ცხენის დანახვა, თუკი მოისურვებენ. ცხენიო, რომ გეუბნებით, ცხენს ვგულისხმობ სწოდ და არა იმ ჯაგლაგებს, ცხენებს რომ ეძახიან ჯეფერსონში.

- მორჩი ლაპარაკს და აქეთ გამოიყვანე, რომ დავინახო, - უთ-ხრა ბუნმა.

- მერედა ვინ გიშლის, - მიუგო ნედმა, - ოღონდ ლამპა მალლა ასწიე. - მაგრამ ცხენი მაინც ცოტა აქეთ გამოიყვანა. კარგად მახ-სოვს: წაბლა იაბო იყო, სამი წლისა, თექვსმეტიოდე მტკაველი სიმაღლის, გრძელი კისერი ჰქონდა, დაქანებული მხრები, და-კუნთული უკანა ფეხები, ყველაფერი იმას მოწმობდა, კარგი მორ-ბენალი უნდა ყოფილიყო (ნედის თქმით, ნედ მაკკასლინთან ერ-თადო). თუმცა მხოლოდ თერთმეტი წლისა ვიყავი, მეც სწორედ იმან გამიელვა თავში, რამაც თურმე ბუნსაც, როგორც მალე გა-

ირკვა. ცხენს შეხედა, მერე ნედს, მაგრამ ხმამაღლა კი არა, ჩურჩულით აღმოხდა:

- და ეს ცხენი...

- დაიცა, - მის კორიმ თქვა და იყუჩა. მაშინლა შევამჩნიე ოტისი. კიდევ ერთი რამ სჭირდა, მხოლოდ მაშინ დაინახავდით, როცა უკვე გვიანი იყო. მაგრამ მისი უკუღმართობა მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა.

- ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, - თქვა მის რებამ. ხომ გითხარი, რა გასაოცარნი არიან-მეთქი ქალები, - გასწი აქედან, ოტის, - ასე უთხრა.

- სახლში შედი, ოტის - თქვა მის კორიმ.

- წავალ კიდევ, - უთხრა ოტისმა, - წავიდეთ, ლუციუს.

- არა, - თქვა მის კორიმ, - ეს დარჩება. შენ უნდა წახვიდე, შენს ოთახში ადი.

- ჯერ ადრეა, - მიუგო ოტისმა, - ახლა არ მეძინება.

- ნუღარ გამამეორებინებ, - უთხრა მის რებამ.

სანამ ოტისი სახლში არ შევიდა, ბუნს სიტყვა არ დაუძრავს. ჩვენც ჩუმად ვიყავით. ბუნს მაღლა ეჭირა ლამპა, სინათლე მისსა და ნედის სახეს სცემდა, მერე ორივემ, მან და ნედმა, ცხარედ არა, დინჯად თქვეს:

- ნაპარავი ცხენია, - ჩაიჩურჩულა ჯერ ბუნმა.

- იმ ავტომობილს კი რაღასდაარქმევ? - ჩურჩულითვე თქვა ნედმა.

აკი ვთქვი, გასაოცარი ხალხია-მეთქი ქალები; მის რებამ ბუნივით და ნედივით ხმადაბლა, ოღონდ უფრო ცოცხლად თქვა, ახლავე უნდა წაიყვანოთო ქალაქიდან.

- მეც ამიტომ მოვიყვანე აქ, - თქვა ნედმა, - ვივასშმებ თუ არა, პასემის გზას დავადგებით.

- იცი კი, პასემი რა შორსაა ან საითაა? - ჰკითხა ბუნმა.

- მერედა რა? - უთხრა ნედმა, - პატრონი რომ წავიდა უავტო-
მობილოდ, შენ თუ იფიქრე, რა შორსაა ჯეფერსონიდან მემფისი?
მის რება მიტრიალდა;

- სახლში შევიდეთ, - თქვა, მერე ნედს უთხრა, - ქუჩიდან არ
დაინახავს ვინმე ამ ცხენს?

- არავინ, - მიუგო ნედმა, - ამდენი ჭკუა კი მაქვს. ამის დარდი
ნუ გაქვთ.

ცხენი ისევ ხეზე მიაბა და ყველანი მის რებას გავყევით უკანა
კიბისკენ.

- სამზარეულოში შევიდეთ, - ასე თქვა, - ხალხი დაიწყებს უკვე
მოსვლას. - სამზარეულოში მინის უთხრა, ჩემს ოთახში დაჯექი,
იქ ისმის, როდესაც კარზე აკაკუნებენო, გასაღები დამიბრუნე თუ
შენ გაქვს? კარგი. ნისიად ნურათფერს ნუ მისცემ, ხურდა მანამ მი-
ეცი, სანამ ბოთლს გახსნიდე. ახლა ნახე, სახლში ვინაა. ვინმე თუ
იკითხავს მის კორის, უთხარი, ჩიკაგოელი მეგობარი ჰყავს-თქო
სტუმრად.

- თუკი ვინმე არ დაიჯერებს, უთხარი სახლს შემოუაროს და
უკანა კარზე დააკაკუნოს, - თქვა ბუნმა.

- ღვთის გულისთვის, - მიუგო მის რებამ, - შენ რა, კიდევ დავი-
დარაბა გინდა? თუ არ გსურს სტუმრები ჰყავდეს, მთლად რად არ
გამოისყიდი და მხოლოდ ექვს თვეში ერთხელ ქირაობ?

- კარგი, კარგი, - თქვა ბუნმა.

- აბა, ერთი ნახე, ამ სახლში ვინ სადაა, - უთხრა მის რებამ მი-
ნის.

- ის სადაცაა, ვიცი. თავად მოვნახავ, - თქვა მის კორიმ.

- ჰოდა, სადაცაა იქ იყოს, - მიუგო მის რებამ, - იმ ცხენებთან
დღეს უკვე იმდენი ითამაშა, ყელში ამომივიდა.

მის კორი გავიდა. მის რებამ თავად დაკეტა კარი, მერე ნედს
შეხედა.

- მაშ, წახვალ პარშემს და ამ ცხენს წაიყვან?

- დიახ, - მიუგო ნედმა.

- პარშემამდე რამდენია, თუ იცი?

- მერე, რა? - მიუგო ნედმა, - პასემამდე რა მანძილია, რად მინდა ამის ცოდნა. მე თავად პასეში მჭირდება. სულაც აღარ წავიყვან იქ, თუ ძალიან შორსაა. მე მეგონა, რადგანაც საქმიანი ქალი ბრძანდებით...

- საიდან მოიტანე? - უთრა მის რებამ, - მე ამ დაწესებულების პატრონი ვარ. ხოლო თუ ვინმეს ერიდება, პირდაპირ თქვას და სადაც უნდა იქ წავიდეს.

- ვიფიქრე, თუ თქვენს რომელიმე ქალბატონს ისეთი ნაცნობი ჰყავს, - უთხრა ნედმა, - ვინც ცხენს მათხოვებს საჯირითოს, ან თუნდაც - დროგისას; გინდაც, ჯორი იყოს, იმაზეც არ ვიტყვი უარს. ლუციუსი თუ უნდა, კვიცზე შეჯდეს და ისე წავიდეს პასემს. მაგრამ ზეგ ერთი მილის კი არა, ბარე სამი მილის გარბენა მოგვიხდება, ორგზის მაინც, ჩვენ წინ არავინ არ უნდა გავუშვათ. ქვეყანა რომ დაიქცეს, პასემში უნდა ჩავიყვანოთ როგორმე.

- კარგი, - მიუგო მის რებამ, - შენ და ის ცხენი პარშემში ჩახვალთ. მაგრამ მთავარია, იქ დოლი გაიმართოს.

- კაცს ცხენი ჰყავდეს და სადმე დოლიც იქნება, - თქვა ნედმა, - ოღონდ კი სტარტზე დადგნენ ორივენი, მეტი რა უნდა?

- მერედა მიიყვან სტარტამდე?

- აბა, არა! - თქვა ნედმა.

- საიდან იცი?

- ჯორი გამიჭენებია, - უთხრა ნედმა.

- რაო, ჯორიო? - ჰკითხა მის რებამ. მის კორი შემოვიდა და კარი მიხურა. - კარგად მიხურე, - გასძახა მის რებამ. მერე ნედს მიუბრუნდა: - კარგი, აბა, ახლა იმ დოლზე მომიყევი.

მაშინ კი შეხედა ნედმა, მთელი თხუთმეტი წამი თვალი არ მოუცილებია და მერე არც თავხედურად, არც ჭირვეულ-იქედნუ-

რად, როგორც ბუნს ელაპარაკებოდა, და არც მამაშვილურად, როგორც მე, ისე თქვა:

- ვატყობ, ჭკვიანურს მეტყვით.

- ვნახოთ, - მიუგო მის რებამ.

- კარგი, - უთხრა ნედმა, - არის ერთი კაცი, მდიდარი, თეთრი, სახელს არ გეტყვით, მაგრამ სად ცხოვრობს, ვიცი; ამ ჩვენი ცხენისნაირს ათ მილზე კი არა, ოც მილზეც ვერსად ნახავთ. ოღონდ იმ კაცსაც ჰყავს ბედაური, ჰოდა, მან უკვე აჯობა ჩვენსას, ორჯერ დაამარცხა. იმ პასემელმა რაშმა პირველად არც ისე მაგრად მოუგო ამას. ამ ჩვენი ცხენის პატრონიც მდიდარი თეთრია, ორჯერ მეტ ფულს ჩამოვიდა, მაგრამ მეორედაც წააგო. ასე რომ, ეს ცხენი ზეგ პასემში რომ გამოჩნდება და დოღზე გავიყვანთ, ის პასემელი მდიდარი თეთრი კაცი, ცხადია, თავისას გამოიყვანს. იქნებ შერცხვეს კიდევაც, მაგრამ ფულის ასე ტყუილად მოხვეჭაზე უარს მაინც არ იტყვის.

- მესმის, - უთხრა მის რებამ, - განაგრძე!

- უკვე ვთქვი, რაც უნდა მეთქვა, - მიუგო ნედმა, - მე შემძლია მოვაგებინო ამ ცხენს, ამას კი ვერავინ შეძლებს ჩემ გარდა. ჰოდა, თუ თქვენც, ქალბატონები, თუნდაც ცოტას ჩამოხვალთ, ჩვენ - მე, ლუციუსი და ბატონი ჰოგანბეკი როგორმე შევძლებთ შემოგიერთდეთ.

- იმასაც ხომ არ გულისხმობთ, ვისაც ახლა ის ავტომობილი ჰყავს? - ჰკითხა მის რებამ, - მგონი, არც იმან იცის, შენ ამ ცხენს თუ მოაგებინებ.

- მართალია, - მიუგო ნედმა.

- კი, მაგრამ თუ ასეა, რატომ არ უნდა თავის შეწუხება და შენი და იმ ცხენის პარშემს გაგზავნა, თუკი ორივე ერთად, ცხენიცა და ავტომობილიც, მისი იქნება დოღზე გამარჯვების შემდეგ? - ერთხანს ორივე ჩუმად იყო, ერთმანეთს უმზერდნენ. - აბა, თქვი, - დასძინა მის რებამ, - ნურაფერს დამიმალავ. შენ რა გქვია?

- ნედ უილიამ მაკკასლინ ჯეფერსონ მისისიპი, - უპასუხა ნედმა.

- მერე? - თქვა მის რებამ.

- შეიძლება ვერც შეძლოს ამდენი ფულის დადება, - განაცხადა ნედმა.

- დასწყევლოს ღმერთმა, - წამოიძახა ბუნმა, - ჩვენ კი შეგვიძლია?

- ჩუმად იყავი, - უთხრა მის რებამ ბუნს. მერე ნედს მიუბრუნდა, - აკი თქვი, მდიდარიიარ?

- ვისაც გავუცვალე, ის-მეთქი, - მიუგო ნედმა.

- მაშ, იმ მდიდრისგან მან იყიდა ეს ცხენი?

- ცხენი იმას ჰყავდა-მეთქი, - უთხრა ნედმა.

- ქალაღდი თუ სხვა რამ ამდაგვარი მოგცა, როცა გაუცვალე?

- ცხენი ახლა მე მყავს-მეთქი, - თქვა ნედმა.

- შენ წერა-კითხვა არ იცი, - უთხრა მის რებამ, - ხომ ასეა?

- ცხენი ახლა მე მყავს-მეთქი, - გაიმეორა ნედმა. მის რება თვალს არ აცილებდა.

- კარგი, შენ გყავს. პარშემს შენ ჩაიყვან. შენ იცი ხერხი და დოღს მოაგებინებ. ის ხერხი თუ იცი, იმ ავტომობილს პარშემში რომ ჩაგაყვანინებს?

- თავად განსაჯეთ, - უთხრა ნედმა, - განსჯა რომ შეგიძლიათ, ვხედავ. ბევრს მიხვდით, იმათზე უფრო მეტსაც, აქ რომ არიან. თუ ტვინს ცოტათი კიდევ დაატანთ ძალას, იმასაც მიხვდებით, ხალხი, ვისაც მე ცხენი გავუცვალე...

- ხალხიო? - ჩაეკითხა მის რება, - აკი, კაციო?

მაგრამ ნედი არ შეჩერებულა.

- ...სწორედ ჩვენ დღეში არიან ჩაცვნილნი, ადრე თუ გვიან, ისინიც ხომ სახლში უნდა დაბრუნდნენ.

- გინდაც მათი სახელები ნედ უილიამ მაკკასლინი ან ბუნ ჰო-განბეკი იყოს, გინდაც ისინი, რომლებსაც შენ ცხენი გაუცვალე,

შინ ვერ დაბრუნდებიან მართო ცხენით ან მართო ავტომობილით. ორივეთი უნდა დაბრუნდნენ, ხომ ასეა? - თქვა მის რებამ.

- ასეა, - უთხრა ნედმა, - მთელი ორი საათი განა ამას არ გეუბნებით?

მის რება თვალს არ აცილებდა, მერე ამოიოხრა.

- ჰოდა, წაიყვან ამ ცხენს პარშემს და დასავლეთ ტენესის მთელი ფარაონები დაუწყებენ მას ძებნას მემფისისკენ მიმავალ გზებზე...

- რება! - შესძახა მის კორიმ.

- ...ხვალ დილიდან, გათენებისთანავე.

- მართალია, - ნედმა თქვა, - ახლა უკვე გვიანია ვისიმე დაჭერა, მაგრამ რომ გიყურებთ, მიხარია. თქვენი იმედი უნდა ჰქონდეს კაცს. აბა, ახლა თქვენ თქვით... - ქალი კვლავ მას უმზერდა, ორჯერ ამოიხვნეშა და მის კორის ისე უთხრა, ნედისთვის არც მოუცილებია თვალი:

- ის კაცი, მუხრუჭების კონდუქტორი...

- ვინ კაცი? - ჩაეკითხა მის კორი.

- შენ იცი, ვინც არის. დედამისის ბიძა თუ ბიძაშვილი...

- სულაც არ არის ის მუხრუჭების კონდუქტორი, - უთხრა მის კორიმ, - გამყოლი კონდუქტორია მემფის - ნიუ-იორკის ექსპრესზე, თუმცა კი ფორმა მემუხრუჭისა აცვია.

- კარგი, - მიუგო მის რებამ, - გამყოლი იყოს, - მერე ბუნს მიუბრუნდა, - ისა და კორი... - და წამით ნედს გახედა, - ახლობლები არიან. ისე კი მომწონს ეს შენი სიტყვა. დედამისის ბიძა თუ კიდევ რაღაც, ვიცე-პრეზიდენტი უნდა იყოს სარკინიგზო ხაზისა, პარშემში რომ გადის...

- მისი ბიძა ამ ხაზის უფროსია, - თქვა მის კორიმ.

- სარკინიგზო ხაზის უფროსი, - თქვა მის რებამ, - მაგრამ ეს მაშინ, თუკი იქაა, სადაც მუშაობს, და არა ამ ხაზისა სხვა ქალაქში, სადაც დოღს მართავენ, მისი დისშვილი კი თავგამოდებით იბ-

რძვის კარიერისთვის, სამსახურში წინ წაწევა უნდა, მაღლა-მაღლა მიძვრება სულ დაბლიდან, მისთვის პირში ვერცხლის კოვზი ჩაუჩრიათ, ოღონდ ერთი პირობით - მეტისმეტად არ გაღვტოს, რომ ქვეყნის სალაპარაკო არ გახდეს. ხომ გესმის, რასაც გეუბნები?

- სატვირთო ვაგონი... - თქვა ბუნმა.

- მართალია, - მიუგო მის რეზამე, - მაშინ ხვალ უკვე პარშემს ჩავლენ დილითვე და ჩვენ თვალში აღარ შეგვეჩხირებიან.

- ამ სატვირთო ვაგონსაც ფული უნდა, - უთხრა ბუნმა, - თან დილამდე სადღაც უნდა ვიყოთ დამალულები, მერე დოღბეც ას ორმოცდაათი უნდა ჩავიდეთ, მე კი თხუთმეტი-ოცი დოლარიღა მაქვს, - მერე წამოდგა და ნედს უთხრა: - წადი, ცხენი ახსენი. ავტომობილში რომ გაგიცვალა, ის კაცი სად ცხორვობს?

- დაჯექი, - მის რეზამე უთხრა, - ღმერთო დიდებულო, ჯეფერსონში დაბრუნებისას კარგი სეირი გელის, შენ კი რაღაცა ხურდა ფულებს ითვლი ჯიბეში. - მერე ნედს გახედა, - რაო, რა თქვი, რა მქვიაო?

ნედმა გაუმეორა.

- იმ ჯორის ამბავს, თუ გნებავთ, ბუნ ჰოგანბეკი გეტყვით.

- იქნებ ბატონის დაძახება გესწავლებინა მისთვის, - უთხრა მის რეზამე ბუნს.

- ვეძახი კიდევაც, - თქვა ნედმა, - ბატონ ბუნ ჰოგანბეკს. ჰოდა, იმ ჯორზე ჰკითხეთ.

- ამაღამ სემი თუა ქალაქში? - მიუბრუნდა მის რეზამე მის კორის.

- კი, ქალაქშია, - მიუგო მის კორიმ.

- თუ შეგიძლია მოძებნო?

- კი, შემიძლია, - უთხრა მის კორიმ.

მის რეზამე ახლა ბუნს მიუბრუნდა:

- შენ კი წადი, სადმე გაისეირნე ერთი-ორი საათი მაინც, ან სულაც ბერდი უოტსისას გადადი, თუ ასე გაგჭირვებია. ოღონდ,

ღვთის გულისთვის, არ დალიო, იცოდე. თუ გიფიქრია, კორა რას ჭამს, რას სვამს, ბინის ფულს საიდან იხდის, სანამ შენ მისისიპის ჭანჭრობში დაძვრები და ავტომობილებსა და ბაღლებს იპარავ? ის ფული ციდან ცვივა?

- არსადაც არ წავალ, - მიუგო ბუნმა. მერე კი ნედს თვალები დაუბრიალა, - რას დგახარ, წადი და ის ცხენი ახსენი.

- ჩემთან რად უნდა მოვიდეს, - თქვა მის კორიმ, - ტელეფონით დავურეკავ. - ეს არ იყო კეკლუცად, არც გაპრანჭულად, უფრო აუმიღვრეველად ნათქვამი იყო. საამისოდ მეტად ტანდიდი იყო, მაგრამ აუმიღვრელობისთვის სწორედაც შესაფერისი.

- დარწმუნებული ხარ? - ჩაეკითხა მის რება.

- დიახ, - მიუგო მის კორიმ.

- მაშინ მიდი და დაურეკე, - უთხრა მის რებამ.

- აქ მოდი, - თქვა ბუნმა. მის კორი შეჩერდა, - აქ მოდი-მეთქი, გეუბნები. - ის მიუახლოვდა, ბუნის შორიახლოს დადგა, უეცრად შევამჩნიე, ბუნს კი არა, მე მიყურებდა. ამიტომ იყო, რომ ბუნი არც წამომდგარა, ისე სტაცა გაწვდილი ხელი და თავისკენ მიიზიდა. ქალმა გაიბრძოლა, მაგრამ რადგანაც ასეთი ტანდიდი იყო, დააგვიანდა. თან მე თვალს არ მაცილებდა.

- ხელი გამიშვი, - უთხრა, - ტელეფონზე უნდა დავრეკო.

- მოასწრებ, - მიუგო ბუნმა, - ჯერ კიდევ ბევრი დრო გაქვს, - და ისევ თავისკენ გამოსწია. ჰოდა, მაშინ ქალი, ვითომც აქ არაფერიო, სასოწარკვეთილი სიმხნევით შეეცადა, უშიშარი და მშვიდი იერით - ისე, როგორც შეიძლება, ვაშლი გაუწოდო (ან რაიმე სხვა ნივთი, შენგან სხვა რამეზე ყურადღების გადასატანად) ხარს, რომელიც უეცრად ღობის აქეთ, შენ მხარეს აღმოჩნდა - ბუნისკენ სწრაფად დაიხარა და ზედ კინკრიხობე აკოცა თუ ჩაუნისკარტა, ამავე დროს, თავის დაღწევასაც შეეცადა. მაგრამ ამჯერადაც დააგვიანა, ბუნმა მოასწრო და ჩვენ თვალწინ ხელი ქვემოთ წაატანა რბილობზე. მის კორიმ უკან გაიწია და ისევ მე შემომხედა საწყა-

ლობლად და იმედმიხდილად, თვალეში სირცხვილი თუ სიმძიმისი გაუკრთა. მერე ნელ-ნელა სახე წამოუწითლდა. ჰოდა, პირველად რომ ვნახე, სულაც აღარ ჩანდა ისეთი შეუხედავი. თუმცა სულ მალე გადაუარა სიწითლემ და ისევ ლედიდ იქცა. ასე რომ, უკვე ლედივით ცდილობდა დასხლტომას. მაგრამ რადგანაც ასე ტანდიდი და თანაც ღონიერი იყო, თუნდაც ბუნივით ახოვანი და ღონიერი კაცი ცალი ხელით დიდხანს ვერ დაიჭერდა, თავი მალე გაითავისუფლა.

- როგორ არა გრცხვენია, - ასე თქვა.

- ერთი წუთიც ვერ მოგიტმენია, სანამ ტელეფონზე დარეკავს, - უთხრა მის რებამ ბუნს, - თუ იმის უმწიკვლობის დარდი გაქვს, ისეთ ადგილზე რად არ მოაწყობ, სადაც უმწიკვლობასაც დაიცავს და არც შიმშილით გაუხმება კუჭი. მერე მის კორის მიუბრუნდა, - მიდი და დაურეკე, ცხრა საათია უკვე.

მართლაც გვიანი იყო იმისთვის, რაც უნდა გაგვეკეთებინა. სახლი გამოღვიძებას იწყებდა, „ზანზარი“ გაუდიოდა, როგორც ახლა ამბობთ ხოლმე, მაგრამ ზომიერად, მუსიკა არ იყო, არც სუფრის ღრიანცელი. ბატონ ბინფორდის სული მეუფებდა კვლავაც ამ ნიმფებით დასახლებულ მღვიმეებში. მხოლოდ იმ ორმა ქალმა იცოდა მისი არყოფნის ამბავი, ხოლო მოსულთ ჯერ კიდევ არ მოეკითხათ; ზარის ხმა გვესმოდა და მინის ხმადაბალი მისალმება სადარბაზოს კართან, მერე ფეხის ხმაც ნიმფებისა, რომლებიც კიბეზე ჩამოდიოდნენ; გადაატრიალებდა მის კორი კარის სახელურს, გადიოდა და ისევ შემოდიოდა. ისმოდა ჭიქების წკარუნი, სტუმრების ბუბუნი, დიასახლისთა წიკვინი. მერე მინი შემობრუნდა. როგორც ჩანს, კარისკაცობა უნდა გაეწიათ იმ ქალებს, რომლებიც დაკავებულნი არ იყვნენ, სწორედ ისევე, როგორც მდივან გოგოებს მისაღებ ოთახში საგანგებო შემთხვევის დროს.

როგორც ხედავ, ბავშვი მართლაც „მშობელია მამრისაც და მდედრისაც“.⁴ იქ, ჯეფერსონში, მეგონა, რომ მიზეზი ბიწიერებისა, უკეთურობის წინაშე ჩემი სისუსტისა, ჩემივე პატარა ასაკი და გულუბრყვილობა იყო. ვერ აღმოვჩნდი ღირსეული მებრძოლი ამ განსაცდელის წამს და ამიტომ არც ვიყავი ამ სახელის ტარების ღირსი. თუმცა ჩემს დამარცხებას სამი საათი დასჭირდა იმ წუთიდან, როდესაც ბაბუა ლესეპის სიკვდილის ამბავი გავიგე, და დასრულდა მატარებლის სადგურიდან გასვლისთანავე. მაშინ მივხვდი, ბუნი ოთხი დღე მაინც იქნებოდა ავტომობილის გასადების პატრონი. მაგრამ აქ იყვნენ მის რება და მის კორი, დაბრძენებულნი თუ არა, ცხოვრების ორომტრიალით გამობრძმედილები, უკეთურობასთან (თუ სიკეთესთან) ყოველდღიური ბრძოლით დაბრძენებულნი, მაგრამ ახლა ისინიც შეჭირვებულნი იყვნენ, დამარცხებულნი, რადგან სულ რაღაც ოცდაათიოდე წუთის წინ არაფერი იცოდნენ ნედის და, მით უმეტეს ცხენის არსებობის შესახებ. ახლა კი, ყველაფერთან ერთად, სრულიად უცნობი ვაცი დაემატა, რომლის გულის მოგებასაც მის კორი, ეს-ესაა სხვა ოთახიდან რომ გამოვიდა, ერთი სატელეფონო საუბრით აპირებდა.

უკვე ორი წუთი იყო გასული, როცა მინიმ ლამპა აიღო და სახლის უკანა კიბისკენ წავიდა; შევამჩნიე, აღარც ნედი იყო ოთახში. მინიო, გასძახა მის რებამ უკანა კარს, - იმ წიწილისგან თუ დარჩა, რამე...

- დიახ, ქალბატონო, - მიუგო მინიმ, - თეფშზეა უკვე. იმ თეფშს კი ახლა ის ვაცი უზის. - მერე ნედის ხმა გავიგონე, თუმცა რა თქვეს, ვერ გავარჩიე. მინის ნათქვამი კი კარგად მოგვესმა: - მადაზე თუ უჩემოდ ვერ მოხვალ, შიმშილით სული ამოგძვრება დი-

⁴ ინგლისელი პოეტის, უილიამ უორდსვორტის (1770-1850) ლექსის სტრიქონი.

ლაბდე. - ნედმა რა უთხრა, ვერ გავიგონეთ. მის კორის უკვე ოთხი წუთი შეაგვიანდა, ბუნი წამოვარდა. - დასწყევლოს ღმერთმა! - დაიძახა.

- ტელეფონზე ეჭვიანობე? - თქვა მის რებამ, - იმ გუტაპერჩიის მილის ყურის მიდებით იმ გოგოს რას უზამს, ერთი მითხარი? - მერე მინის ხმა გავიგონეთ, მკვეთრი, ანაზღეული ტკაცუნის და სულ მალე მინის ფეხის ხმა. შემოვიდა, მალიმალ სუნთქავდა, თუმცა არც ისე.

- რა მოგივიდა? - ჰკითხა მის რებამ.

- არც არაფერი, - უთხრა მინიმ, - როგორც ყველა, ისიც ისეა, ისიც უნდა და ესეც, მაგრამ რომელი უფრო მეტად - ვერ მიმხვდარა.

- ერთი ბოთლი ლუდი მივეცი, თუკი იქ მიბრუნების არ შეგეშინდება.

- რისი უნდა შემეშინდეს, - მიუგო მინიმ, - ასე არიან ეგენი მუდამ, როცა ჟინი მოუვლით ხოლმე. ეს კარგად ვიცი. არა და არ მოგასვენებენ, ძილი თუ უშველით, მეტი არაფერი.

- მართალი ხარ, - უთხრა ბუნმა, - სულ კი ამ შენი კბილის ბრაღია. ოხრები ხართ დედაკაცები. თქვენგან მოსვენება გვაქვს დაკარგული.

- ვითომ რატომ? - ჰკითხა მის რებამ.

- კარგად იცი, რატომაც, - მიუგო ბუნმა, - თქვენი დამშვიდება არ იქნება, სულ წრიალებთ, ვერ ისვენებთ. მამაკაცებს სულ კრიჭაში უდგახართ. ერთი ამ გოგოს შეხედე, ვერ მოისვენა, ვიდრე რის ვაი-ვაგლახით ოქროს კბილის ფული არ მოაგროვა. ჰოდა, სწორედ ამ ოქროს კბილმა შეშალა, ჭკუიდან გადაიყვანა ბრიყვი სოფლელი ზანგის კაცი...

- ...ხოლო ხუთი წუთით ტელეფონზე საუბარმა კი ცოფები აყრევინა ვიღაც საბრალო სოფლელ შარახვეტიას, რომელმაც ჯერ ავტომობილი მოიპარა და მერე ცხენი. შენისთანა ვინმე არას-

დროს არ მინახავს, ასე ძალიან რომ სჭირდებოდეს დაქორწინება.

- კი, კარგი იქნებოდა, - გამოსძახა მინიმ კარიდან, - ჭკუაზე მოიყვანს. ორჯერ ვცადე და ვიცი, რაც არის...

ამ დროს მის კორი შემოვიდა.

- ყველაფერი კარგადაა, - თქვა აუმღვრევლად. და თუ სილამაზე აკლდა, იგივე შეიძლება ეთქვა ვაცს ფაიფურის პატრუქმოკიდებულ ლამპაზე. - ისიც მოვა. გიშველითო, მითხრა. ის...

- მე ვერა, - თქვა ბუნმა, - იმ ნაბიჭვარმა მე რა უნდა მიშველოს.

- მაშინ გასწი აქედან, - უთხრა მის რებამ, - ჯობს, იქ წახვიდე, საიდანაც მოსულხარ. მისისიპიში როგორ დაბრუნდები, ფეხით თუ ცხენით?! კარგი, კარგი, დაჯექი. ჩვენთან ერთად დაუცადე. აბა, გვითხარი, - მიუბრუნდა მის კორის.

- ვაგონების მემუხრუჭე კი არა, გამყოლი კონდუქტორია! თუმცა ჩვეულებრივი კონდუქტორის ფორმა აცვია. გიშველითო, შემპირდა. - მთელ ქვეყნიერებას უყვარს შეყვარებულები, მგონი. შექსპირს აქვს ასე ნათქვამი,

მასზე დიდი მესაიდუმლე კი ვინ იყო ვაცის გულისა? რა სამწუხაროა, ცხენების ამბავი კარგად რომ არ იცოდა, თორემ უთუოდ დასძენდა, ნაპარავი ბედაურებიც უყვარსო მთელ ქვეყნიერებას. მის კორი რომ გვიყვებოდა, ოტისიც იქ იყო, თუმცა როდის შემოვიდა, ვერ დავინახე, სახეზე ისევ ისეთივე მავნე გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ ამის გამო კი არ იყო, მისი იქ ყოფნა გვიან რომ შევამჩნიე.

- პასემამდე მაინც უნდა ვიყიდოთ ერთი ბილეთი, - თქვა მის კორიმ.

- პარშემამდე, - შეუსწორა მის რებამ.

- კარგი, კარგი, - უთხრა მის კორიმ, - ...საბარგოში ჩავაბარებთ, ისე, თითქოს სკივრი იყოს; სემი ბილეთს მოიტანს და საბარგოს ქვითარსაც. ყველაფერს კარგად მოვაგვარებთ. ცარიე-

ლი ვაგონი სათადარიგო ხაზზე იქნება - სემი გვეტყვის, სადაც. ჰოდა, როგორმე ის ცხენი შიგ უნდა შევიყვანოთ; ფიცრებსა და ლურსმნებს სემი მოიტანს. თქვა, ასე ცოტა ხანში მეტის გაკეთებას ვერ შევძლებო, ბიძამისსაც ყველაფერს ვერ ეტყვის, ვაითუ მოსვლა მოინდომოსო. სემის სიტყვით, საშიშია მხოლოდ აქედან იმ ვაგონამდე ცხენის მიყვანა. და კიდევ, არ შეიძლება, რომ... - ნედს შეხედა და შეჩერდა.

- ნედ უილიამ მაკკასლინ ჯეფერსონ მისისიპი, - უთხრა ნედმა.

- ...ნედმა ის ცხენი უკანა ქუჩებით გვიან ღამე რომ წაიყვანოს, პირველივე შემხვედრი პოლიციელი გააჩერებს. ცხენს ის, სემი, ბუნი და მე წავიყვანთ სადგურში, ყურადღებას არავინ არ მოგვაქცევს. ჰო, კიდევ ის, რომ სამგზავრო მატარებლის...

- ქრისტე ღმერთო, - თქვა მის რეზამ, - ვიღაც კახპა, რკინიგზის კონდუქტორი და ერთი ცხელის ცისტერნისოდენა მისისიპელი ჭაობის ვითრხა კვირა ღამეს საჯირითო ცხენს გაუძღვებიან მემფისის ერთი ბოლოდან მეორემდე და ვითომ არავინ არ მიაქცევს ყურადღებას?

- კარგი, გაჩუმდით, - უთხრა მის კორიმ.

- რად უნდა გავჩუმდე? - ჰკითხა მის რეზამ.

- ვითომ არ იცით. ასე ლაპარაკი ამ...

- ოჰო, - თქვა მის რეზამ, - იცი, რას გეტყვი, ბუნთან ერთად მისისიპიდან მეგობრული ვიზიტით რომ ჩამოსულიყო, კი დავინდობდი მის ყურებს. მაგრამ თუკი ეს სახლი რაღაც შტაბ-ბინად უნდა მიქციონ მოპარული ავტომობილისა და ცხენისათვის, სხვებით ამანაც მოითმინოს. რაო, რა თქვი, სამგზავრო მატარებელიო?

- დიახ. დილის ოთხ საათზე ვაშინგტონს მიმავალ სამგზავრო მატარებელს მიაბამს იმ სატვირთო ვაგონს და დილა-ბნელზე ჩვენ უკვე პასემში ვიქნებით.

- პარშემში-მეთქი, დასწყევლოს ღმერთმა, - თქვა მისის რე-ბამ, - ჩვენო?
- განა თქვენც არ მოდიხართ? - ჰკითხა მის კორიმ.

VII

ასეც მოხდა. სემისთვის ცხენი რომ უნდა გვეჩვენებინა, სამზარეულოდან უკანა კარით გავედით. სემს ცხენის ყაჯარი მოჰქონდა. რკინიგზელის ფორმა ეცვა. ბუნივით ტანმალალი იყო თითქმის.

ჰოდა, ჩვენ - ანუ ყველამ, - კიდევ ერთხელ მოვიყარეთ თავი უკანა ეზოში. ნედს ლამპა მოემარჯვებინა, თუმცა ცხენისთვის კი არაა, უფრო სემის ბრინჯაოსფოლაქებიანი ქურთუკისა და არშიაზე ოქროსასოლებიანი ქუდისთვის მიენათებინა. კი მეშინოდა, ვაითუ, ნედი გაბრაზდეს და სემს ცხენი არ დაანებოს-მეთქი, მაგრამ შევცდი.

- ვინ? მე? - ნედმა თქვა, - რად მინდა? ოღონდ პოლიციელი ნუ იქნება, ვინც ამ ცხენს პასემში წაიყვანს.

სემი აქ იყო და შეიძლება ბუნს დავიდარაბა აეტეხა. სემმა ცხენი ჩაათვალიერა.

- კარგი ცხენია, - თქვა, - დიდებული ბედაური უნდა იყოს სწორედ.

- მართლა? - ბუნმა თქვა, ზურგზე არც სასტენი აქვს, არც ზარი და არც ფარანი კინკრიხობე, ნეტავ როგორ მიხვდი, რაც არის?

- ვითომ რისი თქმა გინდა? - ჰკითხა სემმა.

- არც არაფრის, - მიუგო ბუნმა, - რაც გაიგონე, იმისი. შენი საქმე რკინის ცხენია. ჯობს, სადგურზე წახვიდე და ჩვენ აღარ დაგველოდო.

- ჰაი, შე ნაბიჭ... - თქვა მის რეზამ და განაგრძო, - ნუთუ ვერ ხედავ, შენი დახმარება უნდა ამ კაცს? თავს იკლავს. სახლში რომ დაბრუნდები, პირველივე პირუტყვი, ვისაც ნახავ, შერიფი არ იყოს. ჰოდა, ეს კაცი ერთადერთია, ვისაც ამ წყეული ცხენის წაყვანა შეუძლია, ბოდიში მოუხადე!

- კარგი, კარგი, - მიუგო ბუნმა, - დავივიწყოთ.

- შენ ამას ეძახი ბოდიშს? - უთხრა მის რეზამ.

- რა გინდა? - თქვა ბუნმა, - ოთხზე დავდგე და მივუშვირო...

- გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი, - თქვა მის რეზამ.

- ერთი შენც კიდევ, - თქვა ბუნმა, - შენი წყალობით მე და მის რეზას ერთ დღეში, რაც წესიერი ინგლისური სიტყვები ვიცოდით, ყველა დაგვავიწყდა.

- მართალია, - თქვა მის რეზამ, - შენ რომ არკანზასიდან ჩამოიყვანე, მაგარი ვიღაცაა, როგორც კი მიბრუნდები, ერთ ხელს საყინულეში ჩაკრავს ლუდის ამოსაღებად, მეორეს კი აქეთ-იქით აფათურებს და რაც მოხვდება ყველაფერს იჯობავს. ახლა ბუნ ჰოგანბეკმა ისეთი ჩამოიყვანა, მისი შიშით პირი ვერ გამიღია.

- სულაც არა, - უთხრა მის კორიმ, - ოტისი უკითხავად არაფერს იღებს! ხომ ასეა, ოტის?

- მართალია, - თქვა მის რეზამ, - აბა, ერთი ჰკითხე, თავად გეტყვის.

- ქალბატონებო, ქალბატონებო! - თქვა სემმა, - მიგვყავს ამაღამ ეს ცხენი პარშემს თუ არა?

როგორც იქნა, გზას გავუდევით. მის კორიმ ოტისსა და მე გადმოგვხედა.

- ახლა ლოგინში უნდა იყვნენ ესენი, - თქვა.

- სწორია, - მიუგო მის რეზამ, - სადმე არკანზასსა ან მისისიპიში, თუ კიდევ უფრო შორს, ჩემი ნება რომ იყოს. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა, თუ ერთს წავიყვანთ, მეორე ლოგინში როგორ უნდა გავაჩეროთ?! ბუნის ბიჭს კი მაინც რაღაც კავშირი აქვს ამ ცხენთან.

მის რეზა აღარ წამოვიდა, რადგან ვერავინ შეცვლიდა მასა და მინის. მთელ სახლს უკვე ზრიალი გაჰქონდა, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. კვირის შესაფერისად, შაბათ საღამოს ბოლო აბობოქრების შემდეგ ადგილი დაეთმო ჩვეულებრივ ყოველდღიურ შრომას პურისა და თავშესაფრისთვის.

ჰოლა, ნედმა და ბუნმა ცხენს ყაჯარი გადაათარეს. მერე გზის-პირიდან ჩვენ - ნედი, ოტისი და მე - ვუმზერდით ბუნსა და სემს, ქმრებს ერთი ქალისას (მეგობრები ვერ იყვნენ, მაგრამ ხანმოკლე ბავი კი დაედოთ) და მის კორის მათ შორის, შუაგზაზე, ერთი ფარნიდან მეორემდე როგორ მიჰყავდათ ცხენი. კვირადღის საღამო იყო, ასე, თერთმეტის დასაწყისი, სიმშვიდე სუფევდა სადგურის მიმართულებით მეორე და მესამე ქუჩებზე. აქა-იქ სინათლე ენთო, ისიც მხოლოდ პანსიონებში (ახლა კი, თუ ყოვლისმცოდნე არა, გამოცდილი მაინც ვიყავი და მის რებას სახლის მსგავსის ცნობა უკვე შემეძლო, თუკი დავინახავდი), კაფეები კი ჩაბნელებული იყო. კაფეები რომ იყო, არ ვიცოდი, მაგრამ ნედმა გვითხრა ოტისსა და მე, ეს კაფეებია და ყველა დაკეტილი არისო, თუმცა ღია უნდა ყოფილიყო თუ დაკეტილი, არ ვიცოდი, მე ხომ მემფისში (ანუ კატალპა-სტრიტზე) ექვსი საათიც კი არ ვყოფილვარ. გვერდით დედ-მამა არ მყავდა, რომ აეხსნათ, მაგრამ რაღაც-რაღაცებს უკვე ჩემითაც ვხვდებოდი.

- „ცისფერ კანონს“⁵ ეძახიან ამას, - თქვა ნედმა.

- რა „ცისფერი კანონი“? - ვკითხე.

- აბა, რა ვიცი?! - მითხრა ნედმა. - შაბათ საღამოს მერე ჯიბე-გამოცარიელებული ხალხი მათი გულისთვის ნავთს არ დახარჯავს.

- კაფეებშია ასე, - თქვა ოტისმა, - მაგრამ ამით არც არავინ დაზარალდება. კვირას რასაც ვერ გაყიდო, კარგად შეინახავ და ორშაბათ დილას შეიძლება, იმავე ხალხს მიჰყიდონ. მაგრამ თიხასამტლაშუნო სულ სხვა რამეა. დღეს რასაც გაყიდის, მეორე დღეს თავიდან დაატრიალებს და იმავე საქონელს ისევ გაყიდის.

⁵ The blue law - პურიტანული კანონი, რომლის მიხედვითაც, აშშ-ში XIX საუკუნესა და XX-ის დასაწყისში აკრძალული იყო კვირადღეს თეატრალური წარმოდგენები, ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა და ა.შ.

რა მოაკლდება?! „ცისფერი კანონი“ თუ თიხასამტლაშუნოსაც მიუმარჯვეს, პოლიცია მყის შეაჩერებს.

- თიხასამტლაშუნო რაღაა? - ვკითხე.

- ცოდნით ლამის თავი გაგისკდეს, მგონი, - უთხრა ოტისს ნედმა, - არკანზასში იმიტომაც ვეღარ ეტევით. სხვა შენისთანა ყოვლისმცოდნე ბიჭები ოცდაერთი წლის ასაკში ტეხასშიც ვერ დაეტევინან...

-...ტ - თქვა ოტისმა.

- თიხასამტლაშუნო რაღაა-მეთქი? - ისევ ვიკითხე.

- ჯობს, ტვინი გაანძრიო და ამ ცხენს იქნებ რამე აჭამო, - ხმას აუწია ნედმა, - როგორმე პასემამდე რომ ჩავიყვანოთ. მთავარია, ვაგონში შევტენოთ. ხომ ხედავ, რკინიგზის ბატონ-პატრონი ეს კონდუქტორი ისე მიფანტ-მოფანტავს ვაგონებს, ჯიბიდან ხელებს არც ამოიღებს. მაგრამ აბა, ერთი ჰკითხე, არ უფიქრია, რა ვაჭამო? ან იქნებ ერთი ვედრო საპნიანი წყალიც იშოვოს და იქნებ დეიდაშენმა, - ოტისს მიუბრუნდა ახლა, - სადღაც თვალს მიგაფაროს და პირი კარგად გამოგარეცხვინოს!

-...ტ - თქვა ოტისმა.

- ან იქნებ სადმე ჯოხი ნახოს და გირტყას, - უთხრა ნედმა.

-...ტ - ისევ თქვა ოტისმა. უეცრად პოლიციელი გამოტყვრა საიდანლაც. მგონი, ოტისმა ჯერ კიდევ მანამ დაინახა პოლიციელი, სანამ იმან - ცხენი. - ბიჭოს! - დასძინა ისევ ოტისმა. თურმე მის კორის იცნობდა ის პოლიციელი და, როგორც ჩანს, სემსაც.

- ცხენი სად მიგყავთ? - იკითხა მან. - ხომ არ მოგიპარავთ?

- დავიქირავეთ, - უთხრა სემმა. სვლა არც შეუწელებიათ. - ეკლესიაში ვიყავით ლოცვაზე ამ საღამოს და ახლა უკან უნდა დავაბრუნოთ. - გზა განვაგრძეთ, ოტისმა ისევ ამოთქვა, ბიჭოსო.

- პირველად ვხედავ, - დასძინა მერე, - პოლიციელს ისე დაელაპარაკონ, არაფერი მისცენ. მინისა და მის რებას ყოველთვის ერთი ბოთლი ლუდი აქვთ ხოლმე მომარჯვებული ჯერ კიდევ მა-

ნამ, სანამ ის ზღურბლს გადმოაბიჯებდეს, თუმცა მის რება მოსვლამდეც ლანძღავს მას და წასვლის შემდეგაც. გასულ ზაფხულსაც, აქ რომ ვიყავი, შევამჩნიე, ყოველდღე რომ მიხვიდე კორტსკვერში, სადაც ერთი იტალიელი ხილითა და კაკლით ვაჭრობს, შემობრძანდება პოლიციელი და წამის უსწრაფესად ააცლის ხოლმე ვაშლს ან ერთ მუჭა კაკალს.

ჩემზე უფრო პატარა ტანისა იყო და ლამის მორბოდა, რათა არ ჩამოგვრჩენოდა. ისიც შევამჩნიე, ჩემზე დაბალი რომ იყო, ეს მაშინ უფრო ჩანდა, როცა მოძუნძულებდა. რაღაც უცნაურობა კი სჭირდა. თავად საკუთარ თავზე ფიქრობ ხოლმე, მომავალ წელს სიმაღლე კიდევ უფრო მომემატებაო; ჩვეულებრივი ამბავია და ამიტომ - გარდაუვალიც. სულაც აღარა აქვს რამე მნიშვნელობა, რომ ვერც წარმოიდგენ, მერე როგორი სანახავი იქნები, რას დაემსგავსები. უნდა თუ არა, ყოველი ბავშვი ასე იზრდება, ოტისს კი თითქმის სამი წლის წინ მიეტანებინა იმისთვის, რასაც შენ მომავალ წელს მიატან, მერე კი დაპატარავება დაეწყოს.

- ჰოდა, ასე ვფიქრობდი, - განაგრძო მან, - პოლიციელობას რა ჯობს-მეთქი. მაგრამ მერე მივხვდი, დიდი არაფერია.

- დიდი არაფერი რა არაა? - ჰკითხა ნედმა.

- ლუდი, ვაშლი და კაკალი, - მიუგო ოტისმა, - სულ ლუდზე, ვაშლსა და კაკალზე შენი მტერი იყოს, - მერე ისევ დასძინა სამგზის, ბიჭოსო, - ისე კი ფარა უნდა იყოს ამ ქალაქში.

- ფარაო? - თქვა ნედმა, - რატომაც არ უნდა იყოს? ფარაც ისევე საჭიროა, როგორც ჯორები.

- ფარა-მეთქი, - თქვა ოტისმა, - ხელის ჭუჭყზე, ნაღდ ფულზე გეუბნებით. არკანზასში რა მინდოდა, ამდენი დრო როგორ დავკარგე, სანამ მემფისის შესახებ გავიგებდი! ის კბილი მაინც რამდენი ეღირება, თუ, ვთქვათ, მინი შევა ბანკში, დახლზე დადებს და იტყვის, გადამიხურდავეთო?

- დიახ, დიახ, - ნედმა თქვა, - ერთი შენისთანა ბიჭი იყო ჯეფერსონში, სულ ფული ეკვრა პირზე იმასაც. ახლა კი, თუ იცი, სად არის?

- სად და მემფისში, თუ ჭკუა ჰქონდა, - მიუგო ოტისმა.

- ასე შორს არ წამოსულა, - უთხრა ნედმა. - იმდენი იარა, ვიდრე პასემის საოლქო ციხეში არ ჩააყუდეს. თუ ჭკუით არ იქნები, შენც ქარი იქით წაგიღებს სწორედ.

- მაგრამ ხვალ არ იქნება ეს ამბავი, - თქვა ოტისმა, - და არც ზეგ. ბიჭოს, ქუჩაში ვიგინდარა პოლიციელსაც ისე ვერ ჩაუვლია, რომ ბოთლი ლუდი, ვაშლი ან ერთი მუჭა კაკალი არ შეატენონ, თუმცა არც კი მოუთხოვია. წუხელ ოთხმოცდახუთი ცენტი მომცეს, პიანოლას რომ ვატრიალებდი. იმ ნაბიჭვარმა კი მაშინვე მთლიანად წამართვა. სულ ტყუილად შემეძლო მეტრიალებინა პიანოლა, რომ სულ შემთხვევით ყური მოვკარი, მოდი, გადავუხადოთ ამისთვის. ერთი წამითაც რომ დამეგვიანებინა, რას გავიგონებდი?! მაშინ რომ იქ არ ვყოფილიყავი, პირველივე გამვლელს შემოიყვანდნენ და დაატრიალებინებდნენ. თუ გესმის? ხანდახან ამაზე რომ ვფიქრობ, ყველაფერს მინდა თავი დავანებო.

- თავი დაანებო? - ჩაეკითხა ნედი, - რას უნდა დაანებო თავი?

- თავი დავანებო და მორჩა, - თქვა ოტისმა, - როცა კი ვფიქრობ, ამდენი ხანი ტყუილად როგორ ვეგდე არკანზასის იმ ჩვენს გაუბედურებულ ფერმაში და არ ვიცოდი, მდინარის აქეთ, გამოღმა მემფისი იყო, თუმცა კი შეიძლებოდა ოთხი ან ხუთი წლის ასაკშივე გამეგო... ლამის ყველაფერს თავი დავანებო. მაგრამ, მგონი, ამას არ ვიზამ. ფონს მაინც გავალ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ცხენი რამდენს მოგახვეჭინებთ?

- შენ ამ ცხენის დარდი ნუ გაქვს, - მიუგო ნედმა, - ჯობს იმაზე იმტვრიო თავი, იმ ქუჩასა და სახლს როგორ მიაგნო, თუ ამაღამ

ლოგინში დაძინებას აპირებ? - ერთხანს იყუჩა და მერე ნახევრად მისკენ მიტრიალდა, - გზა თუ იცი?

- იქ რა მინდა, - თქვა ოტისმა, - ვიცი, ვერაფერს გამოვრჩები. სულ გვითვალთვალევენ. არკანზასში კი სულ სხვანაირად იყო. კორი დეიდა ფიტი დეიდასთან რომ ცხოვრობდა, იქ საჭვრეტელი მქონდა მოწყობილი. როცა ავტომობილში ცხენი გაუცვალეთ, გეგონათ, სულ ცოტა, ასიანს მაინც... - ნედი ახლა მთლიანად მიტრიალდა მისკენ. ოტისი გვერდზე გახტა, ნედს შეაგინა, შე შავ-დრუნჩაო; მე კი, რაც თავი მახსოვს, იმთავითვე ვიცოდი, მამა და ბაბუაც მუდამ ამას მასწავლიდნენ, ჯენტლმენს არ ეკადრება ვინიმე რასისა თუ რელიგიის აუგად ხსენებაო.

- წავიდეთ, - ვთქვი მე, - უკვე კარგა დიდზე ჩამოვრჩით. - მართლაც რომ კვარტალი უკვე გავვლოთ და ის იყო კუთხეში უნდა შეეხვიათ. ჩვენ ძუნძულით გავიქეციით, ნედიც მოგვყვა. კიდევ კარგი, სადგური იქვე იყო. სემი ზეთით დასვრილ ფარნიან კაცს ელაპარაკებოდა. მეისრე უნდა ყოფილიყო, ერთი სიტყვით, ვილაც რკინიგზელი.

- გესმის, რას გეუბნები? - ჰკითხა ნედმა, - როგორ გგონია, პოლიცია ფარნიან კაცს გამოგზავნიდა, გზა უჩვენეო იმათ?

ხომ გესმის, რაზეც გეუბნები: ამქვეყნად (ნაპარავ ცხენზე ვამბობ) სიკეთის მსახურნი თანადგომის გარეშე, მარტოდმარტონი იბრძვიან განქიქების გამყინავ ვაკუუმში მოქცეულნი, მაგრამ უკეთურობის მსახურება თუ დააპირეს, უამრავი მოხალისე გამოუჩნდებოდა მშველელად. სემი უმტკიცებდა მის კორის, ჯობდა, ოტისსა და ჩემთან დაეცადა, ვიდრე სადგურში სატვირთო ვაგონს არ ნახავდა და ცხენს არ შეიყვანდა. ბუნსაც გვიტოვებდა მცველად, გოლიათური აღნაგობის კაცს, შესაფერისს ასაკითაც და სქესითაც; ამით გვიჩვენებდა, რომ ნდობით გვეკიდებოდა და სიმშვიდე დაუფლებოდა. მაგრამ მის კორიმ ეს წინადადება უარყო. ჰოდა, ყველანი გავტრიალდით და იმ ფარნიან კაცს გავყე-

ვით. გავიარეთ ჭიშკარი, შევაბიჯეთ სატვირთო პლატფორმებისა და ლიანდაგების სივრცეში, ახლა უკვე ნედს მოუხდა ჩვენი წინამძღოლობა, ცხენი სადავით წამოიყვანა, თან ამშვიდებდა. ამიაკით გაჯერებული მხურვალე ოხშივარი მოგვწვდა (შეშინებული ცხენის სუნი თუ იცი?), ნედი ეჩურჩულებოდა ამ ოთხფეხს და ეს ორივე - მისი ბუტბუტი და სუნი - შესქელებულ-შედედებულიყო სატვირთო და სამგზავრო ვაგონების ნათურების შუქისა და საისრე წერტილთა შუქნიშნების მწვანე-წითელ ციმციმში; ასე იყო, სანამ სამგზავრო უბანი არ ჩამოვიტოვეთ და ხრეშმოყრილ სავალზე არ გავედით დიდი ჩაბნელებული საწყობისა და მის წინ მდებარე სატვირთო პლატფორმისკენ. ის სატვირთო ვაგონიც დავინახეთ. მასა და პლატფორმის ბოლოს შორის მთვარით განათებული ოცდახუთფუტიანი სივრცე ჩანდა (ქუჩისა და სადგურის ნათურები აქ აღარ იყო, მთვარე დაგვნათოდა), რომელსაც დოდის ცხენიც ვერ გადაევილებოდა, მით უმეტეს, სამი წლის ბედაური (ნედის სიტყვით) ვერ შეძლებდა ამას. სემმა ჩუმად შეუკურთხა სადგურის ყველა რკინიგზელს, მეისრეებს, დეპოს მუშებს, მოლარეებსა და სხვა დანარჩენთ.

- წავალ და თხას მოვიყვან, - თქვა ფარნიანმა კაცმა.

- თხას რას ვაქნევთ, - იკითხა ნედმა, - გინდაც საუკეთესო მხტომელი იყოს. ჩვენ ან ეს პლატფორმა უნდა მოვწიოთ, ან ის ვაგონი.

- სამანევრო პატარა ორთქლმავალს ეძახიან ასე, - აუხსნა სემმა ნედს. - არ წახვიდე, - მიუბრუნდა ის ფარნიან კაცს, - ასეც ვიცოდი, რომ სამანევრო ჯგუფისთვის ოცდახუთფუტიანი მანძილი არაფერია. ამიტომაც გთხოვე, ჯიხურის გასაღები წამოიღე-მეთქი. ძალაყინებიც გვინდა, იქნებ ბატონი ბუნი მოგვეშველოს.

- უკეთესი იქნება, შენ მიეშველო, - უთხრა ბუნმა, - შენ ხომ რკინიგზელი ხარ, მე აქ რა მესაქმება.

- ჯობს, ეს ბიჭები სახლში წაიყვანო და დააძინო, რაკილა ასე მორცხვობ, -

თქვა მის კორიმ.

- თავად შენ წაიყვანე, - მიუგო ბუნმა, - ამ შენმა ძველმა მეგობარმა ხომ გითხრა, შენ აქ არაფერი გესაქმებაო.

- ძალაყინების მოსატანად მე წავეყვები, - უთხრა მის კორიმ სემს, - შენ კი ამ ბიჭებს მიხედე.

- კარგი, კარგი, - თქვა ბუნმა, - ღვთის გულისთვის, შევუდგებით თუ არა საქმეს? კიდევ ოთხი-ხუთი საათი და მატარებელი ჩამოდგება, ჩვენ კი აქ ვყბედობთ. სად არის ის ჯიხური, ძამიკო? - ჰოდა, წავიდნენ ის და ფარნიანი კაცი. დავრჩით მარტო ჩვენ და მთვარე. იმ ცხენს ახლა სულაც აღარ ასდიოდა სუნი და ვხედავდი, ნედთან მიმდგარი თავით სერთუკზე ეხახუნებოდა გოშიასავით. სემი კი თურმე იმას ფიქრობდა, რასაც მე, როცა ის პლატფორმა დავინახე.

- საწყობის უკან საბიჯელა უნდა იყოს, - თქვა მან, - ნეტავ თუ გაუვლია ასეთ საბიჯელაზე? მოდი, იქით გავიყვანოთ და ვუჩვენოთ. ჩამოდგება ის ვაგონი და ყველანი სულაც ხელით ავიყვანთ...

- დარდი ნუ გაქვთ, - მიუგო ნედმა, - ოღონდ კი ის ვაგონი იქ დადგეს, სადაც საჭიროა, ათფუტიან თხრილს რომ აღარ გადავახტუნოთ. ამ ცხენსაც თქვენსავით ერთი სული აქვს, მემფისიდან გავიდეს.

სულ მეშინოდა, ვაითუ სემმა თქვას, ეს ბიჭიც თან წაიყვანეო. არადა, მინდოდა მენახა, როგორ დაძრავდნენ ვაგონს, არ მჯეროდა, ამას თუ შეძლებდნენ. ვიდექით და ველოდით, თუმცა დიდხანს არა; ბუნი და ის ფარნიანი კაცი უკან დაბრუნდნენ და ორი ძალაყინი მოიტანეს, რვა ფუტის სიგრძისა იქნებოდა თითოეული. ჰოდა, ვიდექი და ვუყურებდი (მის კორიც და ოტისიც), რას აკეთებდნენ. იმ კაცმა ფარანი დადო, საბიჯელათი ვაგონის სახუ-

რავზე ავიდა, მუხრუჭი აუშვა, ხოლო სემმა და ბუნმა ძალაყინები შეყვეს უკანა ბორბლებსა და ლიანდაგს შორის. ჰოდა, თითქოს ტუმბოს ეჯაჯგურებოდნენ, აწვებოდნენ და წინ აგდებდნენ. მე მაინც არ მჯეროდა; მუქად მბზინავი ოთხკუთხა მაღალი ვაგონი მთვარის შუქზე შავი კედელივით აღმართულიყო ჩვენ წინ მთვარის სხივებითვე გარშემორტყმული, რომლის თავზეც ერთი მოგრძო ლანდი ატრიალებდა სამუხრუჭე რგოლს, ხოლო დაბლა ორნი, უფრო მომცრონი და წელში მოხრილნი, თითქოს ლიანდაგზე მიდუღებულ ვაგონს ვერცხლისფრად მოელვარე კეტებს ბორბლებქვეშ სჩრიდნენ, თუმცა ისე ჩანდა, ვერა ძალა ვერ დაძრავდა და გააგორებდა მას, ბუნი და სემი კი, თითქოს რაღაც პანტომიმას თამაშობენო, მოწინებით თავს უხრიან ვიღაცას და მთვარის სინათლის ჩარჩომოვლებული იმ აყალყებული ლანდიდან ნელ-ნელა უკან-უკან იხევენო. მაგრამ უეცრად ვაგონი დაჰყვა მათ ნებას, მოძრაობის უნარი მიეცა და სემმა და ბუნმა კეტები დაყარეს; ბუნი ახლა უკვე მსუბუქად აწვებოდა ვაგონს, ვითარცა ჩვილის ეტლს, ვიდრე იქ არ დადგა, სადაც საჭირო იყო, ანუ ბაქანს არ გაუსწორდა და სემმა არ თქვა, კმარაო. ზემოთ მდგომმა კაცმა კვლავ დაატრიალა სამუხრუჭე რგოლი. ცხენი როგორმე ვაგონში უნდა შეგვეყვანა, რაც იგივე იყო, რომ გვეთქვა, ალასკაზე ჩამოვედით, მეტი რაღა დაგვრჩენია, ოქროს საბადოსაც უნდა მივაგნოთო. მერე იმ ფარდულს შემოვუარეთ, სადაც ბაქნიდან საბიჯელა ეშვებოდა გარდიგარდმო მიმაგრებული ფიცრებით. მაშინ ბაქნებს იმ სიმაღლისას აშენებდნენ, რომ ურმები, ურიკები, საზიდრები აეგორ-ჩაეგორებინათ, საბიჯელა კი საკმაოდ მკვიდრი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მხოლოდ ხუთი ფუტი სიგანისა და უმოაჯირო.

- ვიცი, ამას ნანახი აქვს ეგ საბიჯელა, - თქვა ნედმა, - ესმის, რომ გვინდა ზედ ავიდეს, მაგრამ თავად თუ სურს, ჯერ ვერ მიმ-

ხვდარა. კარგი იქნება, კიდევ დაგვდოს პატივი ბატონმა ვაგონის კაცმა და ბარემ წკნელიც მოგვინახოს.

- მერე, მანდ ხომ გაქვს, - მიუგო ბუნმა, მხედველობაში მე ვყავდი, ანუ ჩემი ერთი ოინთაგანი - ენისა და კიდევ პირის, ყელი-სა და ხახის მეშვეობით მკვეთრ ხმას გამოოცემდი, გასაოცარს და მაღალს, მათრახის გატყლაშუნებას რომ ჰგავდა. დედამ ამიკრძალა ბოლოს, ებოშიც არ მაძლევდა ამის გაკეთების უფლებას, სახლში კი, მით უმეტეს, რას დამანებებდა?! ბებიას ერთხელ ისე შეეშინდა, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა და შეიკურთხა კიდევ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. წელიწადი გავიდა მას შემდეგ და, მგონი, დავიწყებულიც კი მქონდა.

- მართლა, - თქვა ნედმა, - კი გვაქვს. - მერე მითხრა, გრძელი წკნელი მოიტანე, იმ ბუჩქებში უნდა იყოსო. კვიდო იზრდებოდა იქვე ახლოს, კერძო მიწადორი ან ბაღი უნდა ყოფილიყო აქ უწინ, ვიდრე არ დაიწყო პროგრესის, ინდუსტრიის, კომერციის, რკინიგზის ხანა. წკნელი მოვტეხე და უკან გამოვბრუნდი. ნედი ცხენს გამოუძღვა, თავი კიბე-საბიჯელასკენ მიაბრუნებინა. - აბა, ახლა, ბატონო ბუნ და ბატონო ვაგონის კაცო, ორივე ისეთი ბრგე ხართ, აქედან და იქიდან ამოუდექით კარიბჭისბოძებევით. - ასეც ქნეს. ნედი უკვე იმ საბიჯელას ნახევარზე იყო გასული ხელში აღვირით და ცხენისკენ მიბრუნებული მის დაყოლიებას ცდილობდა. - ადი, ადი მაგ ქათმის ქანდარაზე, სადაც გელოდება დიდება და პასემი, ტენესი, სწორედ იქ იქნები განთიადის ხანს. - მერე დაბლა ჩამოვიდა, ცხენი სწრაფად მოატრიალა და თან მითხრა, - წკნელი უკვე დაინახა, უკნიდან მოუარე, ნუ დაკრავ და ნურც გაატკაცუნებ, ვიდრე არ გეტყვი. - ასეც მოვიქეცი. ჩვენ სამივემ - ნედმა, ცხენმა და მეც - საბიჯელას საპირისპირო მხარეს გავსწიეთ, დაახლოებით ოცი იარდი გავიარეთ და მაშინ ნედმა შეუჩერებლივ, მკვეთრად შემოატრიალა ცხენი, მეც გავყევი, სულ მალე ცხენმაც ოც ნაბიჯზე საბიჯელა დაინახა, აქეთ-იქიდან ბუნი და სემი რომ ამოს-

დგომოდნენ, ჰოდა, დაინახა თუ არა, შედგა. ტკაცო, დაიძახა ნედმა, მე ენა გავატკაცუნე, კარგა მაგრად; ცხენი შეხტა, ნედი საბიჯელასკენ მიიწევდა, ახლა უფრო ჩქარა. - ამჯერად რომ ვიტყვი, ტკაცო, ისევ გაატკაცუნე, იმავე წამს წკნელი ოდნავ შეახე, კი არ დაკრა, კუდის სიახლოვეს შეახე მხოლოდ. - ნედმა უკვე ჩაუარა ბუნსა და სემს, საბიჯელაზე დადგა. ცხენი საფიქრალს მისცემოდა: ფეხი არ მოეცვალა ადგილიდან თუ გვერდზე გამხტარიყო (არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ბუნს დასჯახებოდა თუ სემს) ან უბრალოდ, ყველას ზედ გადავლებოდა და გაჭენებულიყო. ცხადად ჩანდა, დიდი გასაჭირი დასდგომოდა და ნედსაც სწორედ ამის იმედი ჰქონდა: შიშატანილი, აფორიაქებული ცხენის ტვინი ერთ აბრს თუ მოერეოდა, მეორის გაელვებისას დომხალივით აელუფებოდა ყველაფერი თავში. ტკაცო, დაიძახა ნედმა. მეც ვავატკაცუნე და წკნელიც შევახე, ნედმა რომ მითხრა, ისე. ცხენი საბიჯელაზე შევარდა წინა ფეხებით, უკანა ფეხი ბუნის მხარეს დაუსხლტა და ვიდრე ნედი დაიყვირებდა, ბუნმა დაასწრო, ორივე ხელი სტაცა ფეხში და საბიჯელაზე შეუგდო, თან მთელი ძალით მიაწვა. ცხენი გაირინდა, საბიჯელაზე ოთხივე ფეხით დამდგარს კანკალი მორეოდა. ნედმა დაიძახა: - ახლა კი წკნელი მყესების გასწვრივ მიაბჯინე, იცოდეს, ვილაც უდგას უკან და ველარ გადმოვარდება.

- ჰოდა, უკან აღარ დავახევივინებთ, ამის თქმა გინდა, - თქვა სემმა, - ჩვენ ახლა უფრო ძალაყინი გვჭირდება, წადი და მოიტანე, ჩარლი!

- მართალი ხარ, - მიუგო ნედმა, - ძალაყინი დაგვჭირდება, მაგრამ ამწუთას წკნელიც საკმარისი იქნება, შენ ჯერ პატარა ხარ, - მითხრა, - ჯობს ბუნსა და ვაგონის კაცს მისცე. მყესებზე მიაჭირეთ, თითქოს მისაყრდენი იყოს, ისე. - ასეც ქნეს. წკნელს ბოლოებში ხელი ჩასჭიდეს და მიაბჯინეს. - ახლა კი წინ უბიძგეთ. როცა გეტყვი, ტკაცო, უფრო მაგრად გაატკაცუნე, ასე ეგონოს, ძლიერ

დამკრავენო. მაგრამ სულაც აღარ დასჭირდა გატკაცუნება. ნედ-
მა ასე უთხრა ცხენს: - მიდი, ვაჟო, პასემს გავწიოთ! - ბედაურმა
წინ გადააბიჯა, წკნელით აგულიანებდნენ ბუნი და სემი. და აჰა,
ისიც წინა ფეხებით მკვიდრ ბაქანზე შედგა. კიდევ ერთი გაბრძო-
ლება და, საბიჯელას ყურისწამლები გაჭრიალების შემდეგ თქა-
რათქურის ხმა გამოსცა ბაქანმა, თითქოს ფიცრის ხიდს დაჰკრაო
ცხენმა ფლოქვები.

- წკნელითა და ტკაცუნით ვერაფერს გავხდებით, ვაგონში ვერ
შევიყვანთ, - თქვა სემმა.

- ძალაყინით შევაგდებთ, - განაცხადა ნედმა, - ჯერ კიდევ არ
მოგიტანიათ? - ძალაყინი უკვე აქ იყო. - აბა, ერთი მოხსენით ეგ
ქათმის ქანდარა.

- დაიცა, ეგ რისთვის? - იკითხა სემმა.

- ვაგონში მაგით თუ შევიყვანთ, - თქვა ნედმა, - უკვე შეჩვე-
ულია. გაიარა და იცის, მეორე ბოლოში არაფერი დაუშავდება.

- მაგრამ ვაგონის შიგნით რა არის, არ იცის, ჯერ შეუჩვეველია
მის სუნს, - მიუგო სემმა, - ამის შიში მაქვს. - ნედის აბრი ჭკუაში
დაგვიჯდა, თანაც ამდენი დავიდარაბის მერე ვერ გავჩერდებო-
დით. თუნდაც ნედს ეთქვა, საწყობის კედელი გაანგრეთ, ცხენი
კუთხე-კუთხე რომ არ შემოვატაროთო. ჰოდა, ბუნმა და იმ რკი-
ნიგბელმა ის საბიჯელა ბაქანს მოაცილეს.

- ეშმაკმა წაიღოს, - თქვა სემმა, - ცოტა ჩუმად არ შეიძლება?

- აბა, თქვენ აქ რატომ ხართ? - იკითხა ბუნმა, - ტყუილად ხომ
არ დაგიბნევიათ ეგ სპილენძის ღილები, რად გინდათ, თუ აქ არ
გამოგადგებათ. - ამ საქმემ ყველანი მოგვიხმო, მის კორიცი; საბი-
ჯელა ბაქანზე ამოვათრიეთ და ვაგონის შავბნელი ხახისკენ ხი-
დივით გავდეთ. მერე ნედმა ცხენი წამოიყვანა და, რაც აწუხებდა,
მაშინ მივხვდით. ბედაურისთვის სრულიად უცნობი იყო ცარიელი
ვაგონის სუნი, მაგრამ ჩვენგან, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან გან-
სხვავებით, შიგნით ყველაფერს ხედავდა; მახსოვს, ეს საბიჯელა

რომ მოვგლიჯეთ, ასე გავიფიქრე, გათენებამდეც ვერ შევძლებთ ამის ბაქნიდან ჩამოშვებას-მეთქი. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. უფრო სწორად, ვერც მივხვდი, რა მოხდა, ვერც ვერავინ მიხვდა. ნედიცხენს წინ გაუძღვა, ნელა ეწეოდა აღვირბე, ის კი მიბაკუნობდა აწ უკვე ხიდად გადაქცეულ საბიჯელაზე, შეაყენა, მაშინ კი, აღარც ვიცდი, რა გავიფიქრე. სულ რამდენიმე წამის წინ დარწმუნებული ვიყავი, მემფისის მთელი მოსახლეობა არ იკმარებდა იმ ცხენის შავად მზირალ ხახაში შესათრევად; მეორე წამს კი ვიფიქრე, ვაითუ ვაგონის კართან მისული დაფეთდეს და ისევე ისკუპოს, როგორც მაშინ, საბიჯელაზე-მეთქი; მაგრამ ცხენმა ფეხი ასწია და ისევ ბაქანზე დადგა, მერე ისა და ნედი, ცოცხალ სურათებში რომ მინახავს, ისე მიაჩერდნენ ერთმანეთს. ნედმა სული მოითქვა, - აბა, სუყველანი უკანა კედელთან მიდექით, - გვითხრა. ჩვენ მივდექით, რა უნდოდა, არ ვიცოდი. მხოლოდ ვხედავდი, ერთ ხელში სადავე მოემარჯვებინა, მეორე დრუნჩზე მოუთათუნა ცხენს. უკან დაიხია და ვაგონში გაუჩინარდა. დაიჭიმა სადავე და შიგნიდან მისი ხმა გავიგონეთ: - შემოდი, ვაჟო, აჰა, აიღე!

დასწყევლოს ღმერთმა, ჩაილაპარაკა სემმა, რადგანაც უცებ დასრულდა ყველაფერი. მცირეოდნად გაიტკაცუნა გადებულმა ხიდმა, გამოქვაბულისებრ სიბნელეში ფლოქვებმა დაიგრუხუნა და მორჩა! ფარანი შევიტანეთ, ცივად გამოანათა ცხენის თვალმა და გაქრა; ნედთან ერთად იდგა კუთხეში.

- წელან რომ ამბობდით, ის ფიცრები და ლურსმნები სად არის? - ჰკითხა ნედმა სემს. - შემოიტანეთ ის ქანდარა და კედელიც მზად იქნება.

- ჯანდაბას, - დასძინა სემმა, - იქნებ გავჩერდეთ.

- ხვალ დილით ხალხი რომ მოვა აქ და აღარ დახვდებათ ამხელა სატვირთო ვაგონი, ქანდარა ვისლა გაახსენდება?! - თქვა ნედმა.

ჰოდა, ჩვენ ყველამ, გარდა ნედისა, ის კიბე-საბიჯელა ვაგონში შევათრიეთ, მის კორიც მოგვეხმარა და სანამ ბუნი, სემი და ის რკინიგზელი (სემს უკვე გამზადებული ჰქონდა ფიცრებიცა და ლურსმნებიც) ცხენს ბაგას მოუმზადებდნენ ვაგონის კუთხეში, კიბისთვის ხელი არ გაგვიშვია. ნედმა პირის დაღებაც ვერ მოასწრო, რომ სემმა მოიტანა ვედროთი წყალი, გეჯით ქერი, ერთი შეკვრა თივაც მოაყოლა. ჩვენ ყველანი მოშორებით ვიდექით. გვესმოდა, რა მშვიდად ახრამუნებდა ცხენი თივას. თავი ამწუთას პასემს ჰგონიაო, - თქვა ნედმა.

- ყველას ერთი სული გაქვთ, ზეგ დილით პირველმა გადაკვეთოთ ფინიში, - თქვა სემმა. - ახლა რა დროა? - მერე ჩაილაპარაკა: - შუალამეა ზუსტად. ცოტა უნდა წავიძინოთ, სანამ მატარებელი გავიდოდეს ოთხ საათზე, - მერე ბუნს მიუბრუნდა, - შენ და ნედი ცხენთან დარჩენას მოისურვებთ, ამიტომაც მოვიტანე უფრო მეტი თივა. შეგიძლიათ დაწვეთ და დაიძინოთ. მე კი კორისა და ბიჭებს სახლში წავიყვან და მერე ყველანი აქ შევხვდებით ერთმანეთს საათის...

- კარგი ერთი, - თქვა ბუნმა, მაგრამ უხეშად კი არა, უფრო პირქუშად, - შენი ნებაა, თუ გინდა, ოთხ საათზე მოდი, თუკი არ დაგეძინება. იქნებ შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს. მერე კორის მიუბრუნდა: - აბა, წავიდეთ.

- ჰოდა, შენ გინდა, პატრონის ავტომობილთან, უფრო სწორად, პატრონის ცხენთან, ამ ცხენთან, ვისიც უნდა იყოს, სულერთია, მხოლოდ ეს ბანგი დატოვო? - იკითხა სემმა.

- მერე რა, - მიუგო ბუნმა, - ამ ცხენზე უკვე რკინიგზა ზრუნავს. ბარგის ქვითარი მაქვს და ვინ რას მეტყვის? იქნებ სულაც ქალებსა და ბიჭბუჭებზე შთაბეჭდილების მოსახდენად გაქვს ნათხოვარი რკინიგზელის ფორმა. თუ ვაცი ხარ, ამ ქვითრით შენს უფროსებზე მოახდინე შთაბეჭდილება, იქნებ დავიდარაბას გადავრჩეთ.

- ბუნ! - უთხრა მის კორიმ, - სახლში არავის წაყოლა არ მინდა!
წამოდი, ლუციუს, და შენც, ოტის!

- კარგი, კარგი, - თქვა სემმა, - უნდა გვახსოვდეს, ბუნი ხუთი
თუ ექვსი თვე მონასავით შრომობდა ბამბის მინდორში თუ სად-
ღაც სხვაგან, ახლა ნამდვილად ეკუთვნის ერთი ღამის გათევა კა-
ტალპა-სტრიტზე. ყველა წადით. მატარებელთან გნახავთ.

- მადლობა მაინც გადაუხადე, - უთხრა მის კორიმ ბუნს.

- კი, ბატონო, - მიუგო ბუნმა, - მაგრამ ვის? ცხენს?

- თუნდაც ნედს, - თქვა სემმა. მერე ნედს მიუბრუნდა, - გინდა
აქ დავრჩე

შენთან ერთად?

- არა, ჩვენ ორნიც კარგად ვიქნებით, - უპასუხა ნედმა, - თუ
თქვენც წახვალთ, შეიძლება ცოტა წავიძინოთ კიდევ. ერთსა ვნა-
ნობ, დროზე არ გამახსენდა...

- მე გამახსენდა, - თქვა სემმა, - სად არის ის კალათა, ჩარლი?
- ჰოდა, იმ რკინიგზელმა, მელსრე იყო თუ რაც იყო, კალათა გა-
მოიტანა იმავე კუთხიდან, სადაც ფიცრები, ლურსმნები და ქერი
ყვარა. კალათაში იყო კარგა დიდი პური და შაშხი, ერთი ბოთლი
წყალი და ნახევარ ლიტრზე მეტი ვისკი. - აი, ჩემო ბატონო, საუბ-
მებზეც გეყოფა.

- ვხედავ. შენ რა გქვია, თეთრო კაცო? - ჰკითხა ნედმა.

- სემ კოლდუელი, - მიუგო სემმა.

- სემ კოლდუელი, - გაიმეორა ნედმა, - ახლა გამკრა თავში,
სემ კოლდუელი ჩინებული სახელია, ცხენის ბიზნესს სწორედაც
მოუხდება. კიდევ ცოტაც და იმას ვისურვებ, რომ მე და შენ ხში-
რად ვიყოთ ერთად. დიდი მადლობა!

- რისი მადლობა, - მიუგო სემმა. ჰოდა, ჩვენ ღამე მშვიდობისა
ვუსურვებთ სემს, ნედსა და ჩარლის (ყველამ, გარდა ბუნისა და
ოტისისა) და მის რეზასთან წამოვედით. ქუჩები იყო ჩუმი და და-
ცარიელებული. მთელი მემფისი კვირის ბოლოს დადლილ-და-

ქანცულიყო, ცოტა მაინც უნდა დაესვენა, დაეძინა და ისე შეჰყროდა ორშაბათ დილას. წყნარად, ხმის ამოუღებლად მივდიოდით ერთი ფარნიდან მეორემდე, ზემოდან შუქჩამქრალი სარკმლები ჩამოგვეყურებდა, თავს წამოგვედგომოდა ჩაბნელებული კედლები; მაგრამ სადღაც მკრთალი შუქი გაკრთა ფანჯარაში და არცთუ დიდი ხნის წინ შეძენილმა გამოცდილებამ მამცნო, - მის რებას სახლის მეტოქე დაწესებულება უნდა ყოფილიყო; ისეთივე მკრთალი შუქი იყო, როგორც მის რებას სარკმლის ფარდის მიღმა ირეკლებოდა იმის მაუწყებლად, რომ ბობოქარი ცხოვრების წუთები იღუოდა. შეიძლება, მინიც დასაძინებლად იყო წასული, ან შინ, ან, არ ვიცვი, სადმე სხვაგან, სადაც მოსასვენებლად მიდიოდა ხოლმე მას შემდეგ, რაც მის რებასთან ერთად საღამოს ჰიმნს უმღერებდა თავის ხელობას. იქნებ ამიტომაც, თავად მის რებამ გაგვიღო სადარბაზოს კარი, თან ჯინის მძაფრი სუნი შემოგვაფრქვია. თვითონაც ჯინივით იყო, გოროზი და ლამაზი. სხვა კაბა ჩაეცვა, ძალზე გულამოჭრილი. იმხანად სახეს არ იღებავდნენ მანდილოსნები, ჰოდა, ახლა პირველად ვხედავდი შეღებილ სახეს. ბრილიანტიც უფრო მეტი ჰქონდა ასხმული, ისეთივე დიდრონი და მოყვითალო, როგორც ის ორი, არა, ორი კი არა, ხუთი ბრილიანტი, აქ ჩამოსვლისთანავე რომ ვნახე. თუმცა მინისაც არ ეძინა, მის რებას ოთახის კართან იდგა დაღლილ-დაქანცული.

- როგორაა საქმე? - იკითხა მის რებამ და კარი დაკეტა.

- კარგად, - მიუგო მის კორიმ, - რატომ არ გძინავთ? მინი, შენი ბრალია, იცოდე. წაიყვანე და დააწვინე.

- ერთი საათის წინ უნდა გეთქვა, - უთხრა მინიმ, - კარგი იქნება, ორი საათის შემდეგაც არ მოგიხდეს იმავეს თქმა. შენ მაშინ, ორი წლის წინ, აქ არ იყავი, თორემ ამას არ მეტყოდი.

- წავიდეთ. დავიძინოთ, - თქვა მის კორიმ, - ოთხშაბათს პასე-მიდან რომ დავბრუნდებით...

- ღმერთმა დასწყევლოს, - პარშემიდან-მეთქი, - მიაძახა მის რებამ.

- კარგი, - უპასუხა მის კორიმ, - ...ოთხშაბათს პარშემიდან რომ დავბრუნდებით, მინი გაიგებს, სად არის ის კაცი, და მოვნახავთ.

- კი, ბატონო, - თქვა მის რებამ, - და თუ ჭკუაყ მყყო, იმავე თხრილში ჩავმარხავ თავის წერაქვ-ნიჩბიანად. დალევა ხომ არ გინდა? - ჰკითხა ბუნს, - არ ვიცი, მინის ქრისტე ღმერთისა ეშინია თუ რესპუბლიკელი გახდა, წვეთს აღარ სვამს.

- ვიღაც ხომ უნდა იყოს აქ ფხიზელი, - მიუგო მინიმ, - ამისთვის რესპუბლიკელობა სულაც არ არის საჭირო. ესღაა საჭირო, დაღლილ-დაქანცულს ძვალ-რბილი ძირს ჩამოგდიოდეს, რომ დაგეძინოს.

- ყველამ უნდა დავიძინოთ, - თქვა მის კორიმ, - მატარებელი ოთხზე გადის, უკვე ორი დაიწყო, წავიდეთ.

- წადით, დაიძინეთ, - თქვა მის რებამ, - რად არ მიდიხართ? - ყველანი კიბებზე ავედით. მერე ოტისი და მე უფრო მაღლა ავუყუყვით, იმან იცოდა სხვენის გზა. სხვენზე სხვა არაფერი იყო, გარდა სკივრების, ყუთებისა და საწოლების ნაცვლად ზედ იატაკზე დაგებული ლეიბებისა. ოტისს ღამის პერანგი ჰქონდა (პერანგს ჯერაც ემჩნეოდა იმდროინდელი ნაკეცები, როცა მაღაზიის თაროზე იდო საგულდაგულოდ დაკეცილი და მის კორიმ უყიდა), მაგრამ მანაც ჩემსავით მხოლოდ შარვალი და ფეხსაცმელი გაიხადა, შუქი ჩააქრო და დაწვა. სხვენის ერთადერთ სარკმელში მთვარე იჭვრიტებოდა და ირგვლივ ყველაფერს ვხედავდი, ოტისის გამომეტყველებასაც კი; არა, ნამდვილად რაღაც სჭირდა ამ ბიჭს. დაღლილ-დაქანცული ვიყავი და აქ რომ ამოვდიოდი, ასე მეგონა, ზებეურად დამეძინება-მეთქი. მაგრამ ვგრძნობდი, ჩემ გვერდით რომ თვალეზდაჭყეტილი იწვა, თითქოს ცხოვრებაში არც არასდროს დაუძინია და არც იცოდა, ძილი რა იყო, და უცებ თითქოს მეც რაღაც დამემართა, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, სახელდობრ

რა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ რაღაც დამემართა, რასაც სულ მალე გავიგებდი და იმწუთასვე ზიზღი ამიტანდა. ანაზღად ფიქრმა გამიელვა თავში, მემფისში რამ ჩამომიყვანა-მეთქი, სახლში მინდოდა. ოტისმა კვლავ გაიმეორა, ბიჭოს, რა მაგარიაო!

- ფარაზე გეუბნები, აქ რომ ტრიალებს, - ასე მითხრა, - მთელ ჰაერში მაგის სუნი დგას. განა სამართალია, რომ მხოლოდ ქალებს შეუძლიათ, ამ თიხასამტლაშუნოზე ფულის გაკეთება, კაცებს კი ისღა დარჩენიათ, პირი დააღონ და უყურონ, ცხვირწინ როდის აუფრიალდება, შეიძლება ცოტაოდენს მაშინ გამოჰკრან ხელი...- და ისევ ის სიტყვა წარმოთქვა, ორჯერ რომ ვკითხე, რა არის-მეთქი. მაგრამ ახლა აღარაფერი მიკითხავს, არ მინდოდა. გაჭიმული და დაძაბული ვიწექი, ჩემსა და ოტისის ფეხებზე ირიბად ეცემოდა მთვარის შუქით ნახაზი სარკმლის ჩარჩოს ჩრდილი. ვცდილობდი, ყური არ დამეგდო მისთვის, მაგრამ ძალაუნებურად მაინც ვუსმენდი. - ამ ოთახთაგან ერთ-ერთი სწორედ ჩვენ ქვეშაა; შაბათობით საქმეს რა გამოუღევთ, ჰოდა, იქიდან ხმები ამოდის, თუმცა რად გინდა, ბურღიც რომ ვიშოვო და იატაკი ჩაფხვრიტო საჭვრეტლად, ის ზანგის გოგო და მის რება არ დამანებებენ აქ ვინმეს ამოყვანასა და ფულის გაკეთებას. თუკი მაინც მოვახერხებ რამეს, მაშინვე წამართმევენ, სწორედ ისე, როგორც იმ ნაბიჭვარმა წამართვა დღეს პია და ნოლაზე ნაშოვნის ფული. მაგრამ აი, იმ სახლში რომ ვყოფილიყავი, დეიდა ფიტისას, როდესაც იქ ბი მუშაობდა... - უცებ შეჩერდა, ერთხანს ხმა აღარ ამოუღია, მერე ისევ დასძინა, ბიჭოსო!

- ბი? - ჩავეკითხე მე. მაგრამ დავაგვიანე, თუმცა კი არ დავაგვიანე, თავადაც მივხვდი.

- რამდენი წლისა ხარ? - მკითხა მან.

- თერთმეტისა.

- ჩემზე ერთი წლითა ხარ უფროსი, - ასე მითხრა, - დასანანია, რომ აქ არ რჩები, ხვალ მიდიხარ, ერთი კვირაც რომ ყოფილიყავი, კი მოვახერხებდით იატაკის გახვრეტას.

რისთვის-მეთქი? - ვკითხე. ხომ გესმის, არ შემეძლო, არ მეკითხა, იმიტომ, რომ ერთი რამ მინდოდა მხოლოდ - სახლში დაბრუნება, დედასთან ყოფნა. იმიტომ, რომ ადამიანი მზად უნდა იყოს გამოცდილების, ცოდნის მისაღებად, ვინმე ვიგინდარამ, გარეწარმა სიბნელეში თავში კეტი რომ არ დაჰკრას მოულოდნელად. ნუ დაგავიწყდება, მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი. ამქვეყნად ბევრია ისეთი გარემოება თუ ვითარება, რომელიც არ უნდა იყოს, მაგრამ არის და ამას ვერსად წაუხვალ, ვერსად გაექცევი, თუნდაც საშუალება გქონდეს არჩევანისა, მაინც არ ისურვებდი მათგან გაქცევას, რადგანაც ეს ყოველივე ნაწილია ცხოვრების მდინარეებისა, რადგან ცოცხალი ხარ და თანაზიარი ამ ცხოვრებისა, მაგრამ ყოველივე ნაზად, მიუძალებლად უნდა მოგეახლოს, მე კი ამ ცოტა ხანში ძალზე ბევრი რამ ვნახე, ბევრ რამესაც სხვათა დაუხმარებლად მივხვდი და არ ვიცოდი, სად წამელო ეს ცოდნა, რადგან ჩემს სულში ჯერ არ არსებობდა ისეთი საცავი, სადაც ყველაფერს უმტკივნეულოდ, გულმშვიდად შევინახავდი. პირაღმა იწვა ჩემსავით, გაუნძრევლად, თვალვებდაჭყეტილი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მითვალთვალებდა.

- დიდად განათლებული არ უნდა იყო, ხომ? - მითხრა, - რაო, რა თქვი, საიდან ვარო?

- მისისიპიდან, - მივუგე.

- თი... - ასე თქვა. - სულაც არ არის გასაკვირი, რომ არ იცი.

- კარგი, - ვუთხარი მე, - ბი მის კორია.

- მეც ვარ რა, ფულს ვკარგავ, - თქვა, - მაგრამ იქნებ ორივემ აქედან ხეირიც ვნახოთ. აბა, ერთი ყური დამიგდე. ევერბი კორინთიაა ამ ქალის სახელი. ბებიამისსაც ასე ეძახდნენ. სწორედაც ვერ იმუშავებ ასეთი სახელით, თუნდაც კიბლიტში, მაგრამ იქ უკ-

ვე ყველამ იცოდა და კიდევაც შეეჩვივნენ, სხვანი კი ჩქარობდნენ, იმის დარდი არ ჰქონდათ, გინდა უსახელო ყოფილიყო სულაც. მაგრამ აქ მემფისია, ასეთ სახლში კი, ვიცი, ყოველი მემფისელი გოგო გულით ცდილობს მოხვედრას, ოღონდ კი ადგილი გათავისუფლდეს, ჰოდა, დედა რომ მოუკვდა, დეიდა ფიტიმ წაიყვანა და, წამოიზარდა თუ არა, ეს საქმიანობა დააწყებინა. მაგრამ იქ, კიბლიტში, სახელი რა ხელს შეუშლიდა. მერე კი გაიგო, მემფისში უფრო მეტ ფულს იშოვიდა და აქ ჩამოვიდა, სადაც არც არავინ იცოდა მისი ნამდვილი სახელი და კორი დაირქვა. როცა კი ჩამოვდივარ, გასულ ზაფხულსაც ასე იყო და ახლაც ასეა, ხუთ ცენტს მაძლევს დღეში, ოღონდ ენას კბილი დავაჭირო. გესმის? მე კი შენთან დავფქვი ყველაფერი. კი აჯობებდა მასთან მივსულიყავი და მეტქვა, დღეში ხუთ ცენტად ვცდილობ არაფერი წამომცდეს, ათ ცენტად კი ორჯერ უფრო მეტად შევეცდები-მეთქი. მაგრამ არა უშავს, ხვალ ვეტყვი, რომ, რაც მე ვიცი, უკვე შენც იცი და იქნებ ჩვენ ორივემ...

- დეიდა ფიტი ვინლაა? - ვკითხე.

- აბა, რა ვიცი, - მიპასუხა, - იმას ყველა დეიდა ფიტის ეძახდა. შეიძლება კი იყო რაღაც ამ გოგოსი, ვერ გეტყვი. ცხოვრობდა თავისთვის ქალაქის განაპირას, ვიდრე ბის წაიყვანდა დედამისის სიკვდილის მერე და, როგორც კი წამოიზარდა, დიდხანს ლოდინი არც დასჭირვებია, რადგანაც ბი ისედაც დიდი გოგო იყო მაშინაც კი, სანამ ათის, თერთმეტის, თორმეტისა თუ, რა ვიცი, კიდევ რამდენის გახდებოდა და დაიწყებდა...

- დაიწყებდა რას? - ვკითხე მე. გესმის? უნდა მეკითხა, შორს შევტოპე და ველარ გავჩერდებოდი, სწორედ ისევე, როგორც წინადღეს ჯეფერსონში. მაგრამ ესწინადღეს იყო თუ გასულ წელს, ან სხვა დროსა და ჟამს, სხვა სიცოცხლეში? ან იქნებ სხვა ლუციუს პრისტი იყო ამ ამბების მონაწილე? - ის თიხასამტლაშუნო რაღაა?

რალაც ზიზღნარევი, უნდო, მაგრამ ამავე დროს მოკრძალებული, თითქმის მოწიწებული გაოცებითაც კი მიიხრა:

- სახლის უკანა კედელში, სადაც ფიცრიდან როკი იყო ამოვარდნილი, საჭვრეტელი გავაკეთე და ზედ თუნუქის ნაჭერი ავაფარე, რომლის გაწევ-გამოწევაც მხოლოდ მე შემეძლო; დეიდა ფიტი კი სახლის წინ ყარაულად იდგა და ფულს იღებდა. შენი სიმალლის ბიჭები ყუთზე დგებოდნენ და ხუთ ცენტს მიხდიდნენ, ვიდრე დეიდა ფიტი გამომიჭერდა, როდესაც დიდების მოყვანა დავიწყე ათ ცენტად, შიგნით შესვლაში კი ორმოცდაათი ცენტი უნდა გადაეხადათ. ჰოდა, გარეულ კატასავით დამჩხაოდა და კინალამ თვალები ამომთხარა...

წამოვიმართე და დავარტყი, მისდა გასაოცრად (და ჩემდა გასაოცრადაც), თუმცა, მოხერხებულად რომ დამერტყა, ჯერ დავიხარე, ტანში ჩავაფრინდი და ავითაცე. კრივისა არა გამეგებოდა რა, არც ჩხუბისა, მაგრამ ცხადად ვიცოდი, რაც მინდოდა: ცხვირპირის დანაყვა არ იკმარებდა, უნდა მომესპო, გამენადგურებინა. წამით სინდისის ქენჯნამ შემაწუხა (საიდან გამოტყვრა საასპარეზოდ გასულ ძველ იტონელთა ეს სულისკვეთება?), ჩემი სიმალლისა რად არ არის-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ წამით იყო; ვჩეჩქვავდი, ვბეგვავდი, წიხლს ვურტყამდი არა მხოლოდ უმწიფარ ათი წლის ბიჭს, არამედ ოტისსა და მაჭანკალს ერთად, ვურტყამდი ამ ეშმაკის ნაშიერს, ვისაც ქალის საიდუმლო შეებლალა, და კუდიან დედებერსაც, ვისაც მისი უმანკოება გაეთელა, ანუ ერთ სისხლად და ხორცად ქცეულ ორ არსებას, ვინც გველივით უნდა გასრისო; ძარღვების საერთო გორგალს, რომელიც უნდა აბურდო და დაგლიჯო; უფრო მეტიც, გამეტებით ვურტყამდი არა მარტო ამ ორს, არამედ ყველას, ვინც წილნაყარი იყო ქალის შებილწვასთან; მხოლოდ მაჭანკლებს კი არ ვუსწორდებოდი, საძაგელ გულქვა მოზარდებსაც და პირუტყვებად ქცეულ, ნამუსდაკარგულ მამაკაცებსაც, რომლებიც ორიოდ ცენტის ფასად სიამოვნებით

უთვალთვალეზდნენ უსუსურთა დამცირებას და არც არავინ იყო გულშემატკივარი, მოსარჩლე, შურისმაძიებელი. ოტისი ლეიბზე დაენარცხა, მაგრამ მაშინვე წამოიწია, მუხლებზე დადგა და იქვე დაგდებულ შარვალს დასწვდა. ვერ მივხვდი, რა უნდოდა (თუმცა ჩემთვის სულერთი იყო ყველაფერი); ვერც მაშინ მივხვდი, როცა ხელი ზეაღმართა, მოიქნია. ცოტა ხნის მერეღა დავინახე მის მუჭ-ში ჯაყვა, მაგრამ არც ამჯერად ავღელვებულვარ; თითქოს ამან სიმაღლეში გაგვათანაბრა კიდევ და *carte blanche*⁶ მომცა. დანა გამოვტაცე, როგორ, არც კი ვიცი. ხელი გავიჭერი, მაგრამ არაფერი მიგრძნია, და როცა დანა მოვისროლე და ისევ გავარტყი, სისხლი დავინახე მის სახეზე და მისი მეგონა.

მერე ბუნმა იატაკს ამაგლიჯა, ვტიროდი და მისი ხელიდან დასხლტომას ვცდილობდი. ფეხშიშველი იყო, შარვალიღა ეცვა. მის კორიც მოსულიყო, კიმონომოსხმული, წელქვემოთ სცემდა ჩამოშლილი თმა. ოტისი კედელს მიჰკვროდა, არ ტიროდა, სამაგიეროდ ნედს რომ აგინა, მეც ისე მაგინებდა ახლა.

- რა ჯანდაბა დაგემართა? - ჰკითხა ბუნმა.

- ხელი გაუჭრია, - თქვა მის კორიმ და გაჩუმდა, მერე ოტისს გახედა. - ჩემს ოთახში შედი, - უთხრა. - გასწი, - ისიც გავიდა. ბუნმა ლეიბზე დამაწვინა. - მანახე, - მითხრა მის კორიმ. ახლაღა მივხვდი, საიდანაც გაჩნდა სისხლი - თითების ძირში მთელი ხელისგული დანას გაესერა; ხელი ვტაცე, როგორც ჩანს, მაგრამ ოტისმა აღარ დამანება, გასწია. სისხლი ისევ მდიოდა, უფრო სწორად, მაშინ წამომივიდა, როცა მის კორიმ თითები გამაშლევინა.

- რა გაჩხუბებთ? - თქვა ბუნმა.

- არც არაფერი, - მივუგე და ხელი გავწიე.

- არ გახსნა, სანამ არ დავბრუნდები, - მითხრა მის კორიმ და გავიდა. მალე დაბრუნდა, ტაშტით წყალი, პირსახოცი, ბოთლი და

⁶ საშუალება თავისუფალი მოქმედებისა (ფრანგ.)

კიდევ რაღაც შემოიტანა, მამაკაცის პერანგის ნაგლეჯი უნდა ყოფილიყო. სისხლი მომბანა და ბოთლი გახსნა. გეტკინებაო, - არც შემცდარა, მერე პერანგს მოგრძო ნაჭერი მოახია და ხელი შემიხვია.

- რად იჩხუბეს, მაინც არ ამბობს, - თქვა ბუნმა, - ის დაიწყებდა და არა შენ; ორჯერ უფრო დაბალია შენზე, თუმცა ერთი წლით უფროსი კია და რა გასაკვირია, რომ დანა დააძრო...

- ჩემზე პატარაა, - მივუგე მე, - ათისაა.

- თორმეტის ვარო, ასე აქვს ნათქვამი, - მითხრა ბუნმა, მაშინ კი მივხვდი, რად ბადებდა უსიამოვნო გრძნობას მნახველში.

- თორმეტისო?! - გაიკვირვა მის კორიმ, - თხუთმეტისა გახდება ამ ორშაბათს. - შემომხედა, - გინდა, რომ...

- აქ არ შემოვიდეს-მეთქი, - ვუთხარი, - დაღლილი ვარ და მეძინება.

- ოტისის დარდი ნუ გაქვსო, - მითხრა, - ხვალ დილას სახლში გავისტუმრებ. ცხრა საათზე გადის მატარებელი. მინის გავაყოლებ სადგურში, ვეტყვი, ჩასვას და თვალი არ მოაცილოს, ვიდრე არ დაიძრება.

- სწორია, - დაუდასტურა ბუნმა, - თუ უნდა, თან ჩემი ჩანთა წაიღოს, შიგ ბრდილობისა და მოკრძალების ჩალაგება არ დაავიწყდეს, შენ ხომ აქ, მემფისში...

- გაჩუმდი, - უთხრა მის კორიმ.

- ...ბრდილობისა და მოკრძალების სასწავლებლად ჩამოიყვანე, შეიძლება ისწავლა კიდევ; თორემ, ვინ იცის, რამდენი წელი უნდა ეწანწალა არკანზასის საროსკიპოებში და ვერც შესაფერისი სიმაღლისას გადაყროდა ვინმეს, რომ დანა გაეყარა...

- გაჩუმდი, გაჩუმდი! - უთხრა მის კორიმ.

- კარგი, კარგი, - თქვა ბუნმა, - მაგრამ ლუციუსმა ბოლოს ხომ მაინც უნდა გაიგოს, სადაც იყო, იმ ადგილს რა ჰქვია, რომ მერე

დაიტრაბახოს... - შუქი ჩააქრეს და გავიდნენ, ასე მეგონა, რომ გავიდნენ, მაგრამ შუქი რომ აინთო, ბუნი ისევ ოთახში იყო.

- იქნებ მითხრა, რა მოხდა?

- არაფერიც არ მომხდარა, - მივუგე მე. თავს წამომდგომოდა ეს გოლიათი კაცი, წელამდე ტიტველი, ხელი სინათლის ჩამრთველზე ედო ისევ.

- თერთმეტი წლისა უკვე დანით დაჭრეს ჩხუბში, თანაც სად, საროსკიპოში, - თავზე დამყურებდა, თვალს არ მაცილებდა, - ნეტავ ოცდაათი წლის წინ შენ მყოლოდი ჭკუის დამრიგებლად თერთმეტი წლის ბიჭს, ბრძენკაცი ვიქნებოდრი ახლა სწორედ. ღამე მშვიდობისა!

ღამე მშვიდობისა-მეთქი, ვუპასუხე. შუქი ჩააქრო. ერთხანს მეძინა. ამჯერად მის კორი შემოსულიყო, ჩემს ლეიბთან იყო დაჩოქილი, სახეზე ჩრდილი ადგა, ხოლო მის თმას მთვარის მკრთალი შუქი შემოვლებოდა. ტიროდა, ამხელა გოგოს ქვითინი არ მოუხდებოდა, ამიტომ უხმოდ ტიროდა.

- ყველაფერი ვათქმევინე, - ჩაილაპარაკა, - ვიცი, ჩემი გულისთვის იჩხუბე. ადრეც უჩხუბიათ მთვრალ კაცებს ჩემი გულისთვის, მაგრამ შენ პირველი ხარ, რომელმაც დამიცავი. ისე კი, სულაც არა ვარ ამას შეჩვეული, იცოდე. ჰოდა, რა ვქნა, არ ვიცი. მაგრამ ამას კი შევძლებ: პირობას მოგცემ, არკანზასში დამნაშავე მე ვიყავი. მორჩა, გათავდა. მეტს აღარ შევცოდავ.

ხედავ, ზოგჯერ ბევრს გაიგებ სულ ცოტა ხანში. სიბნელეში გადაეშვები თავით, მაგრამ იმედი გაქვს, რაღაც თუ ვიღაც სწორი გზიდან არ გადაგახვევინებს. ასე რომ, მხოლოდ სიღარიბე და უკეთურობა როდრი ზრუნავს საკუთარ „შვილებზე“.

- თქვენ მაშინ უდანაშაულო იყავით, - მე მივუგე.

- არა, დამნაშავე ვიყავი, განსჯა და არჩევანი ხომ ჩემი ნებაა. არა-მეთქი, ამის თქმა და ნამდვილი სამუშაოს შოვნა ხომ შემძლია. მორჩა, გათავდა, მეტს აღარ ვიზამ, უნდა დაგპირდე. კიდე-

ვაც შევასრულებ ამ დაპირებას. ისევე, როგორც შენ შეასრულე პირობა, რაზედაც ბატონ ბინფორდს ელაპარაკებოდი ვახშობამდე. შენ ჩემი დაპირება უნდა მიიღო. ხომ მიიღებ?

- კი, ბატონო, - ვუთხარი მე.

- შენ უნდა მითხრა, მივიღებ-თქო, ხმამაღლა უნდა მითხრა.

- კარგი, გეუბნები, დაპირებას ვიღებ.

- ახლა კი ისევ სცადე დაძინება, - მითხრა, - სკამი მოვიტანე, აქ დაჯდები, სადგურში წასვლის დრო რომ მოვა, გაგაღვიძებ.

- თქვენც უნდა დაიძინოთ, - ვუთხარი.

- არ მეძინება. აქ ვიქნები. შენ დაიძინე... - თვალი რომ გავახილე, ოთახში ისევ ბუნი დავინახე, მთვარით ნახაზი სარკმელის ჩრდილი უკვე გადასულიყო. მაშასადამე, ცოტა ხანი ჩამძინებოდა. ბუნი ცდილობდა ჩუმად, ჩურჩულით ელაპარაკა, წელამდე შიშველი თავს წამოსდგომოდა სამზარეულოს სკამზე მჯდარ ევერბის (მის კორის-მეთქი) და მკლავზე ეწეოდა, ის კი ეურჩებოდა.

- წამოდი, ერთი საათილა გვაქვს დრო.

- თავი დამანებე, - ჩურჩულითვე პასუხობდა ქალი, - გვიანია, თავი დამანებე, ბუნ.

მერე ისევ კაცის ხრინწმორეული ჩურჩული გაისმა, მთელი ძალით ცდილობდა ხმის დაოკება-დამორჩილებას:

- ეშმაკმა დასწყევლოს, რისთვის გამოვიარე ამხელა გზა, რისთვის ველოდი ამდენ ხანს შენთან შეხვედრას. წუთითაც არ დამისვენია, თავაუღებლად ვმუშაობდი. ფული ძლივს მოვაგროვე, შენ კი... - კიდევ უფრო იქით გადავიდა მთვარით ნახაზი ჩრდილი საკმლისა, სადღაც მამალმა იყივლა. მტკივანი ხელი ქვეშ მომყოლოდა და შემაწუხა, შეიძლება, სწორედ ამიტომაც გამომეღვიძა. ვერ ვიტყვი, მთელი ეს ხანი ბუნი აქ იყო თუ გავიდა და ისევ უკან დაბრუნდა. ისევ ის შეკავებული ხმები, ისევ ის ჩურჩული. მამალ-

მა დაიყვილა ისევ, ადგომის დროც მოსულიყო. და კვლავ, დიახ, კვლავ მომესმა გოგოს ქვითინი.

- არ მინდა! არ მინდა! თავი დამანებე!

- კარგი, კარგი, მაგრამ ეს ამალამ, მხოლოდ ამალამ, ხვალ დამით კი, როცა პასემს ვიქნებით...

- არა! არც ხვალ! არ მინდა, არ მინდა-მეთქი! თავი დამანებე, დამანებე, გეხვეწები, ბუნ, გეხვეწები!

VIII

ჩვენ - ევერბი, ბუნი და მე - სადგურში ძალიან ადრე მივედით, ანუ ასე გვეგონა, მაგრამ პირველი, ვინც ვნახეთ, ნედი იყო, სადგურის შენობის წინ გველოდებოდა. თეთრი, სუფთა პერანგი ეცვა, შეიძლება, ახალი იყიდა, შეიძლება, ძველი გაარეცხინა ვილაცას, მაგრამ სუყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ამის გასარკვევად ვერ მოვიცალეთ. მერელა გავიგეთ, სემს მიეცა მისთვის პერანგი. ნედმა ბუნს პირის გაღებაც კი არ აცალა:

- დაწყნარდი, - ასე განუცხადა, - აქ ყველაფერს მე ვადევნებ თვალყურს, ბატონი სემი კი მეხთამტეხელს დარაჯობს. ვაგონი უკვე ადგილზეა, მატარებელზე მიბმული იქ, ვაგზლის უკან დგას და ახლა საქმე თქვენზეა. როცა ბატონ სემ კოლდუელის ხელშია რკინიგზა, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ უკვე ცხენსაც დავარქვით სახელი - მეხთამტეხელი. - უცებ დაინახა, ხელი რომ მქონდა შეხვეული, და გადაირია, - რა მოგივიდა?

- გავიჭერი, - ვუთხარი, - საშიში არაფერია.

- მაგრად გაიჭრა? - იკითხა.

- დიახ, - მიუგო ევერბიმ, - ოთხი თითი აქვს გადასერილი. ვერც კი ამოძრავებს.

ჰოდა, ნედსაც აღარ დაუკარგავს დრო, სწრაფად მოგვათვალიერა.

- ის მეორე სად არის?

- ვინ მეორე? - ჰკითხა ბუნმა.

- ის ჩიტირეკია, - უთხრა ნედმა, - ჩვენთან რომ იყო წუხელ და სულ ფული-ფულიო, გაიძახოდა. ორი ხელი სჭირდება ამ ცხენს. რას ფიქრობთ, გედ ვინ უნდა შეჯდეს, მე თუ შენ? შენ ხომ ჩემზე ორჯერ უფრო მძიმე ხარ. ლუციუსი მინდოდა, მაგრამ რახან ის მეორე ბიჭიც არის, ჯობს, ნაღდი არჩევანი გავაკეთოთ. ლუციუსზე ორჯერ უფრო მსუბუქია და თუ იმასავით ჭკუა არ უჭრის, სამაგი-

ეროდ, დიდი გაქნილი ვინმეა - დოღზე კარგად გამოვა და ითამაშებს კიდევ, თანაც ხარბია, ფულის მოგებას შეეცდება და, რაკი მხდალიცაა, მით უკეთესი, უნაგირს ზედ დაეკვრება, ბრაგვანი არ მოვადინო. ჩვენც მეტი რა უნდა გვინდოდეს... სად არის?

- არკანზასის გზაზე, - მიუგო ბუნმა, - თუ იცი, რამდენი წლისაა?

- რამდენისაც ჩანს, იმდენისაა, - თქვა ნედმა, - თხუთმეტის, დაახლოებით, ხომ ასეა? არკანზასში მიდის? ვიღაცამ უნდა დააბრუნოს.

- კარგი, - უთხრა ევერბიმ, - პარშემში მე ჩამოვიყვან. ამ მატარებელს რაღას მოუვსწრებ. აქ დავრჩები და ნაშუადღევს რომ იქნება, იმ მატარებლით ჩამოვიყვან.

- სწორედაც, - თქვა ნედმა, - მატარებელი ბ-ნი სემისაა, ეგ ჩიტირეკია ბატონ სემს მიანდეთ, კარგად მოუვლის.

- შენც ეგ გინდა, - უთხრა ბუნმა ევერბის, - მთელი საათი თავისუფალი იქნები, შეგიძლია, პრანჭვა-გრეხას მოჰყვე და სულ არა, არაო, უძახო სემს. მაგრამ ის ჩემზე უფრო ჭკვიანია, ყურსაც არ დაგიგდებს, - გოგომ შეხედა და აღარაფერი თქვა.

- მაშინ წადი და ოტისი შენ ჩამოიყვანე, ჩვენ კი პარშემში დაგხვდებით ამაღამ, - ვუთხარი მე. ახლა უკვე ბუნმა შემომხედა.

- ჰოო, - თქვა მან, - ბატონმა ბინფორდმა წუხელ რა თქვა? ნუთუ კიდევ ერთი ტახი ჩამოგორებულა ამ ტალახში. თუმცა ტახი კი არა, ჯერ მხოლოდ ბურვაკია - იქნებ მომეჩვენა, რომ ბურვაკია.

- არ გინდა, ბუნ, - ევერბიმ უთხრა, - არ გინდა.

- ესეც თან წაიყვანე, ჯანდაბამდე გზა გქონია, დაბრუნდი ისევ იმ შენს საროსკიპოში. ნეტავ იქიდან რას მოდიოდი?! - თქვა ბუნმა. გოგომ ამჯერად პასუხი არ გასცა, თავი დახარა და მიწას დააცქერდა, ამსიდიდე ტანისას სწორედაც უხდებოდა ეს გარინდება. მერე მიტრიალდა და წავიდა.

- იქნებ მეც წავიდე, - ვთქვი მე, - პირდაპირ სახლში. ნედი უჩემოდაც იოლად გავა. მხედარი უკვე ჰყავს. შენ კი, ვხედავ, ყველა გინდა დააფრთხო, ვისაც კი რაიმე დახმარება შეუძლია.

ბუნი წამით გამომცდელი თვალით დამაცქერდა, მერე კარგო, ასე თქვა, ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და გოგოს წამოეწია.

- კარგი-მეთქი, გეუბნები, - უთხრა, - კარგი, არ გინდა.

- კარგი, - მიუგო გოგომ.

- პირველსავე მატარებელზე დაგხვდები დღეს. თუ იმას არ წამოჰყვები, ისევ დაგხვდები, სანამ არ ჩამოხვალ, კარგი?

- კარგი, - დაეთანხმა გოგო და წავიდა.

- თუ გინდა, დაგენაძლევებით, ჩემი ჩემოდანი არ წამოგიღიათ, - თქვა ნედმა.

- რა? - ჩაეკითხა ბუნი.

- სად არის? - ვკითხე მე.

- სამზარეულოში, სადაც დავდე, სხვაგან სად უნდა იყოს?! - მიპასუხა ნედმა, - იმ შავტუხა ოქროსკბილიანმა გოგომ იცის.

- მის კორი ჩამოიტანს ამაღამ, - ვუთხარი მე, - წავიდეთ. - სადგურის შენობაში შევედით. ბუნმა ბილეთები იყიდა და ბაქანზე გავედით. მგზავრები უკვე მატარებელში სხდებოდნენ. ის სატვირთო ვაგონი წინ იდგა. სემი, გამყოლი და კიდევ ვიღაც ორი სხვა კაცი ვაგონის ღია კართან იდგნენ და ლაპარაკობდნენ. ერთი მათგანი მემანქანე უნდა ყოფილიყო. გესმის? მხოლოდ გამყოლი კი არა, ვინც მატარებელს ემსახურებოდა, სუყველა აქ მოსულიყო.

- დოღზე როდის გადის, დღეს? - იკითხა გამყოლმა.

- ხვალ, - მიუგო ბუნმა.

- კარგი, ჯერ ადგილზე ჩავიყვანოთ, - თქვა გამყოლმა და საათს დახედა, - თან ვინ გაჰყვება?

- მე, - უთხრა ნედმა, - როგორც კი ყუთს ან სხვა რამეს ვნახავ, რომ ზედ შევდგე, ვაგონში ავალ.

- აბა, ერთი ფეხი გამოწიე, - უთხრა სემმა. ნედმა მუხლი მოღუნა, სემმა

ხელი შეაშველა და ვაგონში შესვა, - ხვალ პარშემში ვნახავთ ერთმანეთს.

- მე კი მეგონა, ვაშინგტონში მიდიოდით, - განუცხადა ბუნმა.

- ვინ? მე? - გაუკვირდა სემს, - მატარებელი კი მიდის იქამდე, მაგრამ იქ რა მინდა. ჩატანუგამდე ჩავალ და ღამის ორ საათსა და ცხრა წუთზე უკან მომავალს გამოვყვები. ხვალ დილის შვიდ საათზე პარშემს ვიქნები. თქვენთან ერთად კი წამოვიდოდი და პარშემში იმ მატარებელს მივუსწრებდი, ორ საათსა და რვა წუთზე რომ გადის, მაგრამ ცოტა თუ არ წავიძინე, არ შემიძლია. თანაც აღარ გჭირდებით, ახლა ნედი მოუვლის ყველაფერს.

არც ბუნსა და მე გვაწყენდა ძილი. ჰოდა, ჩვენც თვალი მოვატყუეთ, ვიდრე გამყოღმა არ გაგვაღვიძა, ჩამოვედითო - პარშემს ვიყავით უკვე, წიდამოყრილ სავალზე ვიდექით, თენდებოდა. თუხთუხით მოვიდა ორთქლმავალი და ჩვენი ვაგონი საგანგებო ადგილას გადააყენა (პარშემის სადგურში საქონლის გადმოსაყვანი ფიცარნაგი იყო). მერე გაბრუნდა, ისევ ჩაუდგა სათავეში მატარებელს და დაიძრა, ერთიმეორის მიყოლებით გაიგრუხუნეს ვაგონებმა, სამხრეთისკენ, ჯეფერსონისკენ მიმავალ რელსებზე გავიდნენ. მერე სამივემ ის ბაგა დაუშალეთ და ნედმა ცხენი გამოიყვანა და, რა თქმა უნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, საიდანღაც გამოტყვრა სასიამოვნო შესახედობის ზანგი ყმაწვილკაცი, ცხრაშეტისა თუ იქნებოდა.

- დილა მშვიდობისა, ბატონო მაკკასლინ.

- შენ ხარ, შვილო? - ჰკითხა ნედმა. - საით გავსწიოთ? - ჰოდა, ჩვენ წავედით, ბუნი კი დარჩა, რადგან ახლა სწორედ მას უნდა მოეგვარებინა ყველაფერი: ბინა უნდა ეპოვა ყველასთვის, არა მარტო თავისთვის და ჩემთვის, არამედ ოტისისა და ევერბისთვისაც, საღამოს რომ ჩამოვიდოდნენ; უნდა ეპოვა ის უცნობი კაცი,

რომლის სახელი ნედმა არც კი იცოდა, მაგრამ ასე ამბობდა, ამ კაცს ბედაური ჰყავსო. ჰოდა, უნდა დაერწმუნებინა, მომავალში, სავარაუდო დოღში მიეღო მონაწილეობა, ანუ ნედის ფანტაზიის ერთ ნაყოფს სარბიელზე უნდა გამოეყვანა ნედისავე ფანტაზიის მეორე ნაყოფი - მეტოქე ცხენისა, რომელსაც უკვე ორგზის ჰყავდა დამარცხებული მეხთამტეხელი (ნედისავე თქმით), ანუ ეს იყო მისი ფანტაზიის მესამე ნაყოფი - სწორედ დოღის წყალობით აპირებდა ნედი ბაბუას ავტომობილის დაბრუნებას. ეს ყველაფერი ბუნს ისე უნდა მოეგვარებინა, რომ ვინმეს აზრადაც არ მოსვლოდა, ეკითხა, ვინ არისო ამ ცხენის პატრონი? ჩვენ - ნედმა, იმ ზანგმა ყმაწვილმა და მე - მალე უკან მოვიტოვეთ ქალაქი და შარაგზას დავადექით. მაშინ დიდი დრო არ უნდოდა გზაზე გასვლას, რადგან პარშემი სინამდვილეში ქალაქი კი არა, პატარა დაბა იყო - ორი თუ სამი დუქანი ორი სარკინიგზო ხაზის გადაკვეთაზე, სადგური, ფიცარნაგი ვაგონიდან საქონლის გადმოსაყვანად და შიგშესარეკად და საწყობი ბაქნითურთ ბამბის ბარდანებისთვის. კიდევ იყო ერთი შენობა, რომელიც დღემდე დგას: ვეებერთელა, უთავბოლოდ აგებული მრავალსართულიანი და მრავალდერეფნიანი სასტუმრო, გოთიკურსარკმლებიან ხომალდს რომ მოჰგავს. სწორედ აქ იკრიბებიან ყოველი წლის თებერვალში ორორი კვირით კომბინებონიანი გულშემატკივრები, მეძებარი ძაღლების მწვრთნელები და ჩრდილოეთიდან ჩამოსული მილიონერები - ამ ძაღლების პატრონები (ჩემი ყურით მაქვს გაგონილი, 1933 წლის ერთ საღამოს ამ სასტუმროს ჰოლში ოჰაიოელმა ჰორას ლიტლმა (ამერიკაში იმ დროს ცნობილი მონადირე) როგორ თქვა უარი ხუთი ათას დოლარზე, მერი მონტროზისთვის (მონადირე ძაღლი, ქვეყნის მასშტაბით მოწყობილი გამოფენების სამგზის გამარჯვებული) რომ სთავაზობდნენ, თუმცა მის საწარმოებს, ისევე, როგორც მაშინ მრავალ საწარმოს, დამოკლეს მახვილივით ეკიდა საფრთხე მთელ ქვეყანაში დახურული ბანკების სა-

ხით). პოლ რეინისაც (ასევე ცნობილი მონადირე და სპორტსმენი) უყვარდა ჩვენს მხარეში სტუმრად ჩამოსვლა, ჩვენი დათვები, ირმები და პუმები, ამიტომაც დახარჯა თავისი უოლსტრითული ფულის ნაწილი და მისისიპიში მიწის ნაკვეთი შეიძინა, რათა თავად მას და მის მეგობრებს აქ ნადირობა შესძლებოდათ. ეს კაცი მთელი ცხოვრება ძაღლებს იყო გადაყოლილი და ერთხელ დათვზე დაგეშილი თავისი მეძებრები აფრიკაში ჩაიყვანა, ერთი ვნახოთ, ლომებზე თუ მივლენო, ანდა პირიქითო.

- თეთრ ბიჭს ზეგეურად სძინავს, - თქვა ყმაწვილმა კაცმა. - უნაგირი არა გაქვთ? - მაგრამ სულაც არ ვაპირებდი დაძინებას, ჯერ რაღაც უნდა გამერკვია:

- არ ვიცოდი, შენ თუ აქ ნაცნობები გყავდა, ჩემი ჩამოსვლის ამბავიც კი შეგიტყობინებია.

ნედმა პასუხის გაცემა არც იკადრა მაშინვე, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მოაბრუნა ჩემკენ თავი.

- ჰოდა, ახლა გინდა იცოდე, როგორ მოვახერხე? - და გზა განაგრძო, მერე დასძინა: - მე და ამ ბიჭის პაპა მასონები ვართ.

- რას ჩურჩულებ? - მივუგე მე, - პატრონიც მასონია, მაგრამ ამაზე კრინტს როგორ დაძრავს?!

- მართლა? მე კი სულაც არ შემიმჩნევია, - თქვა ნედმა, - მაგრამ ვთქვათ და, დავძარი, მერე რა? ვინ შეეცდებოდა იმ ლოჯაში შესვლას, ასეთი გასაიდუმლოებული რომ არ იყოს ან ასეთი ძნელი არ იყოს იქ მოხვედრა? ანდა, თუ საიდუმლოს არავინ დაიცავს, რაღა საიდუმლოა?

- მაგრამ ამ ბიჭს როგორ შეატყობინე? - ვკითხე მე.

- მისმინე, - თქვა ნედმა, - თუ რაღაც საქმის გაჩარხვა გინდა, თანაც სწრაფად, უჩუმრად და საიმედოდ, ისე, რომ არავის წამოსცდეს, ქვეყანას არ მოსდოს ეს ამბავი, ვილაც ვიგინდარას ნუ კი გადაეყრები, კაცური კაცი მოძებნე, მსგავსი ბატონ სემ კოლდუელისა და იმას მიახდე ეს საქმე, კარგად დაიმახსოვრე, იმ ჯეფერ-

სონელ შარახვეტიებსაც სწორედ ასეთი კაცი სჭირდებათ. ერთი და ორი კი არა, ბევრი სემ კოლდუელი.

მივედით. მზე უკვე კარგად ამოსულიყო. ერთი სახლი დაგვხვდა, უხეირო, შეუღლებავი, მაგრამ სუფთა, თეთრი და ყვითელი აკაციებით გარშემორტყმული, ეზო დაგვილი იყო, დასუფთავებული, ღობე - მთელი, ერთი სარიც არ იყო გადატეხილი, ჭიშკარი არ ჭრიალებდა, ქათმები მტვერში იქექებოდნენ, გომურში კი ძროხა და ორი ჯორი იდგა. დაინახა თუ არა ჩვენი მეგზური ყმაწვილკაცი, ორმა ჯიშინმა ძაღლმა კუდის ქიცინით მოირბინა, ხოლო აივნებიდან კიბებზე სწრაფად დაემშვა მოხუცი ზანგი, ძალიან შავი იყო, ქათქათა თეთრპერანგიანი, აჭიმებითა და ფართოფარფლებიანი შლაპით, თეთრი უღვაში და მოკლედ შეკრეჭილი თეთრი სამკუთხა წვერი ჰქონდა. ეზო გამოიარა, ცხენს დააცქერდა. თურმე იცოდა, ახსოვდა ეს ბედაური; ამისდა კვალად, რაღაც ნაწილი ნედის ფანტაზიისა, რეალობად ქცეულიყო.

- ყველამ ერთად იყიდეთ? - ასე იკითხა.

- ჯერჯერობით ჩვენია, - მიუგო ნედმა.

- დიდი ხნით? მოასწრებთ დღობე გაყვანას?

- ერთხელ კი, - უთხრა ნედმა, მერე მე მომიბრუნდა: - ბიძია პა-სემ ჰუდს მიესალმე. - ასეც მოვიქეცი.

- დაისვენეთ, - გვითხრა ბიძია პარშემმა. - საუბმეს ხომ არ მიირთმევთ? - შაშხის სუნი მომწვდა.

- ძილი მინდა, მეტი არაფერი, - ვუთხარი მე.

- მთელი ღამე თეთრად გაათენა, - თქვა ნედმა, - მეც არ მძინებია, დედაკაცებით სავსე სახლში იყო და იმათ ყაყანსა და ქოთქოთში, აბა, რა მოუვიდოდა? მე კი ჩემთვის ვიყავი ცარიელ სატვირთო ვაგონში იმ ცხენთან ერთად. - ოღონდ ჯერ მინდოდა, მივხმარებოდი, მეხთამტეხელს თავლაში შევიყვან და ვაჭმევ-მეთქი. არ დამანებეს, - ლიკურგეს წაჰყევი და თვალი მოატყუეო, - მითხრა ნედმა, - სულ მალე დამჭირდები, სანამ ჯერ კიდევ ცოტა გრი-

ლა, ამ ცხენის შესახებ რალაც-რალაცები უნდა გავიგოთ და რაც უფრო მალე დავიწყებთ, მით უფრო მალე დავამთავრებთ.

ლიკურგეს გავყევი. მიშენებულ ოთახში შემეყვანა, საწოლი დავინახე და ზედ - უზადოდ სუფთა ტრელი საბანი. მომეჩვენა, რომ უკვე მეძინა, სანამ დავწვებოდი; ხოლო ნედმა რომ შემან-ჯღრია და გამაღვიძა, ჯერაც არ მომესწრო დაძინება. ხელში ეჭი-რა უხეში ბაწრის წინდა და თოკის გადანაჭერი. შიმშილი ვიგრძე-ნი. - მერე ისაუბმე, - მითხრა ნედმა, - ცარიელ სტომაქზე უფრო კარგად მოუვლი იმ ცხენს. ჰოო... - წინდა გაწელა, - ის ჩიტირეკია ჯერ არ გამოჩენილა, იქნებ ჯობდეს, არც ჩამოვიდეს. ისეთი ვინ-მეა, გგონია, ძალიან გჭირდება, მერე კი მიხვდები, რაც არის, და იტყვი, ნეტავ თვალითაც არ მენახაო. მოიტა ხელი, - გაჭრილზე მიმითითა, წინდა პირდაპირ ნახვევს წამოაცვა და ზემოდან თოკი შემომიჭირა. - ცერი შეგიძლია, ამოძრავო, მაგრამ თითების გამ-ლას თუ შეეცდები, წინდა მაშინვე შეგახსენებს, რომ არ შეიძლე-ბა. თუ გაშალე, ისევ სისხლი წამოგივა.

ბიძია პარშემსა და ლიკურგეს ცხენი უკვე გამოეყვანათ და გველოდებოდნენ. მისთვის უნაგირი დაედგათ უკვე, ძველი, გა-ქეჩილი, მაგრამ საგულდაგულოდ გაწმენდილი. ნედმა შეხედა.

- უამუნაგროდაც კარგად გავაჭენებდით, თუკი დავგვანებებ-დნენ, მაგრამ ახლა ზედ ადგას. ორივენაირად ვცადოთ, ვნახოთ, რომელი მოეწონება.

პატარა მდელო იყო ნაკადულის პირას, სწორი, ხასხასა. ნედ-მა უზანგი დაამოკლა, უფრო მისთვის თუ გამოდგებოდა, ვიდრე ჩემთვის; შემსვა.

- კი იცი, როგორც უნდა მოეპყრო. მაკვასლინების ბედაურები ხომ გახსოვს. მიუშვი, საითაც უნდა, იქით გაუხვიოს, მგონია, მის-თვის ესლა უსწავლებიათ -ისე გაჭენდეს, როგორც ამის საშუალე-ბას ლაგამი მისცემს, და იქით, საითკენაც თავს მიუტრიალებენ. ჩვენც სხვა არაფერი გვინდა. მათრახი სულაც არ გვჭირდება. არც

გვინდა, მათრახს მიეჩვიოს. ჩვენ მხოლოდ მისი გაცნობა გვინდა, აბა, მიდი!

ჩორთით მიმყავდა. ლაგამს კარგად გრძნობდა, აბლაბუდის ძაფსაც კი შეეძლო მისი შეჩერება. ასეც ვუთხარი ნედს.

- ნაძლევს ჩამოვალ, - თქვა ნედმა, - ნაძლევს ჩამოვალ, ამას გავაზე მათრახი უფრო მეტჯერ აქვს მოხვედრილი, ვიდრე ლაგამი უტრიალებიათ მისთვის კბილებში. აბა, მიდი, გააჭენე - მაგრამ არ მოინდომა. ქუსლებს ვაჭერდი, ვურტყამდი, მაინც ჩორთით მიდიოდა. მხოლოდ მეორე ნახევარწრებზე აუჩქარა ცოტათი (წრებზე მივაჭენებდი, დაახლოებით იმ სიდიდისაზე, ბიძია ზაკის საძოვარზე რომ სარბენი ბილიკი იყო გაკვალული) და უცებ მივხვდი, ნედთან უნდოდა თურმე მალე მისვლა. თუმცა არც ახლა აუწყებულა თავი, ერთხელაც არ მოუქაჩავს აღვირი, არ მიგრძნია მისი დაძაგვრა, ლაგამი შეზიზღებოდა, თითქოს ღორის ხორცილო, თვითონ კი - მუსლიმანი (ან თევზის ძვალიო, თავად კი - კონსტებლობის კანდიდატი მისისიპის შტატში, ბაპტისტი მოწინააღმდეგენი რომ უკიჟინებენ, კათოლიკე ამომრჩევლების გადმობირება გინდაო; ან ქ-ნ რუმბელტის ხელით დაწერილი ბარათია, თავად კი - „ამერიკელ მოქალაქეთა საბჭოს“ მდივანი; ან სენატორ გოლდუოტერის სიგარის ნამწვია, თავად კი - ახალგამოჩვეული წევრი „დემოკრატიულ ქმედებათა მომხრეებისა“); მთლად თავდახრილი მირბოდა, ვიდრე ნედს არ მიატანა, ისეთი ძალით მიიჭრა, რომ მხარი მომიქცია, თავი ასწია და იმის პერანგს ღეჭვა დაუწყო. - ოჰო, თქვა ნედმა, ცალი ხელი ზურგს უკან ჰქონდა, გასხეპილი წვეპლა დაეკავებინა, - მიატრიალე. - მერე ცხენს უთხრა, - უნდა ისწავლო და დაიმახსოვრო, ვაჟო, ჩემკენ არ გამოიქცე, ვიდრე არ დაგიძახებ. მერე მე მომიბრუნდა, - ამჯერად აღარ გაჩერდება, მაგრამ შენ ისე მოიქეცი, თითქოს უნდა გაჩერდეს ცოტა ადრე, მანამდე, სანამ იმ ადგილას მიხვიდოდე, სადაც მობრუნდებოდი და ჩემკენ წამოხვიდოდი, ცხენი რომ ყოფილიყავი, და რაც

ძალი და ღონე გაქვს, გავაზღე დაჰკარი ხელი. აბა, მაგრად იყავი, - ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ცხენს გავაზღე გადაუჭირა წკეპლა. ცხენი ყალყზე შედგა და გაქანდა; საოცარი იყო ენერჯია, რომელსაც მოძრაობისას გამოსცემდა (არც სისწრაფე, არამედ სწორედ ენერჯია), რადგანაც შიშს აეტანა, შიში კი ცხენს არ შვენის. მის აღნაგობას - ცოცხალ მასასა და სიმეტრიას - არ ძალუძს შიშის ჰარმონიული გამოხატვა, ეს მოხდენილ, ნარნარ, დახვეწილ მოძრაობას მოითხოვს, ერთსა და იმავე დროს რომ გატყვევებს, აღგაფრთოვანებს და კიდევ გაშინებს, თავბარს გცემს, როგორც ანტილოპას, ჟირაფის ან გველის მოქნილობა საფრთხის გარიდებისას. ჰოდა, როგორც კი გაუნელდა ცხენს შიში, ვიგრძენი, მორჩილი და გამგონე შეიქნა და, მოსახვევს რომ მიუახლოვდა, ნავარდზე გადავიდა. მივხვდი, მარცხენა მოსახვევსაც და ფინიშისკენ მიმავალ სწორ ბილიკსაც ნავარდით გაივლიდა. მაშინ გამახსენდა, ნედმა რაც მითხრა. იმ ადგილთან ახლოს რომ მივედით, საიდანაც მეხთამტეხელი პირველად გაიჭრა მთელი სისწრაფით ნედისკენ, უკან გადავიხარე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, საღი ხელი დავკარი გავაზღე. ისევ შეხტა, ისევ გავარდა წინ, თვინიერი და დამყოლი და არა გამძვინვარებულ-გააფთრებული. - კარგი, გეყოფა, - მითხრა ნედმა, - აქ მოიყვანე, - მეც მივიყვანე და მის წინ გავაჩერე. ოდნავ გამოსვლოდა ოფლი, ეგ იყო და ეგ. - აბა, როგორია? - მკითხა ნედმა.

ვცადე, ამეხსნა.

- მის წინა ნახევარს სირბილი არ უნდა.

- კარგად კი გაჭენდა, მე რომ დავკარი, - თქვა ნედმა.

კვლავ ავუხსენი:

- იმას არ ვამბობ, მთელ წინა ნახევარს-მეთქი, ფეხებს უნდათ სირბილი, მაგრამ თავი არ ანებებს, თავს არ უნდა.

- ოჰო, - თქვა ნედმა. მერე ბიძია პარშემს მიუბრუნდა, - შენ ხომ იყავი იმ დოღზე, რა მოხდა იქ?

- იმ დოღბეც ვიყავი და მეორეზედაც, - მიუგო ბიძია პარშემმა, - არც არაფერი მომხდარა, კარგად მირობდა, მაგრამ უეცრად დაინახა, რომ არავინ იყო მის წინ სარბენ ბილიკზე.

- ოჰო, - თქვა ნედმა, - ჩამოხტი. - მე ჩამოვხტი. უნაგირი მოხადა, - აბა,

ერთი ფეხი მომეცი.

- რა იცი, რომ ეს ცხენი უუნაგიროდ უტარებიათ? - ჰკითხა ბიძია პარშემმა.

- არ ვიცი, - მიუგო ნედმა, - მაგრამ ახლა გავიგებ.

- ეს ბიჭი მხოლოდ ცალ ხელს ხმარობს, - თქვა ბიძია პარშემმა, - აბა, ლიკურგე...

მაგრამ ნედმა უკვე ფეხში ჩამავლო ხელი.

- ამ ბიჭს ბაკ ედმონდსის ცხენები უჭენებია, იქ, მისისიპიში. ჰოდა, ერთხელ ვუყურე, ვერ მივხვდი, რით იმაგრებდა თავს, კბილებით ხომ არა-მეთქი. - შემსვა. ცხენი არ გაჯიუტებულა, მხოლოდ წამითშეკრთა, ცოტათი ჩაიკეცა და უკან დაიხია. - ოჰო, - თქვა ნედმა, - ახლა წადი და ისაუბმე. ის ჩიტირეკია ამ საღამოს ჩამოვა, ცხენს მიხედავს, მაშინ, იქნებ მეხთამტეხელიც ეშხზე მოვიდეს.

ლიკურგეს დედა, ბიძია პარშემის ქალიშვილი, სადილს აკეთებდა: სამზარეულოდან მოხარშული ბოსტნეულის სუნი გამოდიოდა. მას თბილად შეენახა ჩემი საუბრე - შემწვარი ღორის ხორცი, შვრიის ფაფა, ახალგამომცხვარი ფუნთუშები და შაქრიანი რძე თუ რძიანი ყავა; ხელიდან საჯირითო ხელთათმანი წამაძრო, რომ თავისუფლად შესაუბმა. კი გაოცდა, როდესაც გაიგო, ყავის გემო არ ვიცოდი, ლიკურგე კი თურმე, ორი წლიდანვე სვამდა ყოველ კვირა დილით. მეგონა, მხოლოდ მშია-მეთქი, მაგრამ უცებ თეფშში ჩავრგე თავი და ჩამეძინა. მერე ლიკურგემ იმ მიშენებულ ოთახში გადამიყვანა თუ გადამატრია და ლოგინზე დამაწვინა. ნედმა თქვა, - ბატონი სემ კოლდუელი ვილაც ვიგინდარა კი არ იყო, სემ კოლდუელი იყო ვაცური ვაცი; ამიტომაც მატარებ-

ლის სასამსახურო ვაგონით შუადღემდე რამდენიმე წუთით ადრე, ევერბი და ოტისი პარშემს ჩამოიყვანა და მატარებელი იმდენ ხანს გააჩერა, რომ გადმოსვლა მოასწრეს. მთლიანად სატვირთო შემადგენლობა იყო და არ უნდა გაჩერებულიყო, ვიდრე ალბამის შტატის ქალაქ ფლორენსს არ ჩავიდოდა ან კიდევ სხვაგან სადმე. არ ვიცი, დამატებით რამდენი ნახშირი დაიწვა იმისთვის, რომ საჰაერო ტუმბოები ამოქმედებულიყო და სრული სვლით მიმავალი მატარებელი პარშემში შეჩერებულიყო, ხოლო შემდეგ ქვაბი ისევ გახურებულიყო და მატარებელს საჭირო სიჩქარე აეღო დაკარგული დროის ასანაზღაურებლად. კაცური კაცი იყო სემ კოლდუელი, ოტისსაც კი წამოაძახებინებდა, ბიჭოსო.

ჰოდა, ვილაცის უცხო ხმამ გამომადვიდა და ლიკურგეს დედამ ისევ წამომაცვა ხელზე საჯირითო თათმანი, ამ რამდენიმე საათის წინ სადღაც რომ შეინახა, როდესაც მე თეფშში თავი ჩავრგე და დავიძინე. გარეთ გამოვედი. ყველანი აქ იყვნენ, ეტლი უკვე ჭიშკართან იდგა. ბიძია პარშემი კვლავ კიბის თავზე გადმომდგარიყო, ისევ ის შლაპა ეხურა. ნედი კიბის მეორე საფეხურზე იჯდა, ხოლო ლიკურგე კუთხეში დამდგარიყო აივანსა და კიბეს შუა, თითქოს სამივეს სახლის მისასვლელი შეეკრა. ევერბი ებოში იდგა იმათკენ მიბრუნებული (დიახ, ისიც თან წამოეღო - ნედის პატარა ჩემოდანს ვგულისხმობ), იქვე იდგნენ ოტისი, ბუნი და კიდევ ვილაც მესამე, ვინც ხმამაღლა ლაპარაკობდა ბუნსა და ევერბის შუა მდგომარე - თითქმის ბუნისავე სიმაღლისა და თითქმის ისეთივე მახინჯი, სახეაჭარხლებული, გულზე პოლიციელის ნიშანი ჰქონდა დამაგრებული, შარვლის ჯიბე პისტოლეტსა და მის ბუდეს გამოეხერა. ქალი ცდილობდა, მკლავზე წატანებული მისი ხელი მოეცილებინა.

- კი, - ამბობდა იგი, - მე ვიცნობ ბებერ პასემ ჰუდს, უფრო მეტიც, ბებერი პასემ ჰუდიც მიცნობს მე, ხომ ასეა?

- ჩვენ ყველანი გიცნობთ, ბატონო ბუტი, - ნირშეუცვლელად უთხრა ბიძია პარშემმა.

- და თუ ვინმე არ მიცნობს, მალე გამიცნობს, - თქვა ბუტიმა, - თქვენი დედაკაცები თუ სახლის დაგვა-დასუფთავებით არიან და-კავებულნი და შინ ვერ შევუპატიუებივართ, უთხარით, რომ სკამები გამოიტანონ და ეს ყმაწვილი ქალბატონი მაინც დასვან. შენ, ბიჭო, - მიუბრუნდა ლიკურგეს, - ორი სკამი დადგი აივანზე. დაფსხდეთ მე და შენ სიგრილეში, - ახლა ევერბის მიმართა, - და ერთმანეთი გავიცნოთ, ამასობაში ეს ჩვენი ძმა, - ბუნს გულისხმობდა, არც კი ვიცი, როგორ, მაგრამ მივხვდი, - ბიჭებთან ერთად იმ ცხენის სანახავად წავა, ხომ ასეა? - მკლავზე ხელი არ გაუშვია, ისე გასწია ევერბი განზე და დააბარბაცა, იმწამსვე ახლოს მიიზიდა. ის კი იქით იწეოდა და მეორე ხელით ცდილობდა მკლავიდან მისი თითების მოცილებას. მე კი ბუნს ვუმბერდი ახლა. - მგონი, პირველად არ უნდა ვხვდებოდეთ ერთმანეთს. ბერდი უოტისას ხომ არ მინახავხარ? სად იმალებოდა აქამდე ეს ლამაზი გოგო?

ნედი აუჩქარებლად წამოდგა კიბიდან.

- დილა მშვიდობისა, ბატონო ბუნ, - ასე თქვა, - იქნებ თქვენ და შერიფს იმ ცხენის ნახვა გასურთ. გამოიყვანოს ლუციუსმა? - ბუტიჩი მაინც არ უშვებდა ხელს ევერბის.

- ეს ვინლაა? - იკითხა იმან, - ჩამოსულ ბანგებს მაინცდამაინც არ ვწყალობთ აქ, თუმცა არც არას ვერჩით, თუკი ჭკუით იქნებიან და მერე კრინტსაც არ დაძრავენ.

- ნედ უილიამ მაკკასლინ ჯეფერსონ მისისიპი, - თქვა ნედმა.

- რა ბევრი სახელი გქონია, - ბუტიჩმა მიუგო, - მაგრამ შენ მხოლოდ ეს უნდა იცოდე, სწრაფად და მოკლედ გვიპასუხო. ლაპარაკის უფლებას მაშინ დაიმსახურებ, როცა ამ ბებერი პარშემივით თეთრი წვერ-ულვაშით შეიმოსები. საიდანაც უნდა იყო, ჩვენთვის სულერთია. ესლა გვაწუხებს, დასაბრუნებელი ადგილი უნდა

გქონდეს სადმე. მაგრამ შენ, გეტყობა, არაფერი შეგეშლება, დაინახავ თუ არა, იმწუთასვე ცნობ კანონის მსახურს.

- დიახ, ბატონო, - უთხრა ნედმა, - კანონის მსახურებს კარგად ვიცნობ. ჯეფერსონშიც გვყავს, - მერე ბუნს მიუბრუნდა, - გნებავთ იმ ცხენის ნახვა?

- არა, - თქვა ევერბიმი; როგორღაც მოახერხა მკლავის გათავისუფლება და სწრაფად მოსცილდა ბუტჩს. ადრევე შეძლებდა ამას, თუკი ბუნს ეტყოდა. სწორედაც ამას ელოდა ბუტჩი, შერიფის თანაშემწე იყო თუ რაღაც, და ეს ამბავი ჩვენ ყველამ ვიცოდით. სრულიად მოულოდნელი იყო ტანვეება გოგოსგან, ისე მკვირცხლად გაიწია განზე. იმასა და ბუტჩს შორის მე აღმოვჩნდი. მკლავში რომ ჩამეჭიდა, ვიგრძენი, ხელი ოდნავ უკანკალებდა, - წამოდი, ლუციუს, გზა გვიჩვენე. - რაღაც დაძაბული, ლამის მგზნებარე ჩურჩულით მითხრა, - ხელი როგორ გაქვს, კიდევ გაწუხებს?

- არა, არ მაწუხებს, - მივუგე მე.

- მართლა? არ დამიძალა, იცოდე! თუ გშველის ეს თათმანი?

- ხომ გითხარი, აღარ მაწუხებს-მეთქი, - ვუთხარი, - თუ ამტკივდა, გეტყვი. - საჯინიბოსკენ წავედით. თითქმის მიმათრევდა ევერბი, ოღონდაც იმასა და ბუტჩს შუა ვყოფილიყავი, მაგრამ სულ ამოდ, ის კაცი მაინც ჩაგვეჩხირა; ოფლისა და არყის სუნი მეცა. ახლალა დავინახე, მისი შარვლის მეორე ჯიბიდან თავი ამოსჩროდა არყის ბოთლს; ჰოდა, ის (ბუტჩი) ისევ წაეტანა ევერბის მკლავს. უეცრად შიშმა დამრია ხელი, რადგანაც ვიცოდი, ჯერ კიდევ არ ვიცნობდი ევერბის და იქნებ უკეთესად არც ბუნი იცნობდა. თუმცა არა, რომ ვთქვი, შემეშინდა-მეთქი, არ არის მთლად სწორი. რად უნდა შემეშინებოდა? ჩვენ, უფრო სწორად, ბუნს ხომ შეეძლო სულ ადვილად წაერთმია მისთვის პისტოლეტი და კარგადაც მიებეგვა. მაგრამ, ასე გამიელვა თავში, ვაითუ მერე რამე მოუვიდეს ევერბის, ბიძია პარშენსა და მის სახლს, მისიანებს-

მეთქი. შიშზე უფრო მეტი იყო, რასაც ვგრძნობდი. მრცხვენოდა, რომ არსებობდა მიზეზი შიშისა, ვაითუ, რამე დაუშავდეს ბიძია პარშემს, მან ხომ აქ უნდა იცხოვროს-მეთქი. სიძულვილი (ბიძია პარშემს კი არა, მე მძულდა) მომრეოდა - მძულდა ყველა ჩვენგანი, რადგან ასეთი უსუსური მსხვერპლი ვიყავით საკუთარი ცხოვრებისა, რაკილა ჩვენთვის გარდაუვალი იყო ასეთი ცხოვრება; მძულდა ევერბი, რადგანაც ასეთი ბეჩავი, უსუსური და ამავედროს, სანდომ-საამური მსხვერპლი იყო; და ბუნიც, რადგანაც ისიც გარემოებათა ასეთივე ბეჩავი და უილაჯო მსხვერპლი იყო, ბიძია პარშემიც და ლიკურგეც, რაკი იქ ცხოვრობდნენ, სადაც იძულებულნი იყვნენ, ეცხოვრათ და ძალაუნებურად ხედავდნენ, როგორ იქცეოდნენ თეთრები. თეთრები კი სწორედ ისე იქცეოდნენ, როგორც, მათივე სიტყვით, იქცეოდნენ მხოლოდ ზანგები. ოტისიც მძულდა, ვინც არკანზასში ევერბის ცხოვრების შესახებ მიაბობდა, და თავად ევერბიც იმის გამო, რომ ასეთი უმწეო იყო და ვისაც მოესურვებოდა, შეეძლო მისი აბუჩად აგდება, დამცირება; საკუთარი თავიც მძულდა, რადგანაც ოტისს მოვუსმინე, რადგანაც მინდოდა მისი მოსმენა, ყველაფრის გაგება და შეცნობა; სიძულვილს ვგრძნობდი, რადგან ეს ყოველივე არა მარტო არის, უნდა იყოს კიდევ და იქნება სულ მუდამ, ვიდრე სიცოცხლე გაგრძელდება, ვიდრე კაცობრიობა სიცოცხლესთან იქნება წილნაყარი.

და უეცრად ისე მომენატრა სახლი, რომ ჟრუანტელმა დამიარა, მეტისმეტი სიმძიმისგან გული შემეკუმშა; სახლში მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ ჩვეულებრივი არ უნდა ყოფილიყო ჩემი დაბრუნება, დრო-ჟამს უკუსვლა უნდა დაეწყო და ნედს ის ცხენი უკანვე მიეყვანა იქ, საიდანაც და ვისგანაც წამოიყვანა; ბაბუას ეს ავტომობილი უკანვე, ჯეფერსონში ჩაგვეყვანა და მთელი ჩვენი მოგზაურობა უკუსვლით, თანდათანობით დასაწყისს უნდა დაჰბრუნებოდა და ასე გარდასახულიყო არარად, არარსებულად

იმავე თანმიმდევრულობით - ჭუჭყიანი გზები, წუმპე, ტალახი, ის კაცი, ფერის გარჩევის უნარს მოკლებული ჯორებითურთ, მის ბოლენბო, ელისი, იფემი... და ასე აღგვილიყო, რაც გადამხდა თავს; და უცებ რაღაც იდუმალმა ხმამ ამოთქვა ჩემი გულის წიაღიდან - ხელს რა გიშლის? რადგანაც შემეძლო, ერთი მეთქვა ბუნისთვის, სახლში წავიდეთ-მეთქი და იმწუთასვე ნედი ცხენს დააბრუნებდა, ჩემს სამარცხვინო აღიარებას რომ მოისმენდა, პოლიცია ავტომობილს მოძებნიდა და პატრონს მიუყვანდა, ამის საფასური კი ჩემი თავის მოჭრა იქნებოდა სწორედ. მაგრამ ახლა ამას ვედარ ვიზამდი, გვიან იყო ძალიან. ალბათ გუშინ კიდევ შეიძლებოდა, როდესაც ჯერ ისევ ბალღი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ ძალზე ბევრი რამ გავიგე, ბევრი რამ ვნახე, ბავშვი აღარ ვიყავი, საბოლოოდ გაცამტვერებელიყო ჩემი უმანკოება და სიყრმე. ევერბი კვლავ დასხლტომოდა ბუტჩს ხელიდან. ამჯერად როგორ შეძლო ეს, ვერ დავინახე. თავი დააღწია, პირისპირ დაუდგა, მერე სწრაფად ხმადაბლა რაღაც უთხრა. ჰოდა, ეს კაცი მის წაკარებას აღარც ცდილობდა, უყურებდა და იღრიჭებოდა.

- კარგი, კარგი, - ასე თქვა, - იყავი ჯერჯერობით აქ შენთვის... იქნებ ჩემთვისაც ასე ჯობდეს, ეს ჩვენი ძმაც შეეჩვევა ამ ამბავს. აბა, მიდი, კაცო, - ნედს მიუბრუნდა, - ისშენი ცხენი მაჩვენე!

- აქ დარჩი, - მითხრა ნედმა, - მე და ლიკურგე გამოვიყვანთ. - ევერბის გვერდით ვიდექი, ღობესთან, ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა ჩემს მკლავზე წატანებული ხელი. ნედმა და ლიკურგემ ცხენი გამოიყვანეს. ნედმა გამოგვხედა და წამოიძახა, - ისე, მეორე სადღაა?

- რაო, ვინ მეორე? - იკითხა ბუტჩმა. მე კი ვიცოდი, ნედი ვისაც გულისხმობდა, ასევე, ევერბიმაც. სწრაფად მიტრიალდა.

- ოტის! - დაიძახა, მაგრამ ის აღარსად ჩანდა.

- გაიქეცი, - უთხრა ნედმა ლიკურგეს, - თუ ჯერ სახლში არ მისულა, იქნებ გარეთ ნახო სადმე. უთხარი, დეიდაშენი გეძახის-თქო, მერე გვერდიდან ნულარ მოიცილებ.

ლიკურგეს დრო აღარ დაუკარგავს იმის სათქმელად, დიახ, ბატონო. იმწუთასვე აღვირი ნედს მიუგდო და გაიქცა. დანარჩენები კი ღობესთან დავრჩით, ევერბი უძრავად იდგა, ცდილობდა, არ შეტოკებულყო, თითქოს უძრაობა იყო მისი თავშესაფარი. იდგა, რადგან ასეთი ტანვეება ვერაფერს გახდებოდა, ისევე, როგორც ფურირემი, რომელიც მეტისმეტად დიდია საიმისოდ, რომ გარეული ქლიავის ხეების წვრილნარს შეაფაროს თავი; გამძვინვარებული ბუნიც, თუმცა კი ამჯერად თავდაოკებული, ვისაც თავდაოკება ერთხელაც არ უნებებია ცხოვრებაში. შიშის გამო სულაც არა, გეუბნები, ის პისტოლეტი და სამკერდე ნიშანი მას ვერ შეაშინებდა, სულ ადვილად შეეძლო იმ ბუტჩისთვის იარაღიც წაერთმია და ის ნიშანიც აეგლიჯა მკერდიდან და გულბვიადად მოესროლა, იმასა და თავის შუა მიწაზე დაეგდო და იმ ბუტჩისთვის კიდევაც მიეცა ნება, პირველს გადმოედგა მისკენ ნაბიჯი; ნაწილობრივ ამის მიზენი გახლდათ ჩემი და ჩემი ოჯახის (მისიც რომ იყო) ერთგულება და პატივისცემა, ჩვენი დაცვა უსიამოვნებისგან, ჩხუბს რომ მოჰყვებოდა, მიუხედავად იმისა, ვინ დარჩებოდა გამარჯვებული. ნაწილობრივ-მეთქი, ვამბობ, რადგან რაინდობა ქალის დაცვას ავალედა, თუნდაც მეძავისა, ვინც პოლიციელის - სამკერდენიშნიანი მტაცებლის - წერა უნდა გამხდარიყო, ვისაც შეეძლო სრულიად დაუსჯელად მისძალებოდა უსუსურ არსებას. ცოტა იქით კი ბიძია პარშემი იდგა, განცალკევებული, მაგრამ მაინც ჩვენთან მყოფი, ნამდვილი პატრიცი (მისი სახელიც კი იმას მეტყველებდა, რა ღრმად იყო დაკავშირებული მიწასთან, რომელზეც ჩვენ ვიდექით), არისტოკრატი და მსაჯული ყოველი ჩვენგანისა.

- ეშმაკმა დალახვროს, - თქვა ბუტჩმა, - დოღს როგორ მოიგებს, თუ სულ ასე გაუნძრევლად იდგება? მოიყვანეთ, ცოტა გავაჭენ-გამოვაჭენოთ.

- ჟოკეის მოსაყვანად წავიდნენ, - მიუგო ნედმა, - აი, ნახავთ, რა ცხენია, - და ასე დასძინა: - თუ, რა თქმა უნდა, არ მიდიხართ უკვე.

- სად მივდივარ? - იკითხა ბუტჩმა.

- სადაც მსახურობთ, - უთხრა ნედმა, - პასემს თუ სად, აბა, რა ვიცი.

- ამხელა გზა გამოვიარე დოღის სანახავად, სად უნდა წავიდე, - თქვა ბუტჩმა, - თუმცა კი, რას ვხედავ, ნახევრად მძინარე ჯაგლაგს, ძლივს დგას ფეხზე.

- კიდევ კარგი, - თქვა ნედმა, - თორემ ვიფიქრე, ვაითუ სულაც არ უყვარს-მეთქი დოღი, - მერე ბუნს მიუბრუნდა, - იქნებ ჯობდეს, თქვენ და მის კორი ქალაქს დაბრუნდეთ და დანარჩენებს დახვდეთ, მატარებლით რომ ჩამოვლენ, იმ ეტლს კი უკან გამოგზავნიდეთ ბატონი ბუტჩის, ლუციუსისა და კიდევ იმ ბიჭის წასაყვანად, ჩვენ კი მანამდე მეხთამტეხელს გავაჭენ-გამოვაჭენებთ.

- ხა-ხა-ხა, - ნაძალადევად გაიცინა ბუტჩმა, - კარგი აზრია, ღმერთმანი! რაო, ძმაკაც? შენ და ის ტურფა სასტუმროში წახვალთ, ხოლო მე და ბიძია რიმუსი და ის ლორდი ფაუნტლერი შუალამით მოვხრიგინდებით, თუკი, რაღა თქმა უნდა, აქ ყველაფერს მოვაგვარებთ. - მერე ღობის გაყოლებით ბუნისკენ წავიდა და თუმცა მას უმზერდა, ნედს უთხრა, - მარტო სწორედაც ვერ გავუშვებ ამ ჩვენს ძმაბიჭს, მასთან უნდა ვიყო, თორემ, ვინ იცის, რაღაც შეგვამთხვიოს. აქ კანონი გამოსცეს, ლამაზი გოგოების სხვა შტატში გაყვანას რომ კრძალავს, როგორც იტყვიან, უწესო მიზნებისთვის. ეს ჩვენი ძმაკაცი კი აქ უცხოა, არ იცის, სად მთავრდება ჩვენი და სად იწყება სხვა შტატი. შეიძლება, ფეხი იქით გადაუცდეს, თუმცა სულაც არა აქვს ამის დარდი, რადგან თავში

სულ სხვა რაღაც უტრიალებს, სხვა რამ ადარდებს. ხომ ასეა, ჩვენი ძმა? - ხელი დაჰკრა ზურგზე ბუნს ღრეჭით, თან თვალს არ აცილებდა. ასე დაჰკრავენ ხოლმე ხელს ერთმანეთს შეხუმრებული მეგობრები. ისე, ცოტათი უფრო მაგრად დაჰკრა, მაგრამ არც მთლად მაგრად. ბუნი არც კი შეტოკებულა, ოღონდ უფრო ღონივრად ჩაეჭიდა ჭიშკრის ზედა კადონს, მაგრამ თითები ისე ჰქონდა გარუჯული თუ სულაც, ჭუჭყისგან გაშავებული, რომ გათეთრება არ დასტყობია. სამაგიეროდ იმის კუნთებს ვხედავდი. - დიახ, ბატონო, - განაგრძო ბუტჩმა, თან ისევ ბუნს უმზერდა და იღრიჭებოდა, - მეგობრებს ერთად მოუყრიათ თავი და ერთადაც იქნებიან რამდენიმეხანს. მერე ან ერთად წავლენ ყველანი, ან არავინაც არ წავა. ჯერ არავინ წავა-მეთქი. ვინ იცის, რა მოხდება, თუ თვალი არ გიჭირავს, შეიძლება ვინმეს რამე დაემართოს; იცოკაცი, გაიხედ-გამოიხედავ და აღარსად არის; და თუ უცხოა, ვინღა მოიკითხავს?! ხომ ასეა, ძმაცაც? - და ისევ დაჰკრა ზურგზე ხელი, ამჯერად უფრო მაგრად, თვალს არ აცილებდა, ისევ იღრიჭებოდა. ევერბიმ ახლალა შეხედა ბუნის ხელს და იმწამსვე თქვა ხმადაბლა:

- ბუნი! - მხოლოდ ეს თქვა, ბუნო. ბიძია პარშემმაც შეხედა.

- აი, ის მეორე ბიჭიც მოვიდა, - თქვა მან. სწორედ იმწუთას სახლის კუთხეს გამოსცდა ოტისი, ფეხდაფეხ ლიკურგე მოსდევდა, იმაზე ორჯერ უფრო მაღალი, და ზედ დაჰყურებდა. თუმცა ვიცოდი, რაც სჭირდა ოტისს, მაგრამ ამის გამო უკეთესი არ გამოჩენილა ჩემს თვალში. აუჩქარებლივ მოდიოდა, თითქოს მოსეირნობდა. ნედი მკაცრ მზერას არ აშორებდა.

- აბა, ვის დავჭირდი? - ასე იკითხა.

- მე, - უთხრა ნედმა, - მაგრამ დღისით-მზისით პირველად გხედავ და იქნებ სულაც გადავიფიქრო. - მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, - ცხენი შეკაზმე! - ჰოდა, ჩვენ - ყველამ - იმის შეკაზმვა დავიწყეთ; მერე ნედი და ლიკურგე წინ გაგვიძღვნენ, ღობეს გავუყვივით

და წყაროსთან, მდელღოზე გამოვედით, ბუტჩმაც ინება ჩვენთან შემოერთება, მაგრამ მეთევზესავით იქცეოდა: ევერბის სულის მოთქმის საშუალებას აძლევდა, რათა ძალა მოეკრიბა და ერთხელ კიდევ შესჭიდებოდა მის ანკესს ანუ თუნუქის ვარსკვლავს მის ოფლიან პერანგზე. მდელღოზე რომ გამოვედით, ნედი და ოტისი უკვე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ასე, რვა ნაბიჯით დაცილებულნი, ცოტა მოშორებით კი ლიკურგე იდგა ცხენთან ერთად. ნედი დაღლილ-დაქანცული ჩანდა, ვიცოდი, მთელი ღამე თერთად გაათენა მას შემდეგ, რაც იმ ვაგონში თივაზე წასთვლიმა ერთი საათი. უძილობას თავისი დაღი დაეჩნია, მაგრამ მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა. ოტისი კი მშვიდად იჩიქნიდა ცხვირს. - აბა, ჭკუის კოლოფო, - ეუბნებოდა ნედი, - შენისთანა ჭკუით სავსე ბიჭი ჯერ არ მინახავს, და რამდენი წლისაც ხარ, კიდევ ერთი იმდენი რომ მოგემატება, ღმერთმა ქნას, ამის ნახევარი ჭკუა მაშინაც გქონდეს.

- დიდი მადლობა, - მიუგო ოტისმა.

- ცხენზე ჯდომა თუ იცი? - ჰკითხა ნედმა.

- კარგა ხანს ვცხოვრობდი არკანზასის ფერმაში, - უთხრა ოტისმა.

- ცხენზე ჯდომა თუ შეგიძლია-მეთქი? - გაუმეორა ნედმა, - ჩემთვის სულერთია, სად ცხოვრობდი ან სად ცხოვრობ.

- სულერთი არც არაფერია, - თქვა ოტისმა, - სახლში წასვლას ვაპირებდი ამ დილას. უკვე კარგა ხნის ჩასული უნდა ვიყო კიბლიტს, არკანზასში, მაგრამ გევმები ამირ-დამირიეს, ჩემთვის არც უკითხავთ, ისე. ჰოდა, რას ვიზამ, ჯერ არ ვიცი. რამდენს გადამიხდით, ამ ცხენზე რომ შევჯდე?

- ოტის! - დაუძახა ევერბიმ.

- აბა, ჯერ რა ვიცი, - ოტისივით წყნარად თქვა ნედმა, - სამგზის უნდა გააჭენო და ორგზის მაინც პირველი მიხვიდე. მაშინ ვილაპარაკოთ, რა გერგება.

- ხე-ხე-ხე, - ისე ამოთქვა ოტისმა, არც გაუცინია, - გამოდის, არც არავინ მიიღებს რამეს, ვიდრე შენ არ გაიმარჯვებ, სწორედ შენ. შენ კი ამ ცხენს ადგილიდან ვერ დაძრავ, ვილაც სხვამ უნდა გააჭენოს, ვთქვათ - მე. ხომ მართალია?

- ოტის! - დაუძახა ევერბიმ.

- მართალია, - თქვა ნედმა, - ჩვენ ყველას გვაქვს წილი, ოლონდ მხოლოდ შემდეგ შეიძლება გვექონდეს გასაყოფი. შენც სხვებზე ბივით უნდა დაიცადო.

- ოჰო, - მიუგო ოტისმა, - ვიცი, ბამბის შემოსავალს როგორც იყოფენ არკანზასში. უბედურება ის არის, წილი ვისაც აქვს, უფრო ცოტა ერგება, ვიდრე იმას, ვინც ანაწილებს. იმას, ვისაც წილი აქვს, კარგა ხანს უწევს ლოდინი, ვიდრე რამეს მიიღებდეს, რადგან არც კი იცის, სად ეძებოს თავისი წილი! ჰოდა, ჯობს, ავანსი მომცეთ და მერე, თუკი იქნება რამე, ისე გაინაწილეთ, როგორც გნებავდეთ.

- მაინც რამდენი? - ჰკითხა ნედმა.

- რად გინდა ამის ცოდნა, ჯერ ხომ არც ფულს ჩასულხარ და არც დოლში გაგიმარჯვია. მაგრამ ასე იყოს, გეტყვი, ოლონდ საიდუმლოდ, ათი დოლარი მინდა.

- ოტის! - დაუყვირა ევერბიმ და მისკენ გაიწია, - გრცხვენოდეს!

- ნუ ღელავთ, მის, - უთხრა ნედმა, - თავად მოვუვლი. - დაღლილი იყო, მაგრამ შემართული. დინჯად ამოაძვრინა უკანა ჯიბიდან გადაკეცილი ფქვილის ტოპრაკი, გაშალა, იქიდან ამოიღო გაქეჩილი საფულე და გახსნა. ხელი მომეციო, უთხრა ლიკურგეს, იმანაც გაუწოდა. ნედმა ნელა გადათვალა ექვსი დაჭმუჭნილი დოლარიანი, წვრილი ფულიც ამოაყოლა, სულ სხვადასხვა ღირებულებისა. - თხუთმეტი ცენტი უნდა აკლდეს, მაგრამ ბატონი ჰოგანბეკი დაამატებს.

- სადამდედაამატებს? - ჰკითხა ოტისმა.

- ხომ თქვი, ათი იყოსო, - უთხრა ნედმა.

- კარგად ვერ გაგიგონია, - მიუგო ოტისმა, - მე ოცი გითხარი, - ახლა კი ბუნმა გაიწია ოტისისკენ.

- ეშმაკმა დალახვროს! - ამოთქვა.

- დაიცადეთ, - უთხრა ნედმა. დაუყოვნებლივ, ერთიმეორის მიყოლებით აკრიფა ის ფული ლიკურგეს ხელისგულიდან, ჯერ - წვრილი, მერე, ქალაღდისა, საფულეში ჩააბრუნა, დაკეტა, გადაკეტა ის ფქვილის ტოპრაკი და ჯიბეში ჩაიდო. - მაშ, უარს ამბობთ, - ასე უთხრა ოტისს.

- აკლია და რა ვქნა? - მიუგო ოტისმა.

- ბატონ ჰოგანბეკს უნდოდა იმის დამატება, რაც აკლდა, - თქვა ნედმა, - მაგრამ კაცობა ის არის, პირდაპირ გვითხრა, რომ არ გინდა ამ ცხენით გაჯირითება. თუ რატომ, არც გკითხავთ. - ერთმანეთს უმზერდნენ, - მოდი, გულახდილად თქვი.

- არა, - უთხრა ოტისმა, - არ მინდა ჯირითი. - მერე კიდევ რაღაც უწმაწური თქვა, გადმოსდინდა, რაც მის სულში იყო: სიმყრალე და ასევე, სიავე; ეს მისი ბუნება იყო. მაგრამ იმის ცოდნა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა, რაღას გვიშველიდა. ამჯერად კი სტაცა ხელი ევერბიმ და მაგრად შეაჯანჯლარა. ოტისმა დაუღრინა, შეაგინა, თავი დამანებე, თორემ მე ვიცი, რასაც ვიტყვიო.

- ოღონდ მითხარი, - თქვა ბუტჩმა, - და ღდინს გავაცლი, პრინციპის გულისთვის და არა სიამოვნებისათვის. ამ ჩვენმა ძმაბიჭმა ამდენი როგორ მოუთმინა და არ გაჰკრა ყბაში.

- არა, - უთხრა ბუტჩს ევერბიმ, რომელიც ოტისს ხელს აღარ უშვებდა, - პირველივე მატარებლით სახლში წახვალ, იცოდე!

- რას კაკანებ! - ოტისმა მიუგო, - შენი ბრალია, თორემ იქ ვიქნებოდდი ახლა. - ევერბიმ ხელი გაუშვა. - წადი, ეტლში ჩაჯექიო, - ასე უთხრა.

- ამის ნდობა არ შეიძლება, - თქვა ნედმა, - თან უნდა გაჰყვე. - მერე დასძინა: - კარგი, ყველანი ქალაქს დაბრუნდით, საღამოს კი მე და ლუციუსს ეტლი გამოგვიგზავნეთ.

მიხვდით, რა გამოსავალიც იპოვა, თითქოს ასე უნდოდა მოეგვარებინა თავისი საქმე. მაგრამ ბუტჩმა აჯობა: თავდაჯერებულმა მეთევზემ ისე მოიქნია ანკესი, თევზი შეუჭირვებელივ უნდა წამოჰგებოდა.

- კარგი, - ასე თქვა, - გამოგვიგზავნე ეტლი. - ევერბი და ოტისი წავიდნენ. - ეს საქმე მოვაგვარეთ, მაგრამ ამ ცხენზე ვინლა შეჰდება?

- აი, ეს ბიჭი, - უთხრა ნედმა, - ცალი ხელითაც კარგად შეძლებს.

- ხე-ხე-ხე, - ამჯერად მართლა გაიცინა ბუტჩმა, - გასულ ზამთარს ვნახე, ამ ცხენს რა სირბილიც შეუძლია. იქნებ ცალი ხელითაც კი შეძლოს მისი გამოფხიზლება, მაგრამ ეგ რას უშველის, პოლკოვნიკ ლინსკომის ბედაურს ვერ გაუსწრებს, თუნდაც, იმდენი ხელი ჰქონდეს, რამდენიც ობობასა და მრავალფეხას.

- შეიძლება, მართალი ხართ, - მიუგო ნედმა, - სწორედ ამის შემოწმება გვინდა ახლა. შვილო, - ლიკურგეს მიუბრუნდა - აბა, ერთი ის ქურთუკი მომეცი. ქურთუკისთვის თვალი არ მომიკრავს აქამდე, მაგრამ ლიკურგეს ქურთუკიც თან ჰქონდა და სახრეც. ნედმა ორივე გამოართვა და ქურთუკი გადაიცვა. მერე ასე უთხრა ბუნსა და ბუტჩს: - იქით დადექით, იმ ხეების ჩრდილში, სადაც პასემ ბიძიაა, რომ ცხენი არ შემოფოთდეს. აბა, ერთი ფეხი მომეცი, - მე მითხრა. ჰოდა, ასეც მოვიქეცი ანუ ნედმა ცხენზე შემსვა, ბუნი, ბუტჩი და ლიკურგე კი ხის ძირში დადგნენ, ბიძია პარშემის გვერდით. თუმცა დილით ცხენი მხოლოდ სამგზის გავაჭენე ამ მდელღმე, სარბენი ბილიკი უკვე გაკვალული იყო და რომც ვერ შემემჩნია, მეხთამტეხელი აუცილებლად დაინახავდა. ნედმა სწორედ იმ ადგილას დააყენა, საიდანაც ამ დილას სტარტი ავიღეთ. მოკლედ და მშვიდად ლაპარაკობდა. ის ახლა სულაც არ ჰგავდა ზანგ ყბედს - თუმცა არც არასდროს ჰგავდა, როცა ჩემთან ან თავისი რასის ხალხთან ჰქონდა საქმე.

- ხვალინდელი სარბენი ბილიკი ნახევარ მილზე მეტი არ იქნება, ასე რომ, ორგზის უნდა შემოურბინო. მოიქეცი ისე, როგორც ხვალ დილას მოიქცეოდი ნამდვილ სარბენ ბილიკზე, ცხენმა იცოდეს, რაც იქნება და რაც უნდა გააკეთოს. გესმის? - დიახ, - ვუთხარი მე, - ორჯერ შემოვურბენ...

სახრე გამომიწოდა.

- უნდა გააჭენო, რაც ძალი და ღონე გაქვს. ერთხელ გადაუჭირე, მაშინ, როდესაც სულაც არ მოელის. მერე კი არ გინდა, ვიდრე არ გეტყვი, სვლა არ შეანელებინო, ფერდებზე ფეხები მოუჭირე, შეუძახე, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს, მაგრად იჯექი. გახსოვდეს, ორჯერ უნდა შემოურბინო, ეცადე, ეს ცხენმაც დაიმახსოვროს. მაკკასლინის ბედაურებს კი აჭენებდი, მაგრამ ამას ცოტა სხვანაირად უნდა მოექცე, სახრეც ამიტომ მოგეცი. მაგრამ არ დაჰკრა, იცოდე, სანამ არ დაგიძახებ. - მიტრიალდა, ჯიბეში ქექვა დაიწყო. მერე რაღაც ამოაძვრინა, ვერ დავინახე, რაღაც წვრილი უნდა ყოფილიყო. სუნი ვიგრძენი, სუსტი, თუმცაღა მკვეთრი; მიკვირს, იმწამსვე როგორ ვერ მივხვდი, რისი სუნი იყო, მაგრამ მაშინ დრო არ მეყო ამისთვის. ნედი მოტრიალდა ისევ და ცხენს ისე დაუყვავა, როგორც დილით, როდესაც ვაგონში შეჰყავდა, წამით ჩიხვირზე ხელი მოუთათუნა და მერე უკუმიდგა. მეხთამტეხელმა მისკენ გაიწია, მაგრამ შევაკავე, - გასწი! - დაიყვირა ნედმა, - გადაუჭირე!

მეც გადაუჭირე, ცხენი შეკრთა, ერთი გადახტა და წინ გაიჭრა. ნახევარი ნაბიჯი და დავიმორჩილე, სრული ერთი ნაბიჯი და მიხვდა, რაც გვინდოდა: ბილიკს უნდა გაჰყოლოდა ჭენებით. ჰოდა, ისიც გაფრინდა, დამფრთხალი იყო და სანამ გონს მოეგებოდა, აღვირი მოვწიე და ფერდებზე ქუსლები მოვუჭირე, ბილიკიდან რომ არ გადასულიყო. მაგრამ მალე დილანდელი ამბავი განმეორდა: კარგად მირბოდა, კიდევაც მემორჩილებოდა, ძალაც მოზღვავებოდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მის

თავს არ სურდა სწრაფი ჭენება. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე არ მოვუხვიეთ და ნედი არ დაინახა მოპირდაპირე მხარეს. მაშინ კი გადაირია, აიწყვიტა, აღვირი კინალამ ხელიდან წამგლიჯა. თავი ძლივს შევიმაგრე, როგორც იქნა, საღი ხელით აღვირი მოვწიე და ცხენი ისევ სავალზე დავაბრუნე, საიდანაც ნედს ისევ ხედავდა. კიდევ ერთხელ აიწყვიტა, ღრჭიალი გაიღო ლაგამმა, მაგრამ ნატკენი ხელიც მოვიშველიე და ბილიკიდან გადასვლა არ დავანებე. საუკუნე გავიდა-მეთქი, მეგონა, ვიდრე ნედის ხმას გავიგონებდი:

- გადაუჭირე და სახრე გადააგდე.

გადაუჭირე და სახრე ზურგს უკან მოვისროლე, ისევ შეხტა, მაგრამ ამჯერად ცალი ხელით შევძელი მისი დაოკება, აღვირი მოვწიე და გზიდან აღარ გადავახვევინე. კარგადაც მირბოდა ახლა, მეორე წრეს ვურტყამდით და უკვე მზად ვიყავი, როცა მოვუხვევდით, ნედს დაინახავდა და ისევ გავიდოდა სწორზე. ნედი კი ფინიშის ხაზიდან ოცი იარდის დაშორებით იდგა და ხმადაბლა ამბობდა რაღაცას, ოღონდ ისე, რომ მეხთამტეხელს გაეგონა, როგორც წუხელ, იმ ვაგონის კართან და სახრე ახლა სულაც აღარ მჭირდებოდა. სულერთია, იმის მოშველიებას მაინც ვერ მოვასწრებდი, ხელთ რომც მქონოდა. აქამდე ვფიქრობდი, ერთხელ მაინც ვმჯდარვარ-მეთქი ფიცხ ცხენზე - ბიძია ბაკის შერეული სისხლის ულაცს ვგულისხმობდი, მორგანის ჯილაგისას, მაგრამ რასაც ახლა ვგრძნობდი, პირველად იყო, ცეცხლოვანი ჯირითი, ქარზე უმაღლესი ქროლა, თითქოს აქამდე პალოზე გამობმული თოკი გვაკავებდა და ახლა ნედის ხმამ გაწყვიტა.

- მოდი, ვაჟო, მოდი, აიღე.

და აი, ჩვენ ვდგავართ, მეხთამტეხელს დრუნჩი ისე ჩაურგავს ნედის მუჭში, ნესტოებიც არ უჩანს. მაგრამ ახლა მხოლოდ ცხენის ოფლის მკვეთრი სუნი მცემს და მხოლოდ ერთ ბლუჯა ბალახს ვხედავ, ცხენი რომ ცოხნის. ნედმა კი ხი-ხი-ხიო, ისე წყნარად და

ალერსიანად ჩაიცინა, რომ მეც ჩურჩულით ვკითხე, რა არის-მეთქი? მაგრამ ამ დროს ბუნი მოგვიახლოვდა, ის კი სულაც არ იყო ჩურჩულის გუნებაზე.

- დასწყევლოს ღმერთმა! რა სიტყვა უთხარი ასეთი ჯადოსნური?

- არც არაფერი, - მიუგო ნედმა, - ვახშამი თუ გინდა, მოდი-მეთქი. - არც ბუტჩმა თქვა რამე, თავხედმა, თავდაჯერებულმა, რეგვენმა, უწყალო, სინდისგარეცხილმა კაცმა.

- კარგი, აბა, - და ცხენს თავი ისე ააწევინა ნედის ხელიდან, კინალამ მოაგლიჯა და, სანამ ცხენი ისევ დასწევდა, პირში ლაგამი ჩასჩარა.

- დამაცადეთ, მე თვითონ, - სწრაფად უთხრა ნედმა. - რა გნებათ?

- ვინმეს დახმარება თუ დამჭირდება, შენ მაინც არ დაგიძახებ, - თქვა ბუტჩმა, - შენ მისისიპიში დაგიძახონ საშველად. - მეხთამტეხელს ტუჩი ამოუტრიალა, ჯერ ღრძილები დაუთვალიერა, მერე თვალებშიც ჩახედა, - შენ თუ იცი, კანონია ასეთი, დოღის წინ ცხენს დოპინგს ვერ მისცემ. შეიძლება თქვენ იქ, იმ ჭანჭრობაში არც გაქვთ გაგონილი ამის შესახებ, მაგრამ უნდა იცოდეთ.

- მისისიპიში ჩვენც გვყავს ცხენის ექიმები, - მიუგო ნედმა, - შეგიძლიათ, ერთი იმათგანი ჩამოიყვანოთ, რომ ნახოს, თუ აქვს რამე გადაყლაპული.

- კარგი, კარგი, - უთხრა ბუტჩმა, - მაშინ დოღის წინადღეს რად მიეცი, ვნახო, როგორ იმოქმედებსო?

- მართალი ხართ, - ნედმა თქვა, - თუკი მივცემდი, სწორედ ამიტომ, მაგრამ არც არაფერი მიმიცია. ცხენებისა თუ გესმით რამე, მიხვდებოდით, რომ ასეა.

- კარგი, კარგი, - მიუგო ბუტჩმა, - არავის საიდუმლო არ მჭირდება, არც ჩავერევი, ოღონდ ხეირი ვნახოთ. ხვალ ასე გაჭენდება ეს ცხენი? თანაც ერთხელ კი არა, სამივეჯერ?

- ორჯერაც საკმარისი იქნება - თქვა ნედმა.

- ასე იყოს, - თქვა ბუტჩმა, - მაგრამ ორჯერ კი შეძლებს? - ბატონ ჰოგანბექს ჰკითხეთ, ორჯერ რომ არ მოიგოს, რა იქნება, - უთხრა ნედმა.

- ბატონ ძმაბიჭს არ ვეკითხები, - თქვა ბუტჩმა, - შენ გეკითხები.

- შემიძლია, ორჯერ მოვაგებინო, - მიუგო ნედმა.

- კარგი, - უთხრა ბუტჩმა, - კაცმა რომ თქვას, სამგზის მისაცემი დობა თუ გაქვს, ჯობს, მართლაც, მხოლოდ ორჯერ გარისკო. თუკი მეორედ წააგებს, რაც დაგრჩება, ისიც მიეცი, რომ მისისიპიმდე ჭენებით მივიდეს.

- მეც ასე ვფიქრობ, - თქვა ნედმა. - წადი და თავლაში შეიყვანე, - მითხრა მე, - ჯერ გაგრილდეს და მერე დავბანოთ.

ბუტჩი თვალს არ გვაცილებდა. ცხენი თავლაში შევიყვანეთ და უნაგირი მოვხადეთ. ლიკურგემ ვედრო და ჩვარი მოიტანა, დაბანა და ჯვალთი გაამშრალა, მერე ბაგაბე დააყენა და უნდოდა ეჭმია, მაგრამ ბუტჩმა უთხრა:

- ჰეი, შენ, ბიჭო, სახლში გაიქეცი და აივანზე დოქით წყალი და ცოტა შაქარი გამოიტანე. მე და ბატონი ძმაკაცი პუნშს გავიკეთებთ, - მაგრამ ლიკურგე არც განძრეულა, ვიდრე ბიძია პარშემმა არ უთხრა, წადიო.

ლიკურგე წავიდა, ბუნი და ბუტჩიც მიჰყვნენ, ბიძია პარშემი კი დარჩა თავლის კარში მდგომარე, იმათ გაჰყურებდა (უფრო სწორად, ბუტჩს) გამხდარი ბერიკაცი, რომლის შავ-თეთრი ფიგურაც დრამატიზმით იყო აღსავსე - შავი შარვალი, თეთრი პერანგი, შავი სახე და შავი შლაპა, საიდანაც თეთრი თმა, თეთრი ულვაში და თეთრივე ესპანურა მოუჩანდა.

- კანონის კაცია, - ასე ამოთქვა, წყნარად, ცივად და აუმღვრეველად, ზიზღითაც.

- ზოგს ჭკუა არა აქვს, ჰოდა, საკმარისია, რაღაც სამკერდე ნიშანი იშოვოს, რომ მაშინვე თავში აუვარდება და თავის გარშემო

მყოფთაც თავბრუს დაახვევს, - თქვა ნედმა, - მაგრამ სამკერდე ნიშანი რა მოსატანია, პისტოლეტმა გადარია ეს კაცი. ჯერ კიდევ პატარა ბიჭს ალბათ ძალიან უნდოდა იარაღი, თუმცა კი იმთავითვე იცოდა, როცა გაიზრდებოდა და იშოვიდა, კანონი მისი ტარების უფლებას არ მისცემდა. ჰოდა, ახლა დაუბნევია პოლიციელის ნიშანი და აღარც შიში აქვს, ციხეში მიკრავენ თავს და იარაღს ჩამომართმევენ, ამ ხნის კაცს ბაღლობას აღარ დამანებებენო. მთელი უბედურებაც ის არის, ბავშვობიდანვე იარაღზე ფიქრით ათენებდა და აღამებდა და შეიძლება, ტვინი ისე გადაუბრუნდეს, ვინმე სულიერი მიზანში ამოიღოს და გააგოროს.

ლიკურგე დაბრუნდა და მითხრა:

- შენ გელოდებიან, ეტლში სხედან.

- ქალაქიდან უკვე დაბრუნდნენ? - ვკითხე.

- ქალაქს არც წასულან, - თქვა ლიკურგემ, - სულ აქ არიან, ის არც გადმოსულა ეტლიდან, იმ ბიჭთან ერთადაა და მთელი ეს დრო სულ თქვენ გელოდებით.

- დაიცადე, - დამიძახა ნედმა. შევჩერდი, ხელზე ისევ ის საჯირითო თათმანი მქონდა და ვიფიქრე, უნდა წამაძროს-მეთქი. მაგრამ ის მხოლოდ მიმზერდა. - ახლა კი აღარ მოგასვენებენ.

- ვინ არ მომასვენებს? - მე ვკითხე.

- უკვე ხმა გავარდა, დოღი იქნებაო.

- ხმა გავარდა?

- ჰო, რაღას არ ამბობენ, - თქვა ნედმა, - ხმის გავრცელებას რა უნდა, ამისთვის ათი მილის სიგრძის მინდორი და ორი სადოღე ცხენიც კმარა. რას ფიქრობ, საიდან გამოტყვრა ასე უეცრად ეს კანონის დამცველი? იქნებ ძალღივით სუნი აიღო, ოთხი თუ ხუთი მილით დაცილებულ დაბაში თეთრი გოგო ჩამოსულაო? თავიდან მქონდა იმედი, ბუნ ჰოგანბეკს კი შეიძლება ახლაც არ დაუკარგავს, რომ ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე დოღს მოვაწყობდით, ამ ორ ცხენს შევაჯიბრებდით, გავიმარჯვებდით ან

დავმარცხდებოდით და მერე მე, შენ და ის სახლში დავბრუნდებოდით ან სადმე უფრო შორსაც წავიდოდით, სადაც ჩვენი პატრონის ხელი ვერ მოგვწვდებოდა. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თავიდან ველარ მოიცილებ მათ. ხვალ კი საერთოდ აღარ ამოგასუნთქებენ.

- დოღს ხომ გავმართავთ?

- უნდა გავმართოთ. ალბათ მაშინვე უნდა გაგვემართა, როგორც კი მე და ბუნი მივხვდით, რომ პატრონმა მთელი ოცდაოთხი საათით დატოვა თავისი ავტომობილი, მაგრამ ახლა ნამდვილად უნდა გავმართოთ.

- მე რა უნდა ვქნა? - შევეკითხე.

- არც არაფერი. ამასლა გეტყვი, ნულარაფერს გაიკვირვებ. ჩვენი გასაკეთებელი ესლა არის, სარბენ ბილიკზე დავაყენოთ ის ცხენები და ვუჩვენოთ, საითაც უნდა გაჭენდნენ, შენ კი მეხთამტეხელზე მჯდომარემ ის უნდა გააკეთო, რასაც გეტყვი. გასწი, სანამ დაგიყვირებდნენ.

IX

ნედი მართალი იყო, როცა თქვა, ხმა გავარდაო. ევერბიმ ის საჯირითო თათმანი რომ წამაძრო, ხელზე დავიხედე. წინადღეს თითების ძირში გადასერილი ხელის კვალობაზე არა უშავდა რა, სისხლი აღარ მდიოდა, მე მგონი, მაშინაც აღარ მდიოდა, როდესაც შუადღით, მეხთამტეხელს შეჭიდებული, აღვირს ვეწეოდი მის დასაოკებლად. მაგრამ ევერბის არაფრის გაგონება არ უნდოდა. ჰოდა, ჯერ ექიმთან მიმიყვანა. მის სახლამდე დაახლოებით ერთი მილი იქნებოდა ქალაქის ამ ბოლოდან. ბუტჩი იცნობდა მას, იცოდა, სადაც ცხოვრობდა. მაგრამ ის კი არ ვიცოდი, როგორ მოახერხა ევერბიმ ჩვენს წასაყვანად ამ კაცის დაყოლიება - საყვედური უთხრა, დაემუქრა თუ რაღაცას შეჰპირდა ან სულაც, შეიძლება ისე მოიქცა, როგორც დედა კალმახი, რომელიც შვილ კალმახს დაჰფოფინებს და ყურადღებას არ აქცევს წამახულ ანკესს. ხოდა, მეთევზე იძულებულია, როგორმე ერთმანეთს დააცილოს დედა და შვილი; შეიძლება თავიდათავი ევერბი კი არ იყო, არამედ ცარიელი მათარა, რადგან მეტს ველარ დალევდნენ, სანამ პარშემის სასტუმროში არ მივიდოდნენ; იმიტომ, რომ, როცა ბიძია პარშემის სახლთან მივედი, ლიკურგეს დედა კიბის თავში იდგა, დაეკავებინა საშაქრე, დოქით წყალი და გოგრის ჩამჩა, ბუტჩი და ბუნი კი ჭიქებს ცლიდნენ, ხოლო ლიკურგე ცარიელ მათარას ეძებდა, რომელიც ბუტჩმა ვარდის ბუჩქებში მოისროლა.

ჰოდა, ბუტჩმა ექიმთან წაგვიყვანა. პატარა, ოდესღაც თეთრად შეფეთქილი სახლი იყო პატარა ეზოთი. აქაურობა მთლად დაებურა ნაირფერ მცენარეს, რომლებიც ყვავილობენ გვიან ზაფხულსა და შემოდგომაზე; მათი მძაფრი სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. შეჭადარავებული ფაშფაშა ქალი გამოგვეგება პენსნეთი, მასწავლებლად ნამუშევარს ჰგავდა, ვინც თხუთმეტი წლის შემდეგაც ზიზღით იხსენებს რვა წლის ბავშვებს. კარი რომ

გააღო, შეგვათვალე (ნედი მართალი იყო) და ვილაცხას გასძახა სახლში, დოღის ცხენი რომ ჩამოიყვანეს, ისინი არიანო მოსულეები, მიტრიალდა და სადღაც გაქრა. ბუტჩი არც კი დალოდებია შეპატიჟებას, მხიარულად გადააბიჯა ზღურბლს, თითქოს იქ მოუთმენლად ელოდნენ (კვლავ ვიხილეთ ძლიერება იმ სამკერდე ნიშნისა და ის, ვისაც გულზე დაეკიდა - მფლობელი მისი სწორედ ასე უნდა შესულიყო სხვის სახლში, სხვანაირად არა მარტო საკუთარი თავის ღალატი იქნებოდა, არამედ მთელი მათი კასტის თავლაფის დასხმაც).

- როგორ ბრძანდებით, ექიმო? პაციენტი მოგიყვანეთ.

შეჭადარავებული კაცი იყო ექიმიც, თუმცა მის ჩამოწოწილ ულვაშზე ვერც იტყოდი, ჭადარააო, რადგანაც კარგა მაგრად ჩაეყვითლებინა თამბაქოს კვამლს. იმასაც ნედივით თეთრი პერანგი ეცვა, თუმცა ისეთი სუფთა არა, ზედ - შავი სერთუკი, რომელსაც სამი დღის წინ ჩამოწოწილი კვერცხის ლაქა ეტყობოდა და, საერთოდაც, რაღაც სუნი ასდიოდა, ოღონდ არყისა არა, ყოველ შემთხვევაში, მთლად არყისა არ უნდა ყოფილიყო. - მე და ძამიკო ჰოგანბეკი მისაღებში მოვიცდით. - ბუტჩმა უთხრა, - თქვენ ნუ შეწუხდებით, ვიცი, სადაცაა ის ბოთლი. ექიმის დარდი ნუ გაქვს, - ახლა ბუნს მიუბრუნდა, - ვისკის ახლოსაც არ ეკარება, თუ ძალიან არ გაუჭირდა. სამაგიეროდ, კანონით ცოტაოდენი სპირტი ეკუთვნის ყოველ პაციენტზე, ვისაც სისხლდენა ან მოტეხილობა აქვს. ჰოდა, თუ ვინმეს ძველი ნაკაწრი აქვს, ან მოტეხილი თითი, ან ამასავით კანი გაესერა, ექიმი ძმურად უყოფს წამალს: თვითონ - სპირტი, პაციენტს კი ყველაფერი დანარჩენი. ხა-ხა-ხა. აქ მოდი!

ჰოდა, ბუნი და ბუტჩი მისაღებ ოთახში გავიდნენ, მე და ევერბი კი (უსათუოდ შეამჩნევდი, ოტისი არც არავის მოუკითხავს. ეტლიდან გადმოვედით; ეტყობა, ბუტჩის საკუთრება უნდა ყოფილიყო, ასეა თუ ისე, ამ ეტლით ის დაბრძანდებოდა. წამოსვლისას ბი-

ძია პარშემისას შევეყონდით, რადგანაც ბუტჩი ევერბის დაყოფილებას ცდილობდა - ჯერ სთხოვა, მერე მიელაქუცა, მერე დააძალა, წინ, ჩემ გვერდით დაჯექიო, მაგრამ ევერბიმ გააცურა: სწრაფად დაჯდა უკანა სკამზე, თან ცალი ხელი ჩემთვის ჰქონდა ჩაფლებული, ცალიც - ოტისისთვის და აქეთ-იქიდან მოგვისვა, ამასობაში კი ბუტჩის გვერდით, წინა სკამზე, ბუნი აძვრა. ჰოდა, შემდეგ, როცა ბუტჩი და ჩვენ ყველანი, ექიმის წინკარში შევედით, ოტისი არც არავის გახსენებია) ექიმს სხვა ოთახში გავყევით, სადაც ცხენის ძუით დატენილი ტახტი იდგა ზედ ჭუჭყიანი ბალიშითა და ბამბის საბნით, აგრეთვე, ტრიალა მაგიდა წამლის შუშებით, უფრო მეტი კი ბუხრის თავზე ეწყო. იმ ზამთარს ბუხარი რომ უკანასკნელად დაუნთიათ, ნაცარი არავის გამოუწმენდია. ოთახის ერთ კუთხეში პირსაბანი იდგა, იქვე - ტაშტი და დოქი, შორიახლოს კი - ღამის ქოთანნი, რომლის გადაღვრაც არ გახსენებოდათ. მეორე კუთხეში საფანტის თოფი აეყუდებინათ. დედა აქ რომ ყოფილიყო, ასეთი ფრჩხილების პატრონს სწორედაც არ დაანებებდა მისიანის ნაკაწრის შეხებას, მით უმეტეს, ჩემი გადასერილი თითებისას. როგორც ჩანს, ევერბიც ამ აზრისა იყო. ჰოდა, მან - ევერბიმ - ასე თქვა, სახვევს მე მოვხსნიო, და მომხსნა. ვუთხარი, აღარ მტკივა-მეთქი.

ექიმმა ლითონისჩარჩოიანი სათვალით დამხედა.

- რა წაუსვით? - ასე იკითხა. ევერბიმ უთხრა, ესა და ესო. ახლა მე ვიცი, რაც წამისვა. ექიმი ევერბის დააცქერდა: - საიდან გქონდათ? - მერე სათვალეს კუთხეში წაავლო ხელი, ზევით ასწია და ისევ დააცქერდა ევერბის: - ჰოო, გასაგებია, - მერე კი დასძინა - კარგი, კარგი, - სათვალე ისევ ჩამოიწია და, დიახს, სწორედ ასე იყო, ამოიხვნეშა: - ოცდათხუთმეტი წელიწადია, რაც მემფისში აღარ ვყოფილვარ. - ერთხანს იყუჩა და მერე ისევ, გეუბნები, ამოიხვნეშა: - კი, ოცდათხუთმეტი წელიწადია. - მერე კი ასე თქვა, - ჯობს, ხელს ნუ ვახლებთ სულაც, შეუხვიეთ და მორჩა. - ჰოდა,

თუმცა ბინტი ექიმისა იყო, ევერბიმ სწორედ დედაჩემივით შემიხვია ხელი.

- შენ უნდა გამოხვიდე ხვალ დოღზე? - მკითხა ექიმმა.

- დიახ, - უპასუხა ევერბიმ.

- როგორმე უნდა აჯობო ლინსკომის ბედაურს.

- შევეცდებით, - მიუგო ევერბიმ, - რამდენი მოგართვათ?

- არც არაფერი, - უთხრა მან, - მე კი არა, თქვენ უმკურნალეთ.

ოღონდ იმ ლინსკომის ბედაურს მოუგეთ ხვალ და არაფერი მიხდა.

- თქვენ ხომ გასინჯეთ და უნდა გადაგიხადოთ, - თქვა ევერბიმ,

- თუნდაც იმიტომ, კარგად არისო, რომ მითხარით.

- არაა საჭირო, - ისევ მიუგო მან, თან თავისი ბებრული თვალებით უმზერდა, სათვალის მინებს რომ გაედიდებინა. მზერა გაფანტული ჰქონდა ტაფაზე დახლილი კვერცხივით, და მომეჩვენა, თითქოს ჩემი და ევერბისნაირი ახალმოვლენილი ადამიანების აღქმის უნარი დაჰკარგოდა.

- დიახ, საჭიროა, - უთხრა ევერბიმ, - რამდენი მოგცეთ?

- მაშინ იქნებ ზედმეტი ცხვირსახოცი გქონდეთ ან კიდევ რაღაც... - მიუგო მან, - დიახ, ოცდათხუთმეტი წელიწადია. მყავდა იქ ერთი, მაშინ, ყმაწვილი ვაცი რომ ვიყავი, ამ ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლის წინ, მერე კი ცოლი მოვიყვანე და... - შემდეგ კვლავ დასძინა: - დიახ, ოცდათხუთმეტი წელიწადია.

- ჰოო, - თქვა ევერბიმ. მიტრიალდა, ბურგით ჩვენკენ დადგა, დაიხარა და ამ დროს მისი ვაბა აშრიალდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაისმა შრიალი, ევერბი შემოტრიალდა. - აი, თქვენი იყოს, - უთხრა და წვივსაკრავი გაუწოდა.

- იმ წყეულ ცხენს უნდა მოუგოთ, - თქვა ექიმმა, - უნდა მოუგოთ, უსათუოდ! - მერე წინკარიდან ხმები მოგვესმა, უფრო სწორად, ბუტჩის ხმა, მისი ბუხუნი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ იქ შევიდოდით.

- თუ იცით, რა მოხდა? ამ ჩვენმა ძმაბიჭმა უარი თქვა დაღვევაზე. დავმეგობრდით, სულ ერთად ვართ, ერთმანეთს სულს ვუბერავთ, ეს კი უარს მეუბნება. ძალიან მაწყენინა, - ბუნს უმზერდა ბარ-ზეიმით, თან იღრიჭებოდა უტიფრად მაცქერალი. ბუნი ახლა საშიში გამხდარიყო, როგორც ნედი (როგორც ჩვენ ყველანი), უძილობისგან ისიც დაღლილ-დაქანცულიყო. მაგრამ ნედს მხოლოდ ერთი სადარდებელი ჰქონდა - ის ცხენი, სულაც არ აწუხებდა ევერბი და ბუტჩის ის სამკერდე ნიშანი. - რაო, ძმაკაც? - თქვა ბუტჩმა და ისევ დააპირა ძმაბიჭურად მისთვის ზურგზე ხელი დაეკრა, ცოტათი უფრო ღონივრად, მაგრამ არც მთლად ღონივრად.

- აღარ გინდა, - უთხრა ბუნმა. ბუტჩი შეჩერდა, თუმცა ხელი ზეადმართული დარჩა, თან ისევ ღრეჭით უყურებდა ბუნს.

- მუსუსი მქვია მე, - ასე თქვა, - მაგრამ შენ ბუტჩი დამიძახე.

ბუნმა ცოტა ხნის შემდეგ ამოთქვა: - მუსუსი.

- ბუტჩი, - ბუტჩმა თქვა.

ცოტა ხნის მერე ბუნმაც ამოთქვა, - ბუტჩი!

- ყოჩაღ, - უთხრა ბუტჩმა. მერე ევერბის მიუბრუნდა: - რაო, ექიმმა, ხომ კარგადაა საქმე? ისე კი უნდა გამეფროთხილებინე. ამბობენ, ეს ჩვენი ექიმი დიდი მექალთანე ყოფილა ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინ, ჯერ კაბის ქვეშ შეუძვრებოდა ქალს და მერე მოუხდიდა ხოლმე შლაპასო.

- წავიდეთ, - თქვა ბუნმა, - ხომ გადაუხადე?

- კი, - მიუგო ევერბიმ. ყველანი გარეთ გამოვედით და მაშინ იკითხა ვილაცამ, ოტისი სადღააო? ვილაცამ კი არა, რაღა თქმა უნდა, ევერბიმ. ოტისო, დაიძახა ხმამაღლა, მკაცრად; შეშფოთება, სასოწარკვეთილება დაეტყო მის ხმას.

- ნუთუ ჭიშკარზე მიბმული ცხენისაც შეეშინდა? - თქვა ბუტჩმა.

- წავიდეთ, - თქვა ბუნმა, - აღარ დაგველოდა და ალბათ ქალაქში წავიდა, აბა, სხვაგან სად წავიდოდა?! შეგვხვდება გზაში და თან წავიყვანთ.

- რატომ? - იკითხა ევერბიმი. - რატომ არ...

- აბა, რა ვიცი, - მიუგო ბუნმა, - შეიძლება, ის მართალია, - ბუტჩს გულისხმობდა, მერე კი ოტისზე თქვა: - მთელ არკანზასსა და მისისიპიში მისნაირ გონებაგახსნილ ნაბიჭვარს ვერ ნახავ, მაგრამ ასეთი მხდალია. წავიდეთ.

ეტლში ჩავსხედით და ქალაქისკენ გავსწიეთ. მესმოდა, რატომაც წუხდა ევერბი ოტისის გამო: როცა ის გვერდით არ გყავდა, მაშინ საფიქრალი იყო, სად დაიკარგა და რატომ. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ვინმე, ასე უეცრად დაეკარგოს გარშემო მყოფთა ნდობა; ამიტომ ვფიქრობდი, - საეჭვოა, ამ ეტლში მსხდომთაგან რომელიმეს გასჩენოდა სურვილი, ზოოპარკში ან თუნდაც, ნებისმიერ სხვა ადგილას წაეყვანა, უფრო მეტიც - ცოტა ხანში ასეთი ადამიანი მთელ პარშემშიც აღარ მოიძებნებოდა.

მაგრამ სასტუმროსკენ მიმავალთ, გზაში ოტისი არსად შეგვხვდებოდა. არც ნედი აღმოჩნდა მართალი, - დოღის მოყვარულები აღარ მოგვასვენებენო.

მეც ასე მეგონა, სასტუმროს წინ და აივანზე დაგვხვდებოდნენ. შევცდი, იქ არავინ იყო. აი, ზამთარში კი, მწყერზე ნადირობის დროს, განსაკუთრებით იმ ორი კვირის მანძილზე, როდესაც ძაღლების ეროვნული გამოფენა იმართებოდა, ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. იმხანად, ლონდონისგან განსხვავებით, პარშემში ზაფხულის სეზონი საერთოდ, არ არსებობდა; ხალხი დასასვენებლად სხვაგან მიდიოდა, წყლებზე ან მთებში, მემფისის მახლობლად, რალისა თუ აიუკაში, აქვე, არც ისე შორს მისისიპიდან, ან ოზარკისა თუ კიმბერლენდის მთებში (თუმცა, პარშემლებმა საზაფხულო სეზონი არც ახლა იციან, ისევე, როგორც არც სხვაგან სადმე იციან ზაფხულისა და ზამთრის სეზონები. ანდა, რა

სეზონზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბაფხულობით შენობებში ტემპერატურა ხელოვნურად აჭყავთ 60 გრადუსამდე ფარენჰეიტით, ხოლო ზამთრობით - 90 გრადუსამდე. ასე რომ, ჩემისთანა გამოსუსწორებელი რეტროგრადები იძულებულნი არიან, ბაფხულში სიცივეს გაექცნენ და ზამთარში - სიცხეს და ქუჩას შეათარონ თავი. არც ავტომობილები უნდა დაგვაფიქედეს, იმდენად ეკონომიკური კი არა, რამდენადაც სოციალური აუცილებლობა რომაა დღეს და შორს აღარაა ის დრო, როცა საკმარისი იქნება, კაცობრიობა ერთდროულად შეჩერდეს, შეწყვიტოს მოძრაობა, რომ მიწის ზედაპირი გამაგრდეს, გამყარდეს და ერთ მთლიან მასად გადაიქცეს: ჩვენ მეტისმეტად ბევრნი ვართ; ადამიანთა მოდგმა დაღუპვის პირასაა მისული და ამის მიზეზი არის არა საყოველთაო გათიშულობა, არამედ საყოველთაო შერწყმა-შეერთება. ეს უბრალო რამ არ გეგონოთ, თავად ეს არსებობის ლიბო და საძირკველია. მე ვვფიქრობ, მაგრამ შენ შეიძლება მოესწრო იმ დღეს, როდესაც სასტიკი, სასოწარმკვეთი ეკონომიკური კი არა, სწორედ სოციალური ყოფა საზოგადოებას თავს მოახვევს ისეთ კანონს, რომელიც ქალს მხოლოდ ერთი შვილის ყოლის უფლებას მისცემს, ისევე, როგორც ახლა ერთქმრიანობის უფლება აქვს).

მაგრამ ზამთარში, რაღა თქმა უნდა, საქმე სხვაგვარად იყო: მწყერზე ნადირობის დრო მოდიოდა, იმართებოდა დიდი ეროვნული გამოფენა. ჩრდილოეთიდან ჩამოდიოდნენ ნავთობისა და ხორბლის ბიზნესის უოლსტრითელი, ჩიკაგოელი და სასკაჩევანელი მაგნატები, ჩამოჰყავდათ ჯიშისანი ძაღლები, რომელთა ჩამომავლობა უფლისწულებსაც კი შეშურდებოდათ; დიდებული სადგომები აეგოთ ამ ოთხფეხთათვის იქ, სადაც ახლა ავტომობილით მისვლა სულ რამდენიმე წუთში შეიძლება - რედ-ბენქსში, მიჩიგანსიტიში, ლა-გრენჯსა და ჯერმანტაუნში; და სახელები - პოლკოვნიკ ლინსკომისა, რომლის ცხენის წინააღმდეგაც (ჩვენი

ვარაუდით) ხვალ უნდა გამოვსულიყავით, ჰორას ლიტლისა და ჯორჯ პეიტონისა, ისეთივე მაგიური იყო მეძებარი ძაღლების მოყვარულთათვის, როგორც ბეისბოლის თაყვანისმცემლებისთვის - ბები რუტისა და ტაი კობისა; ხოლო ჰიკორიფლეთელი ბ-ნი ჯიმ ევანტი და ბატონი პოლ რეინი, რომელიც, ჯეფერსონის მიმართულებით პოლკოვნიკ სარტორისის რკინიგზით რომ გემგზავრათ, პარშემიდან რამდენიმე მილის დაშორებით ცხოვრობდა, - ორივე ეს ძაღლთმცოდნე (ეჭვი მაქვს), სუფთა სისხლის პოინტერებისა და სეტერების პატრონთა შორის, მიყრუებული მხარის ბინადრებად გრძნობდა თავს; ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა ეს ვეებერთელა, უთავბოლოდ აგებული სასტუმრო, გადავსებული ელეგანტური სტუმრებითა და მსახურებით; დარბაზი ფერადი ლენტებით მოერთოთ და მოეკაზმათ და სადაც გაიხედავდი, ყველგან ვერცხლის თასები მოგხვდებოდა თვალში და თითქოს ჰაერი გაჟღენთილი იყო კუპიურების სურნელით.

ახლა კი არავინ იყო. წყნარ, ცარიელ ქუჩას მაისის მტვერი დასდებოდა (ექვსს გადაცილებული იყო უკვე და პარშემელები ვახშობდნენ ან ვახშმის თადარიგს იჭერდნენ). ოტისიც აღარსად ჩანდა, თუმცა ალბათ სადღაც იყო შემძვრალი. ჩემდა გასაოცრად, ბუტჩიც გამქრალიყო. კარამდე მოგვიყვანა, გადმოგვსხა და წავიდა. თუმცა კი იმდენ ხანს შეყოვნდა, რომ ევერბისთვის დამცინავი, ღვარძლიანი მზერა მიეპყრო, მერე ბუნსაც მისწვდა მისი კიდევ უფრო ღვარძლიანი, გამქირდავი თვალი, და ასე თქვა: - დარდი ნუ გაქვს, კაცო, მალე დავბრუნდები, თუ რამე მოსაგვარებელი გაქვს, ჩემს დაბრუნებამდე მოაგვარე, თორემ შეიძლება, ხელი შეგეშალოს, - და წავიდა. ერთი სიტყვით, ის ახლა იქ მიდიოდა, სადაც ხანდახან უნდა ყოფილიყო - სახლში; მე კი ისევ გამოუცდელი ბრიყვი ვიყავი (მთლად ისეთი არა, როგორიც ამ ოცდაოთხი საათის წინ, მაგრამ მაინც), ოღონდ მე ბუნის მხარე მეჭირა, მისი ერთგული ვიყავი, ევერბისაც, რაღა თქმა უნდა; ჰოდა,

გუშინდელს მერე თავს იმდენი გადამხდა (შევძელი თუ არა ამის გადახარშვა, ეს სულ სხვა ამბავია), რომ ზუსტად ვიცოდი, რად მინდოდა, ცოლი ჰყოლოდა მასსახლში, დედათა მონასტრიდან მოტაცებული უმწიკვლო ქალი, და ამ უმწეო, უქომაგო არსების ღალატით კიდევ ერთი ბრალდება დაემატებინა თავისი უგვანო ცხოვრებისთვის; ანდა, იქნებ ჯობდა, ცბიერი დედაკაცი ჰყოლოდა ცოლად, რომელიც იმით ახერხებდა მის შენარჩუნებას, რომ დროდადრო უკიჟინებდა, ამასთან და ამასთან მღალატობო, იმიტომ, რომ ამ კაცისთვის სიძვიტ მოპოვებული სიამოვნების ნახევარი შესაძლოა, მსხვერპლის სახელის საქვეყნოდ გამოჭენება იყო. მაგრამ ვცდებოდი - მას ცოლი არ ჰყავდა.

ოტისი ვერც შიგნით ვნახეთ, მხოლოდ მმართველის მოვალეობის შემსრულებელი იყო ვესტიბიულში, სადაც სანახევროდ შალითაგადაკრული ავეჯი იდგა, და კიდევ, ერთი დროებით აყვანილი ოფიციანტი, ხელსახოცს რომ იქნევდა რესტორნის კარში მდგომი. აქ კი ავეჯი მთლიანად შეეფუთათ, მხოლოდ ერთი მაგიდა იყო დარჩენილი, რათა მასპინძლობა გაეწიათ ისეთი უსახელო სტუმრებისთვის, ჩვენ რომ ვიყავით. ოტისი კი არსად ჩანდა.

- სადაც უნდა, იქ იყოს, - ჩაილაპარაკა ბუნმა, - მაგრამ ეშმაკმა უწყის, რას ჩაიდენს.

- რა უნდა ჩაიდინოს, - მიუგო ევერბიმ, - ბაღლია ჯერ კიდევ.

- მართლაც, - ბუნმა უთხრა, - ერთი პატარა, შეიარაღებული ბაღლია. ჰოდა, გაიზრდება და შეიძლება, კიდევ მოიპაროს...

- გაჩერდი, - თქვა ევერბიმ, - უფლებას არ მოგცემ...

- კარგი, კარგი, - უთხრა ბუნმა, - მოიპაროს კი არა, იპოვოს-მეთქი იმდენი ფული, რომ ნამდვილი დანა იყიდოს, ჯაყვა დანის ნაცვლად, და თუ ვინმე მისკენ ზურგით მიტრიალდება, ძველებური ჯაჭვის პერანგი უნდა ეცვას, ისეთი, მუზეუმებში რომ გვინახავს. რაღაც უნდა გითხრა, - მიუბრუნდა ევერბის, - ვახშამი იქნება მალე. მერე მატარებელს უნდა დავხვდეთ. სამკერდე ნიშნით

დამშვენებული ულაციც სადაცაა, ჭიხვინ-ჭიხვინით შემოჯირით-
დება. - მკლავზე ხელი წაავლო, - წავიდეთ!

ბუნი რასაც ამბობდა, მინდოდა თუ არა, ყველაფერი მესმოდა, სხვა გზა არც მქონდა, რადგან ევერბი უჩემოდ არსად არ მიჰყვებოდა. ჩვენ - ისინი - ქალების სასტუმრო ოთახისკენ გავეშურეთ. ბევრი დრო აღარც გვექონდა, უნდა გვევახშმა და მერე სადგურში წავსულიყავით მის რეზას დასახვედრად. სასტუმროებში იმხანად ქალები ისე ადვილად ვერ შერბოდნენ ჯენტლმენებისას. როგორც გაგონილი მაქვს, ახლა შერბიან, მაშინაც კი, როცა, ესეც მაქვს გაგონილი, აცვიათ მხოლოდ ის, რაც, რეკლამების მიხედვით, შორტები თუ ტრუსებია და რაც ქალებს თავისუფლებას ანიჭებს თავისუფლებისათვის ბრძოლაში; მართალი თუ გინდა, სასტუმროში მანამდე არასოდეს მენახა მარტოდმყოფი ქალი (დედაჩემის თანმხლები იქ ყოველთვის მამაჩემი იყო) და მახსოვს, გაოცებული ვიყავი, როგორ შეძლო ევერბიმ იქ მოხვედრა საქორწინო ბეჭდის გარეშე. ყველა სასტუმროში იყო ქალების ოთახი, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ ვიყავით ახლა, შედარებით მომცრო, მაგრამ უფრო კოხტად გაწყობილი დარბაზი, თითქმის მთლიანად ტილოს შალითებში ჩასმული ავეჯით. მაგრამ მე მაინც ბუნის მხარეზე ვიყავი; ოთახში არ შევსულვარ, კარს უკან დავდექი. ევერბიმ იცოდა, სადაც ვიყავი და, თუმცა ვერ მხედავდა, შეეძლო, ჩემთვის მოეხმო. ჰოდა, ყველაფერი მესმოდა, დიახ, ყურსაც ვუგდებდი. სხვა რა გზა მქონდა, ყური უნდა დამეგდო სწორედ. კარგა მაგრად შორს შევეტოპე ცდუნებისა და ცხოვრების შეცნობის გზაზე, ისევე, როგორც ძალზე შორს შევეტოპე მანქანებისა და ცხენების ქურდობაში, და ახლა უკან ველარ დავიხევდი. მესმოდა მათი ხმები, ჯერ ევერბისა, იმ წუთასვე კვლავ რომ ატირდა:

- არა, არ მინდა, თავი გამანებე!

მერე ბუნისა:

- კი, მაგრამ რატომ? მიყვარხარო, ხომ მეუბნებოდი, თუ მატყუებდი?

მერე ევერბისა:

- მიყვარხარ და სწორედ ამიტომ. თავი გამანებე! გამიშვი! ლუციუს, ლუციუს!

მერე ისევ ბუნისა:

- გაჩუმდი, გაჩუმდი! - მერე ერთი წუთი აღარაფერი გამიგონია. არ ვიყურებოდი, ოთახში არ ვიჭვრიტებოდი, მხოლოდ ყურს ვუგდებდი. უფრო სწორად - მესმოდა: - თუ შენ იმ პოლიციელზე გამცვალე, მაშინ... - შემდეგ ისევ ევერბის ხმა გაისმა:

- არა, არა! არა-მეთქი!

მერე ველარ გავარჩიე სიტყვები, ვიდრე ისევ ბუნმა არ თქვა:

- რაო? შევეშვიო? რას ამბობ, რას შეეშვი?

მერე ევერბიმ:

- დიახ! შევეშვი! მეტად აღარ, აღარასოდეს!

მერე ბუნმა:

- თავს როგორ შეინახავ? ჭამა არ გინდა ან თავშესაფარი?!

მერე ისევ ევერბიმ:

- სამუშაოს ვიშოვი, მუშაობა შემიძლია.

- რა შეგიძლია, ჩემსავით გაუნათლებელი ხარ. თავის რჩენას როგორ შეძლებ?

- თეფშებს გავრეცხავ. სარეცხის რეცხვა შემიძლია, დაუთლება. შემიძლია საჭმლის გაკეთება ვისწავლო. რაღაცას მოვახერხებ. ბარვას შევძლებ, ბამბის კრეფასაც. ბუნ, თავი დამანებე, გეხვეწები, გეხვეწები! რაღაც უნდა ვილონო. ნუთუ ვერ ხედავ, რა დღეში ვარ? - მერე ფეხის ხმა მომესმა, თუმცა სქელი ნოხი ეფინა იატაკზე. ევერბი ქალების ოთახიდან გაიქცა. ამჯერად ბუნი წამადგა თავს. სახედაღრეჯილი მიმზერდა. ნედი უფრო ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, დოლილა აწუხებდა, მეტი არაფერი.

- აბა, ერთი შემომხედე, - ბუნმა თქვა, - აბა, ერთი კარგად შემომხედე. ცუდი ბიჭი ვარ? ეშმაკმა დალახვროს, განა ასეთი რა უბედურება მჭირს, რომ ეს გოგო ახლა ზედაც აღარ მიყურებს? - სახე მოღრეცოდა, თითქოს სადაცაა იფეთქებდა. მერე ისევ განაგრძო, - და რაღა მაინცდამაინც მე დამიბრძოდა, ბედი არ გინდა? დასწყევლოს ეშმაკმა, მე რომ დამინახა, მაშინ მოუნდა გამოსწორება? თუ დაავიწყდა, ქვეყნის ნათრევი რომ არის?! ფულს იმიტომ ვუხდი, რომ ჩემი საკუთრებაა, სანამ მის გვერდით ვარ. სწორედ ისევე, როგორც მე მიხდინან ფულს იმისთვის, რომ პატრონისა და ბატონი მორის საკუთრება ვარ. მაგრამ ახლა გაიძახის, მეტი აღარო. მორჩა და გათავდა, აღარ შემიძლია, თავი უნდა დავანებო! მე აღარ მეკითხება? უჩემოდ ვერაფერსაც ვერ დაანებებს თავს, ისევე, როგორც მე ვერ დავანებებ თავს სამუშაოს პატრონსა და ბატონ მორისთან შეუთანხმებლად, - შეჩერდა, გამძვინვარებული, სახეშეშლილი, გადაფითრებული, მთლად უმწეო და, უფრო მეტიც - თავბარდაცემული. კარში ზანგი ოფიცინტი იდგა და ხელსახოცს იქნევდა. ბუნმა ძლივს შეძლო თავის დაოკება; ნედს კი თავი მხოლოდ იმ დოლით ჰქონდა გამოჭედული და მეტი არც აღარაფერი ადარდებდა. ბუნმა მითხრა: - წადი და უთხარი, ვახშმად მოვიდეს, ცოტა დრო დაგვრჩა, მატარებელს უნდა დავხვდეთ. მეხუთე ოთახშია.

მაგრამ ევერბი ოთახიდან არ გამოვიდა, მარტო ვივახშმეთ მე და ბუნმა. ისევ ისე სახედაღრეჯილი იყო. ხორცს ღეჭავდა, უფრო სწორად, კეპავდა, როგორც ხორცის მანქანა, რომელმაც მადა და უმადობა არ იცის, ჩააყრიან და იმან თავისი საქმე უნდა ქნას. ცოტა ხნის მერე ვუთხარი:

- იქნებ ის ბიჭი ფეხით დაადგა არკანზასის გზას. ორჯერ თუ სამჯერ აქვს ნათქვამი დღეს, თავი რომ დაგენებებინათო, ახლა უკვე დიდი ხანია, იქ ვიქნებოდით.

- მართალია, - თქვა ბუნმა, - შეიძლება, იმიტომ გაგვისწრო, ევერბის ჭურჭლის მრეცხავის ადგილი უშოვოს ან იქნებ თავადაც გამოსწორდა უკვე და ორივენი ისე ამოყოფენ ზეცაში თავს, არკანზასში ან კიდევ სხვაგან სადმე არც გაჩერდებიან. ჰოდა, ალბათ გზის დასაზვერად დაწინაურდა, მემფისს შეუმჩნევლად რომ ჩაუარონ.

წასვლის დრო მოახლოვდა. ერთი-ორი წუთი იყო უკვე, იმ გოგოს კაბის კალთას ვხედავდი სასადილო ოთახის კარიდან. ახლა ის ოფიციალტიც შემოვიდა.

- ორ საათსა და რვა წუთზე გამოსულმა მატარებელმა, - გვითხრა, - სწორედ ახლახან პირველი მილის გადასასვლელთან ჩაიქროლა.

სადგურისკენ გავსწიეთ, შორს არ იყო. სამივენი მეგობრულად მივდიოდით, როგორც შეეფერება ადამიანებს, ერთ სასტუმროში რომ ათევენ ღამეს. იმის თქმა მინდა, ჩვენ - ისინი - უკვე აღარ ვჩხუბობდით; ჩვენ - ანუ მათ - შეგვეძლო, ერთმანეთთან საუბარი გავგება, მშვიდი და წყნარი. ევერბის შეეძლო ასე, თუკი ბუნი პირველი ეტყოდა რამეს. უკვე ახლოს ვიყავი, ლიანდაგი უნდა გადაგვევლო და ბაქანსაც მივადგებოდით. მატარებელიც გამოჩნდა. ორივენი (ბუნი და ევერბი) ისე მიდიოდნენ, თითქოს ერთმანეთთან იყვნენ გადაჯაჭვულნი და ამავე დროს, დაცილებულნი, გაუცხოებულნი და გათიშულნი, თუმცა კი მრავალი უხილავი ძაფით დაკავშირებულნი, და ველარაფერი დააშორებდა, მით უმეტეს, როგორც ბუნი ფიქრობდა, უბრალო ჭირვეულობა. მიუხედავად ასაკისა, ის (ბუნი) გამოცდილებითა და ჭკუა-გონებით ვერ დაიკვეხნიდა და ამ მხრივ სულაც არ იყო ჩემზე უფროსი, და არც კი უწყოდა, ქალებმა არა მარტო ჭირვეულობა იციან, არამედ მერყევიც არიან და ილუზიების ტყვენი, ზოგჯერ შეიძლება, წინამდებარე ჯირკვლის პრობლემით შეწუხებულნიც. მატარებელმა, ორთქლმავალმა სტვენიტა და გრუხუნით ჩაგვიარა, სამუხრუ-

ტე ხუნდებმა ნაპერწკლები შემოგვაფრქვია. ექსპრესმა თანდა-თან სვლა შეანელა. გრძელი შემადგენლობა იყო: სატვირთო ვაგონები, ვაგონი მწვეველთათვის, რომლის ნახევარიც ზანგებისთვის იყო განკუთვნილი, დასაჯდომი და საძილე ვაგონების დაუსრულებელი წყება, დაბოლოს - ვაგონ-რესტორანი. ეს სემ კოლდუელის მატარებელი იყო, და თუ ევერბიმ და ოტისმა პარშემამდე სამსახურებრივი ვაგონით იმგზავრეს, მის რება პრეზიდენტის პირად ვაგონში თუ არა, ვაგონ-სალონში მაინც უნდა ყოფილიყო. მატარებელი გაჩერდა, როგორც იქნა, თუმცა არც ერთი კარი არ გაღებულა, არც თეთრქურთუკიანი მებარგული გამოჩენილა და არც გამცილებელი, თუმცა, რაღა თქმა უნდა, სემი რომელიღაც სარკმლიდან იმზირებოდა, ჩვენ დაგვეძებდა. და უცებ ბუნმა დაიძახა: დასწყევლოს ეშმაკმა, მწვეველთა ვაგონში არიანო, და გაიქცა. მერე ყველამ დავინახეთ, შორს იყვნენ. ფორმაში გამოწყობილი სემი ჩამოსვლაში ეხმარებოდა მის რებას, რომელსაც კიდევ ერთი ქალი ჩამოჰყვა, მაგრამ იგი მწვეველთა ვაგონიდან არ გადმოსულა, არამედ იქიდან, სადაც ზანგების ნახევარი იყო და რომლითაც ისინი მგზავრობდნენ. ეს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს მიმავალი ჩქარი მატარებელი იყო, რბილად რომ დაქროდა დედამიწაზე და დაჰყავდა ბრილიანტებით მორთული ქალები და პირში დოლარიან სიგარაგაჩრილი მამაკაცები. მატარებელი კვლავ დაიძრა, საფეხურზე მდგომმა სემმა ხელის დაქნევალა მოასწრო. სულ მალე დაპატარავება დაიწყო, აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა მომცრო ორთქლის ქულების ფრქვევითა და გაუთავებელი გუგუნით. ბოლოს სულ მთლად დაპატარავდა, ჩვენ წითლად მოციმციმე წყვილ მანათობელსლა ვხედავდით და ისიც მალე მიეფარა თვალს. წიდამოყრილ სავალზე, საკვოიაჟებსა და ჩანთებს შორის, ორნი დარჩენილიყვნენ: მის რება, თავდაჯერებული, მშვენიერი, და მის უკან მინი, სიკვდილივით შემზარავი.

- უბედურება მოგვივიდა, - თქვა მის რებამ, - სასტუმრო სად არის? - სასტუმროში წავედით. გაჩირაღდნებულ ვესტიბიულში უკვე კარგად ვხედავდით მინის. არა, სიკვდილივით შემზარავი არ იყო იგი - სიკვდილი სიმშვიდეა, მინის მაგრად მოკუმული ტუჩები და დაძაბული, ჩაფიქრებული სახე კი არც არავის უქადდა სიმშვიდეს. სასტუმროს მმართველი შემოვიდა, - ქალბატონი ბინფორდი ვარ, - უთხრა მის რებამ, - ჩემი დეპეშა თუ მიიღეთ: ჩემს ოთახში დაუდგით-მეთქი ჩემს მოახლეს საწოლი.

- დიახ, ქალბატონო ბინფორდ, - მმართველმა მიუგო, - მაგრამ ჩვენ ცალკე განყოფილება გვაქვს მსახურთათვის თავისი სასადილოთი...

- გაქვთ და გქონდეთ, - უთხრა მის რებამ, - მე გეუბნებით, ჩემს ოთახში დაუდგით-მეთქი საწოლი მოახლეს, მინდა, გვერდით მყავდეს. მისაღებში დავიცდით, რაც გითხარით, მომიგვარეთ. საითაა? - მაგრამ საითაც იყო ქალების სასტუმრო ოთახი, თავად მიხვდა და ჩვენც გავყევით.

- სად არის? - იკითხა.

- ვინ? - ჰკითხა ევერბიმ.

- თავადაც მშვენივრად იცი, - უთხრა მის რებამ, და უცებ მივხვდი, ვისაც გულისხმობდა, წამიც და იმასაც მივხვდებოდი, რაც მოხდა, მაგრამ ველარ მოვასწარი. მის რება დაჯდა. შენც დაჯექიო, უთხრა მინის. მინი არც კი განძრეულა. - კარგი, - უთხრა მის რებამ, - მოუყევი ამათ. - მინიმ გაგვიღიმა: რაღაცა შემზარავი ღრუ გამოჩნდა, თითქოს მტაცებელს დაუღიო პირი: დიდებული, უზადო კბილების რკალი გამოერღვია ენით უთქმელი ტანჯვით აღსავსე ჩაშავებულ ხერელს, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ოქროს კბილი ბზინავდა. ახლა კი მივხვდი, რატომ გაიძურწა ოტისი პარშემიდან, უნდა გასცლოდა იქაურობას, თუნდაც სულ ფეხით ევლო არკანზასამდე. ჰოდა, მაშინ, ორმოცდათექვსმეტი წლის წინ, მეც

შენსავით თავზარი დამეცა, შევეძრწუნდი და თვალს არ ვუჯერებდი, ვიდრე მინიმ და მის რეზამ არ გვიამბეს ყველაფერი.

- ის იყო! - თქვა მინიმ, - მეტი ვინ უნდა ყოფილიყო! იმ დროს გამომაცალა, როდესაც მეძინა!

- რა ჯანდაბაა, - ასე თქვა ბუნმა, - ვილაცამ პირიდან კბილი გამოგაცალა და შენ ვერც ვერაფერი გაიგე?

- ეშმაკმა წაგიღოს, ყური დამიგდე, - უთხრა მის რეზამ, - მინის შეკვეთით ისეა ის კბილი გაკეთებული, რომ შეუძლია ჩაიდგას და ამოიღოს კიდევაც. წელეებზე ფეხს იდგამდა, დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული. რამდენი ხანი აგროვებდა? სამი წელიწადი, ხომ, მინი? დაბოლოს შეძლო, იმდენი მოაქუნა, რომ თავისი კბილი ამოაღებინა და სამაგიეროდ, ღვთისგან დაწყევლილი ოქროსი ჩაასმევინა. ჰოი, რამდენს ვეჩინებოდი, საკუთარი ნებით როგორ უნდა შეამუსრინო ასეთი ბროლივით კბილები, თითოეულში სხვა შენს ადგილას ათას დოლარს მისცემდა და მთელ თავის სარჩო-საბადებელსაც ზედ დაუმატებდა-მეთქი. იმას აღარ ვამბობ, რა ფული დაუჯდა, ჭამის წინ მისი ამოღება რომ შესძლებოდა...

- ჭამის წინ ამოღებო? - ბუნმა იკითხა, - რა ეშმაკად უნდოდა, რაღად უფრთხილდებოდა ასე?

- დიდხანს ვოცნებობდი ასეთ კბილზე, - მიუგო მინიმ, - თავს არ ვზოგავდი, ფულს ვაგროვებდი, ყველას დამატებით სამუშაოს ვთხოვდი, ჰოდა, ღეჭვასა და ნერწყვს ხომ არ გავაფუჭებინებდი.

- ჰოდა, ჭამის წინ ამოიღებდა ხოლმე, - თქვა მის რეზამ, - და სწორედ თეფშთან დაიდებდა, თვალი რომ არ მოეცილებინა. არა მარტო დარაჯობდა, ტკბებოდა კიდევ მისი მზერით, მაგრამ მას მაშინ არ აუცლია. მინი ამბობს, რომ უკანვე ჩაიდგა საუბმის შემდეგ, და მეც მჯერა მისი. არც არასდროს ავიწყდებოდა, რადგანაც ის კბილი იყო მისი სიამაყე, განძი ფასდაუდებელი, და კარგადაც უნდა მოევლო; თქვენ დაგავიწყდებოდათ, სადმე რომ დაგეყენე-

ბინათ თქვენი წყეული ცხენი, რომელიც ალბათ იმ ოქროს კბილ-
ზე ათასჯერ ძვირი დაგიჯდათ?!

- სულ მახსოვდა, არც არასდროს დამვიწყებია, - თქვა მინიმ, -
როგორც კი ვჭამე, უკანვე ჩავიდგი, ნამდვილად მახსოვს, ოღონდ
ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდიოდა, ისეთი დაღლილი ვი-
ყავი...

- მართალია, - თქვა მის რებამ, ახლა ევერბის მიმართავდა, -
მეც ძლივს ვიდექი ფეხზე, როდესაც წუხელ სადგურიდან დაბრუნ-
დით. მხოლოდ გამთენიის ხანს მოვედი ცოტათი გონს და ვთქვი,
კმარა-მეთქი. მზე უკვე ამოსული იყო, მინის რომ ვუთხარი, მოდი,
ერთი ჯინი გადაკარი, მერე ნახე, სადარბაზოს კარი დაკეტილი
თუ არის და დაწექი-მეთქი. თავად კი ზევით ავედი და ჯეკი გავაღ-
ვიძე, გავაფრთხილე, იცოდე, ვინც უნდა რქიანი ნაბიჭვარი მოვი-
დეს სენტ-ლუისის სამხრეთიდან და ბრახაბრუხი ატეხოს, საღა-
მოს ექვს საათამდე კარი არავის გაუღო-მეთქი. ჰოდა, მინი წავი-
და და დაწვა იმ თავის საკუჭნაოში, აივნის უკან. თავიდან ვფიქ-
რობდი, ალბათ კარი არ ჩაკეტა-მეთქი...

- რაღა თქმა უნდა, ჩავკეტე, - თქვა მინიმ, - იქ ხომ ლუდი
გვაქვს შენახული, სულ ვკეტავ მას შემდეგ, რაც ის ბიჭი ჩამოვი-
და, რადგან გასულ ზაფხულს სტუმრად რომ იყო ჩვენთან, თავი
ცუდად დამამახსოვრა.

- ასე იყო სწორედ, - თქვა მის რებამ, - მუხლმოკვეთილს
მკვდარივით დაეძინა იმ თავის საწოლზე, კარი ჩაკეტილი ჰქონ-
და და რას იფიქრებდა, ვიდრე არ...

- გამოვიღვიძე, - თქვა მინიმ, - ქანცგაწყვეტილსა და ღონეგა-
მოლეულს მკვდარივით მეძინა და ძლივს გამოვფხიზლდი. ვწე-
ვარ და ვგრძნობ, პირში რაღაც მჭირს, თითქოს რაღაც მაქვს გაჩ-
ხერილი, არადა, ვფრთხილობ ხოლმე ჭამისას. ავდექი, სარკვეს-
თან მივედი და რომ ჩავიხედე...

- მიკვირს, ჩატანუგაში როგორ ვერ გაიგონეს მისი კვილი, პარშემზე აღარაფერს ვამბობ, - თქვა მის რებაამ, - კარი კი ისევ დაკეტილი იყო...

- ის იყო! - დაიწივლა მინიმ, - ვიცი, ის იყო. ყოველდღე მომადგებოდა და მეკითხებოდა, რა ღირს, რატომ არ ყიდიო, რამდენს მოგცემენ ან სად წაიღებდი გასაყიდადო...

- მართალია, - თქვა მის რებაამ, - გარეულ კატასავით იმიტომაც ჩხაოდა ამ დილას, როდესაც ვუთხარი, სახლში კი არა, პარშემს უნდა წამოხვიდე-მეთქი ჩემთან ერთად, - ახლა ევერბის ეუბნებოდა იგი. - და როდესაც ორთქლმავლის კვილი გაიგონა, ადგა და გაიპარა, ხომ ასეა? შენი აზრით, სად უნდა იყოს? მინის ის კბილი უსათუოდ უნდა დავუბრუნო.

- არ ვიცი, - მიუგო ევერბიმ, - ეტლიდან გაქრა დაახლოებით ექვსის ნახევარზე, მერე აღარც გვინახავს. გვეგონა, აქ დაგვხვდებოდა, აბა, სხვაგან სად უნდა წასულიყო, მაგრამ ჯერ ვერსად ვნახეთ.

- კარგად არ მოგიძებნიათ, - თქვა მის რებაამ, - იმას სტვენით ვერ გამოიტყუებთ, ცეცხლი უნდა შეუთოთ, როგორც ვირთხას ან გველს, თუ გინდათ, სამალავიდან გამოვიდეს. - სასტუმროს მმართველი დაბრუნდა. -

რაც გთხოვეთ, მომიგვარეთ? - ჰკითხა მის რებაამ.

- დიახ, ქალბატონო ბინფორდ, - მიუგო მან. მის რება ადგა.

- მინის დავაბინავებ და იმასთან დავრჩები, ვიდრე არ დაიძინებს. მერე კი ვახშამზე უარს არ ვიტყვოდი, - ასე უთხრა სასტუმროს მმართველს, - სულერთია, რაც უნდა იყოს.

- ცოტა გვიანია, - თქვა მმართველმა, - სასადილო დარბაზი უკვე...

- მერე კიდევ უფრო გვიანია იქნება, - უთხრა მის რებაამ, - რაც უნდა იყოს, მომიტანეთ, სულერთია. წამოდი, მინი! - ის და მინი გავიდნენ. მერე მმართველიც მიჰყვა მათ. ჩვენ კი იქვე დავრჩით,

არც ერთი ჩვენგანი არ დამჯდარა; ის - ევერბიც - ფეხზე იდგა; ამ ტანვეება გოგოს გარინდება უხდებოდა, ასევე - სევდაც, სანამ ასე იყო გარინდებული. თუმცა შეიძლება, ეს უფრო სირცხვილი იყო, ვიდრე სევდა.

- აბა, რა უნდა ენახა ან ესწავლა იმ ფერმაში, - ასე თქვა, - ჰო-და, ვფიქრობდი... გასულ ზაფხულს ერთი კვირით მოვაცილე იქაურობას, წელსაც, და თქვენ რომ ჩამოხვედით, როგორც კი ლუციუსი დავინახე, მაშინვე მივხვდი, სწორედ ასეთი მინდოდა ყოფილიყო ოტისი, ოღონდ ამას ვერ ავუხსნიდი, ვერც ვასწავლიდი. ვიფიქრე, თუკი ლუციუსთან დაცოფს-მეთქი ორ-სამ დღეს...

- რა თქმა უნდა, - მიუგო ბუნმა, - მისი აღზრდა გინდა. - მერე მიუახლოვდა, მაგრამ გულში არ ჩაუკრავს, ამჯერად არც წაჰკარებია. ზურგზე ხელი დაჰკრა, თითქოს მაგრადაც, ტლანქად, სწორედ ისე, როგორც ბუტჩმა დაჰკრა მას ბიძია პარშემისას, მაგრამ მხოლოდ ჩანდა ასე. - არა უშავს, - ასე თქვა, - რას იზამ, შენ მხოლოდ მისი სიკეთე გინდოდა, მეტი არაფერი. ახლა კი წამოდი...

ოფიციალტი გამოჩნდა ისევ.

- თქვენი მეეტლე სამზარეულოშია, სერ, ამბობს, რაღაც უნდა ვუთხრაო აუცილებლად.

- ჩემი მეეტლე? - ჰკითხა ბუნმა, - მე მეეტლე არ მყავს.

- ნედი უნდა იყოს, - ვუთხარი და კარისკენ გავეწიე. ევერბი ბუნს დაასწრო და უკან მომყვა. სუყველანი სამზარეულოში გავყევით ოფიციალტს. ნედი ლამის ზედ მიტმასნოდა მზარეულს, ზორბა ზანგის ქალს, ბაკანთან რომ იდგა და თეფშებს ამშრალებდა. ასე ეუბნებოდა:

- ფულის დარდი ნუ გაქვს, ლამაზო. მე სწორედ ის ვაცი ვარ...

- მაგრამ დავგინახა და წამსვე ამოიკითხა ბუნის ფიქრები, - ნუ ღელავ, პასემებთან არის. ახლა რაღა დააშავა?

- ვინ? - ჰკითხა ბუნმა.

- ოტისზე გეუბნები, - ვუთხარი, - ოტისი უპოვია.

- როდის დავკარგე, რომ მეპოვა?! - თქვა ნედმა. - ბიძია პასემის ძაღლებს სად დაემალეობოდა?! საქათმის უკან აკაციის ხე რომ დგას, იმაზე შეაგდეს ამ ერთი საათის წინ, მერე ლიკურგემ ჩამოიყვანა იქიდან. ჩემთან წამოსვლა არ მოისურვა. ეტყობა, არსადაც არ აპირებს წასვლას. ამჯერად რაღა ჩაიღინა? - მოვუყევით.

- ის გოგოც აქ არის ახლა? - წყნარად ჩაიციხა, ხი-ხი-ხიო. ბოლოს ასე დაუმატა, - მაშინ იმას პასემებთან ველარ ჩავუსწრებ.

- ეს როგორ? - ჰკითხა ბუნმა.

- შენ მის ადგილას რომ ყოფილიყავი, თუ დარჩებოდი? - თქვა ნედმა. - ახლა მან იცის, გოგომ უკვე გაიღვიძა და კიდევაც მოისაკლისა კბილი. ისიც იცის, მის რება ქვეყანას შეძრავს და მანამ არ დაწყნარდება, სანამ არ დაიჭერს, ფეხებით არ დაჰკიდებს და იმ კბილს არ გააგდებინებს. თავად ვუთხარი, სადაც მივდიოდი ჯორით, ჰოდა, კი ეტყოდა ვიღაცა, როდის ჩამოდის მატარებელი, და იმასაც, რამდენი ხანი სჭირდება სადგურამდე მისვლას. ის კბილი რომ აგეწაპნა, შენ იქ დარჩებოდი?

- კარგი, - უთხრა ბუნმა, - რას უპირებს?

- სხვა რომ ყოფილიყო, - ნედმა თქვა, - ამას ვიტყვოდი, სამი გზა აქვს-მეთქი: ან უნდა გაყიდოს, ან უნდა დამალოს, ან ვიღაცას მისცეს. მაგრამ, რადგან ვიცი, ვინც არის, ორიდან ერთს აირჩევს, ან გაყიდის, ან დამალავს და თუ დამალავს შეეცდება, მაშინ აჯობებდა, სულაც იმ გოგოს პირში ჩაეტოვებინა. ჰოდა, საუკეთესო გზა ეს არის, სასწრაფოდ გაყიდოს ის ოქროს კბილი მემფისში. მაგრამ მემფისამდე შორია, ფეხით ვერ ჩავა, მატარებელში უნდა ჩაჯდეს (ეს კი ფული ღირს, თუმცა შეიძლება, ფული აქვს კიდევ და არც დაიშუროს, რადგან ცუდ დღეშია), ამისთვის კი პასემს უნდა დაბრუნდეს. მაგრამ საშიშია, შეიძლება, ვინმემ დაინახოს. საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, ის კბილი ხვალ დოღზე გაყიდოს. მე და თქვენ რომ ვყოფილიყავით, კბილს უეჭველად ერთ-

ერთ ცხენზე ჩავიდოდით, მაგრამ ეგ ამას არ იზამს, რადგან ჩქარობს და არც საიმედოდ ეჩვენება. თუმცა ჩვენ სწორედ დოლიდან უნდა დავიწყოთ მისი ძებნა. კარგი იქნებოდა, ადრე გამეგო იმ კბილის შესახებ, სანამ ბიჭი ჩემ ხელთ იყო, დავტყუებდი როგორმე. ხვალ დილით, შვიდს რომ ოცი აკლია, ბატონი სემ კოლდუელი დასავლეთისკენ მიმავალი მატარებლით აქ ჩამოივლის, და ის ბიჭი ჩემი რომ იყოს, სადგურზე გავიყვანდი, ჩავაბარებდი ბატონ სემს და ვეტყოდი, ხელი არ გაუშვათ, ვიდრე არკანზასში მიმავალ პირველივე მატარებელზე არ დასვამთ-მეთქი.

- ხვალ შეძლებ იმის მოძებნას? - ჰკითხა ევერბიმ, - აუცილებლად უნდა ვნახო. ის ხომ ჯერ ბავშვია. მინის კი სხვა კბილს ვუყვდი. მაგრამ ჯერ ის უნდა ვნახო როგორმე. კი მეტყვის, არა მაქვს, თვალითაც არ მინახავსო, მაგრამ მე უნდა...

- კი, ბატონო, - უთხრა ნედმა, - მეც ასე მოვიქცეოდი. ვეცდები, მოვძებნო. ხვალ დილით ადრე ლუციუსის წასაყვანად გამოვივლი, მაგრამ ჯობს დოლის დაწყების წინ ადგილზე ვცადოთ ბედი. - მერე მე მითხრა: - ხალხი უკან დაიძრა პასემისკენ, ვითომდა ისე, სასხვათაშორისოდ, ყურები კი დაცქვეტილი აქვთ, ნეტავ ვის აქვს იმედი, რომ ეს ცხენი დოლზე გაიმარჯვებსო. ჰოდა, იცოდე, ხვალ ქვეყნის ხალხი მოგროვდება. გვიანია ახლა, უნდა დაწვე, მე კი პასემების ჯორი სახლში უნდა დავაბრუნო. ის თათმანი სადა გაქვს, ხომ არ დაგიკარგავს?

- ჯიბეში მაქვს, - ვუთხარი.

- არ დაკარგო, - გამაფრთხილა, - თორემ მარცხენა დარჩება კენტად, მხოლოდ მარცხენას კი, თუ მარჯვენაც არა გაქვს, ვერ ჩაიცვამ, ცუდი ნიშანია. - მიტრიალდა, თუმცა იქვე შეჩერდა - იმ გათქვირებულ დედაკაცს გულგრილად ვერ აუარა გვერდი; ასე ეუბნებოდა ახლა: - თუ გადავიფიქრე და ქალაქს დავრჩი ღამის გასათევად, მინდა ვიცოდე, საუბმე როდის გექნება მზად, ლამაზო.

- დილაუთენია, როცა შენი ჭაჭანებაც არ იქნება აქ, - გაეპასუხა მზარეული.

- ღამე მშვიდობისა ყველას! - თქვა ნედმა და წავიდა. ჩვენ სასადილო დარბაზში დავბრუნდით, სადაც იმ ოფიციატმა, ახლა ჟილეტი რომ ეცვა და არც საყელო ეკეთა და არც ჰალსტუხი, მის რებას მოართვა ღორის კატლეტი, შვრიის ფაფა, ფუნთუშები და შავი მოცხარის მურაბა, ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვქონდა ვახშმად, არც მთლად ცხელი და არც მთლად ცივი, როგორც ამბობენ, შინაურულად, სწორედ ისე, როგორც თვითონ იყო ჩაცმული.

- დაიძინა? - იკითხა ევერბიმ.

- კი, - მიუგო მის რებას, - ის პატარა ნაბ... - შეჩერდა. - მაპატიეთ, - თქვა და განაგრძო, - მეგონა, რაღა არ მინახავს-მეთქი, ისეთ საქმიანობას ვეწევი. მაგრამ ჩემს დაწესებულებაში კბილს თუ მოიპარავდნენ, რას ვიფიქრებდი?! ასეთი პატარა და ასეთი გარეწარი, ნამდვილი გველის წიწილაა! დიდი გველისა არც უნდა გეშინოდეს, იცი, რაც არის მისგან მოსალოდნელი, პატარა კი უკნიდან მოგეპარება და დაგგესლავს, სანამ იმას მიხვდებოდე, რომ კბილები ჰქონია. ჩემი ყავა სად არის? - ოფიციატმა ყავა მოუტანა და წავიდა. და უეცრად ამ ვეებერთელა დარბაზში, სადაც შალითაგადაკრული ავეჯი იდგა, სივიწროვე ვიგრძენი; სწორედ ასე იყო ყოველთვის, როდესაც ბუნი და ბუტჩი ერთად აღმოჩნდებოდნენ ოთხკედელშუა, მაშინ ირგვლივ ყველაფერი დიდდებოდა, ერთი ათად იქცეოდა, ერთმანეთში ირეოდა და აღარაფრისთვის რჩებოდა ადგილი. ის - ბუტჩი - შეიძლება ისევ ექიმთან იყო ნამყოფი ან იქნებ სადმე სხვაგან, სადაც თუნუქის სამკერდენიშნიანის გაწბილებას ვერავინ გაბედავდა, უთუოდ მუქთად უნდა მოერთმიათ დასალევი. გვიანი იყო, დაღლილი ვიყავი, მაგრამ ის ისევ ჩვენთან მოვიდა, და უეცრად მივხვდი, რომ ჯერ კიდევ არ წარმოეჩინა ბოლომდე თავი და ყველაფერი ახლა უნდა დაწყებულიყო. კარში დაყუდებულიყო, მთლად ამოევსო,

თვალეები უტიფრად უელავდა, მხიარულ გუნებაზე ჩანდა, ლოყე-ბი კიდევ უფრო აღაჟღაჟებოდა და მის ოფლიან პერანგზე მიმაგრებული ის სამკერდე ნიშანიც გადმოკარკლული თვალივით მოგვჩერებოდა. თითქოს ის - ბუტჩი - ამ ნიშანს ატარებდა არა როგორც მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ოფიციალურ დასტურს, არამედ როგორც ბოისკაუტი თავის სამკერდე ნიშანს, ვითარცა ჭეშმარიტად თავგანწირულ ბრძოლაში მოპოვებულ იშვიათ ჯილდოს და ამავე დროს, სიმბოლოს მისი განსაკუთრებულობისა; აგრეთვე, მისი ნებისმიერი საქციელის დაუსჯელობისა, რაღაც მისტიკური არილით რომ არის გარემოცული. იმავე წამს ევერბი წამოხტა, მაგიდას შემოურბინა და გვერდით დაუჯდა მის რეზას, ვისაც კარში ასვეტილი ბუტჩი თვალს არ აცილებდა. ჰოდა, მაშინ ბუნი უკან გადაწვიე და პირველ ადგილზე ევერბი დავაყენე, რადგან მას უფრო მეტი საბრუნავი ჰქონდა: ბუნს მხოლოდ ბუტჩი ადარდებდა, ხოლო ევერბის - ორივენი ერთად - ბუნიცა და ბუტჩიც.

- კარგი, კარგი, - თქვა ბუტჩმა, - მთელი კატალპა-სტრიტი აქ, პასემს ჩამოეხეტა? - პირველად ასე მეგონა, მის რეზას მეგობარია ან იმასთან რაღაც საქმით მაინცაა დაკავშირებული-მეთქი. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ბუტჩს მისი სახელი აღარ ახსოვდა. მართალია, მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი, უკვე მესმოდა, რომ არიან ამქვეყნად ბუტჩისნაირები, რომ არავინ არ არსებობს მათთვის, გარდა იმათი, ვინც სჭირდებათ, უფრო სწორად, ვინც ამწუთას სჭირდებათ, ამწუთას კი კიდევ ერთი ქალი სჭირდებოდა (ყოველ შემთხვევაში, უარს არ იტყოდა), იმის დარდი აღარ ჰქონდა, ვინ იქნებოდა, ოღონდ კი მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა ყოფილიყო და მიმზიდველი. არა, კი არ სჭირდებოდა, თავის გზაზე გადააწყდა და რაღას იზამდა. როგორც ლომი, სხვა ლომთან რომ აპირებს შებმას ანტილოპას გულისთვის და დარწმუნებულია გამარჯვებაში (ლომზე და არა ანტილოპაზე გამარჯვებაში), ისეთი რეგ-

ვენი როგორ იქნება, რომ სხვა ანტილოპასაც არ გაჰკრას თათი, თუ შემთხვევით გადაეყარა ბილიკზე. თუმცა მის რება სულაც არ გახლდათ ანტილოპა - ბუტჩი ძუ ლომს გადასწყდომოდა თავის სავალზე. ჰოდა, ასე თქვა: - კარგია, ამ ჩვენმა ძმაბიჭმა ტვინი რომ გაანძრია. მე და იმას გასაყოფი რა გვაქვს, ორივენი ხომ ხორცის ერთ ნაჭერს არ დავუწყებთ ძიძვნას, როდესაც აქვე მეორეცაა, იმ პირველის დიდად მსგავსი, თუმცა კი ცოტათი სხვანაირტყავიანი, მაგრამ არა უშავს.

- ეს ვინლაა? - ჰკითხა მის რებამ ევერბის, - მეგობარია შენი?

- არა, - მიუგო ევერბიმ და მოიკრუნჩხა, არადა, ისეთი ტანვეება იყო, როგორღა უნდა მოკრუნჩხულიყო?! - გთხოვთ...

- ამის თქმა უნდა, - თქვა ბუნმა, - მეგობრები აღარ ჰყავს უკვე. სულაც აღარავინ არ უნდა, დაამთავრა თავისი მოღვაწეობა. წავაგებთ დოღს და წავა, გადაიკარგება სადღაც. მუშაობას დაიწყებს თეფშების მრეცხავად. თუ გინდათ, ჰკითხეთ.

მის რება ევერბის უმზერდა.

- გთხოვთ... - გაიმეორა იმან.

- თქვენ კი რაღა გნებავთ? - მის რებამ ჰკითხა ბუტჩს.

- არც არაფერი, - უთხრა ბუტჩმა, - რა უნდა მნებავდეს. მე და ჩვენი ძმაბიჭი ცოტა წავკინკლავდით, მაგრამ თქვენ გამოჩნდით და ყველაფერი მოგვარდა, უკეთესად რომ აღარ იქნება, ისე, - ევერბის მიუახლოვდა და მკლავზე ხელი წაავლო: - წავიდეთ, ეტლი სადარბაზოსთან დგას, თავს ნუღარ შევაწყენთ ამათ.

- აბა, ერთი მმართველი მომგვარე, - ხმამაღლა მითხრა მის რებამ, მაგრამ განძრევაც ვერ მოვასწარი; მანამდე კარისკენ რომ გამეხედა, აღბათ თვალს მოვკრავდი მის უკან მდგარ მმართველს. იგი მაშინვე შემოვიდა. - ეს არის უფროსი პარშემში? - ჰკითხა მის რებამ.

- რატომ მეკითხებით, ქალბატონო ბინფორდ? ბუტჩს აქ ყველა იცნობს, - მიუგო მმართველმა, - პარშემში უამრავი მეგობარი

ჰყავს, ისე კი ჰადუიკიდანაა, იქ არის უფროსად. კაცმა რომ თქვას, პარშემში ჩვენ უფროსი არცა გვყავს. ჯერ ამისი ღირსი არა ვართ და ალბათ, იმიტომ.

ბუტჩის ჩასუქებული სხეულის სიმხურვალე მისწვდა, გარს შემოეხვია მმართველს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ზღურბლზე გადმოაბიჯებდა, თითქოს ის - მმართველი - თავგვივით ჩაეფლო და ჩაიძირა ნაზ-ფაფუკ ამბრში. მაგრამ ბუტჩს ახლა ცივად და ბოროტად უელავდა თვალები.

- შეიძლება, იმიტომაცაა თქვენთან ყველაფერი უკუღმართულად, - უთხრა მან მმართველს, - შეიძლება იმიტომაც ტკეპნით ერთსა და იმავე ადგილს და წინ ვერ მიიწევთ, რომ უფროსის ხელი გაკლიათ.

- კარგი, ბუტჩ, - თქვა მმართველმა.

- მე მგონია, ყოველ გამვლელს შეუძლია, ქუჩიდან აქ შემოეხეტოს, სტაცოს ხელი ყმაწვილქალს, რომელიც კი თვალში მოუვა, და ლოგინზე წამოაქციოს, თითქოს საროსკიპო იყოს, - თქვა მის რებამ.

- წამოაქციოს ვინ? სად? - თქვა ბუტჩმა, - რით უნდა წამოაქციოს? ქალაღდის ორდოლარიანით?

მის რება წამოდგა.

- წამოდი, - უთხრა ევერბის, - დღეს კიდევ გადის ერთი მატარებელი მემფისში. მე ვიცი, ვინც არის ამ ბუნაგის პატრონი. ხვალ ვნახავ და დაველაპარაკები...

- კარგი, ბუტჩ, - თქვა მმართველმა, - დაიცადეთ, ქალბატონო ბინფორდ...

- წადი, შენს ადგილზე დაბრუნდი, ვირჯილ, - უთხრა ბუტჩმა მმართველს, - ნოემბრამდე ოთხი თველაა დარჩენილი, ვაითუ, უცებ ვიღაც მილიონერი შემოვიდეს თავისი ჯიშისანი მეძებრებითურთ; ვიღაც ხომ უნდა დახვდეს, რომ აჩვენოს, ხელი სად მოაწეროს. წადი-მეთქი, შინაურები ვართ აქ ყველანი. - მმართველი გა-

ვიდა. - ახლა კი ხელს რა შეგვიშლის... - თქვა ბუტჩმა და ევერბის ისევ წაეტანა მკლავზე.

- საკმარისია, - უთხრა მის რეზამ ბუტჩს, - მოდი, მე და თქვენ სადმე გავიდეთ, სადაც მარტონი ვიქნებით. სიტყვა მაქვს სათქმელი.

- რის თაობაზე? - ჰკითხა ბუტჩმა. ქალს პასუხი არ გაუცია, კარისკენ გასწია. - მარტონი, თქვენ ამბობთ? რატომაც არა, მაგრამ ასეთ კარგ გოგოს თავად თუ ვერ ვასიამოვნებ, მაშინ ჩვენს ძმაბიჭს მოვუხმობ. - გავიდნენ. ვესტიბიულში დარჩენილნი ვერ ვხედავდით, რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა. დაახლოებით წუთის თუ ცოტა მეტის შემდეგ კი იქიდან მის რეზა გამოვიდა, კვლავ მკაცრი, დიდებული და აუმიღვრეველი. წამიც და ბუტჩიც გამოჰყვა ამ სიტყვებით: - ასე, ხომ? ამასაც ვნახავთ. - მის რეზა მტკიცე ნაბიჯით მოგვიახლოვდა, ჩვენ კი მშერას არ ვაცილებდით ბუტჩს, რომელმაც ვესტიბიული ისე გაიარა, ჩვენკენ აღარ გამოუხედავს.

- თავი დაგვანება? - ჰკითხა ევერბიმ.

- დიახ, - უთხრა მის რეზამ და ბუნს მიუბრუნდა, - ეს შენც გეხება. - მერე მე შემომხედა: - ღმერთო დიდებულო! - წამოიძახა.

- ეშმაკმა დასწყევლოს, ასეთი რა უყავით იმ კაცს? - ბუნმა უთხრა.

- არც არაფერი, - მხარზემოდან მიუგო იმან, რადგანაც მე მიმზერდა, - ასე მეგონა, ამ სამეძაო სახლში რა აღარ მინახავს-მეთქი. მაგრამ ეს მანამ, სანამ ბაღლები არ გამოჩნდნენ. შენ რომ მოიყვანე, - ევერბის ეუბნებოდა ახლა, - იმან მმართველი გამიქცია და თუკი კბილები ნახა სადმე, ერთიც არ გადაურჩა, სულ მოიპარა, ზედ თორმეტი დოლარის ლუდიც მიაყოლა. ვითომ ეს არ გვეყოფოდა, ახლა ბუნმა ჩამოიყვანა კიდევ ერთი, რომელმაც ჩვენი ცოდვილი გოგოები პათიოსნების გზაზე დააყენა და ულუკმაპუროდ დატოვა. მე წავალ, დავიძინებ, თქვენ კი...

- და მაინც, - ბუნმა ჰკითხა, - ასეთი რა უთხარით?
- რომელი ქალაქიდან ხარ? - კითხვითვე უპასუხა მის რეზამე.
- ჯეფერსონიდან, - მიუგო ბუნმა.

- ჯეფერსონისა და მემფისისთანა ქალაქების მცხოვრებლებმა, რანი არიან კანონის მსახურნი, არც კი იცით. ეს რომ გაიგოთ, პარშემისთანა პატარა დაბაში უნდა ჩახვიდეთ. მე კი ვიცი, რადგანაც სწორედ ასეთ ადგილას ვარ გაბრდილი. ის პოლიციელია. ჯეფერსონსა და მემფისში შეიძლება, ერთი კვირა ისე დაჰყოს, ვერც კი შენიშნოთ. მაგრამ აქ, სადაც თავისი ამომრჩევლები ახვევია გარს (უმრავლესობამ, თორმეტმა თუ ცამეტმა კაცმა აირჩია, ხოლო უმცირესობამ - ცხრა, ათმა თუ თერთმეტმა - მის წინააღმდეგ მისცა ხმა და, ვინ იცის, უკვე ნანობს კიდევ ამას, და თუ არა, სულ მალე ინანებს), სულაც ფეხებზე ჰკიდია სუყველა ერთად, ოლქის შერიფიც, შტატის გუბერნატორიცა და შეერთებული შტატების პრეზიდენტიც. ბაპტისტია ის და იმიტომ, ანუ, უპირველეს ყოვლისა, ბაპტისტია და მერე - კანონის მსახური. მაგრამ, თუ შეუძლია, ერთდროულად ბაპტისტიც იყოს და კანონის მსახურიც, ამას რა ჯობს. ოღონდ, ამასთანავე იცის, სად შეუძლია შეყოს ცხვირი და სად - არა; სადაც არავის დაუპატიჟებია, იქ ყოველთვის უსიამოვნება ელის. ასე ამბობენ, ძველად ყოფილა ერთი ფარაონი, რომელიც დიდებულად მართავდა ქვეყანას, ყოფილა კიდევ ერთი დიდი ადამიანი, ბიბლიის დროინდელი, კეისარი რქმევია, იმანაც ჩინებულად იცოდა თავისი საქმე. ჰოდა, უნდა ჩასულიყვნენ არკანზასში, მისისიპისა და ტენესიში და ენახათ, რას სჩადიან იქაური პოლიციელები.

- მაგრამ საიდან გაიგეთ, ვინ იყო? - ჰკითხა ევერბიმ. - საიდან გაიგეთ, რომ აქ საერთოდ, ასეთი ვინმე იყო?

- ასეთები ყველგან არიან, - თქვა მის რეზამე, - სწორედ ახლა არ გითხარით, სადაც გავიზარდე და ვცხოვრობდი, ვიდრე ყელში არ ამომივიდა. არც კი მიკითხავს, მაშინვე მივხვდი, ვინც ბრძან-

დებოდა. ისლა მინდოდა, გაეგო იმ ნაბიჯვარს, რომ აქაც, პარშემ-
შიც მოუვლიან მისნაირებს. მე წავედი...

- და მაინც, ისეთი რა უთხარი? - ისევ ჰკითხა ბუნმა, - ნუ და-
მიმალავთ, იქნებ ოდესმე გამომადგეს.

- გეუბნები, არც არაფერი, - მის რებამ თქვა, - ამ თავგასული
ულაყების მოთოკვა რომ არ მესწავლა, ერთი ხელი სამკერდე ნი-
შანზე რომ უდევთ, მეორე კი - შარვლის შესაკრავზე, მაშინ, კარგა
ხანია, გლახაკთა თავშესაფარში ვიქნებოდი. ასე ვუთხარი, თუ
კიდევ დამანახვებ შენს სიფათს, ავდგები და იმ ცხვრისსახიან
მმართველს გავგზავნი, რომ აქაური კონსტებლი გააღვიძოს და
უთხრას, ჰადუიკის შერიფის თანაშემწემ ეს წუთია, როგორ შეუწ-
ყო-მეთქი ხელი პარშემის სასტუმროში ორი მეძავის რეგისტრა-
ციას. მე დასაძინებლად მივდივარ და თქვენც ამას გირჩევთ. წა-
მოდი, კორი. მე უკვე მოვახსენე მმართველს შენი შელახული
ღირსების შესახებ, ასე რომ, კეთილინებე, თავი ისე დაიჭირე,
როგორც შეგშვენის, მანამდე მაინც, სანამ აქ ხარ. - გავიდნენ. მე-
რე ბუნიც გავიდა. შეიძლება, სადარბაზოს კარს მიაშურა, რომ
ენახა, ბუტჩის ეტლი ისევ იქ იდგა თუ წასულიყო. მერე უცებ ევერ-
ბი ჩემკენ გადმოიხარა, ეს მაღალი, ტანვეება გოგო, და სწრაფად
ჩამჩურჩულა:

- თან არაფერი წამოგიღია? სხვა ტანსაცმელი-მეთქი. სახლი-
დან რითაც წამოხვედი, ისევ ის გაცვია.

- მერედა, რა მოხდა? - ვუთხარი მე.

- უნდა გაგირეცხო, - თქვა მან, - საცვალი, წინდები და პერან-
გი, ის საჯირითო თათმანიც. წამოდი, გაიხადე.

- მაგრამ გამოსაცვლელი რომ არა მაქვს?! - ასე ვუთხარი.

- არა უშავს, მაინც ხომ დასაძინებლად უნდა დაწვე. ხვალ ად-
გები და ყველაფერს გარეცხილს დაგახვედრებ, წამოდი! - კარს
უკან იდგა და მელოდებოდა. გავიხადე ფეხსაცმელი, პერანგი,
საცვლები, წინდები, საჯირითო თათმანიც წავიძრე და გამოღე-

ბულ კარში გადავაწოდე. ღამე მშვიდობისაო, მითხრა მან, კარი დავხურე და ლოგინში ჩავწეცი; თუმცა სულაც არ იყო ჩვენი ამბავი დასრულებული, ჯერ კიდევ ბევრი გვექონდა საზრუნავი და გასაკეთებელი - დოღის წინა ღამე იყო და კი უნდა გაგვემართა საიდუმლო თათბირი, დაღლილ-დაქანცულები უნდა მოვყოლოდით გაათრეებულ ჩურჩულს, შეგვემუშავებინა ხვალინდელი სტრატეგია. მაგრამ უცებ მივხვდი, ზედმეტი იყო ყველაფერი, ისიც კი არ ვიცოდით, ცხენი ვისი იყო (გარდა ნედისა, რაღა თქმა უნდა), მისი წარსულიდან კი მხოლოდ ეს იყო ცნობილი, მუდამ ისეთი სისწრაფით მიქროდა, რომ დოღში მონაწილე ორი ცხენიდან ის ყოველთვის მეორე კვებდა ფინიშის ხაზს; ისიც ვიცოდით, რომ დოღი ხვალ უნდა გამართულიყო, მაგრამ სად, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის უთქვამს, რომ მისი მეტოქე უნდა ყოფილიყო ბედაური, რომლის არსებობა (სხვა რა გზა იყო) უნდა სიტყვაზე გვერწმუნებინა. იმასაც მივხვდი, ადამიანის საქმიანობათაგან განსაკუთრებით დოღი და ყველაფერი, რაც კი მასთანა დაკავშირებული, უფლის ხელშია. ბუნი რომ შემოვიდა და დამხედა, მე უკვე ვთვლემდი.

- ტანსაცმელი რა უყავი? - მკითხა.

- ევერბიმ უნდა გამირეცხოს, - ვუთხარი მე. შარვალი და ფეხსაცმელი უკვე გაეხადა და ის იყო ხელი უნდა გაეწვდინა შუქის ჩასაქრობად, რომ გაჩერდა, გაქვავდა.

- რაო, რა თქვი? - წამსვე გამოვფხიზლდი, მაგრამ გვიანდა იყო. თვალდახუჭული, გაუნძრევლად ვიწეცი. - რა სახელი ახსენე?

- მის კორი, - მივუგე მე.

- არა, რაღაც სხვა სახელი თქვი, - მის დაჟინებულ მზერას ვგრძნობდი. - შენ თქვი: ევერბიო, - კვლავ მის დაჟინებულ მზერას ვგრძნობდი. - ასე ჰქვია იმას?.. მაშ, თავისი ნამდვილი სახელი გითხრა? - მერე კი ძლივს გავიგონე - ასე ჩაიჩურჩულა: - ღმერთო

დიდებულო! - და წამწამებს შუა დავინახე, ოთახში ჩამობნელდა. მერე საწოლი გატრიალდა. მახსოვს, სწორედ ასე ტრიალებდა მისი სხეულის სიმძიმის ქვეშ ყველა საწოლი, როდესაც მასთან ერთად ოთახში მძინებია: ერთხელ თუ ორჯერ - ჩვენსას, როდესაც მამა სხვაგან გაემგზავრა და ბუნი ჩვენთან დარჩა ღამე, რომ დედას არ შეშინებოდა, მერე კი - მის ბოლენბოსას ამ ორი ღამის წინ და კიდევ წუხელ, მემფისს, თუმცა მაშინვე მომაგონდა, რომ მემფისში მასთან კი არა, ოტისთან მეძინა. - ღამე მშვიდობისა, - ასე მითხრა.

- ღამე მშვიდობისა, - მეც ვუთხარი.

X

მერე იყო დილა და იყო ხვალ, დღე, როდესაც პირველად ნამდვილ დოღზე ჟოკეი უნდა ვყოფილიყავი (გავიმარჯვებდი და ბუნი, ნედი და, ცხადია, მეც შევძლებდით სახლში დაბრუნებას. მართალია, ზარ-ზეიმით არ შემხვდებოდნენ, მაგრამ პატარა ბიჭს კარს ვერ დამიკეტავდნენ, ქუჩაში ვერ დამტოვებდნენ, რადგან მათი სისხლი და ხორცი ვიყავი). სწორედ ამ დღისკენ მოვიჩქაროდით მთელი ძალითა და ზაკვა-ხრიკებით (ყველა სხვა დანარჩენი იყო შედეგი ანუ, შეიძლება ასეც ვთქვათ, რაღაც თანამდევნი ჩემი გულუბრყვილობისა თუ სიბრიყვისა, ბაბუას ავტომობილის გატაცების საფუძველი რომ გახდა). ჰოდა, ეს დღეც დადგა.

- თავისი ნამდვილი სახელი გითხრა? - თქვა ბუნმა. - გესმის? გვიანი იყო, წუხელ იმ ძილ-ღვიძილში ენას კბილი ვერ დავაჭირე.

- დიახ, - ვუთხარი; იმწუთასვე მივხვდი, სიცრუე წამოვროშე, იმ გოგოს ჩემთვის არც არაფერი უთქვამს. ის აზრზე არ იყო, მე თუ ვიცოდი და იმ კვირა ღამის შემდეგ ჩემთვის ევერბის რომ ვეძახდი. მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო სინანული. - სიტყვა მომეცა, - ასე ვუთხარი, - იმას კი არა, მე, ხმამაღლა ამ სახელს არ დაუძახებ, ვიდრე თავად არ გეტყვის.

- სიტყვას გაძლევ, - თქვა მან, - მე შენ არასდროს მომიტყუებინარ. სინამდვილეში არც არასდროს... კარგი, კარგი, - დასძინა, - სიტყვას გაძლევ. - მერე კი ისევე თქვა, როგორც წუხელ, ჩუმად, თითქმის შიშით, - ღმერთო დიდებულო! - ჩემი სამოსი - პერანგი, წინდები, საცვლები და ის საჭირითო თათმანი, ლამაზად დაკეცილი, გარეცხილ-გაუთოებული იდო სკამზე კარს იქით. ბუნმა გადმომაწოდა.

- ვიდრე გარეცხილს ჩაიცვამდე, კიდევ უნდა იბანაო, - მითხრა. - შაბათს ხომ ვიბანავე, - ვუთხარი.

- მთელი შაბათი ღამე გზაში ვიყავით, - თქვა მან, - მხოლოდ კვირას ჩავედით მემფისს.

- გინდაც კვირას იყოს, - ვუთხარი.

- დღეს კი სამშაბათია, - თქვა, - ორი დღეა გასული.

- ერთი დღე, - ვუთხარი, - უფრო სწორად, ორი ღამე და ერთი დღე.

- იმის მერე სულ გზაში ვართ, - თქვა ბუნმა, - ორი ფენა ჭუჭყი გექნება ახლა ტანზე.

- შვიდი იქნება სულ მალე, - ვუთხარი მე, - საუზმეზე დაგვაგვიანდება.

- ჯერ უნდა დაიბანო, - გამიმეორა.

- ჩავიცვამ და მადლობას ვეტყვი ევერბის, რომ გამირეცხა, - მე ვუთხარი.

- ჯერ უნდა დაიბანო, - ისევ მითხრა მან.

- სახვევი დამისველდება.

- ხელს მაღლა ასწევ და ისე დაიბან, - თქვა ბუნმა.

- შენ რატომ არ იბან? - ვუთხარი მე.

- შენზეა ახლა ლაპარაკი და არა ჩემზე. - ჰოდა, სააბაზანოში შევედი, დავიბანე, ჩავიცვი, მერე სასადილო დარბაზში ჩავედით. მართალი იყო ნედი. წუხელ იქ მხოლოდ ერთი მაგიდა იდგა, მისი ერთი კიდე გადაეწმინდათ და ჩვენთვის გაეწყოთ. შვიდნი თუ რვანი იყვნენ ახლა იქ, ყველა მამაკაცი (ჩამოსულები, უცხონი კი არა, მაგრამ, რადგან ჩვენ პარშემელები არ ვიყავით, ამიტომ არ ვიცნობდით. არც ერთი იმათთაგანი არ გადმოსულიყო პულმანის ვაგონიდან, არ ეცვათ აბრეშუმის საცვლები და არ ეწეოდნენ აპმანის სიგარებს. მაისის შუა რიცხვებში პარშემის ზამთრის საერთაშორისო სპორტული სეზონი ჩვენ არ გაგვიხსნია. ზოგიერთს სპეცსამოსი ეცვა, ერთის გარდა, ყველანი ჩვენსავით უჰალსტუხოდ იყვნენ. ჩვენსავით ჰქონდათ გატაცებანი და ჟინი, იმედები, ჩვენსავით უქცევდნენ ენას, ჩვენსავით იცოდნენ, ბუტჩმაც მათ

შორის, ჩვენი კონსტიტუციური უფლებები, რომელშიც გათვალისწინებული იყო ადამიანის თავისუფლება, კერძო ინიციატივის შესაძლებლობა, ყველაფერი ის, რამაც შექმნა ჩვენი ქვეყანა და ახლა ის ვართ, რაც ვართ; შეგვეძლო, დოღიც გაგვემართა, შეგვეჯიბრებინა ორი აქაური ცხენი; და თუ ვინმე, გინდ პიროვნება, გინდ რაღაც საზოგადოება, თუნდაც მეზობელი ოლქიდან, შეეცდებოდა ჩვენს საქმეში ჩარევას და დოღის აკრძალვას, ანუ იმაზე მეტს მოისურვებდა, რისი უფლებაც ჰქონდა, ვთქვათ, მხოლოდ ერთ ცხენზე ფულის ჩამოსვლას არ დასჯერდებოდა, მაშინ ჩვენ ყველანი, ამა თუ იმ ბედაურის გულშემმატკივრები, ერთხმად წინ აღვუდგებოდით და გავაძევებდით), ჩვენს მაგიდასთან ისხდნენ და ბუნსა და მის რებას ესაუბრებოდნენ. მაგრამ ევერბი აქ არ იყო. მაშინ კი წამით ასეთი საშინელი სურათი წარმომიდგა თვალწინ: ბუტჩი დერეფანში ჩაუსაფრდა, ხელი სტაცა, თრევათრევით წაიყვანა, როდესაც სკამით ჩემი გარეცხილი ტანსაცმელი მოჰქონდა ჩემი და ბუნის ოთახის კარისკენ. მაგრამ იმწამსვე მივხვდი, მეტისმეტი უნდა ყოფილიყო გაქანება ჩემი ფანტაზიისა; თუკი იმ ქალმა წუხელ მე გამირეცხა, რაღა თქმა უნდა, თავისთვისაც გაირეცხავდა, მის რებაც არ დაავიწყდებოდა, გვიან დაწვებოდა და არც გაღვიძებული იქნებოდა ჯერ. ჰოდა, იმ მაგიდასთან რომ მივედი, ერთმა კაცმა თქვა:

- ეს ბიჭი უნდაგამოვიდეს დოღზე? ამას უფრო მუშტი-კრივში გამოსვლა მოუხდებოდა.

- სწორად მიხვდით, - მიუგო ბუნმა და შაშხიანი თეფში გამომიწოდა, მის რებამ კი - კვერცხები და ქერის ფაფა, - წუხელ ბარდა ჭამა და ხელი გაიჭრა.

- ჰო-ჰო, - იმ კაცმა თქვა, - თვალი არ უნდა მოვაცილოთ, თორემ შეიძლება დანა-ჩანგალი შეახრამუნოს და ბუხრის რიკულე-ბიც მიაყოლოს.

- ჰო-ჰო, - თქვა იმ კაცმა, - ვისაც შარშან ზამთარში ჰყავს ნანა-ბი ეს ცხენი, იმან იცის, მარტო წონის დაგდება არ უშველის ან იქნებ კიდევ რამე საიდუმლო იცით, ჰა?

- მართალი ხარ, - მიუგო ბუნმა და ისევ საუბმეს მიუბრუნდა, - საიდუმლო რომც არ გვექონდეს, თითქოს გვაქვს, ისე უნდა ვიყოთ.

- ჰო-ჰო, - კვლავ თქვა იმ კაცმა; წამოიშალნენ, - აბა, წარმატებას გისურვებთ, თუმცა ამ ბიჭმა წონაში კიდევ რომ დაიკლოს, თქვენს ცხენს ეს ვერ უშველის. - მოსამსახურე ქალი შემოვიდა, ჭიქით რძე და თეფშით ცხელი ფუნთუშები შემოგვიტანა. მინი იყო, ახალ წინსაფარსა და ჩაჩში, რომელიც შესაძლოა, მის რეზამ „გაასესხა“ ან „მიაგირავა“ სასტუმროს მეპატრონეს. სახე ისეთი ჰქონდა, როგორიც შეეფერებოდა გაძარცულ-გაუბედურებულს, თუმცა ახლა უკვე დაწყნარებული, დამშვიდებული იყო, როგორც ჩანს, დასვენებულიცა და გამოძინებულიც, და მაინც, ცხადია, რაც მოხდა, რა დაავიწყებდა?! ის ორი უცნობიც გავიდა.

- ხედავ? - თქვა მის რეზამ, - ბევრი არ გვინდა, ერთი კარგი ბედაური და მილიონი დოლარიც ჩასასვლელად.

- კვირა საღამოს ნედს რომ მოუსმინეთ, - ბუნმა თქვა, - და კიდევ დაიჯერეთ მისი ნათქვამი, ასე გსურდათ და იმიტომ, მე კი სხვა რა გზა მქონდა?! იმ დაწყევლილი ავტომობილის გაუჩინარების შემდეგ ეს ცხენილა დაგვრჩა, ჰოდა, მოდი და ნუ დაიჯერებ!

- გეყოფა, - უთხრა მის რეზამ, - გაჩუმდი.

- შენც ნულარ დარდობ, - ბუნმა მითხრა, - ის სადგურში წავიდა, იქნებ ბიჭი ძაღლებმა დაიჭირეს კვლავ და ნედმა იქნებ მატარებელში ჩასვა. ანუ იმ გოგომ ასე მითხრა...

- მაშ, ნედმა ის ბიჭი იპოვა? - ვკითხე.

- არა, - თქვა ბუნმა, - ნედი ახლა სამზარეულოშია. შეგიძლია, მას ჰკითხო ანუ იმ გოგოს ასე აქვს ნათქვამი. დიახ! ასე რომ, სადარდებელი კიდევ გავს დაჩენილი. მის რეზამ ის ბალთიანი

კაცი კი მოგაცილა, მაგრამ მეორე ხომ დარჩა, რა გვარია? მგონი, კოლდუელი, იმ მატარებელს ჩამოჰყვა ამ დილით.

- რაებს მიედ-მოედები? - უთხრა მის რეზამ.

- არც არაფერს, - მიუგო ბუნმა, - სათქმელი რაღა უნდა მქონდეს. მორჩა, გათავდა! ლუციუსის მეტოქენი ახლა ის ორია - ბალთიანი და რკინიგზელისქუდიანი. - მაგრამ მე უკვე ფეხზე წამოვდექი, რადგან ვიცოდი, სადაც შეიძლებოდა ევერბის ნახვა.

- სულ ეს იყო შენი საუბრე? - მის რეზამ მკითხა.

- თავი დაანებე, - უთხრა ბუნმა, - შეყვარებულია კაცი. - მისადები გამოვიარე. შეიძლება, ნედი მართალი იყო: დოლისთვის მხოლოდ ორი ცხენია საჭირო, რომლებსაც მხოლოდ რბოლა მოეთხოვება და კიდევ, ერთმანეთს, ყველაზე მეტი, ათი მილით რომ იყვნენ დაშორებულნი, რათა ახალი ამბები ლამის თავისით დატრიალდეს ჰაერში. მაგრამ ქალების სასტუმრო ოთახში მათ ჯერ კიდევ არ შემოედწიათ. მტირალი ევერბი კარგი სანახავი იყო-მეთქი, რომ ვთქვი, ეს იმიტომ, იმდენად ტანსრული გახლდათ, რამდენიც არ უნდა ეტირა, ცრემლები ისე შეაშრებოდა სახეზე, ნაკვალევსაც არ დაუტოვებდა. ახლა მარტო იჯდა ოთახში და ცრემლებად იღვრებოდა კვლავაც, მესამედ, არა, მეოთხედ, თუ იმ ორ ღამეს გავიხსენებთ. კი იყო საკითხავი, რატომ; არც არავინ აძალებდა ჩვენთან ერთად წამოსვლას და შეეძლო მემფისს დაბრუნებულიყო რომელიმე მატარებლით. ის კი აქ იყო, ასე სურდა და იმიტომ. და კიდევ, რაც პარშემს ჩამოვედით, უკვე მეორედ ტიროდა. ისე კი, რაც უნდა ცრემლის მდინარე ჰქონოდა დაგუბებული, ოტისის გულისთვის დასაღვრელად მაინც არ ღირდა, ჰოდა, ვუთხარი:

- არა უჭირს რა. ნედი იმას იპოვის. დიდი მადლობა, რომ გამირეცხეთ. ბატონი სემი სადღაა? მგონი, ამ მატარებლით უნდა ჩამოსულიყო.

- მემფისში მოუხდა წასვლა ფორმის გასახდელად, - ასე თქვა, - დღე იმე გამოწყობილი ხომ ვერ მოვა. შუადღით დაბრუნდება სატვირთოთი. ჩემი ცხვირსახოცი სად არის?

მოვუძებნე ცხვირსახოცი. - იქნებ სახე დაიბანოთ, - ვუთხარი, - ნედი მონახავს და კბილსაც დააბრუნებინებს.

- სულაც არა მაქვს იმ კბილის დარდი, - მითხრა, - მინის ახალ კბილს ვუყიდი. მე მხოლოდ... ან კი ფერმაში რა უნდა ესწავლა... იქ ხომ... შენ ხომ ისიც აღუთქვი დედაშენს, სხვისას რომ არ აიღებ?

- ამის აღუთქმარცაა საჭირო, არავისი არაფერი არ უნდა აიღო და მორჩა.

- მაგრამ სიტყვა მომეცო, თუ გეტყოდა, ხომ მისცემდი?

- არც არაფერს მეტყოდა, - ვუთხარი მე, - არ უნდა აიღო და მორჩა.

- დიახ, - თქვა, მერე დასძინა, - მემფისს აღარ დავრჩები. სად-გურში რომ ვიყავი ამ დღით, სემს ვუთხარი და იმან, ძალიან კარგიო, მითხრა, სამუშაოს მიშოვის ჩატანუგაში ან სხვაგან სად-მე. შენ მაშინ ისევ ჯეფერსონში იქნები და ბარათს გამოგიგზავნი, მოგწერ, სადაც ვიქნები, და, თუკი მოისურვებ...

- დიახ, - ვუთხარი, - მეც მოგწერთ. წამოდით, ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონდეთ საუბრე დამთავრებული.

- შენ კიდევ არ იცი ჩემ შესახებ, ვერც წარმოიდგენ...

- ვიცი, - ვუთხარი, - ევერბი კორინთია. უკვე ორი თუ სამი დღეა, ასეც გეძახით, მართალი თუ გინდათ, ოტისმა მიაშობო, არც არავის ვეტყვი, თუმცა კი რატომ, არ ვიცი.

- არ იცი? ძველად სოფელში არქმევდნენ ხოლმე ასეთ სახელებს. ჰოდა, მოდის ვიღაცა დაწესებულებაში და ეუბნება, ევერბი კორინთიას დაუძახეთო. შერცხვებოდათ ან სიცილით დაიხოცებოდნენ. ასე ვიფიქრე, დავირქმევ ივონას, ბილის ან კენის-მეთქი. მერე რებამ მითხრა, კორი იყოსო.

- რა სისულელეა! - ვუთხარი.

- შენი აზრით, კარგად არ ესმის? აბა, ხმამაღლა თქვი! - მე ვთქვი. ყური დაუგდო. სწორედ ასე უსმენენ ხოლმე ექოს. - ჰო, - თქვა, - მგონი, შეიძლება, ასე დამიძახონ.

- მაშინ წადით და ისაუბმეთ, - ვუთხარი, - ნედი მელოდება და უნდა წავიდე.

მაგრამ ამ დროს ბუნი შემოვიდა.

- ბევრი ხალხი მოგროვილა იქ, - თქვა მან, - მგონი, არ უნდა მეთქვა იმ ყვეყნისთვის, დღეს შენ რომ იქნები ჟოკეი, - მერე შემომხედა, - შეიძლება, სულაც არ უნდა წამომეყვანე ჯეფერსონიდან. ოთახის ბოლოს ფარდის უკან ერთი პატარა კარი იყო. მერე ასე თქვა, - აბა, წამოდი, - კარის იქით კიდევ ერთი დერეფანი იყო. იქიდან სამზარეულოში გამოვედი. სქელ-სქელი მზარეული ქალი ჭურჭელს რეცხავდა ნიჟარაში. ნედი იქვე, მაგიდასთან იჯდა და თავის საუბმეს ამთავრებდა, მაგრამ მაინც ენად იყო გაკრეფილი:

- თაფლად რომ ვიღვრები ქალის წინაშე, არ იფიქრო, ქარს ვატანდე სიტყვას. რაღაც-რაღაცის ყიდვასაც შეეძლება... - მაგრამ მყის შეჩერდა და იმწუთასვე წამოდგა. ასე მკითხა, - მზადა ხარ? სწორედ დროა, ქალაქკარეთ წავიდეთ. ზღვა ხალხი ირევა იქ, ფული რომ ჰქონოდა ამათ და ყველა ჩამოსულიყო სხვა ცხენზე, ჩვენც რომ ფული გვქონდეს და ვიცოდეთ, რომელი ბედაური გაიმარჯვებს, არა მარტო იმ ავტომობილს დავიბრუნებდით, ჯეფერსონში მთელ პასემსაც თან წავიყოლებდით. ასე მოვთაფლავდით ჩვენს პატრონ პრისტს. ქალაქის მესაკუთრე ჯერ კიდევ არ ყოფილა და იქნებ მოსწონებოდა.

- დაიცა, - იკითხა ბუნმა, - თადარიგი არ დავიჭიროთ?

- თადარიგის დაჭერა ვისაც უნდა, ეს მეხთამტეხელია, - თქვა ნედმა, - მისი თადარიგი ის იქნება, წინ გაიჭრას და მანამ ირბინოს, სანამ არ ეტყვიან, გაჩერდიო. მაგრამ ვიცი, რასაც გულის-

ხმობ, დოლი პოლკოვნიკ ლინსკომის სარბენ ბილიკზე იქნება ორ საათზე, აქედან ოთხი მილის დაცილებით, მე, მეხთამტეხელი და ლუციუსი დოლის დაწყებამდე იქ ორი წუთით ადრე გავჩნდებით... თქვენ კი ჯობს, იქ დაგვხვდეთ. ასე რომ, მაშინვე უნდა წახვიდეთ აქედან, როგორც კი ბატონი სემი სატვირთო მატარებლიდან გადმოვა. შენი და მისი საქმეა, დროზე მიხვიდეთ და მეხთამტეხელზე ფულს ჩახვიდეთ, ჩასასვლელი ფულიც უნდა გქონდეთ.

- დაიცა, - უთხრა ბუნმა, - იმ ავტომობილს რაღა ვუყოთ? რა ჯანდაბად გვინდა ფული, თუ სახლში უიმისოდ დავბრუნდებით...

- იმ ავტომობილს თავი დაანებე, - თქვა ნედმა, - ხომ გითხარი, იმ ბიჭებსაც უნდათ სახლში დაბრუნება, ამ საღამოსვე უნდა დაბრუნდნენ.

- ვინ ბიჭებს? - ჰკითხა ბუნმა.

- დიახ, დიახ, ბატონო, - უთხრა ნედმა, - შობა კარგია, კუდში ახალი წელი რომ არ მოსდევდესო. - მინი შემოვიდა სინზე დახვავებული გასარეცხი ჭურჭლით, სახეზე ყავისფერ, უსასლო, ტრაგიკულ ნიღაბათარებული.

- აბა, მიდი, - უთხრა ნედმა, - კიდევ ერთიც გამიღიმე, ვნახავ, რა ზომა კბილი გინდა, ამაღამ რომ მოგიტანო.

- ამას ნუ იზამ, გოგო, - თქვა იმ ჩასუქებულმა ზანგის ქალმა, - შეიძლება, ამ მისისიპელი თაფლიკაცის სიტყვა იქ რაიმე ღირს, მაგრამ აქ, ჩვენთან, ტენესიში იმით ვერაფერსაც ვერ იყიდი, თუნდაც ჩემს სამზარეულოში.

- დაიცა, - ისევ თქვა ბუნმა.

- ბატონ სემს დაუცადეთ, - მიუგო ნედმა, - ის გეტყვით ყველაფერს. მე და ლუციუსი კი წავალთ დოლის მოსაგებად. შენ და ბატონმა სემმა აქაურხალხში გამოიკითხეთ, ის ჩიტირეკია ხომ არ უნახავთ და იმ კბილის ამბავიც გაიგეთ. - ამჯერად ნედი ბიძია პარშემის ერთჯორშებმული ორთვალათი ჩამოსულიყო. ახლაც მართალი აღმოჩნდა. სულ შეცვლილიყო ამ ერთ ღამეში ეს დაბა.

თუმცა ხალხი იმდენივე იყო ქუჩაში, რამდენიც გუშინ. თითქოს თვით ჰაერი იყო შეცვლილი, რაღაც სიხარული დასტყობოდა ირგვლივ ყველაფერს; პირველად ახლა წარმოვიდგინე ნათლად, კიდევ რამდენიმე საათი და ცხენზე ამხედრებული უნდა გამოვსულიყავი. მწარე გემო ვიგრძენი პირში.

- წუხელ ასე არ თქვი, ქალაქიდან რომ დავბრუნდები, ოტისი წასული იქნებაო?! - ვუთხარი.

- წასულა კიდევ, - თქვა ნედმა, - მაგრამ არც ისე შორს აქედან. ძაღლები უკვე ორჯერ ყეფდნენ წუხელ იმ საჯინიბოსთან ახლოს; მათაც ისევე გულს ურევს, როგორც ადამიანებს. ამ დილით რომ წამოხვედი, იმწუთასვე მივიდოდა საუბმებე.

- მაგრამ, სანამ მას ვნახავთ, კბილი რომ გაყიდოს?

- ამის დარდი ნუ გაქვს, - მითხრა ნედმა, - ვერ გაყიდის. არავინ იყიდის მისგან და იმიტომ. საუბმებე თუ არ მივა, მაშინ ლიკურგე იმ თავისი ძაღლებით ისევ ხეზე შეაგდებს და ეტყვის, წუხელ პარშემიდან დაბრუნებულს თითქოს მითქვამს, მემფისში ერთი კაცია, ვინც იმ გოგოს კბილში ოცდარვა დოლარს იძლევაო. დაიჯერებს კიდევაც, ასი ან თუნდაც, ორმოცდაათი დოლარი რომ უთხრან, მაშინ არ დაიჯერებს. ოცდარვა დოლარი კი რა ფულია, ასე იაფად ყიდვა რომ უნდათ, იმიტომაც უფრო დაიჯერებს; ასე ეგონება, იმ მემფისელ კაცს მინის გაცურება უნდაო. და თუ ამ საღამოს დოლის დროს მოინდომებს გაყიდვას, ამდენსაც არავინ მისცემს. ჰოდა, უნდა დაიცადოს, ვიდრე მემფისს დაბრუნდება. ახლა კი თავიდან ამოიგდე ის კბილი და დოღზე იფიქრე. ხომ გახსოვს, ორი უკანასკნელი რბოლა გვაქვს საბრუნავი. პირველს წავაგებთ, ამიტომ მაგაზე ფიქრით თავს ნუ გაიცხელებ...

- რაო? - ვუთხარი. - რატომ?

- რატომ და, მარტო ორჯერ უნდა გავიმარჯვოთ.

- პირველი რატომღა უნდა წავაგოთ? რატომ პირველივე არ უნდა მოვიგოთ? თავიდანვე წინ უნდა გავიდეთ, თუკი შევძლებთ, - წუთით ჩუმად იყო და ისე მიჰყავდა ორთვალა.

- სადავიდარაბოა ეს დოლი, ბევრი რაღაცა ისეთი გამოტყვრა და იმიტომ.

- რა ბევრი ისეთი? - ვკითხე მე.

- ბევრი რაღაც, - თქვა, - ხალხიც ბევრია ჩარეული, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბევრჯერ უნდა გამოვიდეთ. ერთხელ რომ ვიყოთ გამოსასვლელი სადღაც, ბუჩქების იქით, და ჩვენ გარშემო არც არავინ იყოს, მხოლოდ მე, შენ და მეხთამტეხელი და კიდევ ერთი ცხენი თავისი ჟოკეითი, მაშინ არა უშავდა რა. გუშინ ხომ ნახეთ, რომ მეხთამტეხელს ერთხელ შეუძლია გაიმარჯვოს. არადა, სამი გარბენა მოუწევს.

- მაგრამ ის ჯორი ხომ, რამდენჯერაც გინდოდა, იმდენჯერ გამოგყავდა, - ვუთხარი.

- ეს ცხენი ის ჯორი ნუ გგონია, - თქვა, - იმ ჯორისთანა ცხენი ჯერ არ დაბადებულა და, თუ გინდა, ჯორიც. ამ ჩვენს ცხენს არც იმდენი ჭკუა აქვს, სხვა ბედაურებივით. ჰოდა, კარგად უნდა გვახსოვდეს, ერთხელ კი გავაჭენებთ, როგორც საჭიროა, და იმედია, ორჯერაც. მაგრამ ესაა და ეს - მხოლოდ იმედია-მეთქი. ასე რომ, სასწორზე თავს ნუ შევადგებთ. ჩვენ ხომ ვიცით, ერთხელ შევძლებთ მოვაგებინოთ და, თუ გაგვიმართლებს, ორჯერაც უნდა გავიმარჯვოთ. თუ მაინცდამაინც ერთგზის უნდა წავაგოთ, ისე, რომ ჭკუა ვისწავლოთ და სხვა ჯერზე ხელი არ მოგვეცაროს, ის პირველი უნდა იყოს.

- კი, მაგრამ ბუნს თუ უთხარი? მან ხომ არ...

- დაე, პირველი წააგოს, რათა მთელი ფული არ დაგვარგოთ, იმ ქალებმა რომ მოაგროვეს ჩასასვლელად. ვიცი, მის რება მთელ ფულს არ წააგებს. შემდგომი ორი ჯერისთვის შეინახავს.

პირველი წაგება კარგია, დრო მოვა და კიდევაც ვეტყვით ბუნს, რაც საჭიროა, ასე რომ, შენ...

- ამაზე არ გეუბნები, - ვუთხარი მე, - პატრონისაზე გეუბნები...

- ხომ გითხარი, კარგად მახსოვს, არ დამვიწყებია-მეთქი, - თქვა, - სადარდებელი ახლა შენ სხვა გაქვს. შენი სადარდებელი ეს დოღია და მეტი არაფერი, როგორმე უნდა გავიმარჯვოთ. გუ-შინ მეხთამტეხელს რომ მიაჭენებდი, ამან რა მასწავლაო, სწორედ ამაზე უნდა იფიქრო. შენი საზრუნავი ახლა მხოლოდ ეს არის, დანარჩენი კი მე ვიცი. ის თათმანი თუ წამოიღე?

- კი, - ვუთხარი მე. მაგრამ ჩვენ ბიძია პარშემისას არ მივდიოდით. სულ სხვა მიმართულებით იყო ჩვენი სავალი.

- ჩვენ საკუთარი საჯინიბო ჩავიგდეთ ხელში ახლა ამ დოღის-თვის, - თქვა ნედმა, - პასემის მრევლიდან ერთს ხევი აქვს, სადაც წყარო მოჩუხჩუხებს, თხუთმეტი წუთის სავალი არ იქნება იქიდან სარბენ ბილიკამდე, ჩვენს ადგილსამყოფელსვერც ვერავინ გაიგებს, არც არავინ მოგვაბებრებს თავს, ვიდრე თავად არ მოვისურვებთ. ლიკურგემ და პასემმა სწორედ საუბმის შემდეგ წაიყვანეს იქ მეხთამტეხელი.

- ბილიკი? - ვთქვი. რაღა თქმა უნდა, რაღაც ბილიკი უთუოდ უნდა ყოფილიყო. ამაზე რატომღაც არ მიფიქრია. თუკი რამეზე ვფიქრობდი, მგონია, ის იყო, რომ ვიღაც მოვიდოდა მეორე ცხენით ანუ მოიყვანდა და პირდაპირ ბიძია პასემის მდელაზე გავმართავდით ჯირითს.

- ეს მართალია, - თქვა ნედმა, - ნამდვილი სარბენი ბილიკია, მსგავსი დიდი ბილიკებისა, ოღონდ ნახევარმილიანია და იქ არც ტრიბუნებია და არც ლუდისა თუ არყის გასაყიდი ფარდულები. დოღზე კი უნდა იყოს სწორედ. ის ბილიკი მეორე ცხენის პატრონის პოლკოვნიკ ლინსკომის მინდორზეა, მე და ლიკურგე წუხელ იქ ვიყავით და ვნახეთ. სარბენი ბილიკი-მეთქი და არა ის ცხენი. ჯერ ის ცხენი არ მინახავს, მაგრამ იქნებ დღეს ვნახოთ, შორიდან

მაინც მოვკრათ თვალი მის კუდს. ყველაფერი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ის ცხენი მეორე და მესამე გატყენებაზე მეხთამტეხელის კუდს ხედავდეს. ასე რომ, მგონია, იმას უნდა დაველაპარაკო, ვინც მისი ჟოკეი იქნება. ის ზანგის ბიჭია, ლიკურგე იცნობს. რა-ღაც-რაღაცები უნდა ვუთხრა და თან ისე, რომ მერეღა მიხვდეს, რაც ვუთხარი.

- ჰო, მაგრამ, როგორ?

- ჯერ იქ უნდა მივიდეთ, - თქვა ნედმა. ჰოდა, წავედით. რა თქმა უნდა, ამ მიდამოს პირველად ვხედავდი. პოლკოვნიკ ლინსკომის პლანტაციაზე მივდიოდით, შეიძლება, სხვისაზეც - კარგად მოვლილი მინდვრები, ახლახან აჯეჯილებული ბამბისა და სიმინდის ყანები, მაგარი ღობით გარშემორტყმული საძოვრები, მოიჯარადრეთა პატარა სახლები და ბამბის საწყობები მათ ბოლოში; ბელლებიც იყო აქ და საჯინბოებიც; და უცებ თეთრად გამოჩნდა სარბენი ბილიკის წრე; ჩვენ - ანუ ნედმა - გადაუხვია მწვანით დაბურულ სავალზე და ტევრისკენ გავწიეთ. აგერ, ის ადგილიც, მყუდრო, დაცული და, თუ გნებავთ, მიმალულიც: წიფლნარი დელის პირას, აქვე, მეხთამტეხელი და ლიკურგე მისი სადავით ხელში, მეხთამტეხელი გასუფთავებული, გაკრიალებული, შუქჩრდილების ლაციცში აქა-იქ ბზინვა რომ გაუდიოდა. იქით მეორე ჯორი იდგა ხეზე მიბმული. ხოლო ბიძია პარშემი, შავ-თეთრ ფერებში, კაცი დრამატული, თითქმის მეფურად მოკალათებულიყო იმ უნაგირზე, რომელიც ლიკურგეს მოეხსნა და სავაძრლის მაგივრად დაედგა. ჩვენ გველოდებოდნენ ყველანი. მაშინვე მიხვდი, რად ამიტანა უსიამოვნო გრძნობამ - თურმე ყველანი ჩვენ გველოდებოდნენ. სწორედ იმ წუთს, როდესაც მეხთამტეხელი და მე ერთად დავდექით (ვსუნთქავდითო, ვერ იტყოდით) ერთსა და იმავე ჰაერში, სარბენი ბილიკიდან ათასი ნაბიჯის დაშორებით, ხოლო შეჯიბრების დაწყებამდე ათიოდე წუთზე მეტი არ იყო დარჩენილი, სწორედ მაშინ ჩავწვდი, რომ არა მარტო მეხთამტეხელი

და მე ვიყავით ერთ ბედქვეშ, არამედ ჩვენ გვიკავშირდებოდა სხვათა ბედ-იღბალიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე იყვნენ დამოკიდებულნი ბუნიცა და ნედიც, ანუ ის, შეძლებდნენ თუ არა შინ დაბრუნებას. რაღაც მისტიკური იყო ამ ამბავში, რომ თერთმეტი წლის ბიჭს დააწვა ისეთი ტვირთის თრევა, რაც სწორედაც არ იყო მისი სათრევი. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ვერ შევამჩნიე, ანუ დავინახე და ვერ მივხვდი, ლიკურგემ რომ მეხთამტეხელი მიიყვანა ბიძია პარშემთან, მერე მოგვიახლოვდა და ჯორის აღვირს ჩაეჭიდა. ნედმა ჰკითხა, თუ გადაეციო? დიახ, ბატონო, უპასუხა. მერე ნედმა მითხრა, რად არ მიხვალ და არ გამოართმევ მეხთამტეხელის სადავეს ბიძია პარშემს, რომ არ შეწუხდესო? იმწუთასვე შევასრულე, რაც თქვა. ნედი და ლიკურგე დარჩნენ ერთმანეთის პირისპირ ორთვალასთან. ცოტა ხნის შემდეგ ნედი ჩვენთან მოვიდა, ლიკურგემ კი იმ ორთვალადან ჯორი გამოხსნა, აღვირი და მოსართავეები დაახვია, მერე ის ჯორი მეორის გვერდით იქვე ხებზე მიაბა და ჩვენთან დადგა, სადაც ნედი ჩაცუცქულიყო ბიძია პარშემის გვერდით.

- აბა, კიდევ ერთხელ გვიამბეთ იმ ორი ბოლო შეჯიბრების შესახებ. თქვენ ხომ თქვით, არც არაფერი მომხდარაო, - ეს როგორ, არც არაფერიო?

- ჩვეულებრივად, - მიუგო ბიძია პარშემმა, - იმ დოღზე სამჯერ უნდა შემოეფლოთ წრებზე, მაგრამ ორიც საკმარისი შეიქნა. მესამე სულაც აღარ იყო საჭირო ან აღარც მოისურვეს ამიტომ.

- იქნებ უკანა ჯიბეში არ მოისურვეს ჩაძრომა, - თქვა ნედმა.

- შესაძლოა, - უთხრა ბიძია პარშემმა, - პირველად ის თქვენი ცხენი დროზე ადრე გაჭენდა, მეორედ კი ვარგა მაგრად შეაგვიანა ან იქნებ მათრახის გადაკვრა მოუხდათ ჯერ ადრე და მერე, ერთი სიტყვით, პირველად რომ გადაუჭირეს, თქვენი ცხენი ვარგა წინ გაიჭრა და მთელ წრებზე ასე იყო, მაშინაც კი, როცა მათრახს მიეჩვია. ცხენიც კაცივითაა, მიეჩვევა მათრახს და მერე, გინდ,

სცემე და გინდ, გაუჯავრდი, სულერთია. პირდაპირზე რომ გავი-
და და იმ თქვენმა ბედაურმა წინცარიელი სავალი დაინახა, თით-
ქოს ასე თქვა თავისთვის: „რა წესია, მე ხომ აქ უცხო ვარ“; ჰოდა,
ცოტათი ჩამორჩა, ისე, რომ, თვით პოლკოვნიკ ლინსკომის ცხე-
ნის ჟოკეის მუხლამდე აღწევდა და ასე იყო მანამ, სანამ არ უთ-
ხრეს, ახლა კი შეგიძლია გაჩერდეთ. მეორედ რომ გავიდა, ისევ
იმ ჭკუაზე იყო და ასე ეგონა, ესეც პირველის გაგრძელება უნდა
იყოსო და ისევ ისეთივე მოკრძალებული დარჩა ანუ არც ამჯერად
გასცილებია პოლკოვნიკ ლინსკომის ბიჭის მუხლს, ვიდრე იმ
მემფისელმა ჟოკეიმ, ვინც განგებამ მაშინ მხედრად მოუვლინა,
პირველად არ გადაუჭირა, როგორც ჩანს, არც ისე გვიან, რადგა-
ნაც იმწუთასვე წინ გაიჭრა, სანამ არ დაინახა, სავალ ბილიკზე
არავინ იყო მის წინ.

- არც ისე ნაადრევად, მაკ-უილს რომ შიშით სული კოჭებში
გაჰპარვოდა, - თქვა ლიკურგემ.

- და მაგრადაც, ხომ? - ჰკითხა ნედმა.

- საკმარისად, - მიუგო ლიკურგემ. ნედი ისევ ჩაცუცქული იყო.
თითქოს იმ ღამით ცოტათი მაინც მოესწრო დაძინება, მიუხედა-
ვად იმისა, რომ ძაღლები გაუთავებლივ უყეფდნენ ხეზე ამძვრალ
ოტისს, თუმცა მაინც დაღლილ-დაქანცული ჩანდა.

- კარგი, - მითხრა მან, - გაისეირნეთ ახლა შენ და ლიკურგემ
იმ საჯინბომდე, დინჯად იყავი, თითქოს მხოლოდ იმ ცხენის ნახ-
ვა გინდა, დღეს საღამოს შენი მოწინააღმდეგე რომ იქნება. იდექი
იქ შენთვის ჩუმად, ლიკურგეს აცალე ლაპარაკი და როცა წამოხ-
ვალ, უკან არ მიიხედო. - არც კი მიკითხავს, რატომ-მეთქი, მაინც
არაფერს მეტყოდა. საჯინბო შორს არ იყო, კარგად მოვლილი
ნახევარი მილი გზა გავიარეთ და თეთრად შეღებილ მეჩხერ ლო-
ბეს მივადექით. მალე საქონლის ეზო და იქ აგებული საჯინბო
დავინახეთ. იმდენად კარგი იყო, ბიძია ბაკს რომ ასეთი ჰქონოდა
მაკკასლინების მამულში, შეიძლება, დეიდა ლუიზა იქ გადასუ-

ლიყო სცახოვრებლად. მივდიოდი და ვერავის ვხედავდი. მაინც რას ველოდებოდი? იქნებ იმ სასადილო დარბაზში საუბრებზე რომ იყვნენ, იმაზე უფრო მეტ კომბინებონიან და უჭალსტუხო გულშემატკივარს, რომლებიც კედლის გასწვრივ თამბაქოს ღეჭვა-ღეჭვით იქნებოდნენ ჩაცუცქულნი, როგორც დილით რესტორნიდან დავინახე. შეიძლება ჯერ კიდევ ადრე იყო და მივხვდი, სწორედ ამიტომაც გამოგვგზავნა ნედმა ჩვენ. ლიკურგე ბანტი ნაბიჯით შევიდა იმ შენობაში ანუ საჯინიბოში. სწორედ იმსიდიდე იყო ჯეფერსონში ჩვენი თითქმის უშემოსავლო საეტლე სადგომი, თუმცა, ცხადია, უფრო სუფთა. ერთ მხარეს აღკაბმულობის საწყობი მოეთავსებინათ, მეორე მხარეს - კანტორა, ჩვენ რომ გვექონდა, იმის მსგავსი; ბანგი მეჯინიბე სიღრმეში ბაგას ხვეტავდა, ვილაც ყმაწვილკაცი, რომელიც ლიკურგეს ტყუპისცალი გეგონებოდა, კედელთან თივაზე წამოგორებუდიყო. ასე უთხრა ლიკურგეს, გამარჯობა, ვაჟო, ცხენის ნახვა გინდაო?

- გაგიმარჯოს, ვაჟო, - ლიკურგემ მიუგო, - ორივე ცხენი უნდა ვნახო. ის მეორეც აქ უნდა იყოს, ხომ?

- რაო, ბატონი ვანტოში არ ჩამოსულა ჯერ კიდევ?

- ის აღარ ჩამოვა, - უპასუხა ლიკურგემ, - კოპერმანის ახლა შეჯიბრებაზე სხვა თეთრი კაცი გამოიყვანს, ბატონი ბუნ ჰოგანბეკი. მისი ჟოკეი ეს თეთრი ბიჭი იქნება. ეს კი მაკ-უილია, - მომიბრუნდა მე. მაკ-უილი ერთხანს მაკვირდებოდა, მერე კანტორის კართან მოვიდა, გამოალო, ვილაცას გასძახა და გვერდზე მიდგა, თეთრი კაცი გამოატარა (მწვრთნელია, ჩამჩურჩულა ლიკურგემ, ბატონი უოლტერიო); იმან თქვა:

- დილა მშვიდობისა, ლიკურგე, ის ცხენი სად გყავთ გადამალული? რა თავგზას გვიბნევთ? გამოტყდი.

- არა, ბატონო, - მიუგო ლიკურგემ, - მგონი, ჯერ კიდევ არ ჩამოუყვანიათ ქალაქიდან. ჩვენ კი უკვე აქ გვეგულეობდა, ჰოდა, იმის სანახავად მოვედით.

- ფეხით მოხვედით მამაშენის სახლიდან?

- არა, ბატონო, - უპასუხა ლიკურგემ, - ჯორებით.

- მერედა, სად დააბით? მე არც ერთი არ დამინახავს. ან იქნებ, ისეთი საღებავი გადაავლეთ, უჩინმაჩინები შეიქნენ იმ ცხენივით, რომელიც გუშინ დილას სატვირთო ვაგონიდან გადმოიყვანეთ.

- არა, ბატონო, - უთხრა ლიკურგემ, - გამოვხსენით და მინდორში გავეშვივით საბალახოდ, დანარჩენი გზა კი ფეხით გამოვიარეთ.

- ისე კი, რახან ცხენის სანახავად მოხვედით, გულს აღარ დაგწყვეტთ, გამოიყვანე, მაკ-უილი, უჩვენე.

- ჯერ წინიდან შეხედეთ, რაკი დათვალიერება გინდათ, - თქვა მაკ-უილიმ, - მთელი ზამთარი კოპერმანის ჟოკეები აქერონტის გავას უმზერდნენ, წინიდან არც ერთ მათგანს არ უნახავს.

- კარგი, მაშინ ეს ბიჭი იმის დათვალიერებას წინიდან დაიწყებს. შენ რა გქვია, ვაჟო? - მითხრა მე, - აქაური არ უნდა იყო.

- არა, ბატონო, მისისიპიდან, ჯეფერსონიდან ვარ.

- ბატონ ჰოგანბეკს ჩამოჰყვა, კოპერმანის ამას გამოჰყავს დოღბე, - უთხრა ლიკურგემ.

- ჰოო! - ბ-მა უოლტერმა თქვა, - ბატონმა ჰოგანბეკმა იყიდა?

- არ ვიცი, ბატონო, - მიუგო ლიკურგემ, - შეჯიბრებაზე გამოჰყავს ბატონ ჰოგანბეკს. - მაკ-უილიმ ცხენი გამოიყვანა. მან და ბ-მა უოლტერმა ასალი გადააძვრეს, შავრა იყო, მესთამტეხელზე უფრო მსხვილი, უფრო ფიცხიც ჩანდა, თვალის თეთრონს ატრიალებდა, მის გვერდით თუ ვინმე გაინძრეოდა ან დაილაპარაკებდა, ყურებს დაცქვეტდა და უკანა ფეხს წამოსწევდა, თითქოს წიხლის საკვრელად. ბ-ნი უოლტერი და მაკ-უილი ორივე რაღაცას ეუბნებოდა, ეჩურჩულებოდა, თვალს არ აცილებდა.

- კარგი, - თქვა ბ-მა უოლტერმა, - წყალი დააღვეინე აქერონტს და ბაგასთან მიიყვანე. - ჩვენც მივეყვით. - გამხნევდით, - დასძინა, - დოღი შეჯიბრებაა, მეტი არც არაფერი.

- დიახ, ბატონო, - მიუგო ლიკურგემ, - ყველა ასე ამბობს. დიდი მადლობა, რომ გვაჩვენეთ.

- გმადლობთ, ბატონო, - მეც დავამატე.

- ნახვამდის, - გვითხრა ბ-მა უოლტერმა, - იმ ჯორებს ნუღარ ალოდინებთ. დოღზე შევხვდებით ერთმანეთს დღისით.

- არ ვალოდინებთ, ბატონო, - მიუგო ლიკურგემ.

- დიახ, ბატონო, - მეც ვუთხარი. წამოვედით, გვერდით ჩავუარეთ ისევ იმ საჯინიბოსა და სარბენ ბილიკს.

- ბატონმა მაკკასლინმა რაც გვითხრა, ხომ გახსოვს? - მკითხა ლიკურგემ.

- ბატონმა მაკკასლინმა? - ვუთხარი, - ჰო, როგორ არა.

არც ამჯერად მიკითხავს, რატომ-მეთქი? თავად მივხვდი ახლა. ან შეიძლება არ მინდოდა დაჯერება, რომ მივხვდი, რომ თერთმეტი წლისას ასე სწრაფად უნდა შემმუსვროდა ილუზიები, ჰოდა, თუ ვკითხავდი, რატომ-მეთქი,

ეს იმის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, რომ მივხვდი.

- კარგად ვერ გამოიყურება ის ცხენი, - ვუთხარი.

- შეშინებულია, - თქვა ლიკურგემ, - სწორედ ასე გვითხრა ბატონმა მაკკასლინმა წუხელ.

- წუხელ? - ვკითხე, - მე კი მეგონა, იმ ბილიკის სანახავად იყავით მოსულნი.

- ის ბილიკი რატომ უნდა ენახა? - მითხრა ლიკურგემ, - ბილიკს ვერსად ვერ გააჭენებ. ცხენის სანახავად იყო მოსული.

- იმ სიბნელეში? - გამიკვირდა, - კი, მაგრამ არც დარაჯი ჰყავდათ და არც კარი არ ჰქონდათ ჩაკეტილი?

- მაკკასლინი რაღაცას რომ ჩაიფიქრებს, ასრულებს კიდევაც, - თქვა ლიკურგემ, - თავადაც ხომ იცი? - ჰოდა, ჩვენ, ანუ მეც, უკან არც კი მიგვიხედავს. მივედით იმ ჩვენს სალოცავ ადგილზე, მეხთამტეხელი თუ კოპერმანი და კიდევ ორი ჯორი დაფოთლილ ჩრდილში ჩლიქებს აბაკუნებდნენ, კუდებს იქნევდნენ, ნედი კი ჩა-

ცუცქულიყო ბიძია პარშემის უნაგირის გვერდით, წყაროს იქით კიდევ ერთი ზანგი ჩამომჯდარიყო. თითქოს სადღაც მყავდა ნანახი, მერე კი ვიცანი, სანამ ნედი მეტყოდა: ეს ბობოაო. ასე იყო სწორედ. ისიც მაკვასლინი გახლდათ, ბობო ბიჩემპი, ლუკასის ნათესავი - ლუკას კუინტუს კეროთერს მაკვასლინი ბიჩემპისა, ვინც, როგორც ბებიას ჰქონდა ნათქვამი, მისთვის კი დედამისს ეთქვა, გარეგნობით (და ხასიათითაც, ყოყონა და აუტანელი იყო) იმ ბებერ ლუციუსს დამსგავსებოდა, მხოლოდ სხვადასხვა ფერი-სანი იყვნენ. ბობო კიდევ ერთი ნაშიერი გახლდათ ბიჩემპისა, უდედოდ, დეიდა ტენისას იზრდებოდა, ვიდრე გარესამყაროს დახილმა თავის წიაღში არ შეიტყუა და ამ სამი წლის წინ მემფისს ჩავიდა. ბობო ადრე იმ კაცთან მსახურობდა, ვისიც იყო მეხთამტეხელი, - თქვა ნედმა, - დღევანდელი ჯირითის სანახავად ჩამოვიდა.

მაშასადამე, კარგად იყო საქმე, რადგან, რაც ჩვენ გვაწუხებდა, უფრო სწორად, მე; შეიძლება, მას სცოდნოდა - სადაც იყო ის ავტომობილი. შეიძლება სულაც მას ჰყავდა. მაგრამ, ასე რომ ყოფილიყო ბუნი და ნედი სულ ადვილად წაართმევდნენ ავტომობილს. და უცებ თავში გამიელვა, მთელი უბედურება ისაა, რომ თავად არ მინდოდა ასე ყოფილიყო. ვთქვათ და, გვეთქვა ბობოსთვის, მიდი და ახლავე მოგვიყვანეო ის ავტომობილი, მაშ, ჩვენ აქ რაღა გვინდოდა? რად ვღელავდით და ვშფოთავდით ასე? მაშ, რატომ გადავაფარეთ მეხთამტეხელს შესანიღბავად ასალი, შუალამით მემფისის გარეუბანში ქურდულად გამოვატარეთ და სადგურში მივიყვანეთ; სინდისზე ხელი ავიღეთ, ქალის კალთას ამოვფარეთ, ძმაბიჭობით თუ კიდევ სხვა რაღაცით, სარკინიგზო კომპანიას მთელი სატვირთო ვაგონი მოვპარეთ და პარშემში ჩამოვიყვანეთ. სხვა დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ, ბუტჩთან ჭიდილსა თუ მინის კბილზე, ბიძია პარშემის სახლში შეჭრასა და შებილწვაზე, თეთრად გათენებულ ღამეებზე (ღიახ, ღიახ!),

იმაზეც, რომ ჩემიანები მენატრებოდნენ (კიდევ მე და მე), საც-ვლებიც რომ არ წამომიღია; და მთელი ეს ცოდვა-ბრალი და თაღლითობა იმიტომ მოვიმოქმედეთ, ჩვენი კი არა, ვიღაცის ცხენი დოღზე გამოგვეყვანა და ასე დაგვებრუნებინა ის ავტომობილი, რომლის წამოყვანის უფლება, ჯერ ერთი, არ გვექონდა და მეორეც - სულაც შეგვეძლო იმ ავტომობილის მოსაყვანად ჩვენსას გაბრდილი რომელიმე ზანგის ბიჭი გაგვეგზავნა. ხომ გესმის, რასაც გეუბნები? თუ იმ ნაშუადღევს დოღზე გამარჯვება არ იყო მთავარი, ანუ, თუ მეხთამტეხელი და მე არ ვიყავით საბოლოო და უკანასკნელი საიმედო ზღუდე ბუნს, ნედსა და ბაბუას მრისხანებას შორის და მათ პასუხს აღარ მოსთხოვდნენ, თუ ამ დოღზე გაუმარჯვებლად ან სულაც მონაწილეობის მიუღებლადაც შეეძლოთ ნედსა და ბუნს უკან, ჯეფერსონში დაბრუნება (ერთადერთი თავშესაფარი რომ იყო ნედისთვის, ბუნს კი მხოლოდ იქ შეეძლო გაძლება), ისე, ვითომ არც არაფერი მომხდარა და ისევე ეცხოვრათ, ვითომ იქიდან ერთხელაც არ გამოუდგამთ ფეხი, მაშინ იმ ბიჭბუჭებივით რალატომ ვიქცეოდით, ყაჩაღობანას რომ თამაშობენ? ისე კი ბობოს შეიძლება სცოდნოდა, სადაც იყო ის ავტომობილი, რაც სრულიად შესაძლებელი იყო და ვერც ვერავინ იტყოდა რამეს, ის ხომ ჩვენიანი გახლდათ. ჰოდა, ასეც ვუთხარი ნედს.

- ხომ გეუბნები, იმ ავტომობილის დარდი ნუ გაქვს, - მითხრა მან, - ხომ დაგპირდი, დრო მოვა და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. სადავიდარაბო ისედაც ბევრი გაქვს, იმ დოღის მეტი აღარაფერი არ უნდა გახსოვდეს.

მთავარი ახლა ეს არის. - მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, - რამე ხომ არ შეგეშალათ?

- მე მგონი, არა, - მიუგო ლიკურგემ, - ერთხელაც არ მიგვიხედავს უკან.

- ალბათ ასეცაა, - თქვა ნედმა. ბობო უკვე სადღაც გამქრალიყო. ისე წასულიყო, არც გამიგია და არც დამინახავს. - ქილა მო-

იტანე, - უთხრა ნედმა ლიკურგეს, - დროა, ცოტა რამ შევჭამოთ, ვიდრე მარტონი ვართ და სიწყნარეა. - ლიკურგემ თუნუქის ქილა მოიტანა, ლორის ქონს ყიდდნენ იმით, სუფთა ხელსახოცი ჰქონდა გადაფარებული, ხოლო შიგნით - მჭადის ნაჭრები და შემწვარი ხორცი იყო. ღელეში ჩასაცივებლად იდგა ასეთივე ქილა ბადაგით.

- თუ ისაუბმე? - მკითხა ბიძია პარშემმა.

- დიახ, ბატონო, - ვუთხარი.

- მაშინ მეტს ნუღარ შეჭამ, - თქვა მან, - შეგიძლია ერთი ნაჭერი მჭადი აიღო და წყალი მიაყოლო.

- მართალია, - თქვა ნედმა, - ცარიელ კუჭზე უფრო ადვილია ჯირითი. - ჰოდა, ერთი ნაჭერი მჭადი მომცა. ყველანი ბიძია პარშემის უნაგირის ირგვლივ ჩავცუცქედით, შუაში დავიდგით ის ორი ქილა. უკნიდან, ნაპირის მხრიდან, ფეხის ხმა მოგვესმა და მაშინვე მაკ-უილის ხმაც გავიგონეთ.

- როგორ ბრძანდებით, ბიძია პარშემ? - დილა მშვიდობისა, პატივცემულო, - უთხრა ნედს. მოგვიახლოვდა და, არ ვიცი, მანამდე თუ მერე, მეხთამტეხელს დააცქერდა. - ოჰო, კოპერმანინი ყოფილა თურმე. იმ ბიჭებმა ბატონ უოლტერს თავბარი დასცეს ამ დილით, ვაითუ, სხვა ცხენი გამოჰყავთო შეჯიბრებაზე. ვის გამოჰყავს, თქვენ, პატივცემულო?

- შეგიძლია, ბატონი მაკკასლინი დაუძახო, - უთხრა ბიძია პარშემმა.

- დიახ, ბატონო, - მიუგო მაკ-უილიმ, - ბატონო მაკკასლინ, თქვენ გამოგყავთ?

- თეთრი კაცია ერთი, ბატონი ჰოგანბეკი, - უთხრა ნედმა, - სწორედ მას ველოდებით ახლა.

- რას იზამ, კი ჯობდა, კოპერმანინი კი არა, სხვა ცხენი ყოფილიყო აქერონტის მეტოქე, - თქვა მაკ-უილიმ.

- ასეც ვუთხარი ბატონ ჰოგანბეკს, - მიუგო ნედმა და ჭამა განაგრძო. მერე დინჯად დაავლო ხელი ბადაგით სავსე ქილას და დინჯადვე მოსვა. მაკ-უილი თვალს არ აცილებდა. ნედმა ქილა დადგა და შესთავაზა, დაჯექი და შემოგვიერთდით.

- დიდი მადლობა, - თქვა მაკ-უილიმ, - უკვე გეახელით. ბატონ ჰოგანბეკს შეიძლება იმიტომ შეაგვიანდა, რომ სხვა ცხენი უნდა მონახოს.

- დრო აღარ არის, - თქვა ნედმა, - ამით უნდა გამოვიდეს. თავიდათავი ის არის, რომ აქ მხოლოდ ერთმა ვაცმა იცის, რა ზნეც სჭირს ამ ცხენს და ამიტომაც არ მისცემს ჩამორჩენის ნებას. ამ ცხენს წინ გასწრება არ უყვარს. კვალში ჩამდგარს უყვარს სირბილი, ვიდრე ფინიშის სწორზე არ გავა და არ დაინახავს, საითაც უნდა გასწიოს. ჯერ მე მისი ჯირითი არ მინახავს, მაგრამ თუნდაც ნაძღვეს ჩამოვალ, ვიცი, ის მეწინავე ცხენი ნელაც რომ გაიქცეს, ეს მაინც არ გაუსწრებს, რათა მარტო არ დარჩეს, ვიდრე ფინიშის სწორს არ მიატანს და არ მიხვდება, დოღია და სიჩქარეს უნდა მოუმატოს. თუ ვინმეს მისი დამარცხება უნდა, სიფრთხილე მართებს, არ უნდა გააღიზიანოს, ხოლო, როცა გაიგებს, დოღზე ვარო, გვიანლა იქნება. ოდესმე შეიძლება, რომელიმე ცხენმა ისე შორს ჩამოიტოვოს, რომ დაფრთხეს და აიწყვიტოს კიდევ. მაგრამ ამ დოღზე ეს არ მოხდება. თავიდათავი ისაა, რომ მხოლოდ ერთმა იცის აქ ეს ამბავი და არა იმან, ვინც უნდა იცოდეს.

- ის ერთი ვინლაა? - მაკ-უილიმ ჰკითხა.

ნედმა კიდევ ერთი ნაჭერი ჩაკბიჩა.

- იმ ცხენის ჟოკეი დღეს ვინაა?

- მე, - უთხრა მაკ-უილიმ, - ბიძია პარშემმა და ლიკურგემ ვითომ არ გითხრეს, რომ სწორედ მე ვარ?

- შენზე უფრო კარგად ვინ მეტყვის, ვინც არის, - მიუგო ნედმა, - დაჯექი და ჭამე, ბიძია პასემს იმდენი აქვს, ყველას გვეყოფა.

- დიდი მადლობა, - კვლავ უთხრა მაკ-უილიმ. - ჰო, - განაგრძო მან, - ბატონ უოლტერს გაუხარდება, სწორედ კოპერმანი რომაა და არა სხვა. ყველას გვეშინოდა, ვაითუ სხვა ახალს გადავეყაროთო. სარბენ ბილიკზე გნახეთ, - თქვა მერე და წავიდა. ერთხანს შევიცადე.

- კი, მაგრამ რატომ? - ვკითხე.

- აბა, რა ვიცი, - მითხრა ნედმა, - შეიძლება, არც კი დაგვჭირდეს, რაც

შეგვეძლო, ყველაფერი ვიღონეთ, გახსოვთ, რა გითხარი ამ დილით? სადავიდარაბოა ხოლმე დოღი და რაღას არ გაიგებ. ჯერ ერთი, ჩვენი არ არის ის ბილიკი და არც ჩვენი მშობლიური კუთხეა ეს არემიდამო. დაბოლოს, ის ცხენიც ხომ არ არის ჩვენი, ასე ვთქვათ, ნათხოვარია. დამხმარეც არავინ არ გვეყოლება. ჩვენ თვითონ, რაღაც უნდა ვიღონოთ. სწორედ ასეც უნდა. კარგი ბედაურიც ის ცხენი, რომ ამბობენ, მართალია, ვითომ? თუ ასეა, რატომ არ გამოჰყავთ დოღზე მემფისში, ლუისვილსა ან ჩიკაგოში? მხოლოდ სადღაც სოფლის კუთხე-კუნჭულებში რომ დოღი იმართება, იქ, და მისი მეტოქეები, ჩვენსავით რომ გამოტყვრებიან, ისინია, დიახ, ასეა! წუხელ რომ ვნახე, ის ცხენი ვერაფერი შვილია. მეოთხედ მიღზე კარგად გაქუსლავს და მერე ორმოცდაათ ნაბიჯზე ისე წახდება, ვერც მიხვდები.

- მაკ-უილის, - მე ვუთხარი.

- ...მაკ-უილის ამის დარდილა ჰქონდა, აქერონტზე შემომჯდარიცო და თავი მისთვის იქით მიეტრიალებინა, საითაც საჭიროა; ორგზის გაიმარჯვა და უკვე ჰგონია, გინდაც ერლ სენდი იყოს და დენ პეტჩიც,⁷ ჩემთან რას მოვლენო. რაღაც აზრი ჩავაწვეთეთ და

⁷ ერლ სენდი - 1920-1930 წლებში სახელგანთქმული ჟოკეი, ვინც მრავალგზის იმარჯვებდა შეჯიბრებაში; დენ პეტჩი - ასევე სახელგანთქმული ბედაური, რომელსაც ერთ მიღზე რეკორდი ჰქონდა დამყარებული.

ახლა თავში ორი აზრი უტრიალებს, ერთიმეორის გამომრიცხავი. დავიცადოთ, ვნახოთ. მანამდე კი აგერ, იმ ბუჩქებში წამოწევი და დაისვენე, ხმა ახლა ყველგანაა გავარდნილი, ხალხი სუნსულს დაიწყებს დასაყნოსად და აღარ მოგასვენებს.

ასეც ვქენი. მაგრამ ძილ-ღვიძილში ხმაური მესმოდა. იდაყვზე წამოწევა და ცალი თვალით ბუჩქებიდან ჭვრეტა არ დამჭირვებია იმათ დასანახავად, ვისაც კომბინებონები ეცვათ, უჭალსტუხოდ იყვნენ და გაპოხილი შლაპები ეხურათ, ჩაცმუცქულები თამბაქოს ღეჭვა-ღეჭვით ცხენს ათვალეირებდნენ, ზანტნი, სიტყვაძუნწნი, სახეკუშტნი. და მაინც მეძინა, როცა ლიკურგე თავს დამადგა. ჩემი დრო ამოიწურა. შუადღეც გადასულიყო და შესაფერისი შუქიც ეფინებოდა არემარეს. წასვლის დროაო, ასე მითხრა. ნედისა და ბიძია პარშემის გარდა, მეხთამტეხელთან აღარავინ იყო. სხვანი უკვე სარბენი ბილიკისკენ წასულიყვნენ, მეტი დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. მეგონა, ბუნსა და სემს ვნახავდი, იქნებ ევერბიცა და მის რებაც მოსულიყვნენ (მაგრამ ბუტჩი არც კი გამხსენებია; შეიძლება, მის რებამ მართლაც შეძლო მშვიდობიანად მისი თავიდან მოცილება, უკან, ჰადუიკში დააბრუნა ან კიდევ სადმე, სადაც, იმ მმართველის სიტყვით, ცხოვრობდა. ეს კაცი აღარც მახსოვდა, და უცებ გამიელვა თავში, რას მიქადდა ეს დღე).

- ჯერ არ მოსულან? - ვიკითხე.

- იმათთვის არც არავის უთქვამს, სად უნდა მოსულიყვნენ, - თქვა ნედმა, - ბუნ ჰოგანბეკი ჩვენ აქ არ გვჭირდება. აბა, ადექი, ცოტა გახურება უნდა ამ ცხენს. - შევჯექი. კარგად მოვლილი მაკლენანის გაქექილი უნაგირი და ასეთივე მოვლილი გაქექილი აღვირი ნაწილი იყო ბიძია პარშემის (ან კიდევ ვილაცის) სამხედრო ნადავლისა იმ წაგებულ ომიდან. ოღონდ ჩვენ მიერ არაა, ამაში წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, შენი შინაბერა დეიდა-მამიდებისაგან განსხვავებით.

- იქნებ ოტისს ეძებენ, - ვიკითხე მე.

- იქნებ კი, - თქვა ნედმა, - მართლაც დიდებული ადგილია იმაზე სანადიროდ, თუკი იპოვიან.

გზას დავადექით. ბიძია პარშემი და ნეტი მეხთამტეხელს წინ მიუძღოდნენ; ლიკურგეს კი ორთვალა უნდა წამოეყვანა და ის მეორე ჯორიც, ოღონდ უფრო შორი გზით. მაგრამ საკითხავი იყო, მოახერხებდა კი ამ დუნდგოში გამოვლას. მთელი ეს არემიდამო გადატენილი იყო ფურგონებით, მათი აქ მომყვანი ოთხფეხნი კი გამოეხსნათ და უკან ან გვერდით ბიგებზე მიებათ, ორთვალეები, ცხენები და ჯორები - პირდაპირ ღობეებზე. ჩვენ, უფრო სწორად, მე, ვხედავდი უამრავ ხალხს მოაჯირის გასწვრივ თუ ბაკის სიახლოვეს, უჭასლტუხო და კომბინებონებიან თეთრებსა და შავებს, რადგანაც, არ დაგავიწყდეს, შინაურული დოღი უნდა გამართულიყო; სწორედ ეს იყო დემოკრატია, მაგრამ არა მოზეიმე - მოზეიმე შეიძლება, ყველა და ყველაფერი იყოს, თუკი სულ მუდამ მცველად დაუდგებოდნენ მის სათუთ უბიწოებას; არა, ეს იყო მოქმედი დემოკრატია - პოლკოვნიკი ლინსკომი, კაცი არისტოკრატი, სუვერენი, არც კი მობრძანებულიყო, და, რამდენადაც ვიცოდი, არც არავინ უწყოდა, სად იყო, და რამდენადაც ესეც ვიცოდი, არც არავის ჰქონდა ამის დარდი. იმ ცხენებიდან ერთის პატრონი ის გახლდათ (მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვისი იყო ის ცხენი, რომლის მხედარიც მე ვიყავი), მასვე ეკუთვნოდა აქაური მტვერიც, სადაც ჩვენ ჯირითი უნდა გაგვემართა, და თეთრად შეღებილი კოხტა ბარიერით შემოღობილი სარბენი ბილიკი და იქვე საბალახო ფურგონებით, ორთვალეებით გადაჭედილი. ერთ ადგილას ღობეც შეელეწა ვილაცის დაფეთებულ თუ გაცოფებულ ბედაურს; და მაინც, არავინ იცოდა, სად იყო ის კაცი და არც არავის სურდა გაეგო.

ბაკისკენ გავეჩეთ. დიახ, დიახ, ყველაფერი გვექონდა, რაც დოღისთვის იყო საჭირო, გარდა, როგორც ნედი ამბობდა, ტრიბუნებისა და ლუდ-არყის კიოსკებისა; ყველაფერი გვექონდა-მეთქი და

ამასთან ერთად, დემოკრატიაც. მსაჯებად აერჩიათ სადგურის ღამის ტელეგრაფისტი და ბ-ნი მაკდაიარმიდი, სადგურის სასადილოს მფლობელი. არაკად დადიოდა მისი ამბავი, შაშხს ისე თხლად ჭრისო, რომ ერთი ნაჭრის შემოსავლით მთელ ოჯახს შეეძლო ჩიკაგოში გამგზავრებულიყო საზაფხულოდ; განმკარგულებელი და სტარტერი გახლდათ ძაღლების მწვრთნელი, ამასთანავე, მწყერზე მონადირე და ამ ფრინველით ბაზარზე მოვაჭრეც, ვინც სულ ახლახან თავდებით გამოეშვათ ციხიდან, მკვლელობა ედებოდა ბრალად (როგორც მონაწილესა თუ თვითმხილველს). ეს ამბავი ამ ზამთარში, აქვე ახლოს, არცის სახდელ ქარხანაში მომხდარიყო. ერთი სიტყვით, როგორც გითხარით, ეს გახლდათ გამომზეურება ნების, არჩევნებისა, კერძო ინიციატივის თავისუფლებისა. ბუნიცა და სემიც უკვე გველოდებოდნენ. - ვერა და ვერ ვიპოვეთ, - თქვა ბუნმა, - თქვენ ხომ არ გინახავთ?

- ვინ არ გვინახავს? - თქვა ნედმა. მერე მე მითხრა, აბა, ჩამოდით. ის მეორე ცხენიც აქ იყო, ისევე მშფოთვარე, რასაც მე ცუდად ყოფნას ვეძახდი, მაგრამ ლიკურგემ მითხრა, ნედმა თქვა, შეშინებულიაო. მერე დასძინა, მეხთამტეხელი როგორააო?..

- ჯანდაბას იმ უდღეურის თავი! - თქვა ბუნმა, - ამ დილას არ მითხარი, აქ შემოეხეტებაო?!

- შეიძლება, რალაც აქვს კიდევ ჩაფიქრებული, - უთხრა ნედმა. მერე მე მომიბრუნდა: - იმ ცხენმა გუშინ რა გასწავლა? უკვე ორი წრე დაარტყმევინე, ჰოდა, გაიხსენე, რა გასწავლა. გაიხსენე. - შევეცადე, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიხსენე.

- არც არაფერი, - ვუთხარი, - დაგინახავდა თუ არა, პირდაპირ შენკენ გამოქცევა უნდოდა. ჰოდა, არ ვანებებდი.

- სწორედ ეს არის, პირველად მეტი არც არაფერი გინდა, ბილიკის შუაგული გეჭიროს, თავის ნებაზე მიუშვი და ნულარ შეაწუხებ. პირველ ჯერზე მაინც წავაგებთ, ისე რომ...

- რაო, წავაგებთო? - მიაძახა ბუნმა, - მაშ, რა ჯანდაბად...

- შენ მოუვლი იმ ცხენს თუ იქნებ, მე დამანებებ? - ჰკითხა ნედმა.

- კი, ბატონო, - მიუგო ბუნმა, - თუგინდ ჯანდაბამდისაც... - მერე დასძინა: ერთი მითხარი, ის ნაბიჭვარი...

- მაშინ სხვაგვარად გკითხავ, - თქვა ნედმა, - იმ ცხენს შენ გინდა მიხედო, მე კი იმ კბილის საძებრად წავიდე, ხომ?

- უკვე გადიან, - გვითხრა სემმა, - დრო აღარ არის. აბა, ერთი ფეხი მომეცი. - და ცხენზე შემსვა. ისე რომ, დრო აღარ იყო არც ნედის ჭკუის დარიგებებისა და არც არაფრისა. მაგრამ აღარც დაგვჭირვებია, ამჯერად ჩვენი გამარჯვების (გამარჯვებისა კი არა, დივიდენდისა, რომელმაც ყველაფერი აგვინაზღაურა, როგორც მერე გაირკვა) მიზეზი არც მე ვიყავი და არც მეხთამტეხელი - ნედი და მაკ-უილი; ვერც კი მივხვდი, რა მოხდა, მხოლოდ შემდეგ გავიგე. რადგანაც ტანით ასე პატარა ვიყავი (რაც უდავო იყო) და გამოცდილებაც არ მქონდა (რაც კიდევ უფრო უდავო იყო), თანაც იმ მეორე ცხენს ახლა სულ ვეღარ იმორჩილებდნენ, თქვეს და შეთანხმდნენ, რომ სტარტთან მეჯინიბეები მიგვიყვანდნენ და არ გაგვიშვებდნენ, ვიდრე არ დაიძახებდნენ: „აბა გასწით!“ ასეც ვქენით (ანუ, სხვა რა გზა იყო), მეხთამტეხელი ისე მოიქცა, როგორც ყოველთვის, როდესაც ნედი მის ახლოს იმყოფებოდა და შეეძლო მის ქურთუკსა და ხელს დრუნჩით მისწვდომოდა. აქერონტიც ისე მოიქცა, როგორც ყოველთვის, ანუ ყალყბე დგებოდა, ტლინკებს ყრიდა, მეჯინიბის საკბენად მიიწევდა. და მაინც, სტარტს თანდათან ვუახლოვდებოდით. დოლის დაწყებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი; ასე მეგონა, უკვე ვხედავდი, ის კაცისმკვლელი განმკარგულელებელი ფილტვებს როგორ ბერავს და სადაცაა დაიყვირებს, გასწიოთო! - რომ ყოვლად გაუგებარი რაღაც მოხდა.

- აბა, მაგრად იყავი, - დამიძახა უეცრად ნედმა და მთელმა ჩემმა სხეულმა

ჭახანი გაიღო. არ ვიცი, ისეთი რა მოიშველია - სადგისი, ნორჩი ბალახი თუ ხელში ჩაბლუჯული ლურსმანი, ეს კია, მეხთამტეხელმა ისკუპა, შეხტა, ისე რომ სტარტერს, გასწიოთ, კი არ დაუყვირია, დაიღრიალა:

- სდექ! სდექ! ნწწ, ნწწუ! - ჩვენ, ანუ მეხთამტეხელი და მე, დავემორჩილეთ. სწორედახლა დავინახე მუხლებზე დაცემული აქერონტის მეჯინიბე იქ, სადაც აქერონტმა დააგდო, თავად აქერონტი და მისი მხედარი კი მთელი ძალით მიქროდნენ ბილიკზე. მაკუილი კისერს უგრეხდა, უნდოდა, როგორმე გაეჩერებინა, მაგრამ უკვე აეწყვიტა მის ბედაურს. განმკარგულელებელი და რამდენიმე გულშემატკივარი გამოცვენილიყვნენ სარბენ ბილიკზე, რათა მისთვის გზა გადაეჭრათ და როგორმე სტარტის ხაზთან დაებრუნებინათ. ეს იგივე იყო, ერთი ბაქნიდან მეორე ბაქნამდე სემის გაქანებული ექსპრესისთვის რომ დაეყვირა, გაჩერდიო. თუმცა მაკუილიმ ბოლოს მაინც შეანელებინა სვლა და უკვე სულერთი იყო, უკან წამოვიდოდნენ თუ წინ, მანძილი იგივე იყო გასავლელი. ხოდა, მაკუილიმ (თუ თავად აქერონტმა) პირველი არჩია, ნედი კი მუხლთან მიჩურჩულედა:

- ხომ ხედავ, ნახევარი მილი მაინც მოვიგეთ. მერე კი მარტო დარჩები. მსაჯები მე... - მართლაც გვიახლოვდებოდნენ მსაჯები, - ოღონდ გახსოვდეს, ამ ჯერს ყურადღებას ნუ მიაქცევ... - ჰო, მას დისკვალიფიკაცია მისცეს. თუმცა კი მარტო ის დაინახეს, რომ მეხთამტეხელი მანამდე გაიჭრა, სანამ დაიძახებდნენ, გასწითო; ვიღაც ბრბოდან გამოსულმა მოხალისემ ითავა ამჯერად მეხთამტეხელის დაკავება. ამ დროს მაკუილი თვალებით მბურღავდა, აქერონტი ყალყზე დგებოდა და მეჯინიბეს რის ვაივავლახით მოჰყავდა საწყისი ხაზისკენ. პირველობა ამჯერად მაკუილის დარჩა. გესმის, რისი თქმა მინდა? თუ უკეთურობას არც რა გაეგებოდა სადღაც სოფლად გამართული დოღის შესახებ, არც იყო საჭირო; ისიც საკმარისი იყო, რომ სემი მიბოძა სტარტერად. ასე მი-

ვიწევდი კვლავაც ბოროტების ბილიკზე, ისევე, როგორც ოდითგანვე არსებული, ყოვლისადმი გულგრილი რაღაც პროცესი, მსგავსად ოსმოსისა, ან, ვთქვათ და, ფენა ფენას თავისთავად რომ ედება ხოლმე. თავად არ ვიცი, ისე მივუშვი აღვირი (დიდად დამეხმარა ის მოხალისე, რომელიც ჩემი და მეხთამტეხელის პირადი განმკარგულებელი შექმნილიყო) და ასე გავქვავდით. რა თქმა უნდა, თვალი მოვკარი აქერონტის მეჯინიბის ქუსლებს და მერე, თავად აქერონტსაც, რომელიც უკვე მეორე წრეს შესდგომოდა, მაშინ, როცა მეხთამტეხელსა და მე ფეხიც არ მოგვიცვლია. მაგრამ ამჯერად მაკ-უილიმ შეძლო აქერონტის მოთოკვა ჯერ კიდევ მოსახვევამდე და მაშველთა ჯგუფმაც მოასწრო მასთან მირბენა და უკან გამობრუნება, ჰოდა, ჩვენ - მე და ნედმა - მილის სამი მეოთხედი მოვიგეთ. თუმცა, არცთუ ისე მთლად უდავო იყო ეს ამბავი. მაგრამ მთავარი ჯილდო თავად მაკ-უილი გახლდათ - გამძვინვარებულიცა და შეშინებულიც, კვლავ ბრაზით რომ გამომხედა. ის ორი მეჯინიბე კი აქერონტს აკავებდა იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო, რათა, ასე თუ ისე, მივსულიყავით სტარტის ხაზთან. მერე მეხთამტეხელი და მე ცოტათი განზე გავდექით, იმათთვისაც ადგილი ხომ უნდა მიგვეცა, როცა დაიძახებდნენ, გასწითო.

ჰოდა, ჩვენც გავწიეთ! მეხთამტეხელი ღონიერიც იყო და დამჯერიც, მაგრამ სიფიცხე აკლდა და ტვინიც არ ჰყოფნიდა იმის მისახვედრად, რომ დოღზე იყო გამოსული. მაკ-უილი ახლა, რაც შეეძლო აკავებდა აქერონტს, ასე რომ, პირველი წრე სულ ჩვენ ვიყავით წინ. მეხთამტეხელი ვერა და ვერ შეჰგუებოდა მარტობას და თანდათან უკლებდა სვლას, ვიდრე აქერონტმა არ აიწყვიტა, გამოქუსლა, ჩაგვიქროლა, მიუხედავად იმისა, რომ მაკ-უილი კვლავაც ცდილობდა მის შეკავებას. მაშინ კი მოუმატა მეხთამტეხელმა სიჩქარეს, თანაუგრძნო და იმიტომ. მეორე წრეზე იმდენად წამოეწია, აქერონტის კისერს გაუსწორდა და ჩვენი გულშე-

მატკივრების ბრბომაც ყიჟინა დასცა, ამოდ არ ჩავსულვართო ფულს. წინ ფინიშის ხაზი გამოჩნდა. მაშინ მაკ-უილიმ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაუჭირა აქერონტს, თითქოს მეხთამტეხელსაც მოხვდაო ეს მათრახი. ოცი ფუტი კიდევ და, შეგვეძლო, მაკ-უილი კიდევ ჩამოგვეტოვებინა თუნდაც, ინერციის ძალით, მაგრამ ეს ოცი ფუტი აღარსად იყო. კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გადმომხედა მაკ-უილიმ მხარბემოდან არათუ მრისხანედ და შიშით, უკვე ბარ-ზეიმითაც; მეხთამტეხელს სვლა შევანელებინე, მოვატრიალე და ვხედავ, მინდორზე ჩხუბი არა და ჩოჩქოლი კი შექმნილიყო - მხრების, თავებისა და ზურგების ორომტრიალი მთავარი მსაჯის ბაქანთან. და უეცრად ამ ბრბოს შუაგულში პერანგშემოფხრეწილი ბუნი ამოიმართა, ვითარცა მუხა მუმლის ჯგროში, ცალ ხელს აქეთ-იქით იქნევდა, რომელზეც ორი თუ სამი კაცი ჩამოჰკიდებოდა, და

ღრიალებდა. მერე კი გაუჩინარდა და ახლა ნედს მოვკარი თვალი, ბილიკით ჩემკენ გამორბოდა. მერე ბუტჩი და კიდევ ვილაც კაცი გამოეყვნენ ბრბოს და აქეთ წამოვიდნენ. რა მოხდამეთქი? - ნედს მივაძახე.

- არაფერი, - მითხრა. მერე აღვირი გამომართვა, მეორე ხელით კი უკანა ჯიბეში ქექვა დაიწყო. - ისევ ის ბუტჩია, მაგრამ ახლა რატომ მოვიდა, არ ვიცი. - და ხელი გამომიწოდა, დინჯად, მოზომილი მოძრაობით, თუმცა კი სწრაფად, - აჰა, აიღე, შენ არ დაგიწყებენ ჩხრეკას. - ნაჭრის ქისა იყო, როგორშიც თამბაქოს ინახავენ ხოლმე. შიგ კაკლისოდენა მკვრივი რაღაც იდო. - შენ გქონდეს, არ დაკარგო, ვინცმოგცა, კარგად დაიხსომე - ნედ უილიამ მაკკასლინ ჯეფერსონ მისისიპიმ.

- დიახ, - ვუთხარი მე და უკან ჯიბეში ჩავიდევვი. - მაინც რა... - მაგრამ აღარ დამამთავრებინა.

- აბა, ჩქარა, გასწი, პარშემ ბიძია ნახე და მასთან იყავი. არ გინდა არც ბუნი და არც სხვა ვინმე. სხვებსაც მიაყოლებენ, თუ

იმას დაიჭერენ. პირდაპირ პასემ ბიძიასთან მიდი და მასთან დარ-
ჩი. მან იცის, რაც უნდა ქნას.

კარგი-მეთქი, - მივუგე. ბუტჩმა და იმ კაცმა უკვე სარბენი ბი-
ლიკის ჭიშკარს მოატანეს. პერანგშემოხეული იყო ბუტჩიც. ჩვენ
გვიმზერდნენ.

- ეს არის? - იმ კაცმა ჰკითხა.

- ჰო, - უთხრა ბუტჩმა.

- აბა, ეგ ცხენი აქ მოიყვანე, ვაჟო, - უთხრა იმ კაცმა ნედს, - მე
მჭირდება.

- ფეხი არ მოიცვალა, - ნედმა მითხრა და ცხენი მათ მიუყვანა.

- აბა, ჩამოდი, შვილო, - მითხრა იმ კაცმა დაყვავებით, - შენ მე
არ მჭირდება. - ჩამოვხტი. - აბა, ერთი აღვირიც მომაწოდე, - ნედს
უთხრა. ნედმა მიაწოდა. - შენ კი უნდა წაგიყვანო, - უთხრა ისევ
ნედს, - დაპატიმრებული ხარ.

XI

ბრბო თანდათან მატულობდა. ჩვენ ისევ ბუტჩისა და იმ კაცის წინ ვიდექით, მეხთამტეხელის აღვირი რომ ეჭირა.

- რისთვის, თეთრო ბატონო? - ჰკითხა ნედმა.

- ციხისთვის, ვაჟო, - მიუგო მან, - საიდანაც ხარ, იქ რა ჰქვია, არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან ასე ვეძახით.

- დიახ, ბატონო, - თქვა ნედმა, - ჩვენთანაც ასე ეძახიან. მაგრამ რატომ მიჰყავთ, ზანგებსაც ეუბნებიან.

- დახეთ ერთი, რა კანონის კაცია! - თქვა ბუტჩმა. - თურმე ქალაქის ნახვა უნდა. მაშ, აჩვენეთ... ნუ შეწუხდებით, მე თავად, - რაღაც დაადრო უკანა ჯიბიდან. კონვერტი იყო, გაბინზლული. ნედმა გამოართვა, ხელში დაიკავა, აუმიღვრევლად, წყნარად, - მოგწონს, ჰა? - თქვა ბუტჩმა, - კაცმა წერა-კითხვა არ იცის და ქალაქს კითხოულობს. უსუნე მაინც. თუ მოგწონს მისი სუნი?

- დიახ, ბატონო, - თქვა ნედმა, - ყველაფერი კარგადაა.

- თუ კმაყოფილი არა ხარ, ნუ დაგვიმალავ, თქვი, - უთხრა ბუტჩმა.

- არა, ბატონო, - გაუმეორა ნედმა, - ყველაფერი კარგადაა. - ჩვენ გარშემო კიდევ უფრო მოჯარდა ხალხი. ბუტჩმა კონვერტი დაიბრუნა, ისევ უკანა ჯიბეში ჩაიდო და დაიძახა: - ყველაფერი კარგადაა, ბიჭებო, მხოლოდ ეს არის გაუგებარი, ამ ცხენის პატრონი ვინ არის. დოღი არ გადაგვაქვს. პირველი გარბენა ჩაითვლება, დანარჩენი ხვალ გაიმართება. ჩემი თუ გესმით მანდ, ბოლოში?

- არც რა გვესმის, თუკი მოგებული თანხის გაცემა გაუქმდება, - თქვა ვიდაცამ. სიცილი გაისმა.

- აბა, რა ვიცი, - თქვა ბუტჩმა, - ვისაც კი ნანახი აქვს ამ მემფისელი ცხენისა და აქერონტის შეჯიბრება შარშან ზამთარს და მაინც მასზე ჩამოვიდა ფულს, დაუკარგავს და ეს არის. - ერთხანს

იყუჩა, მაგრამ ამჯერად სიცილის გუნებაზე არავინ დამდგარა. მერე ვიღაცამ, შეიძლება, სულაც სხვამ, დაიძახა:

- უოლტერ კლეპიც ასე ფიქრობს? კიდევ ათი ფუტი და ეს ქურანი დღეს აქერონტს უკან ჩამოიტოვებდა.

- კი, ბატონო, კი, ბატონო, - გასძახა ბუტჩმა, - ხვალ ვნახავთ, თუ რამე არ შეიცვლება, შემდგომი ორი გარბენი ხვალ იქნება. ორმოცდაათ დოლარს ვინც ჩავიდა, არ დაეკარგება, პოლკოვნიკმა ლინსკომმა მხოლოდ ერთი მოიგო. ახლა კი წავიდეთ, ეს ცხენი და მოწმეები ქალაქს უნდა ჩავიყვანოთ, იქ ყველაფერი ნათელი შეიქნება. და მერე დოლისთვის უნდა მოემზადოთ სახვალლოდ. გასძახოს ვინმემ, ჩემი ორთვალა მოიყვანონ. - მერე ბუნი დავინახე, მთელი თავით მათზე მაღალი. დაწყნარებულ-დამშვიდებული ჩანდა, სისხლი ჯერ კიდევ არ მოეწმინდა და ვიღაცას (ასე მეგონა, ხელზე ბორკილებით ვნახავდი, მაგრამ შევცდი, ჩვენთან დემოკრატიაა ჯერ კიდევ. ის უმცირესობაში იყო მოხვედრილი მხოლოდ, განდგომაში ვერ დაადანაშაულებდნენ) მისთვის დაგლეჯილი პერანგის სახელოთი კისერი შეეხვია, რათა არ გამოსჩენოდა ნაიარევი. მერე სემიც დავინახე, მისთვისაც დაედოთ რაღაც ნიშანი, პირველმა მან გამოაღწია ამ ბრბოში და ჩვენთან მოვიდა. - რაო, სემ, - უთხრა ბუტჩმა, - მთელი ნახევარი საათი შენ გარშემო დავრბოდით და არა და არ მიგვიშვი.

- მართალი ხარ, არც მოგიშვებდი, - სემმა მიუგო, - კიდევ გეკითხებით და უკანასკნელად - ჩვენ დაპატიმრებულნი ვართ?

- ვინ ჩვენ? - ჰკითხა ბუტჩმა.

- ჰოგანბეკი, მე და ეს ზანგის კაცი.

- კიდევ ერთი გამოჩნდა კანონის მოყვარული, - უთხრა ბუტჩმა იმ მეორეს. უკვე მივხვდი, პარშემში სწორედ მეორე იყო ყველაზე უფროსი, ვინც მის რეზამ წუხელ მოიხსენია; არჩეული კონსტებლი ამ მხარისა, სადაც ბუტჩი თავისი ბალთითა და პისტოლეტით ჩვენსავით ერთი სტუმართაგანი გახლდათ, რადგან ის (ბუტჩი)

დანიშნული მოხელე იყო, მისნაირი უამრავი იყო ჰადუიკსა და ოცდაათ მილზე მის ირგვლივ. - იქნებ, მასაც მოსურვებია ქალაქის ნახვა?

- არა, - თქვა იმ მეორემ, კონსტებლმა, მერე სემს მიუბრუნდა - შეგიძლიათ მიბრძანდეთ, სადაც გნებავთ.

- მაშინ მემფისს ჩავალ, იქნებ სამართალი იქ ვნახო, - მიუგო სემმა, - ისეთი სამართალი, რომ ჩემნაირებს შარვალი და იმის ქვეშ რაცაა, არ შემოახიონ. ამაღამვე თუ ვერ დავბრუნდები, ხვალ დილაადრიან მაინც აქ ვიქნები. - მერე შემომხედა და მითხრა: - წავიდეთ. ჩემთან ერთად წამოდი...

- არა, - ვუთხარი, - აქ უნდა დავრჩე.

- ეს ბიჭი ვისთან ერთადაა? - კონსტებლმა იკითხა.

- ჩემთან, - მიუგო ნედმა. თითქოს არც გაუგონია, ნედმა რა თქვა, ისე განაგრძო:

- აქ ვინ ჩამოიყვანა?

- მე, - მიუგო ბუნმა, - იმის მამასთან ვმუშაობ.

- მე კი მის ბაბუასთან ვმუშაობ, - თქვა ნედმა, - ჩვენ, ორივემ, თვალი არ უნდა მოვაცილოთ.

- რას იზამ, - თქვა სემმა, - შევეცდები, ამაღამვე დავბრუნდე. მერე კი ყველაფერს მივხედავთ.

- ჰოდა, როცა უკან დაბრუნდებით, - უთხრა კონსტებლმა, - გახსოვდეთ, რომ არც მემფისში ხართ და არც ნაშვილში. მერე რა, რომ აქ ჰადუკის ოლქია. გადმოხვალთ თუ არა მატარებლიდან და ამ სადგურში გაჩერდებით, არ დაგავიწყდეთ, ეს მეოთხე უბანია.

- კარგადაა ნათქვამი, მოსამართლე, - თქვა ბუტჩმა, - თავისუფალი შტატი პასემი, ტენესი.

- თქვენც გეუბნებით, იცოდეთ, - მიუგო კონსტებლმა, - სწორედ თქვენ უნდა გახსოვდეთ ეს ყველაზე მეტად.

ორთვალა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ბუნი ჰყავდათ და-
კავებული. კონსტებლმა ანიშნა ნედს, უნდა დაჯდეთ. უეცრად ბუნ-
მა გაიბრძოლა, ნედმა რაღაც უთხრა. მერე კონსტებლი ისევ მე
მომიბრუნდა. - ეს ზანგის კაცი მეუბნება, ბებერ პასემ ჰუდისას უნ-
და წავიდესო.

- დიახ, ბატონო, - მე ვუთხარი.

- მომწონს-მეთქი, ამას ვერ გეტყვი, თეთრ ბიჭს ზანგის ოჯახში
რა უნდა. ჩემთან უნდა წამოხვიდე.

- ვერ წამოვალ, ბატონო.

- კარგი, - თქვა ისევ ღმობიერად, - აბა, წავიდეთ, ამდენი არა
მცალია.

- აქ კი მოგიხდებათ შეჩერება, - უთხრა ნედმა. კონსტებლი
გაქვავდა, მერე სანახევროდ შემოტრიალდა.

- რაო, რა თქვი?

- სწორედ აქ თავდება თქვენი ძალაუფლება, აქ უკვე ადამია-
ნებია. - თქვა ნედმა. კიდევ წამით იყო გარინდებული კონსტებ-
ლი, კაცი კარგა ხანში შესული, თუმცა არ ეტყობოდა; ხმელ-ხმე-
ლი, ჯანმგებარი, პისტოლეტი არ ჰქონია არც ჯიბესა და არც სხვა-
გან სადმე, ბალთა შეიძლება, კი ჰქონდა, მაგრამ თვალს იყო მი-
ფარებული.

- მართალი ხარ, - თქვა და მერე მე მითხრა - ღამის გათევა იქ
გინდა, ბებერ პასემთან?

- დიახ, ბატონო, - ვუთხარი მე.

- კარგი, - თქვა მან. - აბა, დასხედით, ბიჭებო, - უთხრა ბუნსა
და სემს.

- ამ ზანგს რაღა ვუყვით? - ჰკითხა ბუტჩმა. მერე აღვირი გამო-
ართვა იმას, ვინც ორთვალა მოიყვანა, და ზედ ასვლა დააპირა,
სადაც ბუნი და სემი უკვე ისხდნენ უკან. - თქვენი ცხენით წამოვა?

- ჩემი ცხენით თქვენ წამოხვალთ, - უთხრა კონსტებლმა. მერე
კი ნედს მიუბრუნდა, - აქ მოდი, ვაჟო, შენ, მგონი, ამ ოთხფეხთა

დიდი მცოდნე ხარ. - ნედმა ბუტჩს აღვირი გამოართვა, ბორბალს ხელი ჩაავლო, გააჩერა, რათა კონსტებლს ასვლაში შეშველებოდა, მერე თავადაც აძვრა და მის გვერდით დაჯდა. ბუნი ისევ ზემოდან დამყურებდა - სახედალილავებული, სისხლშემხმარი, თუმცა უკვე დამშვიდებული.

- სემს გაჰყევი, - ჩამომძახა.

- ჩემი დარდი ნუ გაქვს, - ვუთხარი.

- არა, - თქვა ბუნმა, - მაგრამ...

- მე ვიცნობ პასემ ჰუდს, - თქვა კონსტებლმა, - არა მგონია, იქ რამე გაუჭირდეს; თუ არადა, ამაღამვე მივალ და წამოვიყვან. აბა, გასწი, ვაჟო. - წავიდნენ, თვალს მიეფარნენ.

კაციშვილი აღარ იყო ირგვლივ, მარტო დავრჩი, ისე, თითქოს ორი მონადირე სადღაც, ტყესა თუ მინდვრად, დასცილდება და მერე მოგვიანებით კვლავ გადაეყრებიან ერთმანეთს ღამით ბანაკში. თუმცა კი მარტო როგორ უნდა ვყოფილიყავი - კუნძულზე ვიყავი და ჩემ გარშემო ზღვა იყო ოფლით გაზინბლული შლაპების, უჰალსტუხო პერანგებისა და კომბინებონებისა. უცხო, უსახელო სახეები მყისვე მიტრიალდებოდნენ ხოლმე, შევხედავდი თუ არა, და არავინ იყო, ეთქვა ჩემთვის „ჰო“ ან „არა“, ან „წადი“ ან „დარჩი“. არავინ იყო, ვინც დამიყვავებდა უკვე მეორედ ბედის ანაბარად მიგდებულს; თერთმეტი წლის ბიჭისთვის ძნელია, ამდენს გაუძლოს, ასეთი მიუსაფრობა გადაიტანოს. განადგურდება, გაისრისება, გაცამტვერდება. უცებ იმათთაგან ერთ-ერთმა მითხრა:

- პასემ ჰუდს თუ ეძებ, იქ არის, იმ ორთვალაშია, შენ გელოდება. - მართლაც იქ იყო. ფურგონები და ორთვალეები უკვე მიდიოდნენ. სინამდვილეში უკვე ყველანი წასულიყვნენ, აღარც ცხენები და ჯორები ჩანდნენ. მივედი ორთვალასთან და გავჩერდი. არც კი ვიცი, რატომ გავჩერდი. შეიძლება, არც არსად მქონდა წა-

სასვლელი. კიდევ ერთი ნაბიჯი და იმ ორთვალას მივეხეთქებო-
დი, ალბათ.

- დაჯექი, - მითხრა პარშემ ბიძიამ, - სახლში წავალთ და ლი-
კურგეს დაველოდებით.

- ლიკურგეს? - ისე ამოვთქვი, თითქოს პირველად მესმოდა ეს
სახელი.

- ქალაქს წავიდა ჯორით. ყველაფერს გაიგებს, რაც ხდება და
მერე უკან დაბრუნდება. ამაღამ ჯეფერსონში მიმავალი მატარებ-
ლის გასვლის დროსაც გვეტყვის.

- ჯეფერსონში? - ვკითხე.

- ჰოდა, წახვალ სახლში, - არც კი მიმბერდა, - თუ გინდა.

- სახლში ახლა ვერ წავალ, - ვუთხარი მე, - ბუნს უნდა დავუცა-
დო.

- თუ გინდა-მეთქი, - თქვა პარშემ ბიძიამ, - აბა, ამოდი. - ავედი.
საბალახო გავიარეთ და გზაზე გავვედით. - ჭიშკარი დაკეტე, - მით-
ხრა, - ვიღაცამ ხომ უნდა დაკეტოს. - დავკეტე ჭიშკარი და ისევ
ორთვალას მოვაშურე.

- ორთვალა თუ გიტარებია? - მკითხა.

- არა, ბატონო, - აღვირი მომცა. - არ ვიცი და როგორ, - ვუთ-
ხარი.

- ახლა ისწავლი. ჯორი ცხენს სულაც არ ჰგავს. თუ ცხენმა რამე
მრუდე ცნება ჩაიდო თავში, როგორმე უნდა შეაცვლევინო, გინდა
მათრახით, გინდა დეგებით, გინდა დაუღრიალო და ისე. ჯორი კი
სხვანაირია, შეიძლება ერთსა და იმავე დროს ორ ცნებას ჩახვდეს
და არჩევანი გააკეთოს. თუ გინდა, შეაცვლევინო, ისე უნდა მოაჩ-
ვენო, რომ თავად ის აკეთებს არჩევანს. ჭკუა უჭრის და ამიტომ.
ჯენტლმენიცაა ამავე დროს, და თუკი თავაზიანად და პატივისცე-
მით მოეპყრობი ისე, რომ მის მოსყიდვასა და დაშინებას არ შე-
ეცდები, ისიც თავაზიანად და პატივისცემით იქნება შენდამი, სა-
ნამ თავად შენ არ გადახვალ წესს. ჰოდა, სწორედ ამიტომ არ უნ-

და მიელაქუცო, როგორც ცხენს, რადგანაც იცის, შენ ის არ გიყვარს, ცდილობ მის მოლორებას და, რაც გსურს, გინდა, ის გააკეთებინო. ეს კი მისთვის შეურაცხმყოფელია. აი, ამ ჯორის მართვა კი ასე შეგიძლია: სახლის გზა იცის, მყის იგრძნობს, რომ აღვირი მე არ მიჭირავს. ჰოდა, მეტი არაფერი გინდა, აღვირის მოძრაობით შეატყობინე, რომ შენც იცი სახლის გზა, მაგრამ ის აქ ცხოვრობს, შენ კი ჯერ კიდევ ერთი პატარა ბიჭი ხარ და მისი იმედი გაქვს.

მივდიოდით საკმაოდ ჩქარა, ჯორი მსუბუქად, ფაქიზად მიბაკუნებდა და, ცხენმა რომ იცის, იმის ნახევარი მტვერიც არ დაუყენებია. ვხვდებოდი უკვე, რასაც ბიძია პარშემი მეუბნებოდა, ვგრძნობდი არა მარტო მის ძალას, არამედ ჭკუასა და საზრიანობას, იმის სურვილსაც, თუკი დასჭირდებოდა, სწორი არჩევანი გაეკეთებინა.

- სახლში რას აკეთებ ხოლმე? - მკითხა ბიძია პარშემმა.

- ვმუშაობ შაბათობით, - ვუთხარი.

- მაშინ ალბათ ფულს მოაგროვებდი. რა გინდა იყიდო იმით? - და უეცრად ყველაფერი მოუწყვევი მწევარ ძაღლებზე, ბიძია ბაკივით მეღიებზე ნადირობა რომ მიხდოდა - ბიძია ბაკი როგორ მეუბნებოდა, ჯერ მწევრებით კურდღლებზე ნადირობა უნდა ისწავლო; როგორ მიხდიდა მამა გასამრჯელოს მასთან ეტლების სადგომში მუშაობისათვის. ყოველ შაბათს ათ ცენტს მაძლევდა და დამპირდა, დაგიმატებ, თუ დაგაკლდება პირველი წყვილის საყიდლად. თორმეტი დოლარი უნდოდა ამას და მე უკვე მქონდა გადანახული რვა დოლარი და ათი ცენტი; და მაშინ უეცრად ცრემლები წამსკდა, ავღრიალდი - დაღლილ-დაქანცული ვიყავი და არა იმიტომ, ერთი მილი რომ გავიარე ჭენებით - ადრეც მიჯირითია უფრო დიდ მანძილზე, თუმცა ნამდვილ დოღზე არა. შეიძლება, იმიტომაც, დილას ადრე რომ ავდექი და სოფლის გზებზე მომიხდა ჯაყყაყი, თან ერთი ნაჭერი ცივი მჭადი იყო ჩემი სადი-

ლი. იქნებ მშობლა და მეტი არაფერი. ასე იყო თუ ისე, იქვე ჩვილი ბავშვივით ღრიალი მოვრთე, ალექსანდრესა და მორიზე უარესად, პარშემ ბიძიას ხალათში თავი ჩავრგე და ისე. მან ცალი ხელი მომხვია, მეორით კი აღვირი გამომართვა, ხმაც არ გაუღია, მერე მაინც თქვა, ახლა კი დაწყნარდი, ჩვენ უკვე სახლში ვართ და, სანამ შევალთ, ჯობს პირი დაიბანო, ქალებმა რომ ასე არ დაგინახონო.

ასეც ვქენი; ჯერ ჯორი გამოვხსენით, წყალი დავაღვევინეთ, აღკაბმულობა მოვხსენით, დავკიდეთ, ჯაგრისი გადავუსვით, ბაგაში შევიყვანეთ, ქერი დავუყარეთ, ორთვალა ფარდულში შევაგორეთ, პირი დავიბანე, გავიმშრალე (ასე თუ ისე) საჭირითო თათმანით და სახლში შევედით. საღამოს სუფრა - ვახშამი მზად დავგვხვდა, თუმცა ჯერ კიდევ ხუთი საათიც არ დამდგარიყო. გლეხებივით თუ ფერმერებივით სუფრას მივუსხედით - პარშემ ბიძია, მისი ქალიშვილი და მე, ლიკურგე ჯერ კიდევ არ მობრუნებულიყო ქალაქიდან. პარშემ ბიძიამ მკითხა:

- შენთან, სახლში მადლობას თუ სწირავენ ღმერთს?

- დიახ, ბატონო, - მივუგე.

- მაშინ თავი მოვიდრიკოთ. - თავი დავხარეთ. ლოცვა წაიკითხა მოკლედ, მოწიწებით, ღირსეულად, ქედდაუდრეკლად. ასე მიმართავს ერთი დარბაისელი, გონიერი კაცი მეორეს და ამცნობს ზეცას, ვახშამი უნდა დავიწყოთო, მადლობას სწირავს უფალს ამ მიწიერ სიკეთეთა გამო და, ამავე დროს, ახსოვს, ვისი შეწევნითაც აქვს ლუკმაპური; ჰუდებსა თუ ბრიგინსებს (ლიკურგესა და მისი დედის გვარი, როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო) ოფლი რომ არ დაეღვარათ, ცარიელი თეფშებილა ექნებოდათ სამადლობლად; მერე თქვა, „ამინ“, გაშალა ხელსახოცი და ერთი ყურით საყელოში ჩაიმაგრა სწორედ ისევე, ბაბუამ რომ იცოდა, და ვახშამს შევუდექით; ბოსტნეული უკვე გაცივებულიყო, არადა, ეს კერძი, სოფლის წესისამებრ, ცხელი უნდა გვეჭამა დილის თერ-

თმეტ საათზე. სამაგიეროდ, ფუნთუშები იყო თბილი, კიდევ სამნაირი მურაბა და ბადაგი. მზე ჯერ კიდევ მთლად არ ჩასულიყო, გრძლად ფენდა მქრქალ სხივებს. მერე ასევე იმძლავრა ხანგრძლივმა ბინდმა, რომელიც შეცვალა ხანგრძლივმავე ღამემ, მე კი არ ვიცოდი, სად დავიძინებდი და რაზე. პარშემ ბიძია იჯდა და ოქროს საწმენდით კბილებს იჩიჩქნიდა, როგორც ბაბუამ იცოდა, ისე. თითქოს ჯადოსნური ფარნით ხედავდა ჩემი სულის მოძრაობას.

- სათევზაოდ წასვლა თუ გინდა? - მკითხა. მაინცდამაინც არ მინდოდა, სურვილიც არ მქონდა, როგორმე მესწავლა დიდხნობით უმოძრაოდ ჯდომა.

- დიახ, ბატონო, - მივუგე.

- მაშინ წავიდეთ, ამასობაში ლიკურგეც დაბრუნდება. - უკანა აივნის კედელზე ორი ლურსმანი ჩაერჭოთ და ზედ დაეკიდათ სამი ბამბუკის ანკესი თავისი ტივტივებით, საძირავეებითა და ყველაფრით. ორი ჩამოიღო და, წავიდეთო, მითხრა. ხელსაწყოების ფარდულში ლურსმნით სახურავდახვრეტილი ვედრო იდგა, - ჭრიჭინები ჰყავს ლიკურგეს ამაში, - მითხრა, - მე კი ჭიაყელები უფრო მომწონს. - სწორედ ამით ჰქონდა გამოტენილი მიწით სავსე ღრმა ბაღია. - მან კი არა, მე, მე ვთქვი ასე:

- მე ამოვიღებ, - და გატეხილი ჩანგალი გამოვართვი, ერთიმეორის მიყოლებით მიწიდან ამოვსხი ჭიაყელები და თუნუქის ქილაში გადავუძახე.

- წავიდეთ, - კვლავ მითხრა და თავისი ანკესი მხარზე გაიღო. გვერდით ჩავუარეთ ბოსელს. მაშინვე გავუხვიეთ და იქვე ჩამომდინარე ღელეს მივაშურეთ; კარგად დატკეპნილი ბილიკი ჯერ მაყვლის ბუჩქნარს მიუყვებოდა, მერე კი - ტირიფნარს. მერე ღელეც გამოჩნდა, წყალი თითქოს თავის წიაღში ფრთხილად იკრებდა მიმქრალ სხივებს და ფრთხილადვე აბრუნებდა უკან; აქვე იყო მორიც დასაჯდომად. - ჩემი გოგო აქ თევზაობს, - ასე თქვა, -

მერის ორმოს ვეძახით ამ ადგილს. შენ აქ დაჯექი, მე კი ცოტათი ქვემოთ ჩავალ. - და წავიდა. სწრაფად ილევოდა საღამო ხანის ნათელი, ღამის სუნთქვა მოახლოებულიყო. მორბე ვიჯექი ქინქლუბის რიალსა და ბზუილში. არც ისე ძნელია, საჭირო წუთს შენს თავს უთხრა - არ მინდა ფიქრი. ცოტა ხნის შემდეგ გავიფიქრე, ანკესს მოვისვრი წყალში და თვალს მივადევნებ, თანდათან ჩამოწოლილ ღამის სიბნელეში როგორ უჩინარდება ტივტივა. ისიც კი გავიფიქრე, ლიკურგეს ტრიჭინას წამოვავებ ანკესს-მეთქი, მაგრამ ტრიჭინას ასე ადვილად ვერ დაიჭერ, თანაც, ლიკურგე დელის პირას ცხოვრობს, ბევრს თევზაობს და სატყუარას ვერ დავუხარჯავ. ჰოდა, იმწუთასვე ასე გამიელვა თავში, არ მინდა ფიქრი. ტივტივა ნათლად ჩანდა წყალზე, და ალბათ ბოლოს დაინთქმებოდა ღამის სიბნელეში, წყალს კი უფრო ადრე დაფარავდა მოახლოებული წყვდიადი. პარშემ ბიძიას ვერ ვხედავდი და არც მისი ხმა ისმოდა, ისიც კი არ ვიცოდი, რამდენად ქვემოთ ჩასულიყო ნაპირზე. და სწორედ კარგი დრო იყო, ჩვილ ბავშვად ვქცეულიყავი, მაგრამ რად გინდა, მაინც არავინ დამინახავდა, არავინ შემიცოდებდა, ვერავის ავუჩუყებდი გულს. მართალი თუ გინდა, მინდოდა მხოლოდ ჩემს საკუთარ მშობლიურ სახლში დაბრუნება, ჩემს რბილ ლოგინში ჩაწოლა და დაძინება, რათა ასე შემეცვალა ჩემი ახლანდელი ყოფა; უკვე გაისმა უფეხურათა ჩხავილი, სადღაც დელის მიღმა დაჰკვივლა ჭოტმა, ხმაზე ეტყობოდა, დიდი ჭოტი უნდა ყოფილიყო; შეიძლება, მთელი ეს მხარე დიდი ტყეა და, თუკი ლიკურგეს (ან პარშემ ბიძიას) ძაღლები წუხელ ოტისს კვალში ჩაუდგნენ, სულ ადვილად შეძლებდნენ კურდღლების, ენოტებისა და ოპოსუმების დევნასაც. ჰოდა, ვკითხე კიდევ ამის შესახებ. კარგა მაგრად ჩამობნელებულიყო და, როცა ჩემ უკან მისი ხმა გავიგონე, ვერც მივხვდი, როდის მომახლოებოდა.

- მოდის ანკესზე?

- დიდი მეთევზე არა ვარ, - ვუთხარი მე, - შენი ძაღლები კი როგორ ნადირობენ?

- კარგად, - მითხრა ლიკურგემ. მერე ისე დაიძახა, არც კი აუწევია ხმა, ბაბუაო. - თეთრად მოჩანდა პარშემ ბიძიას პერანგი, ჩვენთან მოვიდა; ლიკურგემ ხელი დაავლო ამ ორივე ანკესს და ყველანი ბილიკს ავუყვებით. ორი ძაღლი გამოგვეგება, მერე სახლში შევედით, იქ ლამპა ენთო, სუფრაზე ლიკურგეს ვახშამი იდო, ზედ ხელსახოცი გადაეფარებინათ.

- დაჯექი, - უთხრა პარშემ ბიძიამ, - ჭამე და თან მოგვიყვი. - ლიკურგე მაგიდას მიუჯდა.

- ჯერ კიდევ იქ არიან, - თქვა.

- ჰადუიკს აქამდე არ წაუყვანია? - ჰკითხა პარშემ ბიძიამ. მერე მე მითხრა, პასემში ციხე არა აქვთ, სკოლის უკან ფიცრულ ფარდულში ჩაკეტავენ ხოლმე მამაკაცებს, მერე კი ჰადუიკის ციხეში გადაჰყავთ. ქალები იქ ჯერ არ ჰყოლიათო.

- არა, ბატონო, - მიუგო ლიკურგემ, - ის ქალბატონები ისევ სასტუმროში არიან, ოღონდ კართან პოლიციელი სდარაჯობს. ფარდულში მხოლოდ ბატონი ჰოგანბეკია. ბატონი კოლდუელი კი მემფისს გაემგზავრა ოცდათერთმეტიანით. თან ის ბიჭიც წაიყვანა.

- ოტისი? - ვკითხე მე, - რაო, კბილი დააბრუნებინეს?

- არ ვიცი, - თქვა ლიკურგემ, თეფშს თვალი ერთი წამით მოაცილა და შემომხედა, - ის ცხენიც კარგადაა. ვიყავი და ვნახე, სასტუმროს საჯინბოშია. ბატონმა კოლდუელმა წასვლამდე ბატონ მაკვასლინისთვის გირაო შეიტანა და ცხენს ყურადღებას არ მოაკვლეს, - ჭამა არ შეუჩერებია. - ჯეფერსონისკენ

მიმავალი მატარებელი, ათს ოცი რომ დააკვლდება, მაშინ გავა. თუ ვიჩქარებთ, მივუსწრებთ. - პარშემ ბიძიამ ჯიბიდან დიდი ვერცხლის საათი ამოიღო და დახედა. - კი, მივასწრებთ, - ისევ თქვა ლიკურგემ.

- არ შემიძლია, - მე ვუთხარი, - აქ უნდა დავიცადო. - პარშემ ბიძიამ საათი ჯიბეში ჩააბრუნა, წამოდგა, ხმადაბლა დაიძახა:

- მერი! - ის წინა ოთახში იყო, ისე შემოვიდა, ხმა არც კი გამიგია.

- უკვე გავშალე, - თქვა და მერე ლიკურგეს მიუბრუნდა, - შენი ლეიბი შემოსასვლელშია, - მერე ისევ მე მითხრა: - გუშინდელივით ლიკურგეს ლოგინზე დაწვები.

- ლიკურგეს ლოგინი რად მინდა, - ვუთხარი, - პარშემ ბიძიასთანაც კარგად დავიძინებ. - მშვიდად გამომხედეს, - პატრონთან ბევრჯერ მძინებია, - ისიც ხვრინავს ხოლმე, მაგრამ ვერ მაღვიძებს.

- პატრონთან? - იკითხა პარშემ ბიძიამ.

- ბაბუას ვეძახით ასე, - ვუპასუხე მე, - ისიც ხვრინავს, მაგრამ ვერ მაღვიძებს.

- კარგი, ასე იყოს, - თქვა პარშემ ბიძიამ. მის ოთახში შევედით. ფაიფურის ლამპა იყო იქ, ყვავილებით მოხატული, მაგიდის კუთხეში მოლოქრულჩარჩოიანი პორტრეტი იდგა მოლოქრულსავე სადგამზე. ძველმოდურსამოსლიანი ქალი ეხატა. ლოგინზე ისეთივე ჭრელი საბანი ეფინა, ლიკურგეს რომ ჰქონდა. მაისი იყო, მაგრამ ბუხარში მაინც ნაკვერჩხალი ღვიოდა, კიდევ ერთი სკამი იდგა, ერთიც - სარწეველა სავარძელი. მაგრამ მე იმაზე არ დავმჯდარვარ. შევედი ოთახში და გავჩერდი. პარშემ ბიძია ისევ შემოვიდა. ღამის პერანგი ეცვა და თავის ვერცხლის საათს ქოქავდა. - აბა, გაიხადე, - მითხრა. ასეც ვქენი, - დედაშენი სახლში ასე გაძინებს?

- არა, ბატონო, - ვუთხარი.

- თან თუ გაქვს რამე წამოღებული?

- არა, ბატონო. - საათი ბუხრის თავზე შემოდო, კართან მივიდა და დაიძახა:

- მერი! - ქალი გამოეხმინა. - ლიკურგეს ერთი სუფთა პერანგი შემოუტანე. - ცოტა ხნის შემდეგ ქალმა კარში პერანგი შემოა-

წოდა. - მოდი, ჩაიცვი, - მითხრა. მივედი და გამოვართვი. - ლოგინში ლოცულობ თუ დაჩოქილი?

- დაჩოქილი, - ვუთხარი მე.

- მაშინ ილოცე. - მუხლი მოვიდრიკე იქვე, ლოგინთან, და ვილოცე. ლოგინი უკვე გაშლილი იყო, შევწეე. მან ლამპა ჩააქრო, მერე ტრიალი მოისმა. იმ ღამეს მთვარე გვიან ამოვიდა და მალლა იდგა, მაგრამ საკმაოდ გაენათებინა ოთახი - ჩანდა თეთრი ბალიში, ზედ შავ-თეთრი ლანდი, თეთრი უღვაში და წვერი, ზურგზე იწვა და ხელები გულზე დაეკრიფა. - ხვალ დილით ქალაქს წაგიყვან. ბატონ ბუნ ჰოგანბეკს ვნახავთ და, თუ გეტყვის, ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო, ახლა კი სახლში უნდა წახვიდეო, წახვალ?

- დიახ, ბატონო, - მივუგე მე.

- კარგი, დაიძინე, - მითხრა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ მეტყოდა, უკვე ზუსტად ვიცოდი, რაც მსურდა, იქნებ წინადღიდანაც ვიცოდი, რომ სახლში მინდოდა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ წაგება არავის უყვარს, მაგრამ როცა ასე ხდება, ისღა დაგრჩენია, უკან არ დაიხიო. ბუნმა და ნედმა არ დაიხიეს და კიდევაც იქ მოხვდნენ, სადაც არიან. იქნებ არც თქვან, რომ დავიხიე, თუკი თავად მეტყვიან, სახლში დაბრუნდიო. იქნებ მართლაც ძალზე პატარა ვარ, იქნებ არც შემიძლია იმ ტვირთის ზიდვა, რაც დამაწვა, ვინმე ჩემზე დიდი, ჩემზე უფროსი და უფრო მოხერხებული რომ ჰყოლოდათ, მაშინ არც წავაგებდით. გესმის? სწორედ ასე იყო, ცხადი, ნათელი და უდავო სიმართლე ის გახლდათ, რომ სახლში მინდოდა და გამბედაობა არ მყოფნიდა მეთქვა, არათუ ფეხი მომეცვალა. ჰოდა, როცა თავს გამოვუტყედი, არა მართო ხელმოცარული, მხდალიც ვიყავი, შემეძლო ჩვილივით მშვიდად დამეძინა. პარშემ ბიძია უკვე ფშვინავდა (ნეტავ იმას მოესმინა ბაბუას ხვრინვახრიალი), მაგრამ ამას არ შეეძლო ჩემი ძილის ამღვრევა - ხვალ სახლში ვიქნებოდი, აქედან შორს, სადაც არც ნაპარავი ცხენები

იქნებოდა, არც უმანკოებას მონატრებული მეძავეები, არც მოხეტიალე ვაგონის გამცილებლები, არც ნედი და არც მამაჩემის სადავეს დასხლეთილი ბუნ ჰოგანბეკი; თუმცა ძილს მაინც რაღაც მიმღვრევდა, მოსვენებას აღარ მაძლევდა, და, ორგზის თუ სამგზის ღრიალი რომ ჩამესმა, ძილ-ბურანის ზედაპირზე ამოვცურდი, გათენებულიყო, მზე ანათებდა; პარშემ ბიძიას უკვე დაეტოვებინა ლოგინი. ახლა კი ცხადლივ

გავიგონე, გარედან ვილაცა შემოგვღრიალებდა;

- ჰეი, ჰეი, ლიკურგე, ლიკურგე! - წამოვიჭერი, საწოლიდან გადმოვხტი, ფანჯარას ვეცი და ეზოში გადავიხედე. ნედი იყო და მასთან ერთად, ის ცხენი.

XII

და აი, ნაშუადღევს, ორ საათზე, მაკ-უილი და მე კვლავ შევსხედით ჩვენს ფიცხ ბედაურებზე (აქერონტი მაინც ძალზე ფიცხი იყო), ძლივს ვაკავებდით, ვიდრე ჩვენი სტარტერი, ბ-ნი კლეპი (მეძებარი ძაღლების მწვრთნელი-მონადირე ნანადირევით-მოვაჭრე-კაცისმკვლელი) დაიძახებდა, გასწითო. ამ კაცმა წინაღულეს ისეთი შიში ჭამა, ახლა იქით მიმდგარიყო, სანამ მე და მაკ-უილი წილს ვყრიდით, ვინ უნდა დამდგარიყო კიდებზე; მაკ-უილიმ მოიგო. მაგრამ მანამდე იყო რალაც-რალაცები და უნდა გიამბო. უპირველეს ყოვლისა, ნედი გამოჩნდა, ვერ იყო კარგად, ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, ძილი რომ აკლდა, ძილი და მოსვენება არც ჩვენ გვექონდა. ის ოთხი ღამე, რაც ჯეფერსონიდან წამოვედით, ბუნი და მე ლოგინში მაინც ვიწექით, ნედი კი - მხოლოდ ორი ღამე; მესამე ღამე სატვირთო ვაგონში გაათია იმ ცხენთან ერთად, ხოლო მეოთხე - საჯინიბოში, და ორივეგან თივაზე იწვა. სამოსი, პერანგიცა და შარვალიც, დაჭმუჭნილ-გაზინზლული ეცვა. გუშინდამ ევერბიმ სუყველაფერი გამოირეცხა, ნედს კი გაუხდელად ეცვა აქამდე, მხოლოდ ახლა გამოიცვალა, პარშემ ბიძიამ გახუნებული, თუმცა სუფთა კომბინზონი და ჯემპრი ჩაიცვა და ასე მიუჯდა სამზარეულოში მაგიდას. ამასობაში კი მერიმ პერანგი გაურეცხა და შარვალიც გაუწმინდა. მე და ნედი ვსაუზმობდით, პარშემ ბიძია ყურს გვიგდებდა.

ნედმა გვიამბო, გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ ვიღაცამ, - ბ-ნმა პოლიმასმა, კონსტებლმა კი არა, ვიღაც სხვამ, თივაზე მწოლი გამოაღვიძა და უთხრა, წაიყვანე ეს ცხენი და ამ ქალაქიდან მოუსვიო.

- მხოლოდ შენ და მეხთამტეხელი გამოგიშვათ? - ვკითხე. - ბუნი და სხვები სადღა არიან?

- იქ, სადაც თეთრმა ხალხმა მიიყვანა, - თქვა ნედმა. - ჰოდა, ასე ვუთხარი, დიდი მადლობა-მეთქი, თეთრო კაცო, მეხთამტეხელს აღვირში ჩავავლე ხელი და...

- კი, მაგრამ - რატომ?

- განა სულერთი არ არის შენთვის?! ახლა მთავარი ის არის, ნაშუადღევს, ორ საათზე სასტარტო ხაზთან დავდგეთ და ორი გარბენი მოვიგოთ, პატრონის ავტომობილი დავიბრუნოთ და ჯეფერსონში წავიდეთ; იქიდან არც უნდა წამოვსულიყავით სწორედ.

- ბუნი თუ არ წავიყვანეთ, ისე ვერ წავალთ, - მე ვუთხარი, - შენ და მეხთამტეხელი თუ გამოგიშვებს, იმას რატომღა აჩერებენ?

- ყური მიგდე, - თქვა ნედმა, - მე და შენ ისედაც ბევრი საქმე გვაქვს, დოღზე უნდა გავიდეთ. კარგად ისაუბმე, მერე წამოწეცი და დაისვენე, ვიდრე არ დაგიძახებ...

- გეყოფა, ნულარ ატყუებ, - პარშემ ბიძიამ უთხრა. ნედი თეფშში თავჩარგული სწრაფად ჭამდა. დაღლილ-დაქანცული იყო, თვალის თეთრი გარსი დაწითლებული კი არა, მთლად ჩასისხლიანებული ჰქონდა.

- ბატონი ბუნ ჰოგანბეკი ერთხანს ვერსადაც ვერ წავა, ციხეში ჩააყუდეს. ამ დილით ჰადუიკს ჩაიყვანენ და იქ გამოკეტავენ, მაგრამ ახლა ეს უნდა დაივიწყოთ, მე და შენ მხოლოდ...

- ყველაფერი მოუყევი, - თქვა პარშემ ბიძიამ, - რას არ გაუძლო, რაც აქ ჩამოიყვანეთ და ამ საქმეში გარიეთ, რატომ გგონია, რომ სხვა ველარაფერს გაუძლებს, სანამ ამ დავიდარაბას თავს არ დააღწევთ და შინ არ დააბრუნებთ? რა არ ნახა აქ, ჩემს ეზოსა თუ სახლში ან კიდევ იქ, ჩემს საძოვარზე, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რასაც ქალაქში ნახავდა. ის მუტრუკი იმ გოგოს რომ გადაეკიდა და გასაქანი აღარ მისცა, გოგოს მწე და მშველელი მხოლოდ ეს თერთმეტი წლის ბაღლი იყო, მეტი არავინ - არც ბუნ ჰოგანბეკი, არც სამართლის მსახურნი და არც ჯანღონით სავსე

თეთრკანიანი მამაკაცები, ის გოგო ამის იმედადღა იყო. ჰოდა, მიდი, მოუყევი.- და უცებ ვილაცამ ჩემს წიაღში ასე დაიძახა: არა, არა, ნუ ჰკითხავ, რად გინდა ამის ცოდნა?! მე ვკითხე:

- და მაინც რა ქნა ბუნმა? - ნედს თეფშიდან თავი არ აუწევია, ჩასისხლიანებული თვალები აუხამხამდა, თითქოს ქვიშა შე-
აყარესო.

თავ-პირი დააღეწა იმ უფროსს, იმ ბუტჩს. კინაღამ სული გააც-
ხებინა. ჩემსა და მეხთამტეხელზე ადრე ის გაუშვეს. წამიც არ და-
უყოვნებია, პირდაპირ იმ გოგოსთან წავიდა...

- მის რებასთან, ხომ? - მე ვუთხარი. - მის რებასთან?

- არა, - ნედმა თქვა, - იმ მეორესთან, ტანვეება რომ არის, რა ჰქვია, არ ვიცი. ერთი კარგად მიბეგვა და მერე...

- რაო, მიბეგვაო? - ვუთხარი მე, - ბუნმა ევერ... მის კორი მი-
ბეგვა?

- მის კორი ჰქვია? ჰო, მერე გატრიალდა, იმ უფროსთან მიიჭ-
რა და თავ-პირი დააღეწა, სულ ფეხებზე დაიკიდა და ის, მისი პის-
ტოლეტიცა და სამკერდე ნიშანიც, ძლივს გამოჰგლიჯეს ხელი-
დან...

- ბუნმა მიბეგვა, - ასე ვთქვი, - იმან მიბეგვა, ხომ?

- სწორედ ასე იყო, - ნედმა თქვა, - ჩემი და მეხთამტეხელის გა-
თავისუფლება იმ გოგოს დამსახურებაა. ბუტჩი მიხვდა, გოგოს
ხელში ვერ ჩაიგდებდა და, როცა გაიგო, მე, შენ და ბუნი შინ ვერ
დავბრუნდებოდით, დოღში თუ არ გავიმარჯვებდით, ეს გამარჯვე-
ბა კი არ იქნებოდა უმეხთამტეხელოდ, ადგა და მეხთამტეხელი
დაამწყვდია. ასე იყო ეს ამბავი. მორჩა და გათავდა. პარშემ ბიძი-
ამ სწორედ ახლა არ გითხრა, ორშაბათსვე მივხვდი, რაც უნდა
მომხდარიყო. მეც უნდა მივმხვდარიყავი და ასეც იქნებოდა,
მაგრამ მეხთამტეხელის გარდა, აღარაფერი მახსოვდა და არც
ბუტჩს ვიცნობდი კარგად...

- არ მჯერა, - მე ვუთხარი.

- დიახ, - მან თქვა, - ასე იყო სწორედ. ბედის ამბავია და იმის სიმუხთლეს რას განჭვრეტ. სრულიად შემთხვევით მოხდა, რომ ორშაბათს იმ გოგოს გადაეყარა და, რადგან სულ მუდამ იმედი ჰქონდა იმ თავისი სამკერდე ნიშნისა და პისტოლეტის, ფიქრობდა, რასაც მინდა იმას გავაკეთებო. მაგრამ ამჯერად ისიც დაინახა, მხოლოდ პისტოლეტი და სამკერდე ნიშანი საკმარისი არ იქნებოდა და მეხთამტეხელს დაადგა თვალი; ისიც გაიგო, რომ ჩვენთვის დოღზე გამარჯვება, იმ ავტომობილის დაბრუნება და, ვინ იცის, იქნებ სახლში დაბრუნებაც ერთი იყო...

- არა! - დავიყვირე. - არა-მეთქი! ის არ იქნებოდა! საერთოდაც, ის აქ არ არის! გუშინ საღამოს მემფისს წავიდა სემთან ერთად! შენ კი არ იცი, შენთვის არავის უთქვამს! ის სხვა იყო! ის ვიღაც სხვა იყო-მეთქი!

- არა, - თქვა ნედმა, - სწორედ ის იყო. თავად არ ნახე ორშაბათს ყველაფერი?!

დიახ, ვნახე, შუადღით ეტლით რომ ვბრუნდებოდით, იმ ექიმთანაც და საღამოსაც, სასტუმროში რომ ვიყავით, ვიდრე მის რეზამ არ გააგდო, და ყველამ ვიფიქრეთ, რომ საბოლოოდ მოგვწყდა თავიდან, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა; მაგრამ მის რება, რაც უნდა იყოს, ქალია მაინც. ნედს ვუთხარი:

- ვინმე რატომ არ მიეშველა? კაცი აღარავინ იყო, ვინც იმ გოგოს დაეხმარებოდა თუნდაც ის კაცი, ვინც შენ და მეხთამტეხელი წაგიყვანათ? სემსა და ბუტჩს კი, ორივეს, ასე უთხრა, იქნებ რაღაცას კი წარმოადგენთ იმ თქვენს მემფისში, ნეშვილსა თუ ჰადუიკსში, მაგრამ აქ პასემში მე ვარო უფროსი... - და მერე დავიყვირე: - არ მჯერა!

- კი, - ნედმა თქვა, - მეხთამტეხელი რომ გამოუშვეს და დღეს დოღზე გამოვიყვანთ, იმ გოგოს დამსახურებაა. ჩემზე, ბუნსა და სხვებზე არ გეუბნები; ბუტჩს ჩვენი დარდი არ ჰქონდა, მაგრამ ის კი უნდოდა, როგორმე დილაზე ბუნი თავიდან მოეცილებინა.

ამისთვის მას მეხთამტეხელი სჭირდებოდა, მეტი არავინ, მაგრამ ბატონი პოლიმასი რომ დაერწმუნებინა, მეც მიმაცოლა, ბუნიცა და სხვებიც. ჰოდა, ბუტჩმა ისიც მოატყუა და გამოიყენა. ამ დილას კი რაღაც მოხდა; ბუტჩმა შეიძლება, საზღაური მიიღო და ამიტომაც განაცხადა, რაღაც შეცდომა იყო, გაუგებრობაო, ეს ის ცხენი არ არისო, ან სულაც შეიძლება, თავად ბატონი პოლიმასი მიხვდა რაღაცას, ადგა და სუყველანი გამოუშვა. ბუნი კი იმ წუთასვე იმ გოგოსთან გაქანდა და კარგად მიტყიპა, და მერე ისე, რომ არც კი შეჩერებულა, უკანვე დაბრუნდა, ბუტჩს მივარდა და ცარიელი ხელებით სულ ცხვირპირი დაულეწა, არც მისმა პისტოლეტმა შეაჩერა და არც სხვა რამემ. მაშინ კი მიხვდა ბატონი პოლიმასი, რომ ვერ იყო კარგად საქმე და, თუმცა ტანმორჩილიცაა და ბებერიც, კაცური კაცია. ასე ამბობენ, უკვე ერთი წელია დამბლა აქვს მის ცოლს, თითის განძრევაც არ შეუძლიაო, შვილები დაოჯახებული არიან ყველანი, ზოგი სად ცხოვრობს და ზოგი - სად. ჰოდა, ბატონი პოლიმასი თავისი ხელით ბანს, აჭმევს, ლოგინიდან აყენებს დილით და აწვენს საღამოს, საჭმელსაც თავად აკეთებს, სახლსაც ალაგებს, ხანდახან ვინმე მეზობლის ქალი თუ მივა და ცოტას მიეხმარება. ამ კაცის შემხედვარე რას იფიქრებ, ამდენი თუ შეუძლია. ჰოდა, მისულა იქ (მე იქ არ ვყოფილვარ, მიაბნეს), და რას ხედავს! ორს თუ სამს ბუნი გაუკავებია, ერთიც ბუტჩის შეჩერებას ცდილობს, პისტოლეტით იმის ცემას არ ანებებს; ჰოდა, მივიდა ბუტჩთან, პისტოლეთი წაართვა, ფეხის წვერებზე აიწია, სამკერდე ნიშანი ააგლიჯა, თან ნახევარი პერანგიც ააყოლა, მერე ჰადუიკში დარეკა და ავტომობილი გამოიძახა, რათა სუყველანი ციხეში წაესხათ, ქალებიც კი. ქალები თუ არიან, მაშინ ამას ტორღიალს ეძახიან.

- ხეტიალს, - პარშემ ბიძიამ გაუსწორა, - მაწანწალობას.

- ჰოდა, მეც ამას არ ვამბობ, - მიუგო ნედმა, - თუმცა, რაც გინდა ის დაარქვი. მე ამას ციხეს ვეძახი.

- არა მჯერა, - ვთქვი, - იმ გოგომ უკვე თავი დაანება.
- ჰოდა, მაშინ მადლობა უნდა მოვახსენოთ, ისევ რომ დაიწყო,
- ნედმა თქვა, - თორემ მე, შენ და მეხთამტეხელი...

- თავი დაანება, - დავიყვირე - სიტყვა მომცა!
- მეხთამტეხელი კი რალატომ დაგვიბრუნეს? - თქვა ნედმა, -
დღობზე აღარ უნდა გავიდეთ? ბატონმა სემმა ხომ თქვა, დღესვე
უკან დავბრუნდებით, იმან კი კარგად იცის, რაც უნდა ქნას. ჰოდა,
ჩათვალე, რომ მე, შენ და ბუნი უკვე სახლში ვართ.

ისევ ისე ვიჯექი. ჯერ კიდევ ადრე იყო. სულ ახლახან შესრუ-
ლებულიყო რვა საათი. ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა, პირ-
ველი ცხელი დღე, გაფხულის მაცნე და მაუწყებელი. თუ გესმის,
არა მჯერა-მეთქი, გაუთავებელივ რომ ვიმეორებდი, შვებას
მგვრიდა ეს სიტყვები, მაგრამ მხოლოდ წამით; როგორც კი ამ
სიტყვების ჟღერა მიწყდებოდა, ვგრძნობდი, რომ ოდნავადაც არ
გამნელებოდა ტკივილი, წყენა, სასოწარკვეთილება და მრისხა-
ნება.

- ქალაქს უნდა წავიდე - ვუთხარი პარშემ ბიძიას, - იქნებ ერთი
ჯორი მათხოვოთ, როგორც კი სახლში ჩავალ, ფულს გამოგიგ-
ზავნით. - იმწუთასვე წამოდგა.

- აბა, წავიდეთ, - ასე თქვა.

- რისთვის? - თქვა ნედმა. - მაინც დაგვიანებულია. ბატონმა
პოლიმასმა ავტომობილი გამოიძახა. წასულები იქნებიან უკვე.

- გზაში დახვდება, - თქვა პარშემ ბიძიამ, - ნახევარი მილიც არ
იქნება აქედან იმ გზამდე, სადაც ისინი გაივლიან.

- მე კი ცოტა უნდა წავიძინო, - თქვა ნედმა.

- ვიცი, - მიუგო პარშემ ბიძიამ, - მე გავყვები. გუშინვე დავპირ-
დი, გამოგყვები-მეთქი.

- მე ჯერ სახლში არ მივდივარ, - ასე ვუთხარი, - სულ ცოტა
ხნით ქალაქს უნდა წავიდე, მერე კი უკანვე დავბრუნდები.

- კარგი, - თქვა ნედმა, - ყავას დავამთავრებ ახლავე. - მაგრამ იმას აღარ დავუცადეთ. ერთი ჯორი, როგორც ჩანს, ლიკურგეს მინდვრად გაეყვანა, მეორე კი იქვე იყო. ჯერ კიდევ შებმული არ გვყავდა ორთვალაში, რომ ნედიც გამოვიდა. პარშემ ბიძიამ გვიჩვენა, მოკლებე სადაც უნდა გადაგვეხვია, ჰადუიკისკენ მიმავალ გზაზე რომ გავსულიყავით. თუმცა აღარაფრის დარდი არ მქონდა, სულ ერთი იყო, სადაც შევხვდებოდით. ნეტავ არ ვყოფილიყავი ასე გაწამებული დოღის ცხენებით, ქალებით, შერიფის თანაშემწეებითა და კიდევ სხვათა გამო! ნეტავ იმათ თავ-თავიანთი სახლებიდან ფეხი არ გამოედგათ, მაშინ ბუნთან შეხვედრას სადმე განცალკევებულ, მყუდრო ადგილას ვამჯობინებდი, მისთვისაც კარგი იქნებოდა და ჩემთვისაც. მაგრამ ახლა სულ ერთი იყო, სად შევხვდებოდით, გინდ, შარაგბა ყოფილიყო და გინდ - ქალაქის მოედანი, თუნდაც, ყველანი ავტომობილში ყოფილიყვნენ ჩაჭედილნი. მაგრამ გზაში არსად შეგვხვედრია ავტომობილი, როგორც ჩანს, ბედი მწყალობდა; ხალხის თვალწინ დალაპარაკება სწორედაც გაუსაძლისი იქნებოდა, განსაკუთრებით კი მისთვის, ვინც მთელი ოთხი დღე ერთგულად ემსახურებოდა უკეთურებსა და სამაგიეროდ სულ ცოტას მოითხოვდა: თუ რაღაც აუცილებლობა არ იქნებოდა, აღარასოდეს შეხვედროდა მათ. მადლობა ღმერთს, ასეც მოხდა, ის-ის იყო, ცარიელი „სტენლი-სტიმერი“ სასტუმროს მიადგა, რომ ჩვენც მივედით. შვიდადგილიანი ავტომობილი ისეთი ფართო იყო, ორი ქალის, არა, მინის ჩათვლით, სამი ქალის ბარგი-ბარხანასაც დაიტევდა, მემფისიდან ორი დღით რომ გამგზავრებულიყვნენ პარშემს. როგორც ჩანს, ახლა მალლა იყვნენ და თავიანთ ავლადიდებას ალაგებდნენ. ასე რომ, ცხენის მპარავთა მარაქასაც ჰყავდა მწე და მშველელი. ნედმა ბორბალი შეაჩერა, რომ ძირს ჩავსულიყავი.

- აღარ იტყვი, აქ რა გინდა? - მკითხა.

არა-მეთქი, ვუთხარი. ცარიელი იყო აივანზე ჩამწკრივებული სკამები; თუკი კვისარი თავისი ტრიუმფის აღნიშვნას აქ ინებებდა, მაშინ განცალკევებით, სრულ მარტოობაში მოუხდებოდა ზეიმი, განცალკევება კი სწორედ რომ აუცილებელი იყო ახლანდელ მდგომარეობაში მყოფი ბუნისა და ბუტჩისთვის. მისაღებიც ცარიელი იყო და ბატონ პოლიმასს შეეძლო იმით სარგებლობა, მაგრამ ვაცურმა ვაცმა ქალების სასტუმრო ოთახი არჩია და ახლა ყველანი იქ იყვნენ - თავად ბატონი პოლიმასი, ავტომობილის მძღოლი (კიდევ ერთი სამკერდენიშნიანი შერიფის თანაშემწე), ბუტჩიცა და ბუნიც; ორივეს ეტყობოდა სულ ახლახან გადატანილი ბრძოლის ნაკვალები. მაგრამ ჩემთვის თავიდათავი ბუნი იყო და ეს კიდევაც ამოიკითხა ჩემს სახეზე, რომელსაც კარგა ხანია იცნობდა ან შეიძლება, საკუთარმა გულმა თუ სინდისმა ამცნო. ჰოდა, იმავე წამს წამოიძახა:

- დაიცა, ლუციუს, დაიცა-მეთქი! - მსწრაფლ წამოდგა, დაიხია, უკან გაიწია, ცალი ხელი სახეზე აიფარა. მივედი, მივადექი, ჩემზე ორჯერ უფრო მაღალი იყო, შედგომით კი ვერაფერზე შევდექი (მეტი თავის მოჭრა იქნებოდა?!), უნდა ავმხტარიყავი, იმდენი უნდა მომეხერხებინა, როგორმე მივწვდომოდი მის სახეს და გამერტყა; დიახ, კვლავ ვტიროდი და ვღრიალებდი, მას ვერც კი ვხედავდი, ისე ავხტი, რაც ძალი და ღონე მქონდა, ავძვერი ალპების სამებრ მაღალსა და სალ კლდეზე და, როგორც იქნა, გავარტყი. ბატონი პოლიმასი კი ჩემ უკან იდგა და გაიძახოდა:

- მიდი, კიდევ შემოჰკარი! ქალს ხელი გაარტყა, სულერთია, ვინც უნდა იყოს იგი! - და მან (თუ ვიღაც სხვამ) ხელი შემაშველა, ვიდრე კლაკნა-გრეხით არ დაუუსხლტი და დაბრმავებულმა კარს არ მივაშურე ანუ იმ ადგილს, სადაც კარი უნდა ყოფილიყო და საითკენაც ვიღაცას მივყავდი.

- დაიცა, - დამიძახა ბუნმა, - იმ გოგოს ნახვა არ გინდა? - ხომ გესმის, მე კი დაღლილი ვიყავი და ფეხებიც მტკიოდა, ძვალი და

რბილი სულ ძირს ჩამომდიოდა და ძილიც მაკლდა, უფრო მეტიც, ჭუჭყიანი ვიყავი, სუფთა ტანსაცმელი მინდოდა. მართალია, ევერბიმ გამირეცხა ყველაფერი ორშაბათს ღამე, მაგრამ არ მინდოდა ასე ნაუცბადევიად გარეცხილი სამოსის ჩაცმა, მინდოდა, ჩამეცვა მშობლიური სახლის კარადაში ნადები საცვლები, გახამებული და ლილაში გავლებული, რაღაც გრილი საამური სურნელი რომ ასდიოდა ხოლმე; მაგრამ მთავარი მაინც ფეხები იყო - სუფთა წინდები და ფეხსაცმელი მენატრებოდა.

- არავის ნახვა არ მინდა, - ვუთხარი, - სახლში მინდა.

- კარგი, - ბუნმა თქვა, - მისმინეთ... თუ არის აქ ვინმე, ვინც დილის მატარებელში ჩასვამს ბიჭს? ფული მაქვს... ვიშოვი...

- ხმა, კრინტი, - ვუთხარი, - არსადაც არ მივდივარ. - ისევ დავიძარი კარისკენ, ანუ ისევ მივყავდი იმ ვილაცას, რადგან თავად ვერაფერს ვხედავდი.

- დაიცა - ბუნმა თქვა, - დაიცა, ლუციუს!

- ხმა, კრინტი-მეთქი, - ვთქვი ისევ. იმ ხელმა შემომაბრუნა და კედელს მივაწყდი.

- სახე შეიმშრალე, - მითხრა ბატონმა პოლიმასმა და თავისი ფერადი ცხვირსახოცი გამომიწოდა, მაგრამ არ გამოვართვი, ჩემი სახვევითაც კარგად შევიშრობდი ცრემლებს, ამით თუ არა, საჭირითო თათმანით მაინც, შეჩვეული იყო კიდევაც ჩემს ტირილს. ვინ იცის, ცოტა ხანს კიდევ ჩემთან რომ დარჩენილიყო, დოღსაც მომაგებინებდა. ახლა უკვე ვხედავდი - ვესტიბიულში ვიყავით. უნდა მივტრიალებულიყავი, რომ ბატონმა პოლიმასმა გამაჩერა.

- ცოტა ხანს დაიცადე, - ასე მითხრა, - თუ არავის ნახვა არ გინდა.

- მის რება და ევერბი ჩამოდიოდნენ კიბეზე, თან ხელჩანთები ჩამოჰქონდათ, მაგრამ მინი არ იყო მათთან ერთად. ავტომობილის მძღოლი-შერიფის თანაშემწე მათ ელოდებოდა, ხელჩანთები გამოართვა და ისე ჩაგვიარეს, ჩვენკენ არც კი გამოუხედავთ. მის რება თავაწეული მიდიოდა, მკაცრი და შეუდრეკელი. კიდევ კარ-

გი, მსწრაფლ გვერდზე მიდგა ის მძლოლი-შერიფის თანაშემწე, თორემ მასაც და ხელჩანთებსაც ზედ გადაუვლიდა. გარეთ გავიდნენ. - ბილეთს გიყიდი ჯეფერსონამდე, - მითხრა ბატონმა პოლიმასმა. ხმა, კრინტი-მეთქი, იმისთვის არ მითქვამს. - ვხედავ, სულ მარტო დარჩი. მატარებელში ჩაგსვამ და ვეტყვი გამცილებელს.

- ნედს უნდა დავუცადო, - ვუთხარი, - უიმისოდ ვერსად ვერ წავალ. გუშინ ჩვენთვის ხელი რომ არ შეგეშალათ, ახლა უკვე წასულები ვიქნებოდით.

- ნედი ვინაა? - მკითხა მან და მეც ვუთხარი. - დოღზე იმ ცხენის გაყვანას დღესაც აპირებთ შენ და ის ნედი? - დიახ-მეთქი. - ნედი ახლა სად არის? - ვუთხარი, სადაც იყო, - აბა, წავიდეთ, - მითხრა, - ამ გვერდითა კარით გავიდეთ. - ნედი იქვე იდგა, იმ ჯორთან ახლოს, ავტომობილიც იქვე იყო, მინი კი არც აქ ჩანდა. შეიძლება მემფისს დაბრუნდა გუშინ სემსა და ოტისთან ერთად. ოტისი ხელში ჩავარდნოდა და სანამ კბილს არ გააგდებინებდა, რას გაუშვებდა. მეც ალბათ, ასე ვიზამდი.

- ბატონმა პოლიმასმა შენც დაგიჭირა? - მკითხა ნედმა, - ახლა რაღა მოხდა, ბორკილი რატომ არ გადევს? ვერ ნახა შენი ზომისა?

- ხმა, კრინტი-მეთქი.

- სახლში ამას როდის წაიყვან, შვილო? - ჰკითხა ბატონმა პოლიმასმა ნედს.

- მე მგონი, ამაღამ, - ნედმა თქვა. ის ახლა არც ბიძია რიმუსი გახლდათ, არც თავხედი და ენად გაკრეფილი. - როგორც კი დოღს მოვრჩებით, რამეს მოვიფიქრებ.

- ფული თუ გაქვს საკმარისი?

- დიახ, ბატონო, - ნედმა მიუგო, - დიდი მადლობა. დოღის მერე ყველაფერი კარგად იქნება. - მერე ორთვალას ბორბალი შეაჩე-

რა და ორივენი ზედ ავედით. ბატონი პოლიმასი ლატანს ხელჩაჭიდებული იდგა. გვითხრა:

- ნამდვილად აპირებთ, დღეს ლინსკომის ბედაურს შეაჯიბროთ თქვენი ცხენი?

- დღეს ჩვენ ლინსკომის ბედაურს დავამარცხებთ, - ნედმა მიუგო.

- იმედი გაქვს, ალბათ, - უთხრა ბატონმა პოლიმასმა.

- დარწმუნებული ვარ, - თქვა ნედმა.

- რამდენად ხარ დარწმუნებული? - ჰკითხა ბატონმა პოლიმასმა.

- ასი დოლარი რომ მქონდეს, სულ მეხთამტეხელზე ჩავიდოდი, - უთხრა ნედმა. ერთმანეთს უმზერდნენ ერთხანს, მერე ბატონმა პოლიმასმა ლატანს ხელი გაუშვა და ჯიბიდან გაქეჩილი საფულე დააძრო. დავინახე თუ არა, ასე გავიფიქრე, ნედს რომ აქვს, ზუსტად ამისი ასლია-მეთქი, ისეთივე გაქეჩილ-გაქუცული და ამ ჩემს საჯინბოთათმანზე უფრო გრძელი. ჰოდა, ვეღარ გაიგებდი, ვის ვისთვის უნდა მიეცა ფული და რისთვის. ბატონმა პოლიმასმა საფულე გახსნა, იქიდან ორი ერთდოლარიანი ამოიღო, ისევ დაკეტა და ფული ნედს გაუწოდა.

- ჩემ მაგივრად ჩახვალ, - ასე თქვა, - თუ მოიგებ, ნახევარი შენი იყოს, - ნედმა გამოართვა.

- კარგი, ჩავალ თქვენ მაგივრად, - უთხრა, - დიდი მადლობა. ამ საღამოსვე გამოგიგზავნით სამჯერ, ოთხჯერ უფრო მეტს. - ჩვენ, უფრო სწორად, ნედმა ჯორი მიაბრუნა და დავიძარით. ავტომობილის გვერდით არ ჩაგვივლია. - მტირალასა ბანიო, - ნედმა თქვა, - დოღზე გამოდიხარ და ტირილს ვერ გადაჩვეულებარ.

- ხმა, კრინტი-მეთქი, - ვუთხარი. ნედმა ისევ მიაბრუნა ორთვალა. ლიანდაგზე გადავედით და იმ ადგილს ჩავუარეთ, რომლისთვისაც შეიძლებოდა მოედანი დაგვერქმია, თუკი პარშემი იმდე-

ნად დიდი ქალაქი შეიქნებოდა, რომ მოედანი ექნებოდა; რომელიღაც დუქნის წინ შევჩერდით.

- ალვირი დაიკავე, - მითხრა ნედმა და ჩავიდა, დუქანში შევიდა. სულ მალე გამოვიდა იქიდან ქალაქის პარკით ხელში, დაჯდა, ალვირი მოიმარჯვა და გავწიეთ სახლისკენ - პარშემ ბიძიას სახლისკენ-მეთქი. მერე თავისუფალი ხელით დიდი პარკიდან პატარა ამოიღო; პიტნის კანფეტები იყო შიგ. - აიღე, ცოტა ბანანებიც ვიყიდე. როგორც კი მეხთამტეხელს იმ წყაროსთან მივიყვანთ მდელღობე, ვჭამოთ, მერე იქნებ წავუძინო კიდევც, თუკი მთლად არ გადავჩვეულვარ ძილს. იმ გოგობე კი ნულარ დარდობ; ბუნ ჰოგანბეკს, რაც გინდოდა, ხომ უთხარი. ქალს რომ გაჰკრავ ყბაში, ეგ მისთვის არაფერია. კაცივით ხელს ვერ შემოგობრუნებს, ხმასაც არ ამოიღებს, მაგრამ, თუ მიტრიალდები, იმწუთასვე უთოთი ან სამზარეულოს დანით გეცემა. კი შეიძლება, თვალი ჩაუღურჯდეს ან ტუჩი გაუსკდეს ცოტათი, მაგრამ ამას არაფრად აგდებს და თუ იცი, რატომ? რატომ და იმიტომ, რომ ჩაღურჯებული თვალი ან დასივებული ტუჩი იმის მაუწყებელია, კაცს მოვწონვარ და თავს არ დამანებებსო.

ჰოდა, კიდევ ერთხელ დავდექით სასტარტო ხაზთან მაკ-უილი და მე, ჩვენს მროკავ, ფიცხელ ბედაურებს ძლივს აჩერებდნენ მეჩინიბეები (დიახ, ეს მართალია, მეხთამტეხელიც მოუსვენრად როკავდა; და თუ ის ვერ შეითვისა გუშინ, რომ ჩვენი იმედი უნდა გაემართლებინა და პირველი მისულიყო ფინიშთან, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მიხვდა, მეხსიერებაში ჩარჩა ალბათ, რომ სტარტზე ტოლი არ უნდა დაედო აქერონტისთვის).

ამჯერად ნედის საბოლოო დარიგება მარტივი, ზუსტი და მოკლე იყო.

- მხოლოდ ეს უნდა გახსოვდეს: მე ვიცი, რომ შემიძლია ერთხელ გავამარჯვებინო და იქნებ მეორედაც. მაგრამ რომ ვამბობ, ვიცი-მეთქი, ყველაზე უფრო საჭირო რომ იქნება, მაშინ უნდა გა-

მოვიყენო. ჰოდა, მე ეს მინდა, რომ პირველივე გარბენის სტარტზე, სანამ მსაჯი, თუ ვინც არის, დაიყვირებს, გასწითო, შენ გულში ასე თქვა: ნედ უილიამ მაკკასლინი ვარ მე და მერე, რაც საჭიროა, იმას ვიზამ.

- რა არის საჭირო? - ვკითხე.

- თავადაც არ ვიცი ჯერ, - ასე თქვა, - მაგრამ იცოდე, აქერონტი ცხენია და ზოგჯერ ცხენს რა არ მოუვა, მით უფრო, იმაზე ამხედრებულ ზანგის ბიჭს. ჰოდა, თვალყური გეჭიროს, მზად იყავი და თუ რამე მოხდება, მაშინვე თქვი: ნედ უილიამ მაკკასლინი ვარ მე... და, რაც გასაკეთებელია, გააკეთე, თანაც სწრაფად და ნურაფრის დარდი ნუ გექნება. თუ არც არაფერი მოხდა და შენც არაფერი გამოგივიდა, ზედ ფინიშის ხაზთან დაგხვდები და ნახავ, რასაც ვიზამ, რადგანაც ჩვენ ხომ ვიცით, ერთხელ მაინც გავამარჯვებინებ მეხთამტეხელს.

მერე გაისმა ყვირილი, გასწითო! ჩვენმა მეჯინიბეებმა ისკუპეს და თავს უშველეს, ჩვენ კი წინ გავიჭერით (უკვე გითხარი, წილი ვყარეთ და კიდებე მაკ-უილი იდგა), უფრო სწორად, მაკ-უილი გაიჭრა წინ. კარგად არ მახსოვს, ნებისით თუ უნებლიეთ აღვირი მოვწიე და მეხთამტეხელი ისე გაიჭრა, კინაღამ მხარ-მკლავი და ის მტკივანი ხელი ჩამომამგლიჯა, აქერონტი უკვე მთელი ძალით მიქროდა და სამი ტანით გაგვისწრო. მეც თავის ნებაზე მიუშვი მეხთამტეხელი, მაგრამ დისტანციას ვინარჩუნებდი, სამი ტანით უკან მივდევდით. და უცებ მაკ-უილიმ ერთი რამ გააკეთა, რასაც დღეს ნაგვიანვე რეაქციას ვეძახით. თავის მოუტრიალებლად ცალი თვალის კიდით გვერდზე გამოიხედა, ასე ეგონა, მის მუხლთან ვიქნებოდნი; რამდენიმე წამს ისევე მთელი ძალით მიქროდა, სანამ თვალმა არ ამცნო მის თავს, რომ მეხთამტეხელი და მე იქ არ ვიყავით, სადაც ვეგულებოდით. მაშინ კი იკადრა კისრის მოღრეცა, თავი მოაბრუნა და უკან გამოიხედა. დღესაც კარგად მახსოვს მისი თვალების გაელვება და განცვიფრებით დაღებულ

პირი; თვალწინ მიდგას, რა გაშმაგებით მოსწია სადავეს, რათა აქერონტი შეეკავებინა. თუნდაც დავიფიცებ, ნამდვილად გავიგონე მისი ღრიალი: „წყეულიმც იყავ, თეთრო ბიჭო, დოღბე ხარ და მიდი, მიდი რალა!“ და მანძილმა სწრაფად იწყო შემცირება ჩვენ შორის, რადგანაც აქერონტს კისერი მოუგრინა და იმდენი ქნა, თითქმის შემოატრიალა და გარდიგარდმო დააყენა სარბენ ბილიკზე; ცხენმა თითქმის გადაკეტა გზა მოაჯირიდან მოაჯირამდე და თითქოს წამით გაირინდა კიდევაც; მგონია, არ ვცდები, თავგზააბნეულ მაკ-უილის ასე გაუელვა თავში: ცხენს შევატრიალებ, უკან დავბრუნდები, მეხთამტეხელს წინ გავუშვებ და ასე გავაგრძელებ სრბოლასო. მეყსეულად, ისე, რომ თავად ვერც მივხვდი, ასე აღმომხდა: ნედ უილიამ მაკკასლინი ვარ მე, და რაც ძალი და ღონე მქონდა, მათრახი გადავუჭირე მეხთამტეხელს, თავიც ისე მივუტრიალე, ისე მივმართე, რომ აქერონტსა და მოაჯირს შორის დარჩენილ სავალში გაჭრილიყო და მოაჯირს კი არა, აქერონტს წამოსდებოდა; მახსოვს, ასე გავიფიქრე, ფეხს მომტეხავს-მეთქი. რალა უნდა მექნა, მათრახი დავუშვი და ბედს მივინდე, აღარც შიშს ვგრძნობდი და აღარც არაფერს, მხოლოდ ცნობისმოყვარეობით ველოდი შეჯახებას, დარტყმას, სისხლის ნთხევას, ძვლების მსხვრევას და რა ვიცი კიდევ რას. მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვი, რა მოხდა. შეიძლება, საკმარისი ადგილი იყო დარჩენილი აქერონტსა და მოაჯირს შორის, შეიძლება, სწორედ ისეთი სიჩქარით მივქროდი, როგორც საჭირო იყო ან სულაც ბედმა გამიღიმა და ჩემი ფეხი კი არა, მეხთამტეხელი გაეხახუნა აქერონტის გავას. მათრახი აღვმართე იმავე წამს და, რაც ძალი და ღონე მქონდა, გადავკარი. მსაჯთაგან ვერავინ, ვერც დოღის განმკარგულებელი, ვერც ძაღლების მწვრთნელი-ვაჭარი-მონადირე თუ კაცისმკვლეელი, ვერც ვინმე მეთვალყურე თუ გულშემატკივარი, ვერავინ, თუნდაც მთლად უპატიოსნესი და სპეტაკი, ვერ იტყოდა, რომ მათრახი ჩემსავე ბედაურს არ გადავუჭირე,

რადგანაც იმწუთას ჩვენ ოთხნი ერთმანეთში ისე ავირ-დავირი-ეთ, რომ მხოლოდ აქერონტმა იცოდა, სინამდვილეში მათრახი ვისაც მოხვდა.

გზა ხსნილი იყო. ქარივით მივექროდით მეხთამტეხელი და მე. უკან არ მიმიხედავს, არც შემეძლო და, რაც მოხდა, მხოლოდ მე-რე გავიგე. ასე მიაბმეს, აქერონტს არც კი უცდია ზედ გადავლუ-ბოდა მოაჯირს, ჯერ ყალყზე შედგა, შემდეგ შელუწა ის ზღუდე, მტვრისა და ნაფოტების კორიანტელი დააყენა და ძირს არც და-ნარცხებულა, ისე გაიჭრა იქით, მინდორზე. მაყურებლებმა ძლივს უშველეს თავს და მიმოიფანტნენ. მერე კი, როგორც იქნა, მაკ-უილიმ შემოატრიალა და სცადა, უკანვე ღობებზე გადმოეხტუ-ნებინა (გარღვეულ მოაჯირთან დაბრუნება გვიანი იყო, რადგან ჩვენ - უფრო სწორად, მეხთამტეხელმა - გვარიანად გავუსწა-რით). მაგრამ რაც მაკ-უილის სურდა, აქერონტმა არ ინება და მთელი ძალით მოაჯირის გასწვრივ განაგრძო სრბოლა, ოღონდ გარეთა მხრიდან, ხოლო მაყურებლები ბლავილითა და კივილით ბაყაყებივით გვერდზე ხტებოდნენ, არ გადაგვთქეროსო, ამასო-ბაში კი ის ახალ სარბენ ბილიკსა თუ ახალ პრეცედენტს ქმნიდა. მერე კვლავ მომესმა მისი ხმა, უფრო სწორად, იმათი - მაკ-უილი-სა და აქერონტისა, რომლებიც მსწრაფლ გვეწეოდნენ, თუმცა კი ჩვენ შორის ის მოაჯირი იყო. მეხთამტეხელისა იყო ახლა ის სარ-ბენი ბილიკი და ძალუმი, თანაბარზომიერი ნავარდით მიდიოდა, მაგრამ აზრდაც არ მოსდიოდა, რომ აჩქარება მართებდა; ჰოდა, აქერონტი, ზედმეტი ორმცდაათი იარღი რომ გაირბინა და ფინი-შამდეც რომ მოუწევდა კიდევ ერთი ამდენის გარბენა ზედმეტად, გაგვისწორდა, ოღონდ ისევ მოაჯირს იქიდან; კვლავ სწორ გზაზე მივექროდით, მერე მარცხნივ მოვუხვიეთ და უკვე ცხადლივ ვხე-დავდი, სასოწარკვეთილი, გააფთრებული, ჭკუაარეული მაკ-უი-ლი როგორ ცდილობდა თავის შველას. რა უნდა ექნა? უკან მიებ-რუნებინა თავისი ბედაური იმ შელუწილ ღობესთან და იქიდან

სარბენ ბილიკზე დაებრუნებინა?! მაგრამ ვაითუ, გაოგნებულიყო ნამსხვრევების გროვის დანახვაზე, ან, რაც უფრო ნაღდი იყო, იქნებ ახალგაკვალულ სარბენ ბილიკს გაჰყოლოდა, სადაც არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებოდა.

კონსერვატიზმი გამოვიდა გამარჯვებული (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება): ჩვენ ისევ სწორზე მივქროდით (ახლა უკვე მეორე წრისა), მერე - ისევ მოსახვევი. და თუმცა ისინი ისევ გრძელ ბილიკზე რბოდნენ, მაინც წინ იყვნენ. მერე ფინიშის ხაზიც გამოჩნდა, აქერონტი ლამის მთელი ტანით გვისწრებდა. ჰოდა, მახსოვს, ასე გამიელვა თავში, მოდი, მათრახს გადავკრავ მეხთამტეხელს, ცდა ბედის მონახევრეა-მეთქი; ფინიში სულ უფრო ახლოვდებოდა, მაყურებელი უკვე ყვიროდა, ღრიალებდა. საძრახისი აქ არაფერი იყო; ალბათ ცოტას უნახავს - თუ საერთოდ უნახავს ვინმეს - ასეთი დოღი, როცა ცხენები ბარიერის აქეთ-იქით მიქრიან. აქერონტმა აიწყვიტა, თავისუფალი იყო მის წინ გზა, როგორც სავალი ზეცისკენ. ორი ტანით გვისწრებდა უკვე, როდესაც ჩვენ, უფრო სწორად, მეხთამტეხელმა ფინიშის ხაზი გადაკვეთა, მან კი (აქერონტს, როგორც ჩანს, დიდად მოსწონდა ბარიერის იქით ჭენება) მესამე წრე დაიწყო; ძლივს შეძლო მაკ-უილიმ მისი შემოტრიალება, მაგრამ რაღა დროს?! და ისევ - ღრიალი, ყვირილი: „არ ითვლება! არა! არა! კი ითვლება! არა, არ ითვლება! მსაჯებს მოვუხმობთ! ედის ვკითხობთ! რას იტყვი, ედ!“ და ის მაყურებლები, მოაჯირს მიღმა რომ მიფანტ-მოფანტა აქერონტმა, იმ შელენილ ღობეში მოძვრებოდნენ და აქეთ მხარეს შეგროვილთ უერთდებოდნენ. ნედს ვეძებდი, თითქოს დავინახე, მაგრამ შევცდი, ლიკურგე იყო, ჩემკენ მორბოდა, მეხთამტეხელს მაშინვე აღვირში ჩაავლო ხელი და შეატრიალა.

- წამოდი, - თქვა, - შენ დასვენება გინდა, ამას კი - გაგრილება. ბატონმა მაკკასლინმა მითხრა, იმ აკაციებთან მიიყვანეთ,

ჩრდილში, სადაც ორთვალა დგას, იქ მშვიდად იქნება, თანაც გა-
ამშრალეობთ. - მაგრამ მე ჯერ არ მივეყვებოდი.

- ერთი მითხარი, - რა მოხდა? - ვკითხე, - თუ ჩაგვითვალეს?
გამარჯვებულები ხომ ჩვენ ვართ? პირველები ჩვენ მივედით ფი-
ნიშიზე, მათ კი შემოუარეს. ცხენი შენ წაიყვანე, მე კი მივალ და
ყველაფერს გავიგებ.

- არა-მეთქი, გეუბნები, - მითხრა ლიკურგემ. მეხთამტეხელი
უკვე მიჰყავდა, - ბატონმა მაკვასლინმა შემოგითვალა, მანდ ნუ
გაჩერდებიო. მე და შენ მეხთამტეხელთან უნდა ვიყოთ და მეორე
გარბენისთვის მოვემზადოთ. იქამდე ერთი საათიც აღარ არის
დარჩენილი. ის გარბენი უნდა მოვიგოთ, იცოდე, სხვა გზა არა
გაქვს, რადგან შეიძლება პირველი არ ჩაგვითვალონ. - ჰოდა, წა-
ვედით, სარბენი ბილიკი რომ ჩავათავეთ, ლიკურგემ ლატანი გა-
დასწია და ღობის იქით გადავედით. ორასი იარდის დაშორებით
აკაციები იდგა; ბიძია პარშემის ორთვალა დავინახე ერთ-ერთზე
მიბმული. მსაჯთა ტრიბუნიდან ისევ მოისმოდა ღრიანცელი და
ისევ მინდოდა მივბრუნებულიყავი, რომ გამეგო, რა ხდებოდა.
მაგრამ ლიკურგეს ესეც ჰქონდა გათვალისწინებული: ვედრო
მოეტანა, ჯაგრისები, ჩვრები და წყლით სავსე კარაქის სადღევე-
ბელიც ჩაედგა ორთვალაში; უკვე შეგვეძლო უნაგირი მოგვეხადა
მეხთამტეხელისთვის და საქმეს შევდგომოდით.

ჰოდა, სანამ ნედი მოვიდოდა, პირველი ცნობა იმის შესახებ,
რაც მოხდა (და რაც გრძელდებოდა), სხვისი ნათქვამით შევიტყვე
- ჯერ ლიკურგესაგან, თუმცა მას ბევრი ვერაფრის ნახვა მოეს-
წრო, რადგან ნედს მაშინვე ჩემთან გამოეგზავნა, მოგვიანებით
კი - სხვებისგანაც; იყო ღრიალი, ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწე-
ვა, ზოგი იძახდა, ასეაო, ზოგი კი - ასე არა, ისეაო (დიახ, შარშან
ბამთარში ორჯერ დამარცხებისა და გუშინდელი წაგების მიუხე-
დავადაც, მაინც იყვნენ ვილაცები, მეხთამტეხელზე რომ ჩამოსუ-
ლიყვნენ ფულს; მე მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი და, აბა, რა ვი-

ცოდი, რაც არ უნდა წყალწაღებული ჯაგლაგი იყოს, თუკი როგორმე შეძლებს სასტარტო ხაზთან მიჩანჩალებას, ვილაც მაინც დადებს იმაზე სანაძლეოს); და ამ აბობოქრებული ბრბოს შუაგულში ნედი ჩამდგარიყო - თავაზიანი, მშვიდი, მტკიცე და შეუპოვარი, შემართული ყოველი შეტევის მოსაგერიებლად.

- ეს რა დოლია! დოლში ორი ცხენი მაინც უნდა მონაწილეობდეს. ჩვენ კი რა ვნახეთ, ერთი ცხენი სულაც გადავიდა სარბენი ბილიკიდან.

ნედი კი პასუხობდა:

- არა, ბატონო, რამდენი ცხენი უნდა იყოს, წესებში არ არის ნათქვამი, მხოლოდ ეს არის ნათქვამი: თუ ცხენი წესს არ არღვევს, წინ შეუჩერებელივ მიიწევს და პირველი გადაკვეთს ფინიშის ხაზს ისე, რომ არც მხედარი ჩამოვარდეს და არც არაფერი, მაშინ გამარჯვებულიც ის იქნება.

ახლა მეორემ უთხრა:

- თავად შენივე სიტყვებით, გამარჯვებული ის ყორანა ბედაურია. მას არც არაფერი დაურღვევია, გარდა იმ ოცი ფუტი სიგრძის ღობისა, წამითაც არ შეჩერებულა, ისე მიქროდა; საკუთარი თვალით ვნახე, ოცზე მეტმა კაცმა მაინც ძლივს მოასწრო განზე გახტომა, კინაღამ ფლოქვებით არ გადათქერა. შენც ხომ ნახე, მთელი ორი ტანით წინ იყო ქურანაზე, როცა ფინიშის ხაზი გადაკვეთა.

ნედმა უპასუხა:

- არა, ბატონო, ფინიშის ხაზი ერთი მოაჯირიდან მეორემდეა, მისისიპამდე კი არა, თუნდაც იქამდე იყოს, დღეს დილიდან, ვინ იცის, რამდენმა ცხენმა გადაკვეთა, ჩვენ კი ბაიბურში არა ვართ. არა, ბატონო. იმ მილრინკულ ღობეზე კი, რაც თქვით, გეთანხმებით, ვერ არის კარგი ამბავი, მაგრამ ჩვენ ჩვენი ცხენით ვიყავით დაკავებული, მივრბოდით, როგორც წესი და რიგია, და არც დრო

გვექონდა იმ მეორე ბედაურს დავლოდებოდით, როდის დაბრუნდებოდა ბილიკზე.

მერე უეცრად სამი ახალმოსული გამოჩნდა სარბიელზე, როგორც ნაამბობიდან ჩანდა. მაგრამ სამივე უცნობი არ ყოფილა, ერთი იმათგანი პოლკოვნიკი ლინსკომი გახლდათ და როგორც მეზობელს, ყველა იცნობდა ამ არემიდამოში, ხოლო თანმხლები ორი კაცი, როგორც ჩანს, მისი სტუმრები იყვნენ, ქალაქელები უნდა ყოფილიყვნენ, ხნოვანებით მისი ტოლნი და ისეთივე შეძლებულნი, სერთუკებში გამოწყობილნი, ჰალსტუხიანები. ერთერთმა, როგორც ჩანს, საქმის მოგვარება ითავა, აყაყანებული ბრბოს შუაში შევიდა და ნედთან, თავგზააბნეულ განმკარგულებელსა და მსაჯებთან დადგა. ასე განაცხადა:

- ჯენტლმენებო, ნება მიბოძეთ, ერთი წინადადება შემოგთავაზოთ. აი, ეს კაცი, - ნედისკენ ხელი გაიშვირა, - ამბობს, რომ მის ცხენს წესი არ დაურღვევია და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. მაგრამ ყველამ ნახეთ, მეორე ცხენი უფრო სწრაფი იყო და კიდევაც პირველი მივიდა ფინიშთან. ამ ბედაურების პატრონები აქ არიან, ჩემ გვერდით: პოლკოვნიკი ლინსკომი, თქვენი მეზობელი და ბატონი ვან ტოში, მემფისიდან, აქედან რომ არც ისე შორსაა, და როცა ბატონ ვან ტომს გაიცნობთ, მასაც უთუოდ მეზობლად მიიჩნევთ. ჰოდა, ასე შეთანხმდნენ - მე მგონია, მსაჯებიც ყაბულს იქნებიან - ეს გარბენი იმად ჩაითვალოს, რასაც ბანკირები პირობით ანაბარს ეძახიან. გინდოდათ თუ არა, ყველას გქონიათ საქმე ბანკირებთან... - ამბობენ, კაცმა აქ პაუზა გააკეთა, იქნებ ვინმემ გაიცინოსო, და ასეც მოხდა, - და იცით, რომ ისინი ყველაფერს სახელს არქმევენ.

- და ხეირსაც ნახულობენ! - თქვა ვიღაცამ და ისევ გაისმა ხარხარი, რომელიც სტუმარს სრულიად მუქთად ერგო და თავადაც გადაიხარხარა.

- ამჯერად პირობითი ანაბარი გადავადებას ნიშნავს, არც გაუქმებას და არც დაკარგვას, გადავადებას-მეთქი. ყველა ფსონი ძალაშია, არავინაა არც მოგებული და არც წაგებული; შეგიძლიათ, გაზარდოთ თანხა ან ერთდროულად ორივე ცხენზე ჩახვიდეთ ფსონს, ან, რაც გნებავთ, ის გააკეთოთ; წინა გარბენზე რა თანხასაც ჩახვედით, მომავალ გარბენზეც ძალაში დარჩება, ხოლო ცხენების მფლობელები კიდევ ორმოცდაათ-ორმოცდაათ დოლარს დაუმატებენ, და საბოლოოდ მოგებული ის იქნება, ვინც უკანასკნელ გარბენს მოიგებს. ბოლო გამარჯვება იყოს საბოლოო გამარჯვება. აბა, რას იტყვით?

აი, ეს იყო, რაც მე, - უფრო სწორად ჩვენ - ლიკურგემ და მე მოგვიანებით გავიგეთ. ჯერ კი არაფერი არ ვიცოდით, ნედს ველოდებოდით ან სხვა ვინმეს, ვინც მოვიდოდა ან ვისაც ჩვენს დასაძახებლად გამოაგზავნიდნენ. მეხთამტეხელი უკვე დაურჯებული იყო და ზურგზე ასაღადაფარებულს ლიკურგე აქეთ-იქით დაატარებდა, არ აჩერებდა. მე კი ვიჯექი ხებე მიყრდნობილი, ის ჩემი საჯირითო თათმანი წავიძრე, რათა შეხვეული ხელი შემშრობოდა. თითქოს საათები, თითქოს მარადისობა გავიდა, მერე კი მომეჩვენა, რომ საერთოდ წარხოცილიყო დრო-ჟამი, სადღაც დანთქმულიყო თუ გალუულიყო. მერე ნედი გამოჩნდა, სწრაფად მოდიოდა. უკვე გითხარი, რა საშინლად გამოიყურებოდა იმ დილით, მაგრამ ნაწილობრივ, ეს მისი ტანსაცმლის ბრალი იყო. ახლა კი სუფთა (თითქმის სუფთა) პერანგი ეცვა, შარვალსაც არა უშავდა. თუმცა ამჯერად თავიდათავი მისი სამოსი არ იყო, თუნდაც, მთლად ჭუჭყიანი ყოფილიყო, თავიდათავი სახე იყო მისი. ისეთი ვაცის გამომეტყველება ჰქონდა, თავად ბედისწერა რომ დახვდება უეცრად გზაზე და ეს ბედისწერა ასე განუცხადებს: გული დაიმშვიდე. კიდევ ოცდაათი-ორმოცი წუთი და დამჭირდები. მზად იყავი, მანამდე კი ნურაფრის დარდი ნუ გაქვს, შენს საქმეს მიხედე. მაგრამ ჩემთვის - ჩვენთვის-მეთქი - ნედს სულაც არ მო-

უცია დრო. ორთვალასთან მივიდა, გადმოიღო შავი ქურთუკი, ჩაიცვა და ასე მიიხრა:

- ეს გარბენი იმად გამოაცხადეს, რასაც პირობით ანაბარს ეძახიან და ვინც წააგებს, ის წაგებულნი იქნება საბოლოოდ. მოემზადე, - თუმცა ლიკურგეს უკვე გადაეძრო ცხენისთვის ასალი და მის შესაკაზმავად დიდი დრო აღარ დაგვჭირვებია. მე ზედ შემსვეს. ნედი მესთამტეხელის თავთან იდგა, ერთ ხელში აღვირი ეჭირა, მეორეს კი ქურთუკის ჯიბეში აფათურებდა, რაღაცას ეძებდა. - ამჯერად აღარ გაგიჭირდება. გუშინ ცოტა მუჯლუგუნი წავკარი, დღეს კი შენ გააცურე. მეტი აღარ გამოგვივა. მაგრამ არა უშავს, მისი გაცურება აღარც დაგვჭირდება. მე ვიცი, რასაც ვიზამ. შენ კი ეს გევალება, როგორმე ფინიშამდე უნდა გაძლო, არ გადმოვარდე, იცოდე. შენი საბრუნავი ეს არის და კიდევ, სარბენი ბილიკიდან არ გადაახვევინო. ორშაბათს რაც გასწავლე, გახსოვდეს. ეს ჩვენი ბედაური პირველი წრის დასასრულს რომ დაიწყებს ფიქრს, ნედი სად იდგაო ორშაბათს, გადაჰკარი. სვლა არ შეანელებინო. იმ მეორე ცხენის დარდი ნუ გაქვს, თავს ნუ აიტკივებ, სად არის და რას შვრებაო. შენსას უნდა მიხედო. ხომ გაიგე, რაც გითხარი?

დიახ-მეთქი, - ვუპასუხე.

- კარგი. ესეც დაიხსომე: ბოლოს რომ მოუხვევ და ფინიშისაკენ მიმავალ სწორზე გახვალ, ვარაუდებს თავი დაანებე, უნდა იცოდე, რომ მესთამტეხელი ბოლომდე ხედავს სარბენ ბილიკს. თავად მიხვდები ყველაფერს, ფინიშთან რომ მიხვალ, მანამდე კი ნუ მოჰყვები ვარაუდებს, ხედავს თუ ვერ ხედავსო. უნდა იცოდე, რომ ის კარგად ხედავს ყველაფერს ფინიშის ხაზამდე და იმას იქითაც. და თუ შენ წინ ის მეორე ცხენი აღმოჩნდება, მაშინ მესთამტეხელი როგორმე მინდვრის მხარეს უნდა გადაიყვანო, ისე რომ, მის წინ სავალი თავისუფალი იყოს და მის მზერას არაფერი ეღობებოდეს ფინიშის ხაზამდე და იმის იქითაც. თქვენ შორის

დისტანციის გაზრდას ყურადღებას ნუ მიაქცევ, მთავარია, მეხთამტეხლის წინ მთელი სივრცე ხელისგულივით მოჩანდეს, - თქვა და ჯიბიდან ამოიღო მეორე ხელი, რომელშიც მეხთამტეხელმა დრუნჩი ჩარგო და დაყნოსა. კვლავ მომივიდა რაღაც სუსტი სუნი, პარშემ ბიძიას საძოვარზე რომ ვიგრძენი პირველად, სუნი, იმწამსვე რომ უნდა მეცნო მეც და სხვასაც, და კიდევაც ვიცნობდი, დრო რომ მქონოდა საამისოდ. - თუ დაიმახსოვრე, რაც გითხარი?

- დიახ, - ვუთხარი.

- ჰოდა, მიდი, - მითხრა, - შენ კი, ლიკურგე, წინ გაუძეხი.

- შენ არ წამოხვალ? - ვკითხე მე. ლიკურგე აღვირს ჩაეჭიდა და ძლივს მოაცილა ნედის ხელისგულს მეხთამტეხელის დრუნჩი. დაბოლოს, ნედმა ისევ ჯიბეში ჩაიყო ხელი.

- ახლა კი მიდი, - ისევ მითხრა, - შენ უკვე იცი, რაც უნდა ქნა.

ლიკურგე ეწეოდა, მაგრამ მეხთამტეხელი ჯიუტობდა, უკან მიბრუნებას ცდილობდა. მაშინ ლიკურგემ უფრო მაგრად მოსწია აღვირს.

- ცოტათი გადაუჭირე, - მითხრა ლიკურგემ, - ჭკუაზე მოიყვანე.

- ასეც მოვიქეცი, და ჩვენ სარბენ ბილიკზე გავედით. მაკუილი და მე უკვე მესამედ დავდექით სტარტზე ჩვენს ფიცხელ რაშებზე განართხმულები. მაკ-უილის მეჯინიბემ აღარ მოისურვა მიწაზე მესამედ დაგორება და არც სხვა ვინმე გამოჩნდა მოხალისე, არავინ არ გადადო თავი. ჰოდა, მაშინ გამოვიდნენ ორნი - დემოკრატიის წარმომადგენლები, ხელში მოიმარჯვეს ბამბის ბარდანების შესაკრავი ბაწარი, დადგნენ ბილიკის აქეთ-იქიდან და მაგრად გადაჭიმეს მოაჯირიდან მოაჯირამდე. ასეთი შესანიშნავი სტარტი არც გვექონია აქამდე. რაღა თქმა უნდა, აქერონტი, წელან ექვსდუმიანი ფიცარი რომ შელენწა და მოაჯირს იქით ამოყო თავი, ახლა მოაჯირიდან ექვსი ფუტით დაცილებული როკავდა, ხოლო მეხთამტეხელი, ლამის ცხვირით რომ იყო მიბჯენილი იმ ზღუდეს,

ძროხასავით თვინიერი გამხდარიყო და, მგონი, ბრბოში ნედს დაეძებდა. უცებ განმკარგულელებლმა დაიყვირა, გასწითო! ის თოკი მოისროლეს და იმავე წამს გვერდით ჩაგვიქროლეს აქერონტმა და მაკ-უილიმ, რომელმაც შიგ ყურში ჩამძახა:

- ახლა კი გასწავლი ჭკუას, თეთრო ბიჭო! - მართალია, კი ჩაგვიქროლეს, მაგრამ უეცრად მეხთამტეხელმაც აიწყვიტა და მაკ-უილის მუხლს გაუსწორდა და აქ გამოჩნდა მისი ძალა, სისხარტე და ყველაფერი, რაც კი კარგ ბედაურს სჭირდება. მაგრამ მისი გონება ისევ ისე იყო მომართული, ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რომ დოღზე გამოდიოდა. ისიც უნდა ვთქვა, მას შემდეგ, რაც მხედრობა მომანდეს, ჩვენი შეჯიბრება პირველად ახლა დაემსგავსა ნამდვილ დოღს; სარბენ ბილიკზე მიქროდა ორი ბედაური, თითქოს ერთმანეთზე გადაჯაჭვული, თუმცა ჯაჭვი ოდნავ მოშვებულყო. ფინიშის საპირისპირო მხარეს მივექროდით და ეს ჩვენი სრბოლა-ჭენება მდოვრე შექმნილიყო ანუ ისეთი, სიზმრად რომ ხედავს კაცი; გაიჭრებოდა აქერონტი წინ, ასე მეგონა, უკან ჩამოგვიტოვებს-მეთქი, მაგრამ იმავე წამს ჩემი ბედაურიც მოუმატებდა სიჩქარეს და წამოეწეოდა. ეს უკვე ნამდვილ ორთაბრძოლას ჰგავდა. მოაჯირს მიღმა კიჟინა დასცხეს, ჯერ კარგად არ იცნობდნენ მეხთამტეხელს და არ უწყოდნენ, რომ უბრალოდ, იმიტომ არ სურდა უკან ჩამორჩენა, რათა მართო არ ყოფილიყო. აგერ მარცხენა მოსახვევიც და ფინიშისკენ მიმავალ ბილიკზე გავედით, რომლითაც პირველ წრე სრულდებოდა და, გეფიცები, მეხთამტეხელი უკვე ნედს ეძებდა, გეფიცები, ამ გამალებული ქროლვისას ჭიხვინიც კი აღმოხდა. პირველად მესმოდა ცხენის ჭიხვინი ჭენების დროს, და, ეს თუ შეიძლებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი.

მთელი ძალით გადავუჭირე მეხთამტეხელს მათრახი. შეხტა, ფეხი აერია და ისევ ოთხზე გადავიდა; ამასობაში ორი კორპუსისტოლა მანძილი ვაჩუქეთ მაკ-უილის. ისევ დავკარი მათრახი, მაგ-

რამ მეორე წრე ისევ ორი კორპუსით ჩამორჩენილებმა დავიწყეთ. ჰოდა, იმდენ ხანს ვურტყამდი, ვიდრე ნედის ადგილი აქერონტმა არ დაიკავა მის გონებაში, იმაში, რასაც ალბათ, მისი გონება ერქვა, და ისევ არ გაუსწორდა თავით მაკ-უილის მუხლს, მორჩილად და თვინიერად, წინ წასვლა არც უფიქრია ამ მძლავრი, დიდებული სხეულის პატრონს, რომლის არც ერთ კუნთს არ მიუღია ცნობა ტვინიდან და არც ტვინისთვის უცნობებია რაიმე, დაკვირვებისა და გამოცდილების არსენალიდან, რომ ამ შლეგური ქროლა-ჭენების ერთადერთი არსი და მიზანი იყო - პირველს მიეღწია გარკვეული ადგილისთვის. ახლა უკვე მაკ-უილი ურტყამდა მათრახს თავის ბედაურს, ისე, რომ მე აღარც მჭირდებოდა მათრახის ქნევა, სულ ამაო იქნებოდა - მეხთამტეხელი არც უსწრებდა აქერონტს და არც ჩამორჩებოდა. მერე ისევ მოვუხვიეთ და ისევ ფინიშისკენ მიმავალ სწორზე გავედით. კვლავ მეხთამტეხელზე ვიყავი ამხედრებული და მეხთამტეხელიც კვლავ მიქროდა სარბენ ბილიკზე; დრო დადგა, როდესაც ნედის საბოლოო მითითება უნდა შემესრულებინა, ანუ შევეყოვნებულიყავი ოდნავ, გვერდით გადამეყვანა მეხთამტეხელი და მაკ-უილი ერთი კორპუსით მაინც გამეშვა წინ ისე, რომ მეხთამტეხელის მზერა სავალის ბოლოს, ფინიშის ხაზსა და მის იქითა არესაც დაუბრკოლებლივ მისწვდებოდა. რაღა თქმა უნდა, მან - მეხთამტეხელმა - პირველმა დაინახა ნედი. ხოლო პირველი, რაც მე ვიგრძენი, ეს იყო - ჩემმა კისრის ძვლებმა ჭახანი გაიღო, როცა მეხთამტეხელმა, თითქოს რაღაც უჩინარი ტვირთი მოიცილაო, აიწყვიტა და წინ გაიჭრა. მერე მეც დავინახე ნედი: ტანმომცრო, გაჩხინკული, ფინიშის ხაზიდან დაახლოებით ორმოცდაათი იარდის დაშორებით მარტოდ მდგომი.

ჩვენ სწრაფად ვუახლოვდებოდით აქერონტსა და მის მხედარს, რომელიც გაუთავებლივიქნევდა მათრახს, მერე წამის

უმალესად გაიელვა მაკ-უილის მოღრეცილმა სახემ და გაქრა, მერე ფინიშის ხაზიც გადავჭერიო.

- აქ მოდი, ვაჟო, - თქვა ნედმა, - აჰა, აიღე.

ჰოდა, ის - მეხთამტეხელი - ისე უეცრად შეჩერდა, კინაღამ ძირს არ მომისროლა, შეტრიალდა და სავალის გარდიგარდმო დადგა (აქერონტი უკვე ზედ მოგვდგომოდა და კი მქონდა იმედი, ისიც უნდა გაჩერებულიყო), მერე მოწყდა ადგილიდან და ნედთან მიიჭრა, მისი გაჩერება და დრუნჩის ჩარგვა ნედის ხელის-გულში ერთი იყო, მე კი, გავაბე მოქცეული, თავის შეკავებას ვცდილობდი და რითიც შემეძლო, ყველაფერს ვებლაუჭებოდი, ნატკენი ხელითაც კი.

- მოვიგეთ! - გავყვიროდი. - მოვიგეთ! ვაჯობეთ!

- კარგად გამოგვივიდა - თქვა ნედმა, - შენს ბედის ვარსკვლავს შეევედრე, კვლავაც მოგიმართოს ხელი, - ასე მითხრა, რადგანაც, ხომ გესმის, ის-ის იყო გავიმარჯვე ჩემს პირველ დოღში. იმის თქმა მინდა, ნამდვილ დოღში გავიმარჯვე-მეთქი, რომელსაც მოწიფული მაცურებლები ჰყავდა. ამდენ მაცურებელს ერთად პირველად ვხედავდი, ყველამ ნახა ჩემი გამარჯვება, სანაძლეოც კი დაედოთ (ზოგიერთს მაინც), ჩემი იმედი ჰქონდათ, გაიმარჯვებსო. ჰოდა, ველარ დავაკვირდი ნედის სახეს, არც მისი ხმა მესმოდა და არც ის, რასაც ამბობდა, რადგან მაცურებლები უკვე აღტაცების ყვირილით მოძვრებოდნენ ღობეზე და სარბენი ბილიკით ჩვენკენ გამორბოდნენ. გარშემო მეხვია პირდაღებული, წამონთებული სახეები, ოფლით გაპოხილი შლაპები და უჰალსტუხო პერანგები. - აქეთ გამოიხედე, - მითხრა ნედმა, მაგრამ ვერ მიხვდდი, რა უნდოდა, მოგუგუნე ხმებისა და სახეების ზღვაში ვიყავი ჩაცურყუმელავებული.

- ყოჩაღ, ბიჭო! კარგი ჯირითი გცოდნია! - მაგრამ ჩვენ არც კი შევჩერებულვართ, ნედი მეხთამტეხელს წინ მიუძლოდა და გაიძახოდა:

- გზა მოგვეცით, თეთრო ხალხო, გზა მოგვეცით, თეთრო ხალხო! - დაბოლოს, გვერდით მიდგნენ, გაგვატარეს, მაგრამ იმავე წამს გამოგვედევნენ, ტალღასავით მოგვაწყდნენ. როგორც იქნა, ჭიშკარს მივატანეთ, სადაც მსაჯები გველოდებოდნენ, და ნედმა კვლავ თქვა, გამოიხედეთ... და მერე აღარაფერი მახსოვს, მხოლოდ გარინდებული ცხენი და იმასთან მდგარი ნედი აღვირით ხელში, როგორც ცოცხალ სურათებშია, მე კი მეხთამტეხელს ყურების ზემოდან ვუმზერდი ბაბუას - ხელჯოხზე (ოქროსბუნიკიანი რომ ჰქონდა, იმაზე) ოდნავ დაყრდნობილი იდგა, ხოლო მის უკან კიდევ ორნი იდგნენ, რომლებსაც, ეტყობა, ოდესღაც, უხსოვარდროს ვიცნობდი.

- პატრონო, - ასე წარმოვთქვი.

- ხელზე რა მოგივიდა? - თქვა ბაბუამ.

- დიახ, სერ, - მე ვუთხარი, - დიახ, პატრონო.

- შენ ახლა არა გცალია, - ასე მითხრა, - არც მე, - მეტად თავაზიანად, მეტად ცივად იყო ნათქვამი, თუმცა არა, არც არანაირად.

- სახლში დავბრუნდებით და მაშინ ვილაპარაკოთ - დასძინა და წავიდა. ის ორნი კი სემი და მინი იყვნენ თურმე და მომჩერებოდნენ. მინის წყნარი, პირქუში და დაღონებული სახე ჰქონდა. ნედი კი ამ ხნის განმავლობაში სულ ფეხზე მექაჩებოდა.

- გუშინ რომ მოგეცი, სად გაქვს ის სათუთუნე ქისა? ხომ არ დაგიკარგავს?

- არა, - ვუთხარი და ქისა ჯიბიდან ამოვიღე.

XIII

- მიდი, უჩვენე ამათ, - უთხრა მის რეზამ მინის. ისინი, ჩვენს - არა, ბუნის - არა, უფრო სწორად, ბაბუას - ავტომობილში ისხდნენ: ევერბი, მის რეზა, მინი, სემი და პოლკოვნიკ ლინსკომის მძღოლი, მაკ-უილის მამა; პოლკოვნიკ ლინსკომსაც ჰყავდა ავტომობილი. ჰოდა, ისინი - მძღოლი, სემი და მინი - ჰადუიკს წასულიყვნენ მის რეზას, ევერბისა და ბუნის ჩამოსაყვანად და ჩამოყვანათ კიდევ პარშემს, აქედან კი მის რეზა, მინი და სემი მემფისს გაემგზავრებოდნენ მატარებლით; უფრო სწორად, ბუნის გარდა ყველა ჩამოყვანათ, ის კვლავ ციხეში იყო, უკვე მესამედ. ახლა ისინი პოლკოვნიკ ლინსკომის სახლთან შეჩერდნენ, რათა ბაბუასთვის მოეთხროთ ყველაფერი. მის რეზა ავტომობილში იჯდა და ისე ჰყვებოდა, ხოლო ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და მე იქვე ვიდექით, რადგან მის რეზამ სახლში შესვლაზე უარი თქვა; ბუნისა და ბუტჩის ამბავს გვიამბობდა.

- აბა, რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო იმათთან ერთად ავტომობილით ჰაიდუკამდე მგზავრობა. კიდევ კარგი, შერიფის თანაშემწე გვახლდა, იმ გალეულ ბებერ კონსტებლზე რომ აღარაფერი ვთქვა; შეხედავ და იტყვი, ამას რა შეუძლიაო, მაგრამ იმასთან ხუმრობას არავის ვურჩევ. მადლობა ღმერთს, ჰადუიკში ჭკუა ეყოთ და ისინი სხვადასხვა საკანში გამოკეტეს. მთელი უბედურება ის იყო, კორის იმ ახალშექმნილ მეგობარს პირში ალიკაპი ვერ ამოსდეს... - აქ მის რეზა შეჩერდა; მე კი ევერბის დანახვაც არ მინდოდა. ტანვეება, მეტისმეტად ტანვეება იყო და რაღა მნიშვნელობა ჰქონდა დალილავებულ თვალს ან გახეთქილ ტუჩს - კმაყოფილებას ორივე ერთად თუ მიანიჭებდა, ცალ-ცალკე ვერა. ჰოდა, იჯდა ავტომობილში, რადგან, სად წასულიყო, სად დამალულიყო, არ იცოდა. და იმ ლოყას, რომელსაც მე ვხედავდი, ნელ-ნელა მოედო აღმური.

- მაპატიე, შვილო, - თქვა მის რებამ, - წამომცდა. ჰო, სად გავჩერდი?

- ბუნმა რაღაც ჩაიდინაო, - უთხრა ბაბუამ.

- ჰო, დიახ, - გვითხრა მის რებამ, - სხვადასხვა საკანში გამოკეტეს დერეფნის აქეთ-იქით, ხოლო მე და კორის, საყვედურს ვერ ვიტყვი, ქალბატონებივით გვექცეოდნენ. ციხის უფროსის ცოლისას წაგვიყვანეს, იქ უნდა დავრჩენილიყავით და უცებ, რა ჰქვია იმას... ბუტჩმა ღრიალი მორთო: „მერე რა მოხდა, მე და ჩემმა ძმაკაცმა ერთმანეთს თუ ცხვირიდან ძმარი ვადინეთ და ტანსაცმელიც შემოვახიეთ, სამაგიეროდ... - მაპატიეთ, ეს კი უნდა ფრანგულად გითხრათ, - თქვა მის რებამ, - „მემფისელი ბოზები ქუჩიდან წამოვიყვანეთ“. ეს რომ ბუნმა გაიგონა, კინაღამ საკნის კარი ჩამოიღო, მაგრამ კიდევ კარგი, მაგრად ჩაეკეტათ, ჰოდა, კაცი იფიქრებდა, იქნებ ამან ცოტა მაინც დააცხროსო. აბა, საკანში გამომწყვდეულს რაღა უნდა ექნა. ჩვენც სწორედ ასე გვეგონა და როდესაც სემი მოვიდა და საიდანღაც ის სათანადო ქალაღდიც მოიტანა... - ჰო, მართლა, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, - მიუბრუნდა ის ბაბუას, - არ ვიცი, რამდენი გადაიხადეთ, მაგრამ, თუკი ანგარიშს სახლში გამომიგზავნით, ვალს დაგიბრუნებთ. ბუნი მიცნობს, ჩემი მისამართიც იცის.

- გმადლობთ, - უთხრა ბაბუამ, - შეგატყობინებთ, თუკი რამე ხარჯი იქნება. და მაინც, ბუნმა რა ქნა, ჯერ არ გითქვამთ.

- ჰო, დიახ. პირველი ის გამოუშვეს, რა ჰქვია იმას... და დიდი შეცდომაც მოუვიდათ, რადგან ჯერ კარგად არც ჰქონდათ გაღებული ბუნის საკნის კარი, რომ ბუნი გამოვარდა და პირდაპირ იმ...

- ბუტჩს, - მე ვუთხარი.

- ბუტჩს ეცა, - თქვა მის რებამ, - ერთი დარტყმით ძირს დასცა და ზემოდან მოექცა. მაგრამ ბუნს თავისუფლება არ დასცალდა, მხოლოდ ერთი გავლა-გამოვლა დერეფანში და უკანვე, საკანში

შეაბრძანეს ისე, რომ იმ ბოქლომიდან გასაღები ჯერ არც ჰქონდათ გამოღებული. მაგრამ რაც უნდა იყოს, აღტაცებული ხარ, - მის რება კვლავ შეჩერდა.

- რით? - ვკითხე.

- რაო, რა თქვი? - მან მკითხა.

- ისეთი რა გააკეთა, აღტაცებული რადა ხარ? თქვენ არ გითქვამთ. მაინც რა გააკეთა?

- შენ როგორ ფიქრობ, კინაღამ რომ არ წააგლიჯა. იმ...

- ბუტჩს, - მე ვუთხარი.

- ...ბუტჩს თავი ჯერ კიდევ ციხეშივე, ეს არაფერია? - თქვა მის რებამ.

- სწორედაც ასე უნდა მოქცეულიყო, - ვუთხარი მე.

- კარგი ერთი, - მიპასუხა მის რებამ, - აბა, წავიდეთ. მატარებელს უნდა მივუსწროთ. ანგარიშის გამოგზავნა არ დაგავიწყდეთ, - მიუბრუნდა ბაბუას.

- სახლში შემობრძანებულიყავით, - უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, - ვახშამი მალე მზად იქნება. შეგიძლიათ, ღამის მატარებლით გაემგზავროთ.

- არა, დიდი მადლობა, - უთხრა მის რებამ, - რამდენ ხანსაც არ უნდა დარჩეს თქვენი მეუღლე მონტიგლში, ბოლოს ხომ მაინც დაბრუნდება, მაშინ რას ეტყვი?

- სისულელეა, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, - ამ სახლის ბატონ-პატრონი მე ვარ.

- იმედი მაქვს, იქნებით კიდევაც, - მიუგო მის რებამ. - ჰო, მართლა, - მიუბრუნდა მინის, - უჩვენე ამათ. - იმან - მინიმ - ჩვენ არ გაგვიღიმა, მე გამიღიმა. სწორედაც დიდებული იყო: უზადო, მკვიდრი, მწყობრი, შუქმომფინარე მარგალიტების ნახევარწრე და მათ შუა ჩაჭდული ოქროს კბილი, რომელიც უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე სამი ბუნებრივი თეთრი კბილი ერთად. მერე კვლავ შეაწება ბაგენი და კვლავ გახდა წყნარი, აუმიღვრეველი, შეუვალი

და მოუწყვლელი, რამდენადაც შეიძლება ცხოვრების ორომტრი-
ალში გადასროლილი გორგალი ძვლებისა და ხორცისა უწყვლად-
ლობასთან იყოს წილნაყარი და მისი ბეჭდით აღბეჭდილი. - კარ-
გი, - თქვა მის რებამ. მაკ-უილის მამამ ძრავა აამუშავა და ჩაჯდა,
ავტომობილი დაიძრა. ბაბუა და პოლკოვნიკი ლინსკომი მიტრი-
ალდნენ და სახლისკენ წავიდნენ, მეც უნდა მივყოლოდი მათ,
რომ ავტომობილის საყვირის ხმა გავიგონე, ხმადაბლა ერთხელ
დააყვირეს და იქით გავიხედე. მანქანა გაეჩერებინათ, სემი გად-
მოსულიყო და ხელს მიქნევდა.

- აქ მოდი, - დამიძახა, - მის რება გიხმობს ერთი წუთით, - სანამ
მივიდოდი, თვალს არ მაცილებდა. - შენ და ნედმა რად არ მითხა-
რით, რომ ის ცხენი გაიმარჯვებდა ნამდვილად? - მკითხა.

- კი, მაგრამ ხომ იცოდით, - მე ვუთხარი, - აბა, აქ რისთვის ჩა-
მოვედით.

- კარგი, კარგი, - თქვა, - ნედი მეუბნებოდა, შენც მეუბნებოდი,
ყველანი მეუბნებოდნენ, მაგრამ რატომ არავინ არ მოისურვა ჩე-
მი დარწმუნება? ბედი მთლად არ მწყალობს-მეთქი, ვერ ვიტყვი,
მაგრამ მის რებას მარიფათი მაკლია, მარიფათი რომ მქონოდა,
ახლა უკვე საბარგო ვაგონის მფლობელი ვიქნებოდი. აჰა, აიღე,
- ქალაქის ფულის კარგა მოზრდილი შეკვრა გამომიწოდა - ნე-
დისაა. მიდი და უთხარი, კიდევ რომ იპოვის სადმე ისეთ ცხენს,
რომელსაც დოღში გამარჯვება არ სურს, აქეთ-იქით სიარულს ნუ
მოჰყვება, პირდაპირ დეპეშა გამომიგზავნოს.

მის რება ჩემკენ გადმოიხარა, მშვენიერი და მკაცრი, იმის
გვერდით კი ევერბი იჯდა გარინდებული, იმდენად ტანბრგე, არ
შემემჩნია, არ იქნებოდა. მის რებამ მითხრა:

- ციხეში თუ მოვხვდებოდი, სწორედაც არ მეგონა. თუმცა, არც
იმას ვიფიქრებდი, რომ არ მოვხვდებოდი. ერთი სიტყვით, სემი
ჩემ მაგივრადაც ჩავიდა ფულს. მე ბატონი ბინფორდისთვის მივე-
ცი ორმოცდაათი, ხუთი კი - მინისტვის. სემმა სამი ორთან მოიგო.

ხოლო, მე, უფრო სწორად, ჩვენ გვინდა თანაბრად გაგიყოს მოგება. ახლა მე ამდენი ნაღდი ფული არა მაქვს, თანაც გზაზე ვდგავარ...

- არ მინდა, - ვუთხარი.

- ვიცოდი, ასე იტყოდი, - თქვა მის რეზამ, - ამიტომაც სემს ვიდევ ხუთი დოლარი მივეცი, რომ შენ მაგივრადაც ჩასულიყოს. ჰოდა, ახლა შეიდ-ნახევარი გერგება - და ფული გამომიწოდა.

- არ მინდა, - ისევ ვუთხარი.

- ხომ გეუბნებოდით, - უთხრა სემმა.

- თამაშის დროს მოგებული ფულია და იმიტომ? - მის რეზამ თქვა, - ამის პირობაც გაქვს დადებული?

ასე არ იყო. იქნებ ჯერ დედას აზრადაც არ მოსდიოდა, აზარტულ თამაშს რომ დავიწყებდი. თუმცა ასეთი პირობის მიცემა არავისთვის არ მჭირდებოდა. მხოლოდ ეს იყო, მის რეზასთვის როგორ უნდა ამეხსნა, არ ვიცოდი, რადგან თავადაც ვერ გავრკვეულიყავი კარგად, მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი - რაც გავაკეთე, ფულის გულისთვის არ გამიკეთებია, ფული აქ არაფერ შუაში არ იყო, უბრალოდ, რაკი ამ ამბავში გავეხვიეთ, დაწყებული უნდა დამემთავრებინა, ნედსა და მე უნდა დაგვესრულებინა, თუნდაც ყველანი განზე გამდგარიყვნენ; მეხთამტეხელს თუ მოვაგებინებდით დოლს, თითქოს მართალიც შევიქნებოდით (არა, შედეგს ვერ ავიცილებდით, მაგრამ გარკვეულწილად მართალი ვიქნებოდით). იმედი არ გვქონდა, იმას გამოვასწორებდით, რაც ჩავინდინეთ ანუ რაც ბუნმა და მე განვიზრახეთ, საკუთარი ნებით წამოვიწყეთ ჯეფერსონში ოთხი დღის წინ; მაგრამ არც თავის დაძვრენა და არიდება გვიცდია, მხოლოდ იმას ვცდილობდით, როგორმე დაგვესრულებინა, რაც დავიწყეთ. მაგრამ ეს ყველაფერი როგორ უნდა მეთქვა, არ ვიცოდი. ჰოდა, ასე ვუთხარი:

- პირობა არ მიმიცია, არ იყო საჭირო.

- კარგი ერთი, - მითხრა სემმა, - გამოგვართვი და ჩვენს გზაზე გაგვიშვი, მატარებელს უნდა მივუსწროთ. ნედს მიეცი, თუ გინდა, ან იმ ბერიკაცს, ვისთანაც წუხელ ღამე გაათიე. დაუხარჯავს არ დატოვებენ. - ფული გამოვართვი, ორი შეკვრა იყო, ერთი დიდი და მეორე - მომცრო. ევერბი კი ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა, ხელები მუხლებზე დაეწყო ამ ტანბრგე გოგოს, მეტისმეტად ტანბრგეს, რომ წვრილმანებისთვის მიექცია ყურადღება. - მიდი,

- სემმა თქვა, - თავზე მაინც გადაუსვი ხელი. ქალს ძალლიც კი არ შეუყეფსო, ნედმა არ გასწავლა?

- არ სურს, - მის რებამ თქვა, - ერთი ამას შეხედეთ, ღმერთო დიდებულო, რა ხართ მამაკაცები. ეს მაინც ხომ ჯერ თერთმეტი-საა. მერედა, რა განსხვავებაა, ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები? კვირადღიდან მოყოლებული, ეს გოგო სულ ამას ამტკიცებდა, ამ საქმეს შევეშვიო, მაგრამ მთელი ცხოვრება თუ შეშასჭრი, გინდ ერთი კუნძით მეტი იყოს და გინდ ერთით ნაკლები, რაღა მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, თუ პირობა დარღვეულია და აბრაც - ჩამოხსნილი?

ავტომობილს შემოვუარე. ევერბი ისევ გაუნძრევლად იჯდა, იმდენად ტანვეება, რომ წვრილმანებს არ დაგიდევდათ და დატყობითაც ძლივს ეტყობოდა სახეზე, ისევე, როგორც ჩიტის სკინტლი სარეკლამო დაფას ან თურქულ დოლს; ჰოდა, იჯდა იქ, ისეთი ვეება, სწორედაც ვერ მოიბუზებოდა, არადა, დარცხვენილიყო, რადგან ტუჩი (ნედმა მართალი თქვა) შესიებოდა და, რაც მთავარია, თვალი ჰქონდა ჩალურჯებული; ამ ზორბა გოგოს სახეზე ერთი პატარა ლაქაც კი უფრო დიდი და უჩვეულო ჩანდა, უფრო საჩინო და თვალში საცემი იყო, ვიდრე სხვა ადამიანის სახეზე იქნებოდა.

- ეგ არაფერია, - ვუთხარი.

- ვიფიქრე, ასეა-მეთქი საჭირო, - ევერბიმ თქვა, - სხვა რა გზა მქონდა.

- თუ ხედავთ, - თქვა მის რებამ, - რა ადვილია! მეტი არც არაფრის თქმა არ გინდა, ჩვენ ისედაც დაგიჯერებთ. თქვენ შორის არ არსებობს მამაკაცი, თუნდაც, მთლად წყალწალეული, მთლად გაუბედურებული, თუნდაც, სამოცდაათს მიტანებული, რომ ქალმა დაიჯეროს, სხვა გზა არ მქონდაო.

- ეტყობა, სხვანაირად არ გამოდიოდა, - ვუთხარი, - სამაგიეროდ მეხთამტეხელი დავიბრუნეთ სწორედ დოღის დაწყების წინ. მაგრამ ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს. წადით, თორემ მატარებელზე დაგაგვიანდებათ.

- სწორია, - თქვა მის რებამ, - ამას კიდევ ვახშამიც მოსამზადებელი აქვს. შენ ჯერ გაგონილი არა გაქვს და შეიძლება გოცებულის დარჩე - მემფისს აღარ დაბრუნდება - უარი თქვა ცოდვილ საქმიანობაზე, ცოდვა-ცდუნებით აღარ ივლის თავისი ცხოვრების გზაზე, თუკი, რასაც ამბობენ, მართალია - პარშემისთანა ადგილას ცოდვა-ცდუნებას არცა აქვს გასავალი, მამრნი აქ მხოლოდ ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და სურვილებს იკმაყოფილებენო. პარშემში იშოვა სამუშაო, აქაური კონსტებლის ოჯახში მოეწყო, დარეცხავს, საჭმელს გააკეთებს. მის ცოლს ლოგინიდან გადმოიყვანს, დაბანს, ისევ დააწვენს. პირველივე თუნუქის სამკერდენიშნიანს, ვისაც კი გადაეყრება, აღარ გაუყოფს არც თავის მონაგარს და არც თავის ლოგინს, და თუ დასჭირდება, ფარად იფარებს ყავადანს ან გასარეცხ ტაფას. აბა, წავიდეთ, - მიუბრუნდა სემს, - იმ მატარებელს ამდენს შენც კი ვერ მოაცდევინებ.

წავიდნენ. მეც მივტრიალდი და სახლს მივაშურე. ვეებერთელა სახლი იყო, კოლონებითა და პორტიკებით, დიდებული ინგლისური ბაღით, იქით საჯინიბოები (ერთ-ერთში მეხთამტეხელი დაეყენებინათ), ეტლების სადგომი და კიდევ რაღაც ნაგებობები ჩანდა, სადაც ადრე მონები ჰყავდათ დაბინავებული. ერთი სიტყვით, ეს იყო პარშემების მამული (ახლაც არის), ის, რაც დარჩა დიდი ადგილ-მამულიდან, რომელიც ეკუთვნოდა იმ კაცსა და იმ

ოჯახს, ვისი სახელიც დაერქვა ქალაქსაც, არემიდამოსაც და ადამიანებსაც, მაგალითად, ბიძია პარშემ ჰუდს. მზე უკვე გადასულიყო, მალე დღეც გაილეოდა. და სწორედ მაშინ პირველად მივხვდი, გათავდა, გასრულდა ოთხი დღის დავიდარაბა და გაწამაწია, მზაკვრობა, ტყუილები და მღელვარება, ყველაფერი უკან დარჩა, გარდა საზღაურისა. ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბატონი ვან ტოში უკვე სახლში ისხდნენ სადღაც და ვახშმობის წინ გროგს მიირთმევდნენ. ვახშმობის ზარს კი ნახევარ საათზე ადრე არ დარეკავდნენ. ჰოდა, მეც გვერდზე გადავუხვიე, ვარდნარი გავიარე და უკანა კიბეს მივადექი. არც შევმცდარვარ, ნედი იქ დამხვდა მჭდომარე.

- აიღე, - ვუთხარი და ფულის ის კარგა დიდი შეკვრა გავუწოდე, - სემმა თქვა, რომ შენია. - გამომართვა. - არ დაითვლი? - ვკითხე.

- იმან ხომ დათვალა, - ნედმა თქვა. მეორე მომცრო შეკვრაც ამოვიღე ჯიბიდან. ნედმა დახედა და მითხრა, - ესეც მოგცა?

- მის რეხამ მომცა, ჩემ მაგივრად ჩასულა.

- ეს დოღში მოგებული ფულია, - თქვა ნედმა, - შენ ჯერ კიდევ პატარა ხარ, დოღში მოგებული ფული საშენო არ არის. თუნდაც ხნიერი იყოს კაცი, ასეთი ფული არც საიმისოა, მით უმეტეს, საშენო. - ვერც ნედს ვუთხარი, ვერც იმას

ავუხსენი რამე. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ნედმა უკვე უთქმელადაც იცოდა ყველაფერი, და მართლაც იმწამსვე დაადასტურა, რომ ასე იყო: - ჩვენ ხომ ფულის გულისთვის არ გაგვიკეთებია, რაც გავაკეთეთ, - ასე თქვა.

- შენც უარს ამბობ, ხომ? - ვუთხარი მე.

- არა, - მიპასუხა, - ჩემთვის უარის თქმა უკვე დაგვიანებულია, მაგრამ შენთვის სულაც არ არის გვიანი. ჰოდა, სულმა რომ არ წაგძლიოს, ფულს გამოგართმევ.

- სემმა მითხრა, შეგიძლია, პარშემ ბიძიას მისცეო, მაგრამ თამაშში მოგებულ ფულს არც ის აიღებს, ხომ?

- ნამდვილად გინდა, მისცე?

- დიახ, - მე ვუთხარი.

- კარგი, - თქვა მან, მომცრო შეკვრაც გამომართვა და დიდ შეკვრასთან ერთად საფულეში ჩადო, საკეტი გაატკაცუნა. თითქმის ბნელოდა უკვე, მაგრამ ვახშმის ზარი რომ დაერეკათ, უთუოდ გავიგონებდი.

- ჰო, მართლა, კბილი როგორ გამოართვი იმას? - ვკითხე.

- მე კი არა, - მითხრა, - ლიკურგემ გამოართვა სწორედ იმ დილას, შენს წამოსაყვანად რომ მოვედი სასტუმროში. დიდი დავიდარაბა არ დასჭირვებია. ერთხელ ხომ უკვე შეაგდეს ძაღლებმა ხეზე. ჰოდა, ლიკურგემ ერთი პირობა იფიქრა, მოდი, ისევ ძაღლებს მივუსევ, აკაციაზე შევაგდებინებ, მანამდე ვაყურყუტებ იქ, სანამ ის ჩიტირეკია კბილს ქუდში ან სხვა რამეში არ შეახვევს და ძირს არ ჩამოაგდებსო. მაგრამ ლიკურგეს ისიც ახსოვდა, რომ ჩიტირეკიას ცხენების ეშინოდა, განსაკუთრებით კი მებთამტეხელის დანახვაზე ეპარებოდა სული კოჭებში, მაგრამ, რადგანაც მებთამტეხელი იმ დღეს დოღზე უნდა გამოსულიყო, დასვენება სჭირდებოდა. ამიტომაც ლიკურგემ იფიქრა, ჯორიც გამომადგებო, ჰოდა, ჩიტირეკიამ ჯაყვა დააძრო, მაგრამ ლიკურგემ უმაღლ წაართვა და, თუ მისცემს ვინმეს, მხოლოდ რომელიმე უფროსთაგანს. - ნედი შეჩერდა. ვერ იყო კარგად, გამოძინება ვერ მოესწრო. მაგრამ მაინც შვებას გრძნობს კაცი, ბოლოს და ბოლოს თავის ბედს პირისპირ რომ გადაეყრება, და რაც არის, არის, ველარსად გაექცევა.

- კარგი, - ასე ვუთხარი, - მერე?

- ახლა არ გითხარი, იმ ჯორმა სუყველაფერი მოაგვარა-მეთქი.

- როგორ?

- როგორ და ლიკურგემ ის ჩიტირეკია შეუკაზმავ ჯოზე შესვა, ფეხები ჯორის მუცლის ქვეშ მაგრად შეუკრა და ასე უთხრა, თუ იმ

კბილს ქუდში შეახვევ და გადმოაგდებ, ჯორს მყისვე გავაჩერებო, ჰოდა, ლიკურგემ ოდნავ დაჰკრა ჯორს სახრე, ჯერ იქაურობას არც კი იყო ის ოთხფეხი გაცილებული, რომ ჩიტირეკიამ იკადრა ქუდის გადმოგდება, თუმცა შიგ არაფერი ჩაუდვია. მაშინ ლიკურგემ ქუდი დაუბრუნა და კიდევ ერთხელ გადაუჭირა ჯორს სახრე. სულაც არ გახსენებია, ღობეებზე ხტომა რომ უყვარდა იმ ჯორს, და გადაევლო კიდევაც ოთხი ფუტის სიმაღლის მავთულხლართს. ლიკურგემ თქვა, ასე გავიფიქრე, იმ ჩიტირეკიასთან ერთად პასემამდე შეუბერავსო. მაგრამ შორს აღარ წასულა, მოუხვია და ისევ ბიძია პარშემის ნაკვეთში ისკუპა. ჰოდა, ჩიტირეკიამ მეორედ მოისროლა ქუდი, ამჯერად შიგ კბილის ჩადება არ დავიწყებია. თუნდ სულაც ნუ გადმოაგდებდა, მე რა. ის გოგოც ხომ მემფისს დაბრუნდა?

- დიახ, - ვუთხარი.

- ასეც ვიფიქრე. მან ჩემზე უკეთ იცის, რომ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე მე და ბუნ ჰოგანბეკს კვლავ გვიხილავს მემფისი. და თუ ბუნს ისევ ციხეში ჩააყუდებენ, ამაღამ ვერც ჯეფერსონი, ვერც მისისიპი გვიხილავს, მგონი.

მეც ასე ვფიქრობდი. ფიქრი არ მინდოდა, არც არჩევანის გაკეთების თავი მქონდა და არც რამე გადაწყვეტილების მიღება მსურდა, თუმცა არც ის მეხატებოდა გულზე, რომ სხვები იზამდნენ ამას ჩემ მაგივრად, ვიდრე პასუხს მომთხოვდნენ. მოულოდნელად თეთრ ქურთუკში გამოწყობილი მაკ-უილის მამა გამოვიდა, რომელიც ამავე დროს, მსახურთუფროსიც იყო. ასე იყო თუ ისე, ბარის ხმა არ გამიგონია. მე უკვე დაბანილი ვიყავი (ტანსაცმელიც გამოცვლილი მქონდა; ბაბუამ ჩამომიტანა ჩანთით, ფეხსაცმელიც კი). ჰოდა, მსახურთუფროსმა სასადილო ოთახში შემიყვანა. შუა ოთახში გავჩერდი, სულ მალე სხვებიც შემოვიდნენ - ბაბუა, ბატონი ვან ტომში და პოლკოვნიკი ლინსკომი, რომელსაც თან შემოჰყვამისი ბებერი ჩასუქებული სეტერი. ყველანი ფეხზე

ვიდექით, ვიდრე პოლკოვნიკი ლინსკომი ლოცვას იტყოდა. მერე სუფრას მივუსხედით, ის ბებერი სეტერიც პოლკოვნიკ ლინსკომის სავარძლის გვერდით წამოწვა. ვახშამს შევეუდექით, მაკუილის მამის გარდა თეთრწინსაფრიანი მოახლევ გვემსახურებოდა. მე უკვე აღარაფერი მეკითხებოდა, აღარც არჩევანის გაკეთება და აღარც გადაწყვეტილების მიღება. ჰოდა, კინალამ დესერტის თეფშში ჩავრგე თავი და დავიძინე. მაშინ ბაბუამ თქვა:

- აბა, ჯენტლმენებო, ხომ არ დავიწყოთ?

- ჩემს კაბინეტში გავიდეთ, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. ასე დიდებულად მოწყობილი კაბინეტი ჯერ ნანახი არ მქონდა. ნეტავ ბაბუასაც ჰქონოდა ასეთი. პოლკოვნიკი ლინსკომი ადვოკატიც გახლდათ, ამიტომაც კარადები სავსე იყო საკანონმდებლო წიგნებით, აგრეთვე, მეურნეობასა და ცხენსაშენთან დაკავშირებული საქმიანი ქაღალდებით. მინისკარიან კარადაში მოჩანდა დასაკეცი ანკესები და ნაირ-ნაირი თოფი. ოთახში იდგა სავარძლები და ტახტი, ბუხრის წინ პატარა ხალიჩა დაეგოთ, სადაც ბებერი სეტერი წვებოდა; კედლებზე ცხენებისა და ვარდის გვირგვინებით შემკული ჟოკეების ფოტოსურათები ეკიდა, ყოველ სურათზე გამარჯვების თარიღიც მიეწერათ. ბუხრის თავზე მანასასის პატარა ბრინჯაოს ქანდაკება იდგა (არც კი ვიცოდი, პოლკოვნიკი ლინსკომი თუ მანასასის მფლობელი იყო), განცალკევებულ მაგიდაზე იდო დიდი წიგნი - ჯიშისანი ბედაურებისა და მათი წინაპრების ნუსხა; კიდევ ერთი პატარა მაგიდა იდგა, ზედ სიგარეტის კოლოფი იდო, წყლით სავსე სურა, გრაფინი, საშაქრე და ჭიქები ეწყო. ღია იყო ვერანდაზე გამავალი ფრანგული ფანჯარა, საიდანაც ვარდნარი მოჩანდა. ვარდებისა და ცხრატყავას სურნელებას ავესო მთელი ოთახი, ბალიდან ჯათარას ყვირილი მოისმოდა.

მერე მსახურთუფროსი შემოვიდა და ნედი შემოიყვანა, ბუხართან სკამი დაუდგა და ისინი - ჩვენ - დავსხედით; პოლკოვნიკი ლინსკომი თეთრ ტილოს კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ბატონ

ვან ტომს ისე ეცვა, როგორ იმხანად იცვამდნენ ჩიკაგოში (სადაც ცხოვრობდა, ვიდრე მემფისს არ ეწვია და ისე მოეწონა, რომ ნაკვეთი იყიდა და ცხენების მოშენებასა და წვრთნას მიჰყო ხელი, ხოლო ხუთი-ექვსი წლის წინ ბობო ბიჩემპი აიყვანა სამუშაოდ). ბაბუას გრძელკალთებიანი ნაცრისფერი სერთუკი ეცვა, კონფედერატების ტრადიციებს ვერ ღალატობდა (უფრო სწორად, იმათ ფერს, ნაცრისფერს, თუმცა კი თავად ჯარისკაცი არ ყოფილა; იმხანად მხოლოდ თოთხმეტი წლის იყო, დედისერთა გახლდათ და დედასთან ერთად ცხოვრობდა კაროლინაში, სანამ მამამისი სერჯანტ-მედროშედ მსახურობდა უეიდ ჰემტონთან, ვიდრე ერთ დილას გეინზ მილის ბრძოლის შემდეგ ფიცჯონ პორტერის გუშაგმა ტყვია არ დაადევნა და ცხენიდან არ ჩამოაგდო ჩიკაპომონის გადასასვლელთან; ბაბუას დედა 1864 წელს გარდაიცვალა, ბაბუა ამის შემდეგაც კაროლინაში ცხოვრობდა ერთხანს, მაგრამ 1865 წელს, როდესაც გენერალმა შერმანმა კაროლინა დაარბია, იძულებული გახდა, საბოლოოდ დაეტოვებინა იქაურობა და მისისიპიში ჩამოსულიყო თავისი შორეული ნათესავის, გვარად მაკკასლინის, შთამომავალთა ასავალ-დასავლის გასაგებად - იმ შორეულ ნათესავსაც ბაბუასავით ლუციუს კუინტს კეროთერსი ერქვა. - ჰოდა, ბოლოს მოძებნა კიდევ მისი შვილთაშვილი, სარა ედმონდსი, და 1869 წელს ცოლად შეირთო).

- აბა, - თქვა ბაბუამ, - თუ დაწყებაა, თავიდან დაიწყე.

- დაიცადეთ, - უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. გადმოიხარა, ჭიქაში ვისკი დაასხა და ნედს გაუწოდა, - გამომართვი.

- დიდი მადლობა, - მიუგო ნედმა, მაგრამ არ დაუღევი. ჭიქა ბუხრის თავზე შედგა და ისევ დაჯდა. ბაბუასთვის ერთხელაც არ შეუხედავს, არც ადრე და არც ახლა, იჯდა და იცდიდა.

- აბა, მიდი, - თქვა ბაბუამ.

- დალიე, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, - გამბედაობას შეგმატებს. - ნედმა აიღო ჭიქა და სულმოუთქმელად დაცალა. ჰოდა, იჯდა ასე, ცარიელი ჭიქით ხელში, არც ახლა უმზერდა ბაბუას.

- კარგი, - ბაბუამ უთხრა, - დაიწყე.

- დაიცადე, - თქვა ბატონმა ვან ტოშმა, - ერთი ეს მითხარი, იმ ცხენს როგორ მოაგებინე?

ნედი გაუნძრევლად იჯდა, ის ცარიელი ჭიქა ისევ ხელში ეკავა, ჩვენ კი თვალს არ ვაცილებდით და ველოდებოდით. მერე კი ასე თქვა, ამ ხნის მანძილზე პირველად მიმართა ბაბუას: - ბოდიშს ვუხდი ამ თეთრ ჯენტლმენებს, თუ შეიძლება, ცალკე უნდა დაგელაპარაკოთ.

- რა უნდა მითხრა? - ჰკითხა ბაბუამ.

- მაშინ გაიგებთ, - მიუგო ნედმა, - და თუ თქვენი აზრით ამათაც უნდა

იცოდნენ, თავადვე ეტყვი.

ბაბუა წამოდგა.

- თქვენი ნებართვით, - თქვა და დერეფანში გამავალი კარისკენ გასწია.

- იქნებ აივანზე ჯობდეს, - უთხრა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, - ბნელა იქ, სწორედაც შესაფერისი ადგილია აღსარებისა და შეთქმულებისთვის. - ჰოდა, ჩვენც იქით გავემართეთ. დიახ, მეც გავყვი. ბაბუა შედგა და ნედს უთხრა:

- ლუციუსიც იყოს?

- იმანაც ისარგებლა იმით, - უთხრა ნედმა, - ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცოდეს, რამ გაუწია სამსახური. - აივანზე გავედით და მყისვე შევაბიჯეთ სიბნელეში, ვარდისა და ცხრატყავას სურნელება შემოგვეხვია, სადღაც ახლოდან ჯაფარას ყვირილი მოგვესმა, შორიდან უფეხურათა ხმამაც მოაღწია, ორნი უნდა ყოფილიყვნენ. და ისევე, როგორც ღამღამობით ჩვენთან, მისისიპიში

- ტენესი კი დიდად არ განსხვავდება მისგან - სადღაც ძაღლმა და-
იყეფა. - სურდინით წავახალისე, - წყნარად თქვა ნედმა.

- რად ცრუობ, - უთხრა ბაბუამ, - როდის იყო, ცხენები სარდინს
ჭამდნენ?!

- ის ჭამს, - მიუგო ნედმა, - თქვენც იქ იყავით, თავად ნახეთ,
რომ გაიმარჯვა. მე და ლუციუსმა წინასწარ გამოვცადეთ, შეიძ-
ლებოდა, არც გამოგვეცადა. გასულ კვირას, როგორც კი შევხე-
დე, მივხვდი იმწუთასვე, ჩემი ჯორის ჭკუისა არის-მეთქი.

- ჰე, - წამოიძახა ბაბუამ, - აი, თურმე როგორ დაარბენინებ-
დით შენ და მორი იმ ჯორს.

- არა, ბატონო, - მიუგო ნედმა, - ბატონმა მორიმ ეს ამბავი სუ-
ლაც არ იცოდა. არც არავინ იცოდა, მხოლოდ მე და იმ ჯორმა.
ჰოდა, ეს ცხენი იმასავითაა, დღეს უკანასკნელ წრებზე რომ გავი-
და, მე უკვე სურდინით ხელში ველოდებოდი და მანაც კარგად
იცოდა ეს.

ოთახშიდავბრუნდით. იქ მყოფნი კარს იყვნენ მოჩერებულნი,
როცა შევედით.

- ჰოო, - ბაბუამ თქვა, - სამწუხაროდ, ეს ოჯახური საიდუმლოა,
მაგრამ, თუ ამის აუცილებლობა იქნება, რა თქმა უნდა, გაგიმ-
ხელთ, ოღონდ ერთი პირობით, თუ მსჯელობას ამ საქმეში მე მო-
მანდობთ. ვან ტომს, ცხადია, აქვს უფლება, პირველმა მიიღოს
ახსნა-განმარტება.

- თუ ასეა, მაშინ სხვა რა გზა მაქვს, ნედი უნდა ვიყიდო ან კო-
პერმანინი მოგყიდოთ, - თქვა ბატონმა ვან ტომმა, - მაგრამ იქნებ
ჯობდეს, იმ კაცის, ჰოგანბეკის ჩამოსვლას დაველოდოთ?

- თქვენ სულაც არ იცნობთ ჰოგანბეკს, - თქვა ბაბუამ, - მან ჩა-
იყვანა ჩემი ავტომობილი მემფისს. ხვალ დილით, ციხიდან რომ
გამოვიყვან, ის დააბრუნებს უკანვე ჯეფერსონში, მანამდე კი, სა-
დაც გინდა, იქ ყოფილა, არყოფნაზე მეტად არც მისი ყოფნა იქნე-

ბა საგრძნობი, - ნედისთვის ამჯერად აღარც კი უთქვამთ, მიდი, დაიწყეო.

- ბობო ვილაც თეთრ კაცს გადაეყარა, - თქვა ნედმა. ამჯერად ბატონ ვან ტომს აღმოხდა: „ჰოო...“ და ნელ-ნელა გავიგეთ მთელი ეს ამბავი ორივესგან - ნედისა და ბატონ ვან ტომისგან. ბატონი ვან ტომი აქაური არ იყო, ჩამოსული გახლდათ და რაკილა დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენს მხარეში ცხოვრობდა, ვერ წარმოედგინა, როგორი გარეწარი უნდა ყოფილიყო ის თეთრი კაცი, რომელსაც ერთი სოფლელი ზანგის ბიჭი გადაჰყროდა, მანამდე არც არასდროს რომ არ გაედგა ფეხი სახლიდან და მერე დიდ ქალაქში ჩასულიყო ფულის მოსახვეჭად და გასართობად; ფულის გულისთვის მზად იყო, ეთამაშა კიდეც. შეიძლება, ეს კარტის თამაში იყო ან სულაც, კარტის თამაშით დაიწყო ყველაფერი, რაც ყველაზე ბუნებრივი საშუალებაა ნაცნობობის გასაბმელად და დასაახლოებლად. მაგრამ ამ დროისათვის საქმე უკვე ბევრად შორს იყო წასული, თითქოს თავად ნედმაც არ იცოდა, ბუსტად სადამდე, ან იქნებ პირიქით - ბუსტად იცოდა, მაგრამ ეს უკვე თეთრების სამყაროსთან იყო დაკავშირებული. ერთი სიტყვით, ნედს თუ დავუჯერებდით, ვერ იყო კარგი ამბავი - ბობოს ას ოცდარვა დოლარი ვალი დაედო და იმ თეთრმა კაცმა განუცხადა, თუ კანონის დამცველებმა ამის შესახებ გაიგეს, მადლობა თქვი, რომ ბატონ ვან ტომის ცხენსაშენიდან გამოგდება გაკმარონო. ბობო ასე დაარწმუნა, სადავიდარაბო მაშინ გექნება, თუ მე აღარ გეყოლები გვერდით, რომ დაგიცვა და გამოგესარჩლოო. დაბოლოს, ბობო ისეთ დღეში ჩავარდა, სხვა ველარაფერი მოიფიქრა, ბატონ ვან ტომს მიადგა, ის ოცდარვა დოლარი მჭირდება და იქნებ მომცეთო; პასუხად კი ის მიიღო, რასაც შეიძლება, კიდეც მოელოდა, რადგან, ვისაც სთხოვდა, არა მარტო თეთრი კაცი იყო და აქაურობისთვის უცხო, ხანში შესულიც, იმ ასაკს გადაცილებული, როცა შეიძლება, ახსოვდეთ სიჭაბუკის ვნებანი და ძნელბედობანი.

ჰოდა, უარი უთხრა. სწორედ გასულ შემოდგომას მოხდა ეს ამბავი.

- მახსოვს, - თქვა ბატონმა ვან ტოშმა, - ასე ვუთხარი, თავიდან მომწყდი, შენი ფეხი არ იყოს-მეთქი აქ, და მეგონა, მართლა წავიდა.

თუ გესმის, რისი თქმა მინდა? ის - ბატონი ვან ტოში - ცუდი კაცი არ ყოფილა, მაგრამ უცხო იყო, ჩამოსული. მაშინ ბობომ, ეს უკანასკნელი იმედიც რომ გადაეწურა, თუმცა თავადაც არ სჯეროდა, დამეხმარებაო, საიდანღაც „გამოჩხრიკა“, როგორც თავად თქვა (რა ხერხითა და საშუალებით, ნედმაც არ იცოდა, ან შეიძლება, იცოდა კიდეც ანდა ეს ხერხი და საშუალება ისეთი იყო, ბობომ თავისი რასის კაცსაც ვერ გაუმხილა, თან - მისი ნათესავიც რომ იყო), თხუთმეტი დოლარი და იმ კაცს მისცა, სამაგიეროდ ის მიიღო, რაც მოსალოდნელი იყო და შეიძლება, თავადაც ელოდა (მაგრამ რაღა უნდა ექნა, რა წყალში გადავარდნილიყო?), და ისევ მუქარა, დევნა, რადგანაც დაამტკიცა, თუ მოსვენებას არ მისცემ, ფულის შოვნა შეუძლია.

- კი, მაგრამ ჩემთან რატომ არ მოვიდა? - თქვა ბატონმა ვან ტოშმა.

- მოვიდა, - მიუგო ნედმა, - თქვენ კი უარი უთხარით. - მდუმარებამ დაისადგურა. - თქვენ თეთრი კაცი ხართ, - დაყვავებით განაგრძო ნედმა, - ბობო კი ზანგის ბიჭია.

- მაშინ ჩემთან რატომ არ ჩამოვიდა? - ბაბუამ თქვა. - სადაც არის კიდეც მისი ადგილი, სადაც უნდა დარჩენილიყო და ცხენების საქურდლად არ დაეწყო წანწალი.

- თქვენ კი როგორღა მოიქცეოდით, - უთხრა ნედმა, - თავქუდ-მოგლეჯილი რომ გამოქცეულიყო მემფისიდან, თქვენთან მოსულიყო და ეთქვა, ნურაფერს მკითხავთ, მომეცით ასი დოლარი და ცოტა მეტიც, მემფისს დავბრუნდები, მივდგებ-მოვდგები და პირველივე შაბათიდან ნაწილ-ნაწილ დაგიბრუნებთო ვალს.

- შეეძლო ეთქვა, რისთვის სჭირდებოდა, - მიუგო ბაბუამ, - მეც ხომ მაკვასლინი ვარ.

- თქვენ თეთრი კაცი ხართ, - თქვა ნედმა.

- კარგი, განაგრძე, - უთხრა ბაბუამ.

ჰოდა, ბობომ დაინახა, იმ თხუთმეტმა დოლარმა კი არ გადა-
არჩინა, პირიქით, მთლად დაღუპა. როგორც ნედმა თქვა, ბობოს
წამითაც აღარ ჰქონდა მოსვენება იმ თავისი დემონისგან. შეიძ-
ლება, ის თეთრი კაცი შეშინდა: ასე ნაწილ-ნაწილ, თითო-ორო-
ლა დოლარობით ვალს როდის დამიბრუნებსო, ან იფიქრა, ბობო
იმდენად თავზარდაცემული და სასოწარკვეთილია, ვინ იცის, იქ-
ნებ შეცდომა მოუვიდეს ან სულაც, დანაშაული ჩაიდინოს, მით
უმეტეს, რომ მისი რასის ხალხი დიდი ჭკუით არ გამოირჩევა, მა-
შინ ხომ ყველაფერს დაგვარგავო. ასეა თუ ისე, სწორედ მაშინ
იყო, რომ მან - იმ თეთრმა კაცმა სცადა ერთი დარტყმით მოეგვა-
რებინა საქმე და ისეთი საქციელისკენ უბიძგა ბობოს, ერთბაშად
რომ გაათავისუფლებდა ვალისგან, კრედიტორისგან, სადარ-
დებლისა და ყველაფრისგან. თავდაპირველად ეს მოიფიქრა:
ბობოს ბატონ ვან ტოშის საწყობი უნდა გაეძარცვა, რაც ხელში
მოხვდებოდა, უნაგირები იქნებოდა, აღვირები თუ მოსართავეები,
ორთვალაზე ან ფურგონზე დაეტვირთა, მერე კი გაუჩინარებუ-
ლიყვნენ. მაშინვე ბობოზე აიღებდნენ ეჭვს, რა თქმა უნდა, მაგ-
რამ ის თეთრი კაცი ამ დროისთვის უკვე შორს იქნებოდა. და თუ
ბობოც ჭკუით მოიქცეოდა და დროზე გაეცლებოდა იქაურობას,
ჭკუით მოქცევა კი ალბათ მასაც შეეძლო, - შეერთებული შტატები
დიდი ქვეყანაა და თავშესაფარსაც ნახავდა სადმე და სამუშაოსაც
იშოვიდა. მაგრამ (ნედის თქმით) თავად ამ თეთრმა კაცმა უარყო
ეს გეგმა. მეორე დილასვე მისი იქნებოდა ცხენის აღკაბმულობით
დატვირთული ორთვალა თუ ფურგონი, ოღონდ უცხენოდ, მათ
გაყიდვას კი მრავალი დღე დასჭირდებოდა, ამდენი დრო კი არ
ჰქონდა.

ჰოდა, სწორედ მაშინ გაახსენდა ცხენი; ერთად უნდა შეეკრიბათ ფურგონსა თუ ორთვალაში ჩაყრილი ტყავის ნაჭრები და ერთიანად გაეყიდათ და თუკი ის თეთრი კაცი დროს აღარ დაკარგავდა და თითოეულ დოლარზე ვაჭრობას არ დაიწყებდა, საქმე არ გაუჯანჯლდებოდათ, მაგრამ ეს საეჭვო იყო. ჰოდა, მაშინ იმ თეთრ კაცს, ბობოს კი არა, მოაფიქრდა, ბობომ ჩემთვის ცხენი უნდა მოიპაროსო. ბობომ კი იცოდა, თუკი ცხენს არ მოიპარავდა, ცუდად წაუვიდოდა საქმე. ორშაბათ დილას (ამ დავიდარაბის მწვერვალი შაბათს იყო, სწორედ იმ დღეს, როდესაც ბუნი, მე და ნედი ავტომობილით ჯეფერსონიდან წამოვედით) ბოლო მოედებოდა ყველაფერს - სამუშაოსაც დაკარგავდა, თავისუფლებასაც და საერთოდ ყველაფერს ამქვეყნად. ამ დავიდარაბამ კი მწვერვალს სწორედ იმხანად იმიტომ მიაღწია და დაუყოვნებლივ მოქმედებაც იმიტომ იყო საჭირო, რომ ცხადი შეიქნა, სულ ადვილი იყო ბატონ ვან ტომის ცხენის მოპარვა, იმდენად ადვილი, თითქოს განგებ აჩეჩებენო. თავად მეხთამტეხელი (უფრო სწორად, კოპერმაინი) იყო ეს ბედაური, ქალაქიდან ნახევარი მილის იქით რომ იდგა საჯინბოში გასაყიდად გამოყვანილ სხვა ცხენებთან ერთად, და ბობოს, ვისაც ბატონ ვან ტომის მეჯინბედ იცნობდნენ, როცა მოისურვებდა, მაშინ შეეძლო მისი წაყვანა (მიყვანითაც ხომ ბობომ მიიყვანა ის საჯინბოში), აღვირს ამოსდებდა და მორჩა. საჭოჭმანო სულ სხვა რამ იყო და ეს იმ თეთრმა კაცმა კარგად იცოდა: ამ ცხენს საგანგებოდ დოლისთვის წვრთნიდნენ, მას კი ჯირითი და შეჯიბრება არ სურდა, ამიტომაც ბატონი ვან ტომისა და მწვრთნელის, ბატონი კლეპის თვალში ისეთი სახელგატეხილი იყო, რომ იმ საჯინბოში მიაბრძანეს და, სულერთია, რამდენად, პირველივე მსურველისთვის უნდა მიეყიდათ. ჰოდა, ბობოს შეეძლო მისულიყო და ცხენი წამოეყვანა და ამ ამბავს ბატონ ვან ტომს არც არავინ მოახსენებდა, თუკი თავად არ მოიკით-

ხავდა. ამისდა კვალად, ბობოს მეორე დილამდე (ორშაბათამდე) რაღაც უნდა ელონა, მერე უკვე გვიანი იქნებოდა.

ასე იყო საქმე, როდესაც იმ კვირა საღამოს ნედმა მის რეზას სახლთან დაგვტოვა, თავად კი კუთხეში შეუხვია, ბილ სტრიტზე ამოყო თავი და პირველივე არალეგალურ ბარში შევიდა. სწორედ იქ ნახა ბობო, ვისკის ბოთლის ფსკერს ჩაშტერებული რომ ცდილობდა გამკლავებოდა თავის ბედ-იღბალს.

ბაბუამ თქვა:

- ჰო, ახლა კი გავიგე. ზანგები შაბათ საღამოს... ბობო უკვე მთვრალია, შენ კი, ენაგადმოგდებული, ჯეფერსონიდან მოქრიხარ, რათა პირველივე ლუდხანაში... - შეჩერდა, მერე კი თქვა, უფრო სწორად, ეცა ნედს: - დაიცა, დაიცა! არა, შაბათი არ იყო. თქვენ მემფისს კვირა საღამოს ჩახვედით... - ნედი გაუნძრევლად იჯდა ცარიელი ჭიქით ხელში. მერე კი ასე თქვა:

- ჩვენი ხალხისთვის შაბათი საღამო კვირა დღემდე გრძელდება.

- და ორშაბათ დილამდეც, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა, - ორშაბათ დილით, ნაბახუსევებზე, ჭუჭყიანები, გაბრუებულები, გასავათებულები გამოიღვიძებთ ჭუჭყიან საკანში და იქამდე ეყრებით იქ, ვიდრე თეთრი კაცი არ მოვა და ჯარიმას არ გადაიხდის თქვენ გამოსაყვანად. ჰოდა, მთელი დღე მუშაობით არაქათგამოლეულები მხოლოდ მზის ჩასვლის ხანს მოხვალთ გონს და მიხვდებით, რომ სიკვდილი ჯერ ადრეა. მეორე დღესაც ასე იქნება, იმის შემდეგაც, ვიდრე კვლავ არ დადგება შაბათი და კვლავ არ მიაგდებთ გუთანსა თუ ბარს და თავქუდმოგლეჯილნი არ გაიქცევით, რათა ორშაბათ დილით ისევ იმ აყროლებულ საკანში გამოიღვიძოთ. არ ვიცი, რატომ იქცევით ასე.

- არ იცით და ვერც გაიგებთ, - მიუგო ნედმა, - სხვა ფერისანი ხართ. ერთ შაბათ საღამოს მაინც რომ იგემებდეთ ზანგის კაცო-

ბას, მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარასოდეს მოისურვებდით თეთრი კაცის ტყავში ყოფნას.

- კარგი, - თქვა ბაბუამ, - განაგრძე. - ჰოდა, ბოლომ მოუთხრო თურმე ნედს თავისი გასაჭირი: ნახევარი მილის იქით ერთი ბედაურია, რომელიც ლამის იხვეწება, მომიპარეთო. იმ თეთრმა კაცმა იცის ეს და მემუქრება, მაიძულებს მოვიპარო, დრო კი ცოტა მაქვს, სულ რამდენიმე საათით. - კარგი, - ისევ თქვა ბაბუამ, - ახლა იმ ჩემი ავტომობილის ამბავი მითხარი.

- სწორედაც დროა, - მიუგო ნედმა. ისინი - თავად ნედი და ბობო მოვიდნენ საჯინბოში ცხენის სანახავად. - დავინახე თუ არა, მაშინვე ის ჩემი ჯორი მომაგონდა. - ბობოც, ჩემი არ იყოს, ძალზე ახალგაზრდა გახლავთ, რომ ის ჯორი ხსომებოდა, მაგრამ ჩემსავით ისიც მისი ლეგენდებით გარემოცული იზრდებოდა. - ჰოდა, გადავწყვიტეთ, მივსულიყავით იმ თეთრ კაცთან და გვეთქვა, რაღაც მოხდა და ბობო იმ ცხენს საჯინბოდან ვერ წამოიყვანს თქვენთვის, მაგრამ სამაგიეროდ, შეიძლება, ავტომობილი მოგვგვაროთო. დამაცადეთ, - უთხრა მან ბაბუას სწრაფად, - ჩვენც თქვენსავით ვიცოდით, იმ ავტომობილს არც რა მოუვიდოდა ამ ამბის გასრულებამდე. შეიძლება, ოცდაათი-ორმოცი წლის მერე, თუკი სადმე, ჯეფერსონის რომელიმე ქუჩის კუთხეში დადგებით, მზის ჩასვლამდე დუჟინობით ავტომობილს დაითვლით, მაგრამ ახლა ასე არ არის. შეიძლება, მაშინ კი მოიპაროთ ავტომობილი და მყიდველიც იშოვოთ, გამოკითხვას ხომ არ დაგიწყებთ, საიდან წამოიყვანე, ვინ ხარ და რატომ ყიდით. მაგრამ ახლა ჯერ ასე არ არის. ჰოდა, თუ ის კაცი ისეთი იყო, მე რომ ვფიქრობდი (თუმცა, ჯერ ნანახი არ მყავდა), ვერ დაიწყებდა აქეთ-იქით ავტომობილით სიარულს, როგორმე სასწრაფოდ და თანაც უჩუმრად გაეყიდა, ისევე, როგორც სასწრაფოდ და უჩუმრად ვერც სპილოს გაყიდდა. თქვენც ხომ დიდი დავიდარაბა არ გადაგხდენიათ იმის

მოსაძებნად და დასაბრუნებლად, როგორც კი ბატონ ვინ ტოშთან ერთად ამ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, ხომ ასეა?

- განაგრძე, - უთხრა ბაბუამ. ნედმა განაგრძო:

- ჰოდა, ის თეთრი კაცი იკითხავდა, რა ავტომობილიო? მაშინ მეც უნდა ჩავრეულიყავი ლაპარაკში და შეიძლება, იმ თეთრ კაცს ეთქვა, შენ ვინ გეკითხებაო. ბობო კი ასე ეტყოდა, ამას ის ცხენი სჭირდება, რადგან იცის, როგორც უნდა მოაგებინოსო. დოღის შესახებ უკვე მოლაპარაკებულები ვართ, სამშაბათს უნდა გაიმართოს, და თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ, ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ, ფულს იმ ცხენზე ჩახვიდეთ და იმდენი მოიგოთ, სამმაგად და ოთხმაგად აინაზღაუროთ ის ას ცამეტი დოლარი, მერე კი, თუ გინდათ, იმ ავტომობილს სულაც მიაფურთხეთო. რადგანაც თქვენნაირ გამოცდილ კაცს არ შეეშლება, რისი მოცილება შეიძლება იოლად და სადავიდარაბო არ შეიქნებაო. ჰოდა, სწორედ რომ უნდა მოგვეგვარებინა ეს საქმე, მაგრამ თქვენ ჩამოხვედით და ყველაფერი ჩაგვეშალა: ნახავდა ის თეთრი კაცი პირველ გარბენს და პირველად არც არაფერს ჩამოვიდოდა, კი, ასე იზამდა სწორედ, და მეხთამტეხელი ჩვეულებისამებრ რომ წააგებდა პირველ გარბენს, იმ თეთრი კაცისთვის არაფერი იქნებოდა გასაკვირი, უკვე ეცოდინებოდა მისი ამ ჩვეულების შესახებ და ამიტომ. ჩვენც ასე ვეტყოდით: მოდით, მეორე გარბენს დაელოდეთო, თავად კი იმ ცხენს ავტომობილის წილ ჩამოვიდოდით. თეთრი კაცი დარწმუნებული იქნებოდა, მეორედაც წააგებდა მეხთამტეხელი და იმ ავტომობილთან ერთად ცხენიც მას დარჩებოდა. - ისინი - ბაბუა, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბატონი ვან ტოში - ნედს მიშტერებოდნენ. არც ვეცდები აგიწეროთ, როგორი გამომეტყველება ჰქონდათ, მაინც ვერ შევძლებ. - ჰოდა, ჩამოხვედით და ყველაფერი ჩაგვიშალეთ, - დასძინა ნედმა.

- გასაგებია, - თქვა ბატონმა ვან ტოშმა, - ყველაფერი ეს ბობოს დასახსნელად მოაწყვე. მაგრამ, ვთქვათ და, კოპერმაინს მეორედაც წაეგო, მაშინ ბობოს საქმე როგორ იქნებოდა?

- კოპერმაინმა გაიმარჯვა, - თქვა ნედმა, - თქვენ ხომ თავად ნახეთ.

- და მაინც, ვთქვათ და, წაეგო, - უთხრა ბატონმა ვან ტოშმა.

- მაშინ ბობოს უნდა დაეძვრინა თავი, - მიუგო ნედმა, - როცა მისისიპიდან წამოვიდა და იმ ბამბის მინდორს თავი დაანება, მემფისში თაღლითობა, კარტის თამაში და სხვა რაღაც-რაღაცები რომ დაეწყო, ჩემთვის არაფერი უკითხავს.

- მაგრამ ბატონ პრისტს, მგონი, ნათქვამი აქვს, რომ ბობო შენი ბიძაშვილია, - უთხრა ბატონმა ვან ტოშმა.

- რას იზამ, თითო მახინჯი ყველა ოჯახში გამოერევა, - მიუგო ნედმა.

- მოდი, გროგი დავლიოთ, - სწრაფად თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა. წამოდგა, სასმელი მოამზადა და ჭიქები შეავსო. - შენც დალიე, - უთხრა ნედს. ნედმა ჭიქა გაუწოდა და პოლკოვნიკმა ლინსკომმა დაუსხა. ნედმა ხელუხლებელი ჭიქა ისევ ბუხრის თავზე შემოდგა, მაგრამ ამჯერად აღარავის უთქვამს რამე.

- კარგი, - თქვა ბატონმა ვან ტოშმა. მერე კი დასძინა, - ამას რა ჯობს, პრისტ, თქვენ თქვენი ავტომობილი დაიბრუნეთ, მე კი - ჩემი ცხენი. და შეიძლება იმ არამზადამაც, რაკილა შიში ჭამა, ჩემს მეჯინიბეებს თავი დაანებოს. - ხმას არავინ იღებდა. - ბობოს რაღა ვუყო? - ხმა არც ახლა ამოუღია. - შენ გეკითხები, - უთხრა ბატონმა ვან ტოშმა ნედს.

- დაიტოვეთ, - მიუგო ნედმა. - ჩემი ჯიშის ხალხს, ბიჭებზე, ყმაწვილკაცებზე გეუბნებით, ასე ადვილად ჭკუას ვერ ასწავლით...

- მხოლოდ ზანგებს? - ჰკითხა ბატონმა ვან ტოშმა.

- შეიძლება, საერთოდ მაკკასლინებს გულისხმობს, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა.

- მართალია, - თქვა ნედმა, - რალა მაკკასლინები და რალა ზანგები, ერთი ზნე სჭირთ, ხოლო თუ ნარევია, მით უფრო უარესი. მაგრამ ახლა უბრალოდ

ცმაწვილკაცებზე მოგახსენებდით, თუმცა ბობო ზანგი მაკკასლინია, შეიძლება სანახევროდ ყრუებიც არიან. ერთი სიტყვით, თავად უნდა იწვნიონ, რომ მიხვდნენ, თაღლითობას სიკეთე არ მოაქვს. შეიძლება, არც ბობოსთვის ჩაუვლია ამოდ ამ გაკვეთილს. ახლის მოყვანას ჯობს, ძველი და გახედნილი დაიტოვოთ.

- კარგი, - თქვა ბატონმა ვან ტომმა. ყველანი ჩუმად ისხდნენ. - კარგი, - კვლავ თქვა ბატონმა ვან ტომმა. - სხვა რა გზაა, ნედი უნდა ვიყიდო ან კოპერმანინი გავყიდო. - კვლავ ჩუმად ისხდნენ ყველანი. - ნედ, თუ შეგიძლია კიდევ მოაგებინო?

- მაშინ კი მოვაგებინე, - მიუგო ნედმა.

- მე გეუბნები, კვლავაც თუ შეგიძლია-მეთქი, - უთხრა ბატონმა ვან ტომმა. ყველანი ჩუმად ისხდნენ. - პრისტ, - განაგრძო ბატონმა ვან ტომმა, - გჯერათ, რომ კიდევ შეუძლია მოაგებინოს?

- დიახ, - უთხრა ბაბუამ.

- ჰოდა, თუ გჯერათ, რამდენს ჩამოხვალთ? - კვლავ ჩუმად ისხდნენ ყველანი.

- როგორც ბანკირს, ამას ისე მეკითხებით? - ჰკითხა ბაბუამ.

- ვთქვათ, ისე, როგორც ერთი ჩრდილო-დასავლეთ მისისიპელ კაცს, ვინც ღვთით და შეერთებული შტატების კონსტიტუციით ნაბოძებ შვებულებას ატარებს ძირძველ და მდიდარ სამხრეთ-დასავლეთ ტენესელეებს შორის, - თქვა პოლკოვნიკმა ლინსკომმა.

- კარგი, - თქვა ბატონმა ვან ტომმა, - მე კოპერმანინს ჩამოვალ, თქვენ კი - ნედის საიდუმლოს და კიდევ ერთხელ გავმართოთ დოღი ერთ მიღზე. თუკი ნედი ისევ დაამარცხებინებს კოპერმანინს ლინსკომის ყორანას, ის საიდუმლო ჩემი იყოს, კოპერმანინი კი - თქვენი. ხოლო, თუ კოპერმანინი დამარცხდება, თქვენი სა-

იდუმლო რაღად მინდა, შეგიძლიათ ხუთას დოლარად წაიყვანოთ ან არ წაიყვანოთ კოპერმანი.

- თქვენ იმის თქმა გინდათ, თუკი წააგებს, შემიძლია ხუთას დოლარად წაიყვანო ანდა ამდენივე გადავიხადო და აღარ წაიყვანო? - ბაბუამ თქვა.

- მართალს ბრძანებთ, - მიუგო ბატონმა ვან ტოშმა, - და წაგებულნი რომ ამოიღოთ, ერთის წილ ორ დოლარს ჩამოვალ, რომ ნედი იმ ცხენს ვეღარ მოაგებინებს. - კვლავ იყუჩეს.

- ჰოდა, ან უნდა მოვიგო, ან უნდა ვიყიდო, სხვა გზა არა მაქვს, - თქვა ბაბუამ.

- ან არა და, სიყმაწვილე დაგვიწყებიათ და ის არის, - უთხრა ბატონმა ვან ტოშმა, - სცადეთ, გაიხსენოთ. მეგობრებს შორის ხართ. მცირე ხნით მაინც დაივიწყეთ, ბანკირი რომ ბრძანდებით. აბა, სცადეთ. - კვლავ ჩუმად ისხდნენ.

- ორ-ნახევარი, - ბაბუამ თქვა.

- ხუთი, - ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

- სამ-ნახევარი, - ბაბუამ თქვა.

- ხუთი, - ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

- ოთხი და თხუთმეტი, - ბაბუამ თქვა.

- ხუთი, - ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

- ოთხ-ნახევარი, - ბაბუამ თქვა.

- ოთხი და ოთხმოცდათხუთმეტი, - ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

- თანახმა ვარ, - ბაბუამ თქვა.

- მეც თანახმა ვარ, - ბატონმა ვან ტოშმა მიუგო.

ჰოდა, უკვე მეოთხედ მოაჯდა მაკ-უილი აქერონტს, მე კი მებთამტეხელს (ანუ კოპერმანს), ჩვეულებისამებრ მოუსვენრად რომ ტოკავდნენ ჯუთის წვრილი, სუსტი თოკის მიღმა. შიშნაჭამ, შეურაცხყოფილ, თავგზაარეულ და იმავე დროს, გამბედაობით აღსავსე მაკ-უილის ამჯერად ჩემთვის აღარაფერი უთქვამს. იცოდა, რომ გუშინ რაღაც მოხდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რაც,

კაცმა რომ თქვას, არც არავის არ უნდა დამართოდა, მით უმეტეს, ცხრამეტი წლის ბიჭს, ვინც ცდილობდა მოეგო, როგორც თავად ფიქრობდა, ჩვეულებრივი დოლი, რომელიც, მართალია, ყველა წესის დაცვით არ გამართულა, მაგრამ ერთზე მაინც იყვნენ შეთანხმებულნი - ჯადოქრობისა და შელოცვისთვის არ მიემართათ. ამჯერად, სად უნდა დავმდგარიყავით, წილი არ გვიყრია. ჩვენ - მაკ-უილის და მე - გვითხრეს, თქვენ თვითონ აირჩიეთო, მაგრამ ნედმა საჩქაროდ განაცხადა: „დღეს ჩვენთვის სულერთია. გუშინდელს მერე მაკ-უილი გუნებაზე ვერ არის, ჰოდა, გუნების გამოსაკეთებლად, რომელ ბოძთანაც უნდა, იმასთან დადგეს“. არ ვიცი, ბოღმა იყო ამის მიზეზი თუ კეთილშობილება, მაგრამ მაკ-უილიმ უარი თქვა ამაზე და ყველა საგონებელში ჩაგვყარა, ვიდრე განმკარგულელებმა, თავდებით გამოშვებულმა კაცისმკვლელმა, არ დაგვიძახა:

- აბა, მიდით, ბიჭებო, დოღზე ხართ გამოსული და თოკის უკან დადექით, სადაც უნდა იდგეთ.

ნედს ახლა აღარ მიუმართავს წინასწარი შელოცვისა თუ რიტუალისთვის, მეხთამტეხელისთვის აღარ მოუთათუნებია დრუნჩზე ხელი. ვერ გეტყვი, დაავიწყდა-მეთქი, ნედს არც არაფერი ავიწყდებოდა. შეიძლება, მე არ ვიყავი ყურადღებით, ვერ შევამჩნიე, გამომეპარა. ერთი სიტყვით, ამის დრო აღარ იყო. არც საბოლოო რჩევა-დარიგება მოუცია, ასე და ასე მოიქეციო, თუმცა, რაღა უნდა ეთქვა? წინა საღამოს ბატონი ვან ტოში, პოლკოვნიკი ლინსკომი და ბაბუა ასე შეთანხმდნენ: რადგანაც ეს დოლი კერძო იყო, თანაც, შეიძლება ასე ითქვას, სხვა გზა არც გვექონდა, უსათუოდ უნდა გამართულიყო, - ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შეგვენახა, რაც ისეთივე ძნელი იყო, როგორც პარშემსა და მის შემოგარენში იმის დამალვა, როგორი ამინდი იყო გუშინ პოლკოვნიკ ლინსკომის საძოვარზე, რადგანაც მთელი პარშემი მხოლოდ ეს იყო: ერთადერთი ზამთრის ჟამს მოქმედი სასტუმრო, ორად ორი

დუქანი, პირუტყვის დასატვირთი და გადმოსატვირთი ბაქანი, რკინიგზის საკვანძო სადგური, რამდენიმე ეკლესია, სკოლა და აქეთ-იქით მიმოფანტული ფერმები. ასე რომ, ყოველგვარი ხმები, თუნდაც ერთხელ დაცდენილი სიტყვა დოღის შესახებ, მით უმეტეს, თუ დოღი ხელმეორედ უნდა გამართულიყო, მსგავსად ამინდისა, წამის უმაღლესად ვრცელდებოდა მთელ პარშემში. ჰო-და, ყველანი გამოცხადდნენ დოღზე, მათ შორის, მსაჯიც - ღამის ტელეგრაფისტი, ვისაც ცოტა წაძინება ნამდვილად მოუხდებოდა. წინადღეს რომ იყო, იმაზე ნაკლები ხალხი მოვიდა, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ბაბუა და ბატონი ვან ტოში ისურვებდნენ - ერთმანეთში ირეოდა გაზინზლული შლაპები, ჩიბუხები, უჭალსტუხო პერანგები და კომბინებონები. ბოლოს ვიღაცამ დაიყვირა, გასწითო! თოკი მიწაზე დავარდა და ჩვენ წინ გავიჭვრით.

წინ გავიჭვრით-მეთქი. მაკ-უილიმ ჩვეულებისამებრ, ორი ტანით გაგვისწრო, ვიდრე მეხთამტეხელი მიხვდებოდა, რომ დოღი დაიწყო, მაშინ კი სწრაფად და მორჩილად მოუმატა სიჩქარეს, მაკ-უილის მუხლს გაუსწორდა და შეეძლო კიდევაც (თუკი მოისურვებდა) ბედ დრუნჩით მიჰკვროდა; მარჯვნივ მოვუხვიეთ, ფინიშის საპირისპირო მხარეს გავედით, ადგილები გავცვალეთ მე და მაკ-უილიმ, ჯერ დავუახლოვდით, მერე ისევ დავცილდით ერთმანეთს რაღაც სიზმარეული, მდორე სვლით, რაც ნაცნობი სურათი უნდა იყოს მისთვის, ვისაც თვითმფრინავით გუნდურ ფრენაში მიუღია მონაწილეობა. მარცხენა მოსახვევიც და - ფინიშისკენ მიმავალ ბილიკზე გავედით. ანგარიშშიუცემლად მათრახი გადავკარი მეხთამტეხელს სულ ახლოს იმ ადგილიდან, სადაც შეეძლო გაეხსენებინა, რომ დრო იყო, ნედის ძებნა დაეწყო. თვალი მოვაავლე მოაჯირთან მდგომთ, იქნებ ნედი დავინახო-მეთქი. მეხთამტეხელმა არც კი უწყობდა, საით მიქროდა, მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა, ნედისთვის მოეკრა თვალი. მაგრამ სულ ამაოდ. კვლავ მარჯვენა მოსახვევი, კვლავ ფინიშის საპი-

რისპირო ბილიკი, მერე მარცხენა მოსახვევიც... და უკვე ფინი-
შისკენ მივქრით, დრო იყო უკვე და მეხთამტეხელი მოაჯირი-
დან აქეთ, სიღრმეში გადმოვიყვანე, საიდანაც (ამასობაში აქე-
რონტი წინ გაიჭრებოდა, მაგრამ მთავარი ეს იყო - წინ არ აგვფა-
რებოდა) ყველაფრის დანახვა შეეძლო. მაგრამ ნედს თუ თვალი
მოჭკრა, ჩემთვის არ უგრძნობინებია. არც მე მითქვამს მისთვის:
გაიხედე! გაიხედე იქით! იქ დგას-მეთქი! ნედი იქ არ ყოფილა და
იმიტომ. ცარიელი იყო ბილიკი ფინიშზე გაჭიმული თოკის მიღმა,
რომელიც ისეთი წვრილი და სუსტი იყო, თითქოს საცერში გატა-
რებული მთვარის სხივიყო. მაკ-უილი ახლა გააფთრებით ურ-
ტყამდა მათრახს თავის ბედაურს, მეხთამტეხელი კი მონუსხული-
ვით მისდევდა ზუსტად ერთი თავით უკან, და თუ აქერონტი მო-
ახერხებდა საათში სამოცი მილით გაჭენებას, არც ის ჩამორჩე-
ბოდა, ანუ ისევ ერთი თავით იქნებოდა უკან, ხოლო, თუ აქე-
რონტს მოაფიქრებოდა ფინიშამდე ათი ნაბიჯით აქეთ შეჩერე-
ბა, ჩვენც შევჩერდებოდით და ისევ ერთი თავით უკან ვიქნებო-
დით. მაგრამ აქერონტი არ შეჩერებულა. ისევ ისე შეწყვილებულ-
ნი მივქროდით, ოღონდ ოდნავ გარდიგარდმო, თითქოს ჩვენი
დამაკავშირებელი ჯაჭვი მოშვებულყო. და აი, ფინიშის ხაზმაც
გაიელვა, მაკ-უილი და მე ისევ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს,
უფრო სწორად, მოზეიმე მაკ-უილი შემობრუნდა ჩემკენ და კაცი-
ჭამიასავით აროხროხდა: „ჰო-ჰო-ჰო,

ჰო-ჰო-ჰო!,, მერე სვლა შეანელა, თუმცა კი აღარ შეჩერებულა
და პირდაპირ (როგორც ვივარაუდე) საჯინბოსკენ წავიდა; რალა
თქმა უნდა, მან დააქერონტმა დაიმსახურეს დასვენება. მე კი მეხ-
თამტეხელი შემოვატრიალე და გამოვბრუნდი. ნედი ჩვენკენ გა-
მორბოდა, უკან ბაბუა მოჰყვებოდა, მაგრამ არ მორბოდა. ჩვენი
გუშინდელი თაყვანისმცემლები და გულშემატკივრები გვტოვებ-
დნენ, მიდიოდნენ; კეისარს კეისრობა ჩამორთმეული ჰქონდა უკ-
ვე.

- წამოდი, - ნედმა მითხრა და აღვირს წაეტანა სწრაფად, თუმცა აღელვებულად, ოდნავ მოუთმენლადაც, მაგრამ თითქმის უგულისყუროდ. - მიუყვანე.

- რა მოხდა? - იკითხა ბაბუამ, - რა ჯანდაბა დაემართა?

- არც არაფერი, - მიუგო ნედმა, - დღეს სურდინი არ მქონდა და ამან იცოდა ეს. მე ხომ გითხარით, რა ჭკუისაა ეს ცხენი.

მერე მე მომიბრუნდა:

- ბოლო გელოდება იქ. ეს ოჩანი იმას მიუყვანე, მემფისს წაიყვანს. ჩვენს სახლში მივდივართ ამაღამ.

- დაიცა, - მე ვუთხარი, - დაიცადე...

- დაივიწყე ეს ცხენი, - თქვა ნედმა, - რაღად გვინდა. პატრონმა დაიბრუნა თავისი ავტომობილი და მხოლოდ ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი დოლარის ზარალი ნახა, მაგრამ თუ თავიდან მოიშორებ ამ ცხენს, ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი დოლარი რა სახსენებელია. თუკი იმ ჭიჭყინა თევზის გამოშვებას შეწყვეტენ, მთელი ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს, იმ ცხენს ადგილიდან ვეღარ დაგძრავ. ჰოდა, იმ კაცმა, ბატონმა ვან... რა ჰქვია იმას... სადაც უნდა იქ წაიყვანოს; იქნებ ოდესმე კოპერმანიმა იმასა და ბობოს მოუთხროს, რაც გუშინ მოხდა.

იმ საღამოს აღარ გავემგზავრეთ, პოლკოვნიკ ლინსკომისას დავრჩით. ვახშმის შემდეგ იმის კაბინეტში შევედით. ბუნი ნაბრძოლ-ნაგვემი ჩანდა, მოთვინიერებულიც და ამავე დროს, დაწყნარებულ-დამშვიდებულიც. სუფთად იყო, წვერი გაეპარსა, ახალი პერანგი ჩაეცვა, რომლის ყიდვაც, როგორც ჩანს, ჰადუიკში მოესწრო. სწორედ იმავე მაგარ სკამზე დამჯდარიყო, ნედი რომ იჯდა წინა საღამოს.

- არა, - ასე თქვა, - ის კაცი ამის გულისთვის არ მიცემია. დაბოღმილი ამაზე აღარ ვარ, იმ გოგოს საქმეა... თანაც ყველაფერს უცებ თავს ვერ დაანებებ. რას იზამ... რას იზამ...

- თანდათანობით უნდა დაანებო, ხომ? - თქვა ბაბუამ.

- არა, ბატონო, - მიუგო ბუნმა, - ამას არ გეუბნებით. კი დაანებებ თავს, მაგრამ მერე დასუფთავებაა საჭირო, ნაგვის გატანა, მოწესრიგება, თუმცა თავი დანებებული გაქვს უკვე. მთავარი სულ სხვა რამეა. იმიტომ მინდოდა იმისთვის კისრის მოგრეხა, რომ ჩემს ცოლს ბოზი დაუძახა.

- რაო, ცოლად გინდა მოიყვანო? - ჰკითხა ბაბუამ. მაგრამ ბუნმა ბაბუას კი არ უპასუხა, მე მეცა, პირდაპირ ცოფიანივით მომვარდა.

- დასწყევლოს ღმერთმა, - ასე მომადახა, - შენ ის გოგო შიშველი ხელებით დაიცავი, დანასაც კი არ მორიდებიხარ, მე კი ცოლად რომ შევირთო, ისიც არ შეიძლება? მართალია, თერთმეტი წლისა არა ვარ, მაგრამ რითი ვარ შენზე ნაკლები?

აი, თითქმის დასრულდა ეს ამბავი. მეორე დღეს, დაახლოებით საღამოს ექვს საათზე უკანასკნელი ქედიც გადავიარეთ და ქალაქის მოედნის ირგვლივ შემოჯარული ხეების კენწეროებს შორის, სასამართლოს შენობის საათი დავინახეთ. ნედმა კი, ხი-ხი-ხიო. წინ იჯდა ბუნთან ერთად, მერე კი ისე დასძინა, თითქოს აქ ორი წელი არ ყოფილიყო.

- დელფინა რომ სეირს გიჩვენებს ამ საღამოს, მაშინ იტყვი, ნეტავ მართლაც არ ვყოფილიყავიო, - უთხრა ბაბუამ.

- ან არ დავბრუნებულიყავიო სულაც, - თქვა ნედმა. - მაგრამ ქალს, ვინც მთელი დღე ხვეტავს, საჭმელს აკეთებს, რეცხავს, ხეხავს, ალაგებს, მე მგონია, კი უნდა ხანდახან ცოტათი გართობა-გამხიარულება.

ჩამოვედით. ავტომობილი გაჩერდა. გაუნძრევლად ვიჯექი. მერე ბაბუა ჩავიდა და მეც ჩავყევი.

- ბატონ ბელოტს აქვს გასაღები, - თქვა ბუნმა.

- არა, იმას არა აქვს, - მიუგო ბაბუამ. გასაღები ჯიბიდან ამოიღო და ბუნს გაუწოდა. - აბა, წავიდეთ, - თქვა მან. ქუნა გადავიარეთ და ჩვენს სახლს მივადექით. თუ იცი, რას ვფიქრობდი? არა-

ფერიც არ შეცვლილა-მეთქი. რადგანაც რაღაც კი უნდა შეცვლილიყო, თუნდაც სულ ოდნავ, არ ვამბობ, თავად უნდა შეცვლილიყო-მეთქი, იმას ვამბობ, მე უნდა შემეცვალა, რადგან თან მომყვა ის ცვლილება, ბოლო ოთხი დღის განმავლობაში რომ მოხდა ჩემს არსებაში. და თუ ამ ოთხი დღის შემდეგ, რომელიც აღსავსე იყო სიცრუით, ტყუილით, მზაკვრობითა და ხრიკებით, სიმტკიცითა თუ გაუბედაობით, ან ყოველივე იმის შემდეგ, რაც გავაკეთე, რაც ვნახე, გავიგონე თუ გავიგე, რის გაკეთებას, დანახვას, გაგონებასა და გაგებას დედაჩემი და მამაჩემი არ დამანებებდნენ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც უნებლიეთ შევიტყვე და რისთვისაც ჯერ მზად არ ვიყავი, რასაც ვერსად შევინახავდი, ვერსად დავმალავდი, თუ ყოველივე ამის შემდეგ არც არაფერი შეცვლილა, თითქოს არც არაფერი მომხდარაო - არც შემცირებულა, არც გადიდებულა და არც უფრო ჭკვიანი და უფრო გულმოწყალე გამხდარა, მაშინ სულ ტყუილუბრალოდ ჩაუვლიარაღაცას, დაკარგულა, ამაოდ დახარჯულა; ან ის, რაღაც იყო იმთავითვე მცდარი, არასწორი და არც უნდა არსებულებო, ანდა თავად ვიყავი შემცდარი, ან არასწორი, ან სუსტი და ვერ ვიქნებოდი ამ ცვლილების ღირსი.

- წამოდი, - მითხრა ბაბუამ, არც ალერსიანად და არც მკაცრად, უბრალოდ მითხრა. ასე გავიფიქრე: ნეტავ დეიდა კელი გამოვარდებოდეს, თუნდაც, ალექსანდრე ჰყავდეს ხელში, თუნდაც უიმისოდ, და დამიცაცხანებდეს! მაგრამ არაფერი ხდება: ისევ ისე დგას ჩვენი სახლი, ყველა სახლზე ადრე რომ შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში; მაისის საღამოა, უკვე ექვსს არის გადაცილებული, ის დროა, როდესაც ვახშმობის თადარიგს იჭერენ; დედა ნაუცბადევად მკოცნის და მერე თვალს არ მაცილებს - ერთი ჭაღარა მაინც გამორეოდა იმ დროის განმავლობაში; მამაც აქ არის, ვისიც მუდამ ცოტა... შიში მქონდა-მეთქი, სწორი ნათქვამი არ არის, მაგრამ სხვა სიტყვა ვერ მომიფიქრებია. შიში იმიტომ მქონ-

და, რომ არ მქონოდა, მისიც შემრცხვებოდა და საკუთარი თავისაც. მერე ბაბუამ დაიძახა: - მორი.

- ახლა არა, პატრონო, - მამამ მიუგო. მერე მე მომიბრუნდა: - მოდი, დროზე მოვრჩეთ ამ საქმეს.

- დიახ, ბატონო, - ვუთხარი და უკან გავყევი. დერეფანი გავიარეთ და სააბაზანოსთან მივედი. მე კართან დავდექი, მან კი კაუჭიდან სამართებლის პირის გასამართავი ქამარი ჩამოხსნა, მერე გვერდზე მივდექი, რომ გამოსულიყო, და გზა განვაგრძეთ. დედა სარდაფის კიბის თავზე იდგა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, სხვა ვერაფერი მოეხერხებინა, არადა, ხომ შეეძლო ეთქვა: „შეჩერდი, ამას ნუ იზამ“, ან „გვედრები“, ან „მორიო“, ან „ლუციუს“ მაინც. მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს და მამას ჩავყევი დაბლა, ისევ შევიცადე, ვიდრე სარდაფის კარს გააღებდა და მერე შიგ შევედი. ზამთრობით ხმელ შეშას ვინახავდით იქ, ზაფხულობით კი, მოთუთიებულ ყუთში - ყინულს. დედას და დეიდა კელის აქ თაროები ჰქონდათ, ზედ შემოდგმული ნაირ-ნაირი მურაბის, ხილთაფისა და კონსერვის ქილები, აქვე იდგა ძველი სარწევლა-სავარძელი, დედა და დეიდა კელი ამ სავარძელში სხდებოდნენ, როდესაც ქალებისთვის თავი უნდა მოეკრათ. დეიდა კელი ზოგჯერ წასთვლემდა ნასადილევს, თუმცა სულ გვიმტკიცებდა, რას ამბობთ, დაძინება ფიქრადაც არ მომსვლიათ. დაბოლოს, ჩვენ მივადექით იმას, რაც შედეგად მოჰყვა ჩემს ოთხდღიან თაღლითობას, ჯახირსა და გაწამაწიას. მაგრამ ეს სწორი რომ არ იყო, ორივემ ვიცოდით, მამამაც და მეც. იმის თქმა მინდა, თუკი ამდენ ტყუილში, მზაკვრობაში, თავნებობასა და თაღლითობაში თანამონაწილეობის შემდეგ მას ისღა შეეძლო, რომ ქამრით ვეცემე, ასეთი მამა კარგი ვერ იქნებოდა ჩემთვის. და თუ იმას, რაც მე ოთხი დღის მანძილობზე მოვიმოქმედე და ჩავიდინე, ქამარი გამოასწორებდა, მაშინ ცხადი იყო, ორივენი ძალზე დავმდაბლებულიყავით. თუ ხედავ? ჩიხში ვიყავით მომწყვდეულნი, მაგ-

რამ ბაბუამ გვიშველა, კარზე დააკაკუნა. თუმცა კარი არც იყო და-
კეტილი. ბაბუას მამას ბაბუა ასე დაემოდღვრა, იმას - მამაჩემი, მა-
მაჩემმა კი - მე; რომ კარს არ უნდა კლიტე, ისიც საკმარისია, მი-
ხურული იყოს, მაგრამ შენ უნდა დაელოდო, ვიდრე არ დაგიძახე-
ბენ, შემობრძანდითო. ბაბუას კი აღარ დაუწყია ლოდინი.

- არა, - უთხრა მამამ, - შენც ასე მოიქცეოდი ამ ოცი წლის წინ.

- შეიძლება, მაგრამ მას შემდეგ ჭკუა მომემატა, - თქვა ბაბუამ,
- იქნებ როგორმე ელისონი მაღლა აიყვანო და დაამშვიდო. - მა-
მა გავიდა, კარი კვლავ დაიხურა. ბაბუა სარწეველა-სავარძელში
ჩაჯდა. მსუქანი არ იყო, მაგრამ ღიპი მაინც იმხელა ჰქონდა,
თეთრ ჟილეტში დასტყობოდა და საათის მომსხო ოქროს ძეწკვიც
დაეჭიმა.

- ვცრუობდი, - ვუთხარი.

- აქ მოდი, - მითხრა ბაბუამ.

- არ შემიძლია, - მე ვუთხარი, - ხომ გეუბნები, ვცრუობდი-მეთ-
ქი.

- ვიცი, - მან თქვა.

- მაშინ რაღაც იღონე, რაღაც გააკეთე, რაც გინდა - სულერ-
თია.

- არ შემიძლია, - მან თქვა.

- არაფრის გაკეთება არ შეიძლება? სულ არაფრის?

- მე ამას არ ვამბობ, - თქვა ბაბუამ, - მე არ შემიძლია-მეთქი,
თორემ შენ შეგიძლია.

- რა? - ვკითხე. - როგორ უნდა დავივიწყო ეს, მითხარი, აბა,
როგორ?

- ვერც დავივიწყებ, - ასე მიპასუხა, - არც არაფრის დავიწყება
შეიძლება, არც არაფერი იკარგება, მეტად ღირსსახსოვარია და
იმიტომ.

- რა უნდა ვქნა?

- ამით უნდა იცხოვრო, - მითხრა ბაბუამ.

- ამით უნდა ვიცხოვრო? შენ გინდა თქვა - მუდამ? სიცოცხლის ბოლომდე? თავს ველარასოდეს დავაღწევ? ველარასოდეს? ნუთუ არ გესმის, არ შემიძლია!

- შეძლებ, - მან თქვა, - უნდა შეძლო. კაცური კაცი ასე უნდა მოიქცეს. კაცურმა კაცმა ყველაფერს უნდა გაუძლოს, ნებისმიერ განსაცდელს გაუმკლავდეს. კაცური კაცი რასაც აკეთებს, იმის შედეგებზე პასუხისმგებელიცაა, თავისი მხრებით უნდა ზიდოს ეს მძიმე ტვირთი, მაშინაც კი, როდესაც თავად არ არის მოთავე, სხვამ ჩაითრია და ვერ უთხრა, არაო, თუმცა კი იცის, უნდა ეთქვა. აქ მოდი. - მწარედ ავტირდი, ავღრიალდი ბაბუას მუხლებთან მდგომი (უფრო სწორად, დაჩოქილი, უკვე ისეთი მაღალი ვიყავი), მან კი ერთი ხელი წელზე მომხვია, მეორე კეფაზე დამადო; მე თავი ჩავრგე იმის გახამებულ პერანგში და მისი სუნი ვიგრძენი - სახამებლის, წვერის საპარსი ლოსიონის, საღეჭი თამბაქოსი და ბენზინისა, რომლითაც ბებიასა და დელფინას სერთუკიდან ლაქები ამოჰყავდათ. ვისკის სუსტი სუნიც მომივიდა; ჩვეულებისამებრ, ბაბუა დილითვე გადაჰკრავდა ხოლმე უბმომე ლოგინში. როცა ბაბუასთან ერთად მეძინა, დილით, უპირველეს ყოვლისა, ოთახში ნედი შემოდრიოდა (თეთრი ქურთუკის გარეშე, ხან საერთოდ უქურთუკოდ ან სულაც უპერანგოდ, და მაშინაც კი, როდესაც ბაბუამ ცხენებს ეტლების სადგომში მიუჩინა ადგილი, ნედს მაინც ამ ოთხფეხთა სუნი ასდიოდა). შემოიტანდა ლანგარს გრაფინით, წყლით სავსე დოქით, საშაქრით, კოვზითა და ჭიქით. ბაბუა ლოგინში წამოჯდებოდა, სასმელს მოამზადებდა და გადაჰკრავდა. მერე რაც დარჩებოდა იმაში, ცოტა შაქარს ჩაუმატებდა, მოურევდა, ცოტა წყალსაც ჩაასხამდა და მე მასმევდა. ჰოდა, ერთ დღეს ბებიაშემ შემოგვისწრო და ბოლო მოუღო ამას. - კარგი, გეყოფა, - მითხრა ბაბუამ, - სად გაქვს ამდენი ცრემლი. წადი, პირი დაიბანე. კაცური კაციც ტირის ხანდახან, მაგრამ მერე პირს იბანს ყოველთვის.

ასე გასრულდა ეს ამბავი. ორშაბათი იყო, ნაშუადღევს სკოლიდან დავბრუნდი (მამამ დედას არ დაანება წერილის გაგზავნა სკოლაში პატიების სათხოვნელად, ასე რომ, გაცდენა ჩამიწერეს, მაგრამ მის როდსმა თქვა, რაც გამოტოვა, ვამუშავებ და კლასს დავაწევო). ნედი კვლავ უკანა კიბეზე იჯდა, ბებიას კიბეზე ამჯერად, და ამჯერადაც ჩრდილი მოექცენა. მე ვუთხარი:

- მაშინ, იმ ბოლო გარბენზე რომ მივმხვდარიყავით და ფულს ჩავსულიყავით, სემმა რომ მოგვცა მეხთამტეხელის გამო, ახლა უკვე ყველაფერი მოგვარებული გვექნებოდა.

- მე ყველაფერი მოგვარებული მაქვს, - მითხრა ნედმა, - ხუთი სამთან მოვიგე. იმ ბებერ პასემ ჰუდსაც ერგო ოცი დოლარი თავისი ეკლესიისათვის.

- მაგრამ ჩვენ ხომ წავაგეთ, - ვუთხარი.

- შენ და მეხთამტეხელმა წააგეთ, - თქვა ნედმა, - თორემ მე ფულს აქერონტზე ჩავედი.

- რა? - ასე წამოვიძახე, მერე კი ვკითხე; - მაინც რამდენი მოიგე? - არც კი შეტოვებულა, თითქოს არც გაუგონია. სულაც არ შეცვლილიყო, ისეთივე იყო, როგორიც იმ ბოლო პარასკევს. მცირეოდენი კვალიც არ დაეტოვებინა იმ ოთხ დღეს თავისი გაწამაწიითა და ხრიკებით, როცა აუცილებელი იყო სწრაფად მონახა გამოსავალი, გაეკეთებინა სწორი არჩევანი. არადა, მე ხომ ვნახე, თუმცა ერთხელ, მაგრამ მაინც ვნახე, იმ ყოფაში, როცა მხოლოდ ძილი და მოსვენება კი არა, ტანზე ჩასაცმელიც არ ჰქონდა (თუ ხედავ, რა ჯიუტად გავიძახი, ის ოთხი დღე-მეთქი? შაბათი იყო, შუადღე, როდესაც ბუნი და მე - ორნი, როგორც ჩვენ ვფიქრობდით - ჯეფერსონიდან გავემგზავრეთ, და უკვე პარასკევი იყო, ნაშუადღევი, როდესაც ბუნმა, ნედმა და მე კვლავ ვიხილეთ ჯეფერსონი. მაგრამ ჩემთვის მხოლოდ ოთხი დღე იყო: იმ შაბათი საღამოდან, მის ბოლენბოსას რომ მივედით ღამის გასათევად, როდესაც საკმარისი იყო ჩემი ერთი სიტყვა და ბუნი მე-

ორე დღესვე სახლში დაბრუნდებოდა - იმ წუთამდე, როდესაც ოთხშაბათს მეხთამტეხელზე მჯდომმა ძირს გადმოვიხედე, ბაბუა დავინახე და იმას მივაშურე. მთელი ეს ხანი ნედი მარტოდმარტო ეწეოდა ჭაპანს, მარტოდმარტო უმკლავდებოდა წყალდიდობას, იმ იარაღით ცდილობდა ჩამოქცეული ჯებირის შეკეთებას, რაც ხელთ ჰქონდა - ჩემი საშუალებითაც, - ვიდრე არ დაემსხვრა და არ შეემუსრა. თუმცა ჩვენი დგომა იმ ჯებირს მიღმა სულაც არ იყო საჭირო. მაგრამ ნამდვილ მამაკაცს ყოველთვის ბოლომდე მიჰყავს საქმე, სულერთია, მისი დაწყებულია თუ არა). მე მხოლოდ თერთმეტისა ვიყავი და არც კი ვიცო, როგორ, მაგრამ მაინც მივხვდი, კაცს არ უნდა ჰკითხო, რამდენი მოიგე ან რამდენი წააგეო. ჰოდა, ასე ვუთხარი: - მინდა ვიცოდე, თუ იყო მოგებული თანხა საკმარისი, პატრონისთვის მისი ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი დოლარი რომ დაგებრუნებინა? - ის კი უწინდებურად იჯდა, ნირ-შეუცვლელი; დედას რატომღა უნდა გამორეოდა ჭაღარა ამ ხნის მანძილზე? განა მე კი შევიცვალე იოტისოდენად მაინც? მხოლოდ ახლა გავიგე ბაბუას ნათქვამი: იმ გარსს, რომელშიც შენ ცხოვრობ, რომელშიც გძინავს, სულ მცირე კავშირი აქვს იმასთან, რაც ხარ და კიდევ უფრო მცირე იმასთან - რასაც აკეთებო. მერე ნედმა თქვა:

- ამ მოგზაურობისას რამდენი რამ გაიგე ადამიანებზე და სწორედაც გაოცებული ვარ, ფულბერომ ვერაფერი გაიგე. შენ რა, გინდა, რომ პატრონმა მე მაწყენინოს ან მე ვაწყენინო პატრონს, ან ორივენი ნაწყენი დავრჩეთ?

- რას გულისხმობ? - ვუთხარი.

- თუკი შევთავაზებ, შენს ვალს გადავიხდი-მეთქი, გამოდის, რომ პირში ვეტყვი, თუ ცხენებისა არაფერი გესმის, ფულს რაღად ჩადიოდი-მეთქი. და თუ იმასაც ვეტყვი, რა ფულითაც ვაპირებ ამ ვალის გადახდას, სწორედაც დავამტკიცებ ამას, ხომ ასეა?

- და მაინც არ მესმის, შენთვის რა არის საწყენი, - ვუთხარი მე.

- ხომ შეიძლება, გამომართვას, - მითხრა ნედმა.

ბოლოს ის დღეც დადგა. ევერბიმ შემომითვალა, მოდიო. მეც წავედი. მთელი ქალაქი გავიარე, ვიდრე გარეუბანში ერთ პატარა ქუჩაზე მდებარე სახლს არ მივაღეცი, რომელიც თოჯინების საცხოვრებელი გეგონებოდა. ბუნმა იმ ფულით იყიდა, ბაბუას რომ უბრუნებდა ორმოცდაათ ცენტობით ყოველ შაბათს. ევერბის მომვლელი ქალი ჰყავდა, თავად კი ლოგინში უნდა წოლილიყო, მაგრამ რადგანაც მე მელოდებოდა, სკამზე იჯდა ხალათმოსხმული. ჩვილს რომ დავყურებდი, აკვანთანაც მოვიდა და მხარზე ხელით დამეყრდნო.

- მოგწონს? - მკითხა, - არ მეტყვი, რას ფიქრობ?

არც არაფერს ვფიქრობდი. კიდევ ერთი ჩვილი იყო, უკვე ბუნით გონჯი, თუმცა სანამ ისეთივე ტანბრგე შეიქნებოდა, ოცი წელი ლოდინი დაგვჭირდებოდა. ასეც ვუთხარი.

- რა დაარქვით იმას?

- იმასო, რა არის, - მითხრა მან, - ბიჭს. აბა, თუ გამოიცნობ?

- მაინც რას? - მე ვკითხე.

- მისი სახელია ლუციუს პრისტ ჰოგანბეკი, - იყო პასუხი.